

უზანბ სასლთხ უციშვილი

**ბარეკასური
ლექსიკონი**

თბილისი 2003

*ვეუძღვნი ჩემი მშობლების –
ელენე და დიმიტრი სახლთხუციშვილების
– ნათელ ხსოვნას.*

რედაქტორი: პროფ. ბიორგი ჟიბასაშვილი

ავტორი დიდ მადლობას მოახსენებს
ბატონ ბელა ძიძიკაშვილს ამ
წიგნის დაფინანსებისათვის.

© გამომცემლობა „უნივერსალი“, 2003

© უ. სახლთხუციშვილი

ISBN 99928-976-9-4

რედაქტორისაგან

უშანგ სახლთხუციშვილის „გარეკახური ლექსიკონი“ საჭირო და დროული ნაშრომია.

დიალექტური ლექსიკის დაფიქსირების, აღწერის და მეცნიერული ანალიზის ყოველი დაკარგული დღე ფაქტობრივად სიტყვათა უნიკალური სიმდიდრის აუნაზღაურებელი დაკარგვაა, რადგანაც ამ ლექსიკის ერთადერთი მცოდნე და შემნახველი ადამიანები ცხოვრებიდან მიდიან და თან მიაქვთ ყველაფერი, რაც მათ წინა თაობისაგან მიიღეს, მაგრამ მომავალმა თაობებმა არ იზრუნეს ამ სიმდიდრის მიღება-შენახვისათვის.

ერთი შეხედვით, ქართველოლოგიამ ყველაფერი იღონა, რომ არ შეწყვეტილიყო ისტორიული მემკვიდრეობითი კავშირი. ბევრი რამ გაკეთდა კიდევაც. მაგრამ ხალხის ცოცხალი, ლიტერატურული ნორმების არტახებისაგან თავისუფალ მეტყველებაში თურმე იმდენი ხელუხლებელი სიმდიდრეა დაუნჯებული, რომ კიდევ მკვლევართა მრავალ თაობას ეყოფოდა საკვლევად. ოღონდაც საუნჯის შემნახველ-მატარებელი წყარო ილევა, იწრიტება და დიალექტები სულ უფრო ივსება ისეთი ლექსიკური და გრამატიკული სუროგატებით, რომლებიც არღვევენ და შლიან დიალექტის ჰარმონიასა და განუმეორებლობას. ალბათ ბევრს შეუძნევია: თუ ადამიანთა ჯგუფი (ვთქვათ, სუფრაზე) საუბრობს ამა თუ იმ დიალექტზე, უკეთესი მოსასმენი მუსიკა არ არსებობს და პირიქით — არაფერი ისე არ აღიზიანებს სმენას, როგორც ათასგვარი უცხო მინარევებით გაჯერებული „ხალხური მეტყველება“, რომელიც ერთნაირად შორს არის როგორც ნორმირებული ენისაგან, ისე ცოცხალი ხალხური მეტყველებისაგან. არადა ამ „ენობრივ აჯაფსანდალს“ მივეჩვიეთ კიდევაც.

გამოდის, რომ დაცვა, შენახვა, გაფრთხილება სჭირდება არა მხოლოდ ლიტერატურულ ენას, არამედ მის მარადიულ მკვებავს — დიალექტსაც, რომლის დაშლა-ნგრევის მოწმენიც დღეს ჩვენ ვართ. დიალექტური ლექსიკონების შედგენა-გამოცემა სწორედ ამ გადაუდებელი საქმეს ემსახურება. ამ ასპექტში უნდა განვიხილოთ უშანგ სახლთხუციშვილის წინამძღვარე ლექსიკონი, სადაც პრობლემით დაინტერესებული პირები ნახავენ მრავალ საინტერესო

ფაქტს. ხოლო ამ მასალის ფონეტიკურ-მორფოლოგიური ანალიზი და მიღებული შედეგების განზოგადება ნამდვილად კეთილ საშინაურს გაუწევს ქართული დიალექტოლოგიის ჩაღრმავებულ შესწავლას.

კვლევა უნდა გაგრძელდეს სხვა მიმართულებებითაც. მაგალითად, ცნობილია, რომ ლიტერატურულ ნორმებში კანონად ქცეული ქართული ფონეტიკური მოვლენები დიალექტური მეტყველების გაელენის შედეგია. ამ გაელენის მასშტაბების ანალიზი ფრიად საყურადღებო შედეგებს მოგვცემდა. დიალექტურ ლექსიკაში დალექილია და შემონახულია ისეთი ძირები, რომელთა სემანტიკაც დღეს დაკარგულია, მაგრამ მიგნების შემთხვევაში რაღაც ახალი, უცნობი რამ განდებოდა ხელმისაწვდომი, მაგალითად, რაღაცას ხომ უნდა ნიშნავდეს „ქურუში“ (მოქურუშებული ცა), ძუნგალი (ძუნგალი ძალღივით დასუნსულებს), კოტიტა (კოტიტა თითები), ფოლორცი (უწმაწურობის მოყვარული) და სხვ.

უშანგ სახლთხუციშვილმა დიდი შრომა გასწია, მაგრამ, უდავოა, ბევრი რამ მაინც ვერ მოხვდა ლექსიკონში.

მოუხედავად ამისა, მადლობასა და მოლოცვას იმსახურებს ამ შრომის ავტორი.

პროფ. გიორგი წიბახაშვილი

წინასიტყვაობა

გასული საუკუნის 60-იან წლებში, როცა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, პირველ კურსზევე დაგვაშუშავებინეს საკურსო თუ სტუდენტურ კონფერენციებზე წასაკითხი თემები. ბატონ ვარლამ თოფურიას დავალებით დავწერე ნაშრომი „ჩემ სოფელში გავრცელებული მეცხვარეობის ლექსიკა“, რამაც ხელმძღვანელისა და პროფესორ-მასწავლებელთა კარგი შეფასება დაიმსახურა. ჩემს მიერ აღწერილ მასალაში აღმოჩნდა ოცამდე სიტყვა-ტერმინი, რომლებიც არცერთ ლექსიკონში არ იყო შესული. ბატონმა ვარლამმა მირჩია, ამ კუთხით კვლავ გამეგრძელებინა მუშაობა. მეორე წელს პროფ. ფარნაოზ ერთელიშვილის დავალებით კი აღვწერე სოფ. მარტყოფის ტოპონომია (210 ტოპონორთეული). ამ მასალაშიც დაუნჯებული აღმოჩნდა ისეთი არქაული თუ დიალექტური ლექსიკა, რაც არა მარტო მკვლევართა ინტერესს იწვევდა, არამედ ქართული ენის საკითხებით დაინტერესებულ ფართო მკითხველს დიდ სარგებლობასაც მოუტანდა.

სტუდენტს, დამწყებ მკვლევარს, თქმა არ უნდა, ხელმძღვანელისა და სპეციალისტების ასეთი შეფასება დიდ სტიმულს აძლევს და უფრო ხალისით ეკიდება დაწყებულ საქმეს. არ დავმაღავ, ამ ჩემი პირველი ნაშრომების საჯარო წარმატება და აღიარება დიდი სიხარულით გავუზიარე პროფ. გიორგი წიბახაშვილს, რომელსაც მაშინ ისე ახლოს არ ვიცნობდი, მაგრამ ის კი ვიცოდი, რომ ისიც გარეკახეთიდან, სოფ. ნორიოდან ბრძანდებოდა. ბატონმა გიორგიმ გულდასმით მომისმინა და ბოლოს ესეთი რჩევა მომცა, რაც დღემდე არ მაეიწყდება: „გარეკახეთში ამ კუთხით ძალიან ბევრი რამ არის შესასწავლ-გამოსავლინებელი, თითქმის დაუმუშავებელი ყაშირია, რომელიც კარგ გუთნიდელას ელოდება. მარტო ნორიო-მარტყოფში რომ აღიწეროს მასალა, რამდენიმე დისერტაციაც კი დაიწერება დიალექტურ, ფოლკლორულ, ტოპონომიკურ თუ ეთნოგრაფიულ საკითხებზე. კარგს იზამ, თუ აქედანვე შეუდგები ამ მასალის აღწერასა და დამუშავებას“.

ჩემი მასწავლებლების ასეთმა შეფასებამ და ბატონი გიორგი წიბახაშვილის რჩევა-დარიგებამ ისე შემაგულიანა და წამახალისა,

რომ გადაეწყვიტე, იმ დღიდანვე შევდგომოდი მასალის საფუძვლიან აღწერასა და შესწავლას. მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ, ლატვიური ენისა და ლიტერატურის შესასწავლად მიმავლინეს ქ. რიგაში, სადაც მთელი ექვსი წელი დაკავი, რადგან ასპირანტურაც იქ დავამთავრე.

სპეციალობის შეცვლამ დიდი ხნით ჩამომაშორა იმ საქმიანობას, პირველ კურსზევე რომ დავისახე მიზნად. თუმცა საბოლოოდ მაინც არ გამიწყვეტია მასთან კავშირი. სოფელში ყოფნისას ყოველთვის უბის წიგნაკში ვიწერდი თითოეულ სიტყვას, რაც მანამდე არსად არ წამეკითხა. ასე ჩაწერილი სიტყვები (ხატოვანი გამოთქმები) ზომიერად გამომიყენებია თარგმანებსა თუ საკუთარ ნაწერებში და ისე ჩამგდარა ქართული სიტყვიერების მხატვრულ ქსოვილში, ბნელად თუ იფიქრებდა ვინმე, რომ ამ სიტყვებმა პირველად მოიპოვეს „მოქალაქეობრივი“ უფლება.

1969 წელს თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან დაარსდა ტოპონომიკის (შემდეგში ონომასტიკის) ლაბორატორია, სადაც მეც დავიწყე მუშაობა. პირველ ორ წელს იმერეთის რაიონებში მოწყობილ ექსპედიციებში ვღებულობდი მონაწილეობას. შემდეგ მთელი საქართველო რეგიონების მიხედვით დანაწილდა და თითოეული თანამშრომელი გარკვეული რეგიონის აღწერაზე იყო პასუხისმგებელი. მე კახეთის აღწერა დამეკალა.

მართალია, წლების მანძილზე ძირითადად ტოპონიმიას ვიწერდით, მაგრამ არც დიალექტური ლექსიკა, ფოლკლორული თუ ეთნოგრაფიული მასალა (რაც ტოპონიმთან იყო დაკავშირებული) გვრჩებოდა უყურადღებოდ. თუმცა ისეთი კომპლექსური აღწერა, როგორც ამას ლატვიელი კოლეგები აწარმოებენ, ჩვენ ვერ მოვახერხეთ. არადა, ყოველივე ეს სწორედ რომ კომპლექსურად უნდა აღიწერებოდეს.

ლატვიელთა საველე ექსპედიციაში ერთხელ (1982 წლის ზაფხულში) მეც მივიღე მონაწილეობა. როგორც ზემოთ ითქვა, ლატვიელები ყველაფერს: დიალექტურ ლექსიკას, ტოპონომიას, ფოლკლორულ თუ ეთნოგრაფიულ მასალას, ენაში (ცოცხალ მეტყველებაში) მომხდარ ფონეტიკურ პროცესებს ერთად, კომპლექსურად იწერენ და გარკვეულ რეგიონში მთელი ხუთი წლის მანძილზე გვემაზომიერად მუშაობენ. მოსახლეობას

წინასწარ შეამზადებენ, შეარჩევენ მთქმელ-ინფორმატორებს, აუხსნიან, განუმარტავენ თუ რა მიზნით არიან სოფელში ჩამოსულები, რა სჭირდებათ და რას მოითხოვენ მათგან.

იმ ზაფხულს, მე რომ მივიღე მონაწილეობა, ლატვიელები უკვე ამთავრებდნენ ხუთწლიან საველე ექსპედიციას. ვიყავით სოფ. ნიტაურეში, რიგიდან ასოც-ასოცდაათ კმ. დაშორებით. სტუდენტებსა და მათ ხელმძღვანელებს არა მარტო კალმები და რვეულები მოემარჯვებინათ, არამედ დიქტაფონები და ტელეკამერაც კი ჰქონდათ წამოღებული. თითქმის ყველა ხუტორის მაცხოვრებელმა ერთად მოიყარა თავი. ზოგს რაღაც ჩანაწერები მოეტანა და ექსპედიციის მონაწილეებს უტოვებდა, ზოგი ზეპირად ეუბნებოდა, შარშან ეს ტოპონიმი გამომჩა და ამა და ამ მასალას დაამატეთო, ესა და ეს სიტყვა მერე გამახსენდა და რომ არ დაიკარგოს, ახლა ჩაიწერეთო და ა.შ. გულახდილად გეტყვი, გამოაცა იმ ხალხის ასეთმა დაინტერესებამ და მოწადინებამ.

იმ დღისით ერთი მეტად მნიშვნელოვანი ამბის მოწმე და მონაწილეც გავხდი. ერთი მთქმელისაგან ნალბანდობასთან დაკავშირებული უამრავი უცნობი სიტყვა ჩაიწერეს. მჭედელი (ნალბანდი) ამ სოფელში ცხოვრობდა, ცხენი სხვა სოფლიდან მოუყვანეს. მჭედელი შეუდგა საქმიანობას. ქურა გაახურა, ახალთახალი ნალები და ბლომად ლურსმანი გამოჭედა. მერე ცხენს მუცელზე გარსაკრები ამოაკრა, რაღაც ხელსაწყოზე დაამაგრა, დაატრიალა და ცხენი მალლა ასწია. თან ყველაფერს ჰყვებოდა, უხსნიდათ, რა დროს რას აკეთებდა. ექსპედიციის მონაწილეები ყოველივე ნათქვამს გულმოდგინედ იწერდნენ და კამერიითაც იღებდნენ... ბოლოს გამოირკვა, რომ ამ დღისით 90-მდე ისეთი სიტყვა ჩაეწერათ, რომელიც არცერთ ლატვიურ ლექსიკონში არ იყო შეტანილი.

ასეთი კომპლექსური მუშაობა ჩვენთვის დღესაც ოცნებად რჩება. თუმცა მოწადინება და საქმის სიყვარული არც ჩვენ გვაკლია და არც ჩვენს მთქმელ-ინფორმატორებს. მრავალი სოფლიდან მეც მიმიღია წერილი და გამორჩენილი ტოპონიმი ჩემთვისაც გამოუგზავნიან. ასეთი მთქმელ-ინფორმატორები განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებენ და მათი წვლილი სათანადოდ იქნება აღნიშნული ტოპონიმთა ლექსიკონების შედგენა-

გამოცემისას. ახლა კი მინდა მაღლიერების გრძნობით მოვიხსენიო აწგარდაცვლილი ორი დიდებული კაცი: ნიკო ჯავახიშვილი (სოფ. ბაღიაური, საგარეჯოს რ.) და ნიკა ბეროშვილი (სოფ. კაჭრეთი, გურჯაანის რ.), რომელთაც მასალაც ბევრი ჩამაწერინეს და მრავალი სიტყვის მნიშვნელობაც დამადგენინეს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მუდმივ მთქმელ-ინფორმატორებად ჩემი მშობლები მყავდა. თუ რომელიმე სოფელში რაიმე ახალს, უცხოს ჩავიწერდი, ყოველთვის მათთან ვამოწმებდი, ვეკითხებოდი, მაინტერესებდა, მათაც იცოდნენ ან გავგონათ თუ არა ეს სიტყვა. ძალიან ხშირად აღმოჩნდებოდა, რომ ჩემთვის უცნობი სიტყვის შინაარსი მათთვის ნაცნობიც იყო და კარგად გასაგებიც. დედაჩემი განსაკუთრებით მარჯვე იყო მეტსახელთა ეტიმოლოგიის დადგენაში. ბევრი მისი გამიფრული მეტსახელი (უფრო მეტად კი ქალებისა!) ხელახლა რომ შემიმოწმებია მთქმელ-ინფორმატორებთან, ზედმიწევნით ზუსტი აღმოჩენილა.

წინამდებარე ლექსიკური მასალა, რომელსაც თითქმის ორმოცი წლის მანძილზე ვკრებდი, ხუთი ათასამდე ერთეულს ითვლის. იგი პირველი ცდაა გარეკახეთის ტერიტორიაზე ასეთი მასალის შეკრება-გამოცემისა, რაც, თავისთავად ცხადია, დაზღვეული არ იქნება ცალკეული შეცდომებისაგან, ან შეიძლება სიტყვის ყველა ნიუანსი ვერ წარმოვაჩინე. ძალიან ვწუხვარ, რომ ეს მასალა, უკვე ერთად თავმოყრილი, ამ ბოლო დროს დატრიალებული ამბების გამო, ვეღარ მოვახერხე ყველა სოფელში გადაამოწმებინა და ზუსტად დამედგინა, თითოეული ეს სიტყვა-ტერმინი მთელ გარეკახეთშია ცნობილი თუ მარტო იმ სოფელში იხმარება, სადაც იგი ჩავიწერე.

იმაზეც ვწუხვარ, რომ ჩემს მიერ შეკრებილი ბევრი სიტყვა, რომლებიც განმარტებით ლექსიკონში აღმოჩნდა, წინამდებარე ნაშრომში აღარ შევიტანე, რაკი მათ ძველი ლექსიკის კვალიფიკაცია აქვთ მიცემული. აღარ შევიტანე და ერთგვარად გავაღარიბე გარეკახურის ლექსიკური ფონდი. არადა ეს სიტყვები საკვლევ რეგიონში საკმაოდ ბევრია, ისევ ცოცხალია და დღესაც იმავე მნიშვნელობით იხმარება.

ვიმედოვნებ, რომ მეორე შევსებული გამოცემისათვის ყოველ შეჭრულ შეცდომას, თითოეულ ნაკლს გავითვალისწინებ და

სათანადოდ გაეასწორობ. ამიტომ გულწრფელად ვთხოვ მკითხველს, ყველა დაინტერესებულ პირს, განსაკუთრებით გარე-კახელებს, მომავლოდონ ყველა შენიშვნა, რაც კი ამ მასალის გაცნობისას გაჩნდება.

პატივისცემით უშანგ სახლთხუციშვილი
03.03.03

ჩემი მისამართია: თბილისი – 28,
ჭავჭავაძის გამზირი №1, თსუ
ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

ბარეკასური ლექსიკის ანალიზი

I. ფონეტიკური მიმოხილვა

გარეკასური კახური დიალექტის ერთ-ერთი კილოკავია, რომელზეც მეტყველებს გარდაბნის რაიონის (მარტყოფისა და მისი მიმდებარე სოფლების), საგარეჯოს რ-ნისა და გურჯაანის ე.წ. კატრეთის ზონის მოსახლეობა. „კახური ქართული ენის ერთ-ერთი ძირითადი დიალექტთაგანია და ყველაზე ახლოს დგას ქართულთან. იგი ქართულთან ერთად საფუძვლად დაედო ახალ ქართულ სალიტერატურო ენას და ამჟამადაც მისი ერთ-ერთი მთავარი მკვებავი წყაროა“ (დიალექტოლოგია, I, გვ. 177).

როცა ამბობენ, კახური ყველაზე ახლოს დგას ქართულ დიალექტთანო, ეს სიახლოვე, რა თქმა უნდა, უფრო მეტად გარეკასურ კილოკავზე მოსაუბრეთა მეტყველებაშია თვალში საცემი. აქ, ქართულ დიალექტსა და გარეკასურ კილოკავში, არა მარტო მსგავსი ფონეტიკური მოვლენები თუ მორფოლოგიური ფორმები შეინიშნება, არამედ მრავალი საერთო ლექსიკური ერთეულიც დასტურდება.

საკვლევ კილოკავში თითქმის ყველა იმ ძირითად ფონეტიკურ მოვლენას აღმოაჩენს მკვლევარი, რაც საერთოდ ცნობილია საენათმეცნიერო ლიტერატურიდან. ფონეტიკური პროცესებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია: ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, ბგერათა დაკარგვა, ბგერათა განვითარება...

I. ასიმილაცია

ა) ხმოვანთა ასიმილაცია

გარეკასურში გვაქვს როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა ასიმილაცია, კერძოდ კონტაქტური ასიმილაცია, როცა ზმნისწინისეულ ა, ე-ს უშუალოდ ემეზობლება ქცევისა და ენებითი გვარის მაწარმოებელი ხმოვნები.

სრული ასიმილაციის მაგალითებია ოე > ეე: მოერევა > მეერევა, მოერიღე > მეერიღე, მოეწონა > მეეწონა, ჩამოეკიდა > ჩამეეკიდა, გამოეყვანა > გამეეყვანა, ჩამოეტანა > ჩამეეტანა,

გაღაეყვანა > გაღაეყვანა... აე > ეე: დაეშვება > დეეშვება,
ღაენწევა > დეენწევა, დაეტიე > დეეტიე, დაენსენ > დეენსენ...

ზმოვანთა სრული ასიმილაცია დასტურდება არა მარტო ზმნის ფორმებში, არამედ სხვა სიტყვებშიც. აე > ეე: რაები > რეები; ეა > ოა; მაგაობაში > მაგოობაში; ეა > ეე: დეღანემი (ღ-ს დაკარგვის შედეგად) > დეანემი > დეენემი,

ზმოვანთა ნაწილობრივი ასიმილაციის მაგალითებია: ღი > აი; გამოიტანე > გამაიტანე, გამოიყენა > გამაიყენა, გამოიქეცით > გამაიქეცით... ოე > უე: ამოვებს (ე-ს ამოვარდნის შედეგად) > ამოებს > ამუებს, აწოვებს > აწოებს > აწუებს, ათხოვებს > ათხოებს > ათხუებს...

ზმოვანთა დისტანციური ასიმილაციის მაგალითია იალაში (ალიონი) აო > აა; იალოში > იალაში,

ბ) თანზმოვანთა ასიმილაცია

გარეკახურ კილოკავში საკმაოდ დასტურდება მაგალითები თანზმოვანთა კონტაქტური ასიმილაციისა, როცა ყრუ თანზმოვანი იმსგავსებს მეზობლად მყოფ მჟღერ თანზმოვანს, მაგ., გქ > ქქ: გქონდეს > ქქონდეს (სრული ასიმილაცია); გქ > ქხ: გადაგხუზა > გადაქხუზა (ნაწილობრივი ასიმილაცია); გც > ქც: გცივა > ქცივა (ნაწილ. ასიმილაცია); მოგცეს > მოქცეს (ნაწილ. ასიმილაცია); ჟკ > შკ: ვაჟკაცი > ვაშკაცი (ნაწილ. ასიმილაცია); ბრტყ > პრტყ (რ-ს ამოვარდნის შედეგად) > პტყ; ბრტყელი > პრტყელი > პტყელი. აბრტყელებს > აპრტყელებს > აპტყელებს,

ამავე გზით არის მიღებული გარეკახურში დადასტურებული ლექსიკური ერთეული პტყენა (ქართული ბერყენა): ბრტყენა > პრტყენა > პტყენა, ოღონდ ამ შემთხვევაში მანამდეც რთულ ფონეტიკურ პროცესებს ჰქონია ადგილი. ბერყენაში ფუძიდან ჯერ ე ზმოვანი ამოვარდნილა: ბერყენა > ბრყენა, შემდეგ კი ტ განვითარებულა, ე.ი. პტყენას ასეთი გზა გამოუვლია: ბერყენა > ბრყენა > ბრტყენა > პრტყენა > პტყენა,

ასეთივე რთული ფონეტიკური პროცესები მომხდარა „ავამდყოფ“ სიტყვის ფუძეში: ავამდყოფი > ავამდყოფი (მომხდარა მეტათეზისი: დმ > მდ). შემდეგ კი ასიმილაცია: ავამდყოფი >

ავამტყოფი (ღყ > ტყ), ნ/მ ბგერათა სუბსტიტუციის შედეგად კი: ავამტყოფი > ავანტყოფი. ეს სიტყვა გარეკახურში ღ ბგერის გარეშეც დასტურდება: ავატყოფი.

საავადმყოფო > საავამდყოფო > საავამტყოფო > საავანტყოფო > საავატყოფო > საავატყოფო, მეტყველებაში გვხვდება კიდევ უფრო გამარტივებული ფორმები: სავადმყოფო > სავამტყოფო > სავანტყოფო > სავატყოფო.

გარეკახურში დასტურდება ისეთი მაგალითიც, როცა მჟღერი თანხმოვანი ნაწილობრივ იმსგავსებს ყრუ თანხმოვანს, შღ > ჟღ; ღღოშღერი > ღღოჟღერი,

2. დისიმილაცია.

გარეკახურ კილოკავში საკმაოდ ხშირია ბგერათა განსხვავებით მიღებული სიტყვები, ე.ი. თუ სიტყვაში თავს იყრის ორი ერთნაირი ბგერა, ორი ღ, ორი ლ ან ორი წ ერთი მათგანი სხვა ბგერად იქცევა. როგორც ქართული სალიტერატურო ენასა და ცოცხალ დიალექტებში, გარეკახურშიც ჩვეულებრივი მოვლენაა ღ-ს მიერ ღ ბგერის განმსგავსება.

დისიმილაცია პროგრესულია ან რეგრესული. მაგ., პროგრესული დისიმილაციის ნიმუშებია: ღ-ღ > ღ-ლ; არაფერი > არაფელი, ორჯერ > ორჯელ, გარგარი > გარგალი, გორგორა > გორგოლა, ტრიერი > ტრიელი, ბრიგადირი (//ბრიგადერი) > ბრიგადელი... ნ-წ > ნ-რ; ნამეტანი > ნამეტარი; ლ-ლ > ღ-ლ; ნაკლული > ნაკრული; შ-შ > ს-შ; შალაშინი > სალაშინი (გაშალაშინება > გასალაშინება).

მარცვლის დისიმილაციური დაკარგვის ანუ ჰაპლოლოგიის შედეგად მიღებულია სიტყვა ფეხშველა. ფეხშიშველი > ფეხშიველა > ფეხშველა („იმ ბიჭი ფეხშველა რო დადის, გაცივდება“).

გარეკახურში გვხვდება რეგრესული დისიმილაციის მაგალითებიც: წლეულს > წრეულს, მეწლეულე > მეწრეულე („ი საზაფხულო ვაშლი მეწრეულე გამამადა“).

დასტურდება ხმოვანთა დისიმილაციის მაგალითებიც. აა > ეა; ახლა > ეხლა (ახლანდელი > ეხლანდელი).

3. მეტათეზისი

გარეკახურ კილოკავში საკმაოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა მეტათეზისი ანუ ბგერათა გადასმა. ეს ფონეტიკური პროცესი ძირითადად სონორი თანხმოვნებისათვის არის დამახასიათებელი. მაგ.: აღვისსხე > ავლი(ს)ხე, დაიჟინებს > დაინიჟებს (ანიიჟებს, ინიჟებს, ანიჟება, ანიჟებული), მოსულიერება > მოსურიერება, სულიერი > სურიელი, მადლიერი > მადრიელი (მოიმაღლიერებს > მოიმადრიელებს), დათვალიერება > დათვარიერება (დაათვალიერებს > დაათვარიერებს), გაჯავრდება > გაჯვარდება (გაჯვარდება), მერმე > მემრე, (მერმის > მემრის), სკინტი > სკლინტი, რა წამსვე > რამწავე (ს-ს დაკარგვით)...

4. ბგერათა დაკარგვა

ბგერათა დაკარგვა სალიტერატურო ენაშიც ცნობილი ფონეტიკური მოვლენაა. ბგერა იკარგება როგორც სიტყვის ფუძის შიგნით, ისე თავსა და ბოლოში. უფრო ხშირია სონორი და ბაგისმიერი თანხმოვნების დაკარგვა.

გარეკახურში საკმაოდ ბევრია რ-ს დაკარგვის მაგალითი. რ ბგერა ჩვეულებრივ მაშინ იკარგება, როცა იგი მოქცეულია თანხმოვნებს შორის. რ-ს დაკარგვით ხშირ შემთხვევაში მარტივდება თანხმოვანთა რთული კომპლექსები და სიტყვა უფრო ადვილი წარმოსათქმელი ხდება:

ბრძ > ბძ; ბრძანება > ბძანება (ბრძანდება > ბძანდება)...
ბრძოლა > ბძოლა (იბრძვის > იბძვის)...

ზრდ > ზდ; ახალგაზრდა > ახალგაზდა, გამზრდელი > გამზდელი, ზრდილობა > ზდილობა, მომბეზრდა > მომბეზდა...

ფრთ > ფთ; ფრთხილი > ფთხილი, აფრთხობს > აფთხობს, საფრთხობელა > საფთხობელა...

ბრტყ > ბტყ; ბრტყელი > ბტყელი > პტყელი
(ასიმილაციით); ბრტყენა > ბტყენა > პტყენა (ასიმილაციით);
სიბრტყე > სიბტყე > სიპტყე (ასიმილაციით).

ბრწყ > ბწყ; ბრწყინავს > ბწყინავს > პწყინავს
(ასიმილაციით).

გრძ > გძ: გრძელი > გძელი, სიგრძე > სიგძე; გრძელჭალა
> გძელჭალა, გრძელმინდორი > გძელმინდორი (ტოპონიმებია).

ნმრთ > ნმთ; ჯანმრთელი > ჯანმთელი.

რსკვ > სკვ; მარსკვლავი (← ვარსკვლავი) > მასკვლავი,

რცხვ > ცხვ; ს-რცხვენია > ს-ცხვენია,

ზ-ს დაკარგვის შემთხვევები: ზრდ > რდ; გამზრდელი >
გამრდელი, იზრდება > ირდება („ედ ბიჭი ირდება და ვირდება“),
გაზრდა > გარდა („გარდა და გაზარდა ჩემ შვილფუს“).

ლ-ს დაკარგვა. ლ იკარგება როგორც ფუძის შიგნით, ისე
ფუძის ბოლოში: სახლში > სახში, ხელმწიფე > ხემწიფე; სულ >
სუ, სულმთლად > სუმთლად, გრდემლი > გრდემი.

მ-ს დაკარგვა. მ ბგერა იკარგება სიტყვის თავშიც, ფუძის
შიგნითაც და ფუძის ბოლოშიც. დაკარგვა ხდება როგორც
არსებითსა და ზედსართავ სახელებში, ისე ფორმაუცვლელ
სიტყვებში, აგრეთვე მიმღეობებსა და წარმოქმნილ სახელებში.

მ იკარგება არსებით სახელებში: მკათათვე > კათათვე,
მკლავი > კლავი; ზედსართავ სახელებში: მთელი > თელი,
მრგვალი > რგვალი, პირმრგვალი > პირგვალი; მიმღეობაში:
მკვდარი > კვდარი; ზმნიზელებში: მთლად > თლად, მთლიანად >
თლიანად, ამიტომ > ამიტო, იმიტომ > იმიტო, მაგიტომ >
მაგიტო; კავშირებში: რომ > რო, თორემ > თორე, იმიტომ რომ >
იმიტო რო, ამიტომ რომ > ამიტო რო; ნაწილაკებში: ხომ > ხო,
მხოლოდ > ხოლოდ.

ნ-ს დაკარგვა: ჯანმრთელი > ჯამრთელი, ავანტყოფი >
ავატყოფი.

გარეკახურ კილოკავში არა მარტო სონორი ბგერების
დაკარგვის შემთხვევები გვაქვს, არამედ სხვა თანხმოვნების
(როგორც ყრუ, ისე მჟღერი ბგერების) დაკარგვის ფაქტებიც
დასტურდება.

ღ ბგერის დაკარგვა: ფუძისეული ღ იკარგება ამბობს“ ზმნის ყველა პირის ფორმაში: ვამობ, ამობ, ამობს, ვამობთ, ამობთ, ამობენ; ასეთივე ვითარება გვაქვს უწყვეტელსა და აწყყოს კავშირებითში: ვამობდი... ვამობდეს, „ბაბ, რას ამოფ, შე კაი კაცო, მაგად ვინ დაიჯერეფს?“ „განა ისეთ რად ვამობდი, ეგე რო მოგედო გულზე?“.

მიბჟუის > მიჟუის: „თელი დღე ყურებში მიჟუის“. ბჟუილი > ჟუილი: „ამ რადიოდ მარტო ჟუილი გაუდის“.

დ-ს დაკარგვა. დ ბგერა იკარგება ერთ კომპოზიტიში: დედაჩემი > დეეჩემი: „ბაბო, სად წავიდა დეეჩემი?“ როგორც ჩანს ამ შედგენელ სიტყვაში ჯერ დ ბგერა ამოვარდა ფუძიდან, შემდეგ მოხდა კონტაქტური ასიმილაცია, ვა > ეე: დედაჩემი > დეეაჩემი > დეეჩემი.

შეიძლება გვევარაუდა, რომ „უნა“ სიტყვიდანაც, რომელიც ასე ხშირად ისმის გარეკახურ მეტყველებაში დ ბგერა დაკარგული: უნდა > უნა, მაგრამ აქ სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე. როგორც ცნობილია „უნა“ „უნდას“ გამარტივებით კი არ არის მიღებული, არამედ ძველ ქართულში ორი სხვადასხვა მწკრივის ფორმა იყო: უნა – აწყყოსი, უნდა – უწყვეტლის. ეს ორივე ფორმა ახლა ნაწილაკის ფუნქციით იხმარება და ახლავს ძირითადი ზმნის პირიან ფორმებს, როგორც მხოლოდით ისე მრავლობით რიცხვებში: უნდა (უნა) ავაშენო, უნდა (უნა) ააშენო, უნდა (უნა) ააშენოს, უნდა (უნა) ავაშენოთ, უნდა (უნა) ააშენოთ, უნდა (უნა) ააშენონ... და მკვეთრად უპირისპირდება „მინდა“ ზმნის ფორმებს, მეშველი ზმნის ფუნქციით რომ იხმარება: მინდა ავაშენო, გინდა ააშენო, უნდა ააშენოს... უნდა (უნა) ავაშენო-ში აუცილებლობა გამოხატული, „მინდა ავაშენო-ში“ კი – სურვილი, შესაძლებლობა. თანაც უნდა (უნა) ნაწილაკიან ფორმებს ბრუნვა-ცვალებადი სუბიექტი შეეწყობა: კაცი უნდა (უნა) აშენებდეს... კაცმა უნდა (უნა) ააშენოს... კაცს უნდა (უნა) აეშენებინა... მინდა ვაშენებდეს-ს“ კი – ბრუნვა უცვლელი: კაცს უნდა (რომ) აშენებდეს, კაცს უნდა (რომ) ააშენოს, კაცს უნდოდა (რომ) აეშენებინა.

გარეკახურში „უნა“ კიდევ უფრო გამარტივებულია, ჩამოშორებული აქვს ბოლოკიდური ხმოვანი: უნა > უნ და საბოლოოდ

ნაწილაკადაა ქცეული: უნ წავიდე, უნ გავაკეთო, უნ წავიკითხო. „ღროზე ჩაიცვი, ტყეში უნ წავიდე“.

ვ-ს დაკარგვა. ცნობილია, რომ ვ-ბგერა ზმნის პირიან ფორმებში უ ხმოვნის წინ იკარგება: ვუთხარი > უთხარი, ვუწერ > უწერ, ვუშენებ > უშენებ... ასეთი ფორმები არა მარტო ზეპირ მეტყველებაში გვხვდება, სამწერლობო ენაშიც ხშირად დასტურდება.

გარეკახურში ვ ბგერის დაკარგვის სხვა შემთხვევებიც გვაქვს. ვ იკარგება ზმნის კაუზატივიან ფორმებში. შუალობითი კონტაქტის მაწარმოებელ ევინ-ის ნაცვლად ჩვეულებრივ ეინ გვხვდება: ვათქმევინე > ვათქმეინე (ათქმეინე, ათქმეინა, ვათქმეინეთ...), დავაბმეინე > დავაბმეინე, დავათვლევინე > დავათვლევინე, დავაჭრევინე > დავაჭრეინე...

ვ დაკარგულია „მაქვს“ ზმნის თითქმის ყველა პირის ფორმაში: მაქ, გაქ, აქ, გვაქ, გაქ(ვ)თ, აქ(ვ)თ. „მიდი, ერთი ნახე, რა აქ(ვ)თ ჩვენზე მეტი გაკეთებული“.

ვ იკარგება სიტყვის ფუძის შუაშიც: მოვიდეს > მოიდეს, ამოუვა > ამოუა, ნავი > ნავური > ნაური (გორებში ჩადაბლებული ადგილი), თავმკვდარი > თამკვდარი. „სად არი აქამდე ი თამკვდარი, ისა?“

ღვე და ღვა ბგერათა კომპლექსებიდან ამოვარდება ვ და ასიმილაციის შედეგად მიიღება უე, უა კომპლექსები: აახლოვებს > აახლუებს, ამოვებს > ამუებს, ათხოვებს > ათხუებს... ნაკალოვარი > ნაკალუარი, ნაორმოვალი > ნაორმუალი.

ღ-ანის დაკარგვა. ღ-ანს მრავალი ფუნქცია აქვს. სახელებში ღ-ანი შეიძლება იყოს მიც. ბრ. ნიშანი: კაც-ღ, სახლ-ღ, დედა-ღ..., ნათ. ბრუნვის ნიშნის ელემენტი: კაც-ღ, სახლ-ღ, დედა-ღ..., ზმინის მეორე სუბიექტური და მესამე ირიბ ობიექტური პირის ნიშანი: ღ-წერ (შენ დავალებას), მო-ღ-ტეხა (მან მას ის). ასეთი ფუნქციით გამოყენებული ღ-ანი გარეკახურში ზოგჯერ სულ იკარგება, ზოგჯერ მ-ში გადადის.

სახელის მიც. ბრუნვის ფორმა თუ ლოკატივის მნიშვნელობით იხმარება, ღ-ანი ჩვეულებრივ იკარგება: „ხვალ ღულავ მივდივართ“. „გიჟი ქალაქ მიდიოდა, რა მიმქონდა, რა მომქონდა“.

ს-ანი იკარგება რთულ (შედგენილ) ზმნიზღებში: ცოტახან, დიდხან, ამდენხან... „ამდენხან სად იყავით?“.

ს-ანი ჩვეულებრივ იკარგება თანა კომპონენტის კომპოზიტებში: ჩემითანა, შენითანა, იმითანა, თქვენითანა... „მაგითანა უქმური კაცი მეორე არ იქნება ჩვენ სოფელში“.

ს-ანი დაკარგულია ზოგიერთი ინვერსიული ზმნის ფორმაში: მყავ-ს > მყავ, მაქვ-ს > მაქ, მძინავ-ს > მძინამ, მოვიდავ > მოვიდამ...

ნათ. ბრუნვის ნიშნისეული ს ელემენტი ეკარგებათ პრეპოზიციულ მსაზღვრელ სახელებს: ყველის დედა > ყველიდედა, გუთნის დედა > გუთნიდედა, სოფლის ბოლო > სოფლიბოლო, კლდის ძირი > კლდიძირი... ს-ანის დაკარგვა ჩვეულებრივია მსაზღვრელ-საზღვრულიან ტოპონიმებში: ალიქედი, ფარცხიწყვრი, საკირიხევი, მუხიწყალი, ნავიწყალი, ირმი(ს)წყარო, მოლოზ-ნიყელი...

თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით მეორე საობიექტური პირის ნიშანი ჰ, ს- — აღარ არის საჭირო ზმნის ფორმებში: გალობ (ჰ-გალობ), ჰრი (ს-ჰრი)...

გარეკახურ მეტყველებაში აღნიშნული ბგერების ნაცვლად მ (იოტა) ისმის: მ-გალობ, მ-ჰრი, მ-თლი, მ-ყრი, მ-ხატამ, მ-კითხულოფ...

ასეთივე ვითარება გვაქვს, როცა ს-ანი, ჰ-აე მესამე ირიბი ობიექტური პირის ნიშანია: მი-ს-წერა > მი-მ-წერა, მი-ს-ცა > მი-მ-ცა, მო-ს-ტაცა > მო-მ-ტაცა, ჰ-კითხა > მ-კითხა...

ს-ანი იკარგება ჩვენებით ნაცვალსახელებში: მე, ის, ეს კაცი (> ემ კაცი > ე კაცი), ის ბიჭი (> იმ ბიჭი > ი ბიჭი), „სად წავიდა ე კაცი, არ იცი?“ „ი ბიჭი სუ დამეკარგა“.

ზმნიზღებში: ძირს > ძირ („ძირ ნუ დაგდეფ!“) შორს > შორ („შორ არ წახვიდეთ“); ნაწილაკებში: თითქოს > თითქომ > თითქო, თითქმის > თითქმიდ > თითქმი, რამის (< ლამის) > რამიდ > რამი... „ისე მემღურება თითქო(მ) მე ვტყუოდე“.

ს-ანი იკარგება I თურმეობითის ფორმაში ჰ და ჰ თემისნიშნის ზმნებთან: მომიკრავ, მოვიკრავ, მოუკრავ... „მეზობლითონ თვალი ზო არ მოვიკრამ?“ „ემ ხო ეგე მოკლეთ რათ დაგებამ?“

გარეკახურში საკმაოდ არის ისეთი მაგალითებიც, სადაც სიტყვის ფუძეში ქ-ანს ღ (იოტა) ენაცვლება: ჩუსტი > ჩუძტი, მესტი > მეძტი, ფრასტი > ფრადტი, ბოსტანი > ბოდტანი, გასწორდა > გაძწორდა... „ძროხა ბოდტანში გადასულიყო და მწვანელი სუ გაეძუა“.

გარეკახურ კილოკავში დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ნათ. ბრუნვის ნიშანი – ღ მთლიანად მოკვეცილია კომპოზიტი: მაგ., ჩიტპურა, რომელიც ასეა მიღებული: ჩიტის პური > ჩიტის პურა > ჩიტპურა > ჩიტპურა ასეთი ვითარება ტოპონიმიაშიც შეინიშნება: ბეჟანბალი < ბეჟანის ბალი (ნასოფლარია გურჯაანის რაიონში, კაჭრეთის მახლობლად), ალიქედვენახები < ალიქელის ვენახები, ტოლაურტბა < ტოლაურის ტბა (ორივე ტოპონიმი მარტყოფის ტერიტორიაზეა).

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა სიტყვაში არა თუ ერთი ბგერა, მთელი მარცვალა დაკარგული, მაგ., ცდ მარცვალი დაკარგულია სიტყვაში „რავი“, რომელიც ორი სიტყვის შერწყმის შედეგად არის მიღებული: რა ვიცი > რავიცი > რავი. „რავი სად წავიდა, მე ხო არა ვარ მაგიდ ყარაული“. „რავი-ს“ ანალოგიით გარეკახურში ზოგჯერ „არვისაც“ გაიგონებთ. თუმცა ეს უფრო ინდივიდუალურია: „ამ ბიჭ არვი რაღა გაუკეთო, რო სწავლამ თავი არ დაანებო“.

შ-ინი ბგერა ქ-ანად რომ იქცევა და შემდეგ იოტაში გადადის, ამისი მაგალითები საენათმეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია:

ტაშტი > ტასტი > ტადტი, მუშტი > მუსტი > მუძტი, მუშტარი > მუსტარი > მუძტარი... ზოგიერთ სიტყვაში ბოლოს ეს იოტაც იკარგება: მაშ > მას > მად > მა. „მა რა გეგონა შენა, ვერ მოვერეოდი?“

გარეკახურში საკმაოდ რაოდენობით დასტურდება სიტყვები, სადაც ბოლოკიდური ც ბგერის ნაცვლად ღ (იოტა) ისმის: ისედაც > ისეღად, რასაც > რასად, სხვასაც > სხვასად, ოლომდაც > ოლომღად, ამასაც > ამასად, სადაც > საღად... „საღად შენი დაიკეხო, იქამ ჩემი თქვიო“.

ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ თუ სიტყვაში ც ნაწილაკი ჯ ხმოვანს მოსდევს, იგი ყოველთვის ღ-ში გადადის: ძროხაც > ძროხად, ძროხამაც > ძროხამად, ძროხასაც >

ძროხისად... „შენ ოღონდამ პატივი დაძღე და მესტუმრე და ცხვარსად დაგიკლამ და ქათამსად ზედ წაეყოლეფ“.

ღ ბერის დაკარგვა. რამდენიმე სიტყვაში შეინიშნება ღ-ს დაკარგვის ფაქტი: ზღმარტლი > ზმარტლი, ღრღნა > ღრნა (ღრღნის > ღრნის); „ხბომ მძვალი ჩაეღო პირში და მღრნიდა“.

გარეკახურში სახელის ფუძიდან χ ხმოვანის დაკარგვის შემთხვევაც დასტურდება. ზედსართავი სახელი „პატარა“, როცა იგი მსაზღვრელად არის გამოყენებული ფუძის შიგნითა (შუა) ხმოვანს კარგავს: პატრა ბიჭი, პატრა გოგო, პატრა სოფელი... მაგრამ ეს სიტყვა წინადადებაში თუ სხვა ფუნქციით გვხვდება, ყველა ხმოვანი შენარჩუნებულია. შღრ.: „პატრა (განსაზღვ.) ბიჭმა მოგვიტანა წყალი“, „პატარამ (ქვემდებარე) მოგვიტანა წყალი“, „პატარა (დამატ.) წამოიყვანე, დიდი შინ დატოვე“.

ტოპონიმიში ეს სიტყვა ჩვეულებრივ ხმოვანდაკარგულია: პატრალელე, პატრატყე, პატრავაკე, პატრაკოდა, პატრაკლდე, პატრაოლე... ამ ტიპის ტოპონიმები თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება გარეკახეთის (და არა მარტო აქ) ტერიტორიაზე. აქვე დავსძენთ, რომ სოფლის ოფიციალური სახელწოდება „პატარა ლილო“ ადგილობრივ „პატრა ლილოდ“ გამოითქმის.

ჰ ბერის დაკარგვა. ჰ-ს დაკარგვის ფაქტი გარეკახურ მეტყველებაში ერთ სიტყვაში დასტურდება: ჰაიჰარა > ჰაიარა. „ცოტა კიდევ მოიცადეთ, რა ჰაიარა მიმდინხართ?“

ჯ ბგერათა კომპლექსი რომ ღ-ს გვაძღვეს, ეს ცნობილი ფაქტია და ამას გარეკახურშიც უამრავი მაგალითი ადასტურებს: გვალვა > გოლვა, ცოდვა > ცოდო, სვავი > სოვი, ხვავი > ხოვი, ჭვავი > ჭოვი, ზვავი > ზოვი, ჩააცვა > ჩააცო, წაუსვა > წაუსო, სვამს > სომს, უთქვამს > უთქომს... „დედამ ბავშვ ტანსაცმელი ჩააცო და სკოლაში გაუშო“. „ამდენ ღვინომ რო მსომ, სოვი ხო არა ხარ?“

ჟ ხმოვანზე დაბოლოებული ერთმარცვლიანი სიტყვები: ბჟ, ბლუ, კჟ, რჟ, ყრჟ, ცრჟ... გარეკახურში ორმარცვლიანებია: ბჟვი, ბლუვი, კჟვი, რჟვი, ყრჟვი, ცრჟვი... „რას ამოფს ემ ბლუვი, კჟვი დავიჭირეთო თუ ბჟვი?“

ცნობილი ფაქტია, რომ ბ, გ, ღ ბგერები სიტყვის ბოლოში ყრუვლებიან: ვაკუთბ > ვაკეთეფ, ავლეგ > ავლექ... თუმცა

მასდარში მჟღერი ბგერები ისევ აღდგება: კუთუბა აღვლმა... ზეპირ მეტყველებაში ვით. ბრუნვის ნიშნის დ-ს ნაცვლად თ ისმის: კარგად > კარგათ, მაგრად > მაგრათ, თურად > თურათ... გარეკახურში ეს პროცესი ისე შორსაა წასული, თ-ს ხმოვანიც რომ მოსდევდეს, დ მაინც აღარ აღდგება: კარგათ > კარგათაც, მაგრათ > მაგრათაც. „ერთი მაგრათაც მივბეგვე და ისე გაუშვი“.

5. ბგერათა განვითარება

გარეკახურში ბგერათა დაკარგვის ნაცვლად ხშირად საპირისპირო ფაქტებიც გვაქვს. თანაც გარკვეულ პირობებში ვითარდება ის ბგერები (ძირითადად სონორები), რომლებიც, როგორც მაგალითებიდან დავინახეთ, ხშირ შემთხვევაში იკარგება.

რ-ს განვითარება. რ ბგერა საკმაოდ ბევრ სიტყვაშია განვითარებული: ჭალი > რჭალი, საფუთქელი > საფურთქელი, ფთილა > ფრთილა, ჩიხითმა > ჩიხირთმა, სიმი > სირმა, მანული > მარნული (ტირიფის ერთ-ერთი სახეობაა), სუტავს > სრუტავს, ფუტკნის > ფურტკნის, ხნოლავს > ხრნოლავს, ყოყინებს > ყროყინებს... (რ ბგერის განვითარებამ სიტყვას შინაარსიც კი შეუცვალა. „ყოყინი“ კამეჩის ხმიანობას ჰქვია, „ყროყინი“ – ვირისა).

მ-ს განვითარება. მ ბგერის განვითარება შეინიშნება სხვადასხვა ბგერათა მეზობლობაში, როგორც სიტყვის თავში, ისე – შუაში: ძვალი > მძვალი, ჭვალი > მჭვალი, ჭლე > მჭლე, ზვარა > მზვარა, ზაპა > მაპა, კობალი > მკობალი, მახობელა > მამახობელა, იხნევს > იმხნევს, წკენტავს > მწკენტავს... „პაპარეში მჭვლები დაადგემ, რასა მჭორამს, რომ ჭორამს“. „ცოტა მსუქანი ხორცი ამიწონე, ეგ მჭვლე ვის რათ უნდა?!“.

ღ-არის განვითარება. ღ განვითარებულია სიტყვებში: ღინცღინცი (< ლიცღიცცი), ღინცღინცებს (< ლიცღიცებს), სრინკა (< სრიკა), ჰამინღორი (< ჰამიღორი), მენღალი (< მელალი), ღანცალა // ღანცა (< ღაცა)... „ბოცა გამიღინცღინცა ღვინით და ისე გამამატანა“. „სად არი აქნამდე, ი მენღალძალღი, ისა“.

გარეკახურში დასტურდება ზმნიზელები: აქნამღე, იქნამღე და მათგან ნაწარმოები: აქნობამღე, იქნობამღე, აქნობამღინ, აქნობამღისინ, იქნობამღინ, იქნობამღისინ... რომლებშიც ღ-არი განვითარებული ჩანს: აქამღე > აქნამღე, იქამღე > იქნამღე, თუმცა იგი ძველი ღა სუფიქსის გადმონაშთი უფრო უნდა იყოს. შდრ.: „შენმა მზემან, აქანამღის შენ ცოცხალი არ მეგონე“ („ვეფხისტყაოსანი“).

ვ-ინის განვითარება. სალიტერატურო ქართულში ვ-ინის განვითარება ბევრ სიტყვაში დასტურდება: ტყე > მეტყვევ, რძე > მერძევე, სარძევე... იგივე ფორმები ჩვეულებრივია გარეკახური მეტყველებისათვის. გარდა ამისა გვაქვს სხვა შემთხვევებიც: ჩხიმალი > ჩხვიმალი, ყიტიყიტი > ყვიტიყიტი.

ლ-ასის განვითარება. გარეკახურში საკმაოდ ბევრ სიტყვაში დასტურდება ლ ბგერის განვითარება. ასეთი ვითარება უფრო ხშირად ზმნებში (აგრეთვე საწყისსა და მიმლეობაში) გვაქვს: აჩხლაკუნებს < აჩხაკუნებს, გაიწლუმძება < გაიწუმძება, დააჭყლაპუნებს < დააჭყაკუნებს, დათხლაანის < დათხაანის, მწლაკე < მწაკე, წლუმძე < წუმძე, ჭყლოპი < ჭყოპი, წუკლა < წუკა, ჩლიფჩლიფი < ჩიფჩიფი, (ჩლიფუა, ჩლიფინა მეტსახელებია კაცისა). „ემ ბავში რო ესე ჩლიფჩლიფეფს, ექიმ რატო არ აჩვენეფთ?“

ს-ანის განვითარება. ს განვითარებულია სიტყვებში: სკუნელი < კუნელი, სმურკლი < მურკლი, სტაქანი < ტაქანი (ნასესხებია სპარსულიდან). როგორც ჩანს, ქართულიდან უნდა იყოს შესული რუსულში: სტაქანი > стакан.

ცალკეულ შემთხვევებს უნდა მიეწეროს ხ, ფ, ღ, კ ბგერების განვითარება სიტყვებში: ფშლეკავს > ფშხლეკავს, ფაცაფუსი > ფაცხაფუსი... შერია > ფშერია, შხრიალი > ფშხრიალი, შარობის ლილო (ისტორიული ტოპონიმი) > ფშავრობი (იგივე პატარა ლილო)... ფუვილი > ფლუვილი, პლურწავს > პლურწაკავს.

6. სრულბმოვნობა

საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მესხურ დიალექტში, ჯავახურსა და აჭარულში სიტყვათა ფუძეში

თანხმოვანთა თავმოყრისას თავს იჩენს ერთგვარი ფონეტიკური მოვლენა – სრულხმოვნობა. ასეთივე ვითარება დასტურდება გარეკახურშიც: ჩრდილი > ჩირდილი (უჩრდილებს > უჩირდილებს). ასეთი სრულხმოვანი ფორმები ტოპონომიაშიც გვაქვს: ჩირდილიწყარო, ჩირდილები (ტყე, საქონლის საყარი) – მარტყოფის ტერიტორიაზეა, ჩირდილისუბანი – ნორიოში, ჩირდილები (ტყე) – საცხენისში.

ჩრჩილი > ჩირჩილი, ბრმა > ბრიმა (ხშირად გვხვდება ხარის სახელად და კაცის მეტსახელად).

აქვე დავსძენთ, რომ გარეკახურში შეინიშნება კიდევ ერთი მეტად საინტერესო ფონეტიკური მოვლენა. ორიოდე სიტყვაში ვ-ს ნაცვლად გვაქვს ხმოვანი უ: წარღვნა > წარღვნა, წვრთნა > წვრთნა (გასხვლად). „ისე ჩამაიქცა ემ ცა, გეგონებათ, ქვეყანამ წარღვნით ეშუქრებაო“. „პაპა დილიდანვე გავიდა და ვაშლებსა მწურთნის“.

7. სუბსტიტუცია

სუბსტიტუციის ანუ ბგერათშენაცვლების არაერთი მაგალითი დასტურდება გარეკახურ კილოკავში.

ხმოვანთა მონაცვლეობით მიღებული მაგალითებია:

ა/ო: ამდენი/ამდონი, იმდენი/იმდონი, რამდენი/რამდონი.

ო/უ: ოჯაქორი/ოჯაქური (ოჯახქორი/ოჯახქური)

ა/უ: ღოღნაშო/ღოღნუშო

ე/ა: ჩალახეში/ჩალახაში

უ/ი: ჩუტყვავილა/ჩიტყვავილა

თანხმოვანთა მონაცვლეობის შედეგად მიღებული მაგალითებია:

მ/ბ: ამძუნდება/აბძუნდება

ბ/მ: კბენა/კმენა, კბეჩა/კმენჩა

ბ/ვ: ეუბნება/ეუბნევა

ვ/ბ: მზითევი/მზითები

ზ/ს: ხვლეპუზა/ხვლეპუსა

ს/ზ: სოკო/ზოკო, პაპიროსი/პაპიროზი, ისმუნება/ისმუნება

ვ/მ: ახსოვნ/ახსომს, ვითომ/მითომ, საესე/სამსე, ვარსკე-
 ლავი/მასკელავი (< მარსკელავი)
ვ/ნ: კიდევ/კიდენ, ოვსილ/ონსილა
ლ/რ: ლამის/რამის
რ/ლ: ჯარჯი/ჯალჯი
ლ/ნ: ლეჟერი/ნეჟერი, ლიტრა/ნიტრა, ჩილჩაოტი/ჩინჩაოტი,
 ებურძგლება/ებურძგნება
ნ/ლ: სუნი/სული, ჭიაკოკონა/ჭიაკოკოლა
მ/ნ: მარიამობა/მარიანობა, სამება/სანება
ნ/მ: რახან/რახამ, ინარჩუნებს/ინარჩუმებს, ოლონდაც/ოლომდაც
ზ/მ: აზრება/აძრება, სიზმარი/სიმმარი, ზონზროხა/ძონძროხა,
 იმზელევა/იმძელევა, მოდღლეზილი/მოდღლევილი
ძ/ზ: ნაფუძარი/ნაფუზარი
ს/შ: სტვირი/შტვირი, უსტვენს/უშტვენს, გასინჯვა/გაშინჯვა
შ/ს: შალაშინი/სალაშინი, შტერი/სტერი, მუშტი/მუსტი,
 მუშტარი/მუსტარი
ბ/გ: ბირჟა/ბირჯა
ჩ/ხ: ჩინაყვი/ჩინახვი
ჩ/ხ: ეუკუზნაქი/ეუკუზნახი
ვ/რ: მავთული/მართული
ბ/წ: ბუწკა/პუწკა, წაბილწვა/წაპილწვა
ბ/ფ: ბუიტი/ფუიტი
ქ/ტ: ფიჟმაკი/ფიჟმატი
დ/ტ: ღრიზინა/ტრიზინა
ქ/წ: კინალამ/წინალამ
წ/ჭ: წრელახტი/ჭრელახტი, წაწანებს/ჭაჭანებს
ჭ/ჯ: ბიჭოს/ბიჯოს!, მაჭანკალი/მარჯაკალი
ჩ/ც: ჩქიფა/ცქიფა
ტ/ჭ: ყრანტი/ყრანჭი
ქ/ყ: კინწი/ყინწი, კინწოლა/ყინწოლა
ქ/ქ: წაკა/წაქა

მორფოლოგიური ანალიზი

1. ბრუნვათა წარმოება

გარეკახურში ბრუნვათა წარმოება ისეთივეა, როგორც სალიტერატურო ქართულში. განსხვავება მხოლოდ მიც. და ნათ. ბრუნვებში შეიმჩნევა. მიც. ბრ. ნიშანი — **ჲ** და ნათ. ბრ. ნიშნის თანხმომავანი ელემენტი **ჲ** აქ უფრო ხშირად იკარგება ან **ჲ** (იოტა) სცვლის მას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიც. ბრუნვაში თანხმომავანფუძიან და ხმომავანფუძიან სახელებს განსხვავებული დაბოლოება აქვთ. თანხმომავანფუძიანი სახელები ბრ. ნიშან **ჲ**-ს კარგავენ, ხმომავანფუძიანებს კი — **ჲ**-ს ნაცვლად **ჲ** (იოტა) აქვთ. მაგ.: „კაც ვეძეფ“, „ბავშვ წავიყვან“, „დედა ვეძახი“, „პაპა მივესალმე“. თუ თანხმომავანზე დაბოლოებულ სახელებს მიც. ბრუნვაში სავერცობი **ჲ** ახლავს, — **ჲ** აღარ ჩამოშორდება: „კაცსა ვკითხე“, „ბავშვსა დცემენ“. თუმცა ასეთ შემთხვევებშიც ბრუნვის ნიშანი ჩამოშორდება სახელებს და სავერცობი პირდაპირ ერთვის ფუძეს: „კაცა ვკითხე“, „ბავშვა დცემენ“.

აქ კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი იჩენს თავს. მიც. ბრუნვაში მყოფ სახელს თუ ისეთი სიტყვა მოსდევს, რომელიც ხმომავანით იწყება, ბრ. ნიშანი — **ჲ** ხშირ შემთხვევაში შენარჩუნებულია: „რახ აკეთეფ“, „თვალეფს არ უჯერეფ“...

ნათ. ბრუნვაში დასმულ მსაზღვრელ სახელს ბრუნვის ნიშნისეული ელემენტი **ჲ** ჩამოშორებული აქვს: „ეკლესია სოფლი თავში აუშენებიათ“, „მინდვრი ბოლომ ერთი დიდი მუხა დგა“. ასეთივე ვითარება გვაქვს ხმომავანფუძიან სახელებთან: „ბალახი ტყე პირად გავთიბე“, „მთი ძირად ვაძუებდი საქონელ“.

ფუძეუკუმშველ და ფუძეუკვეცველ სახელებს ასეთ ვითარებაში ნათ. ბრუნვის თანხმომავანი ელემენტის **ჲ**-ს ნაცვლად **ჲ** (იოტა) აქვს. „ემ ბიჭი ცლოდი მოსაყვანათ ემზადება“, „წყარო მოსაძებნათ წავედით“.

არსებითი ნათ. ბრუნვის ფორმით ხშირად გამოიყენება ტოპონიმთა საწარმოებლად. ასეთ შემთხვევაში მსაზღვრელ სახელს ნათ. ბრ. ნიშანი გამარტივებული აქვს, ე.ი. — **ი**

დაბოლოებას ჩამოშორებული აქვს თანხმობანი ელემენტი ჰ:
ალიქელი, ვეძიხვეი, საკირიხვეი, საცხენიხვეი, მიჯნილელე,
პანტიმიწა... ორსიტყვიანი ტოპონიმის მეორე შემადგენელი ნაწილი
თუ თანხმონით, (განსაკუთრებით კი – ყრუ თანხმონით) იწყება,
ნათ. ბრუნვის ნიშნისეული ელემენტი ჰ, როგორც წესი, მოკვე-
ცილია: კორკოტასერი, კვრაცხოვლისერი, ტინისერი, არწივი-
წყალი, კოდიწყალი, კუვიწყალი, წიფლიწყარო... ნავთილელე,
ბუვილელე, კოლიდაბალი, კოდივედა...

თუ ტოპონიმის მეორე შემადგენელი ნაწილი ხმოვნით იწყება,
ნათ. ბრუნვის ნიშნისეული ჰ შენარჩუნებულია: ხელისაღმართი,
ჩაჩუასუბანი, ციხისუბანი, სოფლისუბანი, ზაქარასოლე...

ტოპონიმის პირველი შემადგენელი ნაწილი თუ ხმოვანზე
მთავრდება, ნათ. ბრუნვის ნიშნისეული ჰ მ-ში გადადის და
ზოგჯერ სულ იკარგება: სვიმანაწყალი, ჩუმაწყალი, ჭიკაძ-
წყალი, ალიხანაძისერი... ზაზილაგორა // ზაზილაგორა, მალაღა-
ღელე // მარალაღელე...

ცნობილია, რომ მიცემითი და ვითარებითი ბრუნვები
ლოკატივის (ადგილობითი ბრუნვის) ფუნქციით გამოიყენება:
„ქალაქს, ქალაქად“ (= ქალაქში). „ქალაქს წაიღა“, „ქალაქად
დასახლდა“. გარეკახურში ფუძეთანხმონიანი სახელების მიც.
ბრუნვის ფორმას, რომელიც ლოკატივის ფუნქციით არის
გამოყენებული, ბრუნვის ნიშანი – ჰ ხშირად ჩამოშორებული აქვს:
„მელავ უნდა წაიღე, ხო არაფერ დამაბარეფ?“, „გიჟი ქალაქ
მიდიოდა, რა მიეჭონდა, რა მოეჭონდა“ (ანდაზა).

სახელი თუ ხმოვანფუძიანია, მაშინ ჰ-ს ნაცვლად მ (იოტა)
ექნება: „ჩემი მეგობარი საგარეჯომ დასახლდა“.

2. რედუქცია

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ „ცოცხალ
კილოებში რედუქცია უფრო ცხოველია აღმოსავლურ ჯგუფში...“
(ა. შანიძე). ამ მხრივ კახური, კერძოდ გარეკახური კილოკავი,
საინტერესო სურათს აჩვენებს. მართალია, ეს სურათი ყველა
სოფელში ერთნაირი არ არის, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ

ბერი სიტყვა ამ კილოკავში უფრო განიცდის კუმშვასა და კვეცას ვიდრე სხვა დიალექტებსა თუ სალიტერატურო ქართულში. მაგ., დიფერი > დიფრის (დიფრის ზეთი)... ე.წ. კუმშვად-კვეცადი სახელები აქ უფრო მეტია, ვიდრე ეს გრამატიკის სახელმძღვანელოდან არის ცნობილი: საწებულა > საწებლის, სანთებულა > სანთებლის, სადღვებულა > სადღვებლის, კრაზანა > კრაზნის (კრაზნის ბუდე). ასეთი მაგალითები ტოპონიმიაშიც დასტურდება: სახტომულა > სახტომლის, სახტომლი(ს) ველი, სახტომლიწყარო (მარტყოფი), ვედრებულა > ვედრებლის, ვედრებლი(ს)ტყე (მანავი).

3. ნაცვალსახელები

გარეკახურში ჰირის ნაცვალსახელები: მე, შენ, ჩვენ, თქვენ მენა, შენა, ჩვენა, თქვენა ფორმითაც იხმარება. ესეთი ფორმები მეტყველებაში უფრო მაშინ გამოიყენება, როცა წინადადების ბოლოშია მოქცეული: „აღდე ტყეში წახვალ შენა“, „ვენახში იმუშავეთ თქვენა?“, „ლოდინით ნუ დაგვალე ჩვენა“. „შენა“ უფრო ინდივიდუალურია და მოხუცთა მეტყველებაში შეინიშნება: „ისეთი რა უნა მითხრად მენა, რო არ ვიცოდე?“.

ნაცვალსახელები (განსაკუთრებით ჩვენებითი ნაცვალსახელები): ეს, ის ჩვეულებრივ თანხმოვანმოკვეცილი ფორმით გვხვდება: ე, ი ან ეს ელემენტის ნაცვლად ი (იოტა) ახლავს: ე (ედ); ი (იდ); აე (ედ) რად მიკეთეფს, ან ი (იდ) რაღად გამიკეთეფს. „ვისია ე (ედ) ლამაზი გოგო?“ „ი (იდ) ბიჭი უკვე წავიდა სკოლაში“. ამ ნაცვალსახელებს შეერწყმის ნაწილაკი აი და მიიღება ასეთი ფორმები: აი ეს > აეს, აი ის > აის, აი ეგ > აეგ, აეგ ბავში წაიყვანე ქალაქში, „აის ბიჭი ვინ არი?“, „აეგ ცხენი უნა მამყილო!“

ამ ე.წ. შედგენილ ნაცვალსახელებს: აეს, აის, აეგ აქვთ ყველა იმ ბრუნვის ფორმა, რაც ეს, ის, ეგ ნაცვალსახელებს: „აიმი კაცმა გიკითხა“, „აემ ვენახზე გეუბნებოდი“, „აემაგ სახში ცხოვროფს ჩემი ნათესავი“.

კუთვნილებითი ნაცვალსახელები „თავისი“ და „მისი“ მესამე პირის მიმართ იხმარება. გარეკახურში ამ ნაცვალსახელების ფუნქციები ერთმანეთში არ ირევა, მკვეთრად არის გარჩეული. „თავისი“ მოქმედების შემსრულებლის მიმართ გამოიყენება, „მისი“ – სხვა დანარჩენის. მაგ., „მასწავლებელმა დააავალა პეტრიაშვილს, ბიძაშვილი და თავისი დედა მოეყვანა სკოლაში“. „მასწავლებელმა დააავალა პეტრიაშვილს, ბიძაშვილი და მისი დედა მოეყვანა სკოლაში“. პირველი წინადადებით პეტრიაშვილმა თავისი დედა უნდა მოეყვანოს სკოლაში, მეორე წინადადებით კი – ბიძაშვილისა.

4. თანდებულები

გარეკახურში – თვის თანდებულის ნაცვლად ხშირად იხმარება – თვინ(ა) თანდებული: „ბევრი ვეცადე შენთვის, ძლივ გამოვიდა ჩემთვის“ (ანდაზა). „დეპუტატობა რო მწადიან, ნეტა ვიცოდე, სოფლითვინ რა გაუკეთებია?!“

კუნ თანდებულს ჩვეულებრივ ჩამოცილებული აქვს ნ ელემენტი: „საითკე გაგიწევიათ?“ „დროა უკვე შინისკე წავიდეთ“.

-ში, -ზე თანდებულიან არსებით სახელებს ლოკატივის ფუნქცია აქვთ. ოღონდ, უნდა აღინიშნოს, მათი გამოყენებისას ადგილობრივ მეტყველებაში ნიუანსური განსხვავება აშკარად შეიმჩნევა: -ზე თანდებულს მაშინ ხმარობენ, როცა ობიექტი, რომელზეც საუბრობენ, მაღლობზე მდებარეობს. მაშინ კი, თუ ობიექტი დაბლა, რაღაცაშია (მთებში, ხეობაში) მოქცეული, -ში თანდებულს იყენებენ: „ჩემი ერთი ამხანაგი ხაშმზე ცხოვროფს, მეორე კი – პატარმეულში“. როცა მოსაუბრე ამბობს: „ხაშმზე გრდანზე, ლილოზე, ფშავრობზე, ვაზიანზე... ნორიოში, მარტყოფში, საგარეჯოში, მანავში... მივდივარო“, მან იცის, კარგად იცნობს აქ ჩამოთვლილი ობიექტების ადგილ-მდებარეობას, ანდა ტრადიციულ (ტრაფარეტულ) გამოთქმას იყენებს. უცხო კაცი კი, ვინც ამ ობიექტებს არ იცნობს, ჩვეულებრივ იტყვოდა: „ლილოში, გრდანში, ხაშმში, ვაზიანში... მივდივარო“.

ეს ნიუანსური განსხვავება კიდევ უფრო ნათლად ჩანს შემდეგ წინადადებებში: „მეცხვარემ ცხვარი მთაში გარეკა“ (= მეცხვარემ

ცხვარი საზაფხულო იალაღებზე გარეკა), „მეცხვარემ ცხვარი გარეკა მთაზე“ (= მეცხვარემ ცხვარი რომელიღაც კონკრეტულ მთაზე გარეკა).

5. ზმნიზელები

გარეკახურში დასტურდება რამდენიმე ზმნიზედა, რომლებიც სხვა დიალექტებში ან სულ არ გვხვდება, ან იშვიათად იხმარება:

ემსააჩი (< ემ საათში) „ახლავე“: „აბა შენ იცი ემსააჩი ჩემთან ჩამოდი“. „მაგ საქმედ ემსააჩი მოვაგვარეუ“.

იმსააჩი (< იმ საათში) „მამინვე“: „გავიგე თუ არა, იმსააჩი იქ გავქანდი“. „ეტყვი და იმსააჩი გაგიკეთეუს“.

ამწინებზე იმწინებზე „ახლახან“, „რამდენიმე ხნის წინათ“: „ამწინებზე ექსკურსიაზე ვიყავით“. „იმწინებზე არ მეუბნეოდი, ეგე მალე რატო დაგავიწყდა?“

დატანებაზე „ამ დატანებაზე“, „იმ დატანებაზე“: „მამინ“, „ამ დროს“, „იმ დროს“: „იმ დატანებაზე მეც იქ ვიყავი“. „ამ დატანებაზე ცხვარიც ჩამორეკედ მთიდან“.

ხანდროს „ზოგჯერ“, „ხანდახან“: „ხანდროდ რა ჭირი შაუდგება ხოლმე“. „ხანდროდ ეგე იცის გაჯიუტება“.

კულავ „ძველად“, „ადრე“, „სხვა დროს“: „კულავ ეგრე არ მოქცეულა, ეხლა რა ეტაკა?“

6. ზმნა

გარეკახურში პირველი სუბიექტური პირის ნიშნის ხმარებისას არავითარი განსხვავება არ შეინიშნება სალიტერატურო ქართულთან. ერთი ეგ არის, რომ უ ხმოვნის წინ ვ ყოველთვის იკარგვის: უთხარ (მე), გაუკეთე (მე), დაუწერეთ (ჩვენ), აუშენეთ (ჩვენ)... სალიტერატურო ენის ნორმების უცოდინარი კაცი დაწერიოთაც ასე დაწერს. რაც შეეხება მეორე სუბიექტური და მესამე ირიბ ობიექტური პირის ნიშნებს: ჰ-, ლ-, ჩვეულებრივ მ (იოტა) ცვლის.

მეორე სუბ. პირის ნიშანი ჰ-, ლ- (მ-): „რო ავიღია თავი და დადღისარ, რამ დადღისარ, საქმე არა გაქ?“ „არ გირჩევნია, რო დასწვე (// დაძწვე) და დაიძინო?“ „შენ რაკი აძღექი და მიდღისარ, მე რალა გამაჩერეფს აქა.“ „მარტო შენ რომ ებარამ და ეთონნი, შვილებიც იშველიე“.

მესამე ირიბ ობიექტური პირის ნიშნები: ჰ-, ლ- ან მათი შემცვლელი მ- ყოველთვის წარმოდგენილია ზმნის ფორმაში:

მან მას ის მი-ს-ცა (// მი-მ-ცა), ჰ-კრა (// მ-კრა), მო-ს-წყვიტა (// მო-მ-წყვიტა), ჰ-კითხა (// მ-კითხრა) და ა.შ. „ედღამ შვილ სარუქარი მიმცა“, „ბავშმა ტოტი ჩამოდტეხა ქლიავ“, „ბაბამ რალაცა მკითხა ბიჭეფს“. „მოკრიემ ხელი მკრა მეტოქემ და ძირ ღამცა“.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ III პირდაპირ ობიექტურ პირს ნიშანი არ აქვს, გარეკახურში ამ პირსაც მოეპოვება ნიშნები და ეს ნიშნები გახლავთ იგივე ჰ-, ლ-, ან მათი შემცვლელი მ-: მ-ხატავს, მ-სვამს, მ-თხრის... „ეი ბიჭი თელი დღე ზის და მხატამს“, „ბაბო წიწილეფსა მთვლის“.

III სუბ. პირის ნიშანი -ლ ყოველთვის შენარჩუნებულია ზმნის ფორმაში: აკეთეფ-ლ (< აკეთებ-ლ), მხატამ-ლ (< ხატავს), აბამ-ლ, მთლი-ლ (< თლის)... მხატამ-ლ (< მხატავს), გხატამ-ლ (გხატავს), გვხატამ-ლ (გვხატავს)...

I თურმეობითში, სადაც ინვერსია ხდება, გარეკახურში პირის ნიშანი -ლ იკარგება: მე ის გამისხლამ (< გამისხლავ-ს), დამიბამ (< დამიბამ-ს), დამიხატამ (< დამიხატავ-ს), შემისვამ (< შემისვამ-ს), მომიხნამ (< მომიხნავ-ს).

თუმცა უნდა ითქვას, რომ გარეკახურში ასეთი ფორმები ახლა ნაკლებად იხმარება, ნაცვლად ამისა გვაქვს: გამისხლია, დამიბამა, დამიხატია, შემისვია, მომიტანია.

პრეფექსიან ვნებითებს, მსგავსად ძველი ქართულისა, მეორე სერიის მწკრივებში მრ. რიცხვის საწარმოებლად აქვთ ენ//ნ აფიქსი: დავიზარღენით, დავიზოცენით, დავიშაოცენით, დავიტანჯენით... დავიზარღნეთ, დავიზოცნეთ... „ამღენი მუშაობით დავიზოცენით“, „ძალიან დავიტანჯენით, მაგრამ თავი მაინც არ მივანებეთ“, „რომც დავიზოცნეთ, თავ მაინც არ დავენებეთ.“

7. თემა

გარეკახურში იგივე თემის ნიშნებია, რაც სალიტერატურო ქართულში, განსხვავდება მხოლოდ ის არის, რომ ავ თემის ნიშანს თითქმის ყველგან აქ თემის ნიშანი ცვლის: ვხატავ > ვხატამ. ვბარავ > ვბარამ. ვხაზავ > ვხაზამ. ვთიბავ > ვთიბამ და ა.შ. „იმ მინდორ ვინა დთიბამს?“ „ვბარამ და რამ დავთესამ, ჯერ არ ვიცი“.

ამ (< ავ) დაერთვის ე.წ. ფუძედრეკად ზმნებსაც: ვგრეხამ, ვდრეკამ, ვგლეჯამ, ვბრეცამ, ვწყვეტამ... „მოლუნვა მინდა მართულისა და ისეთი მაგარია, ვერა ვდრეკამ“, „რათა დგლეჯამ მაგ სიმინდუფს“, „ნახე, როგორა დბრეცამს ემ ბიჭი ჩუდტუფს“.

ზოგიერთ ზმნას დ-ს ნაცვლად ამ (< ავ) თემის ნიშანი აქვს: ფურტკნის (> დფურტკნამს), ფორტნის (> დფორტნამს), კეჭნის (დკეჭნამს), ფურჩნის (დფურჩნამს)... ამათგან ზოგიერთ ზმნას მიმღეობაც ორგვარად ეწარმოებათ: მოფურტკნილი // მოფურტკნული, გაფორტნილი // გაფორტნული, გაფურჩნილი // გაფურჩნული.

ფუძედრეკად და ავ თემისნიშნის ზმნებს, რომელთაც გარეკახურში აქ თემის ნიშანი დაერთვის, საწყისის წარმოებისას ავ თემის ნიშნისეული ვ თანხმოვანი გადაჰყვებათ და არა ე: ვთიბავ > ვთიბამ, მაგრამ: თიბვა, ვბარავ > ვბარამ > ბარვა, ვგრეხ > ვგრეხამ > გრეხვა, ვგლეჯ > ვგლეჯამ > გლეჯვა...

ზოგიერთ ზმნაში ებ თემის ნიშანს ღბ ცვლის: მოჩლარტუნებს // მოჩლარტუნობს, დაფლარტუნებს // დაფლარტუნობს, დაღონღილებს // დაღონღილობს... „ნეტა სად მიფლარტუნოფს ემ კაცი?“, „რალა როგორა ვარ, ძლივლა დავღონღილოფ“.

8. სიტყვაწარმოება

სახელთა წარმოსაქმნელად გარეკახურში თითქმის ყველა ის აფიქსი გამოიყენება, რომლებიც საენათმეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი. ამ აფიქსებიდან გარეკახურში ზოგი მეტად

პროდუქტიულია, ზოგი კი იშვიათად ან სულ რამდენიმე სიტყვაში დასტურდება.

საკვლევ კილოკავში მეტად პროდუქტიულია ურ (ულ) აფიქსი და იგი რამდენიმე ფუნქციით გამოიყენება.

ურ (ულ) აფიქსი იხმარება: ა) ადამიანის სადაურობის სახელების საწარმოებლად: მანავი > მანაური (კაცი), გიორგი-წმინდული, კაჭრეთული, ჯიმიტური, კაკაბური, არამენდული, შიბლიანური...

შენიშვნა: ა. 1. ადამიანთა სადაურობის სახელების წარმოქმნა ურ (ულ) სუფიქსით გავრცელებულია საგარეჯოს აღმოსავლეთით მდებარე სოფლებში. 2. თუ ტოპონომი ურ აფიქსით ბოლოვდება, ასეთ შემთხვევებში ადამიანთა სადაურობის სახელებს აქაც ვლ სუფიქსი აწარმოებს: ბადიაური > ბადიაურელი, თოხლიაური > თოხლიაურელი, ჩაილური > ჩაილურელი...

ბ) ქალიშვილობის გვარიდან ურ (ულ) აფიქსით იწარმოება ქალის მეტსახელები: გილიგაშვილი > გილიგაური (ქალი), ვარაზაშვილი > ვარაზაული, მელულაშვილი > მელულაური, ბურდილაძე > ბურდილაძაური... თუ გვარის ფუძე ორმარცვლიანია, მაშინ ურ (ულ) აფიქსს 2 ემატება. ურა (ულა): გელაშვილი > გელაურა, ტურაშვილი > ტურაულა... მეტსახელთა ასეთი წარმოება უფრო გავრცელებულია ქიზიყსა და შიდაკახეთში.

გარეკახურში დასტურდება წინავეითარების მაწარმოებელი აფიქსი ნა-ობ: ნავენახობი, ნაჭალობი... ეს სიტყვები ტოპონიმებადაც გვხვდება მარტყოფში: „ნაჭალობი“ პატარა მდინარეს პქვია, „ნავენახობი“ – ბაღსა.

ძველ ქართულში საკმაოდ პროდუქტიული იყო სუფიქსი იჭა, რომელიც საკუთარი სახელებიდან კნინობით-ალერსობით ფორმებს აწარმოებდა: ბეჟიჭა, გოგიჭა, კაციჭა... დღეს ეს აფიქსი აღარ გამოიყენება ახალი სიტყვების საწარმოებლად. გარეკახურში მხოლოდ ერთი ახალი სახელი დასტურდება ამ აფიქსით ნაწარმოები: მიშიჭა // მიშჭა (< მიშა+იჭა). იგივე აფიქსი გვხვდება საზოგადო სახელშიც: ბულიჭა (< ბულა+იჭა).

*არქაული და დიალექტური ლექსიკა
გარეკახურში*

გარეკახური კილოკავის ლექსიკურ ფონდში საკმაო რაოდენობით მოიპოვება ძველი ქართულის ლექსიკა. ეს სიტყვები შემონახულია ცოცხალ მეტყველებაში და იმავე მნიშვნელობით იხმარება, რაც მათ ძველ ქართულში ჰქონდათ:

ზემბილა „ჭილისაგან ან ლაფნისაგან დაწნული კალათა“.

ბებერა „ობობა“

ფეიქარა „ობობა“

შეკვეთა „ძალიან შეჩვევა“. „ემ ბეშვი ძან შემეკვეთა“.

შეკვეთილი „ძალიან შეჩვეული“. „გოგო-ბიჭები ისე არიან შეკვეთილები, უერთმანეთოთ ველარა ძძლებენ“.

ლლე „ნაჟური წყლებისაგან წარმოქმნილი მდინარე“.

გარეკახურში გვხვდება ისეთი სიტყვები, რომლებიც არ არის სალიტერატურო ქართულში და სხვა დიალექტებშიც იშვიათად დასტურდება:

ბუკნა „ბუსუნინი მუხლუხა მწერი“.

გნოდი „გრძელი, სწორი, გათლილი ხე ურემზე (მანქანაზე) თივის დასამაგრებელი“.

დაგულვა „ქარის მაგრად დაკეტვა“.

ზორაობა „თავმომწონეობა, პეიტრობა, ყიმიმი“.

იალამი „ლამისა და ღლის გასაყარი, გარიჟრაჟის დასაწყისი“.

კურახი „რცხილისებრთა ოჯახის მცენარე“.

ლისი „სხვენზე, საქარე მხრიდან ამოყვანილი კედელი“.

ნაშენობა „მამრობითი სასქესო ორგანოები“.

პტყენა „ქართული ბერყენა“.

ფევრი „მოჭრილი მუხის ძირზე ახალი ამონაყარი, ახალგაზრდა მუხა“.

და ა.შ.

ლექსიკონის ავების პრინციპი

წინამდებარე ლექსიკონში შევიდა ხუთი ათასამდე სიტყვა, რომელთაც ავტორი მთელი ორმოც წლის მანძილზე კრებდა.

ჩაწერილ მასალას უდარებდა „ქეგლ“-ისა და ქართული ენის დიალექტების ლექსიკონებს. ავტორისათვის განსაკუთრებით ის სიტყვები იყო ფასეული, რომლებიც არსებულ ლექსიკონებში არ დასტურდებოდა, ან დასტურდებოდა, მაგრამ სხვა შინაარსი ჰქონდა, ან რაიმე ბევრით განსხვავდებოდა.

„ლექსიკონში“ სიტყვები ანბანის რიგზეა განწყობილი. სახელი წარმოდგენილია სახ. ბრუნვის მხ. რიცხვის ფორმით, გამოყოფილია ბრუნვის ნიშანი. თუ რომელიმე სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, ესეც ნაჩვენებია ნაშრომში.

ზმნები ისეა შეტანილი, როგორც ეს განმარტებით ლექსიკონშია. ე.ი. ზმნა შეტანილია მესამე პირის მხ. რიცხვის აწმყოს მწკრივის ფორმით, საწყისი და მიმღეობა კი – სახ. ბრუნვის ფორმით.

ზოგიერთ ზმნას (ასევე მიმღეობას) გარეკახურში პარალელური ფორმები აქვს: ფურჩნის // ფურჩნავს. გაფურჩნილი // გაფურჩნული... „ლექსიკონში“ ორივე ფორმაა შეტანილი.

აჟ, ებ, ებ, თემის ნიშნების ნაცვლად გარეკახურში აჟ, ეჟ, ეჟ ისმის. საილუსტრაციო მაგალითებში შეტანილია ის დაბოლოებები, როგორც ისმის, ე.ი. აჟ, ეჟ, ეჟ, ლექსიკონში კი აჟ, ებ, ებ. ეს პრინციპი იმანაც განაპირობა, რომ ამ თემისნიშანშეცვლილ ზმნებს მასდარში აჟ, ებ, ებ ნიშნისეული თანზმონები: ვ, ბ, აქეთ და არა მ, ფ: ბარამს > ბარვა, აბოლავეფს > აბოლავება და ა.შ.

*
* *

ასე და ამგვარად გავასრულე „გარეკახური ლექსიკონი“, რომლის შეკრებას დიდი დრო და ენერგია შევაღიე. წერტილი დავეუსვი, თუმცა ვგრძნობ, რომ ამ ნაშრომში ვერ აისახა ყველაფერი ის, რის ასახვაც მიზნად დავისახე. ტოპონიმიკური ჩანაწერების ხელახლა თვალის გადავლებამაც დამარწმუნა, რომ ბევრი სიტყვა-ტერმინი, ტოპონიმიას უნჯად რომ შემოუნახავს, ლექსიკონს გარეთ დამრჩა. ალბათ, სხვა სიტყვებიც იქნება

გამორჩენილი, რომელთაც დაინტერესებული მკითხველიც შეამჩნევს.

ამიტომ კიდევ ერთხელ ვთხოვ ყველას, გამომიგზავნონ საქმიანი შენიშვნები და გამორჩენილი სიტყვები, თუკი ასეთებს აღმოაჩენენ. შენიშვნებს უეჭველად გავითვალისწინებ, სიტყვებს კი გამოვიყენებ შემდგომი გადამუშავებული გამოცემისათვის.

უ. სახლთხუციშვილი

აბილიბილებ-ს წააქეზებს, გაალიზიანებს, საწინააღმდეგოდ განაწყოებს. „**ე** რო კაი კაცი იყო და მეგობრივ ფასი იცოდნა, ეგ არ აბილიბილეს და ძმეთან არ აჩხუბებს.“

აბოლოაგებ-ს იგივეა, რაც აბოლოგებს.

აბოლოგებ-ს აყირაგებს (ურემს, მანქანას...) „**ე** შუმა ცოტა წინ წამწიეთ, თორე აღმართზე მანქანა აბოლოგებს და სუ დაგეშლებათ.“

აბუტულაგებ-ს აურ-დაურევს, აიკლებს, ააოხრებს. „**დ**როზე მოიხედე იმ გადარეულ ბაღებს, თორე თელ სახლ აბუტულაგებენ.“

აადებ-ს ამოჰკრავს, ამოარტყამს. „**რ**ა ცუდი გადაკიდება იცია ამ ბიჭმა, ეტყობა სანამ ვინმე არ აადებს, თავ არ დაანებებს.“

აადრასტებ-ს დასტყუებს, ააწაპნის, გამოსცინცლავს. „**ე** ისეთი გაიბერაა, მინახამ, სანამ რაიმე არ აადრასტებს, არ მოეშვება.“

ააზეზეურებ-ს ააყენებს, გამოაჯანმრთლებს (ავადმყოფს). „**ძ**ლივად ნამდვილი ექიმი არ მოგვივიდა სოფელში, ვენაცვალე იმი გამძლე, სანამ ავანტყოფ არ ააზეზეურებს, გვერდიდან არ მოამშორდება.“

აალაფებ-ს ლაფად აქცევს, აატალახებს. „**ე** წვიმა ისე აალაფებს ვენახ, ალბათ, ორ-სამ დღეა შიგ ვეღარ შავალთ.“

აამდღგლეგ-ს აამღვრევს. „**ს**ანამ სუფთაა ემ წყალი, აიღეთ, თორე საქონელი რო აამდღგლევს, საღამომდე არ დაწმინდავდება.“

აამყაყებ-ს ააყროლებს, ცუდ სუნს დააყენებს. „**ე**მთ რასა მხარშამს, რამ ამყაყებს ზოლმე აქაერობა.“

ააყეფებ-ს იგივეა, რაც ააყვერებს. „**ე**მ წვიმები ისე ააყეფებს ამ მწვანელ, თუ არ გადავჭვრით, სუ გაფუჭდება.“

ააყვერებ-ს ძალიან გაზრდის, უცებ აუყრის ტანს (ნათესობას, ბოსტნულს). „**რ**ათ გინდა, წყალი რო შავიგდია, ემ ერთკვირიანი გადაბული წვიმები ისედაც ააყვერებს მაგ ბოსტნულ.“

ააყვირებ-ს იხ. ააყვერებს.

ააყოტებ-ს ყოტად აქცევს, უცებ გაზრდის. „**ე**მ წიწმატი დროზე გადაჭერი, თორე წვიმა და მზე სუ ერთიანათ ააყოტებს.“

აანაკჩაკებ-ს ჩაკჩაკს დააწყებინებს, ჩაკჩაკით აიყვანს მაღლა (ცხენს). „ყოველ დღე მოაჯდება იმ ცხენ და გორაზე აანაკ-ჩაკეფს.“

აბა ვინ, რომელი. იხმარება კითხვით წინადადებაში: „გიორგი ჩამოსულა. – აბა გიორგი?“

აბეშიკ-ი ტყისმცველი (რუს. *охранитель*-იდან „ტყის ცხენოსანი დარაჯი“). „ემ რა მთავრობა მოვიდა, თქვენი ჭირიბე, ჩვენ ტყეში სკუნელიც რო არ დატოვა მოუჭრელი, აბეშიკათ ი კაცი დაუყენებიათ.“

აბილბილდებ-ა გალიზიანდება, საწინააღმდეგოდ განეწყობა, გაცხარდება. „ეგ ისედაც უცებ აბილბილდება ხოლმე, რალა შენი წაქეზება უნდა.“

აბილბილდება გაცხარება, გაბრაზება. „მაგან ისეთი აბილბილდება იცის, მტრისაჲ!“

აბილბილდებულ-ი გაცხარებული, გაბრაზებული, გალიზიანებული. „ნეტა რა დაემართა, ეგეთი აბილბილდებული არასოდემ არ მინახამ.“

აბლაყ-ი აყლაყუდა, უშნოდ მაღალი, მოუქნელი (ადამიანი). „ნეტა ვინ არი, ი აბლაყი ბიჭი, გოგოეფში რო ლაპარაკოფს?!“

აბლი საბავშვო თამაშის დროს, გათვლისას სახმარი სიტყვაა: „აბლი, ბაბლი, ოქროს ტახტი...“

აბოლაგდებ-ა აყირავდება. „ემ თივა როგორ დაგიდვიათ, ვერ ატყოფთ, რო თავმსუბუქია, გზაში აბოლაგდება და გადაგიბრუნდებათ ურემი.“

აბოლაგება აყირავება. „მაგ მანქანი აბოლაგება თუ არ გინდათ, ეხლავე გაასწორეთ ემ შემა.“

აბოლაგებულ-ი აყირავებული. „მოდი, გაეასწოროთ ემ მანქანა, ესე აბოლაგებული როდემდე ვატაროთ.“

აბოლოგდებ-ა იხ. აბოლაგდება.

აბოლოგება იხ. აბოლაგება.

აბოლოგებულ-ი იხ. აბოლაგებული.

აბოწინტებ-ს ფეხს არ იცვლის ადგილიდან. „ვერ გამიგია, ეხლა რა ფეხვუს აბოწინტეფს, თუ წამოსვლა არ უნდოდა, თავიდანვე ეთქვა მაგ დალოცვილ.“

აბუებ-ს წეწავს (მატყლს, ბუმბულს), ბუნგალს აყენებს. „ერთი ნახეთ, რასა შერებიან ემ მაიმუნი ბავშვები, ერთმანეთ ესვრიან ბალიშეფს და აბუებენ.“

აბუებულ-ი აწეწილი, არეულ-დარეული, ამტკვერებული. „შინ რო შევედი, წინაღამ გული გამისკდა, თელი ოთახი აბუებული დამხვდა.“

აბუტულაგებ-ს წეწავს, ურევს; იკლებს, აოხრებს. „ბიჭო, შეილო, პატარები ხო აღარა ხართ, მაგ სახლ ეგე რო აბუტულაგეფთ, დელათქენი არ გეცოდებათ, როგორღა უნა დაალაგომ?!“

აბუტულაგება აწეწვა, არევა; აკლება, აოხრება. „ვინ რამ მომეხმარება ნეტავი, ამათ მარტო აბუტულაგება იციან.“

აბუტულაგებულ-ი აწეწილი, არეულ-დარეული; აკლებული. „აბა, თქვენ იცით, ეა წვალებით დალაგებული სახლი აბუტულაგებული არ დამახვედროთ.“

აბურდოგებ-ს ბურდოდ აქცევს; ლეწავს (ძნას). იხ. მოაბურდოგებს.

აბურდოგება იხ. მოაბურდოგება.

აბურდოგებულ-ი იხ. მოაბურდოგებული.

აბუქა 1. ბაქია, მკეხარა, ტრაბახა; „მაგ აბუქა არ იცნოფ, ვინც არი? მაგამ რა დაეჯერაბა.“ 2. ხელაკრული, დაუზოგავად მხარჯველი, დაუნანებელი. „აი, შავირცხვა ნამუსი, შე აბუქავ, შენა, ეგე როგორ გაანიავე და გააცამტვერე მამაშენი ქონება?!“

აბღერტაგ-ს 1. აბერტყავს, ზედ აყრის. „ვინ არი ეა უზდელი, მტვერ რო გვაბღერტამს თავზე“. 2. აპყრის. „სუ ტყუილათ მაიკალათეთ მანდა, მოვა თქვენი უფროსი და ყველაი აბღღერტამთ.“

აბღერტვა 1. აბერტყვა. „ყველაფერ რო მორჩებით, ხალიჩი აბღღერტვა არ დაგავიწყდეთ.“ 2. აყრა. „ხელმძღანელიი გამოჩენა და იმ ალლაუჭობის იქიდან აბღღერტვა ერთი იყო.“

აბღერტილ-ი 1. აბერტყილი „სუფრა აბღღერტილი და ყველაფერი დალაგებულ-დაწიქვიკებული დამახვედრეთ.“ 2. აყრილი „იქ აღარავინ არა ცხოვროფს, ყველა ერთიანათ აბღღერტილი და წასულია.“

აბღუნძაგ-ს ნაოჭებად აქცევს (ქსოვილს...) „ნეტა მაგამ როგორ შააკერინე ეა კასტუმი. რა მატერიაც გინდა მიუტანო, ისე ამბღუნძამს ხოლმე, რო ვერანაირათ ვეღარ გაასწორეფ.“

აბღუნძვა ნაოჭებად ქცევა (ქსოვილის...) „კერვი ღრომ ქსოვილმა აბღუნძვა იცის და გაასწორეფ.“

აბღუნძულ-ი ნაოჭებად ქცეული (ქსოვილი...) „მიუტანე უკან და გაასწორებინე, ეგე აბღუნძული შარვლით ხო ვერ ივლი ქუჩაში?!“

აბძუენდებ-ა ატყდება. ამბუენდება, მაკინტლობის დრო დაუდგება (ძალღს...) „ემ ტიალი ძალი აბძუენდება თუ არა, თელი სოფლი ძაღლები აქ აინინცებიან ზოღმე.“

აბძუენება ატენა, ამბუენება, (ძაღლის), მაკინტლობის დაწყება. „აბძუენები დრო რო დაუდგება, მაშინვე რაღაც ნემს გაუკეთებენ ზოღმე თავიანთ გოშია.“

აბძუენებულ-ი ამბუენებული, ატეხილი (ძაღლი). „ძველათ ისეთი ნამუსი იყო ჩვენში, აბძუენებული ძაღლებიც კი ტყეში მიდიოდნენ სააღერსოთ.“

აგდება (გუთნის) გამოხსნა ზარებისა, მუშაობის (ზენის) დამთავრება. „აუგდეთ გუთანი და ჩირდიღში დავსხედით პური საჭმელათ.“

აგება ეგებ, იქნებ. „აგება წახვიდე ქალაქში და ჩამოიყვანა ი ბიჭი.“

აგვრა აგლეჯვა, აცლა, ართმევა. „ბავშვი ხელიდან ამგვარა და შინ წაიყვანა.“ „იმ უღმერთომ ისე ამგვარა ჩანთა, ვერაფერი გავიგე.“

ადევ-ს: ნაბადიგით ადევს ბერი ასხია (ხიღს). „ამ ვაშლ, ნახე, ნაბადიგით ადევ, თუ ბოწკინტები არ შაუდგით, ტოტები დაეღეწება.“

ადრასტება აწაბენა, გამოძალვა, დატყუება. „ფთხიღათ იყავ, ადრასტება მაგიდ ხეღობაა.“

ადღლოვდებ-ა თოვლი და მიწა ერთმანეთში აითქვიფება. „დროზე წავიდეთ, თორე, როგორც კი მზე გამოვა, აქავრობა ისე ადღლოვდება, ფენ ვერ გადავღვამთ.“

ადღლოვება თოვლისა და მიწის (ტაღახის) ერთმანეთში ათქვეფა. „შე კაი კაცო, ამ ადღლოვებად უცდიღი, ცოტა ადრე მაინც წავსულიყავით.“

ადღლოვებულ-ი ათქვეფილი, თოვლი და მიწა (ტაღახი) ერთმანეთში არეული. „ემ გზა ისეა ადღლოვებული, ძაღლი ვერ გაივღის.“

აელმებ-ს: თვალღებს აელმებს იპრანჭება, კეღლუცობს (ქალი-შვიღი). თითქოს სხვაგან იყურება, მაგრამ სინამღვიღელში ვაჟისკენ აპარებს მზერას. „ნახე ერთი, ემ გასაქრობი გოგო უკვე როგორ აელმებს თვალღეს.“

აეგ აი ეგ. „სირცხვიღი შენ, აეგ როგორ უნდა მოგერიღი.“

აემაგ აი მაგ. „აემაგ ბიჭ დაეჭვიღები?“

აემ აი ამ „აემ ჯოხ მხეღამ?“

აემანდ აი მანდ „აემანდ დამიკადე და მოვალ.“

აეს აი ეს „შენ აეს მითხარი...“

აექერქებ-ა ქერქი ასძერება „ძროხამ მაგ ნამყენზე ნუ მიბაბმ, აექერქება და განმბება.“

აექერცლებ-ა კანი ასძერება, ქერცლად ექცევა. „ნუ იფხან მაგ ჭრილობამ, აექერცლება და უფრო გაგიღიზიანდება.“

აეწვერებ-ა შარს აუტეხს, საჩხუბრად გაიწვევს. „ნეტა თავი მაინცა ექონდემ, ყველამ რო ეგ აეწვერება ხოლმე.“

აევანტყოფ-ი ავადმყოფი. „თუ აევანტყოფი ხარ, სავანტყოფოში დაგაწვენ, თუ არა და ეგე ნუ კვნესიხარ.“

აევანტყოფობ-ს ავადმყოფობს „ეა საცოდავი, რაც მახსოვს, სუ აევანტყოფოფს.“

აევანტყოფობა ავადმყოფობა. „ეკ, რა ექნა, აევანტყოფობამ დამრია ხელი.“

აეკურ-ი სიბეცე, ქათმის ავადმყოფობა. „მაგამ აეკური ხო არა იჭირს, რატო ვერა მხედამს?“

აექარდაკრულ-ი ცეტი, სულელი, არანორმალური. „ეგ ცოტა აექარდაკრული უნა იყოა.“

აფლიხე ალვისხე. „ამ აფლიხეები დარგვამ, აკაცია დაგერგა, ყვაილი მაინცა აქ.“

აფხელ-ი ქურდი, მპარავი, მოპარვაზე ხელი რომ აქვს გარეული. „თვალი გეჭირომ, ეგ ისეთი აფხელია, რალაცამ გააყოლეფს.“

აზეზეურდებ-ა ადგება (ავადმყოფი) „შენი აზეზეურება ჯერ კიდევ არ შეიძლება, ერთ-ორი დღე უნა მაიკადო.“

აზეზეურებულ-ი ფეხზე ამღგარი (ავადმყოფი). „რა ყოჩალი გამოდგა ემ ბიჭი, მეგონა ერთი თვე მაინც იწვებოდა, მაგრამ უკვე აზეზეურებული დაგვხვდა.“

აზიზ-მაზიზ-ი აზიზი, ნაზი. „არც ისეთი აზიზ-მაზიზია ი გოგო, როგორადაც თავ გეაჩვენეფს.“

აზირ ბარემ, სჯობს, აჯობებს. „აზირ შენ წახვიდე და მაიტანო, მაგამ როგორ ენდობი?!“

აზლაზენა უხალისოდ წამოდგომა. „იმი აზლაზენამ სად უნდა უცადო, ისედაც მაგვიანდება.“

ათლაზნა აჭიჭყნა. „ეზომ ათლაზნა თუ არ გინდოდათ, საქონელი გარეთ არ უნა გამოგეშოთ.“

ათლაზნი-ს აჭიჭყნის. „სანამ არ გაშრება, ბატკნეფ ნუ გაუშეფთ ეზოში, ერთიანათ ამთლაზნიან.“

ათლახნილ-ი აჭიჭყნილი. „ეგეთ ათლახნილ კალოში ძნა როგორ ჩავშალოთ?“

ათად ათ-ი მხოლოდ ათი. „ათადათი ლარი მქონდა, ისიც ვალში მივეცი.“

ათქლაშუნებ-ს უშნოდ, ხმაურით ჭამს (ვაშლს, მსხალს...) „ამხელა გოგომ მაი არ უნა მცხვენოდემ, დაუჭერია ვაშლი და ათქლაშუნეფს.“

აიდოსტი! ავქაშს რომ გატეხენ და სანაძლეოს დადებენ, თან დროზეც შეთანხმდებიან, დროის გასვლის შემდეგ, ერთ-ერთი, რომელსაც უწინ გაახსენდება და მოახერხებს, რაღაც ნივთი შეაჩეროს ხელში, ეტყვის: „აიდოსტი!“ რაც იმას ნიშნავს, რომ სანაძლეოს მოგება მან დაასწრო. თუ მეორე მანამდე მოასწრებს და მიუგებს: „მანსომს“, სანაძლეო მოგებულად არ ითვლება და კვლავ გრძელდება თამაში. თუ ვერ მოასწრო ამის თქმა, იმას მაინც დააყოლებს: „ესეც მაიგოს!“ ეს იმას ნიშნავს, რომ, მართალია, სანაძლეო წააგო, მაგრამ ის ნივთი, რომელიც ხელში შეაჩერეს, მას რჩება.

აიზლაზნებ-ა უხალისოდ წამოდგება „სანამ ემ წელანგარა აიზლაზნება, ჩვენ უკვე მოვათავეფთ საქმეა.“

აიკავშურებ-ს ფეხს მოხრის და ასწევს, აიკანჭურებს. „ეტყობა, ვიღაცამ ქვა მაართყა ჩვენ ძაღლ, ნახე, როგორ აიკავშურა ფეხი.“

აიკაუჭებ-ს იგივეა, რაც აიკავშურებს.

აიკლარწებ-ა ტანმალალ და ოდნავ მხრებში მოხრილ ადამიანზე იტყვიან: „ნეტა რამ აიკლარწება და დადის ვერე.“

აიკლერტებ-ა გაიწმინდება, გასუფთავდება (ნაბარი) „აი, ნახავ, აიკლერტება და ისეთი კვლები გაკეთდება, შენი მოწონებულნი!“

აილინჭყებ-ა ატლახნდება. „აილინჭყება გზები და წასვლა გაგვიძნელებს.“

აიმშეგ-ა მარცვალს არ გაიკეთებს (პური, ქერი...) „თუ ესეთი გოლვები დაიჭირა, ხორბალი ისე აიმშევა, ვერაფერ ვერ ავიღეფთ.“

აინიფებ-ს აჩემებს. „ეგ რასამ აინიფეფს, ხო ველარ გადაათქმევინეფ?“

აიპლაკვნებ-ა უშნოდ წამოდგება. „წავიდეთ, თორემ სანამ ეგ აიპლაკვნება, შუადღე გაგვიხდება.“

აირუმ-ი უხეირო, უცხვირპირო ადამიანი. „იმ აირუმ ვერა და ვერ დავწერე პირჯვარი, ხოლო ვერ ვათქმევინე.“

აიფახებ-ა ჩუმად წავა, გაიძურწება. „ნუ გეშინია, როგორც კი დაგვინახამს, მაშინვე აიფახება იქიდან.“

აიქერქებ-ა ქერქი ასძვრება. „ზოგიერთი ხე ზაფხულობით თავისით აიქერქება ხოლმე.“

აიქერცლებ-ა ქერცლი (კანი) ასძვრება. „შენ არ გაილიზიანო ეგ ჭრილობა, რო მოგიჩრება, თავისით აიქერცლება.“

აიყოტებ-ა ყოტად იქცევა (მწვანილი), ბევრი წვიმისაგან სწრაფად აიზრდება და გახევდება. „სანამ აიყოტება ემ მწვანილი, მოკრიფე და გამაიყენე.“

აიშოტებ-ა აეყუდება, ჩამოიფხატება. „ეგე რო აიშოტება და დადგება ჩემ წინ, მე რალა დავინახო?“

აიშრიტებ-ა იგივეა, რაც აიშვევა. „თუ არ გაწვიმდა, ისე აიშრიტება ემ ლობიო, ცარიელა პარკილა დარჩება.“

აიშუქებ-ს ინათებს, გამოანათებს (მზე). „სუ ესე მოღრუბლული ხო არ იქნება, ცოტაც და აიშუქეფს“.

აიჩოყებ-ა აიჩალება, ხშირი წვიმებისაგან სწრაფად გაიზრდება და გაფუჭდება (ნათესები). „ერთხელ კიდე შამოვაყაროთ კარტოფილ, თორე აიჩოყება და ძირ არ გაიკეთეფს.“

აიჯაგრებ-ა აიქორჩება; საჩხუბრად გაიწვეს. „ყვინჩილა აიჯაგრა და გულდაგულ გაექანა მამლისაკენ.“

აკვრა-შამოკვრა საბავშვო თამაშია, ჩილიკჯოხობის ერთ-ერთი სახეობა. ორ ქვას ჩილიკის სიგრძეზე დადებენ და ზემოდან ჩილიკას დაადებენ. ქვემოდან ჯოხის ამოკვრით ჩილიკას ზევით აისვრიან და ჯოხს შემოჰკრავენ. ვინც შორს გასტყორცნის, გამარჯვებული ის იქნება.

აკაუჭება ფეხის მოხრა და მაღლა აწევა, აკანჭურება. „რათ დეერვია ემ ძაღლი ამ ფეხი აკაუჭაბად?“

აკლარწვა უშნოდ ტანის აყრა, სიმაღლეში წასვლა. „ერთი ნახეთ იმ გოგოამ აკლარწვა.“

აკლარწულ-ი კოჭმაღალი, წვრილი და უშნოდ ტანაყრილი ადამიანი ან ცხოველი. „ვისია, ი აკლარწული ბიჭი?“

აკლერტაგ-ს კლერტს გააცლის, გაწმენდს, გაასუფთაებს (ნაბარს) „სანამ კარგათ არ ავკლერტაბთ ვენახ, პაპარემი შიგ არაფერ დაგვათესინეფს.“

აკლერტვა კლერტისაგან გაწმენდა, გასუფთავება (ნაბარის) „ყურძნის ჭამა თუ გიყვართ, ვენახი აკლერტვა არ უნა გეზარებოდეთ.“

აკლერტილ-ი კლერტისაგან გაწმენდილი, გასუფთავებული (ნაბარი). „ნაბარი ისეა აკლერტილი, ბალახი ფესვი რა არი, იმად ვერ იპოვით.“

აკმენინებ-ს აკბენინებს. აიძულებს უკბინოს. „მაგ ლეკვისა რა ბრალა, თქვენ აღიზიანეთ და აკმენინეთ.“

აკმენჩინებ-ს აკბეჩინებს. „ნახე, რას აკეთებს ამოტოლა ჯორი, მიუშვია ბავშვები ამ მკვახე ჭერამზე, აკმენჩინებს და აფუჭებინებს.“

აკორიანტელეგ-ს კორიანტელს აყენებს, ამტკერებს. „დარბის ოთახში და აკორიანტელეფს.“

აკორკოტდებ-ა მონიღომებს, მოიწადინებს (გული) „ზოგჯერ ისე აკორკოტდება გული, რამის ბულიდან ამოვარდეთ.“

აკორკოტება: გულის აკორკოტება. ძალიან მონღომება. „გულიმ აკორკოტებამ რო იტყვიან, სწორეთ იმ დამემართა.“

აკორკოტებულ-ი ძალიან მოწადინებული, მონღომებული. „გული ესე აკორკოტებული არასოდეთ არა მქონია.“

აკუზვა კუზის აშვერა, წელში მოხრა. „გასწორდი, აკუზვა რა ვამკაცია საქმა!“

აკუზულ-ი კუზაშვერილი, წელში მოხრილი. „თელი დღე გარეთა დგა აკუზული.“

აკურულაფება ზურგზე აკიდება. „პაპა, აკურულაფება მინდა.“

აკურულება იგივეა, რაც აკურულაფება.

აკუხულ-ი იგივეა, რაც აკუხული. „ჩვენი კატა კედელთან იდგა აკუხული.“

ალაგ-ალაგ! საქონლის თავის ადგილზე მისახმობი შეძახილი.

ალაგლაფებ-ს 1. წყალში სარეცხი ჩაუდვია და გაჭნევით რეცხავს. „ჩამყრის ამ სარეცხ ცივ წყალში და მთლი დღე შიგ ალაგლაფეფს.“ 2. ლუკმას ატრიალფეს პირში. „ჩაუდვია პირში ლუკმა და ალაგლაფეფს.“

ალაკნელეგ-ი ყანდაურის საკრებულოს სოფელ ქვემო ყანდაურის მკვიდრთა სადაურობის სახელი. „წინათ ქვემო ყანდაურად ალაკანი ერქვა და მანდაურეფს იმიტომ ვეძახით ალაკნელეფს.“

ალაღლი ალაღლი-ალაღლი! კაცი ჭამის დროს თუ დაახველებს, მაშინ ეტყვიან ხოლმე: „ალაღლი!“ ან „ალაღლი-ალაღლი!“

ალაზნინებ-ს აჩაგვრინებს. „რათ გინდა, რო მაგოდენა რძეა აწუეუ და ალაზნინეუ მაგ ბატკან?!“

ალაჯუნე უთაებოლოდ მოსიარულე „ეგე, ნახე, ჩეენი ალაჯუნეც უკვე დაგვიბრუნდა შინ.“

ალესილ-ი: ალესილი კლდე ფრიალო კლდე. „ე ტიალი თხები გასულიყვენ იმ ალესილ კლდეზე და ვერა და ვერ გამოვრეკეთ, სანამ თითონ არ გამოვიდნენ.“

ალია და მუსია მავანი და მავანი. „ალია და მუსია, ყველა შინ მამაყენა.“

ალიბანტოზ-ი ხემყრალა. მალალი ხეა, მყრალი სუნი აქვს. მის ქვეშ ბალახიც კი ვერ იზრდება.

ალიფლიფებ-ს მაგრად რწყავს. „მაგამ კარგი ზო არა მგონია, ვერე რო ალიფლიფეუს იმ ვენახ?“

ალიკვალ-ი 1. ასავალ-დასავალი. „ისე აგვებნა თავგზა, ალიკვალე ველარ გავიგეთ.“ 2. პირწავარდნილი, ზედგამოჭრილი. „შეხედეთ ერთი, ე ბიჭი ალიკვალე თავისი მამაა.“

ალინცლინცებ-ს ძალიან ავსებს. „ეგე რო ალინცლინცეუს, წაღება არ უნდა ამსიშორე გზაზე, სუ დამელვრება.“

ალიხეველებ-ი მარტყოფის ერთ-ერთი ნაწილის ალიხევის მკვიდრი მოსახლეობა. „ალიხეველების უმრავლესობა ჭოტორიდან (ნასოფლარია) არიან აქ ჩამოსულები.“

ალოღლეტია უქნარა, სხვის ხარჯზე მყოფი. „სუ ტყუილათა გვყავ სათვალავში ეგ ალოღლეტია.“

ალუხმალუხ-ი შიგნეული და მასთან ერთად ანარჩევი ზორცი. „ეგ ალუხმალუხი ჩაყარე ერთ ქვაფში და მოხარმე.“

ალხო გათელისას სახმარი სიტყვაა: „ალხო, მალხო, ჩიტმა გნახო...“

ამბაგი ტარიელისა სიტყვის მასალაა. ამბაგი ხაბარი, რას იტყვი ახალს.

ამბიტანია ჭორიკანა. ენატლიკინა, დამსმენი. „ემაგითანა ამბიტანია კაცთან როგორა მმეგობროფ, ვერ გამიგია.“

ამღონ-ი ამღენი. „ამღონი საქონელი მყავ და მაინც მშიერი კვდება.“

ამთენ-ი იგივეა, რაც ამღონი. „ამთენი ხალხი ხართ და მაინც ვერა მყარაულოფთ მაგ ვენახ.“

ამელაგ-ს ბოლისა და დამწვრის გემოს მისცემს კერძს (რძეს...) „ხუფი ამხადე და მალ-მალ ამოურიე, თორე იცოდე, ამელამს.“

ამელვა ბოლისა და დამწერის გემოს მიცემა კერძისათვის. „თვალი გეჭორომ, მაგ ქვაბმა ამელვა იცი.“

ამელილ-ი ბოლისა და დამწერის გემოს მქონე (კერძი). „ისეა ამელილი ემ კერძი, ამამ რაღა შამაჭმევს.“

ამირიკო ქსოვილია ერთგვარი, საბნებს კერავენ მისგან. „ამირიკო უნა ვიყიდო და ერთი კაი საბნები შაუკერო ჩემ შვილევს.“

ამოაჩაკჩაკე-ს ჩაკჩაკით ამოიყვანს (ცხენს) „ენახამ და იმ ჯლაგა ცხენ ამოაჩაკჩაკევს ჩვენთან.“

ამობაგაგ-ს ბაგას ამოწმენდს, ნარჩენებს ამოყრის, ამოასუფთავებს. „რო ამობაგამს მამაშენი, უთხარ, ი ნარჩენები არ გადაყარომ, ვირ დაუყრი და ვაჭმევ.“

ამობაგვა ბაგის ამოწმენდა, ნარჩენების ამოყრა, ამოწმენდა. „ამობაგვამ ნუ დაიზარეფ, თორე ემ ძროხა ისეთი აზიზ-მაზიზია, სუ ადჯოლღამს.“

ამობაგულ-ი ამოწმენდილი, ამოსუფთავებული. „ამობაგული გეყრებათ რამე, წავიდეფ და ვირეფს შავაჭმევ, თორე შიმშილით მენოცებან.“

ამობ-ს ამობოს. „რასამ ეგ ამოფს, ყველაფერი კი არ დაეჯერება.“

ამობრასტვა ამოწყვეტა. „მაგათი ამობრასტვა იყომ!“

ამობლარტვა ყლორტების ამოსვლა ხის ფესვებიდან. „ოტურმა და პაპანხილმა ძან იცის ამობლარტვა; ნაპირზე ჩაყარე, თორე ისე მოედება თელ ვენახ, ვეღარ გამოიდეფ.“

ამობლერტაგ-ს ამოწმენდს, ამოასუფთავებს (ყუთს, უჯრას...) „თელი უჯრები საგულდაგულოთ ამოუბლერტა.“

ამობლერტვა ამოსუფთავება. „ყველაფერი ხო წაართო, ჯიბეების ამობლერტვაც კი მოითხოვა.“

ამთგვილ-ი სალანძღავი სიტყვაა. ამოწყვეტილი. „ეგ ამთგვილი ნეტა სირცხვილით ხმამ როგორღა იდეფს?!“

ამოდოლა ამდენი. „ამოდოლა ხალხი პირზე დაადგა, მაგრამ იმ უნამუსომ არავისი არ შაისმინა.“

ამოთართლაგ-ს ამოსერის. „რა ფეთხუმი ემ ბიჭი, როგორც გინდა სუფთა ტანისამოსი ჩააცო, ერთ გასვლაზე ამოთართლაშს ხოლმე.“

ამოთართლამ ამოსერა. „ეგე ამოთართლა ვის გაუგია, თუ არ გენახება, არა ქცხვენია მაინც?“

ამოთართლულ-ი ამოსერილი. „რატო არ მიმხედამ ამ ბიჭ, ემ ამოთართლული შარვალი რო აცვია.“

ამობღერტაგ-ს ამოიწმენდს, ამოისუფთავებს; ამოიტრიალებს (ჯიბებს). „ამითანა კაცში მნახველი არა ვარ, სული რო მთხოვო, იმამ არ დაგიჭერს, ყველაფერ ამობღერტამს და სათხოვნელათ მისული ადამიან ხელცარიელ არ გაუშვეფს.“

ამოითართლებ-ა ამოისვრება. „რაც გინდა ჩააცვი, მაინც პატრა ბავშვივით ამოითართლება ხოლმე.“

ამოინიჟებ-ს ამოიჩემებს, „რასამ ამოინიჟეფს, ხო ველარ გადაათქმევინეფ“.

ამოიტარტლებ-ა ამოისვრება, ტარტლს აიკრავს. „სანამ გომში არიან ემ ცხერები, სუ ტყუილათ აბანავეფ, ხო იცი, რო მეორე დღესვე ამოიტარტლებიან.“

ამოიწკმუვლებ-ს ამოიწკნაელებს (ძალღი). „სირუმეში ხანდახან ძალღი თუ ამოიწკმუვლებს.“

ამოიწკუმბლებ-ა გაიწუნება. „სად წავიდა ამ თავსხმაში, ხო სუ მთლიანათ ამოიწკუმბლება.“

ამოიწლუმბებ-ა წუმბეში დასველდება და ამოისვრება. „ამ წლუმბეში ბავშვეფს ნუ ჩაუშვეფ, ერთიანათ ამოიწლუმბებიან.“

ამოსაქოქ-ი წყევლა. გასაწყვეტი, სასიკვდილე. „ეგ ამოსაქოქი ისევე ცოცხალი ყოფილა?“

ამოქაქანება მცირე ხნით შესვენება. „რა არი, შე კაი კაცო, რასა მტანჯამ ამ ხარეფს, ცოტა ამოქაქანება მაინც აცალე.“

ამოქოქაგ-ს დასწყევლის. ამოწყვეტს (წყველით). „რა ბოროტი დედაკაცია, არც შინაური იცის და არც გარეული, ყველამ ერთნაირათ ამოაქოქამს ხოლმე.“

ამოქოქვა წყევლა. „იმათი ამოქოქვა იყო, იმათი, ვინც ჩენი ოჯახი ამ დღეში ჩააგდო.“

ამოლაღანდებ-ა ამოვა, ამწვანდება (ნათესობა). „ამ წვიმებზე მნახამ, ჩენი ყანები როგორ ამოლაღანდება.“

ამოლაღანება ამოსვლა, ამწვანება (ნათესების) „მეგონა წელსაც მომცდებოდა ჩენი მიწდერები და ძალღან ვწუხდი, მაგრამ ამ მოულოდნელმა წვიმებმა და ჯეჯილიამ ამოლაღანებამ გული სიხარულით ამივსო.“

ამოლაღანებულ-ი ამოსული, ამწვანებული (ნათესები). „ამოლაღანებული ჯეჯილი მწვანე ხალიჩასავით გაფენილიყო მიწდორში.“

ამოჩაჩვა პერანგის ამოწევა შარვლიდან. „რა უშნოთ იცის ამ ბიჭმა პერანგი ამოჩაჩვა.“

ამოჩაჩულ-ი უშნოდ ჩაცმული. „თელი დღე ეგე ამოჩაჩული რო ღადიხარ, ერთხელ მაინც არ უნა დაიხელო და გაისწორო ეგ პერანგი?“

ამოჭეჭყაგ-ს ცუდად ამორეცხავს. „რა არი ესა, ყველაფერ ერთათ რო ჩამყრი ტაბტში და უცეფ ამომჭეჭყამ, ამა ეძახი გარეცხვამ?“

ამოჭეჭყვა ცუდად ამორეცხვა. „კარგათ უნა გამრეცხო პერანგი, თორე ამოჭეჭყვამ რა უნდა!“

ამოჭეჭყილ-ი სახელდახელოდ, ცუდად გარეცხილი (ტანსაცმელი). „არ მომწონდა, გაქათქათებული პერანგებით რო დადიოდა, იარომ ეხლა თავისი ამოჭეჭყილებით?“

ამოჯღანაგ-ს უხეიროდ შეეკრავს (ტანსაცმელს, ფეხსაცმელს). „მაგან თუ არ იცოდა შეეკრვა, რატო მომიკიდა ხელი? აბა, ამოჯღანვა მეც კი შემოძლიან.“

ამოჯღანულ-ი ცუდად შეეკერილი (ფეხსაცმელი, ტანსაცმელი), ცუდად ამოსხმული (ქალამანი). „ეგ ვისი ამოჯღანული შარვალი გაცვია?“

ამშევა მარცვლეულის ბუიტად დარჩენა. „წვრილი მარცვალი მაინც გაეკეთებინა ამ ტიალ ყანამ, ცოტა მაინც რო გვესარგებლა, ესე ამშევა რა იყო?“

ამშეულ-ი უგულოდ, ბუიტად დარჩენილი მარცვლეული „ეგ ამშეული ხორბალი გინდა მოგვიძკია და გინდა არა.“

ამძალდება-ა აშმორდება, გაფუჭდება (ფქვილი...) „დახურულ ადგილამ დიდხან ნუ გააჩერეფთ მაგ ფქვილ, ამძალდება და გადასაყრელი გაგიხდებათ.“

ამძალება აშმორება, ამყრალება, გაფუჭება. „აბა, ეგენი ადამიანები არიან? ამ დამშეულ ქვეყანაში ფქვილი ამძალება იქნება? ამა ღმერთი არ აპატიეფთ, არა!“

ამძალებულ-ი აშმორებული, ამყრალებული, გაფუჭებული. „ერთი კვირა ამძალებულ ფქვილ აცხოზენ და იმა აჭმევენ ხალხს.“

ამ წინებზე რამდენიმე ხნის წინათ. „ამ წინებზე ერთი კაი ფილმი აჩვენე ტელევიზორში.“

ამწკლარტდება-ა ამჟავდება, დამწარდება, გემოს შეიცვლის, წახდება. „თუ ღროზე არ შაიჭამა ეგ მსხალი, ამწკლარტდება და პირ ველარ დააკარეფთ.“

ამწკლარტება ამჟავება, დამწარება, გემოს შეცვლა. „ამ ვაშლმა რაღაცა ამწკლარტება იცის.“

ამწკლარტებულ-ი ამჟავებული, დამწარებული, გემომეცვლილი. „რათ გინდა, რო წაიღო ბაზარში, მაგ ამწკლარტებულ ხილ ვილა იყიდის?“

ანასხეპ-ი შეჭრილი წვრილი ტოტები, ფიჩხი. „წადი, ანასხეპი მაინც მაიტანე, რო თონე გაეახსროთ.“

ანაჭურ-ი მსგავსი, ალიკვალი. „ეა გოგო სუ თავი დეღის ანაჭურია.“

ანდე აი. „ანდე რა მოგივიდა!“ „ანდე ეგ გინდოდა და ეგეც მიიღე!“

ანდრიასგორობა სახალხო დღეობა მარტყოფში, იმართებოდა გაზაფხულზე. „ანდრიაგორობა გაზაფხულზე იცოდა, ღიღი ცეკვა-თამაში გაიმართებოდა ხოლმე, ჭიდაობა, ქალ-ვაჟი გაშინჯვა და რავე, რაღა ვითხრა, ძაან კაი დრომ კი ვატარებდით და...“

ანიჟება ამოჩემება. „დაანებე თავი, ხო იცი, მაგან რა ანიჟებაც იცის?!“

ანიჟებულ-ი ამოჩემებული. „მაგაა ველარ გადაათქმევენეფ, თუ რამე აქ ანიჟებული, მოკვდება და იმ წადილ აისრულეფს.“

აპარნობა რელიგიური (თუმცა არაკალენდარული) დღესასწაული მარტყოფსა და ახალსოფელში, ტარდება გაზაფხულზე, აღდგომიდან ორი კვირის თავზე. ამ დღეობას აქვს სწორიც და სწორის სწორიც. ე. ი. სამჯერ ზედიზედ, ყოველ კვირას აქ, მარტყოფის ბოლოს, მაღალ გორაზე მდებარე საყდრის, აპარნის წმინდა გიორგის გარშემო უამრავი ხალხი იყრის თავს. მოდიან სხვადასხვა სოფლიდან, ლოცულობენ, ცეკვა-თამაშით, ჭიდაობით, ცხენების დოლითა და სხვადასხვა გასართობით იქცევენ თავსა და ქეიფობენ.

აპლაკენა 1. უშნოდ წამოდგომა. „სიცოცხლე არ ეტყობა ამოტოლა ბიჭ, გადაძლრძვალე მოხუცივით იცის აპლაკენა.“ 2. უშნოდ ჩაცმა. „რა არი ეგე აპლაკენა, მოდი წესიერათ ჩაიცვი და ისე წავიდეთ.“

აპლაკენილ-ი უშნოდ ჩაცმული. „სად მიდიხარ ეგე აპლაკენილი, სირცხვილი სუ დაძკარგე?“

აპლაკენულ-ი იგივეა, რაც აპლაკენილი. „სუ ესე აპლაკენული უნა დადიოდე ეა ბიჭი?“

აპტყელებ-ს აბრტყელებს. სცემს. „მეველე ერთი ბიჭი დაუჭერია და ჯოხით აპტყელეფს.“

არამი 1. არამი კაცი — ცუდი, უხეირო, უსარგებლო ადამიანი. „მაგითანა არამი კაცი მეორე არ იქნება, თელი სოფელი რო

დაიარო.“ 2. არამი სისხლი – ცუდი, უვარგისი, გამოსაშვები სისხლი. „კაც მაღალი წნევა თუ აქ, არამი სისხლი აწუხებუხს, გამოუშვებუხს თუ არა, მაშინვე დამშვიდდება. წინათ წნევი წამალი სად იყო, დალაქებმა იცოდნენ ამი წამლობა. ყური ბიბილომ, შუბლ ან ლოყამ ოდნეე გაუჭრიდნენ სამართებლით, სისხლ (შევი სისხლია) გამოუშვებდნენ და კაციც მაშინვე მაისვენებდა.“

არგასაზრდელ-ი: არგასაზრდელ-ი, არგასარდელ-ი ცუდი, უხეირო ბავშვი, სასიკვდილე, ვინც არ უნდა გაიზარდოს. „ი არგასაზრდელი, იმათი ბიჭი ჩამატერეედა ამ ფანჯრეუხს.“

არგასაზრდელ-ი იხ. არგასაზრდელი.

არგასარდელ-ი იხ. არგასაზრდელი.

არგასალიებელ-ი წყევლაა, სასიკვდილე, ვინც არ უნდა გალივდეს (გამრავლდეს). „ეგ არგასალიებელი ბაღში არაფერ დაგვიტოვეუხს, დლე და დამე თუ არ უყარაულეთ.“

არგასაშეებ-ი წყევლაა, სასიკვდილე, მოსასპობი. „იმ არგასაშეებებმა, ჩვენი უბნი ბიჭებმა, სუ გაგვიგოხეი თელი ჭერამი.“

არგასახარებელ-ი წყევლაა, ვინც არ უნდა გაიზაროს, ვინც სიხარული არ უნდა ნახოს. „ეგ არგასახარებელი ისეთი უკუღმართია, თითონაც ამიჭამს თავსა და სხვასამ ბოლომ მოუღეუხს.“

არგასახარელ-ი იხ. არგასახარებელი.

არდასამიწებელ-ი ვისაც საყვედურობენ, მაგრამ საწყევლად ვერ იმეტებენ, იმაზე იტყვიან: „გააჩერე, გოგო, ეგ არდასამიწებელი ენა!“

არდასაყენებელ-ი იგივეა, რაც არგასაშეები. „აბა, თუ გაჩერდე და დაგვანებომ თავი, მაგ არდასაყენებელმა?!“

არდასაცალებელ-ი სასიკვდილე, ვისაც სიცოცხლე არ უნდა დასცალდეს. „არ დამაცალა იმ არდასაცალებელმა.“

არვი არ ვიცი. „ვაპირეუ და არვი, წავალ თუ არა.“

არიფანა, არიფანობა ქალების ქეიფი, ფსონით პურის ჭამა და დროსტარება. გაზაფხულზე ერთი უბნის ქალ-რძალი ანდრიას-გორობას ერთად ზეიმობდნენ, ერთად წავიდოდნენ სალოცავად, სანთლებს დაანთებდნენ, ცეკვა-თამაშს დაესწრებოდნენ, შემდეგ მივიდოდნენ წინდაწინ შერჩეულ ადგილას ანუ რომელიმე მონაწილის სახლში, ეზოში ან ბაღში და ფსონით შეკრებილი ფულით სუფრას გაშლიდნენ. ამას დაუმატებდნენ შინიდან წამოღებულ შემწვარ-მოხრაკულს, ნამცხვარს, ტკბილეულს, პურ-ღვინოს და კარგად მოილხენდნენ: იცეკვებდნენ, იმღერებდნენ, ილექებდნენ. ამ ქეიფში მხოლოდ ქალები მონაწილეობდნენ. იმ

ოჯახის მამაკაცებიც კი, სადაც სუფრა იშლებოდა, იმ დღისით შინ არ შედიოდნენ. ქალთა ამ დროსტარებას „არიფანობა“ ერქვა.

არკაუჭა ანჩხლი, კაპასი (ქალი). „არა, თქვენი ჭირიმე, მე თავი დამანებეთ, იმ არკაუჭა დედაკაცი ყბაში ნუ ჩამაგდევთ.“

არსაბოგინებელ-ი წყველაა. სასიკვდილე, ვინც ღირსი არ არის, რომ იბოგინოს (იცოცხლოს). „ჩვენთან მოსვლამ როგორა მბეღამს ეგ არსაბოგინებელი, ეგა?!“

ამოლაგლაგება წყალში რაიმეს ჩადება და გაქნევ-გამოქნევით ამორეცხვა. „რათ უნდა მაგამ მაგდენი რეცხვა, ერთხელ ჩადება და ამოლაგლაგებაც ეყოფა.“

ამოლაგლაგებულ-ი წყალში რაიმეს ჩადება და გაქნევ-გამოქნევით ამორეცხილი. „ამასამ თუ გარეცხვა მქვია, სუ ერთხელაა წყალში ჩადებულნი და ამოლაგლაგებულნი.“

ამოლაღაგ-ს ამორეკავს. „ზამთარში უდაბნოში მყავთ ცხვარი, გაზაფხულზე ამომლაღავენ ხოლმე სოფელში.“

ამოლაღვა ამორეკვა. „აბა, შენ იცი, შუადღისამ ცხვრები ამოლაღვა არ დაგაევიწყდები.“

ამოლაღულ-ი ამორეკილი. „თელი ფარა ამოლაღული მყავთ და მინდორში მპარსამენ.“

ამონიყება ამოჩემა. „რა ცუდი ამონიყება იცის ამ ბიჭმა.“

ამონიყებულ-ი – ამოჩემალი. „რაც ააქ ამონიყებულნი, იმამ უეჭველათ გააკეთეფს.“

ამოსაბრასტაგ-ი წყველაა. ამოსაწყვეტი. „ეგ ამოსაბრასტავი რამ გადამეკიდა, რა უნდა ჩემგან.“

ამოსაგველ-ი იგივეა, რაც ამოსაბრასტავი. „ეგენი ისეთი ამოსაგველები არიან, ხეირ არავის დააყრიან.“

ამოსუტაგ-ს ამოსრუტავს; ამოწოვს. „ბავშვობაში, მახსოვს, ზოგიერთ ყვავილ ფუტკრებივით ამოვსუტავდით ხოლმე.“

ამოსუტყა ამოსრუტვა, ამოწოვა. „ყვავილი ამოსუტყაში ფუტკარ ვერავინ და ვერაფერი ვერ აჯობეფს.“

ამოსუტულ-ი ამოსრუტული. „თაფლი ყვავილიდან ამოსუტული ტკბილი წვენია.“

ამოტოლა ამდენი. „ამოტოლა ტვირთი რო დაგიდვია, მაგამ რა დამძრამს.“

ამოფშრუკვა ამოწყვეტა, ამოყუყუვა. „მაგათი ამოფშრუკვა იყო ერთხელ და სამუდამოთ.“

ამოწკუმპლაგ-ს უსუფთაოდ ამოიღებს ჭურჭლიდან სითხეს. „ვეელად დაუსხი რძე, ოღონდ ფაქიზათ ამოიღე ჭურჭლიდან, შენებურათ ნუ ამოაწკუმპლამ.“

ამოწკუმპლა ჭურჭლიდან უსუფთაოდ (უხეშად) ამოღება სითხისა. „რათ გინდა მაგიმ ამოწკუმპლა, შენ თითონ გადაიღე ღვინო.“

ამოწკუმპლულ-ი ჭურჭლიდან უსუფთაოდ ამოღებული (სითხე). „ეა ღვინო ვისი ამოწკუმპლულია ქვევრიდან?“

არსაით-ი ცელქი, ონავარი; ავარდნილი. „ი ჩვენი მეზობლი ბიჭი ისევ ისეთი არსაითია, თუ ცოტა დაჭკვიანდა?!“

არსამიწე ვისაც ეჩხუბებიან, საყვედურობენ, მაგრამ დასაწყველად ვერ იმეტებენ, იმას ეტყვიან. „ცოტა შენც გაანძრიე ხელი და შეგვეშველე, ეგე რამ გაგაზარმაცა, შე არსამიწევ, შენა?“

არსანაცვილე იგივეა, რაც არსამიწე. „ეა არსანაცვილე თუ გიკეთეფთ რამეა?“

არსასიკვდილე იგივეა, რაც არსამიწე. „შე არსასიკვდილევ, შენა, შენ რაღა მოგივიდა, შენ მაინც წამოდი და მომეხმარე.“

არწივ-ი 1. ცხვრის ავადმყოფობაა, ფილტვებში უჩნდება ძაფივით და კლავს. „მაგამ არწივი ექნება ფილტვეფში, სანამ მოკვდება, იჯობია დამკლა და გამაიყნო.“ 2. წყლის არწივი. წურბელას ჰგავს, ოღონდ ძალიან პატარაა, თუმცა ზოგჯერ ისე იცის ძაფივით გაგრძელება, თითის სიგრძეც ხდება. ადამიანმა ან ცხოველმა თუ ჩააყოლა, კუჭს გაუხეთქავს და მოკლავს. ეს სახელი გვხვდება გარეკახეთის ჰიდრონიმიაშიც. მაგ.: სოფ. ნორიოში ერთ წყაროს ჰქვია „არწივის წყალი“, სადაც მართლაც უთვალავი წყლის არწივი ბუდობს.

არხა, არხაჯ-ი საქონლის: ძროხის, კამეჩის, ცხვრის საყარი; მინდორში შემალღებული ადგილი, რომელსაც ერთი მხრიდან ბექობიც აქვს ზღუდესავით. როგორი სიცხე-პაპანაქებაც უნდა იყოს, აქ ყოველთვის ნიავე უბერავს და საქონელი კარგად ისვენებს შუადღისას. ეს სიტყვა ხშირად დასტურდება ტოპონიმიშიც: პეტრეა არხა, ყაზარამ არხაჯი...

არხაჯ-ი იხ. არხა.

ასადას-ი მხოლოდ ასი. „სახლი ამენება რო დავიწყე, ასადასი მანეთი მქონდა, მაგრამ არ შამშინებია, რაკი მეგობრები მედგნენ მხარში.“

ასურიელებ-ს ასულიერებს, სულს უდგამს. „სუ ტყუილათ ასურიელუჲ მაგ ბატკან, თელი დღე წუნწუნში გდებულა და თანაც არც ხსენი მოუწოვია, მაგად რა გადაარჩენს?!“

ასხლეტაგ-ს მოსწყვეტს, გამოაცალკეებს. „მაგრა გეჭიროთ თვალი, თორე ი ტიალი მგელი ისე ახსხლეტამს ცხვრეფს და გაირეკამს, ვერაფერ გაიგეფთ.“

ასხლეტ[ვ]ა მოწყვეტა, გამოცალკეება (ფარიდან ცხვრებისა). „იმ ოხერმა მგელმა როგორ მოახერხა ფარიდან ამდენი ცხვრი ასხლეტა, რო ვერც ძაღლებმა შამჩნიემ და ვერც მეცხვარემ გაიგო?“

ასხლეთილ-ი მოწყვეტილი, გამოცალკეებული. „ერთი დიდი ნოტო დავინახეთ, ასხლეთილი ცხვრებისა, ხეგვადამა ძოვნით მიდიოდა აღმა.“

ატა, ატა-ატა შეძახილი ჩვილი ბავშვის გასართობად, პატარას ჰაერზე დაასეირნებენ და ეუბნებიან: „ატა, ატა-ატა!“

ატაში წაყვანა გასეირნება (ბავშვის ენაზე). „გინდა, ატაში წაგიყვანო?“

ატკო საბავშვო თამაშის დროს, გათვლისას სახმარი სიტყვაა: „ატკო, ბატკო, სამბასო...“

ატლაბოშა ზარმაცი, უქნარა, უსაქციელო, მოურიდებელი (ქალი). „მაგითანა ატლაბოშა რო შამოგივა სახში, არ აშენდები კაცი!“

ატლინკდებ-ა უპატივც. აცეკვდება, ცეკვას დაიწყებს. „დროზე წავიდეთ აქედან, თორე ემ რო ატლინკდება, ველარავინ ვერ გააჩერეფს.“

ატლინკება უპატივც. აცეკვება, ცეკვის დაწყება. „იმი ატლინკებალა გვაკლდა და ისიც ატლინკდა.“

ატლინკებულ-ი უპატივც. აცეკვებული. „რა დაემართა ამ ბერიკაც, ესეთი ატლინკებული ჯერ არ მინახია.“

ატოტება, ატოტინება ფეხის თითებზე დადგომა და აწევა მალლა რაიმის მოსაწყვეტად, ჩამოსაღებად. „ვეე ატოტებით რამ მიმწვდები, კიბე მიიღგი, იჯობია.“ „რა დაბლიდან ეტოტინები, აღი ზელა და დაკრიფე, რამდენიც გინდა.“

ატოტინება იხ. ატოტება.

აუა ძაღლი (ბავშვის ენაზე). „მე დიდი აუა მკავ.“

აუქარგებ-ს ხელს აუკრავს, შეეშველება. „მიდი, იმ მოხუც კაც ცოტა აუქარვე, ხო იხელამ, რო უჭირს ტომრი წამოკიდება.“

აუქლიაგებ-ს გაფლანგავს, უმიზნოდ დახარჯავს. „**ეგ** თუ ჭკუაზე არ მოიყვანა ვინმემ, ორიოდე შაური უშოვია, ისე აუქლიავეუს, ერთ კვირამ არ ეყოფა.“

აუწვერდებ-ა აუშარდება. „**რა** არი, **რა** ყველამ **ეგ** აუწვერდება ხოლმე.“

აფაფხვა გაჭირვებით წამოდგომა, გაჭირვებით ასვლა რამეზე. „**რა** მოძვლია იმ საწყალ კაც, ძლივამ აიფაფხა ზეზე.“

აფახება ჩუმაღ წასვლა; გაბურწვა. „**რა**ლაცამ რო დაინახამს გასაკეთებლ, მაშინვე აიფახება იქიდან.“

აფახვა იგივეა, რაც აფახება. „**ჩვენი** დანახვა და იმი აფახვა ერთი იყო.“

აფახფახდებ-ა გაჭირვებით, წვალებით წამოდგება. „**როდი** ე კაცი აფახფახდება, ესე ხო არ ვიდგებით, დაეიწყეთ მუშაობა და მოვრჩეთ.“

აფრასტუნება ფეხსაცმლის უბრალოდ წამოცმა და ისე სიარული. „**როგორ** უყვარს ამ სანაცილე გოგომ ამ ჩუმატები აფრასტუნება?“

აფრასტუნებულ-ი ფეხზე უბრალოდ წამოცმული (ჩუსტები). „**თელი** დღე ესე აფრასტუნებული დადი.“

აფსა! შეძახილი კატის გასაგდებად. „**აფსა**, **კატავ**, შე ამოსაწყვეტო!“

აფუ! ჩვილ ბავშვს გართობის მიზნით შეუძახებენ ხოლმე, ვითომ ძალლი მიეპარა და შეუყეფა.

აფუა ძალლი (ბავშვის ენაზე). „**ჩვენი** აფუა კალგია, ალ გიკენს.“

აფურტკ[გ]ნა აშლა, აწეწ-დაწეწვა, არევა. „**რა** არი, შეილო, ე რა გიქნიათ, ლოგინი ესე აფურტკნა იქნებოდა?“

აფურტკნავ-ს იგივეა, რაც აფურტკნის.

აფურტკნი-ს აშლის, აწეწ-დაწეწავს, არევს. „**გააგდე** ოთახიდან ე ბიჭი, თორე აქავრობამ ისე აფურტკნის, ველარ იცნოფთ.“

აფურტკნილ-ი აშლილი, აწეწილ-დაწეწილი, არეული „**ამ** ბავშვებისაგან ე ოთახები ისეა აფურტკნილი, ერთ კვირამ ველარ დავალაგეფ.“

აფურტკნულ-ი იხ. აფურტკნილი. „**აბა**, თქვენ იცით, ვინძლო აფურტკნული დამახვედროთ სახლი!“

აქ აქვს (მაქ, გაქ, აქ). „**თითონ** რა აქ, **შენ** რა უნა მოქცეა.“

აქა-აქა! ძალლის მოსახმობი ძახილი.

აქაგრება აწვევა, ხელის აკვრა, შეშველება. „მოდი, შვილო, გულურა ამიქავერე.“

აქაგრობა აქაურობა. „აბა, როგორ მოგწონთ აქაგრობა?“

აქასქასებ-ს ქმინავს, ძლივს სუნთქავს. „საწყალ ლეკვ მაგრა ღადაცხომია, ნახე, როგორ აქასქასეფს.“

აქასქასებულ-ი ქმენაგარდნილი, გალექებული. „სად იყო ემ ძალლი, ესე აქასქასებული რო მოვიდა?“

აქლიაგება ქონების განიაგება, უთავბოლოდ ხარჯვა. „ღაფიქრდი, შვილო, ქონებამ აქლიაგება არ უნდა.“

აქნამდე აქამდე. „სად არი ნეტავი, აქნამდე რო არ მოვიდა?“

აქნობამდე იგივეა, რაც აქნამდე. „აქნობამდე უნა მოსულიყო!“

აქნობამდინ იგივეა, რაც აქნამდე. „აქნობამდინ თუ დაიგვინებდა, არ მეგონა.“

აქნობამდისინ იგივეა, რაც აქნამდე. „აქნობამდისინ ველოდეთ, სხვა რაღა ვქნათ?“

აქსა! ცხერის გასაგდები შეძახილი.

აქოთდებ-ა აყროლდება, ცუდი სუნი დადგება. „ვინ შემოიტანა ემ მყრალი ბალახი, გაიტათ, თორე თელი ოთახი აქოთდება.“

აქოთებ-ს აყროლებს, ცუდ სუნს აყენებს. „ემ ჩენი მეზობელი ფშავლი დედაკაცი ღანძილ რო მთუთქამს ხოლმე, თელ უბან აქოთეფს.“

აქოთება აყროლება, ცუდი სუნის დაყენება. „აქაგრობი აქოთება თუ არ გინდოდათ, ემ აღიანტოზი ტოტები არ უნდა დაგეწვათ.“

აქოთებულ-ი აყროლებული. „რა მჭამე ისეთი, ემე აქოთებული რო ხარ?“

აქურდებ-ა შეგროვდება. „ემ თივა ერთათ თუ აქურდება, ერთი კაი ძირი გამოვა.“

აქურებ-ს აგროვებს, ერთად უყრის თავს. „სანახირეზე აქურებენ ძროხეფ, მერე გადრეკამს მენახირე.“

აქურება შეგროვება, ერთად შეყრა. „ამ თივი აქურება არ დაგავიწყდეთ, თორე, თუ გაწვიმდა, გაფუჭდება.“

აქურებულ-ი შეგროვებული. „აქურებული თივა ქარმა გაფანტა.“ ერთად თავმოყრილი. „აქურებული ძროხები ისევე დაბუნალაკდნენ.“

აქოხებ-ს ქოხს აკეთებს. „პაპა ვენახში რაღაცამ აქოხეფს, თავი რო შევაფაროთ ხოლმე.“

აქოხება ქოხის გაკეთება. „ერთი პატრა რაღაცი აქოხება რამ გაგიძნელდა, შე კაი კაცო, წვიმაში რო თავი შეგვეფარებინა.“

აქუხდებ-ა ნათესი ერთბაშად ალაღდება, აჩალება, მარცვალს ვერ გაიკეთებს. „**ე** ყანები ამ წვიმებზე ძაან აქუხდება.“

აქუხება ხშირი წვიმებისაგან ნათესის ალაღება, ერთბაშად აჩალება. „**კ**ურმაც იცის ხშირ წვიმებზე აქუხება და ქერმაც.“

აქუხებულ-ი ხშირი წვიმებისაგან ალაღებული, ერთბაშად აზრდილი, აჩალებული (ყანა, ნათესი). „**ამ** აქუხებულ ყანამ ეხლად რა უყო, ან რა უშველო, სუ ერთიანათ ჩაწევა და გაოხრდება.“

აღვარღვარებ-ს ცხარე ცრემლითა ტირის. „**დ**როზე უნა ეფიქრა, ეხლად რო ზის და ცრემლევს აღვარღვარევს, მე რა უნა უშველო?“

აღლაუჭობა პატარა ბავშვების გუნდი, ჯგრო. „**არ**ც კი მცხვენია ამოტოლა ჯორ, შაუყრია აღლაუჭობა და უსაქმოდ დაეხეტება.“

აღლაჭუნებ-ს უშნოდ ღეჭავს (კეკს). „**ამ**ხელა გოგომ ჩაუღვია კევი პირში და აღლაჭუნევს.“

აყაყულ-ი უშნოდ მაღალი. „**ერთი** აყაყული კაცი მოვიდა და ჩვენი მეზობელი იკითხა.“

აყეფდებ-ა იგივეა, რაც აქუხდება. „**ისეთი** ამინდი დაიჭირა, ემ ყანები სუ აყეფდება.“

აყეფება იგივეა, რაც აქუხება. „**რა** იყო ამ ყანებში ესე აყეფება.“

აყეფებულ-ი იგივეა, რაც აქუხებული. „**ისეა** აყეფებული ჩვენი ყანები, მარცვალი რა არი, მარცვალ ვერ ავიღევთ.“

აყვერდებ-ა ხშირი წვიმებისაგან ან ბევრი რწყვისაგან მწვანილი სწრაფად აიზრდება, ტანს აიყრის და გაფუჭდება. „**წვიმებიც** იყო, ახლად კიდევ მარწყამ მაგ მწვანო და აყვერდება, აბა, რა მოუვა.“

აყვერება ხშირი წვიმებისაგან ან ბევრი რწყვისაგან მწვანოილი სწრაფი გაზრდა, ტანის აყრა. „**სანამ** აყვერებამ დაიწყევს, ემ თამამი ღეროები წაატერ მაგ მწვანო, თორე გაგიფუჭდება.“

აყვერებულ-ი ხშირი წვიმებისაგან ან ბევრი რწყვისაგან სწრაფად აზრდილი, ტანაყრილი, ღეროგაკეთებული მწვანოილი. „**მაგ** აყვერებულ მწვანო სუფრაზე ნულად მიიტან.“

აყვირდებ-ა იგივეა, რაც აყვერდება. „**სანამ** აყვირდება, მანამ დაკრიფე ემ მწვანოილი და წაულე ბავშვეფს.“

აყვირება იგივეა, რაც აყვერება. „**თუ** კიდევ ასე იწვიმა, მერე ნახე ამ კარტოფილი აყვირება.“

აყვირებულ-ი იგივეა, რაც აყვირებული. „ეხლა რაღამ უშველთ ამ აყვირებულ ნათესაებს, ადრევე უნა მიგვეხედა.“

აყოტდება-ა ყოტად იქცევა, ღერო სწრაფად დაუმსხვილდება მწვანილს (წიწმატს, ოხრახუშს...) „რა უცევ აყოტდება ხოლმე ე წიწმატი?“

აყოტება ყოტად ქცევა, ღეროს სწრაფი აზრდა და აყვავება მწვანილულის. „წიწმატმა ყველაზე ადრე იცის აყოტება.“

აყოტებულ-ი ყოტად ქცეული. სწრაფად აზრდილი და აყვავებული. „ქორფა მწვანილი ადარ იყო და აყოტებულია მოკერიფე.“

აყოყილ-ი უშნოდ ტანმალალი კაცი. „უი, ქა, ემ რა აყოყილი სიბე იყოლიათ.“

აყრილი ტყე ახალგაზრდა და ტანმალალი ხეებით საესე ტყე. „ჩემ ბავშვობაში აქ ერთი გაუვალი ჯაგნარი იყო, ეხლა ნახე, რა აყრილი ტყე არი.“

აშავბნელდება-ა უპატივეც. 1. ადგება. „აშავბნელდება, მამ როდემდე იწვება?“ 2. ზევით (მაღლა) ავა. „ჯერ დაბლა მიივლ-მოივლის, მერე მაღლა აშავბნელდება.“

აშავბნელება უპატივეც. ადგომა. „არ ეღირსომ მაგამ ადგომა და აშავბნელება.“

აშავბნელებულ-ი უპატივეც. ამღვარი. „სად მივადგე ესე დილაადრიან, ჯერ არ იქნება აშავბნელებული.“

აშაბათება საქმის ადრე შეწყვეტა, თავის დანებება. „რა ღრომ აშაბათებაა, ჯერ ისევ მზეა.“

აშავდება-ა იგივეა, რაც აშავბნელდება. „ყოტა ხან მოუცადეთ, აშავდება და წამოვა.“

აშაგება იგივეა, რაც აშავბნელება.

აშაგებულ-ი იგივეა, რაც აშავბნელებული. „რო მივედი, უკვე აშაგებული დამხვდა.“

აშაგქვაგდება-ა იგივეა, რაც აშავბნელდება. „როდემდე არ აშაგქვაგდება, ვნახოთ ერთი.“

აშაგქვაგება იგივეა, რაც აშავბნელება. „ამამ არც ადგომა უნდა და არც აშაგქვაგება.“

აშაგქვაგებულ-ი იგივეა, რაც აშავბნელებული. „თუ ჯერ კიდევ არ არი აშაგქვაგებული, გააუშვი ეძინომ, ნუ ააყენეფ.“

აშაგქვაგია უპატივეც. აქვს. „ნეტა თითონ რა აშაგქვაგია, შენ რა უნა მოგცე.“

აშალაშა, აშარაშა აშარი, ავი, კაპასი, ანჩხლი დედაკაცი.
„თავი დაანებე, ვერა მხელამ, რა აშალაშაც არი.“

აშარაშა იხ. აშალაშა.

აშრეტა ხორბლის, ქერის... თავთავის გაფუჭება, მარცვალი რომ ზრდას ვერ დაამთავრებს და წვრილი დარჩება. „აფსუს, რა ყანები იყო და ამ გოლვამ როგორ აშრიტა!“

აშრეტილი-ი მარცვალგანუვითარებული, წვრილად დარჩენილი (ხორბალი, ქერი, სიმინდი...). „აბა, რაღა გამოგვივა ამ აშრეტილი ყანებისაგან.“

აშუქება გამონათება, ღრუბლების გადაყრა. „აშუქება როდემდე უნა უცადოთ, მოდი და დავიწყოთ მუშაობა“.

აჩალვა ხშირი წვიმებისაგან ყანის (ხორბლის, ქერის...) სწრაფი აზრდა და ჩაწოლა. „ამ ყანი აჩალვა თუ არ გინდა, ახლავე ან მოთიბე, ან საქონელ მოაძუე, სანამ ღერომ გაიკეთეფს, თორე მერე გვიან იქნება.“

აჩალულ-ი ხშირი წვიმებისაგან სწრაფად აზრდილი და ჩაწოლილი ყანა (ხორბალი, ქერი). „ორი კვირა გადაბმულათ რო წვიმდა, იმიტომა ემ ყანები ესე აჩალული.“

აჩანხავ-ს აიძულებს ავიდეს მალა (ხეზე...). „მაგ პატრა ბიჭ რო აჩანხამ ხოლმე ამსიმაღლე ხეზე, არ გეშინია, რო ჩამოვარდე?“

აჩანხვა ასვლა, აბლოტება (ხეზე, კიბეზე...). „გოგო, შე ბროგო ასატეხო, პატარა ხო აღარა ხარ, რატო იცი ეგე ბიჭივით ხეზე აჩანხვა.“

აჩანხულ-ი ასული, აბლოტებული (ხეზე, კიბეზე...) „სადლა არ ვეძებე ემ სანაცილე ბავშვები და თურმე კედელზე არ არიან აჩანხულები!“

აჩეჩავ-ს კალოში ჩაყრილ ძნას აშლის და გადააბრუნებს, კარგად რომ გამოშრეს. „ავიღოთ ფიწლები და აჩეჩოთ კალო, თორე დღე ვერ მოვასწრეთთ გალენჯა.“

აჩეჩვა 1. კალოში ჩაყრილი ძნის აშლა და გადაბრუნება, რათა მზემ კარგად დახედოს, ჰაერმა გაუაროს და გამოაშროდ. „კალოში ჩაშლილ ძნამ ორჯელ მაინც უნდა აჩეჩვა, კარგათ რო გაილენჯო.“ 2. შარის მოდება. „გადამიდვა ემ მუდრეგი გზაზე და აჩეჩვა დამიწყო, ამა ვინა ვკონივარ?“

აჩიკუდა, აჩიკუდულა ერთგვარი თამაშია პატარა ბავშვის გასართობად. მოზრდილი ადამიანი (მამაკაცი) მუხლებზე და ხელებზე დგას ე. ი. ოთხდაა მოკეცილი, ვითომ ცხენია, ბავშვი

ზურგზე უზის და მხრებს ათამაშებს, თითქოს ცხენი მიჭენაობს. ბავშვი ასდევს მხრების მოძრაობას და თან ამ ლექსს ამბობს: „აჩუ, აჩუ, ცხენო, საით გაგაჭენო, ჯერ ქერი არ გიჭამია, შე კულდმოსაჭრელო!“ (თუ ბავშვი პატარაა და ჯერ არ იცის ლექსი, მაშინ უფროსი ამბობს).

აჩიკუდულა იხ. აჩიკულა.

აჩლაჩი-ი უშნო, ჩანჩურა ადამიანი. „ემ აჩლაჩიც რო კაცეფში ერევა, რატო ღმერთი არ გაიცინეფს.“ მეტსახელია კაცისა.

აჩუკულა იგივეა, რაც აჩიკულა.

აჩუკუდულა იგივეა, რაც აჩიკულა.

აჩონჩხვლა ერთი მეორეზე უშნოდ დაწყობა, უწესრიგოდ დაყრა. „მაგ ფიჩხი ეგე აჩონჩხვლა არ იეარგეფს, ღიდი ალაგიც უჭირამ და ულაშაზოც არი.“

აჩონჩხლაგ-ს უშნოდ დააწყობს ერთი მეორეზე, უშნოდ დაყრის. „ეგე რო აჩონჩხლე ურეში, თოკი როგორღა უნა გადაუჭირო?“

აჩონჩხლაილ-ი უშნოდ დაწყობილი. ერთმანეთზე გადაბმული, აყრილ-დაყრილი. „ისეა აჩონჩხლილი ემ ფიჩხი, კაცი ვერ გაივლის.“

აჩუმათებ-ს აჩუმებს. „იციან, დამშეული ადამიანები როგორ გადაიბირონ, არჩევნები წინ ერთ-ორ კილო შაქარ, მაკარონ და ფქვილ დაურიგებენ და მაშინვე აჩუმათებენ.“

აჩუტვა მუწუკის გამორწყვა. „ძალით აჩუტვა არ ვარგა, უფრო გაგიღიზიანდება, აცალე, კარგათ მომწიფდე მუწუკი.“

აცრიატდება-ა ამინდი შეიცვლება, სიცივეს გამოუშვებს; მოიღრუბლება და წერილ წვიმას მოაყოლებს. „ღროზე მოვიშოროთ ემ საქმე, თორე ისეთი პირი უჩანს, მალე აცრიატდება და ყველაფერ გაგვიფუჭეფს.“

აცრიატება ამინდის შეცვლა, მოღრუბვლა, სიცივეების დაჭერა. „ემ აცრიატება ვერ შეგვაშინეფს, უფრო ვგრილება და მეტი ხალისით ვიმუშავეფთ.“

აცრიატებულ-ი მოღრუბლული, შეცვლილი ამინდი, აციებული. „ისეა აცრიატებული, კაი ხან აღარ გამოიდარეფს.“

აძრებ-ა აზრება. „ბავშვ სიცივისაგან ხელები აძრება.“

აწვერება აშარება, შარის მოდება, საჩხუბრად გაწვევა. „ემ აწვერება ყველაძთან არ გაგვივა, ვილაცა იქნება, ცხვირ-პირ ამოგინაყამს.“

აწონწიალებ-ს აჭიანურებს, დრო გაჰყავს. „რამ აწონწიალეთ, აიღე და მიეცი!“

აწონწილებ-ს ცოტ-ცოტას აძლევს, ცოტ-ცოტას უყოფს (საჭმელს...). „რამ აწონწილეთ, ნეტა მანდ რა არი გასაყოფი, აიღე და სუ მაგ ბავშვ დაუტოვე.“

აწონწვა უშნოდ ტანის აყრა, ჩვეულებრივზე უფრო მეტად აზრდა (თანაც წვრილი ტანი რომ აქვს). „გენაცვათ, რა იყო ესე აწონწვა, აღარ უშლიან?!“

აჭანჭახება ატალახება, ალაფება, ათქვლეფა გომისა, ფარეხისა... „ესე აჭანჭახება საქონელ ხეირ არ დააყრის, გომი დროზე თუ არ გაეამშრალეთ, დაგვეხოცება.“

აჭანჭახებულ-ი ატალახებული, ალაფებული, ათქვეფილი „ისეა აჭანჭახებული ეს ფარეხი, აქ ცხერი დადოლება არ იქნება, ეიზარელეთ.“

აჭლაპუნებ-ს უშნოდ ღეჭავს (კეცს), ხმაურით ჭამს საჭმელს. „წესიერათ ჭამა როდი უნდა ისწავლო ამ ბიჭმა, ნახე, როგორ აჭლაპუნეთს.“

აჭონჭოხება იგივეა, რაც აჭანჭახება. „რა უცებ იციან გომი აჭონჭოხება ამ ძროხემა.“

აჭონჭოხებულ-ი იგივეა, რაც აჭანჭახებული. „მაგ აჭონჭოხებულში არ დააბა საქონელი, გაამშრალე.“

აჭოტვა უპატივც. აყუდება და დგომა. „ამხელა მუტრუკეფს თელი დღე ბირჯაზე ესე უსაქმურათ აჭოტვა ნეტა არა იწყინდებათ?!“

აჭოტილ-ი უპატივც. აყუდებული. „სუ სკოლი გვერდით არი აჭოტილი, ამასა მგონია, გოგოები დამინახამენ და მოვეწონებო.“

აჭყლაპუნებ-ს აჭყაპუნებს. „ამ ახალი ფეხსაცმელებით რო ჩამდგარა წყალში და აჭყლაპუნეთს, რატო არ უშლით, არ გენანებათ მაინც?!“

აჭყლობინდებ-ა ცყლობინს დაიწყებს, უშნოდ ატირდება (ბავშვი). „რა ცუდი ჩვევა აქ ამ ბავშვ, რო აჭყლობინდება, მერე კი ვეღარ გააჩერეთ.“

აჭყლობინებ-ს უშნოდ ატირებს (ბავშვს). „დაანებე თავი, მოგწონს, ეგე რო აჭყლობინეთ მაგ პატრა გოგომ.“

აჭყლობინება ცყლობინის, უშნო ტირილის დაწყება. „ამი აჭყლობინებალა გვაკლდა.“

აჭყლობინებულ-ი უშნოდ ატირებული. „ესე აჭყლობინებული რო დამიტოვე, მე ამ ბავშვი გამჩუმებული ვარ?“

აჭყაპდებ-ა ატალახდება. „კარგი, მაგდენი მორწყვა არ უნდა ამ ეზომ, თორე ისე აჭყაპდება, კაცი ველარ გაივლიდ.“

აჭყაპებ-ს ბევრ წყალს ღვრის და ატალახებს. „ნუ აჭყაპეფ მანდაერობად, სარეცხი მინდა გავფინო.“

აჭყაპება ბევრი წყლის დაღვრა და ატალახება. „რათ უნდოდა ესე აჭყაპება, ცოტა მრგეწკაპწკაპებინა და ეყოფოდა.“

აჭყაპებულ-ი ატალახებული (დაღვრილი წყლისაგან, ან წვიმისაგან). „ისეა აჭყაპებული ემ გზები, ერთი კვირა ვერ გაშრება.“

აჭყობებ-ს იგივეა, რაც აჭყაპებს. „რათ გინდა, რო ეგე აჭყობეფ მაგ ბახჩაი.“

აჭყობება იგივეა, რაც აჭყაპება. „აჭყობება თუ მინდოდა, მე თითონ ავაჭყობებდი.“

აჭყობებულ-ი იგივეა, რაც აჭყაპებული. „ვენახი ისეა აჭყობებული, რო მაისამდე ვერ გაშრება და ვერც დაიბარება.“

ახალთესლ-ი ქერის ერთ-ერთი სახეობაა, ორკუთხა, ორფხა. გაზაფხულზე ითესება. მსხვილი და თეთრი მარცვალი აქვს, ბზე და ბურდოც უფრო თეთრი, ვიდრე ქერსა და პურს. საქონელი ძალიან კარგად ჭამს. როცა კომბაინები არ იყო, ხელით გლეჯდნენ. „მოსწავლე გოგოები გამოეყვანათ და ახალთესლ იმათ აგლეჯინებდნენ.“

ახენცაგ-ს, ახინცაგ-ს ერთად შეყრის, შეკრებს, დიდ-პატარას ერთმანეთში არევს. „ახენცამს თელი უბნი აღლაუჭობად და ატიალებინეფს ვენახეფს.“

ახენცვა, ახინცვა დიდ-პატარის ერთად შეყრა, შეკრება. „რა იყო მაგოდენა ხალხის ახენცვა, სად უნა დავეტიოთ ნეტავი.“

ახენცილ-ი ერთად შეყრილი, შეკრებილი. „ემ აღლაუჭობა შენი ახენცილი იქნება.“

ახინცაგ-ს იხ. ახენცაგს.

ახინცვა იხ. ახენცვა.

ახინცულ-ი იგივეა, რაც ახენცილი. „თელი დღე ესე ახინცულეები დადიან და ანადგურებენ ვენახეფს.“

ახორხლია ძალიან ბევრი ასხია. „ნახე, როგორ ახორხლია ამ პაპაძხილ, სუ ტოტები ეზნიქება.“

ახთხილ-ი უშნოდ მაღალი და მხრებში მოხრილი (ადამიანი). „ერთი ახთხილი კაცი დადიოდა ქალაქიდან ჩვენ სოფელში და ბატიბუტი დაძქონდა.“

ახროვებ-ს ახენცავს, თავს უყრის, ერთად კრებს. „ნეტა ვიცოდე, სად ახროვეუ ზოლმე ამოდანა შენსავით წელმოწყვეტილ ბიჭუეს.“

ახროვება ახენცვა, თავის მოყრა, ერთად შეკრება. „მაგათ ახროვებამ რა უნდა, ერთი დაუშტვინე და მაშინვე აქ დაერჭობიან.“

ახუნძლია იგივეა, რაც ახორხლია. „ჩვენ კაკალ ყოველ წელიწად ესე ახუნძლია.“

ახუნხულ-ი აბუნხული, მხრებაწეული. „რა ახუნხული მღვეხარ მაგ კუთხეში, ცოტა წინ წამოდი!“

ახში: ახში ერთხელ იშვიათად. „ახში ერთხელ ჩვენც გაგვიღიმეფს ზოლმე ბელი.“

აჯაგრაგ-ს ჯაგარს (ბალანს) აუშვებს; ქორორს (ბუმბულს) ყალყზე დაიყენებს. „ნახე, ეს ღორი როგორ აძაგარამს ზოლმე და საჩხუბრათ გაემზადება.“ „ჩვენი მამალა ქორორ აძაგარამს და მეზობლი მამლეფს დაერევა.“

აჯაგრა ჯაგარის (ბალნის, ქორრის) აშვება. „ერთი იმ მამლი აჯაგრა ნახე!“

აჯაგრულ-ი ჯაგარ (ბალან, ქორორ) აშლილი. „ტახები ისე იყენენ აჯაგრულები, იქ რო არა ვყოფილიყავით, ერთმანეთ დაამჭამდნენ.“ გადატ. ადამიანზეც იტყვიან: „ნეტა რატოა ესე აჯაგრული, ვინ რა აწყენინა?“

აჯაჯვა 1. ტანსაცმლის უშნოდ ჩაცმა, დიდი ზომის ტანსაცმელი რო აცვია, უფრო მაშინ იტყვიან: „რამ გიყვარს მამაშენი ტანსაცმლი აჯაჯვა, ერთი სარკეში ჩაიხედე, რასა მგვეხარ!“ 2. უპატივეც. მძიმე-მძიმედ წამოდგომა. „თქვენ წადით, შვილო, ამი აჯაჯვამ თუ უყურეთ, საღამომდე ვერ ახვალთ ტყეში.“

აჯაჯია უშნოდ, ულაზათოდ აცვია. „რა არი, როგორ აჯაჯია ამ ქალ, ესე როგორ უნა იაროი ხალხში.“

აჯაჯულ-ი უშნოდ, ულაზათოდ ჩაცმული. „ესე აჯაჯულმა როდემდე უნდა იარო.“

აჯაჯულ-დაჯაჯულ-ი იგივეა, რაც აჯაჯული. „ემ აჯაჯულ-დაჯაჯული ქალი როგორ მომეწონებოდა.“

აჯთოლღაგ-ს ზეზვევიდან მოჭამს, უნდომლად შეჭამს (საქონელი). „ბევრ თივამ ნუ დაუყრი, თორე აძოლოლამს და გადასაყრელი გაგინდება.“ ზოგჯერ ადამიანის მიმართაც იტყვიან: „შენ რაღაც აძოლოლდე, ეტყობა, საჭმელი არ მოგეწონა.“

აჯოლღვა ზევზევიდან მოჭმა, უნდომლად ჭამა. „რა ცუდი აჯოლღვა იცი ამ ძროხამ.“

აჯოლღილ-ი ზევიდან მოჭმული, დარჩენილი (თივა, ბზე, ბურდო) „აჯოლღილი თივა თუ გიყრია, არ გადადყარო, ვირეფს შავაჭმევ.“

აჯონჯლია იგივეა, რაც ახუნძლია. „წლეულ ხილ მაგრა აჯონჯლია.“

აჯონჯლილ-ი ძალიან დასხმული (ზეხილი). „ესე აჯონჯლილი ბალი არსად არ მინახია.“

ბა, ბაო, ბაუა ჩვილი, ძუძუთა ბავშვი. „აი, ნახე, შენსავით პატრა ბაუა მყავთ ამათაც.“ „ბა გინდა განახო, ბა?“

ბაბია ბაბა, პური (ბავშვის ენაზე). „ბაბია გინდა, შვილო, მოგიტეხო, ბაბია.“ „შენ, ჩემო კარგო, იმ ჭირვეული ბავშვისა არ იყო, ჩიჩიაც გინდა და ბაბიაც, ვერე სად არი?!“

ბაბლ-ი 1. ბაბლის საბანი. ნაჭრებიანი საბანი. „ბაბლი საბანი შეუკერე ჩემ ქალ.“ 2. დასტურდება ერთ საბავშვო ლექსში, ოღონდ მისი მნიშვნელობა არ იცინა: „აბლი, ბაბლი, ოქრომ ტახტი...“

ბაბო, ბაბუა დიდება, ბებია. ბაბო მხოლოდ მიმართვისას იხმარება, დანარჩენ ბრუნვებში „ბაბუა“ გვხვდება ფუძედ: ბაბუა-მ, ბაბუა-ს, ბაბუა-სი... „გამარჯობა, ბაბო, როგორა მძმანდებით?! მალ-ლოფთ, შვილო, შენ როგორდა გყავ ბაბუა?“

ბაბორ-ი ბეწვის საყელო. „სასიძომ მშვენიერი ბაბორი მიაართვა საცოლე.“

ბაბუა იგივეა, რაც ბაბო, ოღონდ მათ შორის ხმარებისას ერთგვარმა განსხვავებამ იჩინა თავი. ტერმინი „ბაბო“ ნებისმიერი ბოხუცი ქალის მიმართ ითქმის, „ბაბუს“ კი მაშინ ამბობენ, როცა საკუთარ დიდებაზე ან კონკრეტული პირის (შენი, თქვენი, მისი...) დიდებაზე საუბრობენ: „ბაბუა (ჩემი ბაბო) ჩამოვიდა და ჩურჩხელები ჩამომიტანა.“ „რა მოგიტანა ბაბუამ (შენმა ბაბომ).“ „ბაბუა (იმისი ბაბო) თუ ჩამოუვიდა?“

ბაგა ახალჩაყრილი ვენახი. გარდა ამისა, გარეკახეთის ზოგიერთ სოფელში (მარტყოფში, ნორიოში...) „ბაგას“ უფრო ფერდობზე მოვაკებული და შემოლობილი ადგილის მნიშვნელობით ხმარობენ. „ალიქედზე (ადგილის სახელია) ერთი პატრა ბაგა გავაკეთე და არ ვიცი, ხეხილი ჩაყარო თუ ვენახი.“

ბადურა ხელჩანთა, აგა. ბადისებურად ნაქსოვი. „ბადურაში ნუ ჩაიყრი კაკალ, გზაში დაგეფანტება.“

ბათარა იხ. ბათურა.

ბათურა სქელკისერა და დიდთავა ძაღლი, ბომბორა. „ჩვენ ბათურამ ვერც ძაღლი მოერევა და ვერც მგელი.“ გვხვდება ძაღლის სახელად და კაცის მეტსახელად.

ბაირამობ-ს ქეიფობს, დროს ატარებს. „ჩვენ მუშაობით დაეიხოცენით, ემ კი თურმე აქა ბაირამოფს.“

ბაირამობა ქეფი, დროსტარება, უდარდულობა. „არ მორჩი მაგ ბაირამობამ, წამო ახლა, ცოტა გააკეთე რამე!“

ბაკაკა ცხვარი (ბავშვის ენაზე). „პაპიკო, ერთი ბაკაკა დამიჭირე რა!“

ბაკიბუკებ-ი ოჩოფეხები, რომლებსაც გარკვეულ სიმაღლეზე კაუჭები აქვს, ან ხელოვნურად საფერხულები აქვს გაყრილი. ბავშვები შედგებიან ამ ბაკიბუკებზე, დადიან და თამაშობენ. „ეეჰ, ბავშვობაში მეც რამდენჯერ მდგარვარ ბაკიბუკებზე.“

ბაკუკებ-ი იგივეა, რაც ბაკიბუკები.

ბაკლა 1. მოხარშული და ამოუხეღავი ლობიო. „სანამ ამომხეღამდე მაგ ლობიომ, ცოტა ბაკლათ ამოგვიღე.“ 2. სიმინდის ბაკლა. ხმელი სიმინდი (მარცვალი) მოხარშული და ნიგვზით შენელებული. გემრიელი საჭმელია. „კაი ხანია სიმინდი ბაკლა არ გვიჭამია, მოდი დღემ მოვხარშოთ!“

ბალა, ბალია კოჭლი. „ბალამ ან ბალიამ იმამ ვეძახით, ვისაც ერთი ფეხი ოდნავ მოკლე აქ მეორეზე. ეგეთი კი ორივე გვყვანდა სოფელში.“

ბალბალუკა ბალბის ერთ-ერთი სახეობაა. მზლად აკეთებენ. თუმცა, როგორც ეტყობა, ბალბას ჩამოუვარდება. ჩაწერილი გვაქვს ერთი ასეთი თქმულება: „თურმე ერთი სასიძო ესტუმრა სიმამრს, რომელიც ძალიან ღარიბი ყოფილა. სიდედრს მხოლოდ ბალბის მხალი მიუტანია სუფრაზე, სასიძო კი ქათამს ელოდებოდა და პირი არაფრისთვის დაუკარებია. დრო რომ გავიდა და სხვა აღარაფერი შემოუტანიათ სუფრაზე, სასიძოს უკითხავს: „ემ რა კერძიაო?“ სიდედრს მაშინვე უპასუხია: „ბალბი მხალიაო.“ „მე ბალბალუკა მეგონა, თორე ბალბამ როგორ არა ვჭამო“, უთქვამს სასიძოს და ჭამა დაუწყია.“

ბალთავ-ს დაუნანებლად ჭრის. „ეგ შენი მეზობელი ტყეში არ შიიშვება, ყველაფერ ერთიანათა მბალთამს.“ გადატ. ზოცავს, ულეტს. „მგელი ყველაზე გაუმადლარი ცხოველია, ფარად რო დაერევა, ერთიანათა მბალთამს, წაღებით კი ერთი მიაქ.“

ბალთვა დაუნდობლად ჭრა, კაცვა. „აბა, შენებურათ კი არ მომყვე ხეხილი ბალთვამ, უვარგისი ტოტები შააჭერი.“

ბალია იხ. ბალა.

ბალისკუნწულა გადატ. ძალიან ლამაზი. „როგორ არი ჩემი ბალიკუნწულა, იმამ ენაცვალომ ბაბუა.“

ბამბიძეველა ბამბის ძველი ტანსაცმელი, გაცვეთილი ნაჭერი. „ერთი ბამბიძეველა გვედება რამე, ჩექმებზე მინდა დავიხვიო, ფეხი მიცურამს.“

ბანტიან-ი გოგოს ეპითეტია. „პაპა, შვილიშვილი შეგეძინა, შვილიშვილი, ახარეს ვენახიდან მოსულ პაპას. — რა გვეყოლა, ბანტიანია, თუ კრანტიანი? — ბანტიანია, ბანტიანი! — ვენაცვალე, დამტირებული მომსვლია!“

ბანცალ-ი ბარბაცი, უშნოდ სიარული (მთვრალისა). „რა ცუდი ბანცალი იცის ამ კაცმა, აბა, თუ წავიდე და დაისვენოდ.“

ბანცალეზ-ს ბარბაცებს, უშნოდ დადის აქეთ-იქით (მთვრალი კაცი). „არსად წაიჩეხოდ, ეგე რო ბანცალეზს, მიდი, მიხედე.“

ბაო იგივეა, რაც ბა. „აბა, მითხარი, შენ ვისი ბაო ხარ?“

ბარაქაგამოლეულ-ი უბარაქო, გაღარიბებული. „ეგ ისეა ბარაქაგამოლეული, სუ ტყუილათა გაქ იმედი, არაფერ მოგცემს.“

ბარაქაგამოცლილ-ი უბარაქო, უღალო. „ამ ბარაქაგამოცლილ ნაკვეთში რა ხეირი უნა ნახოდ კაცმა?“

ბარაქაგამქრალ-ი იგივეა, რაც ბარაქაგამოლეული. „იმ ბარაქაგამქრალმა ამაზე მეტი ვერ გაიმეტა, ხო?“

ბარაქაგასაქრობ-ი წყევლაა, ვისაც ბარაქა არ უნდა ჰქონდეს, ვის ოჯახშიც ბარაქა არ უნდა შევიდეს. „ეგ ბარაქაგასაქრობი, როგორ ყველაფერ გაიწყვეტამს ხოლმე, აბა, ერთი თავისი ვინმე ყოფილიყო, არც იმამ გამოუჩენდა?“

ბარაქაგაწყვეტილ-ი იგივეა, რაც ბარაქაგამოლეული. „იმ ბარაქაგაწყვეტილთან, მოდი, ნუ გამგზავნი, ვიცე, ხელცარიელ გამომაბრუნე.“

ბარაქაძაღლ-ი სალანძღავი სიტყვაა. ცუდი, უხეირო კაცის მიმართ იტყვიან. „მაგ ბარაქაძაღლმა აბა, ერთხელ მაინც გაუმართოდ ვინმეა ხელი?!“

ბარდღლ-ი იგივეა, რაც ბურდღლი.

ბარდღლიან-ი იხ. ბურდღლიანი.

ბარიბარში თანაბრად, თანასწორად. „ყველაფერი ხო დაგობრუნა, ახლა რალა გინდა, ბარიბარში ხართ.“

ბასრაგ-ს სისხლით სვრის. „დაკლული ქათამი ხელში უჭირამ და აქაერობამ სისხლითა მბასრამს.“

ბატიბუტის სიმინდ-ი სიმინდის ერთ-ერთი ჯიშია. წვრილ მარცვალს იკეთებს, მისგან ბატიბუტს აკეთებენ. „მინდა, ერთი ემ ბატიბუტისიმინდიც დავთესო და ბავშვები გაეახარო.“

ბატკნიდელა მეწველი ცხვარი. „მეცხვარეები შუადღისამ ბინაზე მიდრეკამენ ბატკნიდელამ და ერთ-ორ საათში გამწველიან ხოლმე.“

ბატკო საბავშვო თამაშის დროს, გათვლისას სახმარი სიტყვაა: „ატკო, ბატკო, სამბასო, სამბას იქით ვითანგო...“

ბაქიბუქა ბაქია, მკვეხარა, ტრაბახა. „ნეტა მაგ ბაქიბუქამ რა ყურ უგღეფ, რა დაეჯერება.“

ბაღვა ხილის ერთიანად (მწიფე-მკვასის) გაკრეფა. „მაგათ მართო ბაღვა იციან, ხეხილ რო მოვლა-პატრონობაც უნდა, ეს სუ არ ენაღველებათ.“

ბაღვაგ-ს ერთიანად კრეფს ხილს. „ეს ქურდები რო გადადიან და მბაღვამენ იმ თქვენ ბაღვებს, რატო ყურადღებამ არ აქცევთ?“

ბაღურ-ი/ა; ბაღური კომში კომშის ერთ-ერთი ჯიშია, მეტად მსხვილ ნაყოფს ისხამს. „ყველამ გაიჩინა ეს ბაღური კომში, მე კი ვერა და ვერ ვამყნე.“

ბაყილო ახალგაზრდა კაკლის ხე ათიოდე წლისა, ახლად რომ გამოისხამს ნაყოფს. „ჩვენ ბაყილოებს, ნახე, რა მაგრა ასხია, ეტყობა, მართლა კაი ჯიშისაა.“

ბაჩა დაბალი, პატარა ტანის კაცი. „ეს ბაჩა სადღა ებზაკუნება, ეს რაღა მაყრეფში გამოსაჩენია?“

ბაცალა ცალხელა, მარჯვენა ხელი რომ აკლია. „ერთი ცალხელა ქალი გვასწავლიდა სკოლაში და ყველა ბაცალად ეძახდა, ნამდვილი სახელი არც კი მახსოვს.“

ბაწარ-ი მატყლის ძაფი. „მოდი, შვილო, ეს ბაწარი ამომაგრეხინე, წინდები უნა დაგიქსოვო.“

ბაწრინემს-ი მსხვილი ნემსი, რომლითაც ლეიბს კერავენ. „ქალაქში რო წახვალ, რამდენიმე ცალი ბაწრინემსი მიყიდე და ჩამომიტანე.“

ბაწრინწინდებ-ი მატყლის წინდები. „ორი წყვილი ბაწრინწინდები გაცვია და ფეხები მაინც გაძრება?“

ბაჭყატ-ი ბაყაყი. „ბაჭყატები არ ღამზოცოთ, თორე იცოდეთ, გაწვიმდება.“

ბახალა გადატ. უდედოდ გაზრდილი ბავშვი, რომელსაც დედა მშობიარობისას დაელუპა. „მაგიმ გაჩენამ გადაწყვა მაგიმ დედა და ბახალად იმიტომ ეძახიან.“ მეტსახელია კაცისა.

ბაჯაჯღანა დაბალი ტანის, უშნო, ულამაზო ადამიანი. „ამ ჩემი ცოდით სამსეა ეს ბაჯაჯღანა რუსეთიდან რო არ ჩამეყვანა, აქ ცოტანი იყვნენ?“

ბაჯუჯაბ. ქათამი, მტრელი, რომელსაც ფეხები ბრჭყალებამდე ბუმბულით აქვს დაფარული: „ქათმები მეტი რა მყავ, მაგრამ მათ შორის სამია ბაჯუჯაბ.“

ბუბერა. ობობა. „ერთი კვირა არ ვიყავ შინ და ათახი ბუბერებით გამსებულიყო.“

ბებრისია. იის ერთი სახეობაა. მკრთალი ლურჯი ფერი აქვს. თანაც სუნითაც ჩამორჩება. ნამდვილ იას, ცოტა უფრო გვიან ყვავის. „კაი ია ეხლა სადღა იქნება, ბებრისიამ თუ მოვკრფვამთ.“

ბეგანა. გადატ. უდარდელი კაცი, გული რომ არაფერზე შესტკივა და საოჯახო საქმეს ზერულად აკეთებს. „ამითანა ბეგარა კაცი გინახამთ სადმე? მე რამის ქანცი გამწყდემ, ამაჲ კი აულიათაჲ და გარეგარე დადი.“

ბედღამგირებულ-ი. ბედღამწვარი, გაუთხოვარი. „რავი, რა ჯიში აქვთ, ყველა მაგათი ქალი ვგი ბედღამგირებულნი როგორ არი?!“

ბედიმწერელ-ი. ბედის მწერალი, ზეციური არსება. „რასა ბედომწერელი დააწერს კაც შუბლზე, ცხოვრებაში ისე წაუთ საქმე.“

ბედრანგ-ი ცული, უშნო, უღაზათო. „ეა რა ბედრანგი რაღაცა ჩაგიცვია, კაცო, მაგით ზაღხში როგორ უნა გახვიდე?“

ბეჟ ცხერის მოსახმობი, ძახილი. „ბეჟ, ბეჟ, მოდი და მოტაალდი, შე უპატრონოჲ!“

ბეთალმან-ი ოხერი, უპატრონო (პირუტყვზე იტყვიან): „დიდო, გადადგი ფეხი, შე ბეთალმანო, შენა!“

ბერა ბაკი, შუა ბაკი, იხ. ბერაბაკი.

ბერაბაკ-ი შუაბაკი. ყოველ ბინაზე სამი ბაკი აქვთ: წინაბაკი, ბერაბაკი (ანუ შუაბაკი) და უკანაბაკი. ბერაბაკი ყველაზე პატარაა, ამაში ბატონის ფარას ამწყვდევენ: ღამით, დღისით დედაცხვარს (ფარას) წველიან. უკანაბაკში კი, რომელიც ყველაზე დიდია მოცულობით, დედაცხვარია ღამით. დამწყვდევული წინაბაკში კი — მშრალი ცხვარი.

ბერაში გატარება დედაცხვარის გაწველა: „ბერაში გატარება სანამ არ მოერჩებით, მანამ ვერსად ვერ წამოვალ.“ გადატ. ცემა, გატყევა. „სად იყავ, ბიჭო, თელი დღე დაკარგული? მოდი შინა და თუ ბერაში არ გაგატარო, იმასაცა მნახამ.“

ბერიყელ-ი ბერაბაკის ვიწრო გასასვლელი, სადაც სამ-სამი, ზოგჯერ ორ-ორი მწყემსი (აქეთ-იქით) ზის და ცხვარს (ფარას) წველის. მთელი ფარა უკანაბაკშია შერეკილი, იქიდან ნაწილ-

ნაწილ (ოცი-ოცდაათი) ერეკებიან ბერაბაკში, სადაც ერთი მწყემსი ტრიალებს. ის არეგულირებს, ვის მიუგდოს ცხვარი მოსაწველად. ეს მწყემსი ჩვეულებრივ ან მოხუცია ან პატარა ბიჭი, რომელმაც ჯერ წველა არ იცის. ბერიყელში მჯდომი პირველი მწყემსი ჩაჰკიდებს ხელსა და გაიყვანს ცხვარს მოსაწველად, ერთმანეთს ხელი რომ არ შეუშალონ, მეორე (გვერდით მჯდომი მწყემსი) გამოართმევს ცხვარს, მეორეს — მესამე. ასევე იქცევიან მეორე მხარეს მსხდომი მწყემსებიც. ე. ი. ერთი ცხვრის მოწველა სამ მწყემსს უწევს, სწორედ ამ პროცესს ჰქვია „ბერაში გატარება.“ ბერაში გატარებული ანუ გაწვევლილი ცხვარი წინაბაკში შედის.

ბერწ-ი მუცელმომოლილი საქონელი, პირუტყვი, რომელმაც მკვდარი ნაშიერი დაბადა. „ბერწ იმამ ვეძახით, რომელიც მკვდარ ხბომ, ბატკან, ციკან, საერთოთ მკვდარ შვილ გააჩენს ან ნაადრევთ მოეშლება მუცელი და აღარ იმაკეფს.“

ბექ-ი გადატ. კერპი, გაუტეხელი, თავისნათქვამა ადამიანი. „გ ისეთი ბექია, სიტყვამ ვერ გადაათქმევინეფ.“

ბეხლეწ-ი დიდი, მაღალი ტანისა და უშნო შესახედაობის კაცი. „გადაწყვანეფ ემ პატრა ბიჭი და ერთი ბეხლეწი არ დამჭიდეფ, აბა, იმამ მეერეოდა?!“

ბეყე უტვინო, გამოჩერჩეტებული. „ნეტა მაგისი შენ რა გესმია, შე ბეყე, შენა!“

ბეჯაათ-ი საეჭვო, სათუო. „ბეჯაათია, ი ჩვენთან მოვიდეფ.“

ბზაკუნ-ი აღვენება, ატორღიალება, უკან გაყოლა, როცა მისი წაყვანა არ უნდათ. „არა და არ მაიშალა ამ კაცმა ემ ბზაკუნი.“ „ნეტა შენ სადღა ებზაკუნები, შენ ვინ გეპატიჟება?“

ბზუკ-ი ბზიკი, დიდი ბზუხია, მწარედ იკბინება. „რა ბზუკმა ვიკმინა, რატო აღარ მომიღხარ ჩვენთან?“ მეტსახელია კაცისა.

ბზუკუნ-ი ზლუქუნი, გულამოსკვნილი ტირილი. „ოჰ, რა ცუდი ბზუკუნი იციამ ამ გოგომ.“

ბზუკუნეფ-ს ზლუქუნებს, გაბმით ტირის. „თელი დღე სუ ესე ბზუკუნეფს და არ ვიცი, როგორ გავაჩუპო.“

ბიო ბიჭო. ამ სიტყვის ასეთ ფორმას ახალსოფლებლები ხმარობენ, ნორიო-მარტყოფელებს ეს შენიშნული აქვთ და გამოაჯავრებენ ხოლმე, წარამარა ეკითხებიან: „რას ამოფ, ბიო?!“

ბირჯა სოფლის სალაყბო, თავშეყრის ადგილი „დილიდან გავა იმ ბირჯაზე და დგა, თითქომ შინ საქმე არა მქონდეფ.“

ბიჭაჭუა ბიჭური ქცევის გოგო, რომელიც უფრო მეტად ბიჭებთან თამაშობს, ვიდრე გოგოებთან „მაგამ ხო ქალი საქმედ

ვერ დაავალეფ, ბიჭაჭუაა, სუ ერთთავათ იმათთან უყვარს ტანტალი.“

ბიჭოგოგია მოლალური. ლამაზი, მოზრდილი ჩიტია. ჭალებში ბინადრობს. ხმიანობისას ადამიანს ბაძავს და თითქოს ამ სიტყვებს — ბიჭო გოგიას — იძახის ეს სახელიც ამიტომ დაურქმევიათ „მაგ ჩიტ თუ მოლალური ერქვა, გვიან გავიგე. ჩვენ ბიჭოგოგია ვეძახით.“

ბიჯო ბიჭო. „რაგინდა, ბიჯო, ჩემგან, რატო თავ არ დამანებეფ?“

ბიჯოს! ბიჭოს! — გაკვირვების გამომხატველი შორისდებულია. „ბიჯოს, შენ აღარა იხუმრობ!“ „არ მინდა და არ გავაკეთეფ, ბიჯოს!“

ბლაყუნ-ი უშნოდ სიარული, აქეთ-იქით ხეტიალი. „აბა, თუ დანებობ თავი ამ ბლაყუნ და საქმე მოიკიდომ ხელი.“

ბლაყუნა ვინც ბლაყუნით დადის. „ეე ჩვენი ბლაყუნაც მოსულა.“

ბლოყინ-ი ბოყინი. „რა დემართა ამ ბავშვ, რა ბლოყინი აუტყდა. ცოტა წყალი დააღვეინე და გაუვლის.“

ბლუფ-ი ბლუ. „მოდი, ისევ შენ მითხარ, თორე ი ბლუვი ვერფერ მაგებინეფს.“

ბლუჩუნა იგივეა, რაც ბლუვი. თუმცა ასეთი გამოთქმაც ჩავიწერეთ: „ეე მე ბლუვი მეგონა და თურმე ბლუჩუნაცა ყოფილა.“

ბობ-ი ერთგვარი სენია, ადამიანს ფეხის თითებში უჩნდება, ნიკრისის ქარი. „რა არი, ბობი ხო არ გაგინდა, რატო ვგრე იკოჭლოფ?!“

ბობიან-ი ბობით დაავადებული. „საწყალი, ნახე, როგორ იტანჯება, ძლივ დაქ ბობიანი ფეხები.“ გადატ. უშნო. ჩანჩურა ზანტი. „არ უყურეფ ამ ბობიან, ყველაზე ღიდი სახლი ამან წამოჭიმა.“

ბობლ-ი ვაზის ძირზე ამონაყარი ყლორტები. „პაპა შვილი-შვილებიც მიეხმარნენ და ვაზი ძირებზე რაც ბობლი იყო ერთ დღე გააცალე.“

ბოზბაშ-ი ცხვრის ხორცისა და ღუმისაგან დამზადებული წვნიანი კერძი. მოხარშულ ღუმას ძალიან წვრილად დაჭრიან (დაკეპვენ) და მოხარშულ ხორცს ჩააყრიან ქვაბში. გარეკახეთში, კერძოდ მარტყოფსა და მის მიმდებარე სოფლებში ამ კერძს აუცილებლად ამზადებენ ქელებში მიცვალებულის სულის მოსახსენებლად, თამადის ნებართვით როცა ამ კერძს შემოიტანენ

და სუფრაზე ჩამოარიგებენ მათლაფებით, თამადა მეორედ სვამს მიცვალებულის შესანდობარს (მესამედ შილაფლაკზე ისმება) და ასე ამთავრებს: „ნათელში ამყოფოდ ჩვენი მიცვალებული: პურით, ღვინით, ცხვრიდ სულით“, ყველანი უდასტურებენ „ნათელში ამყოფოდ,“ ღვინოს პურზე დააწვეთებენ ან მოტეხენ პურს და ღვინოში ჩაასველებენ. ფეხზე მდგარნი დალევენ და ისე დასხდებიან. ყოველი ახალი კერძის მიღებისას იტყვიან „მიაგებოდ“ ან „მის წილ იყოი გაშლილი“. ბოზბაში უმარილოდ არის დამზადებული, ყველანი თითონ აყრიან და ამბობენ: „მიაგებოდ“.

ბოიდაღ-ი ცუდი ყოფაქვეცის, სახელგატეხილი ქალი. „შენ მე ვინა გგონივარ, იმნაირ ბოიდაღეფთან გვერდით როგორ გავივლი?“

ბოკოტა, ბოყოტა მსხვილი. უფრო თითებზე იტყვიან. „ნახე, ბიჯო, რა ბოყოტა თითები აქ, მაგამ ვინ გაუძღეფს?“

ბორა¹: ბორაბუზ-ი ბუზია ერთგვარი, ფუტკრის ტოლი იქნება. დიდი გვალვების დროს საქონელს ეხვევა. მწარედ იკბინება. „ბორა ძან მანებელი ბუზია, კრაზანასავით იკმინება და თანაც სისხლსა აწოვს ბლომათ.“

ბორა²: ბორაცხვარ-ი უდუმო, გრძელრიკიანი და მოკლებე-წვიანი ცხვარი, „ბორამ (ბორაცხვარ) მატყლი არ უვარგა, ბეწვი მოკლე ეზდება, სამაგიეროთ ხორცი აქ ბევრი და მაგრათაც სუქდება.“

ბორაბუზი. იხ. ბორა: ბორაბუზი.

ბორაცხვარი იხ. ბორა: ბორაცხვარი.

ბორე-ბორე საბავშვო თამაშია ერთგვარი. ორი წყვილი თამა-შობს. კენჭს გამოიღებენ და რომელ წყვილსაც კენჭი არ შეხვდება, ღება მონიშნულ ადგილას, მეორე წყვილი მათ უკან იკავენს პოზიციას. წინა წყვილი მომრგვალებულ ხელებს ჭოგრი-ტივით მიიღებს თვალზე ისე, რომ მხოლოდ წინ იყურებოდეს, გვერდით კი ვერაფერს ხედავდეს. უკანა წყვილის ერთ-ერთი წევრი წინა წყვილის რომელიმე წევრს ზურგზე თითს დაადებს, რითაც აიძულებს წავიდეს, თითონ კი უკან გააჭყება. წინა წყვი-ლის ადგილზე დარჩენილი წევრი დაიძახებს: „ბორე-ბორე“, მეწყვილე გამოეპასუება: „ნათი ბორე!“ ადგილზე დარჩენილი ჰკითხავს: „ვინ გაგაპარა?“ ახლა კი გაპარულმა უნდა ამოიციოს გამპარებელი. თუ ამოიციო, მაშინ მეორე წყვილი დაიკავენს საწყის პოზიციას და ახლა მათ „გააპარებენ“. თუ ვერ ამოიციო, წაგებად ჩათვლებათ და იძულებულები გახდებიან ზურგზე მოი-კიდონ მეტოქეები და წინასწარ შეთანხმებულ ადგილამდე მიიყვანონ. ასე გრძელდება თამაში.

ბოროდინა გრძელი, განიერი, კოჭებამდე ჩაფართხუნებული ტანსაცმელი (პალტო, შარვალი, კაბა). „ჩაუცვია ბოროდინა პალტო და დაიჯგვიმება სოფელში.“

ბოლარა ბოთვერა, გრძელბეწვა, ბანჯგვლიანი და დიდთავა ძაღლი. „ეჰ, სადღაა, ან ვიღასა მყავ ი ბოლარა ძაღლები, ეხლა ფინიები ღრო დადგა.“ მეტსახელია კაცისა.

ბოლმა გადატ. გულღრძო, შურიანი ადამიანი. „მაგითანა ბოლმა კაცი მნახველი არა ვარ.“

ბოყ-ი გაფუჭებული ქლიავი ან ტყემალი. ახლად გამონასკეულ ნაყოფს თუ ხანგრძლივი წვიმები დაემთხვა, გაფუჭდება, ნაადრევად გაიზრდება, გათეთრდება, კურკას არ გაიკეთებს, მალე დაღპება და გასცვივა. სანამ მაგარია, ჭამა შეიძლება, განსაკუთრებით ბავშვები ეტანებიან. „წლეულ ქლიავი აღარ გვექნება, ამ ოხერმა წვიმამ ერთიანათ სუ ბოყათ აქცია.“

ბოყოტა იგივეა, რაც ბოკოტა. „იმ ბოყოტა თითებზე რა ბეჭედი წამოეცმება?“

ბოცოცა მსუქანი, სანდომიანი, გულმისასვლელი ბავშვი. ახლა იშვიათად იხმარება ეს სიტყვა, უფრო მეტსახელად გვხვდება. „მსუქანი, ლამაზი ბავშვი ვყოფილვარ და ბოცოცა იმითვინ დაურქმევიათ.“

ბოწკინტი-ი ბიჯგი, საყრდენი. „ნახე, თავზე როგორ ჩამოზნე-ქილა, ბოწკინტი თუ არ შაუყენეთ, თავზე ჩამოგვეზრევა.“ „ამ ვაშლ ისე ახუნძლია, ნამდვილათ ბოწკინტები დაიჭირდება, ტოტები რო არ ჩამეემტვრედ.“

ბჟანტი-ი/ე ნაჟური წყალი. მომლაშო. „ჩენი ვენახი თავში ბჟანტი წყალი გამოდი, იმითა ვრწყამ ხოლმე.“

ბოხვერა იგივეა, რაც ბოლარა. „რა უყავით ი ბოხვერა ძაღლი, ველარ ვხედამ“.

ბჟანტომ-ი ჭაობიანი ადგილი. „მაგ ბჟანტოფს რო მხნამ, რა უნა მოვიდემ ნეტავი?“

ბჟიტი-ი ბჟირი. წვრილი, მშიერი მარცვალი (ხორბლის, ქერის...) „წლევეანდელმა გოლვამ ძან გვაზარალა. ჯერ იყო და გვიან გამაიტანა თავთავი. მერე არც დაძსხვილდა, სუ ბჟიტად დარჩა.“

ბრანძიძველა ძველი, უვარგისი, დახეულ-დაგლეჯილი ტანი-სამოსი. „აბა, მამ რა ვქნა, ამ ბრანძიძველა ხო არ ჩავიცმევ?“

ბრასტაგ-ს ხოცავს, უღუტს. „ვეე ნადირივით რო დაერიე და ერთიანათა იბრასტამ ამ საქონელ, ცოლ-შვილ რაღა პირობაი ამღუე?“

ბრასტვა ხოცვა, უღუტა. იხ. გაბრასტვა.

ბრასტა ჩარტყმა, ხელის შემოკერა. „ერთი ისეთი ბრასტა აჭამე მაგამ, რო მეორე არ მოუნდო.“

ბრასტან-ი იგივეა, რაც ბრასტა. „რატო არ მაისვენეფ, თავში ბრასტანი ხო არ გინდა?!“

ბრასტაბრუსტი-ი ცემა-ტყეპა. „კატასავით მიმვარდა საწყალ ბიჭი ი ღუდაკაცი და ბრასტაბრუსტი აუყენა.“

ბრაცაბრუსტი-ი ბარბაცი, რყევა-რყევით სიარული. „ყოველ ღღუე ვეე რო დაითვრები და ბრაცაბრუსტით დაიღინხარ, სირცხვილი არა გაქ?“

ბრაცუნ-ი ფეხის თრევით სიარული. „ძველი ფინაგენტივით რა ბრაცუნით დაიღინხარ ამ ორღობეებში, ნეტა რამ დაეძეფ, ვიცოდუ.“

ბრახვა ხმაურით დაცემა, დავარღნა. „რაღაცამ ბრახვა გააღინა.“

ბარახვან-ი იგივეა, რაც ბრახვა. „ერთი გაიხუდე გარეთ, რა ჩამოვარდა, რამ გააღინა ბრახვანი.“

ბრეთელა ჭყეტელა. თვალეზდაბრეცილი. „შენ ბრეთელა დაუძახე, უსათვალოთ ვერა კითხულოფს ჟურნალ-გაზეთეფს?!“ მეტსახელია ქალისა.

ბრექ[გ]ა ბღენძვა, ჭიმვა. „მითომ რაო, რა ბრექვა დაგვიწყო, მაგამ ხო არა მგონია, შაგვაშინეფს.“

ბრექია ვინც იჭიმება, იბღინძება. „მაგითანა ბრექია ბვერი მინახამს ყურეფჩამოყრილი.“

ბრეცელა იგივეა, რაც ბრეთელა. „ნახე, ამ ბრეცელამ რა ქმარი იშოვა!“ მეტსახელია ქალისა.

ბრიმა ბრმა, ბრუციანი. „ერთი ბრიგადელი გვყვანდა და ბრიმად ეძახდნენ, მიწყინდა, ბრუციანი ვარ და არა ბრმა, ბრიმად რათ მეძახიანო.“

ბრმაკაურ-ი ქართული ჭიდაობის ერთ-ერთი ილეთია. „ბრმაკაური ყველაზე მაგარი ხერხია, მაგამ ყველაზე კარგათ თხუნელა, კახაბრიანთ იოსება, ხმარობდა, ეგ დალოცვილი ბრმაკაურ რო ამომდებდა, მერე სუ ტყუილი იყო, მოწინააღმდეგე ვეღარ ააშვებინებდა.“

ბრმაყროლობა განუკითხაობა, უსამართლობა. „ქვეყანამ პატრონი აღარა მყავ, ყველაფერი აირ-ღაირია, ნამდვილი ბრმაყროლობა.“

ბროგო სიტყვის მასალაა. ცალკე არ იხმარება, „გოგო“ სიტყვასთან არის შერთმულ-შეწყვილებული. ამ სიტყვით ტუქსავენ ხოლმე ონავარ გოგობს. „გოგო და ბროგო შენა.“ „გოგო, შე ბროგო ასატებო.“ „გოგო! აგიტყდე ბროგო! სადა ხარ აქამდე, შე სანაცილე, შენა?“

ბროლაგ-ს კაკალს ლენჯოს აცლის, „თელი დღე კაკალსა მბროლაძდა და ხელები იმიტო აქ დაშავებული.“

ბროლვა კაკლის გამორჩევა ლენჯოდან. „შენ კაკლი ბროლვაში მომეხმარე და მერე სადაც გინდა, იქ წამოგყვები.“

ბროტიალ-ი უსაქმოდ ფუსფუსი, წრიალი. „ბროტიალი დრო აღარ არი, დაანებე თავი ყველაფერ და წაიდე.“

ბროტიალობ-ს წრიალებს, უსაქმოდ ფუსფუსებს. „რა არი, რასა ბროტიალოფს, რატო არ მიდის?“

ბრტყენა, ბტყენა იხ. პტყენა.

ბრუცა ბრუციანი. „სად დამინახა იმ ბრუცამ, სუ ტყუილათ რატო მამრალეფს?“ მეტსახელია კაცისა.

ბრუცკა, ბრუწკა იგივეა, რაც ბრუცა. „გავიგე, მეზობლი ბრუცკა გოგო მოგწონებია.“

ბრუწკა იხ. ბრუცკა.

ბუგრ-ი ტილი, წილი, მკბენარი. „რაო, რა პტყელ-პტყელეფს ლაპარაკოფს, დიდი ხანია, რაც ბუგრი აღარ ახვევია?“

ბუგრიან-ი ტილიანი, წილიანი. „ეგ ბუგრიანი ბუგრიანი ნაშიერი ნეტა შენ როგორ გეტოლება?“

ბუდე ორმო; საბავშვო თამაშის, „ხუთკენჭობის“, დროს კენჭების ჩასაყრელი ადგილი.

ბუდნა ლობიოს, სიმინდის, კარტოფილის... დასათესად გაკეთებული ორმო, ბუდე, რომელშიც გარკვეული რაოდენობის მარცვალს ყრიან.

ბუდნა-ბუდნა თესვა ლობიოს, სიმინდის, კარტოფილის თესვის ერთ-ერთი მეთოდი. „ყველაფერ, ლობიო იქნება, სიმინდი თუ კარტოფილი, სუ ბუდნა-ბუდნა ვთესამ. ლობიოსა და კარტოფილ ხუთ-ხუთ ცალ ჩავაგდეფ, სიმინდ კი – ორ-ორ ცალ.“

ბუფ-ი ბუ. გადაგ. 1. დიდთვალეა და თმაგაწეწილი ადამიანი. „ი ქალი ვინ არი, ბუვივით რო გაუწეწია თმები?“ 2. გულჩახვეული, მიუკარებელი. „არა, მე არ შემიძლიან ამ ბუვთან ერთათ ყოფნა, თელი დღე ხმამ რო არ გაქცემს.“

ბუზალაკ-ი კელა, პარაზიტი მწერია ერთგვარი, საქონელს კბენს და ამწარებს. „ბუზალაკი თუ შაუძვრა საქონელ, მერე

მშვიდობით, სანამ სუ არ გაიყრეინებენ, ველარ გააჩერეუ, ისე ღარბიან.“

ბუზალაკობ-ს ღარბის, ვერ ისვენებს. „სიცხეში ძან ბუზალაკოფს საქონელი, თუ არაეინ მიეზმარა, ერთი მენახირე თაე ვერ დაუმგერეფს და ყანეფში გადაუვლენ.“

ბუზალაკობა ბუზალაკისაგან დაკებნილი საქონლის აქეთ-იქით სირბილი, მოუსვენრობა. „თვალი გეჭირომ, როგორც კი საქონელი ბუზალაკობა დაიწყეფს, მამინეე ჩირდილებისაკენ გარეეე.“

ბუზარაობ-ს იგიეეა, არც ბუზალაკობს. „ღლეე ძან დავიქანცე, ძან დიდი სიცხე იყო და საქონელი თელი დლე ბუზარაობდა.“

ბუზარაობა იგიეეა, რაც ბუზალაკობა. „ხბორები როგორც იყო შაერეეე გომში, ახლა ძროხებმა დაიწყეე ბუზარაობა.“

ბუზიკა პატარა გარმონი, წიკო-წიკო. „უბანში ერთი უშვილო დედაკაცი გვეყანდა, ყველანი ნინა ძალომ ვეძახდით, ძან კაი ქალი იყო. დავესხამდა თაეი ეზოში ეე ნინა ძალო უბნი აღლაუჭობამ, ხან ვაშლ, ხან მსხალ ჩამოგვირიგებდა, მერე გამაიტიანდა თაეი ბუზიკამ (პატრა გარმონ), დაუკრამდა და გეართობდა.“

ბუკნა სხვადასხვა სახეობის მუხლუხა მწერია, ბუსუსიანი. ზოგი ისეთი მავნებელია, რომ ერთიანად სპობს ფოთლოვან მცენარეებს, ბოსტნეულს (კომბოსტოს...) „ტყეპირეფში ბუკნა გაჩენილა ამ სიცხებეზე, სანამ ძან გამრავლდება, ეხლავე თუ არ მოესპეთ, თელ ტყეეფს გადაიჭამს და გააოხრეფს.“

ბუნგალ-ი მტკერი, ბღღერი, კორიანტელი. „ამ საძაგელ ბაეშეეეფს სუ ერთი წუთით დავანებე თაეი და ნახე, რა ბუნგალი დაუყენებიათ ოთახში.“

ბუნგალს აადენ-ს ამტკერებს, ააკორიანტელებს. „ძან ცელქი ბიჭები მყავ, როგორც გინდა დავალაგო სახლი, ესენი უცეეე ბუნგალ აადენენ.“

ბურდო კომბაინით გაღეწილი ხორბლისა და ქერის ღერო (ნამჯა), რომელსაც მხოლოდ მარცვალი აქეს გაყრეეინებული. უხეში საჭმელია, საქონელი ნაკლებად ეტიანება. გარეეკახეთის სოფლებში კევრით გაღეწილს ბზეეს უწოდებენ, კომბაინით გაღეწილს კი ბურდოს. „ამ გოლვამ ისე გადაახმო მინდვრები, რო ბურდოც კი სანატრელი გვექნება!“

ბურდღღ-ი ბურტყლი. ბუმბულის ან მატყლის, ბაღნის ნახურები. „გაავლე ეე ძაღლი იქით, ვერა იხეღამ, რო ბურდღღი გაიდის?“

ბურდღლიან-ი ბურტყლიანი, რასაც ბალანი, ბეწვი, ბუმბული სცვივა. „ნეტა ამ ბურდღლიან კატამ შინ როგორ აჩერეფთ?“

ბუსლუკ-ი ერთ-ორი თვის მსუქანი გოჭი. „რა კაი ჯიში ღორი გამოგადგა, ნახე, რა ბუსლუკები დაუზღია.“ გადატ. ლამაზი, ჩაპუტკუნებული ჩვილი ბავშვი. „ე რა კარგი ბუსლუკი გყოლიათ, ღმერთმა გაგიზარდოთ და გიმრავლოთ.“

ბუტრაობ-ს კოტრიალობს, ყირამალა გადადის (ლოგინში). „აბა, რომელია, რო ბუტრაოფს, ეხლავე ადგეა ზეზე?“

ბუტრაობა ყირამალა კოტრიალი (ლოგინში). „გეყოთ ბუტრაობა, დროზე ჩაიცვით და წადით სკოლაში!“

ბუტულაობ-ს შინიდან გარეთ არ გადის, ერთთავად შინ არის და რაღაცას ფუსფუსებს. „რასა ბუტულაოფს ემ კაცი, ნეტა რატო აღარ გადიმ გარეთ?“

ბუტულაობა ერთთავად შინ ყოფნა. „მაგოდენა ბიჭ ბუტულაობა აღარ შაგშენის, გადი გარეთ, შენც გაახილე თვალი, ნახე, ქვეყანა როგორ აშენდა.“

ბუტუსურ-ი/ა უქმური, უხასიათო, უმეზობლო, უამხანაგო, მიუკარებელი ადამიანი (უფრო ქალზე იტყვიან). „გეთი ბუტუსურა მეზობელი გინდა გყოლია და გინდა არა, ან რათ გინდა, თუ ვერ დაელაპარაკები.“

ბულია ხარი, რომელიც ტანადაც დიდია და თავიც ბულასავით მსხვილი აქვს. გვხვდება ხარისა და ხარკამეჩის სახელადაც. „ნახე, როგორი ბულიაა, ამისაგან მაგარი ხარი დადგება.“

ბულიტა საბუღედ დატოვებული ხბო ერთიდან ორ წლამდე. მერე უკვე ბულაა. „მაგ ბულიტეფს ნულა გამოიარეკამთ ნახირში, არც თითონა მძოვენ და ძროხეფსაც აწვალენ.“

ბუჩა ტანმორჩილი კაცი. ხშირად მეტსახელად გვხვდება.

ბუჩუყ-ი 1. ხურდა ფული. „ბუჩუყი არაფერი გექნება, ცოტა ხელი რო გამიმართო?“ 2. სიგარეტის ნაშწავი. „შენ რო სინდისი ქქონდე, სხვისა გადაყრილ ბუჩუყეფს არ დაუწყებდი მოწვეა.“

ბუცია ბრუციანი, ვისაც ცალი თვალი უფრო მოჭუტული აქვს. „ე ბუცია რო დაიმოწმე, ე რი დამნახავი იყო?“ მეტსახელია კაცისა.

ბუწკა თვალედაჭყეტილი და თმაგაბუებული ქალი. „ამ ბუწკამ, ნახე, რა ბიჭ დაადგა თვალი!“ მეტსახელია ქალისა.

ბუჭყიტა ჭყეტელა, თვალეგადმოკარკლული ადამიანი (საქონელზეც იტყვიან). „იჯდა ჩუმათ და თავი ბუჭყიტა თვალეფს არ მაშორებდა.“ ხშირად გვხვდება მეტსახელად.

ბუნება, ბუნება დაზრობა. „სიცივისაგან ხელები მებუნება.“

ბუნება იხ. ბუნება.

ბლავან-ი შინაური პირუტყვი, საქონელი. „კოლმეურნეობა კარგი იყო, აბა, რა გითხრათ, ვიძოვინ კარგი იყო და ვიძოვინ სატანჯველი. ჩემი მამა-პაპა იმოტოლა ცხვარ-ძროხი პატრონი იყო და კოლექტივმა კი სუ ყველაფერი წართო, ერთი ბლავანი რა არი, ბლავანიც აღარ დაუტოვემ.“

ბლარტაბლურტი-ი ხმაური, ფეხების ტყაპუნი. „დამინახემ თუ არა, თელი გოგო-ბიჭები ბლარტაბლურტით გაცვივდნენ.“

ბლერტაგ-ს სცემს. „მეველემ ბახში ბიჭები დაუჭერია და ჯოხითა მბლერტამს.“

ბლერტვა ცემა. „მე რო მკითხო, შენ ერთი კაი მაგარი ბლერტვა გინდა.“

ბლვლერძაგ-ს გლევს, ხევს. „რა ავია ემ ძაღლი, სადამ კი მიიწვდება ყვეალფერ მბლვლერძამს.“

ბლლარძაბლლურძ-ი ბურქებში ხმაურით სიარული. „ნეტა ვინ ან რა დადის ამ ბურქებში, რა ბლლარძაბლლურძი ისმია.“

ბლლარჯვნა 1. ბლავნა, ჩხანა, ჯღაბნა. „ლექსები ბლლარჯვნა მეც კი ვიცი, მაგრამ პოეტი კი არა ვარ. 2. წახდენა, გაფუჭება. „ვერ გადავაჩვიეთ ემ ბავშვები ამ მერხები ბლლარჯვნამ.“

ბლლარჯნი-ს ჯღაბნის, ჩხაბნის. „ი ბიჭი კელლევს რო ბლლარჯნიმ, მამ არ უნა გაუჯვარდე?“

ბბუნავ-ს, ბბუნაობ-ს — ხურავს, ატეხილია, მაკინტლობის დრო უდგას (ძაღლს, მგელს...). „ეტყობა ამ ჩვენი მეზობლი ძაღლი ბბუნავს და ემ ამოდონა უბნი ძაღლები ალბათ, იმიტომ ირევიან აქ.“

ბბუნაობ-ს იხ. ბბუნავს.

ბბუნაობა, ბბუნვა — ძაღლის, მგლის... მაკინტლობა, ახურება. „ბბუნაობი დრო რო დაუდგებათ, მგლები მაშინ უფრო გაავებულები არიან.“

ბბუნვა იხ. ბბუნაობა.

ბჯო ბიჭო, ბიჯო. „სად მიიდიხარ, ბჯო?!“ „რა გინდა, ბჯო, რატო თავ არ დამანებეუ?“

ბჯოს! ბიჯოს! „ბჯოს! არ მინდა და არ ვაკეთეფ, მაგამ ვინ ეკითხება?“

გაააშრებ-ს აშრად აქცევს, გააანჩხლებს, გააკაპასებს, „ეზ ისედაც აშარი, ბოროტი დედაკაცია, ი ბიჭი რაღად ჩამეკვიდება და უფრო მეტათ გაააშრეფს ხოლმე.“

გააბზევებ-ს გაანიავებს, ბზესა და ხვავს (მარცვალს) გააცალკევებს. „მოდი, შვილო, სანამ ეა ნიავი უბერამს, ერთი კიდე შაუტიოთ და გაავბზევეოთ.“

გააბუებ-ს სცემს, გაწეწავს, თმებს დააგლეჯს. „დაანებე იმ პატროსან გოგომ თავი, ნუ გადაიკლებინარ, თორე, მე რო იმი დედი ხასიათი ვიცი, ისე გაგაბუეფს, შენმა პატრონმა ძანაც რო მაინდომოდ, ველარ გიცნოფს.“

გააგურგურებ-ს დაანთებს და ძალიან გაახურებს (ღუმელს, ბუხარს). „დედაჩემი დილაადრიან ადგება, ხმელ შემამ შაუკეთეფს ღუმელ და უცებ გააგურგურეფს ხოლმე, სითბოც ხო ძალევე დატრიალდება ოთანში.“

გაადღლოფებ-ს გააღზობს, გააღნობს (გაყინულ მიწას). „ახლა დღემ უკვე კარგა მაგრა მაიკრიფა ძალ-ღონე, მზე გამოვა თუ არა, მაშინვე გაადღლოფეფს ამ გაყინულ მიწამ და გზებიც გაიხსნება.“

გააზიმიშიმებ-ს პირამდე გაავსებს, გატენის. „ნახე, რა ღონიერი კაცია, ამოტოლა ტომარამ უცებ გააზიმიშიმეფს და ხელი წამოკვრაც არ უნდა, ისე წამოიკიდეფს და წაილეფს.“

გააზიზინებს იგივეა, რაც გააზიმიშიმებს. „ესე რო გააზიზინეფს ხოლმე, წაღებაც ხო უნდა!“

გააზრიალებს გააქცევს, წაილებს. „თვალი ადევნე, თორე ეგ ისეთი ავხელია, აილეფს და შინ გააზრიალეფს.“

გაათეთრებს: (ჯამს) გაათეთრებს. – მალე მოიგებს. „ერთი-ორი დღეცა და ჩვენი ძროხა ჯამ გაათეთრეფს.“

გააკორაწებს გაახზობს. „ქვაფში შაინახე პური, თორე ისე გააკორაწეფს, კბილ ვერ დააკარეფ.“

გააკრაფს წაქცევს, გაშხლართავს. „თვალ ვერ შაასწრობდი, მეკოკიშვილი ისე გააკრამდა ხოლმე მეტოქემ.“

გაალახვინებს დააჩავგრინებს (ბევრ ჭამას). „ბევრ ნუ აწოვეფს რბეა, ნუ გაალახვინეფს ამ მშვენიერ ხბომ.“

გააღელეჩებინებს გააცივებინებს. „ნეტა რათ უნდა ასე რო უცხელეფს, სანამ სუ არ გააღელეჩებინეფს, წყალ არ დაასხმე-ვინეფს.“

გაალეღეჩებს გააცივებს. „ე ქალი ნეტა რამ გაალეღეჩეფს ხოლმე ამ წყალ?!“

გაალინცილინციბინებს პირთამდე გაავსებინებს. „აბა, რა ვქნა, ყოველდღე ასე გაალინცილინციბინეფს ჩაფიანს და ბირჯაზე გაიტანს ხოლმე.“

გაამთელებინებს გაატეხინებს. „იმდენს უჩიიკინეფს, სანამ იმ დოქს არ გაამთელებინეფს, არ დაისვენეფს.“

გაამთელეებს გატეხავს. „გამაართვი ი ჭიქა, თორე გაამთელეფს.“

გააბიბინებს პირამდე გაავსებს. „ყოველ ჩასვლაზე დეღაჩემი ჩანთეფს გამიბიბინეფს და გამომატანს ხოლმე.“

გააბტყელებს გააბრტყელებს, სცემს, მიბეგავს. „უთხარი, თავი დაანებო, თორე მე ხო ვიცი მაგიმ ხასიათი, ისე გააბტყელეფს, ველარავინ იცნოფს.“

გააფხაკუნებს ფხაკუნის ხმას გამოსცემს. გადატ. უმნიშვნელო რამეს გააკეთებს. „რა ბედი აქ, რალაცაი გააფხაკუნეფს და მაშინვე ქვეყანაი შაუყრიაი.“

გაალნიოშებს ბოლომდე გააღებს კარს (ფანჯარას). „გაალნიოშეფს კარსა და გადყინამს ხოლმე ოთახ.“

გააშრება გაკაპასება, გაანჩხლება. „ევე გააშრებაც არ ვარგა, ან მეზობლისა მოგერიდო, ან ნაცნობ-ნათესაფისა.“

გააცრეფინებს შეაშინებს, შეაფუცხუნებს. „როგორა დყავ დამორჩილებული ე ნოქრები იმ ოხერ დეღაკაც, მივა, დაენახვება, გააცრეცქინეფს და ბლომათ დამცინცლამს ფულსა.“

გაახაჩხაჩეებს გააქათქათებს. „სანამ ყველაფერ არ გაახაჩხაჩეფს, დაღლილიც რო იყო, თავ არ დაანებეფს.“

გაბარდღავს გაბარჯღავს, ტოტებს აქეთ-იქით გაიტანს. „თუ დროზე არ შადწურთნე ემ თუთა, ტოტეფს ისე გამბარდღამს, აქავრობაი სუ ჩამოაბნელეფს.“

გაბარდღვა გაბარჯღვა. „ჭერამმაც კი გაბარდღვა იცის.“

გაბარდღულ-ი გაბარჯღული. „აბამ გაბარდღული ტოტები შააჭრა კაკალ.“

გაბაღვა ერთიანად გაკრეფა, გაქურდვა (ხილისა). „ამოუწყდეთ ოჯახი, ესე გაბაღვა იქნებოდა, რო წამლადაც კი არაფერი დაუტოვებიათ.“

გაბაღვაფს ერთიანად გაკრეფს, გაქურდაფს. „თვალი გეჭირო, თორე ეგ ისეთი სულწაწყმენდილია, ისე გამბაღვამს ატამ, ერთ ცალ აღარ შაარჩენს.“

გაბაღულ-ი ერთიანად გაკრეფილი. „დილით მივედი და რასა ვხედავ, თელი ბალი გაბაღულია.“

გაბზევება განიავება, ზეავის გამორჩევა ბზისაგან. „პატარა ნიავი წამოვიდა თუ არა, გაბზევება დავიწყეთ.“

გაბზევებულ-ი განიავებული. „მზე ჯერ არ ჩასულიყო, უკვე გაბზევებული გვქონდა.“

გაბმულა ჰამაკის მსგავსი საქანელა. „კაკლი ქვეშ გაბმულა მაქ გაკეთებული და იმაში ვისვენეფ.“

გაბრასტვა ამოხოცვა, გაწყვეტა. „აი, მაგათი გაბრასტვა იყომ ადრე და მალე.“

გაბრასტულ-ი ამოწყვეტილი, გაუუჟული. „გენი ვნახე ერთ დღემ გაბრასტული.“

გაბრექვა გაბღენძვა, გაჯგიმვა. „გაბრექვალა აკლდა და ვეც უსწავლია.“

გაბრექილ-ი გაბღენძილი, გაჭიმული, გაჯგიმული. „ისე გაბრექილი დადიმ, ეტყობა, რაღაცა თანამდებობა მიიციე.“

გაბროლაგს კაკალს ლენჯოს გაცლის. „სანამ ბაბო კაკალ გამბროლამს, ჩვენ მსხალი მოვკრიფოთ.“

გაბროლვა კაკლისთვის ლენჯოს გაცლა. „დავბღერტე თუ არა, ლენჯოიანი კაკლი გაბროლვამ შევეუდექი.“

გაბროლილ-ი ლენჯოშემოცლილი კაკალი. „ორი ტომარა მარტო გაბროლილი კაკლით გააზიზინა.“

გაბტყელება ცემა, გატყება. „გაჩერდი, ბიჯო, თორე შენი გაბტყელება არაფერი დამიჯდება.“

გაბტყელებულ-ი ნაცემი, გატყებილი. „ევა? ერთი-ორჯელ მაინცა მყავ გაბტყელებული.“

გაბუება თმების აწეწვა. „ერთი ამი გაბუებამ უყურე. არა გცხვენია, გოგო, ეგე რო გამომსულხარ უბანში.“ გადატ. ცემა, ტყება, თმებით დათრევა. „შენ ქალები ჩხუბი უნა განახა, როგორი გაბუება იციან.“

გაბუებულ-ი თმააწეწილი. „დაივარცხნე თმა, ეგე გაბუებული როდემდე უნა იჯდე?“

გაბუმბლაგს ბუმბულს გააცლის. „სანამ ჩვენ შეშამ მოვიტანთ, ეგ მანამ გაიბუმბლამს და კაი ქეიფი გავაჩალოთ.“

გაბუმბლა ბუმბულის გაცლა. „მწყერ ცხელი წყალი არა იჭირდება, მშრალათ უნდა გაბუმბლა.“

გაბუმბლულ-ი ბუმბულგაცილილი. „სანამ ფიჩხი მოვიტანე, რამდენიმე მწყერი გაბუმბლული დამახვედრე ბიჭებმა.“

გაბლერტავს სცემს. „**ე** ბიჭი ნუ დაძვრება იმ ბაღში, თორე მეველე გაბლერტავს.“

გაბლერტილი ნაცემი, ნატყეპი. „ვილამ არა მყავ ეგ გაბლერტილი, მარა ჭკვა მაინც ვერ და ვერ ისწავლა.“

გაბლოტვა ფეხების გაჩაჩხვა და ისე ღგომა. „რა უშნოთ იცის ამ ბიჭმა გაბლოტვა.“

გაგან-ი რატარუტი. „მაგვი გაგან ნეტა ვინ უგლეფს ყურ.“

გაგანია დღე გრძელი დღე. „ამ გაგანია დღე თუ კიდე ვერ მოვრჩებოდით, არ მეგონა.“

გაგერშავს გავეშავს. „ერთი კაი გაგერშვა უნდა მაგამ და ნამდვილი მეძებარი დადგება.“

გაგერშილ-ი გაგეშილი. „ნადირზე მყავ გაგერშილი, მწყერზე რამ გამოგადგება.“

გაგვერდავს გააძღობს. „ჩუმად შეუსვეფს ნაკრძალში და ისე გაიგვერდავს ძროხეფს, ძლივლა მოდიან შინ.“

გაგვერდ[ვ]ა მაგრად გაძღობა, ფერდის ამოვსება. „ძროხამაი იცის გაგვერდვა და ცხვარმაც.“

გაგვერდილ-ი გამაძღარი. „სად დაუდის ამ ბიჭ, ემ საქონელი ყოველ საღამომ ასე გაგვერდილი რო ბრუნდება.“

გაგოხავს მწიფეს და მკვახეს სულ ერთიანად დაკრეფს. „მიძხდე, თორე მაგ ქლიავ ერთიანათ გამგოხავს.“

გაგოხვა მწიფისა და მკვახის ხელიერთპირად დაკრეფა. „ესე გაგოხვა რა იყო, მწიფეები ვერ შაარჩიე?“

გაგოხილ-ი ხელიერთპირად გაკრეფილი. „ბაღში რო მივედი, ატამი გაგოხილი დამხვდა.“

გაგურგურება ძლიერ გახურება. „შენ კაი გაგურგურება იცი, მიდი, შენ დაანთე ცეცხლი ბუხარში.“

გაგურგურებულ-ი ძლიერ გახურებული. „როცა გინდა ავდგე, ბუხარი გაგურგურებული მხვდება.“

გადააგრეხავს გადაარტყამს, გადაუჭერს. „ყოლო-მადლი სუ არა აქ, ამ უენო საქონელ ისე დაუნდობლათ გადააგრეხავს ხოლმე შვინდი სახრეა.“

გადააქნავლებს გაახდუნებს, გააძვალტყავებს. „თივა თუ არ იშოვა, გაზაფხულამდე ისე გადააქნავლეს ამ საქონელ, რო მაგათი აღარც ძვალი გამოდგება და აღარც ტყავი.“

გადაამხოტბს ცოტას მოაკლებს, სხვა ჭურჭელში გადაიღებს. „ცოტა თუ არ გადაამხე, დუდილ რო დაიწყეფს ჭაჭა, ქვევრი დაიცლება.“

გადაანელებს ცხელ წყალს ცივს დაუმატებს. „სანამ არ გადაანელებინა, ბავშვმა ტაძტში ფეხი არ ჩაყო.“

გადაასილაგებს მარცვლეულით (ფქვილით გაავსებს ჭურჭელს და ხელს (სილას) გადაუსვამს, გაათანაბრებს. „ძალუა ლიტრიან ქვაუს გამიმსუფს, გადაასილაგეფს და ისე გამამიტანს ზოლმე.“

გადააფშხრიალებს გადააფსამს. „აბა, ცუგრუმელებო, გადააფშხრიალეთ და ისე ჩაწეკით ლოგინში.“

გადააფშხივლებს იგივეა, რაც გადააფშხრიალებს.

გადაგრეხვა გადარტყმა.

გადადენილა გადადიოდა თურმე. „პატარა ბიჭი ეენახში გადადენილა და დაუჭერიათ.“

გადადღლარძვა უშნოდ გადაწოლა. „ერთი ამი გადადღლარძვას უყურე!“

გადადღლარძულ-ი უშნოდ გადაწოლილი. „ყველა სამუშაოდაა გასული, ემ კი ესე გადადღლარძული გღია ტახტზე.“

გადაეფოფრება გამოექომბება, გამოესარჩლება. „ეგ ყველამ ეგე გადაეფოფრება ზოლმე.“

გადაიდღლარძება გადაწვება უშნოდ. „გადაიდღლარძება დათელი დღე ეგე უქმდა გღია.“

გადაიფეხვება გადაიჩეხება. „უკან გამყვი, თორე სადმე გადაიფეხვება.“

გადაიქაჯება გადაიკარგება, გადაიძალება. „სად გადაიქაჯება ზოლმე ემ ოხერი სათვალე, რო ვეღარა ვპოულოფ.“

გადაიქუხებს ამოწყდება. წყველა. „აგრემც მაგათი ოჯახი გადაიქუხეფს.“ „თუ ვაუი არ ეყოლათ, მაგათი გვარიც გადაიქუხებს.“

გადაიხვეტება გადაიგვება, გადასუფთავდება. „მზემ თუ არ დამხელა და სახურავი არ გაათბო, თოვლი ისე არ გადაიხვეტება.“

გადაიხინცება გადავა (ბევრი). „ღროზე მიძხედე ნახირ, თორე ხევეფში გადაიხინცება და ვეღარ დაქუჩეფ.“

გადაკაჭავს გადაკაფავს. „ტოტები განმობია კაკალ, პაპა ალბათ გადაკაჭამს.“

გადაკაჭვა გადაკაფვა. „ამ ხემ გადაკაჭვა თუ გამაბრუნეფს, თუ არა და, განხება.“

გადაკაჭულ-ი გადაკაფული „სადლა იმ დიდრონი კაკლები, სოფელ რო ამშვენებდა, ერთიანადაა ახლა გადაკაჭული.“

გადაკრუნდება გადატ. გაუთხოვრად დარჩება, ასაკს გადასცდება. „ქალი რო გადაკრუნდება, მერე იმად რაღა ღამძრამს შინიღან.“

გადაკრუნება გადატ. გაუთხოვრად დარჩენა, ასაკს გადაცდენა. „გადაკრუნებამდე არ უნა მიიყვანომ ქალმა საქმე, თორე მერე ძნელია გათხოვება.“

გადაკრუნებულ-ი გადატ. გაუთხოვრად დარჩენილი, ასაკგადაცილებული (ქალი). „ეჰ, ამ ახალმა ყოფამ რამდენი მშვენიერი ქალი დატოვა შინ გადაკრუნებულ-ი.“

გადალაღაცს გადარეკავს. „ბიჭი მოვა სკოლიდან და ხეეში გადაღალამს ხბორებს.“

გადაღალვა გადარეკვა. „ხბორები გადაღალვა არ ღაგავიწყდემ, მოხვალ თუ არა, მაშინვე გამოუშვი.“

გადაღალულ-ი გადარეკილი. „მე რო მივედი, ცხენები უკვე გადაღალული მყვანდა ვენახში.“

გადალასლასდება 1. ლასლასით გადავა. „სანამ ედ გადალასლასდება, დაღამდება კიდეც.“ 2. დასუსტდება. „თუ არაფერი ჭამა, გადალასლასდება და ბოლომდე ველარ გაატანს.“

გადალასლასება 1. ლასლასით გადასვლა. „მიდი, შენ მოარბენინე, ამი გადალასლასებად სად უნა უყუროთ?!“ 2. უჭმელობისაგან დასუსტება. „ექიმმა რა გითხრა, შენი გადალასლასება არ იქნება.“

გადალასლასებულ-ი დასუსტებული. „ჭამე რამე, ეგე გადალასლასებულმა როდემდე უნა იარო.“

გადამხოზა მოკლება, დაკლება. „ამ ქვევრ ცოტა გადამხოზა უნდა, თორე დუდილისამ დაიცლება.“

გადამხოზილ-ი მოკლებული. „ბოცა სამსე დაეტოვე და გადამხოზილი დამხვდა“.

გადალახლახდება ლახლახით გადავა. „რა უშავ, თითონვე გადალახლახდება.“

გადალახლახება ლახლახით გადასვლა. „რათ გინდა ჩემი გადალახლახება, ჩემი სახელი უთხარ და მოგცემენ.“

გადალახლახებულ-ი ლახლახით გადასული. „სანამ მე გადავედი, ეგ უკვე გადალახლახებულყო.“

გადანთება საჩხუბრად გაწევა. „ნახე, ამ წიწლიკამ როგორი გადანთება მცოდნია?!“

გადანელება გაცივება. „ამ წყალ ცოტა გადანელება ღამჭირდება.“

გადანელებული გაციკვებული. „თუ ასე გადანელებული წყლით უნა დაგებანა თავი, რაღამ მაცხელებინებდი.“

გადარჩომა გადარჩენა. „გადარჩომა თუ გვინდა, ცოტა სხეანაირათ უნა მოვიქცეთ.“

გადარჩომილ-ი გადარჩენილი, მორჩენილი. „თივა თუ გაქ რამე გადარჩომილი, არ გადადგარო, ცხვრები თვინ დამჭირდება.“

გადასანსალდება მოშივდება. „ნუ გადასანსალდები ხოლმე, შესვენებაზე შეჭამე რამე.“

გადასანსალება მოშიება. „შენი ეგე გადასანსალება არ შეიძლება.“

გადასანსალეზულ-ი მოშიებული. „ემ საცოდავი სუ ესე გადასანსალეზული დადის.“

გადასერავს ყურზე თავის ნიშანს (სერს) დაადებს. „რაც კაი ცხვრები მყვანდა, სუ მაგამ გადაუსერამს.“

გადასერვა ყურზე ახალი ნიშნის (სერის) დადება. „გადასერვა თუ შაიძლებოდა, მე ვერ გადავსერამდი?“

გადასერილ-ი ყურზე ახალნიშანდადებული. „ბინაზე რო მიველი, თელი ფარა გადასერილი დამხვდა.“

გადასილაგება ჭურჭლის პირამდე გავსება (ფქვილით...) და ხელის გადასმა.

გადასილაგებულ-ი პირამდე გავსებული ჭურჭელი. „გადასილაგებული მომცა და მეც ისე უნა გავატანო.“

გადასურაგება იგივეა, რაც გადასილაგება.

გადასურაგებულ-ი იგივეა, რაც გადასილაგებული.

გადასხლეტავს გააცალკეებს. „თვალი გეჭირომ, თორე მგელი ერთ ბოლოქ გადასხლეტამს და გაგტაცეფს.“

გადასხლეტვა გაცალკეება. „ერთი ათიოდე ცხვირი გადასხლეტვა მინდა და მომეხმარე.“

გადასხლეტილ-ი გაცალკეებული, მოწყვეტილი. „ნახევარი ფარა გადასხლეტილიყო, ემ კი ვერაფერ მიმხვდარიყო, მამ მეცხვარე იქვიან აჰამ.“

გადაუსილაგებს პირამდე გავსებს. „ქვაბში ფქვილ ჩაუყრის, გადაუსილაგეფს და ისე გაატანს ხოლმე.“

გადაუსურაგებს იგივეა, რაც გადაუსილაგებს.

გადაუქნის ბოლო პირს გაატარებს. დაამთავრებს. „ბებია წინდამ გადაუქნის.“ „კალატოზი კელელ გადაუქნის.“

გადაფაფრება მიქომაგება, მხრის დაჭერა. „მომინდომა მაგანაც ყველამ გადაფაფრება.“

გადაფაფრებულ-ი მიქომაგებული, მიმხრობილი. „ყველაზე შენ როგორა ხარ გადაფაფრებულნი?“

გადაფეხვა გადაქცევა. „ვერა მხელამ, როგორ ცუდათაა, იმი ადგომა და გადაფეხვა ერთი იქნება.“

გადაფეხვილი-ი წაქცეული, გადაქცეული. „მე რო დავინახე, გადაფეხვილი ეგლო მიწაზე.“

გადაფოფრება მიქომაგება, მიმხრობა. „მაგან ყველაზე ეგი იციმ გადაფოფრება.“

გადაფოფრებულ-ი მიქომაგებული. მიმხრობილი. „ყველაზე შენ როგორ უნა იყო გადაფოფრებულნი?“

გადაფშხივლება იგივეა, რაც გადაფშხრივლება.

გადაფშხრივლება გადაფსმა, მოშარდვა. „ღაწოლი წინ გადაფშხრივლება არ დაგაეიწყდეთ.“

გადაქაჯავს გადაკარგავს, გადამალავს. „ყველაფერ ესე როგორ გადამქაჯამს ხოლმე ემ დედააკაცი.“

გადაქაჯვა გადაკარგვა, გადამალვა. „დადე ერთ ადგილამ და იდომ, რათ იცი ხოლმე გადაქაჯვა.“

გადაქეჩავს გადარეკავს. „მანამ მიდით, სანამ ნახირ წყალზე გადაქეჩამს.“

გადაქეჩვა გადარეკვა. „შენ კაი საძოვარი მითხარ, თორე იქ გადაქეჩვამ რა უნდა.“

გადაქეჩილი-ი გადარეკილი. „იმა ვინმე დაასწრეფს, საქონელი უკვე გადაქეჩილი ეყოლება.“

გადაქნილი-ი მომთავრებული. ბოლო პირი შემოვლებული. „წინდა უკვე გადაქნილი მქონდა, არ მოეწონა და ისევ დაარღვია.“

გადაქუხება წყევლა. ამოწყვეტა, ამოჟუჟვა. „აი, მაგათი გადაქუხება ენახე, მაგათი ამოწყვეტა.“

გადაღვერაფს მატყლს ხელით გააცლის.

გადაღვერვა იგივეა, რაც გაღვერვა.

გადაღვერილი-ი იგივეა, რაც გაღვერილი.

გადაღმერთილი-ი გადაზნეჭილი, გადბრეცილი. „ემ კელელი გვერდზეა გადაღმერთილი.“

გადაღრჯუება ძალიან დაბერება, დაჩაჩანაკება. „ვემ გადაღრჯუებამ სიკვდილი მჯობია.“

გადაღრჯუებულ-ი ძალიან დაბერებული, დაჩაჩანაკებული. „მე რა, გადაღრჯუებული კი არა ვარ!“

გადაყრანჩდება ძალიან დაბერდება, დაუძღურდება. „კაცი რო გადაყრანჩდება, რა აზრი აქ იმი სიცოცხლე.“

გადაყრანჩება ძალიან დაბერება, დაუძღურება. „სიბერეა რა უშავ, გადაყრანჩებაა ძაან ცული.“

გადაყრანჩებულ-ი ძალიან დაბერებული, დაუძღურებული. „ერთი გადაყრანჩებული ღელაკაცი მაგათაც მყავთ შინ.“

გადაძვედება გადაიკარგება, სამუდამოდ წავა შინიდან. „თუ აქედანვე არ მოაჩიე მოსვლამ, გადაძვედება და დაიკარგამ.“

გადაძვეება გადაიკარგვა. „რათ იცი ამ კაცმა ესე წარამარა გადაძვეება.“

გადაძვეებულ-ი გადაიკარგული. „ნეტა ი საქონელი სად იქნება ესლა გადაძვეებული?“

გადახენცავს გადარეკავს, „ამოდენა საქონელ გადახენცავს ჯეჯილში და ერთიანათ გადაძოვეფს ხოლმე.“

გადახენცვა გადარეკვა. „ბიჭო, შვილო, რა იყო იმოტოლა გოგო-ბიჭებში გადახენცვა ვენახში?“

გადახენცილ-ი გადარეკილი. „ნახირ აქამდე იქ რა გაჩერებდა, უკვე ჩირდილებში ეყოლებათ გადახენცილი.“

გადახენჩავს შუაზე გააპობს. „რა ღონიერია ედ ჩვენი ჯონე, დიდ მორსაც კი ერთი დარტყმით გადახენჩავს ხოლმე.“

გადახენჩვა შუაზე გააპობა. „მოჭრილი მაქ მორი, გადახენჩვალა უნდა.“

გადახენჩილ-ი შუაზე გააპობილი. „რა ქარი იყო წუხელ, ნახე, რამდენი ხეა შუაზე გადახენჩილი.“

გადახოტრავს უშნოდ გადაპარსავს. „რა უნდა დალაქობამ, აიღეფს მაკრატელ და გადახოტრამს.“

გადახოტრა უშნოდ გადაპარსვა. „ესე გადახოტრა ხო მეც შემიძლია, შენთან რაღამ მოვიყვანე ედ ბაღლები?“

გადახოტრილ-ი უშნოდ გადაპარსული. „არა ქცხვენია, ეგე გადახოტრილმა გარეთ როგორ უნა იარო?“

გადახუზავს ძალიან დაბალზე, ნოლზე შეაჭრის თმას. „ქოჩორ თუ არ იყენეფ, რათ გინდა დალაქთან წასვლა, ნოლზე მამაშენიც გადაქხუზამს.“

გადახუზვა ძალიან დაბალზე შეჭრა თმისა. „გადახუზვა თუ გინდოდა, სად მიდიოდი, მე ვერ გადაქხუზამდი?“

გადახუზულ-ი ძალიან დაბალზე შეჭრილი (თმა). „თელი ზაფხული სუ ესე გადახუზული დავდივარ.“

გადმოამხობს ცოტას მოაკლებს. „რა ვქნათ, სანამ მამაშენი მოვა და გადმოამხობს, მანამ დაიცლება ქვევრი.“

გადმოდენილა გადმოდიოდა თურმე. „მოხუცი გადმოდენილა ქუჩაში და მანქანა დაიჯახებია.“

გადმოლაღაფს გადმორეკავს. „თხები შესულან ბოიტანში, ბავშვს გავაქცევ ახლავე და გადმოლაღაფს.“

გადმოლაღვა გადმორეკვა. „სალამოზე ძროხები გადმოლაღვა არ დაგავიწყდეთ.“

გადმოლაღულ-ი გადმორეკილი. „შენ ნუ გეშინია, საქონელი გადმოლაღულიცა მყავ და დაბინავებულიც.“

გადმომხობა მოკლება, დაკლება. „თვალი გეჭვირომ, ჭაჭამ თუ ძალიან ამოიწია, გადმომხობა დაიჭირდება.“

გადმოქეჩავს გადმორეკავს. „გინდა გადმოხენცვა თქვი და გინდა გადმოქეჩვა, ერთი და იგივეა.“

გადამოქეჩილ-ი გადმორეკილი. „ამ ჩვენ უნდოდა ვიღაც ყალთაბანდები მყავ გადმოქეჩილი და ბალ-ვენახეფს ანადგურებენ.“

გადმოღმერთილ-ი გადმობრეცილი, გადმოზნექილი. „ემ ზვინი აქეთაა გადმოღმერთილი, თუ ახლავე არ გამწორდა, გადმოიშლება.“

გადმოხენცავს გადმორეკავს. „აღარც ერიდება და აღარც ეშინია, ამოღენა ნახირ ჩვენ მინდორში გადმოხენცამს და აძუეფს.“

გადმოხენცვა გადმორეკვა. „რა იყო ამოდონა საქონლი გადმოხენცვა.“

გადმოხენცილ-ი გადმორეკილი. „ჩვენ ტყეში ირემ რა უნდა, საიდანლაც იქნებიან გადმოხენცილები.“

გადრეცავს გადრეკვს. „ამ ფიტარ ზემოდან მძიმე რამე დაადე, თორე მზე დააცხუნეფს თუ არა, გაადრეცამს.“

გადრეც[ვ]ა 1. მოღუნვა, გადრეკვა. „თუ მასალი გადრეცვა არ გინდოდა, ჩირდილში უნა დაგეწყო.“ 2. გაბღენძვა. „არ უყურეფ მაგიმ გადრეცვამ!“

გადრეცილ-ი მოღუნული, გადრეკილი. „ცოტა გადრეცილია ფიტარი, მაგრამ გამოდგება.“ 2. გაბღენძილი. „ნახე, რა გადრეცილი დაიარება!“

გადრუნჩვა გაბუტვა, ცხვირის ჩამოშვება. „აბა, აბა, შენ ვინა და ეგე გადრუნჩვა!“

გადრუნჩულ-ი გაბუტული, ცხვირჩამოშვებული. „ეესე გადრუნჩულმა როდემდე უნა იარო, დრო არ დადგა, რო შავრიგდეთ?“

გადღლეზგა გაბუტვა, გაგულისება, გაამპარტავენება. „ამი გაღღლეზგამ არ უყურეფ, ღღე ისე გავა, ზმამ არ გაგცემს?!“

გადღლეზიღ-ი გაბუტული, გაამპარტავენებული. „რა იპოვა, რატოა ი ბიჭი ისე გაღღლეზიღი?“

გადღლოვდება გაღნება, გაღზებება. „სანამ გაყინული მიწა გაღღლოვდება, წავიღეთ, თორე მერე სიარული გაძნელდება.“

გადღლოვება გაღნობა, გაღზობა, ყინულისა და მიწის ტალახად ქცევა. „თებერვალი არ გასულა და გაყინულმა მიწამ გაღღლოვება დაიწყო.“

გადღლოვებულ-ი დამღნარი, გამღზვალი, გაყინული მიწა ტალახად ქცეული. „გაღღლოვებულ ბილიკზე ფეხი ამისხლტლა და ზურგზე გავიშხლართე.“

გადღრენგა, გაღღრინგა გაბუტვა, გაბერვა. „მაგამ ცოტა თუ არ მოუფერე, ისეთი გაღღრენვა იცი, მტრისად.“

გადღრენიღ-ი გაბუტული, გაბერილი, დაბოღმილი. „რა ეწყინა ჩვენგან, ეგე გაღღრენიღი რატო დადი?“

გაეგღარსუნება გაეზახუნება. „რა ჩვევა აქ, ყველამ თუ არ გაეგღარსუნა, არ მათიმენს.“

გაზეკაგს 1. გატკეპნის. „ყოველ ზაფხულ სამელიდან (აღგილია მარტყოფში) მიწამ მაიტანდა ზოლმე, ბანზე დააყრიდა, გაღზეკამდა და წვეთი წვიმა აღარ გამეგრადებოდა.“ 2. სცემს, გატყეპავს. „ემ საზიზღარი თუ არ მოისვენეფს, მამა მოვა და ერთი მაგრა გაღზეკამს.“

გაზეკვა გატკეპნა. „მაგ ნაბარ თქენი გაზეკვაღა უნდა, შვილო, ისეღაც არ ითოხნება.“

გაზეკიღ-ი გატკეპნიღი. „ემ მიწა თოვლისაგან ისეღა გაზეკიღი, ტრაქტორიც ვერ მოღზნამს.“

გაზეკვა მაგრად გაძღმამა. „როცა საჭმელ ვერ იტან, ესეღა გაზეკვა რაღა, შე კაი კაცო?!“

გაზემიღ-ი გამაძღარი, გასიკნული. „ისეღა გაზეპიღი, ძღივღა მღუნთქამს.“

გაზიზინება ძღლიან გავსება, გატენვა. „რა იყო ეგე გაზიზინება, მაგოღენა ტომარამ წაღება აღარ უნდა?“

გაზიზინებულ-ი ძღლიან გავსებული, გატენიღი. „ემ ჰატრა ბიჭი გაზიზინებულ ჩანთამ მაათრეღდა.“

გაზიზიმიება იგივეა, რაც გაზიზინება. „ეგე გაზიზიმიება რო იცი, წაღება არ უნდა?!“

გაზიშინებულ-ი იგივეა, რაც გაზიზინებული. „რითა გაქ შ ჩანთა გაზიშინებულნი?“

გაზინზვლა ძლიერ გაძლომა, გასიკვნა. „რა იყო, რამ დაგაქიმიოთა, ეგე გაზინზვლა რა ვაშკცობაა.“

გაზინზლულ-ი ძალიან გამაძლარი, გასიკნული. „გაზინზლულ-ი მოვიდა, ფეხზე ვეღარ იდგა, ეხლა ტანტზე გდია და ქმინამს.“

გაზუნზვლა დაჟიება, გალუმპვა. „გაზუნზვლა თუ გინდა, წადი მაშინ ამ თავსხმაში.“

გაზუნზლავს დაჟიებს, ერთიანად გალუმპავს. „ამ თავსხმაში სად უშვეფუ ბეშე, თავიდან ფეხებამდე გამზუნზლამს და გააციეფს.“

გაზუნზლულ-ი დაჟიებული, გალუმპული. „გაზუნზლული ვარიები კედელთან მიყუქულიყვენ.“

გაზრიალდება 1. გაიქცევა, გავარდება. „რაც გინდა დაავალე, მაშინვე გაზრიალდება ხოლმე.“ 2. გახურება (ბუხრის, ღუმელის). „კაი შეშა მოგვიტანა პაპამ, უცეფ გაზრიალდება ხოლმე.“

გაზრიალება 1. გაქცევა, გავარდნა. „ეჲ პატრა ბიჭი ძან ყოჩალია, თქმა და გაზრიალება ერთია.“ 2. გახურებული. „ბუხარი გაზრიალებული დამხვდა.“

გათეთრება: ჯამის გათეთრება მოგება (ძროხის). „რაღა გინდათ პატარეფს, ძროხა მალე ჯამ გაგითეთრეფთ.“

გათლახვნა გათელვა, გათქერვა. „მოპარვა მოპარვაა, მაგრამ ესე გათლახვნა რაღა იყო.“

გათლახნილ-ი გათელილი, გათქერილი. „ბოძტანი გამოვილიც იყო და ფეხით გათლახნილიც.“

გათოვლდება გათოვდება. „ცა ისე ჩამოწვა, ნამდვილათ გათოვლდება.“

გათუშება გაგარეულება, ოჯახიდან დიდი ხნით წასვლა. „სადა ხარ, შე კაი კაცო, არც ესე გათუშება იქნება, შენ რო გადაიკარგები და აღარ გამოიჩნდები ხოლმე.“

გათუშებულ-ი გაგარეულებული, ოჯახიდან დიდი ხნით წასული. „ჰა, გამოჩნდა მამაშენი, თუ ისევე გათუშებულა?“

გათქლეშავს უშნოდ, ხარბად გაკებჩავს ხილს (ვაშლს, მსხალს...). „ეჲ ბიჭი ისე გამთქლეშამს ხოლმე ვაშლ, თითქომა ჯერ გემოთი არ ენახომა.“

გათქლეშვა უშნოდ, ხარბად გაკებჩა ხილისა. „მაგან მარტო გათქლეშვა იციმა, მოკრეფა და დაბინავება არ ეხერხება.“

გათქვამილი-ი უშნოდ გაკბენილი. „ეტყობა ვიღაცა ყოფილა ბაღში, რამდენიმე ვაშლი გათქვამილი და ბალახებში დაგდებული ვიპოვე.“

გათხლამ[ვ]ნა გასვრა. გათხვრა. „გამოართვი ბავშვ ემ კვერცხები, თუ არ გინდა იატაკის გათხლამ[ვ]ნა.“

გათხლამნის გასვრის, გათხვრის. „კალამი თუ არ გამოვცვალე, ყველაფერ გამოთხლამნის.“

გათხლამნილი-ი გასვრილი, გათხვრილი. „გა თხლამნილი ხელები სახეზე არ მოისო.“

გათხლეშ[ვ]ა გაბუტვა, გაბრუნვა. „მაგან სუ ეგე იციმ გათხლეშვა.“

გათხლეშილი-ი გაბუტული, გაბრუნული. „რატო დადიმ ემ ბიჭი გათხლეშილი, არ ვიცი.“

გაიბრინჯება გაძლება, გაისიკნება. „ამ კაცმა ნამუსი სუ დაკარგა, ქორწილია თუ ქელები - ყველგან ესე გაიბრინჯება ხოლმე.“

გაიბროლება ღენჯო გაეცლება კაკალს. „ისე მოუხშირა წვიმები, კაკალი სულ მალე გაიბროლება.“

გაიბღერტება იცემება, გაილახება. „გა ისეა ატეხილი, ნამღვილათ გაიბღერტება.“

გაიბლოტება გაიფხორება, გაიბღინძება. „ნახე, რა თავხედია, როგორ გამოშწვევათ გაიბლოტება ხოლმე.“

გაიდრიცება 1. გაიღუნება, გაიდრიკება. „თუ ჩირდილში არ დავაწყეთ, ან ზემოდან არა დავაფარეთ რა, ემ ფიცარი გაიდრიცება და ველარ დავაკრამთ.“ 2. გაიბღინძება, გაიბურება. „რამ გაიდრიცება ხოლმე, მითომ რაო?“

გაიდრუნჩება გაიბრუნჩება, გაიბუტება. „რა მალ-მალე გაიდრუნჩება ხოლმე ემ კაცი, ნეტა რამ გვემდურება.“

გაიზეკება გაიტკეპნება. „სველ ნაბარში არ ირბინოთ, ბიჭებო, თორე გაიზეკება და ველარ გაითონხება.“

გაიზეპება ძალიან გაძლება, გაისიკნება. მუცელს ამოიყორავს. „თითქომ საჭმელი არ ენახომ, ისე გაიზეპება, სუნთქვაც კი აღარ შაუძლიან.“

გაიზუნზლება გაილუმპება, ერთიანად დასველდება. „წვიმამ კი არ ერიდება, თავიდან ფეხებამდე გაიზუნზლება და თავ მაინც არ შააფარეფს სადმე.“

გაითეთქება იცემება, ძალღვივით ათრევენ. „უთხარი, გაჩერ-დე, თორე მაგრათ გაითეთქება.“

გათხლაბნება მწიფე ხილი (კვერცხი...) ძირს დავარდება და გაიშლება. „ხეჭვჭური ცოტა მალე თუ არ მოვკრიფე, სუ ჩამოიძვრება და გათხლაბნება.“

გათხლიშება გაბუტება, უშნოდ გააპრანჭება. „ისე გათხლიშება, თითქომ დიდი ვინმე მყვანდეს.“

გაიკანკება გაინაბება, გაიტრუნება. „არ ვიცი, რა დაემართა, ერთი კვირაა, სულ ასეა, გაიკანკება და ხმამ არ იღუფს.“

გაიკაჭება გაიკაფება. „აბა, ეგ ვენახი თავისით ხომ არ გაიკაჭებოდა, ვილაცამ მიმტრო.“

გაიკვლანჭება გაიხლართება, გაიკვანძება ძაფი (ბაწარი...). „ნელა დაახვიე, თორე გაიკვლანჭება და გაგაწვალუფს.“

გაიკროლება იგივეა, რაც გაიბროლება.

გაიკროცება იგივეა, რაც გაიბროცება.

გაიკროწება ძალიან გახმება (პური). „ეგ პური ხან ისე გაიკროწება, რო კბილ ველარ დააკარეფ.“

გაიკუჭება კაკალს უკვე ექნება ნიგოზი, შეიძლება მისი შუაზე გაპობა დანით და ლებნის გამოღება. „კაკალი უკვე გაიკუჭება, დროა, დანა ვიშოვო.“

გაილაღავს გაირეკავს. „თქვენი ძროხები რაღაა, მაგათაც გაილაღამს მენახირე.“

გაილახება დაიგვალება, აღარ გაიზრდება, ტანს აღარ აიყრის. „მაგდენ რო აწუეფ, კარგი კი არ არი, აწყენს და გაილახება.“

გაილეშება ძალიან გაძლება. „კაცი კი არა, ნადირზე უარესია, ისე გაილეშება ხოლმე, ველარა მსუნთქამს.“

გაილურსება საკებნად მოემზადება (ცხენი). „თუ გაილურსება, ახლო არ მიეკარო, თორე გიკმენს ეგ ცხენი.“

გაიმანძილებს დიდ მანძილს გაივლის. „კარგა რო გაიმანძილუფს, ჩამოჯდება და დაისვენუფს.“

გაიმელება გაინაბება, გაყურდება. „ყველაზე ცელქი ეგ არი და მასწავლებელ რო დაინახამს, როგორ გაიმელება ხოლმე.“

გაიმსება გაივსება, მოიწევს (მოსაგები საქონელი). „ჩვენი ძროხა ერთ-ორ კვირაში გაიმსება და მოიგუფს.“

გაიმწლიკება გახდება, გამჭლეკდება. „ცოტა შეაჭამე რამე, თორე ისე გაიმწლიკება, ზედ არავინ შამხელამს.“

გაიპლურწება გაიპრანჭება, გაინაზება. „ისე გაიპლურწება ხოლმე ედ ჩვენი გოგო, ნამდვილათ გათხოვება უნდა.“

გაირუჟდება მოიღუშება, მოიწყენს. „რა მოუვა ხოლმე ამ ბიჭ, ე რა საცოდავათ გაირუჟდება ხოლმე.“

გაისიკნება ძალიან გაძლება, მუცელი გაებერება. „**ე**მ ობოლა ბატკანი ყველა გამოაწოვს, გაისიკნება და მივედება თავითონ.“

გაისიმსხოვებს გამედიდურდება. „სანამ უჭირს, ანგელოზი გეგონება, თავისადა რო გაინაღდებს, მერე გაისიმსხოვეფს ზოლმე.“

გაისუსება გაინაბება, გაიტრუნება. „ისე გულადი გეგონება, ვინმემ თუ შეუტია, მაშინვე გაისუსება.“

გაიტრიტება ძალიან დათვრება. „ხანდახან ისე გაიტრიტება, რო კაცი ველარ იცნოფს.“

გაიტურნება გაიტრუნება. „რამ გაიტურნება ზოლმე ემ გოგო, რატო ხმამ არ ილუფს?“

გაიტურნება გაიბუტება, ტურნს აიბზუებს. „ვერ გამოიგია, წარამარა რატო გაიტურნება, ანდა მალევე რათ მირიგდება?!“

გაიტყლაპნება იგივეა, რაც გაითხლაპნება.

გაიფოფრება ყველაფერს დაეპატრონება, დაიკავებს. „რანამუსო კაცია, ყველგან ემ გაიფოფრება ზოლმე.“

გაიფუშება გაიშლება. „ემ კარტოფილი ძალიან მალე ინარშება, ქვაბ ჩახედე, თორე სუ გაიფუშება.“

გაიდგერება მატყლი გასცვივა. „დროზე თუ არ გაიპარსა ცხვარი, თავისით გაიდგერება.“

გაიში! შეძახილი გუთნისდელისა, როცა ხარები ხნულში შემოვლენ და გუთანი კვლიდან ამოვარდება.

გაიშოლტება შოლტით იცემება. „ისეთი პირი უჩანს, დღემ ემ ნამდვილათ გაიშოლტება.“

გაიჩირება ჩირი გაკეთდება. „ოტურიც კარგა გვისხია და პაპამხილიც, ორივე გაიჩირება.“

გაიციქლიფება გაიყვლიფება, კანი გასძვრება. „ნახე კართოფილი და თუ აღარ გაიციქლიფება, ამოვიღოთ.“

გაიცხვირება გაიბუტება, გაიბერება, დაიმღურება, ცხვირს ჩამოუშვებს. „იმიდ ხასიეთი ზო იცი, თუ არ ვესტუმრეთ, გაიცხვირება.“

გაიძაძლება განზე გაიწევს, გაგანივრდება. „მართალია, ეხლა კი გიჭერს ფეხზე, მაგრამ ერთი-ორი დღი შემდეგ ისე გაიძაძლება, იქნება გეხდებოდემ.“

გაიძენძება 1. გაცვდება. „კვირტისა ზო არ იყო ემ ჯემპრი, რა მალე გაიძენძა.“ 2. მაგრად გაძლება. მუცელს ამოიყორავს. „ემ თუ დროზე არ ააყენე, ისე გაიძენძება, მერე ადგილიდან ველარ დაძძამ.“

გაიწიკიბება გაიჭიკიბება. „უცხომ რო დაინახამს. როგორ გაიწიკიბება ხოლმე!“

გაიწლოკება ძალიან გახდება, გაწვრილდება. „კარგი ჭამა და მოვლა უნდა, თორე ისე გაიწლოკება, გაზაფხულამდე ვერ გაატანს.“

გაიწლოუმბება დასველდება, გაისვრება. „მაგ ჭუჭყიან წყალში ნუ დადიხარ, ამოდი, თორე ისე გაიწლოუმბები, ვეღარაფერი გაგრეცხამს.“

გაიჭიფხება ძარღვებს დაჭიმავეს, ნაჭყაპურებს გადმოიღენს. „თუ კიდევ გაიჭიფხება, თიაქარი ჩამოუვა.“

გაიჭყირმება ძალიან ბევრს დალევს (ღვინოს, წყალს), გაიბერება. „გამოართვი ჭიქა, თორე ისე გაიჭყირმება, ადგილიდან ვეღარ დაადრამ.“

გაიხეჩება შუაზე გაიპობა. „მაგამ დიდი სოლი დაამჭირდება, ისე არ გაიხეჩება.“

გაიხვლიმება გაიყვლიფება. ბუმბული (ბალანი...) გასცივია, კანი გადასძვრება. „თუ წამალი არა წაუსვი რა, ემ ქათამი (ხბო, ძროხა...) ერთიანათ გაიხვლიმება.“

გაიხორხლება ძალიან ბევრს დაისხამს. „პაპამხილი ისე გაიხორხლება ხოლმე, ფოთოლი აღარ უჩანს.“

გაიხუხება გაფიცხდება, გაცხელდება. „ლუმელზე დაღე პური, გაიხუხება და საჭმელათ უკეთესი იქნება.“

გაიჯალჯება ძალიან ბევრს შეჭამს, ბევრს დალევს, გაძლება. „სანამ არ გაიჯალჯება, სუფრიდან ფეხ არ მოიცივლის.“

გაიჯგიმება გაიჭიკიბება, გაიბერება. „ისე გაიჯგიმება, თითქმის არ ვიცოდეთ, ვინა ბძანდება.“

გაკანკავ-ს ადგილზე გააშეშებს, გაახვეებს (შიშისაგან) „ისეთი მოჩხუბარი მამალი გყავ, ადგილზევე გამკანკავს ხოლმე მეზობლი მამლეფს“.

გაკანკვა ადგილზე გააშეშება. „მაგია დანახვა და ამათი გაკანკვა ერთია.“

გაკანკულ-ი ადგილზე გააშეშებული. „ცოტა გამაგრდი, სუ ევე გაკანკული როდემდე უნა იყო.“

გაკაჭავს გაკაფავს. ერთიანად გადაჭრის. „ვენახი გაგვიფუჭდა, შემოდგომაზე ერთიანათ გაკაჭავთ და ახალ ნერგ ჩავეყრიო.“

გაკაჭვა გაკაფვა, ერთიანად გადაჭრა. „ამ სეტყვამ ისე გააფუჭა ვენახი, გაკაჭვა მომიწევს.“

გაკატულ-ი გაკაფული, ერთიანად გადაჭრილი. „გაკატულ ვენახში ვაზმა აქა-იქ ამოიყარა რქა.“

გაკეკელავდება ძილი გაუკრთება. „გაკეკელავდი, არა და აღარ შეკარება ძილი.“

გაკეკელავება ძილის გაკრთობა. „როგორი გაკეკელავება იცი ამ ბიჭმა, აბა, თუ დაიძინო.“

გაკეკელავებულ-ი ძილგამკრთალი. „თელი დამე ასეა გაკეკელავებული, ცოტა დილით თუ ჩაეძინება.“

გაკეწკეწდება კეწკეწს დაიწყებს, გატკიცინდება. „მაგ ფულ რამ უწუნე, ცოტახან დაღე სარკი ძვეშ, ნათურა დაანათე და გაკეწკეწდება.“

გაკეწკეწება გატკიცინება, გაახალთახლება. „ფული გაკეწკეწება თუ გინდა, ჩაღე რამეში და ნათურა დაანათე.“

გაკეწკეწებულ-ი გატკიცინებული. „მე გაკეწკეწებული ფული მივეცი და ამან კი, ნახე, რა დამიბრუნა.“

გაკვლანჭავს გაკვანძავს, განასკვავს. „ამ ოხერ ბაწარ როგორ გაძკვლანჭავს ხოლმე, რო ველარ ვასწორეფ.“

გაკვლანჭვა გაკვანძვა, განასკვა. „რათ უნდა მაგდენი გაკვლანჭვა, ერთხელ გაკვანძე და ეყოფა.“

გაკვლანჭულ-ი გაკვანძული, განასკული. „როგორ არი გაკვლანჭული, რო ვერც თავი გავუგე და ვერც ბოლო.“

გაკვრა-გაგლეჯვა წაღება, დატაცება. „მაგამ სუ გაკვრა-გაგლეჯვაზე უჭირამ თვალი.“

გაკირკნა გაკენკვა, უნდომლად ჭამა რისამე. „ვეჭამეთ კი არა, გაკირკნაც ვერ მოვასწარი.“

გაკირკნავს, გაკირკნის გაკენკავს, უნდომლად ჭამს. „რა უშნოა ეს ბიჭი, ცოტად გაძკირკნამს და მიატოვეფს.“

გაკირკნის იხ. გაკირკნავს.

გაკირკნილ-ი გაკენკილი. „ვენახში მტევნები ვნახე გაკირკნილი.“

გაკირკნულ-ი იგივეა, რაც გაკირკნილი. „შენი გაკირკნული ყურძენი ვიღამ რათ უნდა!“

გაკმენჩავს გაკებჩს. „ვინც გაძკმენჩამს და გააგლეფს, მეორეთ არ შაუშეეფ ბალში.“

გაკმენჩვა გაკებჩა. „აიღე ერთი და ბოლომდე შაჭამე, რა არი აძღენი გაკმენჩვა.“

გაკმენჩილ-ი გაკებჩილი. „ერთი ვაშლიც არ მოუწყვეტიათო და მე კი აძღენი გაკმენჩილი ვიპოვე.“

გაკირჩხლაგს გაჭირხლავს. „ისე აცივდა, ამაღამ ნამდვილათ გაკირჩხლამს.“

გაკირჩხვლა გაჭირხვლა. „გაკირჩხვლაც ასეთი უნდა, ნახე, ხეები როგორ თეთრათ ქათქათებენ.“

გაკირჩხლულ-ი გაჭირხლული. „სად მიერეკები მაგ საქონელ, ხო მხედამ, ჯერ ისევ გაკირჩხლულია.“

გაკორტნა უშნოდ შეჭრა თმისა. „რა არი ესე გაკორტნა, მაგ ოხერ ამდენ ხანში დალაქობა ვერ უნა ესწავლა?“

გაკორტნის უშნოდ შეკრეჭს თმას. „როგორ თხასავით გაუკორტნიხარ, მაგ ბუმბულასთან აღარ დაიჯდე.“

გაკორტნილ-ი უშნოდ გაკრეჭილი. „სანამ თმა არ წამომეზრდება, ესე გაკორტნილი გარეთ ვერ გავალ.“

გაკრიხავს გადაპარსავს, ერთიანად გაკრეჭს თმას. „რაღა დალაქ მივცეთ ფული, მამა თითონ გამკრიხამს ბავშვეფს.“

გაკრიხვა გადაპარსვა, ერთიანად გაკრეჭა თმისა. „ქორჩი დაყენებისა რა გითხრათ, გაკრიხვა კი მეც შემიძლია.“

გაკრიხულ-ი გადაპარსული. ერთიანად გაკრეჭილი. „ჩემ ბავშვობაში გაკრიხული გოგო სირცხვილით გარეთ ვერ გამოვიდოდა.“

გაკროლაგს კაკალს ლენჯოს გააცლის, გაბროლავს. „ბაბუა კაკალს გაკროლამს და გამომიგზავნის.“

გაკროლვა ლენჯოს გაცლა, გაბროლვა. „ბაბომ ბილიკზე დაყარა ლენჯოიანი კაკალი და გაკროლვა დაიწყო.“

გაკროლილ-ი ლენჯოგაცილილი, გაბროლილი. „გაკროლილი კაკლებით ჯიბეები მქონდა გამოტენილი.“

გაკროცავს ლენჯოს გააცლის კაკალს. „ჩამოაყრევინეფს ლენჯოიან კაკლეფს და დანით გაკროცამს.“

გაკროცვა ლენჯოს გაცლა, გაკროლვა, გაბროლვა. „გაკროცვა და გაბროლვა ერთი და იგივეა.“

გაკროცილ-ი ლენჯოგაცილილი, გაბროლილი, „გაკროცილი კაკლები თავისით ცვიოდა.“

გაკროწდება ძალიან გახმება, გამოიფიტება. „ქვაფში ჩააწვე თონი პური, თორე ისე გაკროწდება, კბილ მოგტეხამს.“

გაკროწება ძალიან გახმობა. „რა არი ესე გაკროწება, როგორ უნა შეჭამოდ კაცმა.“

გაკროწვა იგივეა, რაც გაკროწება.

გაკროწილ-ი ძალიან გამხმარი. „ემ რა გაკროწილი პური მოგვიტანე.“

გაკუჭავს ნელდ, ლენჯოიან კაკალს დანით გააპობს. „აბა, ეგ პატრა ბავშვი კაკალ გამკუჭავს, გამოართვი და შენ გაუკუჭვე.“

გაკუჭვა ნელლი, ლენჯოიანი კაკლის გაპობა დანით. „ჯერ ხო გული არ გაუკეთებია, აბა, მაგიმ გაკუჭვა შაიძლება?!“

გაკუჭულ-ი ლენჯოიანი კაკალი შუაზე გაპობილი. „გროვა-გროვა ეყარა გაკუჭული კაკალი.“

გალაფლაფება გალალლაფება. „რათ უნდა მაგდენი ჭეჭყვა, ერთი-ორჯერ გაალაფლაფეე წყალში და ეყოფა.“

გალაკლაკდება თხლად, შილიფად ჩაიცვამს. „ეი ბიჭი ესე რო გალაკლაკდება ხოლმე, არ გაცივდე.“

გალაკლაკება თხლად, შილიფად ჩაცმა. „რატო გიყვარს ეგი გალაკლაკება, შენთვინ ჯერ არ დამდგარა ზამთარი?“

გალაკლაკებული თხლად, შილიფად ჩაცმული. „ესე გალაკ-ლაკებული ნუ წამოხვალ, იქ ქალაქი არ გეგონომ, გამცივლები.“

გალაღავს გარეკავს. „მენახირე ავთ გამხდარა, ძროხამ ვილა გამლაღამს მინდორში?“

გალაღვა გარეკვა. „საქონლიმ გალალვა დღემ შენი ჯერია.“

გალალულ-ი გარეკილი. „რო ავდექი, ცხვარი უკევი გალალული დამხვდა.“

გალაწუნება გარტყმა. „მაგამ კამ გალაწუნება უნდა ყბაში.“

გალახავს აწყენს. „მაგდენ რბე ნუ ასმევ, გაღლახამს.“

გალახვა წყენა. „ზედმეტი ჭამა კარგი არ გეგონომ, გალახვა იცის.“

გალახულ-ი დაჩიკებული, დაგვალული. „ეგ ხბო (ბატკანი...) ზედმეტი ჭამისაგან არი გალახული.“ ადამიანზეც იტყვიან ხოლმე.

გალელეჩდება გაცივდება, განელდება. „მოდი, შვილო, ღროზე დაიბანე თავი, თორე გალელეჩდება წყალი.“

გალელეჩება გაცივება. „თუ ასე გალელეჩება გინდოდა, ამ წყალ ესე რაღამ მაცხელებინებდი?“

გალელეჩებული გაცივებული, განელებული. „ეი გალალეჩებული კერძი უნა მაჭამოთ ახლა?“

გალეშვა მაგრად გაძლომა. „მაგან ხო ზომა არ იცის, რა არი, სანამ არ გაილეშება, თავ არ დაანებეფს.“

გალეშილ-ი ძალიან გამაძლარი. „უქეიფია, ახლა გალეშილი გღია რა მიძინამ.“

გალინცლინცება პირამდე გავსება (სითხით). „რა იყო ესე გალინცლინცება, წალება აღარ უნდა?“

გალინკლინცებულ-ი პირამდე გავსებული (სითხით). „ოკლიტრიანი ბოცა გალინკლინცებული გამოუტანებინა.“

გალურსვა ბლერა. „მაგ ცხენმა გალურსვა იცი, ახლო არ გაეკარო.“

გალურსულ-ი დაბლერული, საკებნად გამზადებული. „გალურსული მიყურებდა და ახლომ როგორ მივეკარებოდი.“

გამანძილება მანძილის გავლა, შორს წასვლა. „შუადღემდე კარგა გამანძილება მოვასწარი.“

გამანძილებულ-ი შორს წასული, მანძილგავლილი. „ჩვენ უკვე გამანძილებულები ვიყავით, ეგ რო მანქანით დაგვეწია.“

გამელგა გატრუნვა, განაბვა. „მაგამ ისეთი გამელვა შაუძლიან, კერავინ შეამჩნევს, აქ არი თუ არა.“

გამელილ-ი გატრუნული, განაბული. „ხმა ამაილე, რა გამელილი მიხხარ.“

გამთელება გატეხვა. „ჭურჭლიდ გამთელება ხელობათ გაიხადა.“

გამთელებულ-ი გატეხილი. „ამ ერთი ციციქნა ბავშვ უკვე სამი თეფში აქ გამთელებული.“

გამოაბეყებს გამოაშტერებს, გამოასულელებს. „მაგდენი ჩიჩინი უფრო გამოაბეყვს.“

გამოაბზილებს გონს დააკარგვინებს. „იმდენ ულიტინებენ ამ პატრა ბიჭ, სანამ არ გამოაბზილებენ ხოლმე.“

გამოახოგებს გაანიაგებს და ხევას გამოაცლის ბზეს. „სანამ ურემს (მანქანას) მოიტან, მანამ გამოახოვეფს კიდევაც.“

გამობეყება გამოშტერება, გამოლენჩება. „არც ეგე გამობეყება შეიძლება კაცისა, რო აღარაფერი ესმოდე.“

გამობეყებულ-ი გამოშტერებული, გამოლენჩებული. „ეგ გამობეყებული, თითონაც ხო იქ იყო, რატო არაფერი უთხრა.“

გამობზილება გონის დაკარგვა ლიტინისაგან. „ბავშვიდ ეგე გამობზილება როგორ შეიძლება, გინდათ, რო გააფუჭოთ.“

გამობზილებულ-ი ლიტინისაგან გონდაკარგული. „ემ საბრალო ბიჭი ისე იყო გამობზილებული, გონზე ვეღარ მოდიოდა.“

გამობრინჯავს გააძლობს და დაალევინებს. „ეგ ისე არ გამოუშეფეს, სანამ მაგრა არ გამოდბრინჯამს.“

გამობრინჯვა გაძლობა და დალევა. „სად მოასწრო ამ დილაადრიან ესე გამობრინჯვა.“

გამობრინჯულ-ი გამაძლარი. „მაგამ რა ენაღვლება, ყოველდღე გამობრინჯული დადი.“

გამოდღეველება გამოიდარებს. „სუ ხო ჩამოქრუშული არ იქნება, გამოდღეველება, მაი რას იზამს.“

გამოდღევეება გამოიდარება. „არადა, აღარ ეღირსა ამ ამინდ გამოდღევეება.“

გამოდღევებულ-ი გამოიდარებული „დილამ რა კარქა იყო გამოდღევებული და ნახე, ახლა ისევ როგორ მოიქრუშა.“

გამოენთება გამოექანება, საჩხუბრად გამოიწვევს. „როგორ გამოენთება ხოლმე, გეგონება რამე შეეძლო.“

გამოეყელება ფეხის თითები დაუვაადღება. ამ სენის გაჩენა ხშირმა ოფლიანობამ და სისველემ იცის. თითების ქვეშ კანი სკდება და მწვავე ტკივილს იწვევს. „დახურულ ფეხსაცმელ ნუ ჩააცმევ ბავშვ, ფეხი თითები გამოეყელება.“

გამოთრაქაეს უცებ გამოცლის, დალევს. „არაყ რასამ გამოიხდის, მაშინვე გამოითრაქამს ხოლმე.“

გამოთრაქვა უცებ გამოცლა, დალევა. „ჰო, გამოთრაქვა კარგა იცი, საქმი გაკეთება კი გეზარება.“

გამოთრაქულ-ი უცებ გამოცლილი, დალეული. „სხვეფს ჯერ არყი გამოიხდაც არ დაუწყიათ, მაგამ უკვე გამოთრაქული აქ.“

გამოთბრინჯება ბევრს დალევს, გამოძლება. „სანამ არ დამჯდარა სუფრაითან, მანამ უთხარ, თორე რო გამოიბრინჯება, რაღამ გააგონეფ.“

გამოიდღევებს იგივეა, რაც გამოდღეველება. „გამოიდღევეფს და წავალთ.“

გამოიკნაჭება გახდება, დასუსტდება. „გაზაფხულზე სუ ასე გამოიკნაჭება ხოლმე ე გოგო.“

გამოილასტება დაიმშევა, გახდება. „თუ ცოტა როში არ შავაჭამე ამ ძროხამ, გამოილასტება და აღარაფრათ ივარგეფს.“

გამოიშხვევებს გამოიდარებს, მზიანი ამინდი დადგება. „მაღე გამოიშხვეფს და მინდორ ააშროფს.“

გამოიბინტრიშებს პანდურით გამოავადებს. „მაგ კაც ნამუსი აღარა აქ, ყოველთვინ გამოიბინტრიშებენ ხოლმე და მაინც თავ არ ანებეფს.“

გამოიბლურწკება გამოიპრანჭება. „ესე გამოიბლურწკება და დაჯდება, თითქომ სხვა საქმე არა ჰქონდემ რა.“

გამოიღნამება ძალიან გახდება, გაიწლოკება, დაჩიავდება. „ემ ბიჭი ცოტა თუ არ დაასვენე და კარგათ არ აჭამე, ძალიან გამოიღნამება და მერე გვიან იქნება.“

გამოინიშნება გამოიწვრთნება, გამოცდილებას შეიძენს. „ზაფხულში მთაში გაუშეი ემ ბავშვი, იქაურ ცხოვრებასაც გაეცნობა და ცოტა გამოინიშნება კიდეც.“

გამოიძენება იგივეა, რაც გამოიბრინება.

გამოიწონწილებს გამოიზოგავს. „ისე გამოიწონწილებს, რო ემ ერთი მუჭა საკვები გაზაფხულამდე ეყოფა.“

გამოიხედნება გამოიწვრთნება (ცხენი). „აი, ნახავ, გამოიხედნება და კაი ცხენი დადგება.“

გამოიხლართება ნაწლაგები გადაეხლართება პარსვისას (ცხვარს). „დროზე გაუხსენ ფეხები, თორე გამოიხლართება ემ ცხვარი.“

გამოკნაჭვა გახლომა. „შინ არაფერ გაჭმევენ, რა არი ემე გამოკნაჭვა.“

გამოკნაჭულ-ი ძალიან გამხდარი. „ძალს მე ვარ და ძალს ესა, პირ არაფერ აკარეფს, ამიტომ დადიმ ესე გამოკნაჭული.“

გამოლაღავს გამორეკავს. „დღეი ვისი ჯერია, ვინ გამოლაღამს საქონელ?“

გამოლაღვა გამორეკვა. „აბა, შენ იცი, დილაზე ცხვრები გამოლაღვა არ დაგაეიწყდე.“

გამოლაღულ-ი გამორეკილი. „მე უკვე გამოლაღული მყვანდა, მაგან რო დაიხმაურა.“

გამოლასტავს მოამშვეს, გაახდუნებს. „რა არი, როგორ გამოლასტამს ხოლმე ემ კაი კაცი, საქონელი არ ეცოდება?“

გამოლასტვა მომშვევა, გახდუნება. „დიეტაზე ხო არა გყავ ემ ძროხა, ესე გამოლასტვა რა არი?“

გამოლასტულ-ი დამშეული, გამხდარი. „ნახირი ისეე გამოლასტული მოდიმ მინდვრიდან.“

გამომზევდება გამოიდარებს, მზე გამოვა. „გამომზევდება თუ არა, მაშინმე გავემზადებით და წავალთ.“

გამომზევება მზის გამოსვლა, გამოდარება. „ალარ ელირსა გამომზევება, ცოტათი მაინც რო აეშრო მიწა.“

გამომზევებულ-ი გამოდარებული. „რა კარგათ იყო გამომზევებული და ნახე, ისეე როგორ შაიცვალა ამინდი.“

გამომტყვრალ-ი ძალიან მთვრალი, გამობრუებული. „არა ემ თუ ყოველთვინ ეგვა გამომტყვრალი, იმედი აღარა ქქონდე.“

გამონთება გამოქცევა, გამოკიდება. „ბავშვმა დაგვინახა თუ არა, ჩვენკენ გამოენთო.“

გამოპინტრიშება გამოგდება, გამოძევება. „ეგ უხეირო, ება, საცა მივიდა, ყველგან გამოპინტრიშეა.“

გამოპინტრიშებულ-ი გამოპანღურებული. „რამდენჯერა მყავთ გამოპინტრიშებული და მაინც არ ეშვებათ.“

გამოპლურწკვა გამოპრანჭვა. „დაბერდა და ემ გამოპლურწკვა მაინც არ მაიშალა.“

გამოპლურწკულ-ი გამოპრანჭული. „ყოვლდღე ესე გამოპლურწკული გამოვა ხოლმე შინიდან.“

გამოჟრინტაგს გამოწურავს, უკანასკნელ წვეთს გამოაცლის. „დოქს სანამ არ გამოძჟრინტამს, მანამ თავ არ დაანებებს.“

გამოჟრინტვა გამოწურვა. „აბა, შენ იცი, გამოჟრინტვა არ დაგავიწყდება.“

გამოჟრინტულ-ი გამოწურული. „წვეთი წყალი არ დაუტოვებია, ყველაფერი გამოჟრინტული დამახვედრა.“

გამოჟურავს იგივეა, რაც გამოჟრინტავს. „თელ კოკამ გამოძჟურამს.“

გამოჟურვა იგივეა, რაც გამოჟრინტვა. „მითომ მე ვერ მოვახერხებდი ამ ხელადი გამოჟურვად.“

გამოჟურულ-ი იგივეა, რაც გამოჟრინტული. „ბოცა უკვე გამოჟურული ექნება.“

გამოტანება: გამოტანებაზე „იმ ტყის გამოტანებაზე მომცემა ადგილი გასათიბათ.“

გამოტიალდება გამოვა, გამოეთრევა. „რო დაბინდდება, გამოტიალდება, აბა, მად რას იზამს.“

გამოტიალდება გამოსვლა, გამოთრევა. „აბა თუ ეღირსოდ გამოტიალდება ამ ოხერ ძროხამ.“

გამოტიალდებულ-ი გამოსული, გამოთრეული. „ამი ძებნით ტყეში დაგვაწყდა ფეხები, ემ კი მინდორში დაგვხვდა გამოტიალდებული.“

გამოქაჯავს გამოწურავს (ჭაჭას), გამოხდის. „სანამ საიასაც არ გამოძქაჯამს, თავ არ დაანებებს.“

გამოქაჯვა ბოლომდე გამოწურვა. „კაი ეყოფა, ბოლომდე ნუ გამოძქაჯამ ჭაჭამ, არაყიც ხო გინდა, რო გამოძხადო.“

გამოქაჯულ-ი ბოლომდე გამოწურული. „ემ რამ გვასმევს, კაცო, იმერულ ღვინოსავით შეიღჯერ მაინც იქნება გამოქაჯული.“

გამოქნა მოხერის გაწურთნა (შერევა) უღელში შესაბმელად. „თუ გინდა კაი ხარი დაღვებ, სამ წლამდე არ უნდა გამოძქნა.“

გამოქნილ-ი 1. გაწვრთნილი. „ახალი გამოქნილი ხარები საძირში უნა შაბა.“ 2. გადატ. გამოცდილი. „კაი გამოქნილი ბიჭია, არაფერი გაუჭირდება.“

გამოქნის გამოწვრთნის (ხარს). „გიუი მოზვერი რო მიუყვანო, ეგა ერთ-ორ კვირაში ისე გამოქნიდ, რო ურემში ნაბამი ხარი გეგონება.“

გამოქესატება გაღარიბება, უფულოდ ყოფნა. „ჩემ მტერ არ უსურვეფ ესე გამოქესატებამ, როგორც ეხლა მე ვარ.“

გამოქესატებულ-ი გაღარიბებული, უფულოდ დარჩენილი. „ვერ გეტყვით ფული თავზე საყრელათ მქონდა-მეთქი, მაგრამ ესე გამოქესატებულიც არასოდემ ვყოფილვარ.“

გამოღნაპვა ძალიან დასუსტება, გახდომა. „ალბათ, მომწონს ესე გამოღნაპვა და იმ ვარჯიშზეც იმიტომ დადი.“

გამოღნაპულ-ი ძალიან გამხდარი, დალეული, გასაცოდავებული. „ნახე, რა გამოღნაპულია, მაგან რა უნა გაგვიკეთოდ.“

გამოყელგა სენია ერთგვარი, ფეხის თითებში ჩნდება, სისველემ და ხშირმა ოფლიანრამ იცის. „თითები გამომეყელა და მაწუხეფს.“

გამოყელილ-ი დამსკდარი, დაშრეებული. „ფეხიდ თითები ისე მაქ გამოყელილი, რო სიარული აღარ შემიძლიან.“

გამოჩანჩლაგ-ს გააკეთებს, მოახერხებს, არაფრისაგან რაღაცას გამოიყვანს. „ეგ ისეთი კაცია, აი, მანხამ, რაღაცამ გამოჩანჩლაგს.“

გამოჩინჩ[ც]ნა გამოწვრთნა, გამოცდილების შეტენა. „აცალეთ, ცოტა გამოჩინჩნება და მერე ნახეთ, რა ბიჭი დადგება.“

გამოჩინჩნილ-ი გამოცდილი. „მაგარი გამოჩინჩნილი ვიღაცაა, მაგამ არაფერი შეეშლება.“

გამოჩინჩნის გამოწვრთნის, გამოცდილებას შესძენს. „პაპამ ჩაუბარეფ და მანხამ, როგორ ბიჭსაც გამოჩინჩნის.“

გამოჩინჩდება გამოცოცდება. „ჯერ ფეხზე კიდევ ვერ დგება, დამინახამს თუ არა, მაშინვე ჩემქვენ გამოჩინჩდება ხოლმე.“

გამოჩინჩება გამოცოცება. „არა, ჯერ სიარული არ შეუძლია, მხოლოდ გამოჩინჩება იცი.“

გამოჩინჩებულ-ი გამოცოცებული. „დერეფანში გამოჩინჩებული ბავშვი რო დაეინახე, შიშისაგან კინაღამ გული წამივიდა.“

გამოჩინჩლართაგს მოაკვარახჭინებს, გაახერხებს, რაღაცას გამონახავს. „რაც გინდა ძნელი საქმე იყო, მაგამ არ გაუჭირდება, რაღაცამ მაინც გამოჩინჩლართაგს.“

გამოჩხლართვა მოკვარახჭინება, გახერხება. „მიდი მაგამთან, მაგნაირი საქმეები გამოჩხლართვა არ გაუჭირდება.“

გამოჩხლართულ-ი გახერხებული, მოკვარახჭინებული. „არ დამიმალო, ვისი გამოჩხლართულია ეი საქმე.“

გამოცანცარდება ცანცარით გამოვა. „ბავშვი რო გამოცანცარდება ეზოში, მაგაზე ბედნიერება რა უნა იყო.“

გამოცანცარება ცანცარით გამოსვლა. „კურდღელ გამოცანცარება არ დააცადა, მაშინვე ესროლა.“

გამოცანცარებულ-ი ცანცარით გამოსული. „ბატია ეზოში იყო გამოცანცარებული.“

გამოცვლა: ფქვილის გამოცვლა. წისქვილში როცა დიდი რიგი იყო, უკანა რიგში მდგომს, რომელსაც დიდხანს მოუწევდა ლოდინი, შინ კი პურის გამოსაცხობი არაფერი ჰქონდა, საფქვევის პატრონს ან მეწისქვილეს (თუ პატრონი იქ არ იყო) სთხოვდა, ცოტაოდენი ფქვილი (4-5 კილო) დაეთმო მისთვის, თანხმობას რომ მიიღებდა (იშვიათად რომ უარი ეთქვა ვინმეს), იმავე რაოდენობისას ამოიღებდა თავისი ტომრიდან და ხელისგამმართავის საფქვევს დააყრიდა. ზოგჯერ გაჭირვებული ხალხი სულაც ამ 4-5 კილოს მოიტანდა. ასეთებს რიგში არ აყენებდნენ, სხვისა ფქვილს მისცემდნენ, მოტანილს კი იმას დააყრიდნენ, ვისიც იფქვებოდა. ასეთ ხელის გაპართვას „ფქვილის გამოცვლა“ ერქვა.

გამოწონწილება გამოზოგვა. „მაგან ისეთი გამოწონწილება იცი, თელი ზამთარი გვეყოფა.“

გამოწონწილებულ-ი გამოზოგილი. „არ ვიცი განა შენი ხასიათი, ყველაფერი აწონილ-გაზომილი და გამოწონწილებული გექნება.“

გამოხანხლაფს უცებ, ფათაფუთით გამოაცხობს, ნახევრად ცომს მოხდის. „გამოცხობასაც კი არ აცდი, უცებ გამოიხანხლამს და მორჩა.“

გამოხანხვლა უცებ გამოცხობა. „გამოხანხვლა თუ გინდოდა, თონეა რაღაა მახურებინებდი?“

გამოხანხლულ-ი ვითომ გამომცხვარი, სანახევროდ ისევ ისე ცომად დარჩენილი პური (მჭადი...). „ეი მჭადები შენი გამოხანხლული იქნება.“

გამოხედნა ცხენის გაწვრთნა. „ცხენი გაწვრთნა ვეძახით გამოხედნამ, ხარისამ კი – გამოქნა იქვია.“

გამოხედნილ-ი გაწვრთნილი ცხენი. „ერთი კაი გამოხედნილი ცხენი მაჩუქა პაპაჩემმა.“

გამოხედნის გაწვრთნის (ცხენს). „ბრიგადელმა ერთი გიჟი ულაყი მაიყვანა და გვიტხრა: ვინც ამა გამოხედნის, ხუთ შრომადღემ დაუწერო.“

გამოხვეტავს გამოასუფთავებს. „დილით სანამ გომ არ გამოხვეტამს, მანამ სხვა საქმე არ გააკეთებს კაი მურნე კაცი.“

გამოხვეტა გამოსუფთავება, გამოწმენდა. „აბა, შენ იცი, გომში გამოხვეტა არ დაგავიწყდეს.“

გამოხვეტილ-ი თუ გინდა, რო ცხენი სუფთათ მოვლილი გყვანდეს, თავლა უნა ქქონდეს გამოხვეტილი და იატაკი ბზით მომშრალებული.“

გამოხიწიწება გამოცარიელება. „ესე სახლი გამოხიწიწება შენი ბრალი იქნება.“

გამოხიწიწებულ-ი გამოცარიელებული. „სახში აღარაფერი დამიტოვე, ისეა გამოხიწიწებული, რო ვერაფერ იპოვი.“

გამოხლართავს გააწვალებს. „სანამ გაძარსამს, ცხვარ ნაწლავევ გამოუხლართამს და მოაკლამს.“

გამოხლართვა გაწვალება პარსვისას, ნაწლაების გადაგრეხვა. „ცხვარმა გაძარსვისამ გამოხლართვა იცოდ.“

გამოხლართულ-ი ნაწლაებგადაგრეხილი. „მიხედე იმ ცხვარ, დროზე გაუხსენ ფეხები, ვერა მხედამ, რომ გამოხლართულია?“

გამოხოვდება მარცვალი გამოირჩევა ბზისაგან. „აილე ნიჩაფი და ანიავე, თავისით არ გამოხოვდება პური.“

გამოხოვება პურის (მარცვლის) გამორჩევა ბზისაგან, „ბავშვობაში მარტო კვერზე ჯდომა კი არ მიყვარდა, გამოხოვებაც შემეძლო.“

გამოხოვებულ-ი ბზისა და ბუროსაგან გამორჩეული პური (მარცვალი). „სანამ ბინდი ჩამოწვებოდა, უკვე გამოხოვებული გექონდა პური.“

გამოჯრა მაგრად გამოხურვა, გამოკეტვა კარისა. „კარის გამოჯრა არ დაგავიწყდეს.“

გამოჯრილ-ი მაგრად გამოხურული, გამოკეტილი. „გომში კარი გამოჯრილი დავტოვე, მერე ვინ გააღო, არ ვიცი.“

გამჩვირვა გაბუტვა, დამდურება. „რამ მეჩვირება, რა დაუშავე ისეთი, რო არ ვიცი?!“

გამჩვირულ-ი გაბუტული, დამდურებული. „თელი დღე ესე გამჩვირული დადი, ნეტა გამაგებინა, რამ გვემართლება.“

გამწლიკულ-ი გამხდარი, ტანწვრილი. „ისეა გამწლიკული, იფიქრე, ქარი წააქცევსო.“

განაგის-ი მოდგმა, შთამომავლობა, მისხისმისხი. „აი, გაწყდა მაგათი განაგისი, კაი გვარისანი ეგენი არიან.“

განაგისგასაწყვეტი-ი წყვეალა. ის, ვისაც უსურვებენ, რომ ამოუწყდეს ჯიში, ჯილაგი, მოდგმა, ნათესაობა. „აი, ეგ განაგისგასაწყვეტი, ეგა, რატო არ დამანებეფს თავსა, რა უნდა ჩემგან?!“

განარდიშება გაწაფვა, დასწავლა, დაჩვევა. „უყურე ერთი ამი განარდიშება!“

განარდიშებული გაწაფული, დაჩვეული, გავარჯიშებული. „ისე ეგ განარდიშებული, ეხლა არარეფერი შეეშლება.“

განგვლა გასვრა (მტვერში). იგივეა, რაც ამოგანგვლა.

განთება გაკიდება. „ეი ლეკვი მაგარი ძალლი დაღება, ნახე, რა განთება იცის?!“

განაწილდება დანაყრდება, გაილუკმება. „დილით ცოტა განაწილდება და მაშინვე მგელივით ეცემა საქმეა.“

განაწილება დანაყრება, ცოტას შეჭმა. „განაწილებაც ვერ მოასწრე, ისე ჩქარა წავიდნენ შინიდან.“

განაწილებულ-ი დანაყრებული, გალუკმული. „ვისაც არაფერი გიჭამიათ, ეხლა დაგირიგეთ პურ, ვინც განაწილებულები ხართ, ცოტა უნა მოითმინოთ.“

გაპაპაჯვარდება ფეხს მოირთხამს, ადგილიდან აღარ დაიძვრება. „მიდი, სანამ დროა, წამაიყვანე მაძამენი, თორე რაკი გაპაპაჯვარდება, რაღა დაიძრამს ადგილიდან.“

გაპაპაჯვრება ფეხმორთხმით ჯდომა, ადგილიდან დაუძვრელობა. „ხო იცი, მაგიდ გაპაპაჯვრების ამბავი.“

გაპაპაჯვრებულ-ი გათამამებული, ნებიერი, ვინც ფეხს არ მოიციკლის ადგილიდან. „ეგ ისე მყავთ გაპაპაჯვრებულნი, სიტყვად ვერავინ გაუბეღამს.“

გაპარკავს ლობიოს პარკიანად გაკრეფს. „იმდენი ლობიო მაქვს გაგლეჯილი, არ ვიცი, რა გამპარკავს მაგად.“

გაპარკვა ლობიოს პარკიანად გაკრეფა. „მთავარია გაპარკვა, თორე მერე მზეზე გაფენ და თავისით გაიშლება ლობიო.“

გაპარკულ-ი პარკიანად გაკრეფილი ლობიო. „ლობიო გაპარკული და გაფენილი გვაქვს უკვე, მაგრამ გასაგლეჯიც ბევრი დაგვრჩა.“

გაპეწენიკება გასუფთავება, გაწკრივლება, გალამაზება. „აი, გაპეწენიკებაც ამასა იქვიან.“

გაპეწენიკებულ-ი გაწკრიალებული, გასუფთავებული, გალა-
მაზებული. „დედარეშმა ყველაფერი გაპეწენიკებული დამაზვედრა.“

გაპილპილება გავსება პირამდე (სითხით). „რა იყო ესე
გაპილპილება, წაღება აღარ უნდა?“

გაპილპილებულ-ი პირამდე გავსებული (სითხით). „ამ ლოთმა
გაპილპილებული დოქი დაცალა.“

გაპიპინება იგივეა, რაც გაპილპილება. „გაპიპინება რო
მდომოდა, თითონ გაგაპიპინებდი.“

გაპიპინებულ-ი იგივეა, რაც გაპილპილებული. „ემ სადღეგრ-
ძელო გაპიპინებული ისმება.“

გაპინტრიშება გაგდება, გაძევება, პანღურის კერა. „ისე
მოგვაბეზრა თავი, გარეთ გაპინტრიშება მოუწვეს.“

გაპინტრიშებულ-ი პანღურით გაგდებული, გაძეკებული. „ეგა
ბევრჯელ მყავთ გაპინტრიშებული, მაგრამ თავისამ მინც არ
იშლიდ, ისეე მოაკითხამთ ხოლმე.“

გაპიტკინება გათერთება, გასუქება, თავის მოვლა,
გაქათქათება. „ერთი იმ გოგომ გაპიტკინება ნახე!“

გაპიტკინებულ-ი გაქათქათებული, გასუქებული, თავმოვლილი.
„აი თავის მოვლაც ამასამ ძქვია, ნახე, როგორაა გაპიტკინებული.“

გაპტყელდება ერთ ადგილზს დიდხანს იჯდება, უდარდელად
იქნება. „სუფრაზე ისე გაპტყელდება ხოლმე, თითქომ სხვა დარდი
არაფერი ძქონდემ.“

გაპტყელება უდარდელობა, ადგილიდან ფეხის მოუცვლელობა.
„თუ არ შევანსენეთ, ფეხ არ მოიცვლიდ, მაგიდ გაპტყელები ამბავი
ხო კარგათ იცი.“

გაპტყელებულ-ი 1. უდარდელად მყოფი, ადგილიდან
ფეხმოუცვლელი ადამიანი. „ნახე რა გაპტყელებული ზის, მაგამ
რა დამძრამს ადგილიდან.“ 2. გაჭიანურებული, აგდებული,
გამომწვევი ლაპარაკი. „არ მიიტანო გულთან, ხო იცი, რა
გაპტყელებული ლაპარაკი უყვარს მაგამ.“

გარგალ-ი გარგარი, ჭერმის საუკეთესო ჯიშია. „ეზოში ერთი
გარგალი გვიდგა.“

გარდა გაზრდა. „შენ გარდა, წადი ერთი ჭიქა წყალი
მამიტანე.“

გარდაია: ჩემს (შენს, იმის...) გარდაია გარეშე, გამოკლებით.
როცა დაწყველას ან დაგინებას აპირებენ და არ უნდათ, რომ ამ
დაწყველის (დაგინების) ობიექტებში მათთვის სასურველი
(მისაღები) პირებიც მოხვდნენ, მაშინ ხმარობენ ამ სიტყვას. „შენ

გარდაია ყველამ მიწა დავყარე“; „თქვენ გარდაია ყველამ დედა ვატირე“; „იმათ გარდაია, ნეტავი ყველანი ამომწყდნენ.“

გარდას გადასვლა მოუზომავი ლაპარაკი. „მაგან ხანდახან იციმ გარდა გადასვლა“.

გარდილ-ი გაზრდილი. „კაი გარდილი შვილი მყავ.“

გარეკაურ-ი ქართული ჭიდაობის ერთ-ერთი ილეთი, ხერხი. „მაგან თუ გარეკაური მომდო, მერე მშვიდობით.“

გარიალება გაწველის შემდეგ ცხვარ-ბატკნის ერთმანეთში დარევა. „წველამ რო მოვრჩებით, მერე გაურიალეთ ცხვარ-ბატკან.“

გარიალებულ-ი ბატკნები და დედაცხვრები ერთმანეთში დარეული მოწოვის მიზნით. „კარგათ გამოიწოვონ, ერთი საათი მაინც გყავდეთ გარიალებული.“

გარკინავდება 1. გამაგრდება, რკინასავით გახდება. „ემ შეშა დროზე დამჭერი, სანამ ნელლია, თორე მერე ისე გარკინავდება, ცულ ველარ დააკარეფ.“ 2. გაკერპდება, გაზარმაცდება. „ემ ბიჭი ხანდახან ისე გარკინავდება ხოლმე, რომ ჩხირ ვერ გადააბრუნებინეფ.“

გარკინავება ძალიან გახმობა, გამაგრება, რკინასავით გახდომა. „კერახმა ისეთი გარკინავება იციმ, თუ ნელლი არ დამჭერი, ცულ კბილფეს დამატკრევს.“

გარკინავებულ-ი ძალიან გამაგრებული, გამხმარი, რკინად-ქეული. „მიწა ისეა გარკინავებული, ცოტა თუ არ გაწვიმდა, ბარ ვერ დააკარეფ.“

გაროკვა 1. გახდომა, გამვალტყავება. „რა არი ეგე გაროკვა, ნუთუ არაფერ გაჭმევენ სახლში.“ 2. გახმობა, გაკორაწება. „პურიმ ასე გაროკვა შაიძლება? კბილ ვერ დააკარეფს კაცი.“

გაროკილ-ი 1. გამხდარი, გამვალტყავებული. „მაგანაც უნა თქვამ, საქონლი პატრონი ვარო, ეგე გაროკილი ძროხები, აბა ვისა მყავ.“ 2. გამხმარი, გაკორაწებული. „მომკლა ამ გაროკილი პური ჭამამ, რამის არი კბილები დამემტკრეა.“

გარუფღვა შეციება, გაცრეცა. „თბილათ არ ჩააცმევ და ნახე მერე მაგიმ გარუფღვა.“

გარუფღულ-ი შეციებული, გაცრეცილი, მობუზული. „რათა ხარ ეგე გარუფღული, ხო არ ქცივა?“

გასაბრასტაფ-ი, გასაბრასტ-ი გასაწყვეტი. „ეგ გასაბრასტ-ავები სად არიან აქამდე?“

გასადევარ-ი სოფლის განაპირა ადგილი, საქონლის (ფრინველის) გასარეკი მინდორი. „სად არი სამართალი, სოფელ გასადევარი აღარ დაუტოვემ, კოლმეურნეობაში რამში ეზოებიც კი გადაგვიხნე.“

გასალაშინება გაშალაშინება. „ნახე, რა სწორი ფიცარი მოვატანიე, სუ ცოტალა უნდა გასალაშინება.“

გასალაშინებულ-ი გაშალაშინებული. „გასალაშინებული ფიცარი მოვიტანე ქარხნიდან, დაგებალა უნდა.“

გასაპენტ-ი 1. გასაჩეჩი. „მატყლი წავიდე ქალაქში გასაპენტათ.“ 2. გადატ. საცემი. „შენც კაი გასაპენტი ხარ!“

გასაწინწილებელ-ი გასაყოფი, გასანაწილებელი. „მანდ რაღაა გასაწინწილებელი, სუ შენტონ დაიტოვო, აჯობეფს.“

გასაწონწილებელ-ი გამოსაზოგი. „ცარიელა პურიც რო გასაწონწილებელი გაუხდება კაც, წასულია მისი საქმე.“

გასაწყალებელ-ი წყველაა. გასაქვაკებული. „სად დაიკარგა ეგ გასაწყალებელი, ევა.“

გასახლავს მითვისებს, დაეპატრონება (ტანსაცმელს). „უმცროსი ბიჭი ძან გაუმეტარი განდა, რაც გინდა ვიყიდო, ჯერ თითონ უნდა გასახლომ თუ არ მოეწონება, მაშინ დააბრუნეფს“.

გასახვლა მითვისება დაპატრონება (ტანსაცმლის) „აჰა, ჩაიცი, შენმა ძმამ არ დაგასწრომ გასახვლა, თორე, მერე გვიან იქნება“.

გასახლულ-ი მითვისებული, დაპატრონებულ-ი. „ჩემი პალტო ჯერაც არ ჩამეცვა, პატრა ძმამ უკვე გასახლული იქონდა.“

გასიკნავს გააძღობს, ბევრს შეაჭმევს, მუცელს ამოუყორავს. „რა ყოჩალი მწყემსი გამოგვადგა ემ პატრა ბიჭი, ბატკნეფს ისე გადსიკნამს მწვანე ბალახით, რძე აღარც კი აგონდებათ.“

გასიკენა ძალიან გააძღობა, ფერდის ამოღება. „აკი ამობდი, ბალახი აღარ არიო, მამ რამ გასიკენა ემ ძროხა?“

გასიკნულ-ი ძალიან გააძღარი, ფერდება მოვსებული. „ისე იყო გასიკნული, ძლივლა ქმინამდა.“

გასტერდება გაშტერდება. „რა ემართება ამ ბიჭ, გოგოეფს რო დაინახამს, მაშინვე გასტერდება ხოლმე.“

გასტერება გაშტერება. „ერთი უყურეთ მაგიმ გასტერება.“

გასტერებულ-ი გაშტერებული. „თელი დღე ესე ზის გასტერებული და ფეხ არ იცვლის.“

გასუსავს გააჩუმებს, კრინტს არ დააძვრევენებს. „ძან დიდი რიდი აქვთ მამისა, ერთ შედხელამს თუ არა, ყველამ გადსუსამს ხოლმე.“

გასუსვა გაჩუმება, განაბვა, ხმის გაკმენდა, აბუზვა. „ეგეთი რა უთხარი, რო გაისუსა?“

გასუსულ-ი გაჩუმებული, განაბული, ხმაგაკმენდილი. „ეგ ისეა გასუსული, რალაცამ დააშავებდა.“

გასიმსხოვება გაბერვა, გაბლენძვა, გაყოფორება. „არაფერში არ ენდო მაგამ, ისეთი გასიმსხოვება იცის, სუ მალე დაივიწყეფს შენ სიკეთედ.“

გასცრის შეეშინდება „არ ვიცი, რა ემართება, იძამ რო დანახამს, მაშინვე გადცრის ხოლმე.“

გატატანება: ხელს (ხელებს) გაატატანებს. ხელს გაიქნევს უარის ნიშნად.

გატანებაზე გასწვრივ, გაგრძელებაზე. „ჩემი ვენახი გატანებაზე ცარიელი ადგილი ევდო, დავამუშავე და აღარ დამანებედ.“

გატიალდება დათვრება, თავს ჩაიხრჩობს სასმელში. „სანამ ძან გატიალდება, წავიყვანოთ, თორე მერე აღარ გამოგყვება.“

გატიალება დათრობა, ბევრის დაღევა. „ხო, შენ ნაკლებათ იცი, გატიალება, სხვამ დადცინე!“

გატიალებულ-ი ძალიან მთვრალი, გაღეშილი. „წუსხელისაც ისეთი გატიალებული მოვიდა, პირში ენა აღარა მქონდა.“

გატრეტავს დაათრობს, ბევრს დააღევენებს. „რა არი, ეგ კაი კაცი ცოტა ხო უნა დაფიქრდე, ესე რო გამტრეტამს და გამოუშვეფს ხოლმე, არ ეშინია, სადმე გადაიჩეხოი?“

გატრეტვა ძალიან დათრობა, ბევრის დაღევა. „არა, მაგამ დაღევა კი არა, გატრეტვა მქვიან.“

გატრეტილ-ი ძალიან მთვრალი. „ყოველდღე ასე გატრეტილი რო დადი, თავი არ ენანება?“

გატრიზავება სიტყვის ბანზე ავდება, დაცინვა, საწინააღმდეგოს თქმა. „გაანებე თავი, ნეტა რამ ელაპარაკები, ხო იცი, ვინცა ბძანდება; კარგ არაფერ გეტყვის, მაგი ხელობა მართო გატრიზავება.“

გატურ[ც]ნა გატრუნვა, განაბვა. „მაგან ისეთი გატურნა იცი, კურდღელი ვერ აჯობეფს.“

გატურნულ-ი გატრუნული, განაბული. „ბავშვები გატურნულეები ისხდნენ ბუხართან და გულდასმით ისმენდნენ ბაბომ ზღაპრეფს.“

გატუჩვა იგივეა, რაც გამჩირვა. „ამ ჩვენი მეზობლი გატუჩვალა მაკლდა.“

გატუჩულ-ი იგივეა, რაც გამჩვირული. „ორი დღეა, გატუჩული დადიმ და არაფერ გვეუბნევა.“

გატყლაპ[ვ]ნა კვერცხის ან ძალიან მწიფე, წვნიანი ხილის ძირს დაცემა, გასკდომა და აქეთ-იქით გაშლა, გასვრა.

გატყლაპნი-ს ძირს დაუვარდება და გასვრის. „გამოართვი ემ კვერცხები ამ ბავშვს, თორე დაუცვივა და იატაკ გაატყლაპნის.“

გატყლაპნილ-ი გასვრილი, ძირს დავარდნილი და გამსკდარი. „კვერცხი გატყლაპნილი ეგლო იატაკზე.“

გატყლაპნიულ-ი იხ. გატყლაპნილი.

გატყრომა დათრობა, ბევრის დაღევა, გაძლომა. „ნეტა სად მოასწრო ამ დილაადრიან ესე გატყრომა.“

გაუშეტარ-ი ძუნწი. „ამითანა გაუშეტარი დედაკაცი არსად არ შამხვედრია.“

გაუხედნაფ-ი გაუწვრთნელი. „ეგ ისეთი მაგარი იყო ბავშვობაში, გაუხედნავ ცხენსაც კი არ უშინდებოდა.“

გაუჯვარდება გაუჯვარდება, გაუბრაზდება. „მაგამ არავისი რიდი არა აქ, ჰაბა გაუჯვარდება თუ მამა, სუ არ ანაღვლეფს.“

გაფარჩავდება გაიშლება, ყველა დაინახავს. „სულაც არ არი საჭირო, ეგ საქმე რო გაფარჩავდე.“

გაფარჩავება გაშლა, მიყრა-მოყრა. „რა არი, ემ წიგნები როგორ გაფიფარჩავებია, დალაგება არ უნდა?“

გაფარჩავებულ-ი გაშლილი, მიყრილ-მოყრილი. „თელი სახლი გაფარჩავებული დამხვდა.“

გაფაშვა დახევა, დაგლეჯა (ფეხსაცმლის). „რა უყო ამ ბიჭს, აღარ ვიცი, ყველაფერ უცეფ გამფაშვამს ხოლმე.“

გაფაშული-ი დახეული, დაგლეჯილი (ფეხსაცმელი). „აბა, ფული რო მქონდებ, გაფაშული ჩუბტებით ივლიდა?“

გაფითქინდება გასუქდება, გაივსება, გალამაზდება. „მაგამ კარგათ ჩააცვი, დაახურე, აჭამე და მერე ნახე, როგორ გაფითქინდება.“

გაფითქინება გასუქება, გავსება, გალამაზება.

გაფითქინებულ-ი გასუქებული, გავსებული, გალამაზებული. „მშენიერი რძალი მოიყვანა ჩვენმა მეზობელმა, გავსებული, გაფითქინებული.“

გაფიჩხავს გაყინავს, გათოშავს. „იმდენ ხან ამყოფეფს ბავშვეფს გარეთ, სანამ არ გაფიჩხამს.“

გაფიჩხვა – გაყინვა, გათოშვა. „თუ ღროზე არ შელალე ძროხები გომში, გაფიჩხვა არ ამცდებათ.“

გაფიჩხული-ი გაყინული, გათოშილი. „ეგ გაფიჩხული ხელები, ახლო არ მიიტანო ღუმელთან, ძან დაგეწვება.“

გაფორტნავს უშნოდ გათლის, გააფუჭებს. „იმაი მასალამ როგორ ანდოფ, გააფორტნამს და დააგდეფს.“

გაფორტ[ვ]ნა უშნოდ გათლა, გაფუჭება. „ხელოსანი ძქვიან მაგამ, ეგე გაფორტ[ვ]ნა ზო მეც შემეძლო.“

გაფორტნი-ს უშნოდ გათლის. იხ. გაფორტნავს.

გაფორტნილ-ი უშნოდ გათლილი. „მე მაგიდა ვუთხარი, მაგან კი ერთი გაფორტნილი რაღაცა მამიგდო.“

გაფოფ[ვ]რა გაშლით ჯდომა, ხელების (ფრთების) და ფეხების განზე გაწევა, დიდი ადგილის დაკავება. „მაგან ეგე იცის გაფოფ[ვ]რა, სულაც არ ფიქროფს, სხვასაც დაუთმომ ცოტა ადგილი.“

გაფოფრილ-ი ფრთებგაშლილი, ხელ-ფეხგაშლილი. „ნახე, როგორაა გაფოფრილი, მაგამ ვინ მიუდგება ახლო?!“

გაფრანგდება 1. გაყოჩაღდება, გახურდება. „ისე ღმერთ არ უქნია და როცა ვინმე დაინახამს, მაშინ გაფრანგდება ზოლმე.“ 2. გაბრაზდება, გააფთრდება. „დაანებე თავი, თორე ისე გაფრანგდება, ველარაფერი დააწყნარეფს.“

გაფრანგება 1. გაყოჩაღება, გახურება (მუშაობაში). „ზარმაცია, მაგრამ ზოგჯერ ისეთი გაფრანგება იცის, ორი-სამი კაცი საქმეი აკეთეფს.“ 2. გაბრაზება, გააფთრება. „შეეშვით, არ გინდათ მაგი გაფრანგება, თორე ყველამ გადაგვჭამს.“

გაფრანგებულ-ი 1. გაყოჩაღებული, გახურებული (შრომაში). „ნახე, როგორა მუშაოფს, ეგეთი გაფრანგებული არასოდე მინახამ.“ 2. გაბრაზებული, გააფთრებული. „ახლო არ გაეკარო, დღეი ისეთი გაფრანგებულია, არ დაგინდოფს.“

გაფრანგდება მეძავი განდება, გაროსკიპდება. „ქალი ნუ გაფრანგდება, თორე მერე ნამუს ჩამოირეცხამს და აღარაფერი დააკავეფს.“

გაფრანგება გამეძავება, გაროსკიპება. „არა, ღმერთი არ აპატიეფს მაგ უსინდისომ იმ ობოლი გოგომ გაფრანგებაი.“

გაფრანგებულ-ი გამეძავებული, გაროსკიპებული. „მაგ გაფრანგებულ დედაკაც ნეტა როგორ ანდობენ შეილეფს.“

გაფურჩენა ვაზისათვის ზედმეტი ფოთლებისა და ნამხრეკების შეტლა. „ცოტა აშრება თუ არა გაფურჩენამ შაუდგები.“

გაფურჩნავს იგივეა, რაც გაფურჩნის.

გაფურჩნის ვაზს ზედმეტ ფოთლებსა და ნამხრევეებს შეაცლის. „ყოველთვინ დროზე შამწამლამს, გაფურჩნიმ ხოლმე და კარგათაც იმიტო უსხია ვენახ.“

გაფურჩნილ-ი ზედმეტ ფოთოლ და ნამხრევეებშეცლილი. „იმითანა გაფურჩნილ ვენახ, რო დაიარო, ვერსადა ინახამ.“

გაფურჩნულ-ი იხ. გაფურჩნილი. „ვისი გაფურჩნულია ემ ვენახი?“

გაფაშეავს გახვეს, გაგლეჯს. „რანაირი ხმარება იციმ ამ ბიჭმა, ორ დღეში გაფაშეავს ხოლმე ახალ ფეხსაცმელ.“

გაფაშვა გახვევა, გაგლეჯვა. „ემ რა გიქნია, ესე გაფაშვა შაიძლება?“

გაფაშულ-ი გახეულ-ი, დაგლეჯილი. „ესე გაფაშული ფეხსაცმლით როდემდე უნა დავდიოდე სკოლაში?“

გაფუშავს გაშლის (კარტოფილს). „არ უნდა მაგდენი დულილი, გაფუშამ კარტოფილ.“

გაფუშვა გაშლა. „არ მომწონს ემ კარტოფილი, ნამეტანი გაფუშვა იცის.“

გაფუშულ-ი გაშლილი. „ქვაბი გადაწურე და გაფუშული კარტოფილები ცალკე ამოიღე.“

გაფშლეკავს ფეხებსა და ხელებს უშნოდ გაშლის. „რა ცუდი ჩვევა აქ ამ ბავშვ, უბრალო რამეზე როგო გაფშლეკავს ხოლმე ფეხებს.“

გაფშლეკვა ხელებისა და ფეხების უშნოდ გაშლა, გაჯიუტება. „მიეცი და მოაშორე, მაგია გაფშლეკვამ ნუ მაყურებინე.“

გაფშლეკილ-ი გაჯიუტებული. „ეგ ისეთი საზიზლარი ბავშვია, სანამ თავისადა არ გაიტანს, გაფშლეკილი ეგდება.“

გაფხავდება გაცვდება. „ეგეც მაგათი იმპორტული საქონელი, ხელათში გაფხავდება ხოლმე.“

გაფხავება გაცვეთა, დაჩითვა. „რა არი ასე გაფხავება, გუშინ არ გიყიდე ემ ოხერი პერანგი?“

გაფხავებულ-ი გაცვეთილი, დაჩითული. „თელი ზამთარი გაფხავებულ პალტოში გაეატარე.“

გაქაჯავს 1. ბოლომდე გაწურავს, წვეთს არ დატოვებს. „ისე გაიქაჯამს ხოლმე, რო ერთი წვეთი ღვინო აღარა რჩება ჭაჭაში.“
2. ცხიმს არ დატოვებს. „რძემ გაიქაჯამს.“

გაქაჯვა ბოლომდე გაწურვა. „ქარგი, ეყოფა გაქაჯვა, არაყიც ხო გინდა.“ ცხიმის გამოცლა. „რა იყო, გენაცვალეთ, ამ რძიი ესე გაქაჯვა?“

გაქაჯულ-ი 1. ბოლომდე ამოწურული. „ისეა ემ ჭაჭა გაქაჯული, რო წყალი თუ არ დაასხი, არ დადულდება.“ 2. ცხიმგაცილი. „ეტყობა, გაქაჯული რძისაგანაა ემ ყველი დამზადებული, არაფერი გემო არა აქ.“

გაქეჩავს გარეკავს, წაასხამს. „სად გამეჩრამს ხოლმე ემ ინდაური ჭუკიეფს, არაფერ დააჭამოდ.“

გაქეჩვა გარეკვა, წასხმა. „თვალი გეჭიროდ, მაგ კრუხმა ხშირათ გაქეჩვა იცის ხოლმე წიწილებისა.“

გაქეჩილ-ი გარეკილი, წასხმული. „აგე, რო ეძებდი, იქ არ არიან გაქეჩილები!“

გაქსევა 1. გარეკვა, ხელის აქნევა. „რა არი, ეგე რამ გაგაზარმაცა, გაქსევა მაინც არ შაგიძლიან, იმ ცხვრებმა ბომტანი რო გადაძოვემ.“ 2. დაქსევა, შეგულიანება (ძაღლისა). „მაგ ძაღლ რალა გაქსევა უნდა, ისედაც ყველაი ეტანება.“

გაქშუგდება გაგარეულდება, შინიდან წავა. „ცოტა მოეფერე, ქალო, თორე საბოლოოთ გაქშუგდება ემ შენი ქმარი.“

გაქშუება გაგარეულება, შინიდან წასვლა. „რა მალ-მალე იცის გაქშუება ამ კაცმა, აღარ უნა დაჭკვიანდემ.“

გაქშუებულ-ი გაგარეულებული. „მამაშენი ისეე ისე გაქშუებულა?“

გაღვარცლა გაძარცვა, გაფცქვნა, ყველაფრის წაღება. „მაგ უნამუსომ გაქურდვა და გაღვარცლა ხელობათ გაიხადა.“

გაღვარცლილ-ი გაძარცული, გაფცქვნილი. „ჩვენი ქვეყანა ესე არასოდემ ყოფილა გაღვარცლული.“

გაღვერავს 1. მატყლს გააცლის. „თუ ღროზე არ დაიძარსე ემ ცხვრები, ჯაგი და ბეძვი გაიღვერამს.“

გაღვერვა მატყლის გაუპარსავად გაცლა. „თუ მატყლი გინდა, გაღვერვამდე არ უნა მიიყვანო საქმე, ღროზე უნა გაიძარსო.“

გაღვერილ-ი გაუპარსავად მატყლგაცილი. „შე კაი კაცო, რა იქნებოდა იქვე გაგეპარსა და ესე გაღვერილები არ მოგერეკა ჩემთვინ.“

გაღვლიაძდება გაშიშვლდება, გატიტვლდება. „ემ ბიჭი წარაპარა ესე რო გაღვლიაძდება და გარეთ დარბი, არ გეშინია, რო გაცივდემ.“

გაღვლიაბება გაშიშვლება, გატიტვლება. „რატო გიყვარს ვე გაღვლიაბება, ვერ უნა მოიშალო?“

გაღვლიაბებულ-ი გაშიშვლებული. „ზამთარია თუ ზაფხული სუ ერთია, ესე გაღვლიაბებული დადიმ შინ და გარეთ.“

გაღვრიჭინდება გაიღვრიჭება, გასუფთავდება, კარგად დაიბანს. „ჩემ პატარამ ძალიან უყვარს წყალი, ჩაბჭება აბაზანაში და სანამ არ გაღვრიჭინდება, არ ამოვა.“

გაღვრიჭინება გაღვრეჭა, გასუფთავება, კარგად დაბანვა. „აბა, ვის უნდა გაღვრიჭინება, წყალი მზათაა.“

გაღვრიჭინებულ-ი გაღვრეჭილი, კარგად დაბანილი. „ბავშვი ყოველთერინ გაღვრიჭინებული უნა იყო, რო კარგათ დაიბინოა.“

გაღნიოშდება ბოლომდე გაიღება (კარი, სარკმელი). „ემ ოხერი კარი თქვენ თუ არ გააღეთ, თავისით ხო არ გაღნიოშდებოდა.“

გაღნიოშება კარის (სარკმლის) ბოლომდე გაღება. „არა ქცივათ, რა არი ამ კარიმ ესე გაღნიოშება.“

გაღნიოშებულ-ი ბოლომდე გაღებული. „თითონ სადღაც წასულან და კარი გაღნიოშებული დაუგლიათ.“

გაღოჭაგს ერთიანად გაგლეჯს (მწვანილს, ბალახს...). „მაგან რა იცის მწვანილიმ მორჩევა, მიმხედე, თორე ერთიანათ გამღოჭამს.“

გაღოჭვა მწვანილის ერთიანად გაგლეჯა ან ხილის ფოთლიანად გაკრეფა. „ვიღაცა გადაპარულა ბაღში და მწვანილი გაულოჭია.“

გაღოჭილ-ი ერთიანად გაკრეფილ-გაგლეჯილი. „ვიღამ რა შაგვარჩინა, თელი ვენახი გაღოჭილი დაგეხდა.“

გაშაფრკინდება ძალიან გაშაფდება, გახდება, შავ რკინას დაემსგავსება. „რა ემართება ამ ბავშვ, ცოტა ხნით წავა იმ სოფელში და მაშინვე გაშაფრკინდება ხოლმე.“

გაშაფრკინება ძალიან გაშაფება, გახლომა, შავ რკინას დამსგავსება. „მითომ დასასვენებლათ იყო, გაშაფრკინებული ჩამოვიდა.“

გაშანშელა საქმის ადვილად მოგვარება. „შენ ემ საქმე გამიშანშელე და მერე მე ვიცი.“

გაშანშლავს საქმეს ადვილად მოაგვარებს, მოაკვარახჭინებს. „ყოჩაღია, რაც გინდა დაავალო, ყველაფერ გამიშანშლამს.“

გაჩაკჩაკდება ჩაკჩაკით გაირბენს, ჩაკჩაკით წავა. „რა უშნო ცხენია, ცოტამ გაჩაკჩაკდება და გაჩერდება.“

განაკრახება ჩაკრახით წასვლა, ჩაკრახით წაყვანა. „ესეც თუ ცხენია, გაჭენება კი არა, განაკრახება ვერ მოვახერხებ.“

განაკრახებულ-ი ჩაკრახით წასული. „ჩხირი კედელ, ძლივ არა ვნახე ეს ცხენი განაკრახებული?“

გაჩენაძალღ-ი უხეირო, ცუდი ადამიანი. „სად არი აქამდე ეს გაჩენაძალღი.“

გაჩირავს ატამს, ვაშლს, მსხალს... დაჭრის და მზეზე გაახმობს. „ბაბო იმდენ ატამ გააჩირავს ხოლმე, რო თელი წელი გვყოფნი.“

გაჩირვა ხილის (ატმის...) დაჭრა და მზეზე გახმობა. „გაჩირვად რა უნდა, ხილ გაფუტქენი, დაჭრი და მზეზე დააწყოფ.“

გაჩირულ-ი გაფუტქენილი, დაჭრილი და მზეზე გამომშრალი ხილი (ატამი, ვაშლი, მსხალი...). „გაჩირული პანტამ არაფერი იჯობა.“

გაჩოკროკდება იგივეა, რაც განაკრახდება.

გაჩოკროკება იგივეა, რაც განაკრახება.

გაჩოკროკებულ-ი იგივეა, რაც განაკრახებული.

გაჩორდება ჩორვით წავა. „ბავშვზე თვალი გეჭიროდ, თორე გაჩორდება კიბისაკენ და მერე გვიან იქნება.“

გაჩორება ჩორვით წასვლა, მოძრაობა. „უკვე გაჩორება შეუძლია ბავშვ.“

გაჩორებულ-ი ჩორვით წასული. „ბავშვი აივანზე რო დავინახე გაჩორებული, წინაღამ გული გამიჩერდა.“

გაჩურჩავს ქლიავს შუა-შუა დააპობს, კურკას გამოაცლის და გასაშრობად გაფენს. „ზოგი წვენს გამოადენს და იმაი მოადუღეფს, ჩემი ბაბო კი გაჩურჩავს ხოლმე ქლიავ, გამოაშროფს მზეზე და პარკით შაინახამს ზამთრითინ.“

გაჩურჩვა ქლიავის შუაზე გაპობა, კურკის გამოცლა და გასაშრობად გაფენა. „ამოდენა ქლიავი გაჩურჩვა რაღა იყო, ნეტა ვის უნა აჭამო?!“

გაჩურჩულ-ი შუაზე გაპობილი და კურკაგამოცლილი ქლიავი. „რაც ქლიავი გვაქ გაჩურჩული, საჭმელადაც გვეყოფა და გასაყიდათაც მომჩრება.“

გაჩოლუმდება ამინდი გაფუტქდება, ნისლი და თოვლ-ქარი ჩამოახნელებს არემარეს. „დროზე თუ არ წავედით შინ, გაჩოლუმდება და გზად კვლარ გაეიგნეფთ.“

გაჩოლუმება ამინდის გაფუტქება, ნისლი და თოვლ-ქარი ერთად. „შენ რა გაჩოლუმებამ უცდი თუ რა არი!“

განოდუმებულ-ი ცუდი, გაფუჭებული, თოვლ-ქარიანი ამინდი. „ამ განოდუმებულზე რო მიერეკები მაგ საქონელ, არ გეშინია?“

განხიკინდება ძალიან გახდება, გამოხმება. „გაზაფხულზე სუ ესე განხიკინდება ხოლმე.“

განხიკინება იგივეა, რაც განხინკვა. „გენაცვათ, რა იყო ეგე განხიკინება?!“

განხიკინებულ-ი იგივეა, რაც განხინკული.

განხინკავს გაახდუნებს, ძალიან დაასუსტებს. „ეგე გამოცდებია თუ რაღაც ოხრობა, როგორ გამჩხინკამს ხოლმე ამ გოგო.“

განხინკვა ძალიან გახდომა, გამჭლევება, „გახდომა გამიგია, მაგრამ ესე განხინკვა რაღაა?!“

განხინკულ-ი ძალიან გამხდარი, გამჭლევებული. „ამ შანკენებულმა ბიჭმა ერთი განხინკული გოგო მამაყენა კარზე.“

განხლაკუნდება განხაკუნდება. „ისეთი მშიშარაა, რაღაცა თუ განხლაკუნდა, შიშით გული წაუვა.“

განხლაკუნება განხაკუნება. „განხლაკუნები ხმა რო მომესმა, მაშინვე გამეღვიძა.“

განხუბავს გატოპავს, ფეხით გავა მდინარეში (წყალში). „სათევზაოთ თუ მიღიხარ წყლი განხუბავც მოგიწევს და ფეხი დასველებაც.“

განხუბულ-ი გატოპილი, ფეხით გავლილი. „მანქანა რო მოვიდა, მე უკვე განხუბული მქონდა წყალი.“

გაცანცარდება ცანცარით წაუვა. „შენ სად მიიღიხარ, აეგ ბავშვი გაცანცარდება და მოგიტანს.“

გაცანცარება ცანცარით წასვლა. „გაუშვი, წავიდემ, ცოტა გაცანცარება მაგითვინ უკეთესიცაა.“

გაცანცარებულ-ი ცანცარით გასული. „მე ისევ ოთახში მეგონა ბავშვი და ეგ კი ეზოში გაცანცარებულიყო.“

გაცეცხლნავთდება 1. გაცეცხლდება, გაბრაზდება. „დაანებეთ თავი, თორე გაცეცხლნავთდება და შავ ღღეფ დაგაყრით.“ 2. გაყოჩაღდება, გახურდება (შრომაში). „ო-ო, როცა გაცეცხლნავთდება, მერე ველარაფერი გააჩერეფს.“

გაცეცხლნავთება 1. გაცეცხლება, გაბრაზება. „ერიდე, ხო იცი მაგისი გაცეცხლნავთების ამბავი.“ 2. გაყოჩაღება.

გაცეცხლნავთებული ძალიან გაცეცხლებული, გაბრაზებული. „შშირათ მინახამ გაბრაზებული, ესეთი გაცეცხლნავთებული კი — არასოდემ.“

გაცეხვა მარცვლეულის დაყრევინება ჯოხის ცემით. „იმდენი არ იყო, რო კევრით გამელეწა, ხელით გაცეხვა დავიწყე და შუადღემდე მოვრჩი.“

გაცეხვავს ხელით (ჯოხით) გააყრევინებს მარცვალს. „იმდენი აქ ლობიო, გაპარკვამ ვერ აუდი, ამიტომაც გააცეხვამს ხოლმე.“

გაცეხვილ-ი ჯოხის დარტყმით გაყრევინებული მარცვალი. „მაგ გაცეხვილ ლობიოდ ხელით გარჩეულში ნუ აურევთ.“

გაცრიატდება მოიღრუბლება, ცუდი ამინდი დადგება. „ეა რა ამინდია, დილით ცოტა ხან გამოანათეფს მზე, მერე ისევ გაცრიატდება.“

გაცრიატება მოღრუბვლა, მოღუშვა, აციება. „არ მეგონა თუ დილანდელ მზიან ამინდ, ესეთი გაცრიატება მოამყვებოდა.“

გაცრიატებულ-ი მოღრუბლული, მოღუშული, აციებული. „ხო დანახეთ, რო გაცრიატებული იყო, ესე შილიფათ რატო ჩაიცვით?“

გაცქვლეფავს გაყვლეფს, კანს გააძრობს. „დაამწყვდიე ემ კურდღლები, სანამ სუ გააცქვლეფამენ ნამყენეფს.“

გაცქვლეფა 1. გაყვლეფა, კანის გააძრობა. „თელი დღე წერაქვი უბაგუნე და თითები ისე გავიცქვლიფე, ხელში ველარაფერი დამიჭერია.“ **2.** გაძარცვა, გალატაკება.

გაცქვლეფილ-ი 1. გაყვლეფილი, კანგამძვრალი. „მაგ გაცქვლეფილი თითებით რაღამ გააკეთეფ.“ **2.** გაძარცვული, გალატაკებული. „ქვეყანა გაცქვლეფილი დაგდე და წავიდნენ.“

გაცხვირაფს გააბრაზებს, ცხვირს ააბზუებინებს, გააბუტებს. „განებოდ თავი, რამ შაუწნდება და გაცხვირამს ხოლმე?!“

გაცხვირვა ცხვირის აბზუება, გაბუტვა, დამღურვა. „მაგან ყოველთვინ ეგე გაცხვირვა იცის.“

გაცხვირულ-ი გაბუტული, ცხვირაბზუებული, შემომწყრალი. „ვერაფერი გაუგე, თელი დღე ესე გაცხვირული დადის.“

გაძაღლება გამიზნება. „ფეხზე ერთი პატრა ძირძიტა გამომივიდა და ისე გამიძაღლდა, ველარ დავდივარ.“

გაძაძღავს გაწელავს, განიერს გახდის. „რატო ჩააცვი ჩემი სვიტერი, ხო ვიცი, რო გამიძაძღამს.“

გაძაძღვა გაწელვა, გაგანიერება. „რა იყო ესე გაძაძღვა, მე როგორღა ჩავიცო ემ ფეხსაცმელები?“

გაძაძღულ-ი გაწელილი, გაგანიერებული. „თითონ ახალი სვიტერი ჩაიცო, მე კი ემ გაძაძღული მომიგლო.“

გაძენძავს 1. გაცვეთს. „სუ ახალთახალი რო ჩავაცვა, ორ დღეში გაძენძამს და გადააგდეს.“ **2.** გააძლობს. „წაიყვანს, გაძენძამს, გამოათროფს და ისე გამოუშვეფს შინ.“

გაძენძვა 1. გაცვეთა. „ტანსაცმელი ისე გამეძენძა, რო საშინაოთაც აღარ ჩაიცმევა.“ **2.** ძალიან გაძლობა. „რა იყო ეგე გაძენძვა, მუცელი მანც არ გენანება?“

გაძენძილ-ი 1. გაცვეთილი. „მაგ გაძენძილი პალტოთი ვარეთ ვერ ვავალ.“ **2.** ძალიან გამაძლარი. „მოვლა-პატრონობა მაგან იცი, ნახე, რა გაძენძილი საქონელი მოუღია.“

გაძეძგეავს ძალიან გაავსებს, გატენის. „შეშით გამძეძგეავს ურემ (მანქანამ) და ქალაქში წაიღეს.“

გაძეძგვა ძალიან გავსება, გატენვა. „ისე გამძეძგვა ტომარა, რო ადგილიდან ძერა ველარ უყო.“

გაძეძგვილ-ი ძალიან გავსებული, გატენილი. „ი შენი გამძეძგვილი ტომრები გზაში დაგვეხა.“

გაწაწანდება გაჭაჭანდება. „იმ ბებური ღედაკაციმ შიშით ეზოში ქათამი ვერ გაწაწანდება.“

გაწაწანება გაჭაჭანება. „კარებზე ჭიანჭველამ არ გააწაწანეფს, ეგ სტუმრი მიმღებია?!“

გაწინწილება 1. გაყოფა. „შენ რო გაწინწილება იცი, ერთ თხილ მართლა ამყოფინეფ ცხრა ძმა.“ **2.** გამოზოგვა. „შენებურათ გაწინწილება თუ დაიწყე, მემრისაც გვეყოფა.“

გაწკიმაფს კოხტად ჩააცმეფს. „ნახე, რა ყოჩალი ქალია, ყოველთეინ გამწკიკიპამს და ისე გაუშვეფს ხოლმე ბავშვეფს სკოლაში.“

გაწკიძვა გაჭკიძვა. გაჯგვიძვა. კოხტად ჩაცმა. „გაწკიძვა რო გიყვარს, მუშაობა რათ გეჯავრება?“

გაწკიძულ-ი გაჭკიძული. თავმომწონედ სიარული. „სულ ესე კოხტად ჩაცმული, გაწკიძული დაღის.“

გაწლოტევა გაწვრილება, განღობა. „არაფერი ჭამომ და მერე ნახომ თავისი გაწლოტევა.“

გაწლოტილ-ი გაწვრილებული, ძალიან გამხლარი. „როღი რამ მაიკრამს ემ გაწლოტილი ბბო.“

გაწლუმძავს გაწუნწავს, ამოსვრის. „ნელა გაატარომ მანქანა, თორე ყველამ გამწლუმძამს.“

გაწლუმძვა გაწუნწვა, ამოსვრა. „როგორ ვერიღებოღი, მაგრამ გაწლუმძვა მანც არ ამცდა.“

გაწლუმპულ-ი გაწუნული, ამოსკრილი. „წვიმამ მოგვისწრო და შინ გაწლუმპულები მივედით.“

გაწონწილება 1. გამოზოგვა. „აბა, შენებურათ გაწონწილება არ ღაიწყო, შენცა ჭამე რიგიანათ და ჩვენც გვაჭამე.“ 2. გაჯანჯლება, გაჭიანურება. „ნულა აწონწილევ, გვიანდება, თუ მიდიხარ, წადი.“

გაწონწილებულ-ი გამოზოგილი. „შენი ამბავი რო ვიცი, ისე გაქენება გაწონწილებული, მოგვრჩება კიდეც.“

გაწონწლოკინდება გაწვრილდება, გახდება. „ტან რო იყრიმ ბავშვი, ვერე გაწონწლოკინდება ხოლმე.“

გაწონწლოკინება გაწვრილება, გახდომა, გამაღლება. „ბავშვიმ ესე გაწონწლოკინება ძაან მაფიქრევს.“

გაწონწლოკინებულ-ი გაწვრილებული, გამხდარი, გამაღლებული. „რა მომსვლია ამ ბიჭ, ნახე, რა გაწონწლოკინებულია, რო შაუბერო, წაიქცევა.“

გაწრიბავს გააწვრილებს. „ისე გააჯავრევს, ისე გააწრიბამს ხმამ, გეგონება მართლა მელა იყო.“

გაწრიბვა დასუსტება, ძლიერ გახდომა. „რა არი ესე გაწრიბვა, ამ წიწილევს არაფერ აჭმევ?“

გაწრიბულ-ი გამხდარი, სუსტი. „როგორა მყიდი, ამ გაწრიბულ ვარიევს?“

გაწრიოკდება გაწვრილდება, უფიქარი გახდება (ხახვი, ნიორი...). „ერთხელ მაინც თუ არ მოვრწყე, ემ ხახვი ისე გაწრიოკდება, აღარაფერათ არ ივარგევს.“

გაწრიოკება გაწვრილება, გაუფიქარება. „მაგ ბოსტნეული გაწრიოკება თუ არ გინდა, თავიდანვე კარგათ უნა მოუარო.“

გაწრიოკებულ-ი გაწვრილებული, გაუფიქარებული. „მსხვილები გადაარჩია და ბაზარში წაიღო, გაწრიოკებულები შინ ღაიტოვა.“

გაწყალდება დაფხავდება, გაცვდება. „რა უვარგისი გამოდგა ემ პერანგები, ხელათში გაწყალდება და გადასაგლები გახდება ხოლმე.“

გაწყალება დაფხავება, გაცვეთა „ჩაცმა და გაწყალება თუ ერთი იქნებოდა, ვერ წარმოვიდგენდი.“

გაწყალებულ-ი დაფხავებული, გაცვეთილი. „მე კი არ ღავზიე, უკვე გაწყალებული ჩამაცვი.“

გაჭაბანავს მოაკვარახჭინებს, მოაგვარებს. „აი, ნახე, ეგ ისეთი მარიფათიანია, საქმე მალე გააჭაბანამს.“

გაჭაბ[ვ]ნა მოკვარახჭინება, მოგვარება. „საქმი გაჭაპვნა თუ გინდა, ყოჩალათ უნა მოიქტე.“

გაჭაპანული-ი მოკვარახჭინებული, მოგვარებული. „ეხლა აღარაფრი დარდი აღარ აქ, მაგიდ საქმე უკვე კარგათაა გაჭაპანული.“

გაჭახუნება გალაწუნება, სილის გაწვნა. „ისეთი გაუჭახუნა ყბაში, რო თვალებიდან ნაპერწკლები წამოაყრენა.“

გაჭექავს გაავსებს, გატენის. „ემ ძროხა როგორ გაძჭექამს ხოლმე ცურ, ნახე, ძლივლა მოდიმ.“

გაჭექვა ძალიან გავსება, გატენვა. „ქილამ ვე ნუ გაძჭექამ, არ გასკლემ.“

გაჭექილ-ი ძალიან გავსებული, გატენილი. „ჩვენ თხამ გაჭექილი ცური წამოედო ჯირკზე და გამხეოდა.“

გაჭინთავს, გაჭინთავენ იხ. ტრუზოტრუზო.

გაჭინთვა ტრუზო-ტრუზოში დამარცხებულის დაჯარიმება.

გაჭინთულ-ი ტრუზო-ტრუზოს თამაშში დაჯარიმებული. „ლემ ვე უკვე სამჯერა გვყავ გაჭინთული.“

გაჭინჭრდება გაბრაზდება, ახირდება. „პატრა კაცების ჩვევია ვეა, ყოველთვინ გაჭინჭრდებიან ხოლმე.“

გაჭინჭრება გაბრაზება, ახირება. „უყურე ამ წიწლიკამ, რა გაჭინჭრება მცოდნია.“

გაჭინჭრებული-ი გაბრაზებული, გაცხარებული. „ისე იყო გაჭინჭრებული, აღარ იცოდა, რა ექნა.“

გაჭინჭყლდება იგივეა, რაც გაჭინჭრდება.

გაჭინჭყლება იგივეა, რაც გაჭინჭრება.

გაჭინჭყლებული-ი იგივეა, რაც გაჭინჭრებული.

გაჭიფხავს დაძაბავს, დაჭიმავს, დაძაგრავს. „რა ძალა ადგა, რამ გაძჭიფხამს ხოლმე ძარღვეუს.“

გაჭიფხვა დაძაბვა, გაჭიმვა, დაძაგვრა „ეგრე გაჭიფხვა არ შეიძლება, სისხლი ჩაექცევა ტვინში.“

გაჭიფხული-ი დაძაბული, დაჭიმული. „უთხარი, ცოტა შაისვენომ, ესე გაჭიფხული მუშაობა მომკლამს.“

გაჭნაკვა დასუსტება, გახდომა. იგივეა, რაც გაკნაჭვა.

გაჭნაკული-ი ძალიან გამხდარი, დასუსტებული. იგივეა, რაც გაკნაჭული.

გაჭყირპავს ძალიან ბევრს დააღვეინებს. „წყალნარევი ღვინით გაძჭყირპამს ხოლმე მუშეუს.“

გაჭყირპვა ძალიან ბევრის ღალევა. „რა არი ევე გაჭყირპვა, ღვინო ჯერ არ გინახამ?“

გაჭყირპულ-ი სასმელით: (ღვინით, ლუდით, წყლით...) გაბერილი. „ისეა გაჭყირპული, რამის მუცელი გაუსკდე.“

გახანჩანდება გათეთრდება, გაირეცხება. „კარგი ნაჭერი გამოდგა, გახანჩანდება თუ არა, სუ ბზინვამ დაიწყეფს ხოლმე.“

გახანჩანება 1. გაქათქათება, მაგრად გარეცხვა. „აბა, შენ იცი, შენებურათ გაახანჩაჩე ემ პერანგი.“ 2. კარგად დაბანვა. „ჩაჯექი აბაზანაში, მაგრათ უნა გაგახანჩაჩო.“

გახანჩანებული 1. გაქათქათებული. „ყოველთვინ გახანჩანებული პერანგი აცვია.“ 2. დაბანილი. „ბავშვი ყოველთვინ გახანჩანებულია.“

გახედნავს ცხენს გაწვრთნის. „სამი წლისა რო გახდება ემ კვიცი, მაშინ გავხედნამ.“

გახედნა ცხენის წვრთნა. „ცხენს გახედნა უნდა, მოზვერ კი — გამოქნა.“

გახედნის იხ. გახედნავს.

გახედნილ-ი გაწვრთნილი (ცხენი) „ერთი კაი გახედნილი ცხენი ვიყიდე.“

გახევედება გაქვავდება, გაკერპდება, არაფერს გაიგონებს. „ხანდახან ისე გახევედება ხოლმე, წყალი რო გინდოდე, წყალ არ მოგაწვლი.“

გახევება გაქვავება, გაკერპება, გაზარმაცება. „ცოტა გაინძერი, შვილო, ესე გახევებაც არ იქნება.“

გახევებულ-ი გაქვავებული, გაკერპებული, გაზარმაცებული. „ისეა გახევებული და გაქვავებული, ადგილიდან ვერ დაძრამ.“

გახეტდება ხეტი გახდება, გაშტერდება. „რა ემართება ამ ბიჭ, ზოგჯერ რამ გახეტდება ხოლმე.“

გახეტება გაშტერება, გარინდება. „მაგიმ გახეტება თუ გინდათ, კაბანი დაანახეთ ვინმე.“

გახეტებულ-ი გაშტერებული, გარინებული. „რა მოუვიდა მაგ საცოდავ, თელი დღე სუ ევე გახეტებული რო ზის.“

გახეშეშდება ხეშეში გახდება, გამოშრება, გაუხეშდება (კანი). „თელი დღე ბარზე და თოხზე მუშაობისაგან ხელები გახეშეშდება, აბა, რა მოუვა.“

გახეშეშება გამაგრება, გამოშრობა, ხეშეშად ქცევა. „ხელები გახეშეშება ფიზიკურმა მუშაობამ იცის.“

გახეშეშებულ-ი გამშრალი, გამაგრებული, ხეშეშადქცეული (კანი). „ვე გახეშეშებული ხელები გლიცერინით დაიბანე.“

გახვლეშა გაყვლეშა, კანის გადაძრობა. „თითები გახვლეშა თუ არ გინდა, ხელთათმანები გაიკეთე და ისე იმუშავე.“

გახვლეპილ-ი გაყვლეფილი, კანგადამძვრალი. „გახვლეპილი თითები შეწოდა და ხელში ველარაფერ ვიჭერდი.“

გახორხვლა 1. ძალიან ბევრის დასხმა. „ამ პაპაძილმა ყოველ წელ ასე იცია გახორხვლა.“ 2. კანზე წვრილი მუწუკის დაყრა „რა იყო ასე გახორხლა, ბავშვი ველარ ისვენებს.“

გახორხლილ-ი 1. ძალიან დასხმული. „ვე გახორხლილი ვენახი არსად მინახია.“ 2. კანზე გამოყრილი (მუწუკები). „თელი სახე ნასიცხით აქ გახორხლილი.“

გახუზავს იგივეა, რაც გადახუზავს.

გახუზულ-ი იგივეა, რაც გადახუზული.

გახურება 1. მიღებ-მოღება, ტყუილის თქმა. „რამ ახურეფს, ამა გამოტყინებული ხო არა ვგონივარ?“ 2. შარის მოღება. „მაგან გახურებამ თავი დაანებო, თორე იმ ცხვირ-პირ ამოუნაყამ.“ 3. გაყოჩაღება. „საქმეში ხანდახან ისეთი გახურება იცის, ველარ იცნოფ.“

გახუხვა გათბობა, მიფიცხება. „მანდ რო ვეე იხუხებით, გარეთ გასულეფს ძალიან შექცივათ.“

გაჯაგავს ჯავს გაკაფავს, ერთიანად მოჭრის, ამოძირკვავს. „პაპა რო გამჯაგამს, მერე ტრაქტორით უნა მოვხნათ.“

გაჯაგვა ჯავის გაკაფვა, ამოძირკვა, ნაკვეთის გასუფთავება. „იმ დიდი ნაკვეთიი გაჯაგვა რო დავამთავრეთ, დიდი ქეიფიც გავმართეთ.“

გაჯაგულ-ი გაკაფული, ჯავისაგან გაწმენდილი (ნაკვეთი). „ჩვენ გაჯაგულ ნაკვეთ ვიღაცა არ დაეპატრონა?“

გაჯალჯავს მაგრად დაუღებს, ბერს დაუღებს. „გამჯალჯავს შეშით მანქანამ და დაადგება ქალაქი გზამ.“

გაჯალჯვა 1. ძალიან ბევრის დაღება. „ეე წაიყვანე, გაჯალჯვა თუ გინდა, ამა დაადებინე მანქანა.“ 2. ძალიან გაძლომა. „რა იყო ვეე გაჯალჯვა, პირში ენა აღარა ქქონდა.“

გაჯალჯულ-ი 1. ძალიან მაგრად დაღებული. „გაჯალჯული მანქანა აღმართზე ველარ ამოდიოდა. 2. ძალიან გამაძლარი, მაგრად მთვრალი. „ისეთი გაჯალჯული მოიდა შინ, ნეტა როგო მოაგნო გზა.“

გაჯგომვა გაჭიმვა. „თელ დღე გაჯგომვასა და პრანჭვა-გრეხა ანლომეუს.“

გაჯგომულ-ი გაჭიმული. „მამაშენი სუ გაჯგომული რო დადი, შენ რატო არ დაეშზგავსე იმად.“

გაჯეჯილდება ადგილიდან ფეხს არ მოიცვლის. „რა ცუდი ჩვევა აქ ამ ბიჭ, რაკი გაჯეჯილდება, ზარბაზანიც ველარ ააყენეუს იქიდან.“

გაჯეჯილება დიდხანს დარჩენა ერთ ადგილზე (სუფრაზე). „ეკ, მაგიდ გაჯეჯილება იმასა ინიშნამს, დილაძღე ფეხ აღარ მაიცვლის.“

გაჯეჯილებულ-ი ვინც ადგილიდან ფეხს აღარ იცვლის. „ეკ ისეა გაჯეჯილებული, ადგილიდან ველარავინ დაიძრამს.“

გაჯვარდება გაჯვარდება. „ვენახში ნუ დაძრბიხართ, ჰაჰა გაჯვარდება.“

გაჯვარდნა 1. გაბრაზება. „არ შაწუხოთ, თორემ ბაბომ ძალიან გაჯვარდნა იცის.“ 2. გარეკვა. „გაუჯვარდი, შვილო, ქათმეუს, ბომტანში არ გადავიდნენ.“

გაჯლაგჯლაგდება ჯლაგჯლაგით წავა. „ემ ცხენი უნა მოვიშორო თაიდან, არც საჯლომათ ვარგა და არც შესაბმელათ. ცოტად გაჯლაგჯლაგდება და გაჩერდება. გაჯლაგჯლაგდება და გაჩერდება.“

გაჯლაგჯლაგება ჯლაგჯლაგით სიარული. „გაჭენება კი არა, ამა გაჯლაგჯლაგებაც უზარება.“

გაჯთლღავს ჯოლღს (ბურღს, ბზეს) გააცლის. ჯოლღის ცხავეში გაატარებს. „ცოტაღა დარჩა, იმასაც გაიჯოლღამს და მოგიტანთ ცხავს. გადატ. ბოლოძღე არ შეჭამს თივას, ბზეს, ბურღოს... „ემ ძროხა ცოტა აზიზი მჭამელია, თივამ გაიჯოლღამს და არ გადაიყარო, ვირ დაუყრი და შაიჭამს.“

გაჯთლღვა ჯოლღის ცხავეში გატარება მარცვლეულის. „მორჩი მაგ გაჯოლღვამ და წავიდეთ.“ გადატ. საკეების (თივის...) ზეეზვეიდან მოჭმა. „გაჯოლღვა თუ არ გინდა, ცოტ-ცოტა დაუყარე.“

გაჯთლღილ-ი ჯოლღის ცხავეში გატარებული. „გაჯოლღილი მარცვალი ზეევეში არ გაურიო.“ გადატ. ზეე-ზევიდან მოჭმული, დატოვებული თივა (ბურღო...). „ემ გაჯოლღილი თივა არ გადაყარო, მე მომე, ვირ შავაჭმევ.“

გაჯრა მაგრა გახურვა კარისა. „რო გახვალ, კარიმ გაჯრა არ დაგავიწყდეთ.“

გაჯრილ-ი მაგრად გახურული, მიკეტილი. „გაჯრილი კარი ქარმა შამანგრა.“

გეზგეზ გეზად, აღმაცერად. „მაგან ვე გეგეზ იციმ ყურება.“

გეზიგზა მოკლე, მარჯვე გზა. „გეზიგზა მოვნახე და იმად დაუადეკი.“

გელა ყოჩალი, მარიფათიანი. „მაგამ ვინ აჯობეფს საქმეში, გელაა ნამდვილი, გელა.“ სწირად გეზვდება მეტსახელადაც. „პაპაჩემ ფილო (ფრიდონი) ერქვა, მაგრამ ყველანი „გელამ“ ეძახდნენ.“

გენა, **გენავ** სიტყვის მასალაა. „რატო დაგვივიწყე, გენა (გენავ), ჩვენთან რატომ აღარ მოდიხარ?“

გენცვალე გენაცვალე. „გენცვალე, წადი ერთი, წყალი მომირბენინე.“

გეჩო! **გეჩო-ჰო!** ხბოს გასაგდები შეძახილი. „გეჩო, შე სამგლეე, გადადგი ფეხები!“ „გეჩო-ჰო, მიდი, შე საოხრეე!“

გეჩო-ჰო! იხ. გეჩო!

გეარ-ი ღორის სენია ერთგვარი. რომ დაკლავენ, ხორცს თეთრად აყრია ხოლმე. საშიშია, ასეთ ხორცს მაშინვე წვავენ. „ღორი დაგკალი და გვარი არ აღმოაჩნდა?“

გეარიან-ი გეარის სენით დაავადებული. „ეეჰ, დავილუჰე და ეგ არი, ამოდენა ღორი დაგკალი და გეარიანი გამოდგა.“

გველანა თევზის ერთ-ერთი სახეობაა, გველთევზა. „პატარაობისამ ჩვენ რიყეში ვთევზაობდი ხოლმე, რაღა არ დამიჭერია, კალმახი, გველანა.“

გველი(ს) დუჟ-ი მწვანე ბალახის, განსაკუთრებით ღეროიანი ბალახის, ძირებზე თეთრი ქაფივით გამონადენი იცის, რასაც გველის დუჟს, გველისფურთხს ეძახიან. ასეთ ბალახს ერიდებიან ხოლმე, თუ ხელზე მოხვდათ, მაშინვე დაიბანენ. „ნახე, რამდენი გველიმ დუჟია, სხვაგან მოვკრიფოთ მარწყვი.“

გველი(ს) ფურთხ-ი იგივეა, რაც გველი(ს) დუჟი.

გველი(ს) ზოკო სოკოა ერთგვარი, შხამიანია, არ იჭმევა. „ნახე, ბავშვებმა გველი ზოკო არ შაურიონ.“

გველხოკერა იგივეა, რაც ზოკერა.

გვერდებში გაჯდომა ზარალის მიცემა. „ეეეეე თუ მე უნა გადავიხადო, გამოიჯდა გვერდფეში.“

გვერალ-ი მრგვალი. „გვერალ ქვამ ხურდათ ვაყოლეფთ ხოლმე კედელში.“

გერიტილო ენის გასატეხ საბავშვო ლექსში დასტურდება ეს სიტყვა: „იწილო, ბიწილო, შროშანო, გერიტილო...“

გზაზე დაყენება სწავლა-აღზრდა, გამოცდილების გაზიარება, დარიგება. „მარტო შეილები დაჩენა კი არა, მთავარი მათი გზაზე დაყენებაა.“

გზათაუკან უთაბოლო, აღმა-დაღმა სიარული. „ამოდენა კაცია და კიდევ ვერ მაიშალა ეს გზათაუკან სიარული.“

გიდელ-ი/ა ჭილის (ჭილობის) ან პურეულის ღეროებისაგან დაწნული მაღალყელიანი, მრგვალი კალათა. დაჩეჩილ მატყლს (ფთილებს) აწყობდნენ ხოლმე შიგ. „ერთი ეგ გიდელი მამიტანე, შეილო, ფთილები უნა ჩავაწყო.“ არსებობს ასეთი ლექსიც: „პატრა ბიჭო გიდელა, ვინ გასწავლა სიმღერა, პაპამ ჯოხი წამოგისო, გათხრეენა ბირხვენა.“ ხშირად გვხვდება მეტსახელადაც.

გიორგობითვე ნოემბერი. „ამ თვეში წმინდაგიორგობა, დიდი დღეობა იმართება ხოლმე და ამიტომ იქვიან ეს სახელი.“

გის! გის-გის! ღორის გასაგდები შეძახილი. „გის! შე ვერანა, შენა, ნუ გაატიალე მანდავრობა.“

გის-გის! იგივეა, რაც გის!

გიცი-ს „ვიცი“ ზმნის ობიექტური წყობის მეორე პირის ფორმა. იხმარება მხოლოდ ამ გამოთქმაში: „ღმერთმა ნუ გიცის!“ როცა ორნი საუბრობენ და მესამემ ამ საუბარს ყური მოჰკრა, მაგრამ კარგად ვერ გაიგო ნათქვამის აზრი და თავს მოაბუზურებს კითხვით „რა? რა? მაშინ გაბრაზებით მიუგებენ: „ღმერთმა ნუ გიცის!“ ან კიდევ როცა კამათში ერთი მეორეს არ უჯერებს, სიტყვას უტრიზავებს და ეუბნება: „რაა?“ მოკამათე გაბრაზებით მიახლის: „რა და, ღმერთმა ნუ გიცის!“ გვხვდება ასეთ ფორმულითაც: „ღმერთმა ნუ იცის იმისი (შენი, თქვენი, იმათი) თავი და ტანი!“

გლარსუნ-ი გლასუნი, გახახუნება. „ხარები ერთმანეთ ეგლარსუნებიან და ბუზფეს იყრეინებენ.“ გადატ. მოფერება, ლაქუცი. „ნახე, რა გაიძვერაა, რა გლარსუნი შაუძლია, იქნება რამეა გამოვრჩეო.“

გლარჯანა სარეველა ბალახია, მაგარი, უხეში ღერო და გაბარჯღული ტოტები აქვს. ცოცხად ხმარობენ. „ოქროდ ცოცხ თუ ველარ იპოვი, გლარჯანა მაინც წამოიღე, ეზომ დაკვივი ხოლმე.“

გლემურდ-ი, გლემურჯ-ი მარტყოფის გვერდზე ერთ დაცემულ ვაკეს ჰქვია.

გნას-ი არაქათი, ძალ-ღონე. „გნასი აღარა მაქ, მოვკვდი ამდენი მუშაობით.“

გნასის გამოცლა ძალ-ღონის წართმევა. „რა არი, გნასი გამოცლამდე რო არ იმუშაო.“

გნასგამოცლილ-ი დაღლილი, ძალღონეწართმეული. „გნასგამოცლილი მიწვა ღობედთან და მიიძინა.“

გნოდ-ი გრძელი, სწორი ხე. ხმარობენ ურემზე (მანქანის ძარაზე) თივის დასამაგრებლად. „როცა ურემზე ბევრი თივა გვინდა დაუდოთ, აუცილებლათ გნოდ გადაუჭერთ ხოლმე, თივა რო არ დაგვემალომ გზაზე. გნოდის თავი და ბოლო მაგრა უნა იყომ დაქაჩული და დაბმული თოკით ან ღვედით.“

გო! გოგო. მიმართვისას ეტყვიან უფროსი ქალები გოგოს, აგრეთვე ქალებიც ერთიმეორეს – საუბრისას: „სად მიხვალ, გო?“ „რა მითხარი, გო?“

გოგრი(ს) გულ-ი გოგრის თესლი. „გოგრი თესლსაც ვამობთ და გოგრი გულსაც.“ „გოგრი გული ბავშვეფს ძალიან უყვართ, ამიტომაც ვუხარშამთ ან მოუუხლით და ვაჭმეუთ.“

გოდა 1. დაბალი, ჩასკენილი კაცი. „ჩენი მეზობელი ერთი დაბალ-დაბალი, გოდა კაცი იყო.“ **2.** ტოლი, ერთი ასაკის (რუს. ГОДА-დან) „პაპაშენი ჩემი გოდა იყო, ერთათ ამიტომ წაგვიყვანებდნენ ჯარში.“

გოგუთ-ი/ა მსხვილთავიანი ჯოხი. მეცხვარის ჯოხია, მაგარი, ძირითადად შვინდისაგან არის გამოჭრილი. ზოგ ლექსიკონში კომბლის სინონიმად წერია. „გოგუთი და კომბალი ორივე მეცხვარის ჯოხია, კომბალ კავი აქ, ცხვარ იმით იჭერენ, გოგუთ კი კავი არა აქ, ისა უფრო ნადირი მოსაგერიებლათ იჭირდებთ.“

გოთ-ი/ა იგივეა, რაც გოგუთი, ოღონდ უფრო პატარა. ბავშვები გოთაობის დროს ხმარობენ. „ტყეში ვეღარ წავედი, რო ერთი შვინდი ჯოხი მოვჭრა და გოთა გაუკეთო ამ ბიჭ.“

გოთაობა საბავშვო თამაშია, ბალახის ჰოკეის რომ ეძახიან, ეს უნდა იყოს.

გოლგა გვალვა. „საშინელი გოლგა იყო შარშან, ნამი რა არი, ნამი არ გაუგღია ცაი.“

გონგოლა, გონგორა მოკრეფილ ვენახში აქა-იქ დარჩენილი მტკვნები.

გონგორა იხ. გონგოლა.

გონგოლაზე (გონგორაზე) სიარული რთელის დამთავრების შემდეგ ხელახლა დავლა ვენახში და დარჩენილი მტკვნების შეგროვება. „მევენახე ისაა, ვინც ღლეღამ ვენახში ტრიალუფს და ყოველ ვაზ მშობელივით დამგარგარეფს. ვინც მარტო გონგოლაზე მოქუჩებულ ყურძენ დაიწურამს, ი რა მევენახეა, იმი ღვინო არც კი დაილევა.“

გორგოლა 1. პატარა ბორბალი. 2. ურმის თელის რკინის სალტე. „სად იშოვედი ამდენი გორგოლა ამ ბავშვებმა, რო თელი დლე დაავორებენ და გააქვთ ერთი გნისი.“

გორგოტი-ი პატარა გორა, ბორცვი. ადგილის სახელადაც გვხვდება მარტყოფში: „ებილანთ გორგოტი“ ე. ი. ებილაშილების გორგოტი. „გორაც ვიცით, ბორცვიც, გორგოტი ამათი საშუალაია.“

გორია ლოგინი, ქვეშაგები – ბავშვის ენაზე – „აბა, გორია ვის უნდა, გორია.“ – დამინების დროს, ეტყვიან ხოლმე ბავშვებს.

გოშპარა ძალღის ერთ-ერთი ჯიშია, ტანად პატარაა. „შენც იტყვი, ძალღი მყავო, ნეტა პურ როგორ აჭმევ ემაგ გოშპარამ?!“

გონა, გონმანა პატარა ტანის კაცი, დაგვალული. ეს ორი სიტყვა ადრე სინონიმური მნიშვნელობისა იყო. ახლა კი მხოლოდ გონმანა იხმარება. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ალ. ყაზბეგის მოთხრობის პერსონაჟის – ხვეისბერი გონას სახელი მეტად პოპულარული გახდა ხალხში. ამიტომაც დაკარგა ამ სიტყვამ პირვანდელი შინაარსი (პატარა, დაგვალული). ამ ფუნქციას „გონმანა“ ასრულებს: „არა ქცხვენია, ემაგ გონმანამ როგორ უნა წაგაქციოდ.“

გოხ-ი გამომშრალი, გამოგვალული, გამხმარი ბელტი. „ემ გოხები თუ არ დაიშალა, ისე არაფერი გამოვა, თესლიც დაგვეკარგება.“

გოხაგეს მწიფეს და მკვახეს ერთიანად კრეფს. „ი ბავში რო ამოხამს, თვალი არ უნა გეჭიროთ?“

გოხგა მწიფისა და მკვახის ერთიანად კრეფა (ხილისა).

გრდემ-ი გრდემლი. რკინის პატარა დაზგა, რომელიც ხეზეა დამაგრებული. ამ ხეს მიწაში მაგრად ჩასვამენ და გრდემზე კვე-

რის (პატარა უროს, ჩაქუჩის) ცემით ცელს ან ნამგალს გამოკვე-
რენ (გამოწკეპენ) ე. ი. პირს (ფხას) გამოუყვანენ. ზოგს უკეთესა-
დაც აქვს მოწყობილი. ეს პატარა დაზგა ერთგვარ სამფუნა სკამ-
ზეა დამაგრებული და მიწაში ჩასმა აღარ სჭირდება. „ნამგლი
ხმარებაც ვიცი და ცელისაც, ემ გრდემზე გამოკვერა კი ვერა და
ვერ ვისწავლე.“

გრდემ-კვერ-ი გრდემლი და კვერი. „ნამგალი და ცელი თუ
გაქ, გრდემ-კვერიც შენი უნა ქქონდე, სათხოვარი არ უნა
გაგისდე.“

გრძელი ათურმა საბავშვო თამაშია ერთგვარი.

გუდიან-ი ბუა, კაცი, რომელსაც ზურგზე დიდი გულა ჰქონდა
და ცელქ ბავშვებს იტაცებს. „სუ, გაჩერდი, თორე გუდიანი კაცი
ჩამოივლის და წაგიყვანს.“

გუდიანი კაც-ი იხ. გუდიანი.

გუდი(ს) ყველ-ი ცხვრის ყველი, რომელსაც ამარილებენ და
გულაში (ოთხად ამოღებულ ცხვრის ტყავში) ინახავენ. „გული
ყველი მხოლოდ ცხვრიდ ყველია და არა სხვა რამისა. ამ
ქალაქელეფსა მგონიათ, ყველ თუ გულაში ჩადებენ, გული ყველი
გახდება.“

გულურა 1. ერთი შეკვრა შეშა. „ერთ წამოკიდება წვრილ
შეშაი რო შაკვრამთ, იმაი ვეძახით გულურაი. ფიჩხისაი კი კონა
მქვია. 2. გადატ. ტვირთი „მეეწყო შენი ბიჭი უმაღლესში? კაი
გულურა მოგიშორებია.“

გულარჯალ-ი გულბოროტი, ავი. „ეგ ისეთი გულარჯალი
დედაკაცია, დაანებე თავი, წყველით აგიკლვს.“

გულგასაწყალელებელ-ი სალანძღავი სიტყვაა. „ეგ
გულგასაწყალელებელი გოგო რა მტირალა ყოფილა.“

გულზე ადგება ვერ ყლაპავს. „ცოტა წყალი მიაწოდე, ბავშვ
გულზე ადგება საჭმელი და არ დაიხრჩობ.“

გულზე აღოლდება ძალიან მოსწონს. „მე ვეჯავრები, ეგ კი
გულზე აღოლდება, არა?“

გულზე ეფოფინება იგივეა, რაც გულზე აღოლდება. „ნეტა
შენ ვილა გეფოფინება გულზე?!“

გული გულის ალაგას დაიდო დამშვიდდა, დაწყნარდა. „ახლა რაღა უნდა დედაშენ, ხო დაიდო გული გულის ალაგამ.“

გულიდანშასაწყვეტი-ი წყველაა, სასიკვდილე, ვინც სიკვდილის ღირსია, ვინც არ უნდა ცოცხლობდეს. „ეგ გულიდან-შასაწყვეტი რა გაუჩნდათ ვეთი, ქვეყანა რო აიკლო.“

გულისაბლანდგა გულისასუება, მსუყე საჭმლისაგან ჭამის შეზარება. „არა, მეტი აღარ გადმომიღო, ისედაც გული ამიბლანდა მაგ საჭმელმა.“

გულისამოჯდომა ტირილის დაწყება, ტირილის ხასიათზე დადგომა. „ეგ ამბავი რო გაიგო, გული ამოუჯდა და ვეღარ დაეაწყნარეთ.“

გულისგაპარვა გრძნობის დაკარგვა. გულის წასვლა. „საწყალთელი დღე ლუკმა არ ჩაედო პირში და შიმშილისაგან გული გაეპარა.“

გულის დაჭერა შიმშილის მოკვლა, დანაყრება. „ცოტა ხორციანი რამე შეჭამე, რო გული დაგიჭიროდ, დიდი გზა გვაქვს გასავლელი.“

გულის მოთხება წუხილის, დარდის გაქარვება. „ტირილით გული მოიხზა.“

გულის მოცემა (შიცემა) გამხნეება, გადიდგულება. „თავისიან რო დანახამს ხოლმე, მაშინვე გული მიეცემა.“

გულის მურაზ-ი გამორჩეული, მოსაწონი, სასურველი ადამიანი. „მაგაზე უარ როგორ ვიტყვი, ეგ ხო ჩემი გულისმურაზია.“

გულის ფერება შეწუხება, გულის გადაღევა (შიმშილისაგან, წყურვილისაგან...). „წყალი დააღვინე, ბავშვ გული ეფერება.“

გულისჭირება თავისი სადარდებლის სხვის თავზე მოხვევა. „მე რამ მაგულისჭირეფს, თითონ გააფუჭა ემ საქმე და თითონვე მიმხელოდ.“

გული ყელში აქ ამოჩრილი (მოხჯენილი) მალე ბრაზდება, გულჩვილია. „მაგოტოლა კაც არა მცხვენია, პატრა ბავშვივით გული სუ რო ყელში აქ ამოჩრილი?“

გული სწკმენტავს, გულს სწკმენტავს ცუდ გუნებაზეა, რაღაც ჩხელეტს გულზე. „გული მწკმენტამს, წამალი ზო არაფერი გაქ, დააღვინე.“

გულმა რეჩხი უყო მისვდა, იგრძნო. „იცოდა, რო ჩამოხვიდოდი, გუშინვე რეჩხი უყო გულმა.“

გულმდურად გულამოსკენით, ცხარე ცრებლით. „ისე გულმდურათ დაიტიროდა, თითქომ საკუთარი მამა დაეკარგოდ.“

გულმისასვლელ-ი მოსაწონი, მიმზიდველი, „რაო, რა აქეთ-იქით იყურები, შენი გულმისასვლელი ნუთუ არაფერი გვაქ?“

გულდადარა გამოუსვლელი, გაუთლელი ადამიანი. „ერთი აჯამი, გულდადარა კაცია, ვერაფერ ვერ შასმენ.“

გულშავ-ი გულღრძო, ცუდი, გაუტანელი ადამიანი. „ეგა? ეგ ვინ არი? ზო გაგიგონიათ, კბილთეთრი და გულშავიო, სწორეთ მაგაზეა ნათქომი.“

გურგურ-ი ალერსი, მოფერება, მოსიყვარულება „შენი ვერაფერი გამიგია, ხან ვერე დამგურგურეფ მაგ ბიჭ, ხან კი წყველით იკლუფ.“

გუშინწინისწინ სამი დღის წინ, გუშინწინდელი დღის წინა დღეს. „გუშინწინ კი არა, გუშინწინისწინ ჩამოვიდა.“

გუშინწინისწინდელ-ი რაც სამი დღის წინ მოხდა, სამი დღის წინანდელი. „გუშინდელი და გუშინწინდელი არაფერი მახსომს, გუშინწინისწინდელი საიდან მესსომება?“

დაავანტყოფებს დაავადყოფებს, დასნეულებს, ავადყოფს გახდის. „ამ პატრა გოგომ რო უტოვეფ ბავშვეფს, ეგ როგორ მოუვლი, გააციფეს, დაავანტყოფეს და მერე თავში საცეპი გაგებღება.“

დააბალღამებს ღამწარებს, მწარეს გახდის „ეგ თავი გემოზე გააკეთეს, იმღენ წიწაკამ უზამს, ისე დააბალღამეს, რო კაცი პირ ვეღარ დააკარეფს.“

დააბარგანაფებს ბარგანობას დაწყებინებს, დააბარბაცებს. „ნახე, ღვინო როგორ დააბარგანაფეს და სმამ მაინც არ ეშუება.“

დააბატებს სიძინღს დახღის, ბატბიუტად აქცევს. „აჰა, ბაბოა მიუტანე ეა სიძინღი და კარგათ დააბატეფს.“

დააბაჩებს იგივეა, რაც დააბატებს.

დააბღანღებს უშნოდ დაკერებს. „ისე დააბღანღეფს ხოღმე, რო გარეთ ვეღარ ჩაიცმევ.“

დააბღაყუნებს ბღაყუნით ღადის. უშნოდ დაათრევს ფეხებს. „ღადი და დაბღაყუნეფს, მეტი რა ღარღი აქ.“

დააბნეფს დაფანტავს. იხ. დააპნეფს.

დააბორბლებს უშნოდ, ზერელედ დაახვევს (ნაჭერს, ბინტს...). „ზოგი ისე ცუღათ დააბორბლეფს ხოღმე, რო მაშინვე იძვრება თითიღან.“

დააბუზაღაყებს ბუზაღაკი (ბუზანკალი) შუეძვრება საქონელს, დაკბენს და აფორიაქებს, სირბიღს დაწყებინებს. „სანამ ძალიან ღაცხება და საქონელ დააბუზაღაყეფს რამე, მანამ მირეკე ჩირღიღში.“

დააბუზარაფებს იგივეა, რაც დააბუზაღაყებს.

დააგურგურებს ღაწმენღს, დაწკრიღლებს, დააღაგებს (ოთახს, სახღს). „ეა პატრა გოგო ნამღვიღი ოჯახში ქალი ღადღება, ნახე, როგორ დააგურგურებს ხოღმე ოთახ.“

დააღღაყუნებს იგივეა, რაც დააბღაყუნებს.

დააღურაღებს შუაციებს, გაყინავს. სანამ კარგათ არ მოღღევეღება, გარეთ არ გაუშო, სიცივე დააღურაღეფს.“

დაავანტყოფღება ავადყოფი გახღება, დასნეულღება. „ცოტა თავ თუ არ მოიხღდა, ღავანტყოფღება და მერე გვიან იქნება.“

დაავანტყოფება დასნეულება, ავად გახღომა. „ღავანტყოფება თუ გინღა, კი ბატონო, იარე ევე ღიღლიპანამ.“

დაავანტყოფებულ-ი დაავადებული, დასწელებული. „მე ჯანსაღი ცხვრები გავატანე მთაში, ამან კი, ნახე, რა დაავანტყოფებულები ჩამოძილალა.“

დააზოგებს სწრაფად გააქცევს. „ეჲ კაცი ამ პატრა ბიჭუნს სუ აღარ ასვენეფს, ხან შინისაკენ დააზოგეფს, ხან ვენახისკენ თუ მინდერისაკენ.“

დაათვარიელებს დათვალიერებს. „პაპაჩემმა, მართალია, ას წელ მიატანა, მაგრამ დილით რო ადგება, სანამ ვენახ არ შემოუელიდ და კარგათ არ დაათვარიელებს, მუხლ არ შასვენეფს.“

დაათქივლებს ბევრ წყალს დაასხამს ერთბაშად. „ნეტა რათ უნდა, მაგდენ წყალ რო დაათქივლებს ხოლმე.“

დააკვალთანებს გაუკვალავს, სწორ გზაზე დააყენებს, გეზს მისცემს. „მამამ მარტო უნა დააკვალთანო შვილი, სწავლით კი თითონ უნა ისწავლომ.“

დააკიწიწებს დაასუფთავებს, სათითაოდ გაწმენდს. „კაი პატარძალი გამოძაგა, ისე დამწმენდს და დააკიწიწებს ყველაფერ, 'მარტო გინდა, რო უყურო.“

დააკმენინებს დააკებინებს. „ისე აწვალეფს იმ ლეკვ, ნამდვილათ დააკმენინეფს ვინმემა.“

დააკმენჩინებს დააკებჩინებს. „გაგონილა ესეთი რამე, შადრეკამს ალლაუჭობამ ბალშია და იმ მკვახე მსხალ დააკმენჩინეფს და იქვე დააყრევიეფს, ნეტა მჭამდნენ მანც.“

დააკუდალაგებს კუდალას გახდის. გადატ. დაამოკლებს. „იმ დალაქთან აღარ გაიკრიჭო თმა, ნახე, ქორორ რა ცუდათ დაგიკოდალაგეფს ხოლმე.“

დაალივლივებს 1. ლივლივით დაჰყავს, ლამაზად დააჭენებს. „მხედარი ცხენ ისე დაალივლივეფს, არ გინდა თვალი მოაშორო.“

2. მაგრად მორწყავს. „ბიძაჩემი ერთხელ რო დაალივლივეფს ვენახ, თუნდაც წვეთი არ ჩამოვარდემ ციდან, თელი თვე მყოფნიდ.“

დაალორთხებს ძალიან დაასველებს, დააეიებს. „მალ-მალ მიძხედე ბავშვ, თორე ლოგინ დაალორთხეფს.“

დაამარმარებს დაგვის, დაწმენდს, დააწკრიალებს. „ჯერ ისევ პატრა გოგოა და ნახე, რა ჭკვიანია, როგორ დაამარმარეფს ხოლმე კარ-შიდამომ.“

დაამგვრალებს დაამრგვალებს. მრგვალს გახდის.

დაამყაყებს იხ. აამყაყებს.

დაანაკრულებს მოაკლებს, დაანაკლულებს. „ჩანთად ნუ დაანაკრულებთ, სტუმრათ მივდივარ და თან მინდა წავიღო.“

დააბნევს დაფანტავს. „გამოართვი და შენ წაიღე ეს ტომარა, თორე მაგამ ძირ დაუარდება და სუ დააბნევს.“

დაააფიებს დაასველებს, დაალორთხებს. „გამოართვი ეს ჭიქა, სანამ სუ დაააფიებს ლოგინ.“

დაააფიფიფიებს 1. თიფიფით დაუდის. „რა საცოდავთ დაააფიფიფიფიებს ეს კრუხი ამ წიწილფებს, ცოტა მიუყარე რამე და გააჩუმე.“ 2. მაგრად დაასველებს, ერთიანად გაუღენთავს. „ისე დაააფიფიფიფიებს ხოლმე ბახჩამ, შიგ ველარ გაიფილი.“

დააროკებს გააქცევს. „რაც გინდა დაავალო, ეს ბაღლები შინ არაფერ აკეთებენ, იმ კი, ამათი ამქრიმ ბელადი როა, საითაც უნდა, იქით დააროკეფს ხოლმე.“

დაასალაშინებს დაამალაშინებს. „ფიცარ დაასალაშინეფს და იატაკს დააგეფს.“

დაასმურკლებს სმურკლებად (მურკლებად) აქცევს, დაამრგვალებს „გა? დიდი მოუსვენარი ვინმეა, პური გულ დამსრესამს თითებით, დაასმურკლებს და მერე აქეთ-იქით დაიწყეფს სროლამ გაკვეთილზე.“

დაატაბაკებს ტაბაკით დაარჩევს. „ჩემი ბაბო ხშირათ დაატაბაკეფს ხორბალ, თითითაც გადაარჩევს და მერე გემრიელ კორკოტ გაგვიკეთეფს ხოლმე.“

დაატროყიალებს უსაქმოდ დაჰყავს აქეთ-იქით. „რამ დაატროყიალეფ მაგოდენა ჯორ, მიეცი საქმე და დილიდან სალაპომდე ამუშავე.“

დაატუნტულებს იგივეა, რაც დაატუნტურებს.

დაატუნტურებს ტუნტურით დაჰყავს, დააქვს. „ნეტა რამ დაატუნტურეფს იმ რეგვენ ბიჭ სკოლაში, რა უნა ისწავლომ, როცა ტვინი არ უმუშავეფს.“

დაატყლაპუნებს ტყლაპუნით დადის, დაატყაპუნებს. „არ ეზარება მაინც თელი დღე ასე დადი და დაატყლაპუნეფს.“

დააფლარტუნებს ფეხები ფლარტუნით დააქვს, დაათრევს. „ამოტოლა ჯორმა სიარული არ უნა იცოდემ, ესე რო დააფლარტუნეფს, რა ჩუმტები გაუძლეფს.“

დააფხავეებს დაძენძავს, გაცვეთს, დაჩვრეტს. „რაც გინდა ახალი ტანისამოსი ჩააცო, ისეთი ნადირია, ორ დღეში დააფხავეფს და გადასაგდები გახდება.“

დააღელვებს 1. დაახვეებს, წყალს წაიყვანს, ბევრს მიუშვებს (წყალს). „რათ უნდა, ამდენ წყალ რო დააღელვებს ხოლმე, ბოსტან ხო სუ დაუხრამამს, არა იჯობია, ცოტა მიუგდომ და უფრო კარგათ მორწყა.“ 2. (თაქვე) გააქცევს. „ყველა მაგად უჯერვს, ვისაი უნდა, დაუძახვს და საითაი უნდა, იქით დააღელვებს.“

დაადრძობს მოკლედ დაბამს. „გაიყვანს ამ ძროხაი და ერთ ალაგაი დაადრძოვს.“

დააჩაქჩაკებს ჩაქჩაკით დაპყავს (ცხენი). „ამ დილაადრიან შემჯდარა და ეზოში დააჩაქჩაკევს.“

დააჩოქოქებს იგივეა, რაც დააჩაქჩაკებს.

დააჩოღოღოტებს 1. პატარ-პატარა ნაჭრებად დაჭრის, დაანაოღოტებს (ხეს, ფიცარს). „შენ მიძხედე, თორე მაგიდ ამბავი რო ვიცე, ისე დააჩოღოღოტევს, იმ ფიცრიდან აღარაფერი დარჩება.“ 2. გააზარმაცებს. „თუ ყოველდღე არ დაასაქმე, ვეე უქმათ ყოფნა ისე დააჩოღოღოტებს ემაგ ბიჭევს, ყველაფერზე გულ აიყრიან.“

დააყრანტალვებს გადატ. სიტყვა წამოსცდება, წამოროშავს. „რასაც ეგ დააყრანტალვევს, განა ყველაფერი დასაჯერებელია.“

დააჩხლაკუნებს დააჩხაკუნებს, ჩხლაკუნით (ჩხაკუნით) დადის. „გასაღებებით გამოუტენია ჯიბე, დადიო და დააჩხლაკუნევს.“

დააძილქუშებს ღრმად დააძინებს. „საჭმელში წამალ ჩაუყრიო და დააძილქუშევს.“

დააწიკწიკებს დააწკრიალვებს, დაწმენდს, დაასუფთავებს. „ეგ ისეთი ფაქიზი ქალია, სანამ ყველაფერ არ დააწიკწიკევს, არ დაისვენევს.“

დააწკაპწკაპებს წკაპწკაპით დაასხამს წყალს, ოდნავ დაასხურებს. „დედა სამსახურში ისე არ წავა, ყვაილევს წყალ თუ არ დააწკაპწკაპევს.“

დააჭანჭახებს იგივეა, რაც დააჭონჭონებს.

დააჭყლაპუნებს 1. ჭყლაპუნით ღეჭავს კევს, „ამხელა მუტრუკ ჩაუღვია პირში კევი, დადიო და დააჭყლაპუნევს.“ 2. ტალახში დადის და ჭყლაპუნის ხმას გამოსცემს. „ესე რო დააჭყლაპუნევს ტალახში, ფენსაცმელი არ ენანება?“

დააჭონჭონებს ძალიან დაასველევს, გუბებებს დააყენებს. „ონკანი დაუკეიტე, თორე ისე დააჭონჭონევს ეზომ, ველარ გავივლით.“

დაახაფერიანებს დააკავებინებს. „მაგოდენა ადვილ თივამ თუ დაახაფერიანებს, ბზე სადღა შავინახოთ?“

დაახაშლებს გაახდუნებს, ხაშლს გახდის. „მაგამ სუ ვერე ემართება, სანამ არ დაახაშლეს ცხვრებს, კი არ დამკლამს.“

დაახეჩინებს დააპობინებს, შუაშუა დააჩეჩინებს. „შეშამ რო მაატანინებს, მაშინვე დაახეჩინებს და მშრალათ შეინახამს ხოლმე.“

დაახვეტინებს დაასუფთავებინებს, დააგვევინებს. „უშვილო ჩვენი მიხა, მაგრამ სხვასავით ძუნწი არ არი, კვირაში ერთხელ მაიყვანს ბიჭვებს, ერთი მაგრა დაახვეტინებს გომ და მაგრადაც აქეიფებს ხოლმე.“

დააჯლაგჯლაგებს ჯლაგჯლაგით დაჰყავს (ცხენი). „არ გამამადგა ცხენი, არც საჯდომათ ვარგა და არც შესაბმელათ, ხანდახან ბიჭი შაჯდება ხოლმე და ეზოში დააჯლაგჯლაგებს.“

დააჯოგებს გაამრავლებს, ერთად შეჰყრის, ახინცავს. „ნეტა სად დააჯოგებს ხოლმე ამოტოლა ალლაუჭობამ, რო ძალლი პატრონ ველარა იცნოფს.“

დააჯღანებს უშნოდ დააკერებს. „არა, მაგამ ჩუმიტებს აღარ მიუტან, ისე დააჯღანებს ხოლმე, ჩაცმა შაგეზარება.“

დაბაგავს ვაზს გადაწვეს, რათა ახალი ძირი გაახაროს. „მანსომს, პაპაჩემი რო დამბაგამდა ხოლმე, მეც ვენმარებოდი.“

დაბაგვა ვაზის რქის გადაწვენა. „ედ სიტყვა რამის არი ღაგვაიწყდა, ვენახები აღარა გვაქ და დაბაგვა რაღამ უნდა?“

დაბაგულ-ი გადაწვენით გაშენებული ვენახი. „აღრე ნამყენი ვაზი სად იყო, ჩვენ სუ დაბაგული ვენახები ქქვონდა.“

დაბარგანავდება დაბარბაცდება. „ხელი მიაშველე, თორე საცა დაბარგანავდება და წაიქცევა.“

დაბარგანავება დაბარბაცება. „თუ დაბარგანავება ითაკილე, მაშინ ამდენი არ უნა დაგელია.“

დაბარგანავებულ-ი დაბარბაცებული. „დაბარგანავებულმა მაყარმა ეზოში ბრაგვანი გაადინა და სირცხვილით აღარა ღგებოდა.“

დაბატდება ბატიბუტად იქცევა. „კარგი სიმინდი ჩანს, ყველა დაბატდება.“

დაბატება ბატიბუტად ქცევა. „აცალე, ბიჭო, დაბატება, შაუხანხალავ რამ იყრი პირში.“

დაბატებულ-ი ბატიბუტად ქცეული. „სკოლაში რო დავდიოდი, სუ დაბატებულ სიმინდითა მქონდა ჯიბეები გამოტენილი.“

დაბანდება იგივეა, რაც დაბატდება.

დაბაჩება იგივეა, რაც დაბატება.

დაბაჩებულ-ი იგივეა, რაც დაბატებული.

დაბდაბა უშნო, ჩლარტიანი, დაბლური კაცი. „ვე დაბდაბა სად წამოგიყვანიათ, მაგიმ ფეხზე რო ვიართო, საღამომდე ვერ მივალთ.“

დაბიჭება ბიჭობაში შესვლა, მოღერება, დავაუკაცება. „დაბიჭება არც კი გვაცალე, სკოლა დავამთავრეთ თუ არა, მაშინვე ჯარში გვიკრემ თავი.“

დაბიჭებულ-ი მოზრდილი, მოღერებული. „დაბიჭებულ ბავშვეფს ცოტა სხვანაირათ უნა ელაპარაკო.“

დაბლითა ქვა წისქვილის ქვედა ქვა, უძრავი დოლაბი. „დაბლითა ქვა პაპიჩემი დროინდელია, დიდი ხანია გამოცვლა უნდა.“

დაბორბლა უშნოდ, ბოშად დახვევა. „ვეე დაბორბლა ხო მეც შემიძლია.“

დაბორბლავს უშნოდ დაახვევს. „აბა, ედ რა არი, როგორ დაბორბლამს ხოლმე, ექთანო მინც არ იყო.“

დაბორბლილ-ი უშნოდ დახვეული. „ეა თითი ისე აქ დაბორბლილი, ძალე გაეხსნება.“

დაბოტიალებს იხ. დაბოტიალობს.

დაბოტიალობს უაზროდ დადის, დაყალობს. „რო აულია თავი და დაბოტიალოფს, ჭკუე დამრიგებელი არავინა მყავ?“

დაბოტიალობს იგივეა, რაც დაბოტიალობს.

დაბუზალაკდება ბუზალაკი (ბზიკი) შეუძერება ლაჭებში (ძროხას...), დაკბენს და აღმა-დაღმა დააწყებინებს სირბილს. „სანამ მაგრა დაცხება, ჩირდილში მირეკე საქონელი, თორე დაგიბუზალაკდება და ველარ დააქურჩე.“

დაბუზალაკება გაქცევა, აღმა-დაღმა სირბილი (საქონლისა). „იმ შავ ძროხაზე გეჭირომ თვალი, ხშირათ იცის დაბუზალაკება.“

დაბუზალაკებულ-ი ბზიკისაგან (ბუზალაკისაგან) დაკბენილი და გაქცეული (საქონელი). „შენ დაბუზალაკებული ხბორები არ გინახია, თორე ევე არხენათ არ ელაპარაკებდი.“

დაბუზარაფდება იგივეა, რაც დაბუზალაკდება.

დაბუზარაფება იგივეა, რაც დაბუზალაკება.

დაბუზარაფებულ-ი იგივეა, რაც დაბუზალაკებული.

დაბღვეტაგს თვალებს გადმოკარკლავს, დაიბღვირება. „დაბღვეტამს იმ დასაბრძობ თვალეფს და ისე მიყურეფს, რამის გული გამისკდეა.“

დაბღვეტა დაბღვერა, წყრომით ყურება. „მაგია დაბღვეტამ ყურადღება არ მიაქციო, შენ შენი გააკეთე.“

დაბღვეტილ-ი დაბღვერილი. წყრომით მზირალი. „რა დაუშავე ისეთი, ეგე დაბღვეტილი რო გიყურეფს!“

დაბღლარჯნა დაჯღაბნა. „სკოლა დაამთავრა და ორი სიტყვია დაბღლარჯნა არ შაუძლია.“

დაბღლარჯნის დაჯღაბნის. „გამოართვი ემ ცარცი, თორე თელ ქედელ დაბღლარჯნის.“

დაბღლარჯნილ-ი დაჯღაბნილი. „მაგამ წიგნ აღარ ვათხოვეფ, ნახე, რა დაბღლარჯნილი მამიტანა.“

დაბღლარჯნულ-ი იგივეა, რაც დაბღლარჯნილი.

დაგაზაგს თავქუდმოგლეჯილი გაიქცევა. „ყოჩალი ბაღლია, ეტყვი თუ არა, მაშინვე დაგაზამს.“

დაგაზვა სწრაფად გაქცევა. „მაგან ისეთი დაგაზვა იცის, ცხენით ვერ დაეწევი.“

დაგაზულ-ი სწრაფად გაქცეული. „ისეთი დაგაზული მიდიოდა, ერთი არ გამოიხუდა ჩემქენ.“

დაგანაგს ბევრ ტვირთს (თივას, შეშას...) დაუღებს ურემზე (მანქანაზე). „ყოველ ღღემა ესე დაგანამს ხოღმე მანქანამ და ქალაქი გზამ დაადგება.“

დაგანვა ბევრი ტვირთის (თივის, შეშის...) დაღება ურემზე (მანქანაზე). „შენ ვერ დაუღეფ ისე, როგორც მამაშენმა იცოღა დაგანვა.“

დაგანულ-ი ბევრ ტვირთდაღბული ურემი (მანქანა). „ისე იყო მანქანები დაგანული, რო გზამ ვერ აუქცევედი.“

და-ჰ-გარგარებს თავს ევღება, უვღის, ჰჰატრონობს, ცივ ნიავს არ აკარებს, „ნუ გეშინია, ჯგ ისე დაგარგარეფს, ორ ღღეზე წამოაყენეფს ფეხზე.“

დაგარგარება თავს მოვღება, ჰატრონობა.

დაგეზაგღება გეზს აიღებს. გადატ. უკან მოუხეღავად გაიქცევა. „მაგამ თხოვნა და ხეეწნა არ უნდა, ეტყვი და მაშინვე დაგეზაგღება.“

დაგეზაგება გეზის აღება და სწრაფად წასვლა.

დაგეზაგებულ-ი სწრაფად მიმავალი, გეზაღბული. „ნეტა საღ მიღიმა ესე დაგეზაგებული?“

დაგემოვნება ხილის (საჭმლის) პირში ჩადება და გემოს გასინჯვა. „ეგ ისე არაფერ შაიჭამს, ჯერ კარგათ თუ არ დაიგემოვნა.“

დაგემოვნებულ-ი გემო გასინჯული. „ეტყობა, უკვე დაგემოვნებული აქ, მაღინათ რო იჭამს.“

დაგოლაფს ზრდას შეუჩერებს. „თუ მალე არ გაწვიმდა, ემ სიცხე ისე დაგოლაფს ამ სიმინდ, ფუჩქადაც აღარ ივარგეფს.“

დაგოლვა ზრდის შეჩერება. „თუ გინდა ემ ყანები დაგოლვამ გადავარჩინოთ, ერთი-ორჯერ მაინც უნა მოვრწყათ“, „რა არის ესე დაგოლვა, ამ ბიჭ არაფერ აჭმევენ?“

დაგოლილ-ი ზრდა შეჩერებული, დაჩივებული. „დაგოლილი ნათესები ვერა და ვერ გამოვებრუნე.“ „ვისია ემ დაგოლილი ბავშვი (ბატკანი)?“

დაგულაფ-ს მაგრა დახურავს, დაკეტავს. „პაპაჩემი გომი კარ რო დაგულაფს, კიდევ ერთხელ შამაოწმეფს ხოლმე.“

დაგულვა მაგრად დახურვა, დაკეტვა. „სანამ დაიწვები, კარები დაგულვა არ დაგავიწყდე.“

დაგულულ-ი მაგრად დახურული, დაკეტილი. „კარი დაგულილი დავტოვე და რამ გაალო, ვერ გამიგია.“

დადგმა პურის (ქერის) ზვინი. ნამკალში ოც-ოც ძნას ერთად შეაქურებენ და ისე დააწყობენ ერთი მეორეზე, რომ თავთავი შიგნით მოჰყვეს. ჯერ ოთხ-ოთხ ძნას დადებენ, მერე სამ-სამ ძნას დააწყობენ ზემოდან, შემდეგ ორ-ორს, ბოლოს კი თითო-თითო ძნას ორივე მხრიდან, გამოვა კონუსისებური ზვინი და რამდენ ხანსაც გინდა იყოს, არ გაფუჭდება. ძნების ასეთ ზვინს „დადგმას“ უწოდებენ.

დადგნობა გაძლება, გამაგრება, დაკავება. იხ. დაიდგნობს.

დადენილა დადის თურმე. „ემ პატრა ბიჭი სკოლაში დადენილა და მე კი არ ვიცოდი.“

დადონდგალდება დაწყნარდება, დამშვიდდება. „სანამ ხალხი არ დადონდგალდება, მაგან რა უნა გააგონო.“

დადონდგალება დაწყნარება, დამშვიდება. „მართალია, უცნუ აპილბილდება ხოლმე, მაგრამ დადონდგალებაც მალევე იცია.“

დადონდგალელებული-ი დაწყნარებული, დამშვიდებული. „ემ ხალხი დადონდგალელებული დავტოვე და რამ ააყაყანა ისე?“

დადოშება იხ. დოშე დაყენება.

დადლაბნა დასვრა. „დადლაბნა თუ არ გინდოდა, მელან არ მიცემდი მაგ ყმაწვილ.“

დადღაბნი-ს დასკრის (მელნით, საღებავით). „ააცალე ი საღებავი, თორე მაგიდა ისე დაიდღაბნი, ველარ გამწმენდამ.“

დადღაბნილ-ი დასკრილი (მელნით, საღებავით). „ემ რა მოდა შამაილე, ჩვენ ევე დადღაბნილი პერანგებით გარეთ როგორ გაეიდოდით.“

დადღანა ვინც ბევრს ლაპარაკობს. უაზროდ ყბელობს ყველაფერზე. მეტსახელია ქალისა.

დადღანებს ყბელობს, ბევრს ლაპარაკობს. „ნეტა ყბები არ დაეღალა, დილიდან საღამომდე ამდენ რო დადღანეფს?“

დაეგლება ბევრი სიარულისაგან შიშველი ფეხები დაებეგება, ფეხის ქუსლებში ჩირქი ჩაუდგება და დაუსივდება.

დაეთოფლება თოვლი დაედება, თოვლით დაეფარება. „იმდენ ხან დარბიან ხოლმე გოგო-ბიჭები ეზოში, სანამ თმა და თვალწარბი ერთიანათ არ დაეთოფლებათ.“

დაეთოთხმეტება დაეპატრონება, სხვისას მითთვისებს. „რა უნამუსო კაცია, რასაც კი სადმე მოახელამს, ყველაფერ დაეთოთხმეტება ხოლმე.“

დაეკუჭება 1. დაეჭმუჭნება. „რო დამჯდები, პალტო გაისწორე, თორე კალთები დაეკუჭება.“ 2. დაეკეცება „ერთი უვარგისი დანა მაქ, ხან ისე დაეკუჭება ხოლმე პირი, რო ველარა ვხსნი.“ 3. მოეხრება. „სიცივისაგან დაეკუჭება ხოლმე თითები.“

დაემგვანება დაემსგავსება. „ერთ-ორ წელიწადში ისე დაემგვანება ემ ხბო თავი დედა, ველარ გაარჩევთ.“

დაენიძლაგება სანაძლეოს დაუდებს. „ვნახოთ და მალ-მალ დაენიძლაგება ყველა.“

დაეპნევა დაეფანტება (მარცვლეული, ხილი, ფქვილი...) „ამ განუულ ტომარაში რო ჩაუყრია ემ ხორბალი, ნახევარი გზაში დაეპნევა.“

დაექსევა გამოეკიდება, გამოუდგება (ძალლი). „უქსიე, რამდენიც გინდა, ისეთი ჯიუტია, თუ არა მწადიან, არავის არ დაექსევა.“

დაელეტება უთავბოლოდ დადის, დაეთრევა, დახეტიალობს. „რამ დაელეტება, რო დაელეტება, მითომ რაო, ყველაფერი დააბინავა შინ?“

დაეყვლება ფეხის თითებს შუა კანი დაუსკდება და დაუჩირქდება. „დაუშალე მაგ ბიჭ, წყალში ნუ დამტოპამს ფეხიშველა, თითები დაეყვლება.“

დაემაგრება ხარბად დაღუეს, ხარბად დაეწაფება სასმელს. „უთხარი ცოტა თავი შეიკაოი, ეგრე რო დაემაგრება ხოლმე ღვინომ, გულზე არ აწყინომ.“

დაეძენძება გაუცვდება, „ამი ტანზე ახალ ვერაფერ ინახამს კაცი, რაც გინდა ჩააცვა, ერთ კვირაში დაეძენძება ხოლმე.“

დაეძეწება იგივეა, რაც დაეჭეჭება.

დაეწკრიტება დაეცლება, დაუშრება, ბოლო წვეთი გამოედინება. „სანამ რუვი სუ არ დაეწკრიტება, ვერ მიხვდება, რო წყალი მოიპარემ.“

დაეჭეჭება დაეწეწება. „ღიღი ქვა დამეცა ხელზე და თითები ისე დამეჭეჭა, თელი თვე ვეღარ ვატოკებდი.“

დაეჯღანება დაედრივება, დაემანჭება. „სახე ისე დაეჯღანება ხოლმე, რო კაც გული გაუსკდება.“

დაზეკავს დატკეპნის. „რამდენიმე ურემ სამელი მიწად მაიტანს, გომ დააყრიდ და დამზეკამს, მერე ფიქრი აღარ აქ, წვეთი წყალი არ გადვარდება.“

დაზეკვა დატკეპ[ვ]ნა. „რალა გადარდუეს, ემ სამელი მიწაც მოგიტანია და დაგიყრია ბანზე, ერთი დაზეკვალა უნდა და ემ არი.“

დაზეკილ-ი დატკეპნილი. „ისე იყო დაზეკილი ძაღლები საგან ემ ბახჩა, რო ძლივამ გავთონხე.“

დაზიარება მთაში წასვლისას ცხერის ფარების ერთმანეთში შერევა და ერთად გარეკვა. „წლეულ ჯოჯოლაძთან მინდა დაზიარება და არ ვიცი, ხოობამ მეტყვიდ თუ არა.“

დაზიარებულ-ი ერთად შერეული ცხერის ფარები და მთაში ერთად გარეკილი. „არა, წლეულ ცალკე უნდა გავრეკო ჩემი ცხვარი. შარშან რო დაზიარებული მყვანდა, რა ხერი ვნახე?!“

დაზინზვლა ძალიან დასვრა. „რა არი ესე დაზინზვლა, ყველაფერ შენ როგორ უნა მოედო ხოლმე.“

დაზინზლაგს ძალიან დასვრის, დათხვრის. „გამართვი ემ მწიფე მსხალი და შენ აჭამე, თორე ისე დამზინზლამს ამ თეთარ ტანისამოს, ვეღარ ჩააცმევ.“

დაზინზლულ-ი ძალიან დასვრილი, დათხვრილი. „რაც გინდა ახალი ჩააცვი, ემ ისეთი ფეთხუმი, მაინც დაზინზლული ივლი.“

დაზოვდება დაზეავდება, გადატ. სწრაფად გაიქცევა. „შენ ოღონდაც დაავალე რამე, სიტყვად არ დაგამთავრებინეფს, მაშინვე დაზოვდება.“

დაზოგება დაზვაგება, გადატ. სწრაფად გაქცევა. „მაგან ისეთი დაზოგება იცი, კაცი ვერ დაეწევა.“

დაზოგებულ-ი დაზვაგებული, გადატ. სწრაფად გაქცეული. „სად მიდი ესე დაზოგებული, რო უკან აღარ იხედება?“

დაზორტავს დაზუნძლავს, ბერს დაისხამს. „კაი მსხმოიარე გამამადგა ეს მსხალი, ისე დამზორტავს ხოლმე ტოტეფს, რამი დაემტკრე.“

დაზორტვა დაზუნძელა, მაგრად დასხმა (ხილისა). „გენაცვათ, რა არი ესე დაზორტვა, რა ტოტებმა უნა გაუძლოდ.“

დაზორტილ-ი დაზუნძლული, მაგრად დასხმული (ხეხილი). „ესე დაზორტილი ვაშლები კაი ხანია არ მინახია.“

დაზურკავს დაზურგავს. მძიმე ტვირთს აჰკიდებს, ძალიან დატვირთავს. „ო-ო, ეგ ისეთი გამეტებული დედაკაცია, ყველამ სათითაოთ გაუშეფეს ჩამადნეფეს, მაგრა დამზურკამს და შინ ისე გაუშეფეს.“

დაზურკვა მძიმე ტვირთის აკიდება, დატვირთვა. „რა იყო ასე დაზურკვა, თავი აღარ გენახება?“

დაზურკულ-ი მძიმედ დატვირთული, ზურგზე ტვირთაკიდებული. „დაზურკული სახედრები მძიმედ მიდიოდნენ შინისაკენ.“

დათავსელება დამარტოვება, ხელში მოგდება. „თუ როგორმე დავითავსელებ, მერე მე ვიცი, როგორ ავალაპარაკე.“

დათავსელებულ-ი დამარტოვებული, ხელში მოგდებული. „დათავსელებული მყვანდა, მაგრამ სხვამ შემინძალა ხელი.“

დათვარიელება დათვარიერება. „მაგამ მუშაობა კი არა, ტყვი დათვარიელება მნდომებია.“

დათვარიელებულ-ი დათვარიერებული. „მაგამ დღისითვე ექნებოდა დათვარიელებული, ისე არ გადაიპარებოდა ღამით ვენახში.“

დათიმთიმებს დათამთამებს. „ისეა გასუქებული, რო დადი, სუ ქონში დათიმთიმეფს.“

დათოთხმეტება დაპატრონება, მითვისება. „მაგან ყველაფერზე ეგე იცი დათოთხმეტება.“

დათოთხმეტებულ-ი დაპატრონებული. „ყველაფერ ეგ რო არი დათოთხმეტებული, მითომ რა ნიშა კოჭია, ან რამ წარმადგენს?“

დათოთხმახება დატუქსვა, დაშინება. „ერთი პატარა დათოთხმახება და ნახე, როგორ ანგელოზათ გადაიქცევა.“

დათოთხმახებულ-ი დატუქსული, დაშინებული. „თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ, ეგ ისე მყავ დათოთხმახებული, ხმამ ვერ გაქცემს.“

დათქვრა დაღვრა. „რა არი, ბიჭო, შვილო, ემ რა გიქნია, რა იყო ამდენი წყლი დათქვრა.“

დათქვრი-ს დაღვრის. „გამაართვი ემ ბოცა, თორე რაცა დგა, სუ ერთიანათ დამთქვრის.“

დათქვრილ-ი დაღვრილი. „ერთი წვეთიც აღარ იღვა, წელანვე დათქვრილი დამახვედრე.“

დათქვივლება ბევრის ერთბაშად დასხმა (სითხის). „რათ უნდოდა მაგდენი წყლი დათქვივლება, ეხლა რაღა გემო ექნება მაგ კერძ?“

დათქვივლებულ-ი ერთბაშად დასხმული (სითხე). „ამ ქვაფს იმდენი წყალი აქ დათქვივლებული, აღარაფერი ეშველება.“

დათქორავს დააჟიებს და წახდენს (წვიმა). „რამ ჩამაიქცა ემ ოხერი ცა, ნახე, ისე დამთქორამს ნათესეფს, ზეზე ველარ წამოდგება.“

დათქორვა ნათესების დაჟიება და წახდენა (წვიმისაგან). „შენ ვენახებისა და ბაღები დათქორვა არ გინახამ და იმიტომა ხარ ევე არხინათ.“

დათქორილ-ი ძლიერ დაჟიებული და წახდენილი. „ემ დათქორილი ბოდიტანი თუ კიდევ წამოდგება ზეზე, არა მგონია.“

დათხაპვნა დასვრა (სითხით). „მაგოდენა გოგომ არ ქცხვენია, ევე დათხაპვნა ხელებისა ვის გაუგონია?“

დათხაპნის დასვრის (სითხით). „ემ ბავშვი არაფრი ღირსი არ არი, ახალთახალ წიგნ ისე დამთხაპნიმ, ზედა აღარ შაიხულება.“

დათხაპნილ-ი დასვრილი (სითხით). „შენ ზო არაფრისა არა ქცხვენია, წადი ახლა მელნით დათხაპნილი ხელებით სკოლაში.“

დათხვრა იგივეა, რაც დათხაპვნა.

დათხვრის იგივეა, რაც დათხაპნის.

დათხვრილ-ი იგივეა, რაც დათხაპნილი.

დათხლაპვნა დასვრა (მწიფე ხილით, კვერცხით...). „თუ ეზომ დათხლაპვნა არ გინდა, მომჭერი ემ თუთა.“

დათხლაპნი-ს დასვრის (მწიფე ხილით, კვერცხით...) დაუფინე რამე, თორე ემ მწიფე პაპამხილი ძირ რო დაცვივა, ყველაფერ დამთხლაპნიმ.“

დათხლაპნილ-ი დასვრილი (მწიფე ხილით, კვერცხით...) „ძირ ჩამოყრილი და დათხლაპნილი ხეჭვიჭურებილა დამხვდა ჩვენ ბაღში.“

დაიბრიქება იგივეა, რაც დაიბლინდება.

დაიბროლება კაკალს ლენჯო შემოეცლება, დასკდება. „ერთ კვირაში უკვე დაიბროლება ჩვენი კაკალი.“

დაიბუხუნებს ბოხ ხმას გამოსცემს, ბოხი ხმით დაილაპარაკებს. „ერთი ბიძა მყავ, იმ რო დაიბუხუნეფს ხოლმე, გეგონება კლდე ჩამოიქცაო!“

დაიბლინძება გაუგვიძული, გაბლენძილი დადის, თავი მაღლა უჭირავს. „რამ დაიბლინძება, რა იშოვა ეგეთი?“

დაიბღღარჯნება დაიბღაჯნება. „შენ თუ არაფერ ჩაწერ, თავისით არ დაიბღღარჯნება ემ წიგნი.“

დაიგემოვნებს გემოს გაუსინჯავს. „ეგ ისეთი აზიზია, სანამ კარგათ არ დაიგემოვნეფს, არ შაიჭამს.“

დაიგოლება ტანს არ აიყრის, დაჩიავდება. „ამ სიმძიმე ნუ ააწვეინეფ, ჯერ პატარაა, დაიგოლება.“

დაიდგნობს გაუძლებს. „ცოტა უფრო მსხვილი ხე შაუღვი ბოწკინტათ, თორე ეგ ვერ დაიდგნოფს.“

დაიდღაბნება დაისვრება. „აიღე ემ საღებავი აქედან, თორე წაიქცევა და ყველაფერი დაიდღაბნება.“

დაიზეკება დაიტკეპნება. „მაღვეე გავთოხნოთ, თორე ემ ნაწვიმარი მიწა ამ სიცხეში ისე დაიზეკება, თოხ ვეღარ დაეკარეფთ.“

დაიზორტება ძალიან ბევრს დაისხამს (ხეხილი), დაიხუნძლება. „ემ ღორქლიავა ხან ერთ არ მაიბამს, ხან კი ისე დაიზორტება, რამის არი, ტოტები დაელეწოა.“

დაითავხელეფს დაიმარტოვეფს, ხელში მოივდება. „რაკი ერთი დაითავხელეფს ვისმე, მერე მორჩა, აღარ მოეხსნება.“

დაითქვრება დაისვრება.

დაითხაპნება დაისვრება.

დაითხვრება დაისვრება.

დაიკბილდება კბილებად დაირჩევა, დანაწილდება (კაკალი, ნიორი...). „ნიორი დაიკბილდება და ისე დაითესება.“

დაიკოძება დაიბღვირება, წარბებს შეკუმუნის. „ზოგჯერ ისე დაიკოძება ხოლმე, რო ხმაი არ გაქცემს.“

დაიკოსება იგივეა, რაც დაიკოძება.

დაიკუნტება დაიკუნტება. „შენ იმადთან რამ მოხვალ, რო დაიკუნტება, მხრებაბდე მაშინაც ვერ მიიწვდები.“

დაიკუჭება 1. დაიჭმუჭნება. „ზედ ნუ დააჯღები მაგ კაბამ, დაიკუჭება და ცუდათ დაგადგება ტანზე.“ 2. დაიკეცება. „ემ ოხერი დანა ისე დაიკუჭება ხოლმე, ვეღარა ვხსნი.“

დაილურსება დაიბღვირება. „ვერაფერი მითქვია, მაშინვე დაილურსება ხოლმე.“

დაიძუხლიჩოქებს დაიჩოქებს, მუხლებზე დადგება. „ბერიკაცი რო დაიღლება, მერე დაიძუხლიჩოქეფს და ისე აგრძელეფს მუშაობას.“

დაინიფებ-ს დაიფინებს. „ეგ რომ დაინიფეფს, მერე მორჩა, ველარ გადაათქმევინეფ.“

დაიბღლაკენება უშნოდ დაღის. „რამ დაიბღლაკენება, საქმე არა აქ?“

დაიბნევა დაიფანტება (მარცვლეული, ხილი და მისთ.). „ტომარა პირამდე სამსეა, ცოტა მოაკელ, თორე გზაში დაიბნევა.“

დაიფღლება დაიფეფება, დაიბეფება (ხილი). „ნელა ატარე მანქანა, თორე სანამ ქალაქში ჩაიტან მაგ ყურძენ, სუ დაიფღლება და ზედ არავინ შადხედამს.“

დაიროხროხებს დაირუხრუხებს. როხროხის ხმას გამოსცემს. „რა ხმა აქ ამ დავსილ, ეგ რო დაიროხროხეფს, კაც ყურიბ ბარაბანი გაუსკდება.“

დაირუკრუკებს დაიკრუხკრუხებს (კრუხი). „დაირუკრუკეფს თუ არა კრუხი, წიწილები მაშინვე გარეთ გამოფინებთან.“

დაისიკნებთან მაგრად დაძღებთან. „ემ ხბორები ისე დაისიკნებთან ხოლმე, საღამოთი სუ აღარ უნდათ ბალახი დაყრა.“

დაისუსება გასუსული დაღის. „რალაცა ხასიათზე ვერ არი, ნახე, როგორ დაისუსება.“

დაიტორტლება დაიზღაზნება (მსუქან ადამიანზე იტყვიან). „შენედე ერთი, რამსიდილო დაიტორტლება.“

დაიტრუხუნებს დაიღრუტუნებს. „ისეთი ჭკვიანი ღორია, სანამ მაგრათ არ მომძივა, ერთხელ არ დაიტრუხუნეფს.“

დაიტყლაპნება ტყლაპივით დაეკვრება. „ისეა დამწიფებული, ჩამოარდება თუ არა, მიწაზე დაიტყლაპნება.“

დაიფეხვება წაიქცევა და დაიბტვრება. „რატო გაუშვი ი კაცი ამ ბნელაში, არ გეშინია, რო დაიფეხბომ საღმე?“

დაიფურტკნება დაიშლება. „ემ მანქანა ერთ კვირაში ისე დაიფურტკნება, რო ველარავინ ააწყოფს.“

დაიფუშება ხარშვისას დაიშლება (კარტოფილი). „ემ რა კარტოფილი გამამაღგა, წამოდულდება თუ არა, მაშინვე დაიფუშება ხოლმე.“

დაიფხოჭნება დაიფხაჭნება, დაიხაზება. „მჩვარი ნაზათ თუ არ გადაუსვი, ემ გაკრიალებული მაგიდა ცუდათ დაიფხოჭნება.“

დაიქანჩება ქანჩი მოეჭირება.

დაილღაღნება ღღაღნით დაღის. ჩანჩურასავით დაღის. „რო აუღია თავი და დაილღაღნება, ფეხ ვერ აუჩქარაფხს?“

დაიყაყყება წელში მოზრილი დაღის. (მაღალ ადამიანზე იტყვიან).

დაიყოყინებს ყოყინის ხმას გამოსცემს (კამეჩი). „ჩვენი კამეჩი სახლ მოუახლოვდება თუ არა, მაშინვე დაიყოყინაფხს.“

დაიყროყინებს ყროყინის ხმას გამოსცემს (ვირი). „შენ რა, ვირი ხმაზე ხო არა გაქ საათი გასწორებული, სანამ არ დაიყროყინაფხს, არ უნა ადღე?“

დაიშამათება დაიზარებს, რაღაცას რომ დაავალბენ და უსიამოვნოდ დაიჭყანება. „ემ ბიჭი ისე დაიშამათება ხოლმე, რო ვეღარაფერი მითქვამს.“

დაიჩეკნება უშნოდ დაიჭრება, დაიკეჭნება. იხ. დაკეჭვნა.

დაიჩმაგება ტანს არ აიყრის, დაიგვალება. „ძალიან ნუ დაღლი მაგ ბავშვ მუშაობით, ცოღოა, დაიჩმაგება.“

დაიჩხლაკუნებს დაიჩხაკუნებს. „ჩუმათ ვერ გამიღია კარი, კლიტე სამინლათ დაიჩხლაკუნაფხს ხოლმე.“

დაიჩხლართება უშნოდ დაღის (ფეხებდაბრეცილ ადამიანზე იტყვიან). „ნეტა რაღ დაღიდ და დაიჩხლართება.“

დაიწკრიტება სულ ჩამოიცილება, ერთი წვეთი აღარ დარჩება. „დააყირავე ემ კასრები და დაიწკრიტება.“

დაიწოძება დაწოპილი (დაკოხილი) დაღის. „რა მალ-მალ დაიწოძება ხოლმე, ახლა რაღად გვემდურება?“

დაიჭმაჭნება სახე დაემანჭება. „ვერაფერი მითქვია, მაშინვე დაიჭმაჭნება ხოლმე.“

დაიხახება დაიწვება. „ცოტა წყალი (ცხიმი) დაუმატე, თორე კერძი დაიხახება.“

დაიხეჩება შუა-შუა დაიპობა. „სანამ ნეღლია, დახეჩე, თორე რო გახბება, აღარ დაიხეჩება.“

დაიხორხლაფხს ბევრს დაიხხამს (ხეხილი). „ყოველ წელიწად ისე დაიხორხლაფხს, რო სუ ტოტები ემტვრევა.“

დაიხორხლება იგივეა, რაც დაიხორხლავს.

დაიხორხლის იგივეა, რაც დაიხორხლავს.

დაიხუნძლავს დაიხუნძლება, ბევრს მოიხხამს (ხეხილი)

დაიხუნხება მაგრად გამოშრება (გამოცხვება). „გახუნრებულ თონეში კრამიტაფხს (ან აგურაფხს) დავაწყოფთ, ზედ პურაფხს

ჩამოვამწკრივეფთ და სანამ კარგათ არ დაიხუხება, არ ამოვიღეფთ, ასე გამომშრალი პური აღარ ობდება და საჭმელათაც გეპრიულია.“

დაიჯგიმება გაბლენძილი დადის. „ნეტა რა იშოვა ისეთი, რო ეგე დაიჯგიმება?“

დაიჯალჯება ბევრი დაელება. „შენ ფიქრი ნუ გაქ, ემ ურები ისე დაიჯალჯება, ჩხვიმალი აღარ დარჩება აქა.“

დაიჯღანება დაიღრიჯება. „მაგამთან როგორ მივალ რამიმ სათხოვნელათ, ისე დაჯღანება, რო თავი შევბულდება.“

დაკადება წყლის მიგდება, მიმარჯვება რწყვის დროს. „წყალი მოყვანილია, დაკადებალა უნდა.“

დაკადებულ-ი მიგდებული, მიმარჯვებული (წყალი). „წყალი ყველა კვალში მაქ დაკადებული, ასე თუ იარა, დილამდე მაგრათ მაირწყება.“

დაკალტდება კალტად იქცევა. „შრატს ცეცხლზე შემოდგამენ ქვებით, რაღაც ნახევარ საათში წამოდულდება და დაკალტდება.“

დაკალტება კალტად ქცევა. კალტის დამზადება.

დაკანჭურება დაკიდება. „რა ცუდათ მიეჩვივნენ ემ ბავშვები მანქანაზე დაკანჭურებამ, ჩამოცვივიან და იტყენენ რამე.“

დაკანჭურებულ-ი დაკიდებული. „მიძხლე მაგ ბიჭ, როდემდე უნა იყომ ეგე დაკანჭურებული. ხელები დაეღლება და ჩამოვარდება.“

დაკარკარება დაწმენდა, დასუფთავება, დაგვა, დაწკრილება. „ნახე რა გოგოა, როგორი დაკარკარება იციმ, კაი პატარძალი დადგება.“

დაკარკარებულ-ი დაწმენდილი, დაწკრილებული, დაგვილ-დასუფთავებული. „პატარძალიც ესეთი უნდა, ოთახები სუ დაკარკარებული აქ.“

დაკბილაფ-ს დაანაწილებს, კბილებად დაყოფს (ნიგოზს, ნიორს).... „ბაბო საჩურჩხლე ნიგოზ გადაარჩევს, დაამბილამს და ძაფზე აასხამს ხოლმე.“

დაკბილვა კბილებად დანაწილება, დარჩევა. „ნიორი მოვიტანე ბაზრიდან, დაკბილვალა უნდა.“

დაკბილულ-ი დარჩეული, კბილებად დანაწილებული (ნიორი, კაკალი). „ნიორი დაკბილული მაქ, აიშუქეფს თუ არა, მაშინვე უნა ჩაეთესო.“

დაკეჭ[ვ]ნა უშნოთ დაჭრა დანით (ცულით), გაფუჭება. „ბა ესენი ბავშვები არიან, მამ იმდენი არ უნა იცოდნენ, რომ მაგიდამ დაკეჭვნა არ იქნება?“

დაკეჭნავს იხ. **დაკეჭნის**.

დაკეჭნი-ს დაჭრის, გააფუჭებს რაიმე ნივთს (დანით, ცულით...), „გამართვი ემ წაღდი, თორე ემაგ კარადამ ერთიანათ დააკეჭნი.“

დაკეჭნილ-ი დაჭრილი. „შინ რო მივედი, ამ გასაწყვეტმა ბავშვებმა თელი იატაკი სუ დაკეჭნილი დამახვედრე.“

დაკვალვა კვალის გაღება, ბარვის დაწყება (ვენახში, ბაღში). „მამათქვენმა ვენახი დაგიკვალათ და ტყეში წავიდა, აბა, თქვენ იცით, სანამ ჩამოვა, დაბარული დაახვედრეთ.“

დაკვალულ-ი კვალგავლებული. „დაკვალვაა ცოტა ძნელი, თორე დაკვალული თუ იქნება, ხელათ ამოვბარამ.“

დაკვლანჭავ-ს აწეწ-დაწეწავ-ს. „გამართვი ემ ბაწარი, თორე ისე დააკვლანჭამს, ველარ გაარჩევ.“

დაკვლანჭ[ვ]ა აწეწ-დაწეწვა, დახლართვა. „გორგალი დამივარდა და ისე დამკვლანჭა ძაფი, თავი და ბოლო ველარ გავუბე.“ გადატ. საქმის არეუ-დარება. „მაგან ყოველთვინ ვეე იცის, ისე დაგიკვლანჭამს საქმე, რო გზად ველარ გაიგნეფ.“

დაკვლანჭულ-ი აწეწილ-დაწეწილი, არეულ-დარეული, დახლართული. „თუ ემ დაკვლანჭული საქმე როგორმე ავაწეყ, კაცი ვერ მაჯობეფს.“

დაკვრა-დახუჭობა[ნა] საბავშვო თამაშია ერთგვარი. მოთამაშეთა რაოდენობა განსაზღვრული არ არის. დედანს აირჩევენ, ე. ი. ვინც პირველი გავა კენჭის ყრისას, ის იქნება დედანი, ვინც – ბოლო, ის დაიხუჭება პირველი. თვალზე ხელებს აიფარეფს და თავს დედანს ჩაუდებს კალთაში. დედანიცა და თვალდახუჭულიც სხედან, სხვები ფეხზე დგანან და მორიგეობით ურტყამენ თვალდახუჭულს, რომელმაც უნდა გამოიცილოს ჩამრტყმელი, თუ ამოიცირო, ახლა ის დაიხუჭება. თუ ვერ ამოიცირო, ისევ იგი აგრძელებს თამაშს და ა. შ. ამ თამაშში ბიჭებთან ერთად გოგოებიც მონაწილეობენ.

დაკვრა-დადოშება ჩილიკ-ჯოხობის ერთ-ერთი სახეობაა. მიწაზე დაგდებული ჩილიკა მოთამაშემ ისე უნდა შეამზადოს (მიუმარჯვოს), რომ ერთი ქიმი მაღლა ჰქონდეს აწეული, რათა ჯოხის დარტყმისას ჩილიკა მაღლა ავარდეს და მოთამაშემ მარჯვედ შემოჰკრას ჯოხი და შორს გაისროლოს. თუ დარტყმისას მაღლა ვერ შეაგდო ჩილიკა და ჯოხი ვერ შემოჰკრა, ეს ხელი წაგებულად ეთვლება. ჩილიკ-ჯოხი ახლა მეტოქეს უნდა გადასცეს. რათა იმანაც სცადოს ბედი. ვინც კარგად შეაგდებს და შორს გაისვრის ჩილიკას, გამარჯვებულად ის ითვლება. გასროლის

ადგილიდან ჩილიკის დაცემის ადგილამდე ნაბიჯებს გადათვლიან და დამარცხებულს დააჯარიმებენ, ჯარიმა წინასწარ არის განსაზღვრული.

დაკიწიწება დასუფთავება, დაწკრივლება. „აბა, შენ იცი და შენმა ქალობამ, სანამ სტუმრები მოგვივლენ, ერთი კარგათ დააკიწიწე აქაერობა.“

დაკიწიწებულ-ი დასუფთავებული, დაწკრივებული. „ყველაფერი სუ დაკიწიწებული აქ, მაგად ვინმე დაემღურება?!“

დაკმენა დაკბენა. „ამ გალულ ბიჭ ძაღლი დაკმენალა უნდოდა?!“

დაკმენავს დაკბენს. „სანამ ბავშვეფს არ დაკმენამს, ეგ ძაღლი აქედან არ უნა მათშორო?“

დაკმენილ-ი დაკბენილი. „ცოფიანი ძაღლისაგან დაკმენილი ბავშვი მაიყვანემ სავანტყოფოში.“

დაკმენჩა დაკბენა. „თუ მჭამთ, ჭამეთ, შვილო, თუ არა და ეგე დაკმენჩა და დაყრა სად გაგონილა?“

დაკმენჩავს დაკბენს. „ნახე, რამ მშერება ეგ გოგო, ერთი ვაშლი აღარ შაარჩინა ზედ, დამკმენჩამს და დაყრის, ნეტა მჭამდედ მაინც. მიდი, გამააგდე იქიდან.“

დაკნაჭვა გახლომა, დასუსტება. „რა იყო ეგე დაკნაჭვა, შინ არაფერ გაჭმევენ?“

დაკნაჭულ-ი გამხდარი, დასუსტებული. „ეგ ისეა დაკნაჭული, მაგან რა შვილი უნა გააჩინოა.“

დაკოლტდება შედედება (სისხლი).

დაკოლტება შედედება (სისხლისა).

დაკოლტებულ-ი შედედებული (სისხლი). „საწყალ სუ დაკოლტებული სისხლი ამოუვიდა პირიდან.“

დაკოპავ-ს შეჭმუნნის. „ეგ გოგო ესე რო დაკოპამს ხოლმე შუბლ და დადიმ, ვინ აბრაზუფს?“

დაკოპვა შუბლის შეჭმუნნა. „გამალე შუბლი, ეგ დაკოპვა სუ არ გიხდება.“

დაკოპილი შუბლშეჭმუნნილი. „ვინ რა აწყყინა, ეგე დაკოპილი რო დაიარება.“

დაკოჟოჟდება კოჟოჟი (კობი) დააჯდება. „თავი ჭერ აარტყა და თუ სველი ტილო არ დაიფინა, დაუკოჟოჟდება.“

დაკოჟოჟება კოჟოჟის (კობის) დაჯდომა, ამობურცვა. „დაკოჟოჟება თუ არ გინდა, ახლავე სველი ტილო დაიფინე შუბლზე.“

დაკოჟოჟებულ-ი ამობურცული, კოჟოჟამოსული. „მე დაკოჟოჟებული შებლით (თავით) როგორ გახვალ გარეთ?“

დაკოხაფ-ს შუბლს შეიკრავს, შეჭმუნის. „ისე დადკოხამს ხოლმე შუბლ, თითქმე ქვეყანა მაგია მოვალე იყომ.“

დაკოხებულ-ი აგდ. დახურული, დაფარებული. „მე ქული კინკრინხოზე რო გაქ დაკოხებული, რამ დაგათბოფს.“

დაკოხვა შუბლის შეკერა, შეჭმუნა. „ლამაზ გოგომ ღიმილიც უხდება და დაკოხვაც.“

დაკოხილ-ი შუბლშეკრული, შუბლშეჭმუნნილი. „ბაბო, ვინ გაგაბრაზა, ეგე დაკოხილი რო მიყურეფ?“

დაკრაულება კაკლის დარტყმა კაკალზე ან საადღომოდ შეღებილი კვერცხის დარტყმა კვერცხზე. ერთგვარი თამაშია. კვერცხებს წვერით დაიჭერენ და დაარტყამენ, ვისიც გატყდება, წაგებულად ის ითვლება... კაკალს დადებენ მიწაზე, მეორე კაკალს ზემოდან დაადებენ, რომელიც თითებით უჭირაეთ და ქვას დაარტყამენ. ვისი კაკალიც გატყდება, წაგებულად ითვლება და მოგებულს უთმობს გატეხილ კაკალს.

დაკრუხება დაძველება, გემოს შეცვლა. „ეა კარტოფილი უკვე დაკრუხებულა, ამი ჭამა აღარ შეიძლება.“

დაკრუხკრუხება კრუხის მიერ წიწილების მოხმობა. „აბა, თუ ერთი დაუკრუხკრუხომ ამ ოხერმა კრუხმა.“

დაკუდალაგება 1. კულის მოჭრა. „ეა ძალღი რა უშნოთ დაუკუდალაგებიათ.“ 2. თმის დამოკლება, „რა უქნია, ქა, ამ გასალაგებელ გოგომ, როგორ დაუკუდალაგებია თმა?!“

დაკუსტკუსტება იგივეა, რაც დაკრუხკრუხება. „რა ფინთი კრუხი გამამადგა, წიწილეფსაც კი არ დაუკუსტკუსტეფს!“

დაკუსტაფ-ს 1. დაკეცავს (დანას). „ეა ბიჭი ამ დანამ თუ არ დამკუსტამს, წაიქცევა და ზედ აეგება“. 2. შუაზე გააპობს კაკალს. „უთხარი რამე, თორე სუ დამკუსტამს მაგ მოუსვლეფ კაკალ და გააფუტეფს.“

დაკუსტულ-ი 1. დაკეცილი (დანა). „ნახე, ამ ცინგლიან დანა დაკუსტული კი არ უდევ ჯიბეში, გახსნილი დააქ.“ 2. შუაზე დაპობილი კაკალი. „ერთ ვედრამდე დაკუსტული კაკალი ეყარა კენახში.“

დაკუსტვა 1. დაკეცვა (დანისა). „ჯერ დაკუსტვა ასწავლე და ეგ დანა ისე მიეცი.“ 2. ღენჯოიანი კაკლის შუა-შუა დაპობა. „კაკლი დაკუსტვა თუ გინდა, დანაც უნა ქქონდეფ.“

დალაბავდება დათვრება, გაიბრუება. „რა ჩვევა აქ ამ კაცს, სანამ მაგრათ არ დალაბავდება, სუფრიდან ფეხ არ მაიცვლის.“

დალაბავება დათრობა, გაბრუება. „მაგან ისეთი დალაბავება იცი, რო მტრისაი.“

დალაბავებულ-ი დამთვრალი, გაბრუებული. „ისეა დალაბავებული, რო პირში ენა აღარა აქ.“

დალევანდება მაგრად გარტყმა. „ისეთი დაულევანდა, რო ფეხზე ველარ დადგა.“

დალენჯოვდება ლენჯო გაეცლება კაკალს. „ლენჯოიანი კაკალი ერთი-ორი დღე მზეზე დაყარე და ადვილათ დალენჯოვდება.“

დალენჯოვება ლენჯოს გაცლა კაკლისთვის. „კაკლი დალენჯოვება მინდოდა, მაგრამ ხელები გამიშავდებოდა და ისევ მზეზე გაეფინე.“

დალონჯოვებულ-ი ლენჯოშემოცლილი კაკალი. „ერთი ტომარა დალონჯოვებული კაკალი წაიღო ქალაქში.“

დალივლივდება მაგრად მოირწყება. „სანამ მაგრათ არ დალივლივდება, იდინოი წყალმა, ნუ გადაუგდევ.“

დალივლივება მაგრად მორწყვა. „იღვე ერთი დალივლივება და გოლვა ველარაფერ დააკლევს ამ ვენახ.“

დალივლივებულ-ი მაგრად მორწყული. „შენ რო ვგრე გაქ დალივლივებული, ჩემ ვენახ აწყენდა?!“

დალორთხება 1. ძალიან დასველება, გალუმპვა. „ისე დაგვალორთხა წვიმამ, რო თელი დღე ველარ გავეშრით.“ 2. ჩაფსმა. „მიძხედე ბავშვ, ლოგინი დაულორთხებია.“

დალორთხებულ-ი 1. ძალიან დასველებული. „დალორთხებული ნაბადი რაღამ დამათობდა.“ 2. ჩაფსმული. „შენი დალორთხებული ლოგინი ყოველდღე მზეზე ეკიდა გასაშრობათ.“

დალურსვა იგივეა, რაც გალურსვა. „იმათი დალურსვადა გვაკლდა.“

დალურსულ-ი იგივეა, რაც გალურსული. „რამ დადიმ სუ ესე დალურსული?“

დამამლაფ-ს დაპებლავს. „თუ ველარ დამამლაფს, ნეტა რილითეინ ინახავ ემაგ ბებერ მამალ?!“

დამამლულ-ი დაპებლილი. „დამამლული როგორ არ იყო, მაგრამ, ეტყობა კვერცხები გაუცივდა.“

დამარმარება დასუფთავება, დაწკრილება. „აი, დამარმარებაც ასეთი უნდა, ნახე, როგორ ბზინამს ყველაფერი.“

დამარმარებულ-ი საგულდაგულოდ დასუფთავებული, დაკრილებული. „ოთახები დამარმარებული დაგვხვდა“.

დამგდებძაღლ-ი სალანძღავი სიტყვაა, მამაძაღლი. „გვ დამგდებძაღლი, ეგა, თუ დროზე არ შაჩერებ, ქვეყანამ დააქცევს.“

დამრეზილ-ი დაბღვერილი. „რა დამრეზილი იყურება, ნეტა ვინ რა დაუშავა?“

დამტირებელ-ი ქალიშვილი, რომელმაც გარდაცვლილი მამა უნდა დაითიროს. „ამამ ენაცვალომ მამა, ამან უნა დამითირომ, ესაა ჩემი დამტირებელი და ცრემლიმ დამდენი.“

დამტუტდება დამლაშდება. „მარილი ბევრი არ ჩააყარო, თორე დამტუტდება და ველარ შაიჭამენ.“

დამტუტება დამლაშება. „რა იყო ესე დამტუტება, ამამ ვილა შაიჭამს?“

დამტუტებულ-ი დამლაშებული. „ესეთი დამტუტებული მწნილი სუფრაზე რამ მოგატანინა.“

დამუხლიჩოქება მუხლის მოყრა, დაჩოქება. „ადექი ფეხზე, დამუხლიჩოქება რა საკადრისია.“

დამუხლიჩოქებულ-ი მუხლმოყრილი, დაჩოქილი. „დამუხლიჩოქებული ვედრებოდნენ პრეზიდენტ, არ გადადგეო!“

დამქურებელ-ი ავღ. მშობელი: დედა ან მამა. „თქვენნი დამქურებელი ამოიწყდემ, თქვენ რა გასამრავლებლები იყავით.“

დამღრძვალ-ი მოკლედ დაბმული. დამხრჩვალი. „არ გეცოდება ემ საქონელი, თელი დღე ერთ ალაგამ რო გყავ დამღრძვალი?“

დამჩვარულ-ი მოშვებული, დასუსტებული, ჩვრადქცეული. „გვ უბედური, ნახე, როგორ არი დამჩვარული.“

დამჩვირვა ივივა, რაც გამჩვირვა.

დამჩვირულ-ი გაბუტული, გამწყრალი. ივივა, რაც გამჩვირული.

დამწაკდება-ა დამლაშდება. „მარილ ნულა ჩააყარი, თორე დამწაკდება და პირ ვერავინ დააკარეფს.“

დამწაკება დამლაშება. „რა იყო ასე დამწაკება, ამამ ვილა შაიჭამს?“

დამწაკებულ-ი დამლაშებული. „ისე იყო დამწაკებული, სუფრაზე ველარ მივიტანეთ.“

დამწლაკდება ივივა, რაც დამწაკდება.

დამწლაკება იგივეა, რაც დამწაკება.

დამწლაკებულ-ი იგივეა, რაც დამწაკებული. „დამწლაკებული მწნილი მოგვიტანა სუფრაზე.“

დამწვარ-დახრუკულ-ი გადატ. 1. ბუნწი. „ვგ ისეთი დამწვარ-დახრუკულია, ჭინ კაკალ ვერ გააგდებინებ ხელიდან.“ 2. ავი, ბოროტი. „მაგ დამწვარ-დახრუკულ დედაკაც რა უნდა, რა გადაეკიდა ჩემ შვილეთს.“

დამწვეტილ-ი სახელეწილი, გაალმასებული. „ისეთი დამწვეტილია, შაგვჭამს ნამდვილათ.“

დამჭაჭვა დაჭყანვა, სახის შეშლა. „სიტყვად ვერ ეტყვი, ისე დაიმჭაჭვა, თითქომ მაგისი ვალი გემართოდ.“

დამჭაჭვულ-ი დაჭყანული, სახეშემლილი. „რა დამჭაჭვული იყურება, მაგამ რა აწუნხეფს ნეტაი?“

დამჯოგებულ-ი გამჩენი, შემქმნელი. „მაგათი დამჯოგებელი დედა ვატირე, ეგენი რა გასაჩენები იყვნენ, ან რა შასანახები.“

დანაკრულდება დაიკლებს. „ქასრი დანაკრულდება თუ არა, პატარაში გადაიტანე, თორე ღვინო დამმარდება.“

დანაკრულება დაკლება. ჭაჭამ დაღულები შემდეგ იცის დანაკრულება და თვალი გეჭიროდ.“

დანაკრულებულ-ი დაკლებული. „დანაკრულებული არ დატოვო ბოცა და არასოდემ არ გაფუჭდება.“

დანამნამებს ჩუმაღ დაღის, ფეხაკრუფით დაიარება. „ისე დანამნამეფს, ხმად ვერ გაიგონეფ.“

დანარჩომ-ი დატოვებული, ნაშიერი. „ვისი დანარჩომია, მაგისაგან მეტ რად უნა მოელოდე?“

დანარჩუმება, დანარჩუმება მითვისება. „ეტყობა, მაგიდ დანარჩუმება უნდა, თორე თავ არ გამოიდებდა.“

დანარჩუმებულ-ი, დანარჩუმებულ-ი მითვისებული. „დანარჩუმებული აქ და ეგ არი, მაგამ ვილა რალად წაართმევს?!“

დანატიალ-ი სიტყვის მასალაა. „მაიტა და მამაოხრე ეგ დანატიალი.“

დანასისხლად: დანასისხლათ გადაკიდება. სამკვლრო-სასიცოცხლოდ გადაკიდება. „ღვიძლი ძმები ხართ, ეგე დანასისხლათ გადაკიდება სად გაგონილა?!“

დანაფოტდება ნაფოტებად იქცევა. „ეგ კუნძი თუ დანაფოტდება, თორე დაჭრით არ დაიჭრება, ცულ გაგიფუჭეფს.“

დანაფოტება ნაფოტებად ქცევა. „მაგ საყოჭე მასალიდ ეგე დანაფოტება როგორ იქნება.“

დანაფოტებულ-ი ნაფოტებადქცეული. „ეგ ისეა დანაფოტებული, მე ველარაფერ ვერ უშველი.“

დანდობილა[დ] მოულოდნელად, უცებ. „დანდობილათ გაარტყა და წაიქცეოდა, აბა, მამ რა მოუვიდოდა.“

დანიჟება დაჩემა, აკვიატება. „ეგ ისეთი თავინათქვამაა, რო დაინიჟეფს, აღარ გადაითქომს.“

დანიჟებულ-ი დაჩემაებული, აკვიატებული. „დანიჟებული აქ, სანადიროთ უნა წავიდო.“

დანი[ს]წვერობა, **დანი[ს]წვერობანა** დანაობა. საბავშვო თამაშობაა. საკეც დანას გაშლიან და ისე ისვრიან, რომ წვერით მიწაში ჩაერჭოს. ჯერ ხელის გულზე დაიდებენ, დანის წვერი თითების მიმართულებითაა გაშვერილი. დანას ისე შეაგდებენ მაღლა, რომ წვერით ჩაერჭოს მიწაში; შემდეგ ჯვარედინად ჩაიდებენ, წვერით თითებისაკენ; ახლა თითებს მომუჭავენ, დანას ზემოდან დაიდებენ, რომელსაც წვერი ცერათითისკენ აქვს გაშვერილი; შემდეგ სამი თითით დაიჭერენ დანას წვერიდან და ისე ისვრიან, რომ ჰაერში ამოტრიალდეს. მერე კბილებით დაიჭერენ წვერიდან და ისე შეაგდებენ მაღლა... და ასე შემდეგ. ყველა ილეთს აქვს თავისი სახელწოდება, რაც ლექსიკონში თავ-თავის ადგილას არის შეტანილი.

დანი[ს]წვერობანა იხ. **დანი[ს]წვერობა**.

დანიძლავდება დანაძლევდება. „მონადირეები დანიძლავდნენ.“

დანიძლავება დანაძლევება. „რათ მინდა დანიძლავება, ეგ ზომ ყველამ ისედაც იცის!“

დანიძლავებულ-ი დანაძლევებული. „დანიძლავებული ვარ, თუ მოვიგე, სანადიროთ წამიყვანს.“

დათრსულდება ხორბლის, ქერის... ღერო გაიბერება, თავთავის გაკეთებას დაიწყებს. „ერთ-ორ ღლეში ყანები დაორსულდება და საქონლი შაშვება აღარ ივარგეფს.“

დათრსულება თავთავის გაკეთება. „ყანამ უკვე დაორსულება დაიწყო, საქონლი შეშვება აღარ შეიძლება.“

დათრსულებულ-ი სათავთავედ დაბერილი ყანა. „ყანა უკვე დაორსულებულია, ეხლა ერთი კარგი წვიმაღა უნდა.“

დაპამპალებს დაფამფალებს, ძლივს დადის. „ნეტა რამ დაპამპალეფს, დაჯდოე შინ და დაისვენო.“

დაპნევა მარცვლეულის, თივის, ფქვილის... დაფანტვა. „რა არი, ბიჭო, ამდენი ხორბლიმ დაპნევა შაიძლებოდა?“

დაბნეულ-ი დაფანტული. „ისეთი ძალი კაცი იყო მკველე, დაბნეულ თავთავსაც არ გვაკრეფინებდა.“

დაჟამვა დაზარება, დამწუხრება, „ისეთი დაჟამვა იცია ამ ბიჭმა, შიშით ვერაფერი დამივალვია.“

დაჟამულ-ი მოწყენილი, დამწუხრებული. „რა დაჟამული მზიხარ, ცუდი ხო არაფერია.“

დაჟვება ცემა. „მაგამ ერთი მაგარი დაჟვება უნდა, ჭკუა რო ისწავლოდ.“

დაჟვებაგ-ს სცემს. „ნეტა რა შამლება აქ ამ ბიჭ, ყოველდღე ასე რო მჟვებავენ.“

დაჟვებილ-ი ნაცემი. „დაჟვებილი გდია და კრუსუნეფს.“

დაჟურაგ-ს დაწრეტს, უკანასკნელ წვეთს გამოადენს. „როგორ დააჟურამენ ხოლმე ამ რუვ!“

დაჟურვა დაწრეტა, ბოლო წვეთის გამოდენა.

დაჟურულ-ი დაწრეტილი. „წყალი შევუგდე ვენახში და დილით რო მივედი, რუვი დაჟურული დამხვდა. ვილაცამ მაშინვე გადაეგდო.“

დაჟივჟივდება წყლით გაიჟინდება მიწა. „ყველა მხარე მიუგდე წყალი და თავისით დაჟივჟივდება.“

დაჟივჟივება საგულდაგულოდ მორწყვა, წყლით გაჟინთვა. „პაპად ისე დაჟივჟივებია ვენახი, რო გესიამოვნება.“

დაჟივჟივებულ-ი საგულდაგულოდ მორწყული, წყლით გაჟინტილი. „ისეა დაჟივჟივებული ჩვენი ბახჩა, ერთი კვირა ვეღარ შევა კაცი შიგ.“

დაჟღლა დაჟეჟვა, დაბეჟვა. „დიღხან არ გინდა ბარვა, გინამეფს და ხელები დაგეჟღლება.“

დაჟღლილ-ი დაჟეჟილი, დაბეჟილი. „დაჟღლილი ხელებით ვეღარაფერი ვერ გავაკეთე.“

დაჟღლი-ს დაჟეჟავს, დაბეჟავს. „ბავშვეფს ნუ დააკრეფინეფთ მსხალ, დაჟღლიან და აღარ შაინახება.“

დარან-ი: დარნის დაგდება ღრიჭო, ფიცრებს შუა ცარიელი ადგილი. „ეტიჟობა ნეღლი მასალა დააგებ. ნახე, იატაკმა რამოდენა დარანი დააგდო.“

დარდის გაწყვეტა: დარდი გაწყვეტია არ ენაღვლება, არ ეღარდება, არ აწუხებს. „სადა გყავ პატრონი, ჩვენი დარდი ვის გაწყვეტია.“

დარდაღინა მეტსახელია კაცისა.

დარევა გადახელვა. „კირი გასქელებულა, ცოტა დარევა უნდა.“

დარეცრეცებს რეცრეცით დადის, დაბარბაცებს. „ნეტა რა დარეცრეცეფს ამ შუალამისაი.“

დარეხვა 1. დაბერტყვა, ძირს დაფენა. „ქარმა სუ დარეხვა ხეხილი.“ 2. დახეიბრება. „რა მოუვიდა, ესე რამ დარეხვა ემ საწყალი კაცი.“

დარეხვაგ-ს დაბერტყავს. „მოდი მოვკრიფოთ ეს ვაშლი, თორე ქარი ამოვარდნაი აპირეფს და სუ ერთიანათ დადარეხვამს.“

დარეხვილ-ი 1. დაბერტყვილი. „ბაღში რო შევედი, თელი ხილი დარეხვილი დამხვდა.“ 2. დახეიბრებული. „ეგ ისეა დარეხვილი, ფეხზე ველარ გაივლის.“

დარიალება ცხვარ-ბატკანის დარჩევა. „ბატკნები რო გამომწოვენ ღელეფს, მერე დავარჩევთ ხოლმე, ამაი „დარიალებაი“ ვეძახით.“

დარიალებულ-ი მოწოვის შემდეგ ერთი მეორისაგან დარჩეული ცხვარ-ბატკანი. „დარიალებული ცხვარ-ბატკანი ცალ-ცალკე წაასხეი მწყემსებმა.“

დაროკდებ-ა გაიქცევა. „უთხარი, რაც გინდა და ეხლავე დაროკდება და მოგიტანს.“

დაროკება გაქცევა. „მაგან ისეთი დაროკება იციმ, ცხენით ვერ დაეწევი.“

დაროკებულ-ი გაქცეული. „ეგ ძროხა დაროკებული უნა მნახო და მაშინ აღარ იტყვი.“

დარჭობა გადატ. უტბად მოსვლა. „მაგაი ხეეწნა რათ უნდა, გაიგეფს თუ არა, აქ დაერჭობა.“

დასაბრმობ-ი დასაბრმავებელი. „სადა იქონდა ი დასაბრმობი თვალები?“

დასაკმენ-ი: დასაკმენად დასაკებნად. „ცოტა მოერიდე მაგ ცხენ, ვერა მხედამ დასაკმენად ემზადება.“

დასაკმენჩ-ი დასაკებჩი. „ნახე, რა დასაკმენჩი ლოყები აქ.“

დასაკუჭ-ი შუა-შუა დასაპობი (კაკალი). „სადა მცალია შენტეინ, ნახე, რამოდენა კაკალი მაქ დასაკუჭი.“

დასალენჯო[ვ]ებელ-ი ლენჯო გასაცლელი (კაკალი). „აღდე არა მცალია, კაკალი მაქ დასალენჯო[ვ]ებელი.“

დასაჟეფერ-ი საცემი. „კაი დასაჟეფერა, მაგრამ ვინაა პატრონი.“

დასაჟენა საჟნად დადგმა (შეშის). „შეშა მოჭრილია, დასაჟენალა უნდა.“

დასაუნავ-ს საუნებად დააწყობს, დადგამს (შეშას). „მეტყვეე მოძჭრის და თითონვე დასაუნამს.“

დასაუნულ-ი საუნებად დაწყობილი (შეშა). „წვალება აღარ მოგიწევს, ტყეშივე აქეთ დაჭრილი და დასაუნული შეშა.“

დასაქცევ-ი: **დასაქცევში** დასაქცევ, დასალუპ ადგილას. „სად დასაქცევში გადაიკარგნენ ნეტავი?!“

დასაწვაგ-ი: **დასაწვაგში** ცუდ, დასაწვაგ ადგილას. „იმ დასაწვაგში ხალხი არა ცხოვროფს?“

დასიკვნა გაძლომა. „ეგე დასიკვნაც არ შეიძლება, ვეღარ მოისვენებენ.“

დასიკნაგ-ს დააძლობს, ბევრს აჭმევს. „ვინც ყოჩალია, დილითვე დასიკნამს ხოლმე ცხვარ-ბატკან.“

დასიკნულ-ი დამაძლარი. „დასიკნული საქონელი ჩირდილი მიაშურეფს ხოლმე.“

დასიმაგ-ს მოყინავს მიწას, ზედაპირზე ყინულს გაიკეთებს. „ისეთი ამინდია, ამაღამ ნამდვილათ დამსიპამს.“

დასიმაგებ-ა 1. სიპს, ყინულის ფენას გაიკეთებს მიწა. 2. ფეხი მოცურდება. „ნელა წადი, თორე ფეხი დაგისიპდება.“

დასიმაგება სიპის გაკეთება, დაგლუვება მიწის ზედაპირისა. „სხვაგან იცურავეთ (ისრაილეთ) ამ ბილიკ ნუ დაასიპეფთ, ფეხ ვეღარ მოიკიდეფს კაცი.“

დასიმაგებულ-ი სველი, თოვლიანი მიწის დაგლუვებული ზედაპირი. „დასიმაგებულ ბილიკზე ვეღარ გავიარეთ.“

დასკლინტაგ-ს სკინტლს დაადებს. „გაუქშიე მაგ ინდაურეფს, თორე მანქანაი დამსკლინტამენ და გააოხრებენ.“

დასკლინტება სკინტლის დადება. „ამ ოხერ ქათმეფს აქ მოუნდებათ ხოლმე დასკლინტება.“

დასკლინტებულ-ი სკინტლდადებული. „გუშინ გავარეცხინე მანქანა და ნახე, როგორ არი ისევ დასკლინტული.“

დასმურკლება ცომში ფქვილის კომტებად დარჩენა. „დასმურკლება თუ არ გინდა, დიდხან უნა ზილო ცომი.“

დასმურკლებულ-ი, **დასმურკლულ-ი** [ს]მურკლებადქცეული, ფქვილი ცომში კომტებადქცეული. „რა არი, კარქა ვერ ამოაზილეთ ემ თათარა, სუ დასმურკლულია.“

დასმურკლულ-ი იხ. დასმურკლებული.
დასწყელა, **დაიწყელა** დასწყელა, სიტყვის მასალაა, გაკვირების ნიშნად იტყვიან. „დაწყელა, ნეტა რატო იგვიანეფს.“
„დაწყელა ღმერთმა, როგორ დამავეწყდა.“

დატაბაკება ტაბაკით დარჩევა, დარკვევა (ხორბლის). „ნახე, რა სუფთაა, დატაბაკება აღარც უნდა.“

დატაბაკებულ-ი ტაბაკით დარჩეული, დარკვეული. „საკორკოტე ხორბალი დარჩეულიც მაქ და დატაბაკებულებიც.“

დატანება: დატანებაზე, დატანებას: სწორედ მაშინ, სწორედ იმ დროს. „იმ დატანებაზე მეც იქ ვიყავი.“

დატევება გამოკიდება, დადევნება, მიქსევა. „დაუტეიმ ძაღლები და კუდით ქვა ასროლინენ.“

დატიტავ-ს ძალიან დამლაშებს. „რა არი, როგორ დადტიტამ ხოლმე, კაცი პირ ვერ დააკარეფს.“

დატიტვა ძალიან დამლაშება. „რათ უნდოდა ამ ყველ ესე დატიტვა.“

დატიტულ-ი ძალიან დამლაშებული. „მლაშე რო იყომ, შეგჭამდი, მაგრამ ეგე დატიტულ პირში ვერ ჩავიდევ.“

დატიტყნი-ს უშნოდ მოზელს. „ეგ ცომიამ მომზელავია? დამტიტყნიამ და მიანებეფს თავი.“

დატიტყნილ-ი ძირეულ-მორეული, დასვრილი. „ამ საძაგელმა ბავშვებმა თელი იატაკი დატიტყნილი დამახვედრედ.“

დატიტყნულ-ი იხ. დატიტყნილი.

დატკრეცავ-ს დაწითლებს. „მზეზე დიდხან ნუ ივლი, თორე ლოყეფს დაგიტკრეცამს.“

დატკრეცვა დაწითლება. „მაგ ლამაზი ფეხებამ დატკრეცვა თუ არ გინდა, ბუნართან ახლო ნუ დამჯდები.“

დატუნტულებ-ს ტუნტულით დადის. „სად არი ემ ბავშვი, სად დატუნტულეფს ნეტავი.“

დატუნტურებს ტუნტურით (თავის ქნევით) დადის. „თელი დღე შინ რა გააძლებინეფს მოხუც კაც, დადიამ და დატუნტურეფს.“

დატუსტუსებს-ს ტუსტუსით დადის. „აულია თავი და დატუსტუსეფს.“

დაუგაზავ-ს გაქცეულა. „დაუნახივართ თუ არა, მაშინვე დაუგაზამს (დაუგაზია).“

დაუგოლაგ-ს დაუჩიავებია, ზრდა შეუჩერებია. „სიცხემ სიმინდი დაუგოლია.“

დაუდგნობ-ს გაუძლებს. „წვრილი ბოძია, ჭერ ვერ დაუდგნოფს.“

დაუთოხმახებ-ს დატუქსავს, შეაშინებს. „სანამ უფროსი არ დაუთოხმახეფს, ხელ არაფერ არ მოიკიდეფს.“

დაუკადებ-ს წყალს მარჯვედ მიუგდებს მოსარწყავად. „აბა, თქვენ იცით, ყველგან თანაბრათ თუ დაუკადეთ, აღარ დაიხრამამს.“

დაუკრაულებ-ს კვერცხს დაურტყამს კვერცხზე. „ყველა დაუკრაულევს ხოლმე და კვერცხევს ესე აგროევს.“

დაუმძახლდებ-ა მძახლად გაუხდება (ქალი ქალს ან ქალი მამაკაცს). „იმდენ იზამს, თავისაი გაიტანს და დაუმძახლდება.“

დაუმუხლიჩოქებ-ს მუხლებზე დაუდგება, დაუჩოქებს. „თავ არ დაიმცირევს და არავის არ დაუმუხლიჩოქევს.“

დაუნიაგებ-ს დაუნდობლად გაარტყამს. „დაანებოი თავი, სანამ ერთი მაგრა დაუნიაგევს.“

დაუნიეებ-ს დაუყინებს, ჩააცივდება. „რა არი, რამ დაუნიეევს ხოლმე, აღარ უნა მოასვენოი.“

დაურიალებ-ს ცხვარ-ბატკანს (ფარას) ერთმანეთისაგან გაარჩევს, გააშორებს მოწოვის შემდეგ. „ბატკნები კარგა რო გამოიწოვენ დედევს, მერე დაურიალებენ ხოლმე.“

დაუროკდებ-ა გაექცევა, დაეუანტება. „მიეხმარე, სანამ საქონელი დაუროკდება, თორე ვეღარ დააქუჩევს.“

დაურუკრუკებ-ს კრუხი წიწილებს მოუხმობს. „დამფრთხალ წიწილევს დაურუკრუკევს კრუხი და ერთათ დააქუჩევს.“

დაუჩანჩხარებ-ს ვულგ. დატუქსავს. უსაყვედურებს. „ბრიგადელი თუ არ დაუჩანჩხარევს, ვინ რამ დაუჯერევს.“

დაუჩახჩახებ-ს დაუწმენდს, დაუკრიალებს, გაუნათებს. „კაი პატარძალი გაამადგათ, ნახე, როგორ დაუჩახჩახევს ხოლმე ოთახევს.“

დაუჩირდილებ-ს ჩრდილს დაუყენებს, დაჩრდილავს. „ეი კაკალი თუ არ გადაიკაფე, ვენახ დაუჩირდილევს.“

დაუჩხლაკუნებ-ს დაუჩხაკუნებს. „კონსერვი ქილები აქ გაბმული ხეივანზე, მალ-მალ დაუჩხლაკუნევს და ჩიტევს გააფთხოფს.“

დაუჩხლართავ-ს უშნოდ, სახელდახელოდ დაუქსოვს (წინდებს, ხელთათმანებს). „ბაბომ უცეფ დაუჩხლართა შვილიშვილევს წინდები.“

დაუწკრეტაგ-ს დაუწყვეტს (წყალს). „ვერა და ვერ მორწყა პაპამ ვენახი, ვილაცა წარამარა დაუწკრეტამს ხოლმე წყალსა.“

დაუხაფრაგ-ს დაუკავებია (ადგილი, ჭურჭელი). „თელი საბძელი თივამ დაუხაფრამს, ბზე სადლა დავყარო, არ ვიცი“.

დაუხეჩაგ-ს დაუჭრის, დაუპობს. „ბიჭი ერთი თვი სამყოფე შეშამ დაუხეჩამს ხოლმე მოხუც მეზობელ.“

დაფარფარებ-ს თავს ევლებს, უფროთხილდება. „ნახე, ეს უშვილო დედაკაცი როგორ დამფარფარებს სხვისა შვილეს?“

დაფარფარებულ-ი თავშემოვლებული. „ყველაზე ეგ უნა იყოს [გა]დაფარფარებული.“

დაფაფხვა დავრდომა, დასუსტება. „ბევრმა შრომამ და ჯაფამ იცია ეგე დაფაფხვა.“

დაფაფხულ-ი დასუსტებული, დავრდომილი. „აბა, ემაგ დაფაფხულ კაც რაღა უნა დავაგვლო?“

დაფეხვა დაკუტება, დახეიბრება. „ავანტყოფობა ავანტყოფობაა, მაგრამ ესე დაფეხვა რაღა იყო?“

დაფეხვილ-ი დაკუტებული, დახეიბრებული, ორივე ფეხით კოჭლი. „ეი დაფეხვილი სადღა ებზაკუნება, მაგამ სად შაუძლიან ფეხით სიარული!“

დაფლარტუნებ-ს ფლარტუნით, ფეხათრევით დადის. „მაგიდ ფეხი არ გაჩერდება, თელი დღე ესე დაფლარტუნებს.“

დაფლარტუნობ-ს იხ. დაფლარტუნებს.

დაფურტკ[ვ]ნა დაშლა, გაფუჭება. „მაგამ საქმისა რა ესმია, მარტო დაფურტკ[ვ]ნა შეუძლია.“

დაფურტკნაგ-ს იხ. დაფურტკნის.

დაფურტკნი-ს დაშლის, გააფუჭებს. „შენი გაკეთებული არაფერი მინახია, ყველაფერ დამფურტკნი და დააგდეფ ხოლმე.“

დაფურტკნილ-ი დაშლილი, გაფუჭებული. „სოფელში ერთი დაფურტკნილი მანქანა მქონდათ.“

დაფურტკნულ-ი იგივეა, რაც დაფურტკნილი. „ვისია, ეს დაფურტკნული ტელევიზორი?“

დაფხაგება გაცვეთა, გაწყალება (ქსოვილისა). „რა იყო ესე დაფხაგება, ერთი კვირაც არ იქნება, რაც ჩაგაცვი.“

დაფხაგებულ-ი ძალიან გაცვეთილი, გაწყალებული (ქსოვილი). „გაიხადე, მაგ დაფხაგებული პერანგით გარეთ აღარ გაისვლება.“

დაფხოჭ[ვ]ნა დაფხაჭნა, დაკაწვრა. „ძალიან არ უნდა დაფხოჭნა, ზევზევიდან გადაატარე ფოცხი.“

დაფხოჭნი-ს დაფხაჭნის, დაკაწრავს. „ფოცხი ზევზევიდან გადაატარე-მეთქი, ეგ კი, ნახე, როგორ დამიფხოჭნის ხოლმე კვლევს.“

დაფხოჭნილ-ი დაფხაჭნილი, დაკაწრული. „ეგ მოხნული კი არა, დაფხოჭნილია.“

დაქანჩაყ-ს ქანჩს მოუჭერს. „ამოდენა ურემ მარტოკა დაუდევს, მერე ისე დაქანჩამს, რო ერთი ბლუჯა თივა არ გადვარდება გზაში.“

დაქანჩვა ქანჩის მოჭერა. „შეშამ ერთი-ორჯერ კიდევ უნდა დაქანჩვა, თორე გზაში დაგეშლება.“

დაქანჩულ-ი ქანჩმოჭერილი. „ნახე, როგორ არი დაქანჩული, ერთ ღერ შეშამ ვერ გამაადროფ.“

დაქაშდებ-ა გადამწიფდება და გამოშრება (ვაშლი). „ნუ ხარ ძუნწი, აჭამე ემ ვაშლი ბავშვეფს, სანამ დაქაშდება.“

დაქაშება გადამწიფება, გამოშრობა, გაფხვიერება (ვაშლის). „ზოგიერთი ჯიშიმ ვაშლმა ისეთი დაქაშება იციმ, რო აღარ იჭმევა.“

დაქაშებულ-ი გადამწიფებული, გამომშრალი, გახვრიშებული (ვაშლი). „ემ ვაშლი უკვე დაქაშებულია, ამამ ვილა იყიდი.“

დაქეჩაგ-ს გაირეკავს, წაასხამს. „დაქეჩამს ფარამ და ყანაში შადრეკამს ხოლმე.“

დაქეჩვა გარეკვა, წასხმა. „მე ვაჩვენეფ მაგამ, როგორ უნდა საქონლი დაქეჩვა და შორ გადარეკვა!“

დაქეჩილ-ი გარეკილი, წასხმული. „თავისით არ წავიდოდნენ, ვილაცისაგან არი ემ საქონელი დაქეჩილი.“

დაქიმიტდება გამგელდება, გაუმაძღრობა შეეყრება. „უცხოო რო დანახამენ, მაშინ დაქიმიტდებიან ხოლმე ემ ბავშვები.“

დაქიმიტება ხარბად ჭამა ან სმა. „როგორი დაქიმიტება იციან, თითქომ არაფერი ეჭამოთ.“

დაქიმიტებული-ი გამგელებული, დიდინის დამშეული. „ნახე, რა დაქიმიტებული იჭამს.“

დაქორწილდება-ა მომწიფდება. ეკალი რომ შეერჭვება ბავშვს, მაშინვე არ ამოუღებენ, რადგან ძალიან მტკივნეულია. ეტყვიან: „ამალამ ეგე იყომ, დაქორწილდება და ხვალ თითონვე გამოვაო ეკალი.“

დაქორწილება მომწიფება. სხეულში ჩარჩენილი ეკლისაგან ატირებული ბავშვი რომ დააწყნარონ, ეტყვიან: „ჩუ, ნუ ტირი, ეკალ ეწყინება, დაქორწილება არ მაცალაო. ამალამ დავაცადოთ და სუ აღარ გეტკინება.“ მეორე დღეს, მართლაც, უმტკივნეულოდ ამოუღებენ უჩინარ ეკალს, ისეა მის ირგვლივ მომწიფებული ნატკენი ადგილი.

დაქოქაგ-ს წააქეზებს, ამხედრებს სხვის საწინააღმდეგოდ. „ემ არი დამნაშავე, მაგ უბედურ ეგ დაქოქამს ხოლმე.“

დაქოქვა წაქეზება, წასისინება. „მაგამ რალა დაქოქვა უნდა, ნახე, ისედაც ცოფეფსა მყრის.“

დაქოქილ-ი გაიძვერა, ქლერსა, აღამიანი. „კა? დიდი დაქოქილი ვინმე.“

დაღალვა გამოფიტვა. „არა, მიწი ვე დაღალვაც არ ივარგეფს.“

დაღალულ-ი: დაღალული მიწა გამოფიტული მიწა, მწირი ადგილი. „ე მიწა ისეა დაღალული, ნარიმ მეტი აღარაფერი ხაროფს. ან ნაკელი უნა დავაყარო, არ ერთ-ორ წელ დავასვენო.“

დაღელღებ-ა 1. გაიქცევა (წყალი). „ბევრ წყალ ნუ მიუგდუფ ვენახში, დაგიღელღება და იქაერობად დამხრამამს.“ 2. გავარდება, გაიქცევა (აღამიანი). „მაგამ ოღონდაც დაავალომ ვინმემ რამე, მაშინვე დაღელღება და მოუტანს.“

დაღელღებულ-ი სწრაფად გაქცეული.

დაღერღეტებ-ს დაეხეტება, უმიზნოდ დადის. „რამ დაღერღეტეფს, საქმე არაფერი აქ?“

დაღონღიღებ-ს ძლივს დადის; ცოდვილობს. „ჰა, რასა იქს პაპაშენი, როგორ არი? არი რა, დაღონღიღეფს.“

დაღონღიღობ-ს იხ. დაღონღიღებს.

დამღრძვალ-ი 1. დაზრჩობილი. „დამღრძვალი ძალი მიუტანათ და ვენახში დაეგდოთ.“ 2. მოკლედ დაბმული. „ისე იყო დამღრძვალი, ძლივლა სუნთქამდა.“

დაღრძობა (მოკლედ) დაბმა. „შე კაი კაცი, ცოდო-მადლი აღარა გაქ, იმ ძროხად რო დააღრძოფ და დაიკარგები ზოღმე, იმღენი მაინც მიუყარე, საღამომღე ეყომ.“

დაღრძობილ-ი (მოკლედ) დაბმული. „თითონ სადღაცამ დაკარგულა, ზბო კი ესე დაღრძობილი დამხვდა.“

დაღუნე პირქუში, უხასიათო აღამიანი. „ერთი დაღუნე ვინმე, ვერაფერ შაასმენ.“ მეტსახელია კაცისა.

დაყაყვა უზნოდ სიარული (უფრო მაღალი კაცის მიმართ იტყვიან). „დაჯე ერთ ადგილზე და დაისვენე, აქეთ-იქით რამ დაიყაყები?“

დაყურსაგ-ს სმენად იქცევა. „კაი ძალი გამამადგა, ფაჩუნ გაიგონეფს თუ არა, მაშინვე ყურეფს დამყურსამს.“

დაყურსვა სმენადქცევა. „ისეთი დაყურსვა იცის, თელი დღე არ გაინძრევა.“

დაყურსულ-ი სმენადქცეული, ყურებადცქვეტილი. „ჩვენი ყურმა ერთი საათი მაინც იჯდა დაყურსული.“

დაშამათება დაზარება, უარის თქმა. „რაც გინდა მთხოვე, მაგიდ დაშამათება რო ვიცი, ფეხ არ მაიცივლის ადგილიდან.“

დაშამათებულ-ი გაზარმაცებული, გაზანტებული. „გვეთი დაშამათებული გოგომ მნახველი არა ვარ.“

დაშხვეპლაგ-ს შხვეპლით სცემს (ბევრს). „სანამ მაგრა არ დადშხვეპლამს, ბავშვეფს თავ არ დაანებეფს.“

დაშხვეპლა შხვეპლით ცემა. „მაგათ ეგე ლაპარაკით რამე შაასმენ, კაი დაშხვეპლა უნდათ.“

დაშხვეპლილ-ი შხვეპლით ნაცემი. „გენი უკვე დაშხვეპლილები მყავ.“

დაჩანხზარება დაცაცხანება, დატუქსვა. „სანამ უფროსმა არ დაუჩანხზარათ, მანამ ხელი არაფერ მოიკიდებ.“

დაჩანჩახება გაწკრივლება, კარგად დაწმენდა. „პატარძალმა ჭკურჭელი ისე დაჩანჩახა, სუ წკრივლი გაუდოდა.“

დაჩანჩახებულ-ი დაწკრივლებული, საგულდაგულოდ დაწმენდილი. „დაწკრივლებული და დაჩანჩახებული ჭიქები კარადიდან ანათებდნენ.“

დაჩეკნა იგივეა, რაც დაკეჭნა.

დაჩეკნი-ს იგივეა, რაც დაკეჭნის.

დაჩეკნილ-ი იგივეა, რაც დაკეჭნილი.

დაჩენჩაგ-ს დაშლის, დაწეწავს, ძაფებად აქცევს. „ამ თოკ ნეტა ესე ვინ დაჩენჩამს ხოლმე?“

დაჩენჩვა დაშლა, დაწეწვა. „მაგ დაჩენჩილ ბწარ რაღა დაჩენჩვა უნდა.“

დაჩენჩილ-ი დაშლილი, დაწეწილი. „დააწყეთ ერთ ადგილად ემ ფიჩხი, ესე აჩენჩილ-დაჩენჩილი როდემდე უნა ეყაროდ.“

დაჩეხილ-ი კოჭლი, დახენთილი. „შენ დაჩეხილი დაუძახე, ნახე, რა ყოჩაღათ დადი.“

დაჩირდილება დაჩრდილება. „დაჩირდილება ვენახ გააფუჭეფს.“

დაჩირდილებულ-ი დაჩრდილული. „დაჩირდილებულ ეზოში სიცხე სუ აღარ იგრძნობოდა.“

დაჩლარტუნებ-ს ჩლარტუნით, ფეხისთრევით დადის. „რამ დაჩლარტუნეფს, აბა თუ რივიანათ გადაადგამ ფეხი.“

დაჩმაგულ-ი დაჩიაგებული, პატარა ტანის (ადამიანი, ცხოველი). „მაგათი ხალხი ყველა მაღალია, ემ რატოა ესე დაჩმაგული.“

დაჩოლფოტდებ-ა გაზარმაცდება, მოეშვება, მოითენება. „რა მოკუა ხოლმე ამ ბიჭ, ჩამოცხება თუ არა, მაშინვე დაჩოლფოტდება.“

დაჩოლფოტება გაზარმაცება, მოშვება, მოთენება. „აბა, აბა, ეგე დაჩოლფოტება არ ივარგეფს, ახლავე წამოდექით!“

დაჩოლფოტებულ-ი გაზარმაცებული, მოშვებული, მოთენთილი. „ეგე დაჩოლფოტებული როდემდე უნა იყო, ცოტა გაინძერი!“

დაჩულავ-ს დაგმანავს, დაჩურთავს, ღრიჭოებს ძველმანებით ანოავსებს. „პაპა გომი ფარღალალა ადგილეს ნაჭრებით დაჩულავს ხოლმე, საქონელ რო არ შამცივდემ.“

დაჩულვა დაგმანავს, დაჩურთავს, ფარღალალა ადგილების ამოვსება ქსოვილის ნაჭრებით. „ღიდ ზამთარ გეპირდება, გომი დაჩულვა მოგვიწევს.“

დაჩულულ-ი დაგმანული, დაჩურთული. „გომი ისე მაქ დაჩულული, სიცივე ვეღარაფერ დააკლეს საქონელ.“

დაჩხლართავ-ს დაგრებს, აწეწ-დაწეწავს ბაწარს, თოქს, მავთულს. „რა არი, როგორ დამჩხლართამს ხოლმე, თავსა და ბოლომ ვეღარ გაუგეფს კაცი.“

დაჩხლართვა აწეწ-დაწეწვა, დაგრება. „ამ მართულის ესე დაჩხლართვა რა იყო, რომ ვერა და ვერ გამისწორებია.“

დაჩხლართული-ი 1. აწეწილ-დაწეწილი, დაგრებილი. „ისე დაჩხლართული, წვერი ვერ მიპოვია.“ 2. გამხდარი, წვერილფებება ადამიანი. „ეგ რა დაჩხლართული რძალი მოუყვანიათ.“

დაცხარდებ-ა აკრუხდება (ქათამი). „მაღე დაცხარდება ჩვენი ძეგრულა ქათამი და კრუხად დავსვამთ.“

დაცხარება აკრუხება. „ალარ უღირსა დაცხარება ამ ოხერ ქათამ, რო დავსვა და წიწილები დავაჩეკინო.“

დაცხარებულ-ი აკრუხებული. „დაცხარებული ქათამი გადამაკრუხებინა ამ უხეირომ, ამან.“

დაძაგრება ხარბად დაწაფება, ხარბად წოვა (სმა). „ამ ვერანა ხომ როგორი დაძაგრება იცი, თითქომ ერთი კვირა არაფერი ეჭამოდ.“

დაძაგრებულ-ი დახარბებული. „ისე დაძაგრებული სომს ღვინომ, გეგონებათ პირველათ ხედავდემ.“

დაძაძღავ-ს გაწელავს (ბევრს). იხ. გაძაძღავს. „როგორ დაძაძღავს ხოლმე ფენსაცმელეს.“

დაძაძღვა გაწელვა (ბევრისა). იხ. გაძაძღვა. „შე კაი კაცო, რა იყო ამ ჩუდტებიდ ესე დაძაძღვა?“

დაძაძღულ-ი გაწელილი (ბევრი). იხ. გაძაძღული.

დაძენძაფ-ს გაცვეთს (ტანსაცმელს). „რა არი, ამ ბიჭმა არაფერი გაფრთხილება არ იცის, ერთ კვირაში დაძენძაძმს ზოლმე ყველაფერ.“

დაძენძიფა გაცვეთა, „რა ცული დაძენძაფა იცის ამ კვირტი წინდებმა?!“

დაძენძილ-ი გაცვეთილი, გაწყალებული (ტანსაცმელი). „ამ დაძენძილი პალტოთი გარეთ აღარ გაისვლება.“

დაძიფაფღება გაფხვიერდება, კულტივაცია ჩაუტარდება. „ნახე, როგორი ბელტი ყრია, სანამ არ დაძიფაფღება, ვერაფერ დაძთესამ.“

დაძიფაფება გაფხვიერება (ნახნავისა), კულტივაციის ჩატარება. „წლელუ კარგათ მოძინნე ნაკვეთი, ახლა ერთი დაძიფაფებალა უნდა და ეგ არი.“

დაძიფაფებულ-ი გაფხვიერებული, კულტივაცია ჩატარებული (ნახნავი). „რა გინდა, კარგათ არი დაძიფაფებული.“

დაძილქუშება უპატ. ღრმად დაძინება. „მაგან ისეთი დაძილქუშება იცის, ზარბაზანიც ველარ გააღვიძფეს.“

დაძილქუშებულ-ი უპატ. ღრმად დაძინებული. „შე რო მოკვდი, ემ უკვე დაძილქუშებული იყო.“

დაძირაფ-ს დაზვინავს. დიდ ზვინს დაღვამს. „მინდორში არაფერ დაძირაფეს, სუ შინ მოძიფაძამს ზოლმე და ერთათ დაძირაფს.“

დაძირვა დაზვინვა, დიდ ზვინად დაღვა (თივის, ბურდოს). „მაგ თივისა და ბურდომ ერთ აღვილამ დაძირვა რატო არ გინდა, არ გეშინია, გაგიფუჭდეთ?“

დაძირულ-ი დაზვინული. ერთ აღვილას დაღვებული (თივა, ბურდო). „თივაც დაძირული მაქ და ბურდოც, წვიმა და თოვლი ველარაფერ დააკლეს.“

დაძმუძნა დაჯმუჯნა, დაბუნა, შეჯანჯღარება, ცემა. „მაგამ ერთი დაძმუძნა მოუხდებოდა.“

დაძმუძნი-ს დაჯმუჯნის, დაბუნის, სცემს, მოთელავს. „ეგ არი ზუმრობა, ამოდენა ჯორი ისე დაძმუძნის ზოლმე პატრა ბიჭფეს, გონზე ველარ მოდიან.“

დაძმუძნილ-ი დაჯმუჯნილი, დაბუნილი, მოთელილი, ნაცემი. „ემ ბიჭი რა დაძმუძნილი ლეკვივითა გღია შინ.“

დაძმუბნულ-ი იხ. დაძმუბნილი.

დაწარბაგ-ს 1. გათლის, ნუჟრებს ააცლის ფიცარს, საკოჭე მასალას. 2. ნაპირებს შეუსწორებს (ფიცარს, ბოდს, კოჭს...). „აბა, შენ იცი, კარგათ დაწარბე ეს მასალა.“

დაწარბვა ნუჟრების შეცლა, ნაპირების შესწორება (ხის მასალისათვის). „მე მხოლოთ დაწარბვა მევალება.“

დაწარბულ-ი ნუჟრებშეცლილი, ნაპირებშესწორებული (ხის მასალა). „კარ-ფანჯრები და კოჭები უკვე დაწარბული გვაქ.“

დაწენგოვდებ-ა წენგოთი დაისვრება. „მაგ ლენჯოიან კაკალ რო აკუჭამ, ხელები დაგიწენგოვდება და ველარ გაიცლი.“

დაწენგოვება წენგოთი დასვრა. „ხელები დაწენგოვება თუ არ გინდა, რეზინი ხელთათმანები გაიკეთე.“

დაწენგოვებულ-ი წენგოთი დასვრილი, წენგოიანი. „მაგ დაწენგოვებული ხელებით სკოლაში წასვლა იქნება?“

დაწიკწიკდებ-ა დასუფთავდება, დალაგდება. „შენ თუ არ დაასუფთავე, თავისით არ დაწიკწიკდება.“

დაწიკწიკება დასუფთავება, დაწკრივლება. „ძალიან სუფთა პატარძალი გამამადგა, ვენაცვალე, ამან ისეთი დაწიკწიკება იცის ბინისა, რო მოგეწონება.“

დაწიკწიკებულ-ი დასუფთავებული, დაწკრივებული. „ნახე, როგორ აქ ყველაფერი დაწიკწიკებული, თვალ ვერ მაამორეფ.“

დაწიქვინება წიქვინის (წერილი, მჩხავანა ხმის) გალება. „უპ, რა საშინელი დაწიქვინება იცის ამ დედაკაცმა.“

დაწკაპწკაპება წვეთ-წვეთად დასხმა წყლისა (მწვანოლზე, ყვავილებზე, იატაკზე, გასაუთოებლებზე). „ბევრი წყალი არ გინდა, აბა ცოტა დაწკაპწკაპებაც ეყოფა.“

დაწკაპწკაპებულ-ი წვეთ-წვეთად წყალდასხმული. „ოდნავ დაწკაპწკაპებული მწვანილი მალე არ გატკნება.“

დაწკებაგ-ს 1. დაწკებლავს. წკებლით სცემს. „რა არი, ყოველ დღე ასე რო დაწკებამს ხოლმე ამ ბავშვეფს.“ 2. ცულს, წალდს, ცელს (ბერს) ფხას გაუკეთებს, გამოაწრთობს. „სანამ მაგრა არ დაწკებამს ცულსა და წალდ, ტყემი არ წავა.“

დაწკებვა 1. დაწკებლვა. წკებლით ცემა. „მაგათ მოფერება კი არა, ერთი კაი დაწკებვა უნდათ.“ 2. გამოწკებვა, ფხის გაკეთება ცულის, წალდის, ცელისათვის... „აბა, შენ იცი, ცულისა და წალდის დაწკებვა არ დაგავიწყდეთ.“

დაწკებშილ-ი 1. დაწკებლილი, წკებლით ნაცემი. „ჯენი უკვე დაწკებშილები გვაყ, ხმა ველარ ამიღებენ.“ 2. ფხაგაკეთებული,

კარგად ალესილი (ცული, წაღლი, ცელი...). „ეხ ისე არაფერ შინახამს, ყველაფერი დაწკებილი ექნება.“

დაწკრეტავ-ს - 1. დაწრეტს, დაცლის სითხისაგან. „სარეცხ სანამ კარგა არ დაწკრეტამს, ისე არ გაიფენს თოკზე.“ 2. დაშრობს. „რა მუცელჩასახეთქია ემ კაცი, ქვეერი რო დაუდგა, ბოლომდე დაწკრეტამს.“

დაწკრეტ[ვ]ა 1. დაწრეტა. დაცლა სითხისაგან. „დაწკრეტვაც კი არ აცალა, ისე გადაიცვა სველი პურანგი.“ 2. დაშრობა, დაწყვეტა (წყლის). „ეყოფა მორწყვა, წადი ეხლა და სუ დაწკრიტე რუვი.“

დაწკრეტილ-ი 1. დაწრეტილი, დაცილი (სითხისაგან). „ერთი კვირაა, დაწკრეტილია სამგორი არხი.“ 2. გამხდარი, გალუული, დაჩივებული (კაცი). „ემ დაწკრეტილი იმოდენა კაც რო ეჭიდავება, რისი იმედი აქ?“

დაწოშება გაბუტვა, ცხვირის ჩამოშვება. „რა უხასიათოა ემ ჩვენი რძალი, რა მალ-მალ დაიწოშება ხოლმე.“

დაწოშვა იგივეა, რაც დაწოშება. „აბა, აბა, დაწოშვა სუ არ გიხდება. გახსენი შუბლი!“

დაწოშილ-ი გაბუტული, ცხვირჩამოშვებული, „მაგამ რაა გაუგეფ, სუ ეგე დაწოშილი დაიარება.“

დაჭანჭახდება-ა ძალიან დასველდება, დაღბება, ატალახდება. „წყალ ნუ დაღვრიოთ, თორე დაჭანჭახდება და ვეღარ გავივლით.“

დაჭანჭახება ძალიან დასველება, ატალახება. „რა იყო ესე დაჭანჭახება, გავლა აღარ გვინდა?“

დაჭანჭახებულ-ი ძალიან დასველებული, ატალახებული. „ისეა ეზო დაჭანჭახებული, ცოტა თუ არ აშრა, ვერ გავივლით.“

დაჭმაჭვნა სახის დამანჭვა. „რა საზიზღარი დაჭმაჭვნა იცის ამ ქალმა, კაცი ვეღარ შამხედამს.“

დაჭმაჭნულ-ი სახედამანჭული. „აგე, იქ არა ზის თავისი დაჭმაჭნილი სიუათით.“

დაჭონჭონდება-ა იგივეა, რაც დაჭანჭახდება. „დაკეტე წყალი, თორე ეზო სუ დაჭონჭონდება.“

დაჭონჭონება-ა იგივეა, რაც დაჭანჭახება. „დაჭონჭონება თუ არ გინდოდა, დროზე მიიხედამდი.“

დაჭონჭონებულ-ი იგივეა, რაც დაჭანჭახებული. „ვენახი ისეა დაჭონჭონებული, კაცი ვეღარ შევა შიგ.“

დაჭრილი ხინკაღ-ი უხორცო ხინკალი, ცომი გათხელებული, პატარა ნაჭრებად დაჭრილი და წყალში მოხარშული. „ბავშობაში,

მახსომს, დეერები დაჭრილ ხინკალ გვიკეთებდა ხოლმე, ძან გემრიელი საჭმელი იყო.“

დაჭუკჭუკება ინდაურის ხმიანობა. ჭუკების მოხმობა. „შე, მართლა, ინდაურო, დაჭუკჭუკებაც კი არ იცი, რო ჭუკები დააქურო.“

დახაფერა დაკაება, მოცდენა (ადგილის, ჭურჭლის). „რათ გინდა მაგოდენა ქვაბი დახაფერა, განა პატარაში არ ჩაეტოდა?“

დახაფრაფ-ს დაიკაებას, მოაცდენს (ადგილს, ჭურჭელს). „თელ ოთახ ევ კარადა დამხაფრამს და სხვადა ველარა დავაწყოფო.“

დახაფრულ-ი დაკაებაული, მოცდენილი. „ეზო ხარახურით აქ დახაფრული და მანქანა ველარ დამიყენებია.“

დახაშლდებ-ა ხაშალი განდება, დამჭლევდება, გაძვალტყავდება (ცხვარი... გადატანით ადამიანზეც იტყვიან). „ხო მხედამ, როგორ ავანგახეფს, დაკალი ემ ცხვარი, სანამ სუ დახაშლდება.“

დახაშლება დამჭლევება, გაძვალტყავება. „რა იყო ესე დახაშლება, ნუთუ არაფერ აჭმევდნენ.“

დახაშლებულ-ი დამჭლევებული, გამხდარი, გაძვალტყავებული. „სუ დახაშლებული ცხვრები მომირეკა, ფული რალაში უნა მივცე.“

დახანხანდება-ა გაქათქათდება. ძალიან გათეთრდება (ბევრი). „ძან კარგი ფხენილი გამოდგა, თეთრეული ისე დახანხანდება, ახალი გეგონება.“

დახანხანება გაქათქათება, გათეთრება (ბევრისა). „პერანგები დახანხანება თუ გინდა, აემ ფხენილი უნა იყიდო.“

დახანხანებულ-ი გაქათქათებული (თეთრეული). „ყველაფერი უკვე დარეცხილი და დახანხანებული დამხვედრე.“

დახახავ-ს დაწვავს, დახრუკავს. „ხორც ძან ნუ დამხახამთ ტაფაზე, გემო დაეკარება.“

დახახვა დაწვა, დახრუკვა. „მზესუმშირამ ოდნავ უნდა დახალვა და არა ესე დახახვა.“

დახახულ-ი დამწვარი, დახრუკული. „რა იყო, რა დახახული მწვადი გვაჭამე.“

დახენთილ-ი ხეიბარი, ორივე ფენით კოჭლი: „ნახე, იმ დახენთილმა რა გოგო მაიყვანა ცოლათ?!“

დახენიფ-ს დაჩეხს, დააპობს, დაჭრის (შეშას). „საბურეთ დაჭრის შეშამ, დამხენამს და კელლი გვერდზე დააწყოფს.“

დახენიფა შუა-შუა დაჭრა, დაპობა (შეშისა). „მაგსიმსხოები რო დამიყარე, დახენიფა არ უნდა?“

დახეჩილ-ი შუა-შუა დაჭრილი, დაპობილი (შეშა). „შეშა მოტანილიცა მაქ და დახეჩილიც.“

დახვალეობა დანდობა, მორიდება, პატიება, ანგარიშის გაწევა. „თუ ჭკვიანათ არ მოიქცევი, იცოდე, არავინ დაგიხვალეფს.“

დახივლება 1. ბევრი წყლის დასხმა. „რათ უნდოდა ამდენი წყლით დახივლება, აბა, ამათ რაღა გემო ექნება.“ 2. ბევრი წყლის მიშვება, მიგდება (რწყვის დროს). „დახივლება თუ მინდოდა, მე ვერ დავახივლებდი? ხო გითხარი, ნება-ნება მორწყე-მეთქი!“

დახივლებული-ი 1. დასხმული (ბევრი წყალი). „ამა იმდენი წყალი აქ დახივლებული, აქედან კერძი აღარ გამოვა.“ 2. მიშვებული, მიგდებული (ბევრი წყალი). „მაგამ კარგი მგონია ეგე დახივლებული რო უდიდ წყალი.“

დახლა დაშუშვა, ოდნავ მოწვა, მოხალვა (სიმინდის, ხორბლის, მზესუმზირის). „აბა, შენ იცი, მზესუმსირი დახლა არ დაგაეიწყდე.“

დახლი-ს დაშუშავს, ოდნავ მოწვავს. „კარგად დაიხლის ხორბალ და ხელსაფქვავეზე დაიდერლამს ხოლმე“.

დახლილ-ი დაშუშული, მოხალული „დახლილი ხორბლისაგან ხალიფათა და აკეთებენ.“

დაჯაბრება ჯაბრის გაწევა. „ოო, მაგან ისეთი დაჯაბრება იცი, მტრისადა!“

დაჯაბრებულ-ი ჯაბრში ჩამდგარი. „რა მოხდა, რა დაუშავე ეგეთი, რატო გყავ ეგე დაჯაბრებული?“

დაჯალჯავ-ს 1. ჯალჯას შემოავლებს, ჯალჯით შემოლობავს. 2. ბევრ ტვირთს დაუდებს (ურემზე, მანქანაზე...). „ყოველდღე ასე დაიჯალჯამს ხოლმე შეშით მანქანა და ქალაქში მიაქ გასაყიდათ.“

დაჯალჯულ-ი მაგრად დატვირთული. „შეშით დაჯალჯული ურმები ჭრიალით მოდიოდნენ ორლობეში.“

დაჯლაყუნებ-ს ჯლაყუნით (რწყევა-რწყევით) დადის. „თელი დღე აეგე დადი და დაჯლაყუნეფს.“

დაჯლაყუნობ-ს იგივეა, რაც დაჯლაყუნებს. „ნეტა ეხლა სადღა დაჯლაყუნოფს ი ბიჭი?!“

დაჯოგება გამრავლება, დაქუჩება. „მაგამ მარტო დაჯოგება მცოდნია, შეილეფს რო დაზდაც უნდათ, მაგაზე სუ არ ფიქროფს.“

დაჯოგებულ-ი გამრავლებული, ჯოგად შეყრილი. „რამდენი ბავშვი მყოლიათ დაჯოგებულნი, გენაცვათ, ამათ რა საჭმელი ეყოფათ?!“

დაჯონჯ[ვ]ლა ბევრის დასხმა, დახუნძელა. „ჩვენმა მსხალმა ისე მაგრა იციმ დაჯონჯველა, სუ ტოტები ემტვრევა ხოლმე.“

დაჯონჯლილ-ი მაგრად დასხმული, დახუნძლული (ხეხილი). „იმ დაჯონჯლილ ვაშლურს ქარმა ერთი ცალი აღარ შაარჩინა.“

დაჯღანება უშნოდ, უხეიროდ დაკერება. „მაგამ შაკერვისა რა გაეგება, მარტო დაჯღანება შაუძლიან.“

დაჯღანებულ-ი 1. უშნოდ, უხეიროდ დაკერებული. „მაგიმ დაჯღანებულ ჩუიტევს როგორ ჩავიცმევ?!“ 2. გაცვეთილი, დახეული. „ეი დაჯღანებული ჩუიტები როდემდე უნა მეცვამ.“

დაჯღანება იგივეა, რაც დაჯღანება.

დაჯღანულ-ი 1. იგივეა, რაც დაჯღანებული. 2. დაჭყანული, დამანჭული. „შეხედე ერთი, რა დაჯღანული სახე აქ.“

დგაფადგუფ-ი ნახევრად სავსე ჭურჭელში სითხის (წყლის, ღვინის...) ხეთქებისაგან გამოცემული ხმაური. „რა გისხია მგე კასრში, ეგე დგაფადგუფი რო გაუღიდა.“

დგაფდგაფ-ი იგივეა, რაც დგაფადგუფი. „თელი გზა დგაფდგაფით ვატარეთ ემ კასრი.“

დგაფდგაფებ-ს დგაფდგაფი გაუღის, ხეთქების ხმას გამოსცემს. „ცოტა ნელა იარე, თორე ემ ღვინო ისე დგაფდგაფურს კასრში, შუაზე გაგვისკდება.“

დე! დეე! დედა (მიმართვისას). „დე, ფული მამე რა!“ „დეე! სადა ხარ, ქალო?“

დება ბევრის დასხმა. „წლეულ ტყეში ნაბადივით ადევ პანტევს.“

დედადასამიწებელ-ი 1. ცუდი, უხეირო. „ეგ დედადასამიწებელი, რატო ენამ არ ჩაიგდურს მუცელში.“ 2. საცოდავი, საბრალო. „ეპ, ავათა მყავ, ემ დედადასამიწებელი, ესა.“

დედაილა დედის მსგავსი. „ნახე, სუ მთლათ დედაილაა ემ გოგო.“

დედალი კიბთ ავი, ბოროტი ადამიანი. „დედალი კიბო გაგიგონიათ? აი, სწორეთ ისაა ემ კაცი.“

დედან-ი ზოგიერთი საბავშვო თამაშის დროს მთავარი მოთამაშე, რომელსაც მსაჯის როლიც აკისრია.

დედაძაღლ-ი საგინებელი სიტყვაა, ცუდი, ავი, ბოროტი, უკარგისი ადამიანი. „ეი დედაძაღლი რამ გადამეკიდა, რა უნდა ჩემგან.“

დედია დედაჩემი. ამ სიტყვას (ფორმას) მხოლოდ საკუთარი დედის მისამართით იტყვიან, თანაც მაშინ, როცა შინაურებს ან

ახლობლებს ელაპარაკებიან. „დელია შინ არი?“ „სად არი დელია?“
და ა. შ.

დედო! დედო-ჰო! ძროხისადმი დასაყვავებელი მიმართვა.
„დედო, დედო-ჰო! მოდი შენ ადგილზე, მოდი.“

დეე! იხ. დე!

დეეჩემ-ი დელაჩემი. „დეეჩემი არ გინახია?“

დელაამა, დელამო ახლად შედედებული ყველი, ჯერ ისევე ცხელ-ცხელი, გაუწურავი. „ბავშვობაში სანამ არ გვაჭიდავებდნენ, მანამ დელამამ არ გვაჭმევდნენ ხოლმე.“

დელაამო იხ. დელამა. „დელაამო კაი საჭმელია, მაგრამ ბევრი ჭამაც არ ვარგა.“

დიდთვალეზა: დიდთვალეზა ხვთეზა. მარტყოფის მონასტრის გუმბათზე გამოხატული მაცხოვრის ეპითეტია. მარტყოფში და მის მიმდებარე სოფლებში გავრცელებული გამოთქმაა: „დიდთვალეზა ხვთეზა შეგეწიომ (შეგეწიოთ, შეეწიოთ...)“. ასე იტყვიან ყოველ დალოცვისას.

დიდო! დიდო-ჰო! ძროხის გასაგდები შეძახილია. „დიდო! დიდო-ჰო! შე ვერანავ, ფეხი გადაადგი.“

დილაბნელ-ი დილაადრიან, როცა ჯერ კიდევ ბნელა. „დილაბნელზე წამოვდექით და მუშაობა დაიწყო.“

დოი-დოი! მტრედების მოსახმობი ძახილია.

დოია მტრედი (ბავშვის ენაზე). „მამამ ერთი ლამაზი დოია მიყიდა.“

დოლი[ს]ჩხირება წერილკანჭება (უფრო ქალზე იტყვიან). „ქლაქითვინ თვალი გამოუთხრია ჩვენ წარბამ, ერთი დოლიჩხირება ქალი მოუყვანია.“

დოლმიშ-ი ნაჯვარი ღორი (აგდ. ადამიანზეც იტყვიან, ვისაც სხვადასხვა ეროვნების შშობლები ჰყავს), „არა, ჩემი ღორი არც ქართულაა და არც რუსულა, დოლმიშია.“

დონდგალ-ი, დონდგოლ-ი ხმაური, ჩოჩქოლი (ხალხისა). „რა არი, რა დონდგალია, არ იტყვი?“

დონდგოლ-ი იხ. დონდგალი.

დოშ-ი: დოშზე დაყენება ჩილიკჯოხობის თამაშის ერთ-ერთი ხერხია, ჩილიკას ისე დააყენებენ მიწაზე, რომ ერთი მხარე (წვერი) ცოტა აშვერილი იყოს, რათა ჯოხის დარტყმისას მალლა ახტეს და ჯოხი მარჯვედ შემოჰკრან და ჩილიკა შორს გასტყორცნონ.

დრანგ-ი 1. ზონზროხა, დიდი ტანის ადამიანი (უფრო ქალზე იტყვიან). „ერთი დრანგი დელაკაცია.“ 2. დიდი ზომის, უშნოდ მორგებული ფეხსაცმელი. „ეა რა დრანგები გიყვოდა.“

დრეცაგ-ს ბრეცავს (თვალებს). „რა თვალებსა მდრეცამს, რა არ მოეწონა, ვერ გავიგე?“

დრეც[გ]ა 1. ბრეცვა (თვალების). „ამ გოგომ სად ისწავლა ესე უშნოთ თვალები დრეცვა?“ 2. პრანჭვა-გრეხა. „მაგ დრეცვამ გირჩევნია თავი დაანებო, სუ არ გიხდება.“ 3. დრეცვა. „რა ცუდათ იდრიცება ეს ფიცარი.“

დრიზინა დრეზინ-ი, დრეზინა.

დრინტა თესლი, სპერმა. „სადაა აქამდე ეს დრინტაძალი, ეგა.“

დრინტაძალ-ი სალანძლავი სიტყვაა. ცუდი, უხეირო, უვარგისი (კაცი). „ეს ისეთი დრინტაძალია, კარქს არაფერს არ უნა ელოდო მაგისაგან.“

დროში[ს]მოტაცება, დროში[ს]მოტაცობა საბავშვო თამაშია ერთგვარი. ბავშვები თანაბრად გაიყოფიან (რაც მეტნი იქნებიან, მით უკეთესია). მინდორზე ხაზს გაავლებენ, რაც საზღვრად ითვლება. ორივე მხარეს, გარკვეულ მანძილზე დროშებს დაურჭობენ (ჯოხზე ნაჭერს ან ცხვირსაზოცს დაამაგრებენ) და მცველებს დაუყენებენ. საზღვარზე დამწკრივდებიან და ცდილობენ „მტრის“ ტერიტორიაზე შეიჭრნენ და დროშა მოიტაცონ. ვინც უწინ მოიტაცებს დროშას და თავის მხარეს გადმოიტანს, გამარჯვებულად ის ითვლება. „მტრის“ ტერიტორიაზე შეჭრისას შეიძლება საზღვრის დამრღვევი შეიპყრონ, ტყვედ ჩაიგდონ. ასეთებს გარკვეულ წრეში ჩააყენებენ, საზღვრიდან შორს და მცველებს დაუყენებენ, გაქცევა რომ ვერ შეძლონ. მოწინააღმდეგე ცდილობს, როგორმე გამოიხსნას ტყვეები, ამიტომ ყველაზე ძლიერ, კუნთმაგარ ბიჭებს აგზავნიან მათ გამოსახსნელად. თამაშში ბიჭებთან ერთად გოგოებიც მონაწილეობენ.

დროში[ს]მოტაცობა იხ. დროში[ს]მოტაცება.

დუბე ტყეში ჩადაბლებული ადგილი. ხშირად გეხვდება ტოპონიმიტა შემადგენელ ნაწილად. „ეა შეშა პანტიდუბეში მოვჭერი.“

დუდგულა ივივა, რაც შვინდლარწა.

დუდღუბა ბალახია ერთგვარი, ღობის ძირებში იზრდება. მრგვალი, წითელი ნაყოფი აქვს, რასაც სამკურნალოდ იყენებენ.

დუზან-ი რიყის ქვაა ერთგვარი, ბრტყელი, გლუვი და სწორი, მშენებლობისას კედლის გარეთა პირის ამოსაყვანად იყენებენ. „აბა, შენ იცი, კაი დუზანი ქვები ამირჩიე და მამაწოდე.“

დუი-დუი! იხ. დოი-დოი!

დუნდრუცა იგივეა, რაც დუნდრუხა.

დუნდრუხა სქელი, ჩასუქებული, ჩამრგვალებული (ქალი, გოგო). „ეა გოგო ეხლავე რო ესეთი დუნდრუხაა, ქალობაში რაღა იქნება?“

დუტკო დუდკო. ერთგვარი სენია, ხელის თითებზე ემართება ადამიანს. ფრჩხილქვეშ ჩირქი დაუგროვდება და ძალიან მტკივნეულია. ამბობენ: ეს სენი იმას უჩნდება, ვინც საქონლის (ძროხის, ცხვრის...) წამძვრალ ჩლიქში თითს ჩაყოფსო. ამიტომ, როცა თავ-ფეხს სახაშედ ასუფთავებენ, ცდილობენ, თითი არ ჩაყონ ჩლიქებში. „დროზე გადაყარეთ ეს ჩლიქები, ბავშვებმა არ ითამაშონ და დუტკო არ გაუჩნდეთ.“

დღეინდელ-ი დღევანდელი. ახლანდელი. „აბა, ვინ ელოდა დღეინდელ დღესა.“

დღლუგ-ი თხელი, წყალწყალა. „ცოტა ლამი დააყარე და ცემენტიც უყავ, თორე ისეთი დღლუგია, კედელზე არ ჩერდება ეს კირი.“

დღლურძავ-ს 1. შემოჰკრავს. „ერთ ისეთსა მღღლურძავს, რო ფეხზე ვეღარ დადგეა.“ 2. ხარბად, თქაფათქუფითა ჭამს. „რა უშნოთა მღღლურძავს ეს ბიჭი.“

დღლურძვა 1. შემოკვრა. „მაგამ ერთი ყბაში დღლურძვა თუ დაამშვიდეფს.“ 2. ხარბად ჭამა. „რა უშნო დღლურძვა იცის.“

ებღვინებ-ა ეცემა, მივარდება. „ცოტა ერიდე ემაგ ძაღლ, მოპარვა იცი, უცეფ ებღვინება კაც და ფეხ გამააჭამს ხოლმე.“

ებზაკუნებ-ა ეტორღილება, წაყვანა არ უნდათ და ძალით მისდევთ. „ნეტა ემ საღლა ებზაკუნება, ვინ დაამატიუა.“

ებურძგლებ-ა ებურძგნება, ყალყზე უდგება (თმა, ბალანი...) „უთხარი, დაწყნარდე, ბალანი ნუ ებურძგლება.“

ებღერტ[ვ]ინებ-ა ეცემინება. „ემ ბიჭი ისეა ატეხილი, ვილაცამ ებღერტ[ვ]ინება.“

ებღლარძუნებ-ა უშნოდ ეჭვიდავება. „თუ ჭიდაობა უნდა, წრეში გადმოვიდე, მანდ რამ ებღლარძუნება პატრა ბიჭეფს.“

ეგე ვრე. „ეგე უნდა მაგამ!“

ეგემ(ც) იქნებ. „შენ უთხარი, ეგემც რამე წამოაცდენინო.“

ეგლარსუნებ-ა ნაზად ეხება, ეფურება. „ჩვენი ხბო მაგრა რო გაისიკნება, მერე ეგლარსუნება ხოლმე თავი ღვდა.“

ეზომბერ-ი ამ სიტყვის მნიშვნელობა დღეს არავინ იცის. გვხვდება ერთ გამოცანაში: „არწივი წივის, წივისა, კომბალა თავი სტკივისა, ეზომბერი გადმომდგარა, ნიფხავჩანდილი ტირისა.“ გამოცანის პასუხია: ჭეჭა-ქუხილი და დიდი წვიმა. შეიძლება ეს ეზომბერი ძველი, წარმართული ღვთაება იყოს?!

ეკანჭურებ-ა ეკილება. „თვალი გეჭირობ, ემ ბიჭი მანქანამ ბორტზე ეკანჭურება ხოლმე, ემანდ არ ჩამოვარდე და არ დაგეღუპოდ.“

ელაიაობა, ელითობა ერთგვარი რიტუალა. დიდი გვალვის დროს ქალები შეიკრიბებიან, უბან-უბან, სოფელ-სოფელ დადიან და მღერიან. ღმერთს, წმინდა ელას ევედრებიან: „ალარ გვინდა გორახი, ღმერთო, მოგვე ტალახი...“ თან წყალი დააქვთ და ერთმანეთს წუწავენ. ხალხიც შემზადებულია, ყველას წყალი აქვს გამოტანილი და მომღერლებს წუწავენ. ერთ მომღერალს ხელში თოჯინა უჭირავს და განსაკუთრებით მას ასხამენ წყალს. ზოგი საჭმელს გამოუტანს, ზოგი ხილს, ზოგიც – ფულს. ამ ფულით იყიდნიან მამალ ციკანს და ელიის სახელობის საყდართან დაკლავენ, შესწირავენ და წვიმაც უეჭველად მოვა. ეს რიტუალი ზოგჯერ წვიმის საწინააღმდეგოდ სრულდება. როცა ხანგრძლივ წვიმებს დაიჭერს, მაშინაც ჩამოივლიან ელაიაობის მონაწილენი და წვიმის შეწყვეტას შესთხოვენ. სიმღერის ტექსტიც სათანადოდ იცვლება: „ალარ გვინდა ტალახი, ახლა მოგვე გორახი.“

ელიობა იხ. ელიაობა.

ემას აი ამას. „აბა შენ ემას მეერევი?“

ემზნეგ-ა დაუშავდება, გაუფუჭდება, აწყენს. „შე[ნ] რა გინდა, მაგით მაგამ არაფერი არ ემზნევა.“

ემოდელა ამხელა. „ემოდელა კაც მეტი ჭკვა არ უნა მქონდემ?“

ემოდენა ამდენი, ასე ბევრი „ემოდენა საქმე გაუკეთე, მაგრამ ვინ დამიფასა?!“

ემსააჩი ახლავე, ამ წუთში. „ემსააჩი მოდი შინ!“ „ემსააჩი მანდ გაეჩნდები.“

ემჩვირებ-ა ებუტება. „რა არი, ემ გოგო რა ყველამ ემჩვირება.“

ემწვანილება ეზარება, სწყინდება. „მაგამ ვერაფერ გაუგეფს კაცი, ყველაფერი ემწვანილება.“

ენაპირიან-ი ნამუსიანი. „ვერფერ დაუწუნეფ, კაი ენაპირიანი კაცია.“

ენატლიკინა მეტიჩარა, ქაქანა. „ეგ ისეთი ენატლიკინაა, თუ ერთი აძტყდა, ველარაფერი გააჩერეფს.“

ენატლაკუნა იგივეა, რაც ენატლიკინა.

ენაყიშებ-ა ეეჭვება. „მაგამ რაღაც ენაყიშება ემ საქმე.“

ენგიდუნია მთელი ქვეყანა, მსოფლიო. „მაგამ, შე კაი კაცო, რაღა არ დაეჯერება, თელი ენგიდუნია აქ შემოვლილი.“

ენდე აი. „ენდე თუ არ იცოდა, მამ როგორ გამოიცნო?“

ენდე მანდ აი მანდ. „რაღამ დაეძეფ, ენდე მანდ არა გდია?!“

ენიძლავებ-ა ენაძლევება, სანაძლეოს უღებს. „თითქომ დიდი ვინმე მყავდემ, ყველამ ეგ ენიძლავება.“

ენიაზებ-ა სურს, სწადია. „რა ძალამ ატან, ზო მხედამ, რო სულაც არ ენიაზება.“

ერთიერთმანეთი-ი ერთმანეთი. „ძმეფს ერთიერთმანეთი არ უყვართ, სხვამ შაიყვარებენ?!“

ერთი თაღია ერთ ხანს. „ერთი თაღია მთაში წასვლა დავაპირე.“

ერთი პირობა იგივეა, რაც ერთი თაღია. „ერთი პირობა მე მაძალებდა.“

ერთნაყოლ-ი საქონელი, რომელმაც პირველად მოიგო. „შენ თუ საქონლი ცნობა იცი, მამ ერთნაყოლ ცხვარ ბებური ცხვრისაგან ვერ უნა არჩევდემ?“

ერიგიდიპა ერიპა. „ერიგიდიპა, ემ აქედან წასვლამ აღარც აპირებს.“

ესაკლისებ-ა აკლია. „შენი აქ არ ყოფნა გულ ძალიან ესაკლისება.“

ესემც ასემც. აგრემც. „ესემც დამიწდემ თქვენი მტერი და ორგული.“

ეტოტინებ-ა ეპოტინება, ხელებს იწვლის. „შეხედე ერთი, ემ პატრა ბალლი სად ეტოტინება.“

ეტურუტრებ-ა ერურრულება. „ნეტა ერთი გამაგებინა, ემ გოგო ამდენ რამ ეტურტურება იმ დედაკაც.“

ეფოფრებ-ა იცავს, ექომავება. „ყველამ ეფოფრება, ყველამ დამცველი ემ არი.“

ექსადექს-ი მხოლოდ ექვსი. „პაპარემ ექვსათექვსი ცხვარი მყავდა და ისიც არ დაუყენემ.“

ექოლიაგებ-ა ეფერება, უყვავებს. „ნეტა რამ ექოლიაგება და გულ აჭმევეინებს, ერთი ისეთი შამოძკრამ, რო ჭკუაზე მოვიდემ.“

ექოლიებ-ა იხ. ექოლიაგება.

ელაბუცებ-ა ელაზღანდარაგება. „ყველამ ესე უსირცხვილოთ ელაბუცება და სულელ გოგოებს მაინც ემ ბიჭი მომწონთ.“

ემშაკი[ს]ცხენ-ი მწერია ერთგვარი. კალიას ჰგავს, ოლონდ მასზე მოზრდილია და მწვანე ფერი აქვს.

ენწდებ-ა იგივეა, რაც ეტოტინება.

ენწკრიტებ-ა სტიკვა, ეწურება (გული). „ამ საცოდავიმ მაყურებელ გული ეწკრიტება, მაგრამ რა ქნამ.“

ენჭყანებ-ა ეღრიჯება, ეჯღანება. თავს აცოდებს. „მაგიდ შიშით აქეთ აღარაეინ არ დადიმ, ყველამ ეჭყანება და თავ აბეზრებს.“

ენხამუხებ-ა ეხამუშება, ეუხერხულება. „ესეთი ტანისამოსი არასოდემ არა მცმია და ცოტა ეხამუხება.“

ენჯაგახებ-ა ეკამათება, მეღვრად უტევს. „ოჰ, მაგან სუ ემე იცის, ყველამ ემე ეჯავახება.“

ენჯგიმებ-ა ეჭიმება. „ტოლებში მოიკუნტება ხოლმე და ნახე, პატარებს როგორ ეჯგიმება.“

ვაკეტყე ვაკეზე მღებარე ტყე. ხშირად დასტურდება ტოპონიმიაში.

ვალად წასვლა დაკლება, ვალის დაღება. „რა იქნება, როცა ვალად წაიღებ, რა ვალად წაუა, თუ?“

ვარდნალ-ი ადგილი, სადაც ბევრი ვარდი ღვას, ვარდიანი. „თელი დღე ვარდნალში ვამუშავე, ეს კიდე უკმაყოფილოა.“

ვასვას-ი 1. ხასხასი, ბიბინი. „ყანამ სუ ვასვასი გაუდიოდა.“ 2. ქაქანი. „იმხელა აღმართი ვასვასით ავიარეთ.“

ვასვასებ-ს 1. ხასხასებს, ბიბინებს. „ჩვენი ყანები ისე ვასვასეფს, თვალ ვერ მომწყვეტამ.“ 2. ქაქანებს. „ეს ძალიან რამდენი ურბენებიათ, ნახე, რა საცოდავად ვასვასეფს.“

ვაშლა: ვაშლა ძროხა, ვაშლა ხარი. ჭრელი, შავ-თეთრი ან თეთრ-წითელი საქონელი. „ეს ვაშლა-ძროხები ლატვიიდან ჩამოვრეკეთ.“

ვენახ-ი კერძო ნაკვეთი. „მარტყოფელები ყველაფერ ვენახ ვეძახით, რაც კი შალობილია, თუნდა ერთი ძირი ვაზიც არ იდგეს შიგა, ალბათ იმიტომ, რომ ჩვენი სოფელი ძველად ვენახებით ყოფილა დაფარული, კოლექტივობამ კი მუბომტნეთ გვაქცია.“

ვერხვანალ-ი ადგილი, სადაც ბევრი ვერხვი ღვას, ვერხვიანი.

ვეტრანა სიტყვის მასალაა. უფროსი მამაკაცები პატარა ბიჭებს ეტყვიან ხოლმე: „სად ხარ (იყავ) შე ვეტრანავ, აქამდე, სად დაიკარგე?“

ვეპი[ს]გამოსდა იხ. წყაროთ გამოხდა.

ვირილლეთია უქნარა, მატყურა, არაფრის გამკეთებელი. „რათ გინდოდათ ეს ვირილლეთია, რათ წამოგიყვანიათ, ამან რა უნა გაგვიკეთოთ აქ?“

ვირილლიტობა იგივეა, რაც ვირილლიტობა.

ვირი ხბორებში როცა დაინახავენ, რომ პატარა ბავშვებში ასაკით უფროსი (თანაც დიდი ტანის) ბიჭი (ან კაცი) თამაშობს, დასცინებენ და ამ სიტყვებს მიამახებენ: „ოუ! ვირი ხბორებში! ვირი ხბორებში!“ ე. ი. ამით იმას უუბნებიათ, რომ ამ ასაკის აღამიანს პატარა ბავშვებში თამაში აღარ შეუძენის.

ვირი[ს]ჯაგ-ი ბალახია ერთგვარი, ეკლიანი, ბურქად იზრდება. ვირი ეკლებიანად ჭამს, და ალბათ, იმიტომ ეძახიან ამ სახელს. „ზამთარში, როცა საკვები გამოგველევა, ამ ვირიჯაგეფს ცეცხლ

წაუკიდევთ ხოლმე, ეკალი ჩაიწვება და ღეროები რჩება. ეტყობა, გემრიელია, საქონელი (ძროხა, ცხვარი, თხა) ძაან ეტანება.“

ვირმსხალა მსხლის ერთ-ერთი ჯიშია. ზამთარში დიდხანს ინახება. „ერთი ვირმსხალა გვიდგა ეზოში, ყოველ წელიწად ისხამს, დეკემბრამდე ვტოვებთ, მერე დაგკრეფამთ ხოლმე და თითქმის ზაფხულამდე ვინახამთ, არა ფუჭდება.“

ზათქან-ი ცოცხალი არსების ან რაიმე საგნის ძირს დაცემა და ძლიერი (გამაყრუებელი) ხმის გაგარდნა. „რა მოხდა, ნეტა რამ გაადინა ზათქანი?“

ზამთრი[ს]ლამე დიდი ღამე, „ამ სიცივესა და უშუქობაში რა გაუძლევეს ამოდელა ზამთრი ღამე.“

ზაბა, ზამპა ვინმეს წაქცევის ან მძიმე რამის ძირს დაცემის, დავარდნის ხმა. „უცეფ კისრულზე წამოიღო და ძირს ზაბა (ზამპა) გაადინა.“

ზამპა იხ. ზაბა.

ზედა! გუთნისდედის შეძახილი მეხრეებისადმი. როცა ხარები განზე გაიწევენ და გუთანი კვლიდან ამოვარდება, გუთნისდელა მეხრეებს შეუძახებს: „ზედა!“ რათა ხარი ისევ კვალში ჩააყენონ და გუთანმა სწორედ გაატაროს კვალი (ხნული).

ზევითა ქვა 1. წისქვილის დოლაბი, რომელიც ზემოდან (მაღლიდან) დევს და ტრიალებს. ~~ზევითა ქვა~~ ჰქვია ხელსაფქვავის მოტრიალე ქვასაც, რომელსაც სახელური უკეთია და იმით ატრიალებენ. 2. გადატ. კაცი, ქმარი. „ზევითა ქვა მალე ცვდება (ე. ი. კაცი მალე კვდება).“

ზემთთა ქვა იგივეა, რაც ზევითა ქვა.

ზეზელაჯთრიღლიტე ერთგვარი სპორტული თამაშია. ჯორიღლიტის ერთ-ერთი სახეობა. ახალგაზრდები (ვაჟები) არჩევანის შედეგად შუაზე გაიყოფიან, სათვალავს არა აქვს მნიშვნელობა, ოღონდ ორივე ჯგუფში თანაბარი რაოდენობა უნდა იყოს. კენჭს ყრიან. ვისაც კენჭი შეხვდება, ის ჯგუფი იწყებს თამაშს. მეორე ჯგუფი წრეზე დგება, მოთამაშეები ერთმანეთს მხრებზე აწყობენ ხელებს, მხოლოდ ერთი მონაწილეა წრის გარეთ, რომელსაც წვერით გადაბმული ქამრები უჭირავს და წრის გარშემო ტრიალებს, იცავს მოთამაშეებს, გადაბმული ქამრების მეორე წვერი ერთ-ერთ მოთამაშეზეა დამაგრებული. თავისუფალი ჯგუფის წვერები ცდილობენ, წრეს მიუახლოვდნენ და რომელიმე მოთამაშეს ზურგზე შეახტნენ. თუ მცველი წამოეწია და ფეხი წამოარტყა წელს ქვემოთ, თავისუფალ ჯგუფს დამარცხებად ეთვლება და ახლა ეს ჯგუფი დგება წრედ. თუ რომელიმე კარგად ვერ ზის ზურგზე, შეუძლია ჩამოხტეს და სწრაფადვე შეახტეს ან იმას, ვისაც ზურგზე ეჯდა, ან მის გვერდზე მყოფს, ოღონდ მცველმა არ უნდა მიუსწროს და როცა იგი მიწაზე დგას, ფეხი

არ წამოარტყას და არ ჩაჭრას. მცველს ფეხის წამორტყმა და ჩაჭრა მაშინაც შეუძლია, თუ ზურგზე მდგომი უშნოდ არის ჩამოკონწიალებული და მისი ფეხი მიწას ოდნავ არის აცილებული... თამაში დიდხანს გრძელდება, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი ჯაფა მცველს ადგას. ამიტომაც მცველად ყველაზე სწრაფ და თანაც მაღალ ახალგაზრდას ირჩევენ.

ზეზელაკისრულ-ი ქართული ჭიდაობის ერთ-ერთი ხერხი. კისრულის ერთ-ერთი ლამაზი ილეთია. ამ ხერხს უფრო ძლიერი მოჭიდავეები იყენებენ. თუ ჩვეულებრივი კისრულის შესრულებისას, მოჭიდავე მეტოქეს ზურგზე წამოიკიდებს, მერე დაიკუზება და ისე დაანარცხებს მიწაზე, ზეზელაკისრულის შესრულებისას გაჭიმული დგას ფეხზე და ზურგზე მოგდებულ მოწინააღმდეგეს თავისი ძლიერი მკლავებით გადმოიტარებს კისერზე და ბეჭებზე გაშხლართავს.

ზეთ-ი ირონ. უმუერი, უხასიათო ადამიანი (უფრო კაცზე იტყვიან). „რა იქნა ი ზეთი, დღეი არ გამოჩენილა?“

ზეკაგ-ს 1. ტკეპნის. „ემა ბაღლი რო კვალსა მზეკამს, მამ ვერ უნა დაინახო?!“ 2. სცემს, ტყეპავს. „შენა გგონია არ უჯვარდებიან? თავისი მამა ყოველდღე წიხლითა მზეკამს, მაგრამ რა, არაფერი ეყურება.“

ზეკ[გ]ა 1. ტკეპანა. „გომი ბანი მქონდა დასაზეკი, აღლაუჭობა ავრეკე, აქ ითამაშეთ-მეთქი და უცებ დამიზეკე.“ 2. ცემა, ტყეპა. „ნეტა ვინა ზეკა ემ ჩვენი ბელოვლათი, თავ-პირდასისხლიანებულმა რო ამაიარა.“

ზელაგ-ს სცემს. „მაგ უბედურ ვილა არ მზელამს, მაგრამ ჭკუა მაინც ვერ ისწავლა.“

ზელ[გ]ა ცემა. „ო-ო, მაგამ კაი ზელვა უნდა, მაგრამ ვინა პატრონი?“

ზემბილა ზამბილი. ჭილის ან ლაფნისაგან დაწნული კალათა. ახლა მავთულისაგან დაწნულ კალათასაც ამ სახელს უწოდებენ. „ერთი ზემბილა არაფერი გაქ, მწიფე მსხალი მინდა ჩავაწყო, ცელოფნი პარკში გამიფუჭდება.“

ზემოთართ საპატო, გამოსაჩენი ადგილი. „ვინა გღია ეგა, რო ყველგან ზემოთარომ წამოსკუპდება ზოლმე?!“

ზერაქვერათბ-ს ავადმყოფობს. ხან წევს, ხან ფეხზე დადის. „როგორა გყავ ქმარი? არი რა, ზერაქვერაოფს.“

ზერა-ქვერა ზერა-ქვერა ავანტყოფი. „ზერა-ქვერა ავანტყოფიც არ არის ადვილი მოსავლელი.“

ზიზილო ზიზილა. მოწითალო-მოყვითალო ყვავილია, ლამაზი, ჭკლებში იზრდება. „ბავშვეფს ზიზილოები დაეკრიფათ და თმეფში იწნავდნენ.“

ზინდალ-ი პატარა გრდემლი, ოქრომჭედლის ხელსაწყოა. „ოქრომ მჭედელია, აბა, ვინ არი, ერთი ზინდალია აკლია.“

ზინდან-ი იგივეა, რაც ზინდალი.

ზმარტლ-ი ზღმარტლი. „ჩვენ ტყეში ბევრია ზმარტლი, მაგრამ დაძწიფებად ვერ ამწრეფს, თოვლ რო ჩამოიფრიდ, მაშინ დატკება ხოლმე.“

ზმუკუტა! ზმუკი! სიტყვის მასალა ერთგვარი. მომაბეზრებელი ტირილის, ხვეწნის, თხოვნის პასუხად იხმარება. გაბრაზებით ეტყვიან: „ზმუკუტა!“

ზმუკუტის ნატეხი. 1. იგივეა, რაც ზმუკუტა! 2. სიტყვის მასალაა. როცა ძალიან მოაბეზრებენ თავს, მაშინ მიახლიან: „ზმუკუტის ნატეხი!“ „რატო არ გაჩუმდები, შე ზმუკუტი ნატეხო!“ ამ გამოთქმას მაშინაც ხმარობენ, როცა ვისმე ელაპარაკებიან და ის კი წარამარა იმეორებს: „რა? რა?“ შებეზრებული მოსაუბრე მიახლის: „რა და ზმუკუტა!“ ან „რა და ზმუკუტი ნატეხი!“

ზმურდლ-ი ზმღმურდლი. ჭუპრი, რომელიც საქონელს უჩნდება კანქვეშ. „დღეძ ძროხა აღარ გავაგდე ნახირში, ზმურდლი უნა გავაცალო, თორე გაიტანჯა საცოდავი.“

ზმურტლ-ი იგივეა, რაც ზმურდლი.

ზმურკლ-ი იხ. სმურკლი.

ზოგ-ი ზვავი. „ზოვი ჩამოწვა და ტყეში ვეღარ წავევით შეშიდ მოსატანათ.“

ზოგდებ-ა ზვაედება. „ნუ დადრბიხართ ემაგ კლდეზე, ხო ახედამთ, რო ზოვდება, ქვეშ არ მოგიყოლოთ.“

ზოზიალ-ი ზოზინი, აუჩქარებელი სიარული. „რა ცუდი ზოზიალი იცი ამ კაცმა, აბა, თუ ფეხი აუჩქაროა.“

ზოკო 1. სოკო. 2. გადატ. ზარმაცი, უქნარა, სულ ჯდომა რომ ყუვარს. „ოჰ, შე ზოკო, შენა, გეე როდემდე უნა იჯდე შინ, ადექი, ცოტა გაანძრიე ხელი!“

ზონზროხ-ი/ა დიდი ტანის, სქელი, ზორზოხი ადამიანი. „ემაგ ზონზროხად რა იატაკი გაუძლეფს, ერთ გაივლიდ თუ არა, მაშინვე ჩაანგრეფს.“

ზორაობა, ზორიაობა თავმომწონეობა, მედიღურობა, ყიმყიმი.
„გამოვა სოფელში და ზორაოფს, აღარავის აღარაფრათ არ
აღღუეს.“

ზორიაობა იხ. ზორაობა.

ზორია, ზორია ბიჭ-ი ტრაბახა, ყიმყიმა, ამპარტავანი. „ნახე
ჩვენი ზორიაც (ზორია ბიჭიც) აქ მოსულა.“

ზორია ბიჭ-ი იხ. ზორია.

ზუზაგ-ს გაარტყამს, გააწნავს, შემოჰკრავს „დაანებე თავი,
თორე თუ მოგიტრიალდა, ერთ ისეთსა გზუზამს, თავებღ
გაწყველინეფს.“

ზუზგა გარტყმა, გაწენა, „თუ ზუზგა არ გინდა, თავი
ღამანებე!“

ზუზიგ ზუსტად, გადაუყოლებლივ. „უი, ქა, ემ გადამყიდველები
რა ღამწვარ-ღახრუკულები არიან, ნაქარალ ხილსაც კი სუ ზუზიგ
გიწონიან.“

ზუნზლაგ-ს წუწავს. „ნახე, ერთი, ამხელა ჯორია და პატრა
ბავშვივით იქცევა, დაუჭერია ბოთლი და ყველასა მზუნზლამს.“

ზუნზვლა წუწვა. „რამ იზუნზლებით, ბიჭო, მაგ წვიმაში, შინ
შემოდით.“

ზუნზურ-ი ტოკვა, უშნო ცეკვა, ერთ ადგილზე ტრიალი და
ტანის რხევა. „ეგე ზუნზური მეც კი შამიძლია, მაგრამ ვერა
ებღამ, მცხვენიან.“

ზუნზურებ-ს ტოკავს, უშნოდ ცეკვავს, ადგილზე ტრიალებს
და ტანს არხევს. „ღათვივით ზუნზურეფს და მაგამ ცეკვა მგონია.“

ზურგ-ი ერთი წამოკიდება ტვირთი (შეშა, ფიჩხი, თივა,
საფუქვავი...) „ერთი ზურგი თივალა მაქ, ემ რო დღემ ვაჭამო, ხვალ
რალა უყო?“

ზურგულა იგივეა, რაც ზურგი, ოღონდ უფრო პატარა. „არა,
შვილო, მაგოდენამ შენ ჯერ ვერ მოერევი. პატრა ზურგულამ
შაგიკრამ და იმამ გაგატან.“

ზურგაკუხული-ი ზურგამოზნექილი, გამხდარი,
ძვლებამოშვერილი. „ფული რო აღარ მეყო, ერთი ზურგაკუხული
ძროხალა ვიყიდე ბაზარში.“

ზურგაშვერილ-ი იგივეა, რაც ზურგაკუხული.

თავგ[ვ]ობანა საბავშვო თამაშია ერთგვარი.

თავგი[ს]კბილი, თავგი[ს]კბილებ-ი ბავშვის კბილები. ბავშვი სარძევე კბილებს რომ იცვლის, მაშინ ეუბნებიან, ჯენი თავგის კბილებია, აუცილებლად უნდა ამოიღო და დაუბრუნო, რათა კარგი (ოქროს) კბილები ამოვივიდესო. ბავშვი ინტერესდება და ხალისით თანხმდება კბილის ამოღებას. მერე ამოღებულ და დაფიქსირებულ კბილს, ოთახის კუთხეში, კარადის უკან თვალსუჭულა მონისვრის და თან ამბობს: „აჰა, შენი თავგი[ს]კბილი, მომე ჩემი ოქროსკბილი.“ ბავშვს სჯერა ეს და მთელი პროცესი უმტკივნეულოდ ჩაივლის.

თავგი[ს]კბილა ძირმაგარა. „თავგიკბილა გამომივიდა და ძან მაწუნეუს.“

თავგტიალ-ი ოხერი, ტიალი თავგი. „ერთი თავგტიალი შემოჩვეულია და თელი ლოგინი დაუჭრია.“

თავაბლეჩილ-ი თავალერილი, თავაღებული, ვინც ზევზევიდან იყურება. „ნეტა რა იშოვა ისეთი, თავაბლეჩილი რო დადიმ და ზედ აღარავის უყურეუს.“

თავბოხვერა დიდთავიანი ადამიანი. „ახლაც კარგათ მახსოვს, ჩვენ სოფელში ერთი თავბოხვერა კაცი იყო მილიციელათ.“

თავბრუტ-ი თავბრუ. „წელან თავბრუტი დამეხვა და წინაღამ წავიქეცი.“

თავგასიებულ-ი ირონ. უხეირო, ცუდი ადამიანი. „ეჲ თავგასიებულიც მოსულა აქა.“

თავგადაქნილ-ი თავმოსწორებული. „თივის ზვინი უკვე თავგადაქნილია, წვიმისა ნულა გეშინია.“

თავგადახოტრილ-ი უშნოდ თავგადაპარსული. „მერვე კლასამდე ბიჭები სუ თავგადახოტრილები დავდიოდით სკოლაში.“

თავდათავ თავიდანვე, თავდაპირველად, საქმის დასაწყისში. „თავდათავ ხო მოვილაპარაკეთ, ახლა რაღათ მეშლები?“

თავის გადაქნა თავის მოწორება, თავის მოწვნა. „ცოტა კიდევ, ბაბო გენაცვალომ, თავ გადაუქნი და შენი წინდებიც მზათ იქნება.“ „პაპაჩემი ისე ლამაზათ გადაუქნიდა ხოლმე გოდორ თავ, რო მხატვრი დახატული გეგონებოდა.“

თავისგლა მცდელობა, ყოველი ღონის ხმარება. „აღარ ვიცი, რა ვქნა, რამ ვაგალო თავი.“

თავის კანტურ-ი მლიქვნელობა, ქლერსობა. „არა, ძმაო, ვერ მოიშლია თავისკანტურ, ჯიში აქ ეგეთი.“

თავი[ს]შოაშრება გააგება, გაკაპასება, წრეს გადასვლა. „აუპ, მაგან ზოგჯერ ისე იციმ თავიმოაშრება, რო ცხენიან კაც ძირ დადევს.“

თავის მოდგმა შევსება, გავსება, თავის მოსწორება. „მაგ ზენ თავი კარგა თუ არ მაადგი, წვიმა დააღბოფს.“ „რა ძან მოგიდგამ თავი, ემ რა პირამდე გაგივსია.“

თავკვეთილ-ი/ა ვაკე ადგილი გორაზე. „ერთ პატრა თავკვეთილზე ხეხილი ბალი გავაშენეთ.“

თავ[ს]იგიფებ-ს, თავ[ს]იგიფიანებ-ს გიფობს, გადარეულად, გიჟად აჩვენებს თავს. „რა არი, რა თავ იგიფეფს, რა უნახავივით იქცევა?!“

თავ[ს]იგიფიანებ-ს იხ. თავ[ს]იგიფებ-ს.

თავ[ს]იტიინგიცებ-ს სულელდება, თავს იმჩატებს. „ამხელა კაც არა დცხენია, რა თავიტიინგიცეფს?!“

თავ[ს]იხვეფ-ს თავს იკეთებს (კომბოსტო). „სანამ თავ იხვეფს, ერთხელ კიდე უნა შეუგდო წყალი კომბოსტოში.“

თავჩამოსტირი-ს ძალღან ბევრი ასხია, დახუნძლულია. „ოო, ჩვენ ბლეფს სუ თავჩამოტირის.“

თავქაჯშაყრილ-ი აფორიაქებული, აჩქარებული. „რა დაემართა ამ ღელაკაც ღელე, რა თავქაჯშაყრილი დარბიი აქეთ-იქით.“

თავწყალ-ი მშობიარობის დროს საშოდან დაღვრილი სითხე. „მშობიარობი დაწყებისამ რო წყალი გადმოდიმ საშოდან, „თავწყალ“ იმამ ვეძახით“.

თავსოტორა თავგადაპარსული. „ეზოში თავსოტორა ბიჭები დარბოდნენ.“

თათ-ი წინდის თათი წინდის წინა ნაწილი. „წინდისა ვერ თათი იქსოვება, მერე ყელი.“

თათა! ძაღლისა და კატის გასაგდები შეძახილი. „თათა!, შე ოხერო, შენა!“

თათრი[ს]მხალ-ი ერთგვარი სარეველა ბალახია, მსუქან ადგილებში ზოდის. მომწვანო-მოწითალო ღერო და ფოთლის ყუნწები აქვს. ქორფას კრეფენ და მხალს აკეთებენ. „ნაცარქათამამ თათრიმხალი დჯობია, უფრო გემრიელი კერძი კეთდება.“

თათრული მხალი იხ. თათრი[ს]მხალი.

თათუა, თათუებ-ი ხელი, ხელები (ბავშვის ენაზე). „აბა, თათუა მომეცი, თათუა.“ „ჯიბეში ჩაიყავი თათუები, არ გაგიცივდე.“

თათხაგ-ს შლის (ხელებს). „რა ხელეფსა მთათხამს, რაო, რა მინდაო?“

თათხგა შლა, ფარჩხვა (ხელებისა). „დამიწყო ხელები თათხვა.“

თამკედარ-ი თავმკედარი. სასიკვდილე, წყველაა ერთგვარი, ზოგჯერ საალერსოდაც ხმარობენ: „სადა ხარ აქამდე, შე თამკედარო, შენა, დაგვაწყდა თვალები შენ ლოღინში“.

თანგი-თუნგ-ი გათელის დროს სახმარი სიტყვებია: — ატკობატკო, სამბასო, სამბას იქით, ვითანგო, თანგი, თუნგი...“

თანთქლაგ-ს 1. კარგად ვერ აცხობს, ცომად ტოვებს. „ღუმელი არ მივარგა, მთანთქლამს“. 2. ოდნავ შემცხვარ პურს ჭამს. „ეი ბავშვი რო ესე მთანთქლამს ამ მჭად, არ აწყინოა“.

თანთქლ-ი ცუდად, ნახევრად გამომცხვარი პური (მჭადი), გარედან რომ გაკროწილია და შიგნიდან კი ცოპია დარჩენილი. „ნუ მჭამ, ბიჭო, მაგ თანთქლეფს, კუჭი არ შაგეკრამ“.

თართლაგ-ს სერის, მტვერში განგლავს. „მტვერში მთართლამს სათამაშოეფს და მერე პირში იღეფს“.

თართვლა დასვრა, მტვერში ამოგანგვლა, „მტვერში თართვლი მეტ არაფერ აკეთეფს ამ ეზოში“.

თაფ-ი: თაფს იზამს, იგივეა, რაც ითაფებს.

თაფად ჩაგარდება იგივეა, რაც ითაფებს.

თაფგა იხ. ითაფებს.

თაქლეღ-ი 1. სოფ. თაქლის (გარდაბნის რ.) მკვიდრი, 2. გადატ. უცხო, შორეული, იტყვიან ნებისმიერ უცხო ადამიანზე, რომლის ვინაობაც არ იციან. „არ იცი, ვინ არი უც კაცი? — რავი, თაქლეღი ყოფილა ვიღაცა“.

თევზი[ს]ყარაულ-ი მწერი ერთგვარი, წყალში ცხოვრობს, ჭიამაიაზე ცოტა მოზრდილია და ლამაზი წინწყლები აქვს. მორეში ჯილეების ირგვლივ დაცურავენ წყლის ზედაპირზე, თითქოს თევზებს ყარაულობენო, ამიტომაც ეძახიან ამ სახელს. „ნახეთ, რამდენი თევზი ყარაულაა აქ, თევზებიც იქნებიან“.

თეთრთაფა — თეთრთმიანი, ჭალარა. „ჩემზე შვიდი-რვაწლით პატარაა და ნახე, უკვე როგორი თეთრთაფა მოხუცია“.

თეთრი ქლიაგ-ი — იხ. თეთრქლიავა.

თეთრქლიაგა — ქლიავის ერთ-ერთი ჯიშია. მრგვალი ნაყოფი აქვს, თეთრი, უფრო კი, ქარვისფერი. ივლის-აგვისტოში მწიფდება. ძალიან ტკბილია და ხშირად არაყსაც ხდიან მისგან. „ქლიავისაგან ყველაზე კარგი არაყი ჭანჭურმა და თეთრქლიავამ იცის“.

თელ-ი — მთელი.

თეფა - პატარა ბორცვი ველზე.

თექურ-ი/ა: თექურებ-ი - თექის ჩექმები. „ჩვენთანაც ზოგჯერ ისეთ ყინველს იჭერს ხოლმე, რო თექურები ჩაცმავა საჭირო“.

თვალად - სახეზე. „სათვალავი კი არ მაინტერესეფს, თვალათ რამდენი კაცი გვყავ სამუშაოზე, შენ ეგ მითხარი“.

თვალბარა - 1. ხორბლისფერ თვალებიანი. 2. ცხვარი, რომელსაც თვალის ირგვლივ ყავისფერი ბალანი (მატყლი) აქვს შემოვლებული. „ერთი ლამაზი, თვალბარა ცხვარი ვიყიდე“.

თვალდაყვლებილი, თვალებდაყვლებილი - ვისაც თვალი (თვალები) აქვს დაყვლებილი: თვალდაჭყეტილი. „იღვა შტერივით და თვალდაყვლებილი შამყურებდა მოჭიდავეებს“.

თვალებდაყვლებილი - იხ. თვალდაყვლებილი.

თვალეზი(ს) ბლურწვა კეკლუცობა. „შენ რა, ქალეფს არ იცნოფ, ერთი ორჯელ რო შამხელამ, თვალეზი პლურწვამ დაგიწყებენ“.

თვალი(ს) გამოთხრა ირონ. შეცდენა, „ეა რა პატარძალი მოუყვანათ, ქა, სოფლითვინ (ქალაქითვინ) თვალი გამოუთხრიათ და ეგ არი“.

თვალი(ს) ქნა მოჩხრეკა. გახურებულ თონეში ცეცხლს შუაში შეაგროებენ, მერე ნაცართუთქს მოაყრიან და ამ ნაცართუთქმოყრილ გორას შამფურით (რკინის ჯოხით) ან ხის გრძელი ჯოხით მოჩხრეკენ, შუაში ჩაარჭობენ და მოატრიალებენ, „თვალს“ გაუკეთებენ, რათა სიმხურვალე თანაბრად განაწილდეს თონეში. აი, ამ მოჩხრეკას ეძახიან „თვალის ქნას“. „თონე რაღაც განელდა, მიდი, ქალო (გოგო), თვალი უქენ, ცოტა სიცხოველე მოემატო“. პურის მცხოველი დედაკაეცბი ზოგჯერ გამოუცდელ, განსაკუთრებით ქალაქელ ქალებს გაამასხრებენ ხოლმე, მათ ავალებენ ამ საქმეს. ისინი უნდობლად, მაგრამ მაინც მიდიან თონესთან და თვალს ჩაუკრავენ. დედაკაეცბი უფრო აქეზებენ. „მიდი, ქალო, კიდევ ერთხელ ჩაუკარ თვალი, კიდევ ერთხელ, თუ გინდა, რო დაგიჯერო“. ისიც გაუვლის და გამოუვლის გახურებულ თონეს და თან თვალს უკრავს. დედაკაეცბი ატეხენ სიცილ-ხარხარს, დარცხვენილი ქალები ვერ ხვდებიან, თუ რა აცინებთ ამ პურისმცხოველ დედაკაეცბს.

თვალისფრენა ქუთუთოების სწრაფი მოძრაობა. გადატ. მოლოდინი, მოლოდინის გამართლება. „თვალი მიფრინამს, რაღაც ახალ ამბავ გავიგუე“. თუ ვინმეს დაინახავენ, ვისი ნახვაც არ უნდათ, მაშინ იტყვიან ხოლმე: „უჰ, თვალი, მიფრინამდა და აი, ესეც ამისრულდა.“

თვალხშიერად აშკარად, ცხადად, ყველას თვალწინ. „აღრე ქურდობა და მამაძაღლობა როგორ არ იყო, მაგრამ ასე თვალხშიერათ ვინ გაბედავდა“.

თვეში დგომა: თვეში დგას დღედღეზე მოიგებს. უკვე გააჩნეს (ბატკანს, ხბოს) „უკვე თვეში დგა ჩემი ძროხა, ამა თვალი აღარ მომშორდება“.

თვიდაბეგრა თვითდაბეგრა „წინათ ძან მიკვირდა, ემ თვიდაბეგრა რალაა-მეთქი, ახლა კი ვამოფ, მჯობია, ისევე შამოვილოთ, რალაცაში წავეშველებით სოფელ“.

თიბათვე იენისი. „თიბათვეში რომ გავილოდით გარეთ სამუშაოთ, გვიან შამადგომამდე შინ აღარ შამოვდიოდით“.

თიგი(ს) ძირ-ი თივის დიდი ზენი. „რა უნდა თივიმ ძირ ეზოში, შე კაი კაცო, ბავშვები სუ აქ თამაშობენ, არ გეშინია, ცეცხლი წაუკიდონ?“

თლა, თლად მთლად, „თლათ გადაირია ემ ხალხი.“

თლახათლუხ-ი ფაფის (თათარის) დულილის დროს გამოცემული ხმა. „თათარად უკვე თლახათლუხი გაუდიმ, დროა გადმოვდგათ და ჩურჩხელები ამოვაელოთ.“

თოფლ-ს თოვს. „თელი დღე თოვლს, გადალებას აღარ აპირეფს“.

თოფლა თოვა. „სანამ თოვლა არ დაიწყო, მანამ არ გამორეკა საქონელი ტყიდან“.

თოკ-ი საზომი ერთეულია, უდრის 450-500 კვადრატულ მეტრს. „თვრამეტი თოკი ბალი მეტონდა, კოლმეურნეობამ წამართო, ცოტა ხან კრიფეი ჩემი დარგული ვაშლი და მსხალი, მერე გაკაფეი და აკაცია ჩაყარეი“.

თორე თორემ.

თოფივით დვინო მაგარი, ძლიერი დვინო. „ხირხატში ჩაყარე ვაზი და ძან მოუხდა ადგილი, თოფივით დვინო დადგა, ორ ბოთლზე მეტ ვერ დააღვეს კაცი“.

თოქმა ტანდაბალი, ტანმორჩილი (საქონელი, ადამიანზეც იტყვიან ირონიით) „ერთი თოქმა ვირი მყვანდა ჩვენ მეზობელ, შავსხლებოდით და თელი დღე დავარბენებდით“.

თოხუშამოსაწყვეტი-ი წყველაა. ჯიშ, ჯილაგ, ჩამომავლობაამოსაწყვეტი. „ემ თოხუშამოსაწყვეტი, რა ბოროტი კაცია, თუ გადაეკიდა ვისმე, თავ აღარ დაანებეფს“.

თოხუშამოსაწყვეტილ-ი იგივეა, რაც თოხუშამოსაწყვეტი.

თოხუმძალ-ი ცუდი, უხეირო (აღამიანი), „ეგ ისეთი თოხუმძალა, მაგისგან ყველაფერია მოსალოდნელი“; ზოგჯერ მოფერებიტაც იტყვიან: „აბა, რა გინდოდა, შე თოხუმძალო, შენა!“

თრაქაგ-ს ბერს სვამს, არაფერს არ ზოგავს. „ამოდენა ღვინომ რო მთრაქამს, თავი სუ არ ენანება?“.

თრაქვა ბერის სმა. „სად გაგონილა ღვინო-არყიდ ვერე თრაქვა, ციმბირში ზო არა მგონია თავი!“

თრიე! თრიეშე! თრიიშე! ცხერის გასაგდები (ფარის გასარეკი) შეძახილი. „თრიე! თრიეშე! გაადგი ფეხები, შე სამგლეე!“

თუთა-ბალ-ი: „გინ გაჭამა მაგოდენა თუთა-ბალი“ რა მეტ-მეტებში გადაღიხარ, თავს რამდენ უფლებას აძლევ.

თულ-ი ყაჩაღი, ავაზაკი, ქურდი. „თულიანთ რატო ეძახიან მაგათ? იმიტო, რო წინაპარი თული მყოლიათ, გავარდნილი ყაჩაღი.“

თუნთულა მუსლუკი, გულმისასვლელი. პატარა ბავშვზე იტყვიან: „ისეთი თუნთულაა, სუ უნა კოცნო და კოცნო“.

თუნთულეზ-ი ივივეა, რაც თუნთულა. „რატო ტირი მჩემი თუნთულეზი?“.

თუქსუზ-ი ეშმაკი, თვალთმაქცი, მატყუარა. „ეგ ისეთი თუქსუზია, უფრთხილდი, კიდე არ მოგატყუო.“

თუშ-ი კაპიანი ხის ჯოხი (ახლა უკვე რკინისა), რომელზეც მწყემსები (საერთოდ მინდვრად გასული ხალხი), ყურიან ქვაბს ჩამოჰკიდებენ ხოლმე ხორცის მოსახარშავად ან წყლის გასაცხელებლად. „ტყეში თუ წახვალ, ერთი კაპიანი შვინდი ნახე რამე, თუში მინდა გავაკეთო“; „ხომ თუში ზო მალე დაიწვება, მაგამ არა სჯობია, რკინი ჯოხზე პატარა რკინები დაადუღებინო, გექნება და გექნება“.

თქვენებიიან-ი თქვენები, თქვენი ნათესავეები. „როგორ არიან თქვენებიიანი?“

თქვენსა თქვენს ოჯახში. „ამაღამ თქვენსა მოვდივარ, კარი დატოვე ღიარ“. „გიყები თქვენსა მოიკითხე“.

თქვრა ბერი წყლის (სისხლის) დაღვრა. „მაა ვერა მხედამ, ემ ბავში თქვრაზე რაა გადასული?“

თქვრი-ს 1. ბერ წყალს (სისხლს) ღვრის. „ემ კაცი ასე ტყუილ-ურბალოთ რატო თქვრის ამოდენა წყალს?“. 2. სვრის „ცხვირიდან წამდარდა სისხლი და ნახე, ყველაფერსა მთქვრის.“

თქლეშაგ-ს უშნოდ ჭამს ხილს (ვაშლს, მსხალს) „დაუჭერია ვაშლი და მთქლეშამს.“

თქლეშეა უშნოდ ჭამა ხილისა. „მაგან მარტო თქლეშეა იცის, ხელიდ გატოკება არ ეკადრება.“

თხელნაჭუჭა კაკლის ერთ-ერთი ჯიშია. „ერთი თხელნაჭუჭა კაკალი გვიდგა, ლენჯო დასკდება თუ არა, ჩიტები დაუწყებენ ხოლმე ძიბვენამ“;

თხიფსელა მცენარეა. საშუალო ზომის ხე იზრდება, მომწვანო ქერქი აქვს. „თხიფსელა არც მასალათ ვარგა და არც შეშა აქ მაინცდამაინც კარქი“.

იალამ-ი ღამისა და ღლის გასაყარი. გარიჟრაჟის დასაწყისი. „იალამზე ავდექით და ქალაქი გზა დავადექით“.

იალამის დამჭრა გარიჟრაჟება. „იალამი რო დაიძრა, ჩვენ უკვე ტყეში ვიყავით“.

იანაიანად; იანაიანად სიარულ-ი ვისიმე ჯგუფ-ჯგუფად ხშირი სიარული „რა იანაიანათ დადინ ესენი, ვინ არიან ან რა უნდათ ჩვენგან?“

იბაღვებ-ა ერთიანად ივლიჯება, ფუჭდება (მწვანელი, ხილი) „ახლა კი ვიცი, ესე ერთიანათ რატომაც იბაღვება ეს ბაღები“.

იბრასტება წყდება, იხოცება. „დიდი თოვლი ჩამოყარა, საკვები აღარაფერია და ცხვარი ერთიანათ იბრასტება“.

იბუტრაგებ-ს იკოტრიალებს (ლოგინში), აურ-დაურეეს (ოთახს). „მაგამ ეგე ადვილათ ვერ დამძრამ ლოგინიდან, ერთ-ორ საათ მაინც იბუტრაგეფს“.

იბუტულაგებ-ს იგივეა, რაც იბუტრაგებს. „ეგ კარგა დიდხან იბუტულაგეფს ოთახში“.

იგოლებ-ა 1. ტანს არ იყრის, არ იზრდება, ჩიავდება „ჭამით კარგა მჭამს ეს ხბო, მაგრამ ვერ გამოივია, რატო იგოლება“. 2. იფიტება, შრება (მიწა). „ყოველ წელ ისე იგოლება ეს მიწა, ხეხილი სუ გახმება“.

იგულებ-ა მაგრად იკეტება (კარი, სარკმელი). „ცოტა თუ არ გავასალაშინე კარი, ხან ისე იგულება, რომ თელი დღე ვეჯავჯვურები და ვეღარ ვალეფ“.

იღებ-ს 1. ტალახს, ლაფს იკრავს (ბარი, თოხი) „აბა, როგორ დაიბარამ, ჯერ ისევ იღეფს ბარი.“ 2. იღეექება, ნალექს იკეთებს. ადრე, მარტოფელები სანამ მიღებით გამოიყვანდნენ სასმელ წყალს, წყაროებიდან და მდინარეებიდან იღებდნენ; მაშინ ისე იცავდნენ სისუფთავეს, საქონელსაც კი არ უშვებდნენ ახლოს. ამ სოფლის ერთ-ერთი დიდი უბანი, ე.წ. ძამაანთუბანი, მდ. ალიხევიდან ეზიდებოდა სასმელ წყალს. ამ მდინარემ კი, რომელიც სათავეს თეთრი კლდიდან იღებს, დიდი წვიმების დროს თეთრად იცის ამღვრევა. ხალხი მაინც იღებდა ამ მღვრიე წყალს, ოღონდ სავსე ჭურჭელს რამდენიმე ხანს დადგამდნენ, დააკვირდებოდნენ, ნალექი თუ გარკვეულ ზღვრულს ასცდებოდა, გადაღვრიდნენ, კიდევ მოიცდიდნენ, სანამ წყალი სასურველ დონემდე დაიწმინდებოდა. ვინც პირველი წაეიდოდა წყალზე,

სხვები შორიდანვე გასძახებდნენ: „აა, რამ შერება, იდეფეს?“ თუ უპასუხებდა: „არა, აღარ იდეფსო.“ ისინიც წავიდოდნენ მოსატანად. თუ „იდეფს, იდეფსო“, უკან გამობრუნდებოდნენ.

იზმუზნებ-ა ისმუზნება, პირს აცმაცუნებს, უშნოდ ჭამს. „მშია, მშიაო და, ნახე, რა უშნოთ იზმუზნება.“

იზნეგ-ს, იმზნეგ-ს ზიანს მოუტანს თავის თავს. „ემ ბიჭი ისეა ატეხილი, რაღაცამ იზნევს, იცოდე.“

იზურგულებ-ს ზურგზე მოიკიდებს. „ეგ ისეთი მაგარი კაცია, ზელაც არ ღამხელამს, ისე იზურგულებს და წაიდეფს“.

ითათხებ-ა ივინება, ილანძღება. „რა იყო, რამ ითათხები, ვინ რა ღაგიშაუა?“

ითაფებ-ს თაფად ჩავარდება. ცხელ თონეში პური აიტკრიცება და ჩავარდება. „თვალი გეჭირომ, ფქვილი რაღაც არ მამეწონა, პური ითაფეფს და დაგვეწვება.“

იის დედა იგივეა, რაც ბებრისია „ჩვენი ვენახი თავში სუ იის დედაა მოფენილი“.

იკეთილებ-ს გაიხარებს. „არა, შეილო, ვერ მივათხოვეფ, ემ გოგო იმათ ხელში ვერ იკეთილეფს“.

იკვლივის ბუღა გადატ. თამამი, გალაღებული ახალგაზრდა. იკვლივი იალნოს მოპირდაპირე ქედია. მის იალალზე მობალახე ბუღის კივილი იალნოზეც ისმის ზოლმე. „იკვლივის ბუღას“ ისეთ ბიჭზე იტყვიან, სულ გოგოებისაკენ რომ გაურბის თვალები, მაგრამ ოჯახს კი ჯერ არ ეკიდება. „რატო არა მნიშნამ შენ ბიჭ, ეგრე როდემდე უნდა იაროი იკვლივი ბუღასავით.“

იკმენ-ს იკბენს. ინანებს. „მალე იკმენს თითებზე, მაგრამ უკვე გვიან იქნება“.

იკმინებ-ა იკბინება. „ნუ გეშინია, ემ ძალი არ იკმინება“.

იკმინჩებ-ა 1. კბილებს ასობს და ვლეფს. „დაუჭერია ვაშლი პატარასავით და იკმინჩება“. 2. იგლიჯება, კბილი ესობა. „რათ გინდა, ეგ მსხალი რო დაგიკრეფია, ზო მხელამ, ჯერაც არ იკმინჩება.“

იკოხებ-ა იღუშება, იბღვირება. „ერთი შეხედე, როგორ იკოხება, თითქომ მაგისი ვალი გვემართოდ“.

იკრიხებ-ა უშნოდ იპარსავს, იკრეჭს თმას. „ყოველ ზაფხულ ესე იკრიხება, თმა არ გამცვივდეფსო“.

იკუჭებ-ა ლენჯოიანი კაკალი უკვე შეიძლება შუაზე გაიპოს დანით და გული გამოეცალოს. „ეგ კაკალი რო გაუბაღვია, უკვე იკუჭება?“

ილანძებ-ა იტრუსება. აღზე იწვება. „გე ახლო რომ მიმძღვარხარ ცეცხლთან, ვერა მხელამ ემ პალტო რო ილანძება?“

ილასლასებ-ს მშიერი ივლის (ლასლასით). „იმ ძაღლ არაფერ არ აჭმევენ, გავა უბანში, ილასლასეფს, ილასლასეფს, მივა და ეზომი დაეღება“.

ილაფებ-ს სველი იქნება მიწა „ჯერ ნუ შახვალ ვენახში, არ გაითონება, ილაფეფს“.

ილოპრებ-ა ადვილად სცილდება ქერქი ხეს. თებერვლის ბოლოს ან მარტში, ხეს წყალი რომ ჩაუდგება. ტირიფს, კაკალს სწორ, თითის სიმსხო ტოტს მოაჭრიან და სტვირს გააკეთებენ: ჯერ მოსინჯავენ, თუ ადვილად სცილდება ქერქი ანუ ილოპრება, მაშინ მოსჭრიან. „ხე ილოპრება უკვე, აბა სტვირები გაგვიკეთებია და ეგ არი.“

ილურსებ-ა 1. საკენად ემზადება. „მეერიდე მაგ ცხენ, ვერა მხელამ, როგორ ილურსება?“ 2. იმღურება, იმღვირება. „რა მოუვიდა მაგ ქალ, გვე რატო ილურსება ნეტავი“.

ილღუნ-ი მცენარეა, ხე ან ბუჩქი. იაღღუნი. მლაშობ ადგილებში იზრდება.

ილღენიან-ი ადგილი, სადაც ილღუნი იზრდება. „თბილისი ი ზღვაძთან ერთ ადგილ ილღენიან ვეძახით“.

იმათსა იმათ ოჯახში, იმათ სახლში. „გუშინ იმათსა ვიყავით“.

იმღონ-ი იმღენი. „მაგათ იმღონი შაძლება რო მქონდეთ, ქოხში იცხოვრებდნენ?“

იმერელ-ი დასავლეთ საქართველოს მკვიდრი. „ძველათ გურული ვინ იყო, ან მეგრელი, ვინ იცოდა, ყველა იმერელ ვეძახდით.“

იმზნეგ-ს იხ. იზნეგს.

იმთავით, იმთავითვე იქიდან, იმდროიდან, თავიდანვე „იმთავით ვგეთი უხეირო იყო და ახლა რა გამაასწორეფს“.

იმთავით-ამთაობამდე იმდროიდან ამდრომდე, თავიდან-აქამდე. „იმთავით-ამთაობამდე სუ ამა ი ჩავჩინეფ, მაგრამ ვინაა გამგონი.“

იმთენ-ი იმღენი. „იმთენი ქნა, თავისი მაინც გაიტანა.“

იმთონ-ი იგივეა, რაც იმთენი. „იმთონი შენ რა ვითხარი.“

იმითვინ იმისთვის. „იმითვინ დარჩა შინ, რო აქავრობა აებუტულავებინა“.

იმიტოლა იმისი ტოლი, იმისხელა, „იმიტოლა არ მაიყარე, რა დაგიშავა იმ მოხუცმა კაცმა, ეგე რო მლანძღამ.“

იმოტენა 1. იმდენი „იმოტენა ნახირი სად გინდათ, რო აძოვოთ“? **2.** იმხელა „იმოტენა ხეი როგორ დამძრამ ადგილიდან“.

იმოტოლა 1. იმსიდილო, იმხელა „იმოტოლა გაზდილა, ველარც კი ვიცანი“. **2.** იმდენი, „იმოტოლა ხალხი რო დამაყენე თავზე, რა უნა მექნა, რით გაემასპინძლებოდი“.

იმოტონა იმდენი. „იმოტონა ვაშლი და მსხალი უსხია და ერთ არ მოგიწყვეტამს, გულით რო გინდოდე“.

იმსააჩი მაშინვე. „შენ ოღონდად დამირკე და იმსააჩი შენთან გაჯინდები“.

იმმგლევა იმზღვევა. „იმ ფერდობზე ნულა გაივლით, მიწა იმპლევა და არ გადაადცივდეთ“.

ინაბარა[ს], ინაბარად იმედად. „შენ ინაბარათ ღმერთმა არ გამხადოს“.

ინად-ი ჯიბრი, ქიშპი. „რა ინად მიწვე, შვილო, აზირ მოხვიდე და მხარში ამამიდე“.

ინადიან-ი ჯიბრიანი, შურიანი. „ეგ ისეთი ინადიანია, ახლომ არავის არ გაიკარეფს“.

ინარიკლებ-ს სპობს, ბოლოს უღებს. „ეგ უბედური, ევა, თავსაც იკლამს და დედ-მამასაც ინარიკლეფს“.

ინარჩუმებ-ს ინარჩუნებს, იტოვებს. „არავისი რიდი და შიში არა აქ, რასაი ხელ მოიკიდეფს, ყველაფერ თავიმივინ ინარჩუმეფს“.

ინგილო გამოუსვლელი, გაუთლელი, ხეპრე. „ნეტა, შე ინგილო, შენ ვინ რამ გეკითხება“.

ინთილა კუჭის (მუცლის) ტკივილი. „რა მოუვიდა, ინთილა ხო არა დჭირს, რამ დარბის აქეთ-იქით“.

ინიფებ-ს იფინებს; ჭირვეულობს, ამოიჩემებს. „ისეთი საზიზლარი ბავშვია, ხან რას ინიფეფს და ხან რამ, ვერაფრით ვერ ვარჩუმეფს“.

ინფორმატორ-ი გადატ. დამსმენი, ჩამშვები. „ადრე მილიციამთან ვინ დაიჭერდა საქმედ, ეთაკილებოდათ, ახლა კი ინფორმატორებით გაიმსო სოფელი“.

იოლი და იორლა სიტყვის მასალა. ადვილია. „მაგიდ გაკეთება რა უნდა, იოლია და იორლა“.

იოწით: იოწიოდ წავიდა საქმე გაუუჭლა. „ე-ეჰ, იოწით წავივიდა საქმე“.

იპნეგ-ა იფანტება (მარცვლეული, ფქვილი) „ეგ რა ტომარაში ჩავიყრია ხორბალი, ნახე, როგორ იპნევა“.

იბლურწკებ-ა იპრანჭება, კეკლუცობს. „ქალი რო თავ არ უკლიდ, ვეეთი ქალი რა ქალია, მაგრამ სუ რო სარკეში იყურება და ერთავათ იბლურწკება, არც ეკ არი მოსაწონი“.

ირაო აბუეტი, ჩერჩეტი. „რა ირაოსავით დადღინარ, სახლი გზად ველარ აგნუფ?“

ირდებ-ა იზრდება. „ე ბიჭი ირდება და ვირდება“.

ირემა, ირმა ძროხისა და ხარის სახელებია. არქმევენ რუხ-ნაცრისფერ საქონელს, რომელსაც გრძელი (ჭოტა) რქები აქვს. „ჩემი ირმა გასაყიდათ სუ არ მემეტება, მაგრამ რა ვქნა, რით შავინახო?“

ირმი(ს)დორბლ-ი აბლაბუდა, თეთრია, ბამბის ქულას ჰგავს, გვიან შემოდგომამზე იცის, ჰაერში დაფრინავს და ბუჩქებზე დაეკიდება ხოლმე. „მალე დაგვიზამთრდება, ნახე, რამდენი ირმი დორბლი დაფრინამს ჰაერში“.

ისეშე სიტყვის მასალაა, როცა საუბარში ვილაცის ან რალაცის სახელი დაავიწყდებათ, მაშინ ჩაურთავენ ხოლმე. „ჰო, იმან მითხრა, ისეშემ“.

ისიკნებ-ა ძღება, ბევრს ჭამს. „ამ ყველითა და პურით რო ისიკნება, მერე რალა უნა ჭამოდ, სუფრა რო გაიშლება?“

იტკრიცებ-ა იგივეა, რაც ილანძება.

იტროყიალებ-ს იხეტიალებს, უსაქმოდ ივლის აღმა-დაღმა. „წავა, დიდიდან საღამომდე სადღაცამ იტროყიალევს და მერე მოეხეტება შინ“.

იტუნტულებ-ს იხეტიალებს, ტუნტულით ივლის. „იტუნტულევს, იტუნტულევს და მე მამადგება“.

იტუნტურებ-ს იგივეა, რაც იტუნტულებს.

იტურნებ-ა ინაბება, ჩუმდება. „შინ რო იტურნება, გამაიხედოდ გარეთ, არაეინ არ შამჭამს“.

იფშ(ხ)ლიკებ-ა ფეხებსა და ხელებს შლის განზე, იმანჭება, იგრიხება. „ე რა გაუზღელი ბავშვი მყოლიათ, ნახე, როგორ იფშხლიკება“.

იქაგებ-ს 1. ენას იქავებს. ბევრს ლაპარაკობს, ლაყობს. „მაგად რალა გააჩერევს, ვერა მხედამ, ენა იქავეფს“. 2. ზურგს იქავებს. ატეხილია, ცემას იმსახურებს. „რა უნდა, რა ზურგ იქავეფს, ვერ გაჩერდება?“

იქაჩებ-ა თავი მოაქვს, იბღინძება. „რად იქაჩება, რო იქაჩება, მაგად თავი ვინა მგონია?“

იქნამდე იქამდე. „ერთი იქნამდე მაცოცხლა, გაჭირვებულ ქართველ კაც რო აღარ დავინახამ.“

იქნებ-ა იწვრთნება (ხარი). იხ. იხედნება.

იქ-ს აკეთებს; შვრება, იზამს. „მამაშენი რასა იქს, როგორ არი?“

იღამებ-ს: თვალებს იღამებს თვალებს იღლის, ბევრი კითხვისგან თვალებს ითხრის. „რა არი, ემ ბიჭი ყოველდღე ესე რო იღამეფს თვალებს, არ გეცოდება?“

იღვერებ-ა მატყლი თავისით სცვივა. „ემ ცხვარი ნახე, როგორ იღვერება, ცოდოა, დროზე გაპარსე“.

იღმურცლებ-ა ილუკმება, მადიანად ჭამს. „საწყალ დაუჭერია ხმელი პური და იღმურცლება“.

იყბორებ-ა იგივეა, რაც იღმურცლება. „ამ მჭადით რო იყბორება, მერე რალა უნა ჭამოა“.

იყმინდებ-ა დიდ ლუკმებს იღებს პირში და ხარბად ჭამს. „ისე იყმინდება, გეგონებათ. ერთი თვეა პირში არაფერი ჩაუდვიაო“.

იჩაჩხებ-ა 1. ფეხებს განზა შლის, ფარჩხავს. „ერთი შეხედე, რა უშნოთ იჩაჩხება.“ 2. წვალებით აღის მალლა (ხეზე, კბეზე). „სად იჩაჩხები, გოგო, ჩამოდი, არაფერი იტკინო“.

იცანცარებ-ს ცანცარით ივლის. „ჩვენი კურდღელი გავა ბოძთანში, ცოტა იცანცარეფს და ისევ უკან მობრუნდება.“

იცქვლიფებ-ა იყვლიფება, კანი სძვრება. „ჯერ ადრეა კართოფილი ამოღება, ისევ ისე იცქვლიფება.“

იწკნავლებ-ს წკნავილს ატეხს, წკნავილს გააბამს, იწკპუვლებს. „ლექვია, ხო არ ილაპარაკეფს, ცოტა იწკნავლებს და გაჩუმიდება“.

იწონწიალებს იზოგავს, ცოტას ხარჯავს. „ყირათიანი კაცია პაპაჩემი, ყველაფერ ისე იწონწიალებს, სხვადა რო ერთ კვირამ არა მყოფნიდ, ეგ ერთ თვე იმყოფინეფს“.

იჭიფებ-ა 1. იჭინთება. ნაჭყაპურებს იღენს. „ემ ბავშვი ისე იჭიფება, ნაწლავები გადმოდცვივა გარეთ“. 2. ბუირდება. „მიხედე ბავშვ, ვერა მხედამ, რო იჭიფება?“

იჭყირაბებ-ა ძალიან ბევრს სვამს. „ყოველდღე ღვინით იჭყირაბება და მერე უკვირს, გული რატო მტკივიაო“.

იხანხლებ-ა ცუდად ცხვება. „ღუმელი არ მივარგა, კარქა ვერ აცხოფს მჭად, სუ იხანხლება.“

იხლართებ-ა ნაწლავები ეკვანძება. „ცხვარი, გაპარსვი დრომ, დიდხან თუ შეხებგაკრულია, იხლართება და ზოგჯერ კვდება კიდევაც“.

იხედნებ-ა იწვრთნება (ცხენი). „ჩვენთან იხედნებამ მარტო ცხენზე ვიტყვი, ხარზე კი იქნებაო. ესე იგი გამოხედნა ცხენს უნდა, გამოქნა ხარსა.“

იხეჩებ-ა შუაზე იპობა. „წიფლი შეშა ადვილათ იხეჩება“.

იხრანტებ-ა იფურთხება, ხრანტს იღებს ყელიდან. „რა უშნოთ იხრანტება ემ კაცი, სუ აღარავისი არ ერიდება.“

იჯგიმებ-ა იჭიმება, იბლინძება. „ისე იჯგიმება, თითქომ ქვეყანა მაგისი იყოს.“

იჯეჯილებ-ს დრო გაჰყავს. წასვლა არ უნდა. „ისე იჯეჯილეს, გათენებამდე შეხ არ მაიცვლის აქედან.“

იჯღანებ-ა 1. იკრიჭება, იჭყანება, იღრიჯება. „რა ყველი ვაჭარივით იჯღანება ემ კაცი.“ 2. ცუდად ჰქერდება. „არა არ მინდა, ნულა დააკერეფ, ცუდათ იჯღანება, მაგეები ჩამცმელი აღარა ვარ მე.“

კაბაგასაშაგებელ-ი ვისაც კაბა უნდა გაუშავდეს, ვინც უნდა გლოვიარე გახდეს. წყველა, „ეა კაბაგასაშაგებელი ისევ აქა გლია.“

კაგ-ი 1. ვაზის, გოგრის ულვაში. „ვაზსაც მაგარი კავი აქ და გოგრასაც. ეა კავი ზოგჯერ ისეა მართულზე ჩაზვეული, დანით თუ არ ააჭურ, ვერ აავლეჯამ.“ **2.** ლობიოს ზვიარა ღერო. „ერთი ჯიშია ლობიო მაქ, ხუთ-ექვს მეტრაზე გააქ კავი და თოვლი მოსულამდე იძლეფს.“

კაგინი ლობიო ლობიოს ერთი ჯიშია, იგივეა, რაც ფინხილობიო.

კათათვე მკათათვე, ივლისი. „ერთხელ ისეთი სიცივეები დაიჭირა, კათათვეში ხელები გვაძრებოდა.“

კაი ქვა კედელ(ს) არ გამოგარდება უხეირო, ცუდი კაცის მიმართ იტყვიან, ვინც სხვა სოფლიდან (კუთხიდან) არის მოსული. ე.ი. ეგ რომ კარგი კაცი იყოს, თავის სოფელში დარჩებოდაო.

კაკანა აკვანი (ბავშვის ენაზე) „წამოდი, ახლა კაკანაში უნა ჩაგაწვინო.“

კაკვია 1. ცაცია. „ეა როგორ მეჯიბრება, ეა კაკვია, ესა“. **2.** წელში მოხრილი, მოკუზული. „კაკვია კაცი დაეინახე, ვენახში მიდიოდა“.

კაკლაობ-ს კაკლობანას თამაშობს. „თელი დღე რო კაკლაოფს, გაკვეთილეფს როდილა ამზადეფს ეა ბიჭი.“

კაკლაობა, კაკლობანა კაკლებით თამაში. საბავშვო თამაშია. ერთი ვარიანტი ასეთია: ბავშვები (ორი, სამი...) ფერდობზე დასხდებიან, კენჭს გამოიღებენ და ჯერ ის, ვისაც კენჭი არ შეხვდა, დააგორებს კაკალს, მერე მეორე მოაყოლებს კაკალს და ა.შ. ცდილობენ, ისე დააგორონ, რომ წინა დაგორებულ კაკალს მოახვედრონ. ვისი კაკალიც დაეჯახება ადრე დაგორებულ კაკალს, გამარჯვებული ის იქნება და ყველა კაკალს ის წამოკრეფს.

მეორე ვარიანტით: ორი მოთამაშე ტოლ-ტოლად შეკრებს კაკლებს, ვისაც კენჭი შეხვდება, ყველა კაკალს წამოკრეფს, ხელებში ჩაიყრის და იატაკზე გაშლის კაკლებს. მერე წკიპურტის მირტყმით ეცდება, ერთი კაკალი მოერეს მოახვედროს, ერთი მეორეს შეეჯახებული კაკლები მოგებულად ეთვლება და თამაშს აგრძელებს, თუ ასცდა და ვერ მოახვედრა, ახლა მეორე მოთამაშე იწყებს თამაშს და ა.შ.

კაკლობანა იგივეა, რაც კაკლაობა.

კაკლი(ს)ბუფ-ი ბუ. გადატ. დიდთვალემა, ჭყეტელა, ვისაც ბუსავით დიდი თვალები აქვს. „*ემა კაკლი(ს)ბუვი ისევ ბულალტრათ მუშაოფს თურმე.*“ კაკლიბუვი ხშირად მეტსახელად გვხვდება.

კაკლი(ს)გულ-ი ნიგოზი. „*იმოდენა კაკლიგული უჭამია, რო სახეზე მუწუკები გამაყარა.*“

კაკლი(ს) კბილი ნიგვზის მეოთხელი. „*კაკლი(ს) გულ შუაზე რო გაყოფთ, იმამ ლებან ვეძახით, ლებნი ნახევარ კი - კაკლი(ს) კბილი მქვიან.*“

კაკნატელა თონის პურის თხელი ნაწილი, კარგად გამოცხვარი. „*ზოგ პური ყუა უყვარს, მე კი კაკნატელა ყველაფერ მირჩენია.*“

კაკნაწელა იგივეა, რაც კაკნატელა. „*პატარა კაკნაწელა მამიტეხე.*“

კალო გაცრილ ქვიშას (ლამს) მოსუფთავებულ ადგილზე დაყრიან, გულს ჩაულრმავებენ, განზე გასწევენ, ცემენტს მოაყრიან ზომა-წონაზე, წყალს დაასხმენ და აურევენ ანუ მოზელავენ. ერთ არევას ერთი კალო ჰქვია. „*დავიხოცენით მუშაობით, ემ რა მაგარი კალატოზი ყოფილა, დღემ ათი კალო აგვარეინა.*“

კალოს ამრეფ-ი კირის მომზელავი. „*არა, შენ კალომ ამრევათ ვერ გამოდგები, მიდი, ქვა მიაწოდე კალატოზ.*“

კალოს შახვეტა გალენილი ბზისა და ხორბლის ერთად შეგროვება გასანიავებლად. „*აბა, ბიჭებო, სანამ ნიაგი უბერამს, კალო შეხვეტოთ და უცბათ გავანიავოთ.*“

კალტი-ი ერთგვარი ხაჭოა. ყველს რომ გააკეთებენ, შრატს ქვაბში მოაღულებენ, კარგა ხანს რომ იღულებს, გამოჩნდება თეთრი სქელი მასა, რომელიც თანდათან იკვრება. გადაწურავენ და მიირთმევენ. ეს არის კალტი.

კანაფა სარეველა ბლახია. „*კანაფა მოერია ნათესობამ და თუ ღროზე არ გავმარგლეთ, ფესვ გაიმარეფს და გაბნელდება ამოგლეჯვა.*“

კანთიელად კაფიეთად, გარკვევით, გასაგებად. „*ერთი კანთიელათ გვითხარ, შენ გახარებამ, რა გინდა ჩვენგან, რამ მოითხოვი?*“

კაპარჩხალა ავი, ანჩხლი, კაპასი (ქალი). „*დაანებე თავი, თორე ეტყობა, ეგ ისეთი კაპარჩხალაა, თავფეხიანათ შაგჭამს.*“

კარგუნახავი-ი 1. ვისაც კარგი არ უნახავს. „სად დაიკარგება ხოლმე ეს კარგუნახავი, ესა“. 2. გაუთხოვარი ქალი. „საწყალი ქალი, კარგუნახავი წავიდა ამ ქვეყნიდან“.

კარები-ი ეზო, კარმიდამო. „კარებზე ერთი დიდი თუთა გვიდგა“.

კარების ატალახება გადატ. ხშირი სტუმრობა. „რო მემდურები, ჩვენსა არ მომდინხარო, შენ რა, ყოველ დღე კარეფს მიტალახეფ თუ რა?“

კარაქის მოსგლა ნალების დღეებისას კარაქის გამოჩენა. „რა მოუვიდა ამ ოხერ, აღარ და აღარ მოვიდა კარაქი“.

კარის დაგულგა კარის მაგრად დაკეტვა. „ერთი კარგათ დაგულე კარი, ღამე არაფერმა გაალომ“.

კარის შიგდება კარის მიხურვა. „კარი მიუგდე, ცოტა სითბო დატრიალდე“.

კატაფშატი ჭალაფშატი. ისხამს წვრილ ნაყოფს. „ამ კატაფშატიმ ადგილ როგორ აცდენინეფ, ნამდვილი ფშატი მაინც დაგერგო“.

კაური-ი ქართული ჭიდაობის ილეთი, ფანდი. „კაური სამნაირია: გარეკაური, შუაკაური და ბრმაკაური“.

კაფიეთ-ი მკაფიო, გარკვეული, გამოკვეთილი. „ნეტა როდი უნა ისწალომ კაფიეთი ლაპარაკი“.

კაფიეთად სწორად, გამოთქმით ლაპარაკი. „კაფიეთათ მითხარ, რა გინდა, რო მოგცე?“

კაშნი-ი კაშნი. „კაშნი მოიხვიე, ქარია, ყელი არ გაგიცივდე“.

კაწაწ-ი ქალის თმა საფეთქლებთან. „იმ ჯანდამწვარი ისეთ დღეში ჩავაგდე, სუ კაწაწები ვაგლიჯე“.

კაწაწ-ა იგივეა, რაც კაპარჩხალა „რაო, მაგ კაწაწამ ისევ დაგცოფათ“. მეტსახელია ქალისა.

კაჭაგ-ს კაფავს. „ემ უღმერთო მიდღეომია და ერთიანათ მკაჭამს ვენახ“.

კაჭახ-ი ხმელი მსხვილი ღერო ბალახისა. „ემ თივა კი არა, კაჭახია, ამამ რა საქონელი შამჭამს“.

კაჭეჭ-ი კაჭაჭი, გამხმარი ღერო სიმინდისა, მზესუმზირის და საერთოდ მსხვილღეროიანი ბალახისა, ზოგჯერ ცეცხლის დასანთებად ხმარობენ. „შეშა გაგვითავდა და ახლა კაჭეჭსა ვწომთ“.

კაჭეხ-ი იგივეა, რაც კაჭახი. „კაჭეხები შუკეთე, ადვილათ მოეკიდება“;

კატეგა კაუვა, ერთიანად ჭრა. „ვენახი ძალიან დამიბერდა, უნა გაკვაჭო და ახალი ჩავყარო“.

კატეგატს დააჩხავლებ-ს მჟავე, უვარგის ღვინოზე იტყვიან. „არა, ძმაო, მაგათი ღვინო არ დაილევა, კატეგატში რო კატეგატია, იმად დააჩხავლეს“.

კბილ-ი ლებნის ნახევარი, „ერთი კბილი ნიგოზი რა არი, ისეთი ძუნწია, იმად არ გაიმეტეს“.

კბილის (კბილების) კაწკაწ-ი დიდი სურვილი, ნდობა (საჭმლისა). „საჭმელ დაინახამს თუ არა, მაშინვე კბილები კაწკაწი აუტყდება“.

კბილის გამოსაჩინქნ-ი საჭმელი (რამე). „ვეგენი ისეთი ლატაკები იყვენ, კბილი გამოსაჩინქნიც არაფერი მქონდათ“.

კბილის გამოჩხრეკვა ნაკლის პოვნა. „მაგად ვინ რამ მოატყუებს, ყველაფერ კბილ გამოუჩხრეკამს“.

კბილის შაკგრა შელოცვაა ერთგვარი. დაკარგული საქონელი ნადირმა რომ არ გააფუჭოს, მლოცავს შეალოცვინებენ, რათა ნადირს კბილები შეეკრას და ვეღარ დაგლიჯოს.

კეთილებძაღლ-ი სალანძღავი სიტყვაა. „სადაა აქამდე იმ კეთილებძაღლი, ისა“.

კეთილძაღლ-ი იხ. კეთილებძაღლი.

კეთილნაშობ-ი სიტყვის მასალაა. უფრო მოფერების მნიშვნელობით იტყვიან და ქალების შეტყვევებაშიც გამოიგონია, „შე კითილნაშობო, შენა, სად დაიკარქე, ესე დავიწყება შაიძლება?“

კეკელაობ-ს ძილბურანშია, კაცს რომ ეძინება და მაინც ჯიუტად ზის, არ წვება დასაძინებლად, მაშინ იტყვიან ხოლმე: „ნეტა რასა კეკელაოფს, აზირ დაწვი და დაიძინო“.

კეკელაობა ძილ-ბურანში ყოფნა. „ამყო კეკელაობა, დაწვი ახლა და დაიძინე“.

კენწვლა ჩილიკით ჯოხის ჰაერში გდება.

კენწლაგ-ს ჩილიკით ჰაერში აგდებს ჯოხს და თვლის.

კენწლაობ-ს ჩილიკით ჯოხს ჰაერში აგდებს და ერთობა.

კენწლაობა საბავშვო თამაშია ერთგვარი. ბიჭები თამაშობენ. ჩილიკჯოხობის ერთ-ერთი სახეობაა. ორი ბიჭი კენწს გამოიღებს და ვისაც იგი შეხვდება, კენწვლას დაიწყებს. მარჯვენა ხელში ჩილიკას დაიჭერს, მარცხენა ხელით დაადებს ჯოხს და ჩილიკის ქვემოლან ამორტყმით მალლა აისვრის. ვისაც ჯოხი ძირს არ ჩამოუვარდება და მეტ დარტყმას მოასწრებს (ჯოხის ჰაერში აგდებას), გამარჯვებულად ის ითვლება.

კეჟერა: კეჟერა მსხალ-ი მსხლის ერთ-ერთი ჯიშია. გემრიელია და ღიძხანს ინახება. „ვენახი ბოლომ ერთი კეჟერა მსხალი გვედგა“.

კეჟერა ქალის მეტსახელადაც გვხვდება. ამ მეტსახელის მქონე პირთა ქალიშვილობის გვარია „კეჟერაშვილი“.

კერკა კერკი. კურკოვანი ხილის: შვინდის, კვრჩხის, ჭერმის, ქლიავის გათუთქული და გამხმარი ნაყოფი. „წლეულ იმდენი ბერი ხილია, რომ კერკაც უნა გავაკეთო და ჩურჩაც“.

კეწერა ჩხვიმალი, წვრილი ხმელი ტოტი. „კეწერები მოიტანე რამე, თორე უნავთოთ ვერ დაანთო“.

კეწკეწ-ი/ა ახალთახალი, უხმარებელი. „სუ კეწკეწა ასლარიანები დააძრო“.

კეჭეჭ-ი იგივეა, რაც კაჭეჭი.

კეჭნი-ს ჭრის, აფუჭებს; დანას, ცულს, წალდს... ურტყამს და ჭრის ავეჯს (იატაკს, ხეს). „უი, მამიკვდე თაგი, ერთი წუთით გავედი გარეთ და ნახე, მაგიდა როგორ დაუკეჭნიათ ბავშვეფს“.

კეჭვნა – ჭრა, გაფუჭება, „გე რა ხელოსანია, მაგან კეჭვნა იცის მხოლოთ“.

კვართ-ი საწყაო, ხუთი ჩაის ჭიქა ჩადის. „ამ ჩემი ცოდით სამსეეფს თითო კვართი არაყი გამოეთრაქათ“.

კვართიან-ი ბოთლი, რომელშიც ერთი კვართი ანუ ხუთი ჩაის ჭიქა ჩადის. „წინათ სუ კვართიანი ბოთლები იყო, ახლა ისეთ ბოთლ იშვიათათ თუ დნახამ“.

კვდარ-ი მკვდარი. გადატანით ზარმაცი, უქნარა. „გეთი კვდარი სად მოგყავდა, მაგან რა უნა გაგვიკეთო“.

კვდარძალღ-ი მკვდარძალი, სალანძღავე სიტყვაა. „იმ კვდარძალღმა რა თვალი დამადგა, რა დაუშავე ისეთი“.

კვერცხში წივის პატარა, უწლოვანოა. „რა ღრომ მაგი დანიშნაა, ჯერ ისევ კვერცხში წივის“.

კვირია კვირიონი, ფუტკარიჭამია. „საიდან გადმოცვივდნენ ამდენი კვირიები, ფუტკარი გამინახვერე“. მეტსახელია კაცის

კვირისტავა ვაშლის ერთ-ერთი ჯიშია. თეთრი, კრალა ნაყოფი აქვს, მრგვალი და ბრტყელი. გემრიელია, ზამთარში ღიძხანს ინახება. „არა, მამაპაპურ კვირისტავამ ვაშლი ვერ აჯობეფს“.

კვირტ-ი საჩენლის კბილებში დარჩენილი უვარგისი მატყლი. „ერთი ტომარა კვირტი გკქონდა და ქურდეფს ისიც კი წაელოთ“.

კვირტა ტანდაბალი, ჩია კაცი. მეტსახელია კაცისა. „პატრა ტანი კაცია და კვირტამ იმითვინ ეპახიან.“

კვირტიგორგალი-ი უვარგისი მატყლის გორგალი. გადატ. დაბალი, მრგვალი ადამიანი. „ეს კვირტიგორგალი ნახე, რა ყოჩალი ყოფილა“.

კვირტიწინდებ-ი უვარგისი, მოკლებეწვიანი მატყლისაგან მოქსოვილი წინდები. „კაი მატყლი რო აღარა მქონდა, ბაბომ კვირტიწინდები დაგვიქსოვა“.

კენიხ-ი კომბოსტოს მოჭრილი ძირი. „კომბოძომ თავეფს რო დავაჭრიდით, მერე კაი ძირეფს, ანუ კენიხეფს, ავარჩევდით, გაუთლიდით და ვჭამდით, ძალიან გემრიელი იყო.“

კვრახ-ი მცენარეა, რცხილას ჰგავს, ოდნავ უფრო შავია, ტყის განაპირას იზრდება შუა ტყეში არ გვხვდება. სალიტერატურო ქართულში „ჯაგრცხილა“ ჰქვია. თუმცა ეს სახელი ნამდვილად არ შეეფერება, რადგან დიდრონ ხეებადაც იზრდება. მარტყოფელებმა მხოლოდ „კვრახი“ იციან, „ჯაგრცხილას“ არაფერ არ ამბობს. ამ კვრახის მსგავსი სხვა მცენარეა, რომელსაც უფრო შეეფერება „ჯაგრცხილა“, თუმცა მარტყოფეში ამასაც სხვა სახელი ეწოდება „კუტიფიჩხი“. „კვრახი“ სამშენებლოდ არ ვარგა, შემად კი ძალიან კარგია. დიდხანს იწვის, კაი ნაკვერჩხალი და სიცხოვლე აქვს. ნელს რო მოჭრიან, თუ მალე არ დაჭრიან, გამხმარს ველარც ცული მიუდგება და ველარც ხერხი.

კვრახიან-ი ადგილი, სადაც ბევრი კვრახი დგას. „შორ ნუ წახვალთ, აქვე, კვრახიანში შადით და ხმელი შემა ააქუჩეთ“.

კიდენ, კიდენა კიდევ. „შენ კიდენ მეუბნებოდი, არ ჩამოვაო“.

კიდენა იხ. კიდენ.

კიკნია ცოტას მჭამელი. „ამითანა კიკნია სხვა არ მინახია“.

კილო შესახელობა, გარეგნობა „ძალიან კაი კილოზე დამხვდა, ლოყები ვარდივით ულაჟლაჟებდა.“

კიმალი-ი კუფხალზე უფრო მცირე, ორი-სამი მარცვალი რომ აბია. „ისე დეკრიფათ ვენახი, კუფხალი კი არა, კიმალიც აღარსად დადრჩენოდათ.“

კინკილა ერთადერთი, მხოლოდ ერთი. „ერთი კინკილა ბიჭი მაყვთ და ისე უფთხილდებიან, ნიავ არ აკარებენ“.

კინკილებ-ს ტოკავს, ირყევა, „ეს მაგიდა ცუდათ კინკილეფს, ამოუღე რამე, თორე წავკვეტცევა“.

კინკილაზე ჰკიდიბა 1. ჩამოვარდება. „ეა ჯაგანი კინკილაზე
მკიდიბა, გაამაგრე როგორმე“. 2. ჩაიშლება (საქმე). „მაგათი ამბავი
კინკილაზე მკიდიბა.“

კინტაურ-ი კინტოური, ცეკვაა ერთგვარი. „კინტაურის მეტი
არაფერი იციბ და წარამარა კი გადავა ხოლმე სათამაშოთ“.

კინწი სძვრებ-ა ეძინება, თვალეზი ელულება. „წაიყვანე და
დააძინე ებ ბავშვი, ხო მხედამ რო კინწი მძვრება“.

კინწოლა გრძელკისერა, ყელყარყარა (კაცი) „ერთი მაღალ-
მაღალი, კინწოლა კაცი მოვიდა და შენ გიკითხა“. მეტსახელია
კაცისა.

კინწწამძვრალ-ი ძილბურანში მყოფი, ნახვერად მძინარე.
„ნეტა როდემდე უნა იჯდე მესე კინწწამძვრალი და უშნოთ
ამთქნარებდე“.

კირის ამრეგ-ი კირის მზელაევი. „თელი დღე კირიბ ამრევით
მამუშავებ“.

კირის არევა კირის მოზელვა. „თუ ხარაჩოზე ვერ ადღისარ,
კირი არევა ხო შავიძლია.“

კირკნი-ს ცოტ-ცოტას ჭამს. „ჭამე მაღიანათ, რასა მკირკნი
ნეტავი“.

კირკნა ცოტ-ცოტას ჭამა. „ისე აქ პირი შაკრული, კირკნაც კი
უჭირს“.

კირჩხლ-ი ჭირხლი. „ხეები ისეა გაკირჩხლული, ზამთარი
მალე დადგება“.

კისერა კისერმოდრეცილი ადამიანი. „რა ვიცი, რა ჯეშიბ
ხალხია, მაგათ გვარში სამი თუ ოთხი კაცია კისერა“. მეტსახელი
კაცისა.

კიწ-ი პატარა, მცირე რამ. „ერთი კიწი რა არი, კიწი არაფერი
გვიგდა“.

კიწისოდენა იგივეა, რაც კიწი.

კიჭა დიდკბილება კაცი. იგივეა, რაც კიჭება.

კიჭება დიდკბილებიანი, კბილებადმოყრილი კაცი. კიჭა,
კიჭება-მეტსახელებია კაცისა. „ბავშუობაში პირი სუ ღია მქონია
და ამიტომ დაურქმევიათ კიჭა (კიჭება).“

კიჭმარილა მინერალია. კლდის ჩამონაშალში გვხვდება. ნაყავენ
და საქონელს ჭრილობაზე აყრიან.

კიჭურ-ი დანიწვერობის თამაშის დროს ერთ-ერთი ილეთია.
დანას კბილებით დაიჭერენ წვერიდან, თავს მაღლა აიჭევენ და
დანას წვერით დაარჩობენ მიწაზე. საკმაოდ რთული ილეთია.

კლაგ-ი მკლავი. „ნელა, ბიჭო, ბავშვ კლავი არ მომტეხო“.

კლანჭ-ი კანჭი, წვივი. „მეველემ დაიჭირა ბიჭები, ქაშრები დაძხვნა და კლანჭები აუჭრელა ცემით“.

კლანჭა, კლანჭა ბალახ-ი გლერტი. სარეველა მცენარეა. მაგარი ფესვი აქვს. უფრო ხშირად მწირ (გამოფიტულ) ნიადაგს მოედება ხოლმე. მხოლოდ ნაკელის დაყრით და ნიადაგის გასუქებით შეიძლება მისი მოსაპობა. „კლანჭამ უთქომ, ცხრა წელიწადი ღობეა ვეკიდე და მტრი ჯიბრზე მაინც არ გავხშიო“.

კლანჭა ბალახ-ი იხ. კლანჭა.

კლაპიტონ-ი შინაარსი უცნობია. გვხვდება ასეთ გამოთქმაში: „ბიჭია კლაპიტონისა, ფეხი აქ პამიდორისა.“ გვხვდება პირველ და მეორე პირის ფორმებთანაც.

კლარწა მალალი, წვრილი. „მამაჩემმა ერთი კლარწა ცხენი მაიყვანა“

კლერტ-ი დამუშავებულ ნაკვეთში (ხნულში, ნაბარში) მცენარეთა დარჩენილი ფესვები და ღეროები. „კლერტია ასაკრუფათ ბავშვები შეეყვანათ სკოლიდან“.

კლერტაგ-ს 1. კლერტსა კრეფს ნაკვეთში. „ქალები ბაღასა აკლერტამენ“. 2. სათითაოდ აცლის ფოთოლს, „გააგდე ეს თხა, ნახე როგორა აკლერტამს ნამყენეფს“. 3. გადატ. მარცვლებს აცლის და ისე ჭამს ყურძენს. „პატარა ბავშვივით დაუჭერია მტევანი და აკლერტამს“.

კმენა კბენა, „ახლო არ მიხვიდე, კმენა იცის მაგ ცხენმა.“

კმენელა ვინც ან რაც იკბინება. „ეს ძალლი კმენელა ხო არ არი?“

ჰ-კმენ-ს ჰკბენს. იხ. ჰკმენავ-ს.

ჰ-კმენავ-ს ჰკბენს. „რა ცუდი ძალლია, შინაური და გარეული არ გააჩნია, ყველასა აკმენამს.“

კმენჩა კბეჩა. „თუ ჭამთ, ჭამეთ, არაჲინ გიშლით, თუ არა და ხილია ესე კმენჩა და ყრა სად გაგონილა?!“

კმენჩაგ-ს კბეჩს. კბილებს ჩაასობს და ისე მოგლეჯს. უფრო ხილის ჭამის დროს იტყვიან ხოლმე. „ნახე ერთი, მამ ამაღ ტვინი აქ, ამხელა ჯგორი ლამაზ-ლამაზ ვაშლეფს აკმენჩამს და აქეთ-იქით ისვრის“.

კნაწა ძალიან სუსტი, გამხდარი ადამიანი, უფრო ქალზე იტყვიან. „ეს კნაწა ისეთი ყოჩალი გამოდგა, თავიზე ძლიერეფს ტოლი არ დაუღო.“

კნაჭა იგივეა, რაც კნაწა. აე-ე, კნაჭავ, საით გაგიწევია, არ იტყვი?"

კოდ-ი მარცვლეულის საწყარო. გარე კახეთში, კერძოდ მარტყოფსა და მის მიმდებარე სოფლებში კოდი სამ ფუტს უდრის. „ძველათ კოდი პური ორი აბაზი ღირდა“;

კოდიგემა ვეძა (მლაშე წყალი), რომელიც კოდში გროვდება. იქ, სადაც მლაშე, მარილიანი წყარო ცოტა ამოდის, მიწას ამოჭრიან და შიგ კოდს ჩადგამენ, რომელშიც ნელ-ნელა გროვდება დაწმინდაებული ვეძა. ასეთ წყაროებს „კიდივეძას“ ეძახიან.

კოდიწყალ-ი წყარო, რომელშიც კოდია ჩადებული.

კომბალ-ი მეცხვარის ჯოხი. კომბალს უეჭველად კავი უნდა ჰქონდეს, რათა მეცხვარემ ფეხზე გამოსდოს და ადვილად დაიჭიროს ცხვარი. შეიძლება ბუნებრივი კავიანი ჯოხიც იყოს კომბალი. მაგრამ კომბალი უფრო ხელოვნურია. შეინდის ჯოხს გამოჭრიან, მსხვილ მხარეს კომბალს გაუკეთებენ, ე.ი. გრძელ ჯოხს სალტით 8-10 სმ სიგრძის ჯოხს დაამაგრებენ. ჯოხებს შორის 3-4 სმ. სოლს ჩაჭედავენ, რომ ცხვრის ფეხი ჩაეტიოს და თანაც ადვილად ველარ გაეშვას კომბალს. უკავო, ღიდთავა ჯოხს გოგუთი ჰქვია.

კომბალა თავკომბალა. ბაყაყი სანამ კიდურები გაეზრდება. „არწივი წივის, წივისა, კომბალად თავი სტკივისა...“

კომბოსტოს კუჭ-ი კომბოსტოს თავი. „ძროხები გადასულიყვნენ, ბოდიტანში და კაი კომბოდიტომ კუჭები სუ მეჭამნათ“.

კომლობაამოსაწყვეტ-ი წყველა. ოჯახიანად ამოსაწყვეტი, ძირიანად ამოსაგდები, მოსასპობი, ოჯახდასაქცევი. „იმ კომლობაამოსაწყვეტმა არ დამაქცია და დამანელა?!“

კომლობაგასაციებელ-ი წყველა. ოჯახიანად მოსასპობი, ძირიანად ამოსაგდები, მოსასპობი. „რატო თავ არ დავგანებეფს ებ კომლობაგასაციებელი, ება!“

კომლობაგაციებულ-ი წყველა. კომლობაამოწყვეტილი, ოჯახიანად ამოზოცილი, მოსპობილი, ძირიანად ამოვარდნილი, ოჯახდაქცეული. „მაგ კომლობაგაციებულ რატო აღამიანიძე შაბრალება არა აქ?!“

კომლობადავსილ-ი იგივეა, რაც კომლობაგაციებული.

კომლობადასავსებ-ი იგივეა, რაც კომლობაგასაციებელი.

კომლობადასაქცეფ-ი იგივეა, რაც კომლობადასავსები.

კომლობადაქცეულ-ი იგივეა, რაც კომლობაგაციებული.

კომლობადასაწვავ-ი იგივეა, რაც კომლობაამოსაწვეტი.

კომშის ფურცელ-ი კომშის ყვავილი. „ომიანობად საჭმელი რო არა გვექნდა რა, კომში ფურცელ ვჭამდით და შიმშილ იმით ვიკლამდით“.

კონჩოლ-ი სქელი, მშრალი სკორე. განავალი. „აბა, ერთი ნახე, მონადირე კაცი ხარ, ემ კონჩოლი რისაა, ან როდინდელია?“

კოჟანდარ-ი/ა ნაბოლარა, უმცროსი შვილი. „ყველანი დავაბინავე, ემ კოჟანდარაღა დამრჩა.“

კოჟია შუბლშეჭმუნული, დაკონილი კაცი. „და-ძმებში ყველა მზიარული, სახეგაბადრულია და ემ კოჟია საიდან გამეურიათ?“ მეტსახელია კაცისა.

კოჟოჟი-ი კოპი. რაიმე საგნის ძლიერი დარტყმისაგან ამობურცული ადგილი შუბლზე ან თავზე. „სეტყვა დამეცა და ნახე, როგორი კოჟოჟი დამაჯდა შუბლზე.“

კოჟოჟიან-ი დაკოჟოჟებული, ვისაც ან რასაც კოჟოჟი აზის. „აბა, სად გაეულ ესე კოჟოჟიანი შუბლით“.

კორახ-ი გამხმარი ბელტი, გორახი. „ალარ გვინდა კორახიო, ახლა გვინდა ტალახიო.“

კორომ-ი ხეთა ჯგუფი მინდორში. „მდინარი პირამ ხეები რო ღვა, იმ ადგილ ჭალად ვეძახით, მინდორში კი — ჯგუფათ რო ღვა ხეები — კორომ.“

კორტნი-ს უშნოდ კრეჭს თმას. „რასა მკორტნი მაგ ბიჭ, გარეთ აღარ გინდა, რო გავიდე?“

კორტნა უშნოდ კრეჭა თმისა. „მაგადთან როგორა მჯღები, მაგან რა იცის დალაქობისა, მარტო კორტნა შაუძლია.“

კოსრო კინკრისო. „წამარტყი კოსროში და გაუშვი“.

კოტრანა იგივეა, რაც კვინიხი. „რა კენა, ამ კოტრანი ჭამამ ვერ გადავეჩვიე“.

კოფ-ო/ა პალტოს, ფარაჯის უკან შესაკრავი, რომელიც იმავე ნაჭრისაგან არის შეკერილი და ორ ღილზე იკვრება.

კოჭატ-ი კარ-ფანჯრის ანჯამა, კოჭაკი.

კოჭზე ადუღებულ-ი ქაფქაფა.. „კოჭზე ადუღებული წყლით იბანს თავ.“

კოჭზე დულ-ს ქაფქაფებს. „ხო მხელამ რო კოჭზე დულს წყალი, გადადგი, ცოტა განულდე“.

კოჭამდე ვერ მისწვდება ვერ შეედრება, ვერ გაუტოლდება „რაც უნდა იტრაბახო, იმამ კოჭამდე ვერ მიწვდება“.

კოჭი არ მიუწვდება იგივეა, რაც კოჭამდე ვერ მისწვდება. „სად ესა და სად ისა, სუ ტყუილათ ედრება, იმადთან კოჭია არ მიუწვდება.“

კოჭიბროლა ვისაც ლამაზი ფეხები აქვს, ბროლივით თეთრფეხებიანი ქალი. „იმათ სოფელში სუ კოჭიბროლა გოგოები არიან.“

კოჭურ-ი მუშტისოდენა მრგვალი ქვა, რომელსაც ბავშვები სათამაშოდ იყენებენ. „წამაიღე, ბიჭო, ემ ქვა, კოჭურათ გამოგვადგება.“

კოჭურხელ-ი საბავშვო თამაშია ერთგვარი. ბრტყელ ქვაზე მუშტისოდენა მრგვალი ქვა – კოჭური დეკს, რომელსაც მცველი ჰყავს. სხვები (რაოდენობას მნიშვნელობა არ აქვს) სალას (ბრტყელ ქვას) გარკვეული მანძილიდან ესერიან კოჭურს, რათა ქვიდან გადააგდონ. თუ მოარტყეს და ქვიდან გადააგდეს, მცველმა მალევე უნდა დადოს თავის ადგილას და ნასროლ ქვასაც (სალას) უნდა უდარაჯოს. თუ პატრონმა მოასწრო აღება, უფლება აქვს, ხელახლა ესროლოს კოჭურს. მცველმა თუ „თავდამსხმელი“ დაიჭირა, ახლა ის გახდება კოჭურის მცველი, თვითონ კი, თავდამსხმელი ანუ სალის მსროლელი და ა.შ. თამაში დიდხანს გრძელდება.

კოჭობანა კოჭაობა. საბავშვო თამაშია.

კრრ! კრრ! კრუნის კრიახი, როცა საშიშროებას იგრძნობს და წიწილებს აფრთხილებს.

კრანტი-ი ონკანი. „წყალი შორიდან აღარა მაქ საზიდი, ეზოში კრანტი დავაყენე.“

კრანტიან-ი ვისაც კრანტი აქვს. გადატ. ბიჭი. ბავშვი რომ შეეძინებათ, მეზობელ-ნათესავები იკითხავენ: „რა გეყოლათ, კრანტიანია თუ ბანტიანო“ თუ ეტყვიან „კრანტიანო“, ვაჟი შესძენათ, თუ „ბანტიანო“ – გოგო.

კრანჩხ-ი კლდე. „თხები კრანჩხებში გასულიყვენ და ძლივ გამოვრეკე.“

კრიხ-ი მარაკტლით უშნოდ, არათანაბრად გაკრეჭილი თმა, ალაგ-ალაგ რომ ძირშია მოჭრილი, ალაგ-ალაგ დატოვებული. ასე გაკრეჭილ ბავშვს დასცინიან ტოლ-ამანაგები და ამ ლექსით აღიზიანებენ: „კრიხი, კრიხი თხაო, წყალზე გადახტაო, ბაყაყი რო დაინახა, უკან გადმოხტაო“.

კრიხა, კრიხიან-ი ვისაც თმა ნოლზე აქვს გადაპარსული ან უშნოდ არის გაკრეჭილი. „ეა რა გიქნია, ბიჭო, ეგეთი კრიხა (კრიხიანი) როგორ უნდა წახვიდე სკოლაში?“

კრიხიან-ი იხ. კრიხა.

კრუა ჯავახეთში მცხოვრები სომეხი. „ეგენი ნამდვილი სომეხები კი არა, კრუები არიან. მეც ერთი კრუა სომეხი მყავ ნაცნობი, იმისგან ვიყიდე ხელსაფქვავი“.

კრუს-ი გადატ. ზარმაცი, ზანტი კაცი, რომელსაც შინ ჯდობა უყვარს. „ნამდვილი კრუხია ემ კაცი, თუ დაჯდა შინ, მერე ფეხ ველარ მაცვლეინეფ“.

კრუსკრუხი კრუხის ხმიანობა. „როცა საშიშროება არ ელის, კრუხმა მშვიდი კრუსკრუხი იცის“.

კრუსკრუხებ-ს კრუხი ხმიანობს. „ქოჩორამ ეზოში დაუდის წიწილები და წყნარად კრუსკრუხეფს“.

კრუსობ-ს: კარტოფილი კრუსობს. გაზაფხულზე, როცა თესვის დრო იწყება, მაშინ იტყვიან ხოლმე: „კარტოფილი კრუსოფს უკვე, მაგიდ ჭამა აღარ შაიძლება“.

კულაფშრუკულ-ი კულაწეული. „ემ ვირი რატო დაჯირითოფს ესე კულაფშრუკული, ბუზანკალი ხო არაეინ შაყყარა?“

კულის აწევა მიმხრობა, მიხმარება. „ეგ რამ გააკეთებდა, კული ამწევები რო არა მყოლოდა“.

კულგარდა საქონელი (ხო, ძროხა, ხარი), რომელსაც კულის წვერზე თეთრი ბლანი აქვს. „ჩვენმა ძროხამ ერთი ლამაზი, კულგარდა ხო მოიგო“. ხშირად საქონლის სახელად გვხვდება.

კულგერდა იგივეა, რაც კულვარდა.

კუს-ი კუ. „ორი კუვი გავუშვით ვენახში და ეხლა იქ ქვეწარმავლების ხსენებაც აღარ არი“.

კულბაწარა საბავშვო სათამაშოა. ქაღალდზე (მუყაოზე) გრძელ ბაწარს მოაბამენ და ჰაერში აუშვებენ. „ბავშობაში, როგორც კი ოღნავ ამოვარდებოდა ქარი, მაშინვე კულბაწარეფს აუშვებდით ხოლმე, ვეჯიბრებოდით, ვისი უფრო მაღლა ავიდოდა“.

კულის ამწეგ-ი დამხმარე, წამქეზებელი. „ეგ არი მაგიდ კული ამწევი, შენ კი ამოფ, მაგად ვინა მკითხამსო“.

კუზლარა კუზიანი, წელშიმობრილი ადამიანი. „ამ კუზლარამ ამოდენა ნაკვეთი რო აუღია, მარტოკამ როგორ უნა დაამუშაოდ“.

კუკუ გუგული „მაგ ჩიტ ორ სახელ ვენახით: კუკუსაცა და გუგულსაც. ვის როგორ უნდა.“ „ერთი გუგული მოფრინდა ჩვენ ბაღში და აგვიკლო კუკუმა ძახილით“.

კუკუზნახს-ი კუკუზნაქი. კუდუსუნის ბოლო. „შენ საქონელ კუკუზნახზე ეტყობა, რა მოვლილიცა გყავ.“

კუკუთელა, კუკუტელა საალერსო სიტყვაა ბავშვისადმი. „მოდი, ჩემო კუკუთელა, მოდი, გორიაში უნა ჩაგაწვინო.“

კუკუმალობა კუკუმალობანა. „შე კაი კაცო, ბავშვი ხო არა ვარ, რა კუკუმალობამ მეთამაშები?!“

კუკუნ-ი უჩუმრად მუშაობა (ბერიკაცის).

კუკუნებ-ს უჩუმრად (თავისთვის) მუშაობს. „გარეთ მუშაობამ თავი დაანება, ბახჩაში გავა ზოლმე და თავითვინ კუკუნეფს.“

კუკუტელა იხ; კუკუთელა.

კუკუსო საქონლის მენჯის ძვლები, „ეი ძროხა ისეა გამხდარი, კუკუსოზე ხელი რო გადაუსვა, გაგეჭრება!“

კულაგ 1. შემდეგში, მერე „კულავ ევე აღარ მოიქცე“. 2. უწინ, წინათ. „ამ შაჩვენებულ კულავ ესეთი რამ არ ჩაუდენია, ეხლა რა ეშმაკი შეუძვრა?“

კულანდებურ-ი ძველებური, წინანდელი, უწინდელი. „სადღაა ეხლა კულანდებური ქორწილი და დაროშტარება.“

კულანდებურად ძველებურად, უწინდებურად. „შენ რა, კულანდებურათ ხო არ მოგინდა ცხოვრება.“

კულანდელ-ი იგივეა, რაც კულანდებური.

კუნკურ-ი მოკლე და სწრაფი ნაბიჯით სიარული. „ნეტა სად მიკუნკურეფს ამ დილაუთენია ემ კაცი?“

კუჟანა პატარა, წვრილი. მეტსახელია კაცისა.

კურიელ-ი ველოსიპედი. ძველი თაობის ხალხი ხმარობს ამ სიტყვას. „ჩემ ბავშვობაში მარტო ერთ კაც მქონდა კურიელი“.

კუს-ი აღრევა (საბა). ეს სიტყვა ჩვეულებრივ საუბარში არ მომისმენია, გაშაირების დროს იხმარეს: „ქალო, მეკუსებისაო — მეხსენ მეძინებისაო!“

კურდღლიცოცხა მრავალწლიანი მცენარეა პარკოსანთა ოჯახისა, ბურქად იზრდება, ყვითელი ყვავილი და კარგი სუნი აქვს. დეკორატიული მცენარეა და გზის პირზე რგავენ.

კუსკუს-ი — ცუხცუხ-ი „წელან დავინახე, ჩვენი ნინო სკოლაში მიკუსკუსებდა.“

კუსპა — დაბალი, პატარა ტანის ადამიანი. უფრო ქალზე იტყვიან: „უყურე მაგ კუსპამ, მაგამ, ემ რეები მცოდნია.“

კუსპარა — იგივეა, რაც კუსპა. ბავშვის მიმართ საალერსო სიტყვად იხმარება: „აი, თქვე კუსპარებო, თქვენა, ემ რა გიქნიათ?!“

კუტ-ი¹ ოთხკუთხა ყალიბში გამომხცვარი ფურნის პური. რუსული Буханка-ს ქართული შესატყვისია. „წადი, შვილო, და ორი კუტი პური იყიდე მალაზიაში.“

კუტ-ი² კრუნი. „ერთი ქათამი მიზის კუტად.“

კუტა| კუტა ქშა| კრუნის გასაქმევი შემახილი.

კუტიფირჩ-ი დაბალი, წვრილღეროიანი მცენარეა, ტყისპირებსა და მინდორში იზრდება. რციხილას ჰგავს, ჯაგებად გვხვდება. სახელწოდება „ჯაგრცხილა“ სწორედ ამას შეეფერება. ძირითადად თონის გასახურებლად იყენებენ. „იმოდენა კუტიფირჩი მოვზიდე, ამ ზამთარ სუ გვეყოფა“.

კუტ-კუტ-კუტ! კრუნის მოსახმობი ძახილი.

კუტ-კუტ-ი კრუნის ხმიანობა.

კუტკუტა კრუნი (ბავშვის ენაზე) „ჩვენმა კუტკუტამ წიწილები უკვე დაზარდა.“

კუტკუტებ-ს კრუნავს. „მეგრულა ქათამი უკვე კუტკუტეფს, მალე დაჯდება კრუნათ.“

კუტკუტელა იგივეა, რაც კუკუტელა.

კუუტ! კუუტ! კრუნის ხმიანობა, წიწილების მოსახმობი ხმიანობა.

კუჭ-ი 1. ლენჯოიანი კაკლის გული. „კაკალმა უკვე კუჭი გაიკეთა და პატრა ბიჭებმაც დანები გაამზადე“. 2. კომბოსტოს თავი. „კაი კომბომტო გამამადგა, დიდი კუჭები დაიხვია.“

კუჭაგ-ს ლენჯოიან კაკალს დანით შუაზე აპობს და გულს აცლის. „მაგოდენა კაკალ რო მკუჭამ, ზამთარში აღარ გინდა, რო ქქონდე?“

კუჭვა ლენჯოიანი კაკლის დანით შუაზე გაპობა. „ამხელა კაციც რო კაკლი კუჭვამ დაიწყეფს, სხვამ რალა მოვკითხო?“

ლაბა კირს (ქვიშასა და ცემენტს) რომ აურევენ, მანამდე ზელენ ნიჩბებით, სანამ ზემოდან „წვენს“ არ მოივლებს. ამას უწოდებენ „ლაბას“. „მაგდენი ზელვა აღარ უნდა, უკვე ლაბა გაიკეთა“.

ლაბარუსი: ლაბარუსიგით უაზროდ. „ყოველ დღე ასე დაითვრება, მერე აიღეფს თავსა და დადის აქეთ-იქით ლაბარუსიგით. მოდი და გაუძელი.“

ლაგაზი-ი კაპასი (ძაღლი). „მაგათ ძალიან ლაგაზი ძაღლი მყავთ და ერიდე“. გადატ. ავი, ანჩლი (დედაკაცი). „გაუშვი, ნუ აიტეხამ, თორე ეგ ისეთი ლაგაზია, თავ აღარ დაგვანებეფს“.

ლაგატკა საბავშვო შურდული (რუსული „погатка“-დან). „დაუჭერია ლაგატკა და პატრა ბიჭივით ჩიტეფს დაიდევს“.

ლაგლაგებ-ს: ლავლავი გაუდის. განივრად ადგას ტანსაცმელი. „მაი ეგ მაგია ზომაა, ვერა მხედამ შიგა ლავლაგეფს“.

ლაკლაკ-ი თხელი ტანსაცმლით სიარული (სიცივეში). „რამ დადინხარ და დაილაკლაკეფ ამ სიცივეში, რამ დაეძეფ, ნეტა ვიცოდე“.

ლალაგ-ს ერეკება, მიუდის. „ამ ყინვაში რო მლაღამს, არ ეშინია, გაუცივდემა საქონელი“.

ლაღვა გარეკვა. „ძროხებიმ გაღალვა არ დაგავიწყდე“.

ლალულ-ი არხენი, უღარდელი, უსაქმურად მოყვალე ადამიანი. „ამნაირი ლალული კაცი მეორე არ მინახია“.

ლალულობ-ს არხენად არის, არაფრის დარდი არა აქვს.

ლამფა: ლამფის ჩაწევა ხმის ჩაქმნა. „აბა, აბა, ზედმეტეფში ნუ გადადიხარ, ცოტა ლამფამ ჩაუწი!“

ლანჩა ფიცრის მონაჭერი ან ნაფოტი, რომელსაც იატაკის დაგებისას თხელ ფიცარს ქვეშ უდებენ და სქელ ფიცართან ასწორებენ. „ეი ცოტა თხელი ფიცარია, ლანჩიმ ამოდება დაიჭირდება“.

ლაპარ-ი ხოხბის, კაკბის, გნოლის... ბარტყი. „ყანი მკელეფს ლაპრები დაეჭირათ მინდორში“.

ლაპრებ-ი ტოპონიმი სამგორის ველზე.

ლაპრიკანჭა გამხდარი, ჩია, წვრილკანჭება ადამიანი. „მაგ ლაპრიკანჭამ ი დევივით კაცი როგორ წააქცია, ესლაც ვერ დამიჯერებია?“ მეტსახელია კაცისა.

ლარ-ი კალატოზის იარაღი. გრძელი, წვრილი ბაწარი. „შენ კეთხე თქვი, თორე სადა კელი ამენება რა უნდა, გაჭიმე ლარი და დააწყე ღუზანი ქვა.“

ლარის ახვევა მუშაობის დამთავრება, საქმის მორჩენა. „ჰა, ღალაბდა უკვე, ავანვიოთ ლარი“. გადატ. მოუსვას, წავიდეს აქედან. „უთხარ, ახვიომ ლარი, თორე ცოცხალი არ გადამირჩება“.

ლაპუსტრაკ-ი ლაპუსტაკი, გაქნილი, გაიძვერა ადამიანი. „ვეთი ლაპუსტრაკები რო გყავ მთავრობაში, იმიტომ არი ჩვენი საქმე კარგათ“.

ლაფ-ი სქელი ტალახი. „ლაფია, როგორ შახვალ ვენახში? ცოტა მაიცადე!“

ლაფან-ი ხის კანი, რომელიც მოთავსებულია ქერქსა და მერქანს შუა. გაზაფხულზე ამრობენ და ვაზის ასახვევად ხმარობენ.

ლაფანა ადამიანი, რომელიც ლაფანივით იგრიხება. (უფრო ქალზე იტყვიან). მეტსახელია ქალისა.

ლაფის დება: ლაფს იღებს წვიმის შემდეგ ან თოვლის დნობისას, მიწა ჯერაც რომ სველია და ბარვა ან თოხნა შეუძლებელია, მაშინ იტყვიან: „მაიცა, ბარი (თოხი) ისევ ლაფ იღუფს, ცოტა შაშრეა და შერე დაიწყე მუშაობა.“

ლაფის კაც-ი ძალიან შავი კაცი. „იღდა არა მყავ ესეთი შავი და მამა, ნეტა ვიღ დაებგვანა ეს ლაფი კაცი, ესა“.

ლაფობ-ს ივივია, რაც ლაფს იღებს. „არ იბარება, ძან ლაფოფს“.

ლაღე ბოში. „ქანჩი ცოტა კიდევ დაუჭირე, ლაღეთ არი და გზაში მოეშვება.“

ლაღლაღ-ი ჭანჭყარი. გაღლაღლება. „პირში ჩაიგუბე წყალი და გააღლაღაღე“.

ლაშიან-ი სქელტუჩა, ტუჩებგადმოყრილი ადამიანი. „ეს ლაშიანი ქალი ქალაქიდან რო არ მეყვანა, აქ ვერ მოიძებნიდა?“

ლახანა უკუტო (უთავო) კომბოსტო. „თესლმა არ ივარგა, არცერთმა არ დაიხვია კუჭი, სუ ლახანა გამამაღდა“.

ლახიან-ი კოჭლი, ფეხათრეული, ხეობარი. „შენ ლახიანი გეგონოდ, ჩვენმა ხარაზმა ყველად გაუსწრო სირბილში.“

ლაჯახტარა ახტაჯანა, დაუდგარი. „ამითანა ლაჯახტარაა შინ რა გაჩერეფს ან ვინ დაიმგერეფს“.

ლეკანდ-ი ძე. საზღვაო ჯარისკაცი (დარბინაშვილი) სიტყვის მასალაა. „შე ლეკანდო, შენა, რასა იქ, როგორა ხარ?“

ლეღეჩ-ი ნელ-თბილი (წყალი, საჭმელი) „ამ ლეღეჩი წყლით თავი როგორ უნა დავებანო“.

ლენჯო კაკლის (ნაყოფის) გარეთა ჩენჩო, მწვანე მასა. „კაკალი ავერიფე და ნახე, ლენჯომ როგორ გამიშავა ხელები.“

ლენჯოიან-ი დასაბროლი, დასაკროცი კაკალი, რომელსაც ჯერ კიდევ არ ეცლება ლენჯო. „ლენჯოიანი კაკალი ერთი-ორი დღე მზეზე გეყაროდ და მერე ადვილათ დაიბროლება.“

ლეფერ-ი ლეფერი, ლეფერი. – ნელლი, წყლიანი შეშა, რომელიც ცუდად იწვის. „ეს ლეფერი შეშა რო შაუკეთე, საღამომდე არ აენტება ბუხარი“.

ლილია სისხლი. „ისე მცემა საწყალ ბიჭ, ცხვირპირიდან სუ ლილია აღინა“.

ლიღგელ-ი სოფ. დიდი ლილოს მაცხოვრელი.

ლილოჭრილო ლილოჭრელი, ლილო. „გაზაფხულზე ზოგან რო თოვლი დევ და ზოგან კი ბალახ უკვე ამოუყვია თავი, იმად ეძახიან ლილოჭრილოდ“.

ლინცლინც-ი 1. პირამდე სითხით გავსებული (ჭურჭელი). „ღვინით ისე გავესოთ ქვევრი, ლინცლინცი გაუდიოდა“. 2. წყლის ზედაპირის ციმციმი.

ლინცლინცა ძალიან სავსე. „ესე ლინცლინცა კასრი როგორ წავილო, გზაში დამეღვრება“.

ლინცლინცებ-ს 1. პირამდე სავსეა. ლინცლინცი გაუდის. „ეა ვერა ისე ლინცლინცებს, თუ ნელა არ წაიღე, დაგეღვრება“. 2. წყლის ზედაპირი ციმციმებს. ციმციმი გაუდის. „ნახე, წყალი რა ლამაზათ ლინცლინცეფს“.

ლინჭყ-ი სველი. ატალახებული მიწა. „მიწა ისევ ისე ლინჭყია, ვენახში არ შაისვლება“.

ლიბლიბ-ი იგივეა, რაც ლინცლინცი.

ლიბლიბა იგივეა, რაც ლინცლინცა.

ლიბლიბებ-ს იგივეა, რაც ლინცლინცებს.

ლინჭყიან-ი დაჭაობებული ადგილი. „იმ ლინჭყიანეფში, როგორ უნა ატარო ემ ბავშვები“.

ლის-ი სხვენის კედელი საქარე მხრიდან. „ბარემ ლისიძე კედელსაც ამოვაყვანინეფ კალატოზ და ამით დავამთავრეფ“.

ლიფლიფ-ი ბრჯგუ ლაპარაკი. „ამ კაციდ ლიფლიფი არ მესმიდ და რა ვქნა.“

ლიფლიფა ბლუ. „ერთი ლიფლიფა კაცი გვამწავლიდა გერმანულ და მისი ქართულიც უცხო ენა გვეგონა“.

ლიფლიფებ-ს ლულულულებს. „მაგამ მე რა უნა გაუგო, რასა ლიფლიფეფს, თითონაც ვერ იგეფს!“

ლიფუა იგივეა, რაც ლიფლიფა.

ლობიოს კოჭობ-ი თიხის ჭურჭელია ერთგვარი. სახელურები აქვს, ლობიოს ხარშავენ. გადატ. პატარა ტანის ადამიანი. „თითონ როგორი ქოცოც არი, ცოლიც ისეთი ლობიომ კოჭობი მოუყვანა“.

ლომრო ლორწო, დუჟი, სისველე. გაზაფხული რომ დადგება, ხეს წყალი ჩაუდგება, კაკალს (ტირიფს) თითის სიმსხო ტოტს შეაჭრიან და სტვირებს ან ლოპოწიტებს აკეთებენ. როცა თლიან, დანას ყუით ურტყამენ და თან ამბობენ: „ლოპრო, ლოპრო გამოდო.“

ლომწოტა ერთგვარი საბავშვო სათამაშოა, თვითნაკეთი. კაკლისა და ტირიფის ტოტისაგან ამზადებენ. ხელით ნაკეთი დგუშია. ცალ მხარეს, წვერში, იმავე ხის მონაჭერს დაუტოვებენ, რომელსაც გული ამოღებული (გახვრეტილი) აქვს. ამ ნახვრეტში ქალადს ჩაუდებენ, „დგუშს“ წყლით გაავსებენ და ზემოდან დაწოლით შორს გასტყორცნიან. წუწაობისას იყენებენ.

ლორთხ-ი ძალიან სველი. „თლათ ლორთხია ემ ნალი, ბავშვი შიგ როგორ ჩავაწვინო?“

ლორთხაგ-ს იგივეა, რაც ალორთხებს. „არ ვიცი, რა მოუხერხო ამ ბიჭ, ყოველ დამე მლორთხამს ლოგინ.“

ლოტოს კოჭ-ი გადატ. პატარა ტანის ადამიანი, თან ცოტა ეშმაკიც. „ამ ლოტომ კოჭ ცოტა ტანი რო მქონდემ, ქვეყანამ ამაგადებდა.“

ლოფლოფ-ი ძალიან მწიფე ხილი (ქლიავი, ჭერამი) „ეა ლოფლოფები რო ჩაგიწყვია, გზაში ხო სუ დაიჭყლიტება“.

ლოფლოფებ-ს ძალიან მწიფს, წვენი გასდის. „ნახე, ჩვენი ჭერამი უკვე როგორ ლოფლოფეფს.“

ლოქოშა დიდი და დუნე, დონდლო, ზანტი, მოუხერხებელი ადამიანი. „ამ ლოქოშამ რა დამძრამს ადგილიდან, იჯობია ისევ მე წავიდე“.

ლოჩოჩა უშნო, ზარმაცი. უფრო მამაკაცზე იტყვიან. „ამითანა ლოჩოჩა რო გეყოლება შინ, მითხარი, რა უნა გააკეთო“.

ლურთ-ლურთ-ი ლურთი, ძალიან მსუქანი ხორცი. „ეა ლურთ-ლურთი რო გადმამილე, მე მაგამ შამჭმელი ვარ?“ „შენი ხნია კაცი ვეე ლურთლურთ ხორცი აღარ უნა ეტანებოდემ“.

ლურსვა 1. ბღვერა, გაბუტვა. „ამან ემ ლურსვა ვერა და ვერ მაიშალა“. 2. საკბენად გამზადება. „ამ ცხენმა ისეთი ლურსვა იციმ, ახლო ვერ მიეკარები“.

ლურწუკენტი! იხ. ლურწუკენტობა.

ლურწუკენტობა თამაშია ერთგვარი. ორნი მონაწილეობენ. ერთ-ერთი მოთამაშე მუჭში (მუჭებში) კაკალს (თხილს) ჩაიყრის და მეორეს ჰკითხავს: „ლურწუკენტი?!“ ე.ი. მეორე მოთამაშემ უნდა გამოიცილოს მუჭებში მოთავსებული კაკალი (თხილი) ლურწია თუ კენტი. თუ სწორად გამოიცილო, მოგება მას დარჩება, თუ ვერ გამოიცილო, იმდენივე კაკალი (თხილი) უნდა მისცეს მოწინააღმდეგეს.

ლურჯქლიაფ-ი/ა ქლიავის ერთ-ერთი სახეობაა. ისხამს ლურჯ, მრგვალ ნაყოფს. მწიფდება ზაფხულში. მაინცდამაინც დიდი მოწონებით არ სარგებლობს. ალბათ, იმიტომაც, რომ ამ დროს სხვა, მასზე უკეთესი, ხილიც ბევრია. მისგან არაყს ზდიან ხოლმე.

მა, მაშ მაშ „მა რა ეგონა?“ მა რა ჯანდაბა უნდა? „მაშ არა და შენ დაგიცდილა“.

მაგაობაში, მაგოობაში მაგ ფუსფუსში, მაგ წრიალში, „მაგაობაში დაგაგვიანდებათ“.

მაგარნაჭუჭა კაკლის ერთ-ერთი ჯიშია. „კარგათ ისხამს, მაგრამ რათ გინდა, მაგარნაჭუჭა კაკალი გამამაღლა“.

მაგოობაში იხ. მაგაობაში.

მაზნეყარ-ი მაწყინარი. „ძალიანაც ნუ მიაძლებით ემაგ ბაღსა, მაზნეყარია.“

მალა მღესავის იარაღი. კედელს რომ ლესავენ, ზედა პირს მალთ მოასწორებენ, მოაპირკეთებენ. „ძველი ზერზი ხო არ გიგდა საღმე, მალა გამიცვლა და ახალი მინდა გაუაკეთო“.

მაღხო თამაშის დაწყების წინ, გათვლისას სახმარი სიტყვა: „აღხო, მაღხო, ჩიტმა გნახოდა“.

მამამტონე: მამამტონის კოშკი სალოცავია მარტყოფში.

მამამტონობა, მამაანტონობა წმინდა მამა ანტონ მარტყოფ-მყოფელის ხსენების დღე და დღეობა მარტყოფში, ნორიოსა და მიმდებარე სოფლებში (1 თებერვალს ახალი სტილით). „როგორი დიდი თოვლიც გინდა მოვიდებ, ჩვენ მაინც ავღივართ მონასტერში და მამამტონობა ვიყენებთ“.

მამაილა მამის მსგავსი შვილი, ოღონდ ხასიათით, ქცევით და არა გარეგნობით. „ემა ბიჭი ნამდვილი მამაილაა, რასაც ხელ მოიკიდებს, თავ აღარ დაანებებს“.

მამაკალია: მამაკალია ლობით ლობიოს ერთ-ერთი ჯიშია, თეთრი, წერილმარცვალა, საჭმელად ძალიან გემრიელია, არ ბერავს და ამიტომაც ხშირად უხარშავენ ბავშვებს: „ისე უყვართ ჩემ ბიჭებს ემა მამაკალია ლობიო, ყოველ დღე რა მოუხარშო, არ მომწყინდებათ“.

მამალი ხე ხე, რომელიც ნაყოფს არ ისხამს. „ამისთანა შვილი გაზდა მერჩინა, ერთი მამალი ხე დამერგო ეზოში, ჩირდილი მაინც ექნებოდა“.

მამამალ-ი სიტყვის მასალაა. „რა, მამამალი, აღარ უშლიან?!“

მამგონ-ი მომგონი, გარდაცვლილის გამხსენებელი, შენდობის მთქმელი. „კაი კაცი იყო, აცხონოა ღმერთმა, მამგონი უღლეგრძელია“.

მამია მამარეში. მხოლოდ საკუთარ მამაზე იტყვიან ასე, თანაც შინაურებში. „სად წავიდა მამია?“ „ეჲ პალტო მამიამ მიყიდა“.

მამხობელა მახობელი, მახობელა. მოშავო-მოლურჯო მარცვალი აქვს. ხორბალს თუ შეჰყვა, ფქვილს აფუჭებს. „ვერა და ვერ გავწყვიტე ეჲ მამხობელა, რა უყო, არ ვიცი“.

მანდაფრობა მანდაურობა. „გამორეკე ეჲ ბაღლები, თორე მანდაფრობამ სუ გაატალღებენ“.

მარგილიზაცია მარგილებითა და კეტებით შეიარაღებული გლეხების გამოსვლა კოლექტივიზაციის წინააღმდეგ გასული (XX) საუკუნის 30-იან წლებში. ეს ტერმინი შექმნილია ირონიით, კოლექტივიზაციის ხალხური გადაზარების შედეგად.

მართულ-ი მავთული „ყველაფერი თურქეთში გაზიდემ, მართული რა არი, მართულიმ ნაგლეჯიც აღარ გაუშვე“.

მარიანობა მარიამობა. ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული 28 აგვისტოს. „ხეთაებობა და მარიანობა ყველაზე დიდი დღეობებია მარტყოფსა და ნორიოში“.

მარიანობითვე აგვისტო. „იმდენი პური და ქერი გვეთესა, მარიანობითვეშიც კი კალო გვება ზოღმე“.

მარილის ატირება, **მარილის ტირილ-ი** მარილის დანესტიანება და გაფუჭება. „თუ გინდა, რო არ ატირდემ, ცოტა მშრალ ადგილამ შაინახე ეჲ მარილი“.

მარილის თოფ-ი თოფი, რომლის ვაზნაშიც საფანტის ნაცვლად მარილს ყრიან. მეველეები ხმარობენ, რათა სასიკვდილოდ არ დაჭრან ქურდი. თუმცა არც ეს მარილია უვნებელი. ჭრილობა გვიან ზორცდება და საშინელი ქავილი აქვს. „მეველემ მარილიმ თოფი უსვრია პატრა ბიჭებითვინ, აიქა ყრიან და ფხანით ფეხეფს იგლეჯენ“.

მარნეულ-ი მანეული. ტირიფის ერთ-ერთი სახეობა. „ადრე, როცა დიდი ვენახი გექონდა, ჩვენც გვედგა ერთი მარნეული, მის ყლორტეფს ვაზის ასახვევათ ვიყენებდით, მსხვილ ტოტეფს კი — ჭიგოთ“.

მარტოკელა მარტო, მარტოკა, მარტოხელა. აღამიანი, რომელიც მარტოა, რომელსაც არავინ არ ჰყავს, „საწყალი მარტოკელა ცხოვროფს ამ ოთხ კედელ შუა“.

მარტოკინა იგივეა, რაც მარტოკელა. „აბა, მარტოკინამ ან რა უნა გააკეთომ, ან როგორ უნა გამძლომ“.

მარქაფა წისქვილის ღარიდან წყლის გადასადები. „თეგზი დაჭერა რო გვინდოდა, მივეპარებოდით და მარქაფაზე წყალ გადაუდებდით ხოლმე.“

მარქაფა რუგ-ი დამატებითი რუ, „დოლაბი რალაც ვეღარა ტრიალფუს, წადი და მარქაფა რუვიდანაც მიუშვი წყალი.“

მარწყვის დედა უნაყოფო მცენარეა. მარწყვს ჰგავს. „შორიდან წითლათ მოჩანდა, მეგონა მარწყვი იქნებოდა, ენახე და მარწყვიდელა გამოდგა.“

მარჯაკალ-ი მაჭანკალი. „ჩემი ბაბო განთქმული მარჯაკალი იყო, სოფელში არავინ დადრჩებოდა გაუთხოვარი თუ დასანიშნი.“

მარჯაკლობა მაჭანკლობა. „ჩემ პატარაობამ მარჯაკლობა უკვე სამასხარაოთ იყო გამხდარი, მაგრამ ხო მხედამთ, რა საჭირო ყოფილა? ხალხი თუ გინდათ, რო გამრავლდემ, ეხლაც უნა შამოვიდოთ მარჯაკლობა“.

მარჯაკლობ-ს მაჭანკლობს. „ეგ შენი მეზობელი ისევ მარჯაკლოფს თუ დაივიწყა ძველი ხელობა?“

მასკვლაფ-ი ვარსკვლავი. „ენაცვალომ ბაბო, პირდაპირ დილით მასკვლავია ჩემი პატრა შვილიშვილი.“

მასუკან იმის შემდეგ. „სკოლა რამ დავამთავრე, მასუკან იქ აღარა ვყოფილვარ.“

მატიტა მატიტელა. „მატიტამ წერილათ დავჭრი, მაწონსა და სიმინდი ფქვილში აურევ და იმამ ვაჭმევ ჭუკიეფს, სანამ წამოიზღებინა“.

მალლაგენახ-ი მალლა, ფერდობზე, ზეგანზე გაშენებული ვენახი. „მალლაგენახი ყურძენი მირჩვენია, ჰაერი კარგათ უვლით და გემრიელია.“

მალლასახლ-ი სახლის მეორე სართული. „ვერ გამიგია, ემ მალლასახლები რალათ უნდათ, როცა ყველანი ძირსახლფუში ცხოვრობენ“.

მალლითა ქვა წისქვილის დოლაბი, რომელიც ტრიალფუს გადატ. მამაკაცი, ქმარი. „მალლითა ქვა ყოველთვინ მალე ცვდება.“

მაშინათვე მაშინვე. „როგორც შინ მიხვალ, მაშინათვე შამატყობინე.“

მაცხონე: ძალათ მაცხონე მეტიჩარა. „მაგითანა ძალათ მაცხონე კაცი მე არა მჭირდება.“

მაძლარი თავთავ-ი სახსე თავთავი. „წლელუღ დიდი მოსავალი გვექნება, ნახე, რა მაძლარი თავთავი აყრია.“

მაძლარი მარცვალ-ი მსხვილი, სავსე მარცვალი. „კი თესლი გამოდგა, ტარო არ არი, რო მაძლარი მარცვალი არა მქონდე“.

მზღაგან-ი საქონელი (ცხვარი, ძროხა) „მაგათაც უნა თქვან, სოფელში ვცხოვრობთო, ერთი მბქლავანი რა არი, ბმლავანი არა მყავთ“.

მგელკაცა 1. ყოჩალი, მარჯვე კაცი. „ეგ კაცი კი არა, მგელკაცაა, სამი კაციმ საქმემ აკეთეფს.“ 2. ხარბი მჭამელი. „ამ მგელკაცამ რამ უყურეფთ, ერთი ცხვარი არა მყოფნიმ საჭმელათ.“

მეზობელა ვინც სულ მეზობლებში ტრიალებს, მათთან ათენ-აღამებს. (უფრო ქალზე, გოგოზე იტყვიან). „ე, მეზობელავ, შინ აღარ უნა შამოხვიდე, შე გასაქრობო, შენა!“

მეთხე თხების მწყემსი. „თუ ივარგეფს, ეგ ჩვენი მეთხე უნა წავიყვანო მთაში“

მეკევერე კევრის მეკეთებელი. „სოფელში ერთი კი მეკევერე გყვანდა, ი რო კოხ გაუკეთებდა, სანამ კევრი არ გაცვლებოდა, არ გამომვარდებოდა.“

მეკირე კირის (ქვიშა-ცემენტის) ამრევი, მომზელი. „თელი დღე მეკირეთ მამუშავემ და ისე დავიღალე, პური ჭამი თავი აღარა მაქ.“

მელის დაჭერა: კი მელას დაიჭერს ხათაბლაში ჩავარდება, ფათერაკს გადაეყრება, შარს აიკიდებს. „მამაძაღლობამ თავ თუ არ დაანებეფს, იცოდემ, კი მელამ დაიჭერს.“

მემრე მერე, მერმე. შემდეგ. „ეხლა არა მცალა, ცოტა მაიცადე და მემრე წავიდეთ.“

მემრის გაისად. „წლეულ ისეთი ნიშანი გამაიტანა, მემრის კარგათ დაისხამს ვენახი.“

მენდალ-ი მეღალი. „ჩვენი ბრიგადელი მენდლით დაუჯილდოვებიათ და ეგ გადარეული კიდე უფრო გადარეულა.“

მენდალძაღლ-ი მსუბუქი სალანძღავი სიტყვაა. „სადაა აქამდე ეგ მენდალძაღლი, ეგა, რამ გვემალება?!“

მეპიტნაგებ-ა მოძწონს. „ისე ხო მეპიტნაგებოდა და შინ არ მესტუმრა?“

მერუგე მერუე. „ამოდენა არხი მოდიოდემ და წყალზე ისეგ თავპირ ამტვრევდნენ ერთმანეთ, სირცხვილია პირდაპირ, მერუეგ გვჭირდება ნამდვილათ“.

მესურათე ფოტოგრაფი. „ერთი მესურათე გყვანდა, არშაკა, ქლაქიდან ჩამოდიოდა, ყველა იმამ დამცინოდა, თუმცა თითონაც

ოხუნჯი იყო. რამდენიმე კაცი თონეში ჩააყენა, პასპორტი სურათ სხვანაირათ ვერ გადავიღეთო.“

მეჩემებ-ა ჩემად მიმარჩნია. „შენიანო, მეუბნევინ, მაგრამ რა ვქნა, რო არ მეჩემება?“

მეციკნე ციკნების მწყემსი. „ემ ბებერი კაცი რო დაგიყენებიათ მეციკნეთ, არ გეშინიათ, რო დაეფანტნენ?“

მეხაშე გადატ. ფინაჩი, უვარგისი ხელოსანი. სოფლის კლუბში ხშირად უწყდებოდათ ხოლმე კინოფირი. ამ დროს მთელი დარბაზი აყვირებოდა და „მეხაშე! მეხაშე!“ ძახილით მასხრად იგდებდნენ კინომექანიკოსს.

მზესმოსაშორებელ-ი წყველა. ვისაც მზის მოშორებას, სიკვდილს უსურვებენ. სასიკვდილე. „სადაა იმ მზედმოსაშორებელი, ერთი დამენახომ, თუ კაცია.“

მზესმოსაწყვეტ-ი იგივეა, რაც მზესმოსაშორებელი.

მზვარა ზვარაკი, სამღვთოდ შეწირული ცხვარი, კურატი. „ერთი მზვარა მყავ წმინდა გიორგი სახელზე, ამ შამადგომაზე აუცილებლათ უნა წავიდეთ და დაგვკლათ“.

მზით-ი, **მზითებ-ი** მზითევი. „რამდენი ხანია ქორწილი მქონდათ, ეხლა მზითები მოუტანემ მშობლებმა პატარძალ და ქეფი იხდიან.“

მზითებ-ი იხ. მზითი.

მზის გადაწვევრა საღამო ხანი. „მზიმაგადაწვევრამდე ვიშუშავ ვენახში.“

მზნევა წყენა. „მაგ ლურთ-ლურთეფ ნუ მჭამ, მსუქანმა ხორცმა მზნევა იცის“.

მთვარის დაბადება ახალი მთვარის გამოსვლა (გამოჩენა). „ენახოთ, რა ამინდ დაიჭერს, ამალამ მთვარე უნა დაიბადოა“.

მიბეჯითება მიმარჯვება. „მაგ ცეცხლ ცოტა მოუბეჯითე, თორე გაცივდა სახლი.“

მიბლაყუნებ-ს უპატ. ბლაყუნით მიდის. „ნეტა ვინ ეპატიჟება, რო აულია თავი და მიბლაყუნეფს.“

მიბლაყუნება უპატ. ბლაყუნით მისვლა, დაუპატიჟებლად სტუმრობა „მაგან ყველგან ვე იცის მიბლაყუნება.“

მიბლაყუნებულ-ი უპატ. ბლაყუნით მისული. „მივედი და ვეპე იქ დამხვდა მიბლაყუნებული“.

მიბლეთილ-ი შეშინებული. „რა მიბლეთილი თვალებით იყურება ემ კაცი.“

მიგლა: თავის მიგლა თავის მირტყმა. „ბნელაში ვერაფერი დავინახე და ჭერ თავი მივაგაღე.“

მიგულაგ-ს მაგრად მიხურავს (კარს). „ისე მიგულამს ხოლმე კარეფს, რომ კაცი ველარ გააღეფს“.

მიგულვა მაგრად მიხურვა. „დაწოლამდე კარი მიგულვა არ დაგავიწყდება“.

მიდენილა მიდიოდა თურმე. „ტყეში მიდენილა და მეტყვევო არ გაუშვია.“

მიდღემში არასოდეს. „მე მაგამ მიდღემში არ გაეკეთეფ“.

მიენაბრება-ა ვისიმე იმედად დარჩება. „სუ ტყუილათ მიენაბრება, ეგ მაგიმ მომღელი არ არი“.

მიექაქება-ა ცეცხლთან ახლოს დაჯდება და გათბება. „ბებერი კაცივით მიექაქება ედ ბიჭი ბუნარ და ველარ აყენეფ“.

მიზმანება მიზომვა. „მაგამ მიზმანება რათ უნდა, ისეც ეტყობა, რო დიდია.“

მითამ ვითომ. იხ. მითომ.

მითომ ვითომ. „მაგით მითომ რაო, რა მინდაო?“

მითომდა ვითომდა. „ჩამობძანდა, მითომდა ჩემი დარდი ძქონდა.“

მითომდაც ვითომდაც. „იმათ ისე აჩვენეფს, მითომდაც თითონ იყოფ უფროსი.“

მითომც ვითომც. „ისე იქცევა, მითომც არაფერი მომხდარიყოფ“.

მითქივლება ერთბაშად ბევრი წყლის მისხმა. „ახალ ჩარგულ ჩითილეფს რათ უნდა მაგდენი წყლიმ მითქივლება?“

მიიზმანება-ს მიიზომებს. „ენახავ და მიიზმანეფს, თითქომ მყიდველი იყოფ რამისა.“

მიიყურისძირება-ს მიივიწყებს. „ხო, მაგან ეგე იცის, ყველაფერ დაგპირდება და მერე კი მიიყურიძირეფს ხოლმე.“

მიიმძღვანება-ს მიიმძღვარებს. „მარტოკა არავეისთან არ მივა, ვილაკამ წინ მიიმძღვანეფს ხოლმე.“

მიკნავლდება-ა მისუსტდება, გახდება, ძალ-ღონე გამოეღვევა. „რა ემართება ამ გოგომ, ზაფხულში როგორ მიკნავლდება ხოლმე, რო კაცი ველარ იცნოფს.“

მიკნავლება გახდომა, დასუსტება. „რა არი ეგე მიკნავლება, შინ არაფერ არ გაჭმევენ?“

მიკნავლებულ-ი გამხდარი, დასუსტებული. „ეი მიკნავლებული საქონელი ზამთარ თუ გაუძლეფს, არა მგონია.“

მილიციონ-ი მილიციელი. „რამ დაბდე, მილიციონი ხო არა ხარ?“

მიმღრძვალ-ი 1. მოკლედ დაბმული. „ცოდო არ არი ემ ძროხა, თელი დლე ესე მიმღრძვალი რო გყავთ?“ 2. ძალიან გამხდარი, მისუსტებული „ეგ ისეა მიმღრძვალი, ნახე, თუ ფეხები არ გაჭიმოა“.

მიმწოლ-ი: რქებით მიმწოლი. გადატ. შეუპორვარი. უკან რომ არაფერზე დაიხვეს. „ეგა? ეგ ისეთი მიმწოლია, არავის არაფერ შაარჩენს.“

მინამგვან-ი მსგავსი, მინამსგავსი. „არა, ეგ ის არაა, უბრალო მინამგვანა და მეტი არაფერი“.

მინდგრის ლობით იხ. ტკიპალობიო.

მინუკება მოფერება, მოსიყვარულება. „ამ პატარა გოგომ ისეთი მინუკება იცის, რო ავანტყოფს ფეხზე წამოაყენებს“.

მირაცრაცებ-ს, მირეცრეცებ-ს რაცრაცით მიდის. „ამ დილაუთენია, ნეტა გამაგებინა, სად მირაცრაცევს?“

მირეცრეცებ-ს იხ. მირაცრაცებს.

მიროტ-მოროტაგ-ს დაროშავს, ილაქლაქებს, აბდაუბდა ილაპარაკებს. „ნეტა მაგად რა ყურ უგდეფ, თითონაც არ იცის, რამ მიროტ - მოროტამს ხოლმე.“

მიროტ-მოროტვა დაროშვა. აბდაუბდა ლაპარაკი. ლაქლაქი. „მაგიდ მიროტ-მოროტვამ ყური რო უგდო, კაც გაგაგიჟეფს“.

მისაკლაგება ცემით სიკვდილის პირამდე მიყვანა. „რა დაუშავა ისეთი, რომ ეგი მიუსაკლაგებია, საწყალი კაცი ფეხზე ველარა ღება.“

მისალოც-ი, მისალოცაგ-ი ნიში. დიდი მონასტრის, ეკლესიის სიახლოვეს აგებული ქვითკირის სასანთლე. მლოცველები ჯერ ამ მისალოცში ანთებენ სანთლებს და ლოცულობენ.

მისალოცაგ-ი იხ. მისალოცი.

მისატანებელ-ი საჭმელი. „ღვინო კი კარგი გვაქ, მაგრამ მისატანებელი რო არაფერია, როგორ დავლიოთ?“

მისიკვდილება იგივეა, რაც მისაკლაგება.

მისიკვდილებულ-ი მაგრად ნაცემი. „ბევრჯელა მყავ მისიკვდილებული, მაგრამ ვერაფერი შავასმინე.“

მისდღემში იხ. მიდღემში.

მის მოსვლამდე არაფერი გეტკინოს ფიგურ. თუ საუბარში მიცვალებული ახსენეს (განსაკუთრებით ახლადგარდაცვლილი) და ამ დროს ერთ-ერთმა ცხვირი დააცემინა, თანამოსაუბრე ბეჭზე

ხელს დაარტყამს და ეტყვის: „მის მოსვლამდე არაფერი გეტკინოდ“.

მისრიკინებ-ს მისრიალებს, მიცურავს (ფეხი). „არა, ფენსაცმელზე ძველი ნაჭერი თუ არაფერი ამოვიკარ, ფეხი ძალიან მისრიკინევს და წაქცევისა მეშინია.“

მისურავანდ-ა საჭმელმა ან ზოგიერთი ყვავილის სუნმა შეიძლება აღამიანს აწყინოს, ცუდად იმოქმედოს და სახე, ცხვირი, ტუჩები, თვალები... დაუწითლდეს და გაუსივდეს. ამაზე იტყვიან ხოლმე: „რალაცამ მისურავანდაო“.

მიტიალდებ-ა მივა; „დიდო, მიდი და მიტიალდი, შე ოხერო შენა!“

მიტიალდება მისვლა. „თვალი გეჭიროდ ძროხაზე, საღამოობით მეზობლიმ ეზოში იცის მიტიალდება.“

მიტიალდებულ-ი მისული. „თელი ტყე-ღრე დავიარე, მოკვდი აბი ძებნაში, ემ კი გომში დამხვდა მიტიალდებული“.

მიუკადებ-ს მიუგდებს (წყალს). „ვენახი მორწყვამ რა უნდა, მწკრივეფში თანაბრათ მიუკადე წყალი, მერე დაჯექი და დაისვენე.“

მიუქოლიებ-ს დაუყვავებს, მოეფორება. „ჯერ გაალიზიანეფს, გამწარეფს კაცსა, მერე მივა და მიუქოლიეფს.“

მიუქსეგ-ს შუგულიანებს (ძალს), წაუსისინებს. „მაგარი ძაღლები მყავთ მეცხვარეეფს, ერთ მიუქსევენ და ცხრა მთამ გადააცილებენ ნადირ.“

მიქარახინება 1. ბევრის მიყრა, არევ-ღარევა. „წყობისათ დაალგეთ, ეგე მიქარახინება ვის გაუგონია.“ 2. ნაუცბათევეად აშენება. „თუ მიქარახინება გინდოდა, აქ არ ვიყავი, რალა კალატოზეფს დაემებდი“.

მიქოლიება დაყვავება, მოფერება. „ღანებე თავი, მაგამ შენი მიქოლიება სუ არა მჭირდება.“

მიქსევა შეგულიანება, წასისინება (ძაღლის). „ეგ ისეთი ძაღლია, მიქსევა სუ არა მჭირდება.“

მიღრეჯგა მიბრუნება. „ცოტა იქით მიღრიჯე თავი!“

მიღრძობა მოკლედ მიბმა. „რა არი, შვილო, ესე მიღრძობა, ნუთუ არ გეტოდება ცოცხალი არსება?“

მიღრძობილი მოკლედ მიბმული. „ხბო გომში მყავ მიღრძობილი, თითონ კი ბიჭეფში თამაშოფს“.

მიყოლიება ვინმესთან ერთად მისვლა. „რათ გინდა სხვისა მიყოლიება, მჯობია შენ თითონ მიხვიდე.“

მიყუნწაგ-ს საქმეს დაასრულებს, ბოლომდე მიიყვანს. „არა, სანამ საქმე არ მიიყუნწაშს, ეგ თავ არ დაანებეფს.“

მიყუნწაგა საქმის ბოლომდე მიყვანა. „რალა დაგვრჩა, საქმე ბოლომდე მიყუნწეთ და ეგ არი“.

მიყურისძირება მივიწყება, მიტოვება. საქმის გადადება. „ამ საქმის მიყურიძირება არ იქნება, მომავალი თაობა ამაი არ გვაპატიეფს.“

მიყურისძირებულ-ი მივიწყებული, მიტოვებული. „ჩვენ მთავრობაი აფხაზეთიი ამბებიც მიყურიძირებული აქ და სამაჩაბლოსიცი.“

მიშავებნელდებ-ა უპატიეფც. 1. მივა, მიეთრევა. „მაი რას იზამს, მივა და მიშავებნელდება. 2. მიღის, მიეთრევა. „აგე, იქ არ მიღის და მიშავებნელდება?“

მიშავებნელება უპატიეფც. 1. მისვლა, მითრევა. „არ ეღირსა მისვლა და მიშავებნელება“. 2. მიცემა. „აილე და მიშავებნელე, არაფერი არ დაიტოვო მაგ მათხოვრისა.“

მიშავებნელებულ-ი უპატიეფც. მისული, მითრეული. „რო მიველი, ისიცი იქ დამხვდა მიშავებნელებული“.

მიშავეკეაფდებ-ა იგიევა, რაც მიშავებნელდება.

მიშავეკეაფება იგიევა, რაც მიშავებნელება.

მიშავეკეაფებული იგიევა, რაც მიშავებნელებული.

მიშაფათება ნაჩქარეეად, უსულგულოდ გაკეთება საქმისა. „საქმი მიშაფათება ძაან მეჯავრება, თუ ხელ მოვკიდეფ, გულიანათაც გავაკეთეფ“.

მიშაფათებულ-ი ნაჩქარეეად, უსულგულოდ გაკეთებული (საქმე). „არა, მაგათი მიშაფათებული საქმე მე არ გამამადგება“.

მიჩაკჩაკდებ-ა ჩაკჩაკით მივა. „ეი რა უშნო ცხენია, სანამ მიჩაკჩაკდება, შუალამე განდება.“

მიჩაკჩაკება ჩაკჩაკით მისვლა.

მიჩაკჩაკებ-ს ჩაკჩაკით მიღის. „ეი ცხენი ისე მიჩაკჩაკეფს, საღამომდე ვერ მიგვიყვანს შინ.“

მიჩლარტუნდებ-ა ჩლარტუნით, ფეხისთრეეით მივა. „წავა-წამოვა და საარყეზე მიჩლარტუნდება.“

მიჩლარტუნებ-ს ჩლარტუნით, ფეხისთრეეით მიღის. „დაანებე თავი, ხო მხელამ, რო ძლიე მიჩლარტუნეფს.“

მიჩლარტუნება ჩლარტუნით, ფეხისთრეეით მისვლა. „იქლა ეკლდა მიჩლარტუნება!“

მიჩლარტუნობ-ს იხ. მიჩლარტუნებს.

მიწოკროკებ-ს ჩოკროკით (ქიკქივით) მიღის. „ნეტა სად მიწოკროკეფს ეა რუსიდა მათუშკა?“

მიწულაფ-ს მიმალავს. „მიწულავს სადღაცადა და მერე თითონაც ველარ პოულოფს“.

მიწულვა მიმალვა. „რა არი, ქალო, რა ყველაფერი მიწულვა გიყვარს“.

მიწულულ-ი მიმალული. „სადღაცადა ექნება მიწულული და ეხლა ველარა პოულოფს.“

მიწუმათდებ-ა მიწუმდება. „აი, ნახავთ, ეა საქმეც სუ მალე მიწუმათდება.“

მიწუმათება მიწუმება, გასაიდუმლოება. „მაგათ ყველაფერი მიწუმათება იციან.“

მიწუმათებულ-ი გასაიდუმლოებული. „ყველაფერი როგორა აქვთ მიწუმათებული.“

მიცანცარდებ-ა ცანცარით მივა. „ეა კურდღელი ყოველ დილადა ბოდიტანში მიცანცარდება ხოლმე.“

მიცანცარებ-ს ცანცარით მიღის. „ჩვენი კულრაჭა გოგო ბაჭისასავით მიცანცარეფს სკოლისაკენ.“

მიწადასაყრელ-ი ავი, ბოროტი, სასიკვდილე. „ეგ ისეთი მიწადასაყრელია, მაგისგან კარქს არ უნდა ელოდო.“

მიწაშიჩასადებ-ი წყველა. სასიკვდილე. „სად არი ეხლა ეგ მიწაშიჩასადები, ევა, რატო არ გამოჩნდება?“

მიწისგულ-ი სოკოა ერთგვარი. იშვიათ ადგილებში მოღის. მოზრდილი ნესვის ტოლა იზრდება მიწაში. არ ჩანს. როცა იზრდება, მიწას ამობურცავს ხოლმე. ფეხს თუ დაადგამს კაცი, შიგ ჩაუვარდება. კვერცხის გულის ფერი აქვს. გულის სამკურნალო წამალია.“

მიწისდამყრელ-ი ვინც მიცვალებულს მიწა უნდა დააყაროს. „რა უბედური ყოფილა ეა ბერიკაცი, მიწიდამყრელიც კი აღარავინ დარჩენია.“

მიხევებ-ს (წყალს) თავისკენ უგდება, იპარავს. „ვიღაცადა გამაწამა, წარამარა მიხევეფს წყალსა“.

მიხევება წყლის ერთმხარეს მიშვება. „ეა ამდენი წყალი რო მიგიხევებია ბოდიტანში, რათ გინდა, გადაუგდე ცოტა, თორე სუ დაგიზრამამს“.

მიხევებულ-ი ერთ მხარეს მიშვებული (წყალი). „წყალი მიხევებული დამრჩა და თუ არ მივხედე, ყველაფერ გამიფუჭეფს.“

მიხივლება ერთბაშად ბევრი წყლის დასხმა. „რათ უნდა ამდენი წყლით მიხივლება, ერთი ჭიქაც ეყოფა.“

მიხინცლ-მოხინცლაგ-ს მიმოფანტავს, მიყრი-მოყრის. „მოვა ემ ჩემი ცოდით სამსე, სახლ ააბუტულავეფს, მიმხინცლ-მოხინცლამს და წავა.“

მიხინცელ-მოხინცელა მიმოფანტავს, მიყრა-მოყრა. „მაგამ მარტო მიხინცელ-მოხინცელა შაუძლია, მეტი არაფერი“.

მიხინცლულ-მოხინცლულ-ი მიმოფანტული, მიყრილ-მოყრილი. „სახლი რო მიხინცლულ-მოხინცლული დაიხვდა, წინაღამ გული გაუსკდა.“

(მ)კათათვე ივლისი. „ვგ ისეთი მცივანაა, მკათათვეშიც ხელები აძრება“.

მკედრის მზე საღამოს, დაბინდების წინ, მზე რომ ალაგ-ალაგ ანათებს. რადგან ჩვენთან სასაფლაოები ძირითადად მაღლობ ადგილზეა, მზის სხივები აქ ყველაზე უკეთ ეცემა და ანათებს, ამიტომ უწოდებენ „მკედრისმზეს“. „ნახე, ნახე, რა ლამაზია მკედრისმზე“.

მკლაგ-ი: 1. ურმის მკლაგი ხელნა. „ემ ხე ვე არ დამჭრა, აქედან კაი მკლაგი გამოვა.“ 2. ჭარხლის მკლაგი ჭარხლის ფოთოლი. „წადი ჭარხლი მკლაგი მოკრიფე, საღამომთვინ მხალი გაეკეთოთ.“

მკლაგურ-ი ცურვის ერთ-ერთი სახეობაა. „მოდი, თუ გინდა მკლაურში გამეჯიბრე.“

მლაღაგ-ი გამლაღავი, გამრეკი. „როცა ამოდენა საქონელი გყავ, მლაღაგიც უნა გყვანდე“

მლივ-ი 1. პატარა, დაღეული ადამიანი (უფრო ქალზე იტყვიან) „ემ მლივი სუ არ გაზდილა, ნახე, ისევ ისეთია.“ 2. გადატ. ეშმაკი, გაიძვერა. „პაი, მლივო, ემ ქვეყანა სუ შენგენაა ამოგდებული“.

მოაბზევებ-ს კალოში ჩაშლილ ძნას გაღეწავს, ბზელ აქცევს. „კაი მზე გამოვიდა, შუადღემდე მოვაბზევეფთ და გავანიავეფთ კიდევაც.“

მოაბლაყუნებ-ს ბლაყუნით მოდის, ფეხებს მოათრევს. „გადმოდგი ფეხები, რამ მოაბლაყუნეფ“.

მოაბურდოვებ-ს კალოში ჩაშლილ ძნას ბურდოდ აქცევს. „კარგათ რო მოაბურდოვეფთ, ცხენი გადააყენეთ და შეასვენეთ.“

მოაგერანებ-ს უპატივც. მოიტანს. „რა ჩვევა აქ ამ კაც, რასაც წაიღეფს, უკან აღარ მოაგერანეფს.“

მოათქივლებ-ს ბევრ სიტხეს დაასხამს. „ერთი ჭიქა უთხარი და ამან ერთი დოქი მოათქივლა.“

მოაკაბდოვებ-ს კაბდოს მოატარებს. გადატ. მოასწორებს. „საქმე მანამ თავ არ დაანებებს, სანამ არ მოაკაბდოვებს“.

მოაკმენჩაგ-ს მოაკებნს. „მიძხედე იმ ბაღს, თორე ყველა ჩურჩხელად მოაკმენჩავს წვერებს.“

მოალაბავებ-ს კარგად აურევს კირს, ლაბას გაუკეთებს (მოუგდებს). „ნახე, რა ყოჩალია, ხელათში აურევს კალომ და მოალაბავევს ხოლმე.“

მოალაღლაღებ-ს მოუშვებს (ქანჩს). მოაბოშებს. „მალ-მალ ნახე ხოლმე, ცუდი გზაა, გნოდ მოალაღლაღებს და თივა დაგეპნევა.“

მოალივლივებ-ს დაღვრის (წყალს). „გამაართვი ეს ვედრა, თორე წააქცევს და იატაკზე მოალივლივებს.“

მომამხოზ-ს მოაკლებს, გადაიღებს. „ცოტამ თუ არ მოამხოვს, ამოდოლად ვერ დაემძრამ.“

მონაველებ-ს უნაჭუჭო კვერცხს დადებს (ქათამი). „რა მოუვიდა ამ ქათამ, დღესაც მონაველა კვერცხი.“

მოათხრებ-ს უპატივც. მოუტანს, დაუბრუნებს, მისცემს. „რა იყო, კი არ დაივიწყებია, მოუტანს და მოაოხრებს“.

მოასურიელებ-ს მოასულიერებს. გამოაცოცხლებს. „არ ვიცი, ამ გაძვალტყავებულ საქონელ რა მოასურიელეფს“.

მოათიალელებ-ს უპატივც. 1. მოუტანს, მისცემს. „იმნაირ კაც რა უთხარი, რასაც წაიღეფს, უკან რო აღარ მოათიალეფს.“ 2. მოაგდებს, მორეკავს. „ერთი საათი მაინც გყავდე საქონელი გარეთ, უცეფ რამ მათიალეფ ხოლმე.“

მოაფიშფიშებ-ს უცებ გააკეთებს, მოაკვარახჭინებს. „სანამ სუფრა გაიშლებოდე, პატარა მოგვიფიშფიშე რამე.“

მოაფომფლოვებ-ს მოაბოშებს, მოადუნებს. „ძალიან ნუ დაძვინძვამ, ცოტა მოაფომფლოვე, თორე გაწყდება.“

მოაქივქივებ-ს ქივქივით მოჰყავს (ცხენი). „გაიხედე ერთი, ნახე, ვინ მოაქივქივებს ცხენსა.“

მოაშაგბნელებ-ს უპატივც. 1. მოღის. „ეს ვილა მოაშაგბნელებს ჩვენკე ნეტავი“. 2. მოუტანს, მისცემს. „ნუ დარდოვ, მოუტანს და მოაშაგბნელებს.“

მოაშაგქავებ-ს უპატივც. იხ. მოაშაგქავებს.

მოაჩაქჩაქებ-ს ჩაქჩაკით მოჰყავს (ცხენი). „შემჯდარა ცხენზე და ჩვენკენ მოაჩაქჩაქეფს.“

მოაჩლარტუნებ-ს ჩლარტუნით მოდის, ფეხებს მოათრევს. „აბა, ყოჩალათ იარე, რამ მოაჩლარტუნეფ ფეხეფს.“

მოაჩრიხვებ-ს გაზრდის, ჩრიხვად (ვარიად) აქცევს. „მაგარი კრუხი გამამადგა, უცეფ მააჩრიხვეფს ხოლმე წიწილეფს.“

მოაცანცარებ-ს ცანცარით მოაქვს. „მელა მოდიმ და ფუმფულა კუდ მოაცანცარეფს.“

მოაციცქნი-ს ცოტას მოატეხს (პურს). „რა არი, ერთი ბეწომ რო მოაციცქნიმ ხოლმე, ეგ ეყოფა?“

მოაწკაპწკაპებ-ს ცოტას (წვეთ-წვეთობით) მოასხამს წყალს. „ცოტა მოაწკაპწკაპე, თუ გინდა, კარგათ დაუთოვდეა.“

მოახაშებ-ს ცომს ხაშად (საფურად) აქცევს. „ჩემი ბაბო საფურ სუ არ ყიდულოფს, თითონვე მოახაშეფს და იმით აფუეფს ხოლმე.“

მოახევებ-ს ბევრს მოუგდებს (წყალს). „რათ უნდა ამდენი წყალი, თელ რუვ რო მოახევეფს ხოლმე ნეტაეი.“

მოახეჩაგ-ს მოამტრევს (ტოტს). „არა, არა ნუ მოახეჩაგ მეგ ტოტ, უშნოთ გამოჩნდება, ცულით მოაჭერ ან ხერხით მოახერხე.“

მოახივლებ-ს ივივია, რაც მოახევებს. „მიდი, შენ მიმხედე, თორე ეგ თელ რუვ მოახივლეფს ვენახში.“

მოახუხულავებ-ს გადატ. სახელდახელოდ ააშენებს, პატარა სახლს (ქოხს) დადგამს. „ცემენტი აქ და ქვიშა, აგურსაც მაიტანს და უცებ მოახუხულავეფს რალაცაა.“

მობზევდებ-ა გაილეწება, ბზედ იქცევა. „ძნა ისეა გაფიცებული, მალევე მობზევდება.“

მობზევება გალეწება, ბზედ ქცევა. „მობზევება არ აცალა, მაშინვე შახვეტა კალო.“

მობზევებულ-ი ბზედ ქცეული, გალეწილი. „რალა უნდა, უკვე მობზევებულია, გადააყენე ცხენი.“

მობლაყუნდებ-ა ბლაყუნით მოვა. „სადაც არ მინდა, ყველგან ეგ მობლაყუნდება ხოლმე.“

მობლაყუნება ბლაყუნით, ფეხის თრევით მოსვლა. „მაგია მობლაყუნებად უცადე ახლა.“

მობლაყუნებულ-ი ბლაყუნით, ფეხის თრევით მოსული. „ნუ იდარდოფ, მოხვალ და ისიც აქ დაგვხვდება მობლაყუნებული.“

მობურდოვდებ-ა ბურდოდ იქცევა. „ბევრი ლეწვა არ უნდა, მობურდოვდება თუ არა, მაშინვე შავხვეტოთ.“

მობურდოვებულ-ი ბურღოდ ქცეული, ოდნავ გაღწეული. „კარგათ იყო მობურდოვებული, მეორე ცხენიც რო შავაბით კვერში.“

მოგლა მოძონა, მოძოვება, ძირფესვიანად მოჰმა ბალახისა (ვეჯვილისა). ასეთი ძონა ცხვარმა და ცხენმა იცის. „ცხვარმა ისეთი მოგლა იცის ბალახისა, რო ერთ თვემ აღარაფერი აღარ ემჩნევა ხოლმე.“

მოგლი-ს ძირფესვიანად მოძოვს. „ეა ამოდენა ცხვარი ისე მოგლიმ მინდერეფს, რომ ნახირი მუცელ ველარ გაიძლოფს.“

მოგლილ-ი 1. ძირფესვიანად მოძოვლი. „თელი მინდერები მოგლილია, პატარა თუ არ გაწვიმდა, საქონელი შიმშილით დიახოცება.“ 2. სიმსივნე. ფეხშიშველა სიარულის დროს ადამიანს ფეხის გულზე ქუსლთან, კანქვეშ ჩირქი უგროვდება და სამინელ ტკივილს იწვევს. ამ სიმსივნეს „მოგლილს“ უწოდებენ. მაყვლის ფოთლით მკურნალობენ. „მოგლილზე მაყვლი ფოთოლი დაიდუ და მაგრათ შაიკარ, ერთ-ორ დღემ ესე გქონდემ და გამოგერწყობა, თუ არ გამოგერწყო, კიდევ დაიდუ, მალე მოგირჩება.“

მოგოხაგ-ს მწიფე და მკვახე ხილს ერთიანად მოკრეფს. „შენ თავზე დაადექი, თორე ეა ბავშვები ერთიანათ მოგოხაშენ იმ ჭურამ.“

მოგოხვა მწიფე და მკვახე ხილის ერთიანად მოკრეფა. „რა იყო ესე მოგოხვა, ნუთუ არ გენანება, ამოდენა ხილი რო გაფუჭდება?“

მოგოხილ-ი ერთიანად მოკრეფილი ხილი. „მითომ პატივი მცა, მოგოხილი ხილი მოუტანა მუშეფს.“

მოდენილა მოდიოდა თურმე. „ტყიდან მოდენილა პაპაჩემი და გზაზე დათვი გადაადგომია.“

მოდლლეზილ-ი დიდი ტანის, ზონზროზა ადამიანი. „ერთი მოდლლეზილი კაცი გამაიყვანემ საჭიდათ.“

მოდლლერძილ-ი იგივეა, რა მოდლლეზილი.

მოვერანდებ-ა მოვა, მოტიალდება „ძროხა სად დაიკარგება, სადლაცაა გადაიპარებოდა, გაძლება და თავისით მოვერანდება.“

მოვერანება მოსვლა, მოტიალება. „აბა, თუ ეღირსომ ამ ოხერ ძროხამ მოვერანება.“

მოვერანებულ-ი მოსული, მოტიალებული. „მე ძებნით მოვეკდი, ეა ძროხა კი შინ დამხვდა მოვერანებული.“

მოზომაგ-ს ირონ. წაიქცევა. „ერთი ისეთი მოვზომე თოვლში, ძლივლა წამოვდექი.“

მოზურგულება წამოკიდება. „მაგიდ მოზურგულებად რა უნდა.“
მოთაგხელება დამარტოვება. ხელში ჩაგდება. „იმ გოგომ მოთაგხელება არც ისე ადვილი გეგონომ.“

მოთაგხელებულ-ი დამარტოვებული; ხელში ჩაგდებული; გამოჭერილი, „მოთაგხელებული მყვანდა, მაგრამ ამხანაგებმა შემისაღებ ხელი.“

მოიზურგულებ-ს წამოიკიდებს; „სამსე ტომარად მოვიზურგულეფ და წისქვილში წაილეფ ხოლმე.“

მოითაგხელებ-ს დამარტოვებს, გამოიჭერს. „დაანებომ თავი, თორე მე რო იმი მამი ხანსათი ვიცი, სადაც კი მოითაგხელებს, უცემელ არ გაუშეფს.“

მოიშადრიელებ-ს მოიშადლიერებს; გულს მოუგებს. „ჩემი ბაბო გამვლელ-გამომვლელ ხილ გამოუტანს ხოლმე და ყველამ მოიშადრიელებს.“

მოიმძვლეფ-ა მოიმზღვლევა, ჩამოიქცევა. „იმ ფერდობზე აღარ გაიაროთ, მიწამ ისე აქ პირი დაღებული, საცაა მოიმძვლევა.“

მოისურგილებ-ს მოისურვებს; მოიწადინებს; მოინდომებს. „ვე თუ მოისურვილეფს, მე შხათა ვარ, თან გაცყვე.“

მოიფურტენება გაფუჭდება. მოიშლება. „ამ საათ ტყულათ ძყიდულოფ, ხელათში მოიფურტენება.“

მოიფშრუკება-ა გაჭკნება, გახმება, „თუ არ გაწვიმდა, თავთავი სუ მოიფშრუკება.“

მოიქონიებ-ს შეიძენს, მოიპოვებს. „მერე რა, რო ღარიბია, ყოჩალი ბიჭია, იმუშავეფს და ყველაფერ მოიქონიეფს.“

მოიქრუშება-ა 1. მოიღრუბლება; ამინდი შეიცვლება. „დილით ცოტახან გამოანათეფს მზე და მერე ისევე მოიქრუშება. 2. დაიკობება; შუბლს შეიკრავს. „ემ კაცი რა მალ-მალ მოიქრუშება ხოლმე.“

მოიშანშლება არ-დაირევა; დანაგვიანდება. „ცოტა შორ მანც დაგედგა ემ ზეინი, აქაურობა სუ მოიშანშლება.“

მოიჩირდილებ-ს მოიჩირდილებს. „ხელით მოიჩირდილეფს თვალეფს და შორ გაიხეღამს.“

მოიჩინტებ-ა ცოტას მოიწველის. „ემ ძროხა ერთ-ორ კვირამ კიდე მოიჩინტება და გაშრება.“

მოიჩხლართებ-ა მოიქსოვება. „ამ პატრა გორგლით განა რამდენი წინდა მოიჩხლართება.“

მოიხეჩება-ა ჩამოტყდება. „თუ არაფერი შაუდგი, ისე ასხია, ემ ტოტი მოიხეჩება.“

მოიჯანღვება-ა ჯანდი ჩამოწვება, ჯანდიანი ამინდი დადგება. „ისეთი პირი უჩანს, ნამდვილათ მოიჯანღვება.“

მოკაბდოვება-ა კაბდო მოტარდება; მოსწორდება (ნახნავი) „როცა მოკაბდოვდება, ველარც შაატყოფ თუ როგორ იყო მოხნული.“

მოკაბდოვება ნახნავში კაბდოს მოტარება, მოსწორება. „მოკაბდოვება და დათესვალა უნდა ჩვენ ნაკეთ.“

მოკაბდოვებულ-ი კაბდომოტარებული; მოსწორებული (ნახნავი), „მოხნულიცა მაქ და მოკაბდოვებულიც“.

მოკმენჩაგ-ს მოკბეჩს. „კი არა მჭამს, აფუჭეფს, მომკმენჩამს და გადააგდეფს, მომკმენჩამს და გადააგდეფს.“

მოკმენჩილ-ი მოკბეჩილი. „აიღე და სუ შაჭამე, ვილამ უნდა შენი მოკმენჩილი ვაშლი!“

მოკუჭაგ-ს მომუჭავს, მოკუმშავს (ხელს). „ეგ რო ხელ მომკუჭამს, ტყუილია, ველარავინ ვერ გაახსნევინეფს.“

მოკუჭვა მოკუმშვა. „მუეტიმ მოკუჭვა და დარტყმა ერთი იყო.“

მოკუჭულ-ი მოკუმშული, მომუჭული. „სიცივისაგან მოკუჭული თითები ძლივ გაუხსენი.“

მოლა გადატ. თვალთმაქცი, ეშმაკი, გაიძვერა ადამიანი. „ეგა? კაი დიდი მოლაა, ვინც არ იცნოფს!“

მოლაბაგდება-ა ლაბას გაიკეთებს (კირი). „კირი სუ მალე მოლაბაგდება და დაეიწყეფთ მუშაობამ!“

მოლაბაგება ლაბის (ლორწოს) გაშება. „მოლაბაგება როდემდე უნა უცადოთ, დაეიწყოთ მუშაობა!“

მოლაბაგებულ-ი თავზე ლაბამოგებული (კირი). „კირი მოლაბაგებული უნა იყოამ, თორე არ ივარგეფს!“

მოლიგლიგება დაღვრა, მოსხმა წყლისა „ეგ რა გიჭნია, ამდენი წყლიმ მოლიგლეება რა იყო?“

მოლიგლიგებულ-ი დაღვრილი, მოსხმული. „ოთახში რო შევედი, თელი იატაკი მოლიგლიგებულნი დაძხვდა.“

მოლაღლაღებულ-ი მოშვებული, მობოშებული. „თოკები ისეა მოლაღლაღებული, გზაში შეჭველათ დაგემლებათ ურემი.“

მოლინჭყაგ-ს დაასველებს. „არა, ისეთი წვიმა არ არი, რო გზა აატალახოდ, ცოტამ მომლინჭყამს და ეგ იჭნება.“

მოლინჭყება დასველება. „რათ უნდოდა ამ ეზო ესე მოლინჭყება.“

მოლინჭყებულ-ი დასველებული, დაჟიებული (მიწა). „ისეა მოლინჭყებულ კალო, შიგ შასვლა არ შაიძლება.“

მოლინჭყვა იგივეა, რაც მოლინჭყება.

მოლინჭყულ-ი იგივეა, რაც მოლინჭყებული. „თელი ღლე მოლინჭყულ გზაზე ვიარეთ.“

მოლოზანა გვიან გამოსხმული ყრუძნის მტევანი. რთელის დროს ისე უმწიფარია. „მოლოზანა არ ჩააყოლო დაკრეფილ ყრუძნში, ღვინოა გააფუჭეფს.“

მოლოკვა წყველაა. ამოწვეტა. „აი, მაგათი მოლოკვა იყო, მაგათი!“

მომძღლევა მიწის დასკვდომა, ნაპრალების გაჩენა. „ღიდ წვიმებ რო დაიჭერს ხოლმე, გომბორი გზამ ერთიანათ იცის მომძღვევა.“

მომძღლეულ-ი დამსკდარი, ნაპრალებგაჩენილი (მიწა). „ე ბავშვები იქით არ გაუშვა, ფერდობი ძალიანაა მომძღლეული.“

მომსპარ-ი განადგურებული. „სიცხისაგან თელი ნათესები უკვე მომსპარია.“

მომხო საკმაოდ მსხვილი (ჯოხი) „აილო ერთი მომხო ჯოხი და მდრუზა და მდრუზა გვერდებში.“

მონავლება უნაჭუჭო კვერცხის დადება. „ნელა რა დაემართა ამ ქათამ, ამან მონავლება რო არ იცოდა?“

მონავლებულ-ი უნაჭუჭოდ დადებული კვერცხი. „ეზოში მონავლებული კვერცხი ედო.“

მონათლაგ-ს გადატ. გამოაცოცხლებს. „ენლა ერთი ხელადა ცივი ღვინო ნამღვილათ მოგენათლამდა.“

მონატურ-ი ვინც ნატრობს, მონატრული. „მეც მაგის მონატური ვარ“. „ამ მთავრობამ ყველაფერი მონატური გაგვხადა.“

მონაჭერ-ი ძალიან მსგავსი. „ე ბიჭი თავისი პაპი მონაჭერია.“

მოორკეცება ორად მოკეცვა. „რათ უნდა ამ თოკ მოორკეცება, ისედა დაიჭერს, მაგარია.“

მოორკეცებულ-ი ორადმოკეცილი. „სუ მოორკეცებული ქამრით აუჭრელა გვერდები.“

მოპამპალებს პამპალით მოდის, ძლივს დგამს ნაბიჯებს. „აბა, ერთი გაიხედე, ე ვინ მოპამპალეფს.“

მოპამპალდება დამბუნდება, დაუძღურდება, „კაცი რო მოპამპალდება, გარეთ აღარ უნა გავიდუმ“.

მოპამპალება დაძაბუნება, დაუძლურება. „ვუ ისეთი მაგარი კაცი იყო, მაგია მოპამპალებად როგორ დაეიჯერებდი.“

მოპამპალებულ-ი დაძაბუნებული, დაუძლურებული. „ნეტა როდემდე გაუძლებენ ემ მოპამპალებული მოხუცები ამ გაჭირვებულ ცხოვრებად“.

მორბედ-ი ოჯახის ახალგაზრდა წევრი (უმეტესად ვაჟი). „შენ რა გაქ საწუწუნო, შინ ორი მორბედი გყავ.“

მოსადეგარ-ი შთამომავლობა; ნათესავ-მოკეთები. „აღიხვეო და ტევალო, სუ ჩემო მოსადეგარო, მანდ რო ქალი დავიკარგე, განჯას თათარსა ვყევარო, შაკრიფეთ თითო შაური, მიხსენით, თქვენი ტყვე ვარო.“ (მარტყოფში ჩეწირილი ლექსი).

მოსაკლისება დაღონება; შეწუხება; ვიდაცას რომ ელიან და მის მოუსვლელობას ძალიან განიცდიან, ამაზე იტყვიან ხოლმე „მოსაკლისესო“.

მოსაკოდ-ი მოსაკოდავი. „დოლაბი მოსაკოდი დამრჩა და ნახე, სუ ზევზევიდან სრიალფეს.“

მოსალოკ-ი წყველა. ამოსაწყვეტი. „სად გადაკარგულან ემ მოსალოკები, ესენი.“

მოსამხობ-ი მოსაკლები „ბევრი ჩაგიყრია, ცოტა მოსამხობია.“

მოსაქვაგებელ-ი უპატივც. ვინც უნდა მოვიდეს, მოსასვლელი. „სად არი აქამდე იმ მოსაქვაგებელი, ისა“.

მოსურიელდებ-ა მოსულიერდება, გამოცოცხლდება. „აჭამე რამე და მალევე მოსურიელდება.“

მოსურიელება მოსულიერება; გონზე მოყვანა; გამოცოცხლება. „მაგ გაძვალტყავებული საქონლი მოსურიელება თუ გინდა, კობტონი უნა აჭამო დღეში სამჯერ.“

მოსურიელებულ-ი მოსულიერებული; გამოცოცხლებული „მგლებისაგან ნათეთქვი ჩვენი ძალლი ახლა, ოდნავ მოსურიელებული, ღობეითან მიგდებულიყო და ტკბილათ ეძინა.“

მოტიალდებ-ა მოღის; მოვა. „აგე, ეხლა არ მოტიალდება ემ ოხერი ძროხა“. „თაქეჯ ნუ შაიყრი ხოლმე, მოტიალდება, მამ რა მოუა.“

მოტიალება მოსვლა; მორეკვა. „უკვე დაღამდა და საქონელ ჯერ კიდევ არ აღირსა მოტიალება.“

მოტიალებულ-ი მოსული. „მე ტყე-ღრეში დავეძებდი, ემ სამგლე კი შინ დამხვდა მოტიალებული.“

მოტოტონება მოკანკალება, კანკალით მოტანა. „რათ უნდოდა ამოტოლა კასრით მოტოტონება, პატრა ჭურჭელში ვერ ჩაასხა?“

მოუსაგლეთ-ი საიქო. „სად მოუსაგლეთში წავიდა ნეტავი.“

მოუსაგლეთის გზას დაადგეს წყველაა. მოკედეს, დაიღუპოს. „აი, მოუსაგლეთი გზამ დაადგე და უკან აღარ ეღირსოა დაბრუნება.“

მოუსაგლეთში წასვლა უპატივც. სიკვდილი, დაღუპვა, გარდაცვალება. „ეჰ, აღარ არი ჩვენი დათა, მოუსაგლეთში წასულა უკვე.“

მოუქოლიებ-ს დაუყვავებს, მოფერება. „ეჰ ისეთი მოლაა, აი, ნახავ, მოუქოლიეფს და თავსაც შააცოდუფს.“

მოფიშფიშდება უცბად გაკეთდება. „დიდხან ლოდინი არ დაგვჭირდება, ხელათში მოფიშფიშდება.“

მოფიშფიშება უცბად გაკეთება. „ყოჩალი დედაკაცია, უცებ შაუძლია საჭმლი მოფიშფიშება“. გადატ. საქმის სწრაფად მოგვარება. „სულ არ მეგონა, თუ ესე უცუფ მომიფიშფიშებდა ამ საქმეი.“

მოფიშფიშებულ-ი სწრაფად გაკეთებული. „შენი მოფიშფიშებული საქმე მე არა მჭირდება.“

მოფლემშაგ-ს 1. გაცვეთს; დაბრეცავს (ფეხსაცმელს). „ჩემ ჩუბტეფს ჩაიცმევს და ერთ დღეში მოიფლემშამს ხოლმე.“ 2. მოთენტავს „რა მაგარი ღვინოა, ორი ჭიქაც კი მომფლემშამს ხოლმე.“

მოფლემშა 1. გაცვეთა; დაბრეცვა (ფეხსაცმლის). „რა იყო, ამ ფეხსაცმელები ესე მოფლემშა, ცოტა ვერ გაუფრთხილდი?“. 2. მოთენტავა. „ბევრმა სმა-ჭამამ იცია ეგე მოფლემშა.“

მოფლემშილ-ი 1. გაცვეთილი; დაბრეცილი; პირდაღებული (ფეხსაცმელი). „ქალო, როდემდე უნა მეცვამ ეა მოფლემშილი ფეხსაცმელები?“. 2. მოთენთილი „ო-ო, ძან მოფლემშილი ვარ, წავალ, ცოტამ წაუუძინეუ.“

მოფოლორცდება-ა პირმოთნობას, პირფერობას დაიწყებს. „ეჰ ჯანდამწვარი უცხოითან როგორ მოფოლორცდება ხოლმე.“

მოფოლორცება პირმოთნობა, პირფერობა. „მოფოლორცება ხომ მაგია ხელობაა, სხვა ვერავინ ვერ ამწავლის.“

მოფოლორცებულ-ი გაპირფერებული, გამლიქენელებული. „ისეთი მოფოლორცებულია, დალაპარკებაც კი შეგეზარება.“

მოფომფლოფდება-ა მოეშვება; მობოშდება. „რა მოუვა ხოლმე ამ ბიჭ, როგორ მოფომფლოფდება, თითქომ ასი წლია მოხუცი იყოი.“

მოფომფლოვება მოშვება; მობოშება. „რა იყო ესე მოფომფლოვება, ცოტა მაგრა ვერ დაუჭირე ქანჩი?“

მოფომფლოვებულ-ი მოშვებული; მობოშებული. „**ე** ქანჩი მოფომფლოვებულა, ცოტა დაუჭირე.“

მოფრთიანება წამოზრდა. „წიწილები უკვე მოფრთიანდნენ.“
გადატ. აღამიანზეც იტყვიან „ეხლა რა გიჭირს, **ე** შვილებიც მოგიფრთიანდნენ.“

მოფურტკენა მოშლა, გაფუჭება. „ნამდვილი ნადირია **ე** ბიჭი, ერთი საათით ვერ შაიშნოვა სათამაშო, ნახე, უკვე მოფურტკნა.“

მოფურტკენაგ-ს მოშლის, გააფუჭებს. **იხ.** მოფურტკნის.

მოფურტკენი-ს მოშლის, გააფუჭებს. „მაგამ თუ ხელში ჩაუგდევ, არ იცი, რო მაშინვე მოიფურტკენის?“

მოფურტკენულ-ი მოშლილი, გაფუჭებული. „ვისია **ე** მოფურტკენული მანქანა?“

მოფშრუკავ-ს აურევს, აზელს ფქვილს (ნაცარს). ფქვილს ჩაყრიან ცხელ წყალში და ამოზელენ, მერე „სანელებლით შეაზაგებენ. ამ კერძს ფუშრუკს ეძახიან, ფუშრუკი გაკეთება რა უნდა, ცხელ წყალში ჩაყარე ფქვილი და მოფშრუკე.“
გადატ. ამოწყვეტა, გაუუევა „იმათი მოფშრუკვა იყო, იმათი.“

მოფშრუკულ-ი არეული, აზელილი. „მოფშრუკული ნაცარი მოაყარე თონეა, ცოტა განელდე.“

მოქეჩავ-ს მორეკავს. „ამოდენა გოგობიჭობამ მოქეჩამს და იკლებენ აქავრობამ.“

მოქეჩვა მორეკვა. „ამ ხალხიმ მოქეჩვა რო გიყვარს, გაძლოლაც უნა იცოდე.“

მოქეჩილ-ი მორეკილი, „ვისი მოქეჩილია **ე** ამოდენა აღლაუჭობა?“

მოქვაგდებ-ა უპატივც. მოვა. „ისევ აქ მოქვაგდება, სად წავა?“

მოქვაგება უპატივც. მოსვლა. „აღარ ეღირსა მოქვაგება.“

მოქვაგებულ-ი უპატივც. მოსული. „მე რო მოვედი, **ე** უკვე მოქვაგებულნი დამხვდა.“

მოქიფიფდება-ა ქიფიფით მოვა (ცხენი). „გავაგდევ და ისევ ისე მოქიფიფდება.“

მოქოლიავება, მოქოლიება დაყვავება, მოფერება, ალერსი. „მეგ ნუ ექოლიავები მაგ ბიჭ, იცოდე, თაენება გაიზდება.“

მოქოლიება **იხ.** მოქოლიავება.

მოქონიება შექენა, შემატება. „რა უყარათო კაცია, ცოტად მოიქონიეფს და მაშინვე განიავეფს ზოლმე.“

მოქონიებულ-ი შექენილი, შემატებული, „რაც რამე მქონდა მოქონიებული, სუ წყალში ჩაყარა“.

მოქრუშაგ-ს მოღუშავს, შუბლს შეკრავს. „სახე ისე მოქრუშამს, გგონებათ ყველა მაგი მოვალე იყო.“

მოქრუშვა 1. მოქუშვა, მოღუშვა. „შენ არ გიხდება ეგეთი მოქრუშვა, გაშალე შუბლი!“ 2. მოღრუბვლა. „დადგა შამადგომა და ცამაც დაიწყო მოქრუშვა.“

მოქრუშული 1. მოღუშული; შუბლშეკრული. „რა დეგემართა, კაცო, სუ ესე მოქრუშული უნა დაიდირდე?“ 2. მოღრუბლული. „არა და არ გამოიდარა, ერთი კვირა სუ მოქრუშული იყო ცა.“

მოღერღეტღებ-ა უპატივც. მოვა. „წავა, წამოვა და ბატივით ისეე აქ მოღერღეტღება.“

მოღერღეტღება უპატივც. მოსვლა. „მაგამ სხვაგან რა წაიყვანს, ჩვენი“ ყვარს მოღერღეტღება.“

მოყვარე ცოლის მამაკაცი ნათესავი ქმრის ნათესავებისათვის და, პირიქით, ქმრის მამაკაცი ნათესავი ცოლის ნათესავებისათვის. „სახალწლოთ მოყვრები: პატარძლის მამა, ძმები და ბიძა-ბიძაშვილები მოგვდიან სტუმრათ და კაი დახვედრა გვმართეფს.“

მოშავბნელღებ-ა უპატივც. მოღის, მოვა. „მოვა, მოშავბნელღება და დაატრიალეფს თავი შხამიან ენად.“

მოშავბნელღება უპატივც. მოსვლა, მოთრევა. „კი, ხშირათ იცის მოშავბნელღება.“

მოშავბნელღებულ-ი უპატივც. მოსული; მოთრეული. „მოხვალ და ისიც აქ დაგვხვდება მოშავბნელღებული.“

მოშავქვაგღებ-ა უპატივც. მოვა, მოთრევა, მოღის. „აგე ის არ არი, რო მოშავქვაგღება?“

მოშავქვაგება უპატივც. მოსვლა, მოთრევა. „ადარ ეღირსომ მაგამ აქ მოშავქვაგება.“

მოშავქვაგებულ-ი უპატივც. მოსული, მოთრეული. „შე რო მოხვედი, ეგეც აქ არ იყო მოშავქვაგებული?“

მოშანდაგება შეჭმა, მოსუფთაება. „მაგამ რა საჭმელი გააძლოფს, ერთი ცხვარი რო დაუღო წინ, უცბათ მოაშანდაგეფს.“

მოშანდაგებულ-ი შეჭმული. მოსუფთაებულ. „სანამ სხვები თითო ნაჭერ ხაშლამად გადაიღებდნენ, მაგამ უკვე ორი ჯამი მქონდა მოშანდაგებული.“

მოშანშლაგ-ს არევ-დარევს, დაყრის (ხარახურას); დანაგვიანებს. „ეზო ვერ დამილაგებია ამითი შიშით, ვნახამ და ისევ მომშანშლაძენ“.

მოშანშვლა არევ-დარევა, დაყრა. დანაგვიანება. „თივიდ მოშანშვლაღა ეკლდა ჩვენ ეზომ“.

მოშანშლულ-ი არეულ-დარეული; დაყრილი; დანაგვიანებული „ერთი ემ მოშანშლული კარმიდამო დამლაგებინა და მეტი არაფერი მინდა.“

მოშრეტაგ-ს მოაცდენს, ხელს შეუშლის. „თითონ ხოა ზარმაცი და არაფერი გამკეთებელი. მოვა, ჩაუჯდება და ამ კაცსაც მომშრეტამს ხოლმე.“

მოშრეტვა მოცდენა, უქმად ყოფნა. „ემ რა მთავრობა მოვიდა, ადამიანო, გაგონილა ამოდენა ხალხიმ ესე მოშრეტა და გაუბედურება.“

მოშრეტილ-ი მოცდენილი, უსაქმოდ მყოფი. „ქარხნები ხო დაშალე და ჯართათ გაყიდე, სოფელში აღარაფერი დატოვე, კაცმა რომ იმუშაო, ვსხედვართ ესე მოშრეტილები.“

მოჩაკჩაკე ჩაკჩაკით მოსიარულე.

მოჩაკჩაკდებ-ა ჩაკჩაკით მოვა. „ბეხრეკ ცხენზე გადამჯდარი ბრიგადელი ჩვენ უბანში ყოველ დღილამ მოჩაკჩაკდებოდა ხოლმე.“

მოჩაკჩაკებ-ს ჩაკჩაკით მოდის. „ნახე ერთი, ვინ მოჩაკჩაკეუს“.

მოჩაკჩაკება ჩაკჩაკით მოსვლა. „მაგ ცხენით თელ სოფელ უული და ჩვენთან არ შეგეძლო მოჩაკჩაკება?“

მოჩაკჩაკებულ-ი ჩაკჩაკით მოსული. „მოხვალ და ისიც აქ დაგვხვდება მოჩაკჩაკებული.“

მოჩირდიღება მოჩრდიღება. „როგორა ძმლუფ მაგ სიცხეში, ნუთუ არ შეგეძლო რამეთი მოჩირდიღება?“

მოჩირდიღებულ-ი მოჩრდიღებული; ადგილი, სადაც ჩრდილია ხელოვნურად გაკეთებული. „ისეთი პაპანაქება სიცხე იყო, თელი დღე მოჩირდიღებულში ვისხედით“.

მოჩლარტუნდებ-ა იხ. მიჩლარტუნდება.

მოჩლარტუნებ-ს იხ. მიჩლარტუნებს.

მოჩლარტუნება იხ. მიჩლარტუნება.

მოჩლარტუნობ-ს იხ. მიჩლარტუნობს.

მოჩმაგულ-ი პატარა, ჩია ტანის ადამიანი. „ემ მოჩმაგული, ესეც რო კაცებიმ მარაქში ერევა, რატო ღმერთი არ გაიცინეუს.“

მოჩოკჩოკებ-ს იხ. მიჩოკჩოკებს.

მოჩოლფოტდებ-ა მოეშვება; მოდუნდება, გაზარმაცდება. „რა მოუვა ხოლმე ამ ბიჭ, ხან ისე მოჩოლფოტდება, რო ადგილიდან ვერ დაძრამ.“

მოჩოლფოტება მოშვება; მოდუნება. „ამან ზოგჯერ ისეთი მოჩოლფოტება იცის, რო შინიდან გარეთ ვერ გაიყვან.“

მოჩოლფოტებულ-ი მოშვებული; მოდუნებული. „ადე, გაიარ-გამოიარე, ეგე მოჩოლფოტებული როდემდე უნა იყო.“

მოჩრიხვდებ-ა ჩრიხვად იქცევა. მოიზრდება. „ნახე, რა ჯიშიანი წიწილები გამოდგენ, ერთ-ორ კვირაში უკვე მოჩრიხვდებიან კიდევაც.“ გადატ. ადამიანზეც იტყვიან „ეხლა რაღა გიჭირს, შეილებიც მოჩრიხვებიან.“

მოჩრიხვება ჩრიხვად ქცევა; წამოზრდა. „რა იყო, ცოტა მოჩრიხვება მინც აცალეთ, რა ჰაიარა მხოცამთ ამ წიწილევს!“

მოჩრიხვებულ-ი ჩრიხვად ქცეული; წამოზრდილი. „ემ მოჩრიხვებული წიწილები გასაყიდათ უნა წავასხა ქალაქში“; გადატ. ვაჟკაცობაში (ქალობაში) შესული „ქა, მოჩრიხვებულ შვილები პატრონ საწუწუნო რაღა გაქ, ერთი გამაგებინე.“

მოჩრიხულ-ი იგივეა, რაც მოჩრიხვებული.

მოჩხენტაგ-ს მოწველის, უკანასკნელ წვეთ რძეს გამოაცლის. „აღარაფერ იწველის ჩემი ძროხა, ერთ-ორ ჭიქად თუ მოვჩხენტამ. ეგ არი და ევა.“

მოჩხენტვა მოწველა, უკანასკნელი წვეთი რძის გამოცლა. „მოჩხენტვა მინდოდა, მაგრამ ძან შამეცოდა ძროხა და გაუშვი მინდორში“.

მოჩხენტილ-ი მოწველილი. „ისეა მოჩხენტილი, რო წვეთი რძე არ უღვა ცურში.“

მოჩხლართაგ-ს მოქსოვს სწრაფად და უხარისხოდ. „მიუტანე ბაბო ბაწარი და ხელათვე მოგიჩხლართამს წინდევს.“

მოჩხლართვა მოქსოვა სწრაფად და უხარისხოდ. „კაი წინდევს ეგ ვერ დაქსოვს, მაგან მარტო მოჩხლართვა იცის“.

მოჩხლართულ-ი სწრაფად და უხარისხოდ მოქსოვილი. „ისე მაძრება ფეხები, ეხლა უბრალოთ მოჩხლართულ წინდევსაც არ დაეწუნებდი.“

მოცკეთილი: ფეხიდან მოცკეთილი გაქნილი; გაიძვერა, ეშმაკი. „ო-ო, ეგ ისეთი მოცკეთილია, ყველამ გააცურევს.“ „რაო, იმ ფეხიდან მოცკეთილმა, რა გითხრა, რა მინდაო?“

მოციცქნი-ს მოატეხს (ცოტას). „რა უმაღლა ემ ბავშვი, ერთი ბეწომ მოციცქნის პურ და ეგ არი და ევა, თელი ღლე მშიერია.“

მოციცქნილ-ი ოდნავ მოტეხილი (პური). „ესეთი უნა იყო ახალი პური, ნახე, როგორ აქ გვერდები მოციცქნილი?!“

მოციცქნულ-ი იგივეა, რაც მოციცქნილი.

მოცუცქნულ-ი ძალიან პატარა. „ვისია ეს მოცუცქნული ბავშვი?“

მოწევა ძროხის, კამეჩის... „მოგების (მშობიარობის) დაწყების წინა პერიოდი. „არ ვიცი, შამეშალა თუ რა არი, ჩემ ძროხამ მოწევა დაუგვიანდა.“

მოწეულ-ი დღე-ღღეზე მოსაგები (ძროხა, კამეჩი) „არა, დღე ვერსად ვერ წამოვალ, ძროხა მყავ მოწეული და თავ ვერ დავანებეუ“.

მოწკაპწკაპებ-ს წკაპწკაპით, წვეთ-წვეთობით მოდის (წყალი). „ე-ჰ, სადღაა წყალი, აესე ცოტ-ცოტა მოწკაპწკაპეუს დილაობით“.

მოწკაპწკაპება ცოტა მოსხმა (წყლისა). „ბევრ წყალ ნუ დაუსხამ ყვავილეუს, ოდნავ მოწკაპწკაპებაც ვყოფა.“

მოწოლ-ი ჭიდაობის ილეთი. „მოწოლი ერთ-ერთი ხერხია ჭიდაობისა, ბავშვობაში ვიყენებდით ხოლმე. ვინც ამ ხერხს იყენებდა, მოულოდნელათ ზურგზე გაწეებოდა, ორივე ხელი მაგრათ მიქონდა ჩაჭიდული მეტოქის მხრებში, ამწვედა ხელებით, ზევიდან გადაიტარებდა და ბეჭებზე გაშხლართავდა მოწინააღმდეგე. ეს ხერხი ძიულომი გამოდგება, ქართულ ჭიდაობაში კი ვერ გამაიყენეუს კაცი. შენ თუ ზურგზე დაწექი, ეს უკვე წაგებაში ჩაგეთვლება და რაღა აზრი აქ, მეტოქეა როგორ წააქცევ. ბავშვობაშიც, მახსოვს, უნა შავთანხმებულიყავით, გვეხმარა თუ არა ეს ილეთი.“

მოწრიბულ-ი პატარა, ჩია; დალეული. „ამ დევივით კაც, ენახოთ და ერთი მოწრიბული ვიღაცა არ გამოუყვანემ საჭიდაოთ!“

მოხაშდებ-ა ცომი ხაშად იქცევა. „ძველი ხაში აღარა მქონდა, გამითავდა, ეხლა ახალი მოვზილე და სუ მალე მოხაშდება.“

მოხაშება ახალი ცომის ხაშად ქცევა. ძველი ხაშით მცირე ცომს მოზელენ, შემდეგ ამ ცომს საფუარად გამოიყენებენ და დიდ ცომს მოზელენ.

მოხაშებულ-ი საფუარად გამზადებული (ცომი). „ნახე, უკვე მოხაშებული იქნება, დროზე მოვზილოთ, თორე პური გამოცხობამ ვერ მოვამწროფთ.“

მოხელაგ-ს მოძებნის, იპოვის. „შეველე ისეა გაცოფებული, ვისაც კი ვენახში მოძებულამს, უცქემელ არ გაუშვეფს.“

მოხელვა მოძებნა, პოვნა „გენი ისეთი მამამაღლი ბაშვები არიან, მაგათი მოხელვა არც ვგრე აღვილია.“

მოხელე-ნაჩალიკ-ი მოხელე, თანამდებობის მქონე. „ერთი გამაგებინე, ეა კაცი, ამ ჩვენი მეზობლი სიძე, რა მოხელე-ნაჩალიკია?“

მოხენცაგ-ს, მოხინცაგ-ს თავს მოუყრის, შეაქუჩებს. „რა არი ამოდენა ხალხ რო მოძენცამს ხოლმე, არ უნა გამარფხილომ მაინც?!“

მოხენცვა, მოხინცვა ერთად თავის მოყრა, შექუჩება. „მაგათი მოხენცვა თუ გინდოდა, თადარიგიც უნა დაგეჭირა.“

მოხენცილი, მოხინცულ-ი ერთად თავმოყრილი. შექუჩებული. „იმდენი ხალხია აქ მოხენცილი, ნეტა ესენი მოვათავსოთ როგორმე.“

მოხინცაგ-ს იხ. მოხენცაგს.

მოხინცვა იხ. მოხენცვა.

მოხინცულ-ი იხ. მოხენცილი.

მოხენჩაგ-ს მოჩენავს. „თოკით მიამაგრე ეა ტოტი, თორე ქარი მოძენჩამს.“

მოხენჩვა მოჩენვა. „აბა, მაგსიდილო ტოტიმ მოხენჩვა იქნებოდა? მეძრის რაღამ უნდა დაისხამ“.

მოხენილ-ი მოჩენილი, მოტეხილი. „ქარისაგან მოხენილი ტოტები გარდიგარდმო ეყარა გზაზე.“

მოხივლდებ-ა ერთაბაშად მოვარდება (წყალი). „ეა პატრა ხვეი ზოგჯერ ისე მოხივლდება ხოლმე, რამიი ყველაფერი წალეკოა.“

მოხივლება ერთაბაშად მოვარდნა (წყლისა). „გაზაფხულზე უნა განახვა, როგორი მოხივლება იციმ მაგ ხვემა.“

მოხრეშაგ-ს ხრეშს დაყრის. „არჩვენები რო დაიწყება, მაშინ თუ მოძხრეშამენ ჩვენ დანგრეულ გზეფსა.“

მოხრეშვა ხრეშის დაყრა. „ასვალტი თუ ძვირია, მოხრეშვამ ბევრი არ დაძვირდება.“

მოხრეშილ-ი ხრეშმოყრილი. „სოფელ ასვალტი კი არა, კაი მოხრეშილი გზები უხდება.“

მოჯანღვა მოღრუბვლა. ჯანღის ჩამოწოლა. „შე დალოცვილო ამინდო, რა ღრომ მოჯანღვა იყო, ცოტა გვაცალე, ეა რთველი ჩავათათ.“

მოჯანღული დაბურული, ჯანღამოწოლილი, მოღრუბლული. „თელი დღე მოჯანღული იყო, მაგრამ წვეთი რა არი, წვეთი არ გამეარდნია.“

მოჯეჯილი-ი უშნოდ ჩაცმული. „ბიჭო, შვილო, შენ გარეგნობაში მაინც ეცი პატივი, რა არი, სუ ესე მოჯეჯილი რო დადიხარ?“

მოჯოლღაგ-ს უმადოდ შეჭამს, გააფუჭებს საჭმელს; ბევრ ჯოლღს დატოვებს. „თივა მალ-მალე დაუყარე, მაგრამ ცოტ-ცოტა, თორე მოიჯოლღამს“.

მოჯოლღვა უმადოდ ჭამა; საჭმლის გაფუჭება; ჯოლღის დატოვება. „მოჯოლღვა თუ არ გინდა, ცოტ-ცოტა დაუყარე.“

მოჯოლღილი-ი ჯოლღადქცეული, საქონლისაგან დაწუნებული (თივა). „თუ მოჯოლღილი თივა გაქთ რამე, ნუ გადაყრით, შე წავიღეფ და ვირ ვაჭმევ.“

მოჯღანულ-ი 1. უშნოდ შეკერილი (შარვალი, პიჯაკი); უშნოდ დაკერებული (ფეხსაცმელი). „რა არი, ეგ ვისი მოჯღანული შარვალი გაცვია.“ 2. უხასიათო, ცუდ გუნებაზე მყოფი. „რა მოჯღანული დადიხარ, რა დაგემართა.“

მპარსაგ-ი გადატ. გამომძალველი, მყვლეფავი. „ხალხი ორათ არი გაყოფილი: მპარსაგებათ და გასაპარსებათ ანუ ცხვრებათ, ჩვენ ცხვრები ვართ, მთაერობა კი — ჩვენი მპარსაგა“.

მრავალ-ი ხომლი, დიდი დათვის თანავარსკვლავედი. „ლაში მხრე რო ვიყავი, მრავალი რო დაჯდებოდა ცაზე, უკვე კარგა მაგრათ მყავდა საქონელი დამაძლარი და მეც არხენათ წამოვწებოდი ხოლმე.“

(მ)რგვალქლიაგ-ი/ა იგივეა, რაც მწევანქლიაგი.

მრჩოლელა რქოსანი საქონელი (ძროხა, ხარი, კამეჩი, ცხვარი), რომელიც ირჩოლება (ირქინება). „ნუ გეშინია, შვილო, მრჩოლელა არ არი, ჭკვიანი ძროხაა.“

მსრიტ-ი წუწკი. მსუნავი (უფრო კატაზე იტყვიან). „ესეთ მსრიტ კატამ შინ როგორ გავაჩერეფ.“ გადატ. აღამიანზეც ამბობენ: „დასვი და ჩააცვცხლე რამე, თორე მაგ მსრიტ სამზარეულოდან ვერ მაიშორეფთ.“

მსხნილ-ი, მსხნილ-ი სხნილი, მარხვის გასვლა. „ხვალდან უკვე მსხნილია, საკლავი შეიძლება დაიკლამა.“

მტირაღლატირიფ-ი ტირიფის ერთ-ერთი სახეობაა. „ტოტები დაბლა აქ ჩამოშვებული, თითქომ ტირისო და ამიტომ ვეძახით მტირაღლატირიფ.“

მტვრევა: ტანში მტვრევა ურჟოლა. „ძაან მამტვრევს ტანში, ეტყობა გავცივდი.“

მუდო მახინჯი. „ემ მუდო, ესა, ესეც რო სხვადა დაიწუნფეს.“

მუნჯკალია ბლუ, ენაჩლუნგი. „შენ მუნჯკალია დაუძახე, ნახე, რა სიძღერა შამოდახა“. მუნჯკალე მეტსახელია კაცისა.

მურმან-ი ბოროტი, ღვარძლიანი, ავსიტყვა. „ამ მურმანმა იმდენი ქნა, ძმები დააშორა ერთმანეთ.“

მურმანისეკალ-ი იგივეა, რაც მურმანი.

მურმურ-ი ბუზლუნი. „შაჭამა გული მაგანაც ამ გაუთავებელი მურმურით.“

მურმურებ-ს ბუზლუნებს. „თელი ღლე დადიმ და რალაცამ მურმურებს.“

მუსლუკ-ი ჩამკვრივული, ჩათქვირულ-ჩასუქებული ადამიანი (უფრო ბავშვზე იტყვიან.) „ერთი ამამ შეხედეთ, რა მუსლუკივით არი.“

მუსტ-ი, მუდტ-ი მუშტი. „გაჩერდი, ბაღლო, თორე მოვიდა მუსტი თავში!“

მუდტ-ი იხ. მუსტი.

მუშტურ-ი იხ. დანისწვერობა.

მუცელა ღორმუცელა; გაუმადლარი; ჭამაფიცილა. „მაგამ რა გააძღოფს, არ იცი, რა მუცელაც არი?“

მუცელი თავს აქვს მოქცეულ-ი იტყვიან მოსაგებ საქონელზე: „ძროხამ ნახირში ნულა გააგდეფ, ხო მხედამ, მუცელი თავს აქ მოქცეული.“ ფეხმძიმე ქალზეც იტყვიან.

მუცელგადაყოლა გადაბმულად ქეიფი. „კაი კაცია, მუცელგადაყოლა რო არ უყვარდე.“

მუცელგადაყოლილ-ი მოქეიფე, უსაქმური. „შენითანა მუცელგადაყოლილ კაც ქალ ვინ მიათხოვეს.“

მუცელჩასახეთქ-ი გაუმადლარი; ჭამის მოყვარული. „დაუსხი ცოტა ბევრი, ხო იცი, რა მუცელჩასახეთქიც არი.“

მუცლის ამოყორვა უზომოდ ჭამა, „რამდენიც გინდა აჭამეთ, მაგიმ მუცლი ამოყორვა ეგე ადვილი არ არი.“

მუცლის მოღორება გაუმადლობა „გენაცვათ, ესე მუცლი მოღორებაც არ იქნება.“

მუხლბოშ-ი 1. კაცი, რომელიც გარეგნულად ძლიერი ჩანს, მაგრამ მუხლი კი სუსტი აქვს, ჭიდაობაში მალე იქცევა. „შეხედე, რა ტანი აქ, გეგონება დევ წააქცევსო და რა მუხლბოში ყოფილა.“

2. სახელგატეხილი ქალი, რომელიც ყველას ნებდება. „ეგ ისეთი მუხლობოშია, დასტკენი მეტი არაფერი უნდა.“

მქონიარე მქონე, მქონებელი. „ნეტა რასა ყიმყიმეფს, ვინ არი, რამ წარმადგენს, რიმ მქონიარე ბძანდება?“

მღვარცლაგ-ი გამყვლეფი; წამგლეჯი. „სოფლიმ თაგკაცათ დააყენემ და მღვარცლაევი გამოდგა.“

მშრალი: 1. მშრალი ცხვარი ფარა, სადაც არიან ისეთი ცხვრები, რომლებიც არ იწველიან (შაქები, გაბერწებული და აგრეთვე მამალი ცხვრები). „მებატკნობამ მშრალი ცხერი მშყემსობა მირჩენია.“ 2. მშრალი საქონელი ნახირი, სადაც არიან მხოლოდ ისეთი ძროხები, რომლებიც არ იწველიან, აგრეთვე დეკეულები, კვებულები.

მშრალადმეიტარ-ი მკეეხარა, ტრაბახა, ბაქია. „ერთი მაგითანა მშრალათმეიტარი ჩვენცა გვყავ საგვარეულოში.“

მშრალადმეიტრობა კვეხნა; ტრაბახი; ბაქიაობა. „მომკლა მაგისმა მშრალათმეიტრობამ.“

მშიშრატ-ი/ა შარიანი. „არა, მაგამთან ვერ ვითამაშეფ, ძან მშიშრატაა.“

მშიშრატობ-ს შარის მოდება უყვარს; დავობს. „ყოველთვინ ეგა მშიშრატოფს.“

მშიშრატობა შარის მოდება; შედაგება. „მშიშრატობა რო არ იცოდემ, მაგამთან თამაშ რა დჯობა.“

მშურ-ი შურიანი. „არა, ეგ ისეთი მშური კაცია, რა გინდა კარქი გაუკეთო, მაინც ვერაფერ დაანახვეფ.“

მჩუტე ფუჭი, მშიერი მარცვალი. „თავთავი კი გაიკეთა, მაგრამ ძალიან მჩუტეა.“

მცნობ-ი მწყემსი, იშვიათი ნიჭის მქონე მცხვარე, რომელიც თითოეულ ცხვარს სცნობს ფარაში. მცნობს დიდი მოვალეობა აკისრია, განსაკუთრებით დოლის დროს, როცა ასობით ცხვარი ერთდროულად იგებს. ახალშობილი ბატკანი სხვა ბატკნებში რომ შეერევა, თან წუნწუნში მოხვდება, სუნი ეკარგება და დედა ვეღარ სცნობს ნაშიერს. ბატკანმა კი თუ დროზე არ მოწოვა ხსენი, დაიღუპება. მისი გადამრჩენელი მცნობია, ის მოუძებნის დედას და ბუბუს მოაწოვებს. დედა რაკი ალოკავს თავის ბატკანს, თავს აღარ დაანებებს.

მცურაგ-ი გველი. „მცურავისა სუ არ მეშინია; ვიცი, შენ თუ არაფერ დაუშავეფ, არაფერ გიზამს.“

მძახალ-ი 1. დედამთილი სიდედრისათვის ან, პირიქით, სიდედრი დედამთილისათვის, საერთოდ, ცოლის ნათესავი ქალები: და, ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილი, მამიდა, დეიდა, ძალო... ქმრის ოჯახის წევრებისა და ნათესავებისათვის და პირიქით, ქმრის ნათესავი ქალები: და, ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილები, მამიდა, დეიდა, ძალო... ცოლის ნათესავებისათვის. პატარძლის ნათესავი მამაკაცებ ქმრის ოჯახის წევრებისა და ნათესავებისათვის (და პირიქით) სიძის ნათესავი მამაკაცები-პატარძლის ნათესავებისათვის, მოყვრები არიან. 2. ქორწილში პატარძლის თანმხლები ქალები სიძის თანმხლებთათვის, როგორც ქალების, ისე კაცებისათვის მძახლები არიან და პირიქით, სიძის თანმხლები ქალები პატარძლის თანმხლებთათვის (როგორც ქალების, ისე კაცებისათვის). ამიტომაც, ქორწილში როცა თამადა სადღეგრძელოს ასე ამთავრებს: „არიგებულო-ჩარიგებულო მაყრებო, მძახლებო, ჩვენ ნუფე-პატარძალ (ან მეფე-დედოფალ) გაუმარჯოდ!“ აქ, რა თქმა უნდა მაყრებში ორივე მხარის მამაკაცები იგულისხმებიან, მძახლებში კი — ქალები.

მძვალ-ი ძვალი. „რა არი ემ ბიჭი როგორ გამხდარა, ცარიელა მძვალი და ტყავია.“

მძვლიან-ი ძვლიანი. „ძალიან მძვლიან ხორც ნუ ამიწონი.“

მძლივ, მძლივას ძლივ, ძლივს; გაჭირვებით. „ისე გაუჭირდა ხალხს ცხოვრება, მძლივ გააქ თავი.“

მძლივას იგივეა, რაც მძლივ „მძლივამ მოაღწია ჩვენამდე.“

მძლივლა, მძლივასლა იგივეა, რაც მძლივ, მძლივას. „ისე მისუსტებულყო, მძლივლა სუნთქამდა.“

მძლივმძლიობით ძლივძლივობით; დიდი გაჭირვებით. „დიდ უარზე იდგა, მძლივმძლიობით დავითანხმეთ.“

მწაკე ძალიან მლაშე და მწარე „ძალიან ბევრ მარილ ნუ ჩაყრი და ნურც წიწაკამ უზამ მომეტებულათ, კერძი მწაკე არ გამოვიდეს.“

მწვანე მსხალ-ი მსხლის ერთ-ერთი ჯიშია. წვრილ, გემრიელ ნაყოფს ისხამს. ზაფხულში შემოდის, მწვანედ რჩება მწიფობისას, ოღონდ გული ყავისფერი უხდება. „მწვანე მსხალი ბევრი გვიდგა, ფესვით მრავლდება, თუ გინდა ამოგიღე და დარგე.“

მწვანე ქლიავ-ი/ა იგივეა, რაც მრგვალქლიავა.

მწვინა მოუსვენარი, ცელქი. „ეგ ისეთი მწვინა ვინმეა, ბავშვეფს არ მასვენებს.“

მწკვიტინ-ი, მწვიტინ-ი ბუზლუნი. „კარგი, გაჩერდი, ყველაი თავი ნუ მოაბეზრე შენი მწკვიტინით.“

მწვიტინ-ი იხ. **მწკვიტინი**.

მწკრე მწკრივი. „ერთ მწკრეზე სუ კაკალი ჩაუყრიათ.“

მწლაკე მომყავო-მომწარო; **მწკლარტე**. „არა, ემ ლეინო აღარ დაილევა, ძალიან მწლაკეა უკვე.“

მჭვალ-ი ჭვალი. „უჰ, მჭვალი დამადგა და სუნთქვა აღარ შამიძლია.“

მხრებში აწურვა გახდომა; სიმაღლეში წასვლა. „ნახე, როგორ მხრებში აიწურა ემ ბიჭი!“

მხრებში აწურული გამხდარი, სუსტი (ადამიანი). „ერთი მხრებში აწურული ქალი მოუყვანიათ რძლათ.“

მხსნილ-ი იხ. **მხსნილი**.

ნაავანტყოფარ-ი ნაავადმყოფარი; ვინც ავად იყო. „გამოჯამ-თელდა, მაგრამ ნაავანტყოფარი ფერი ისევ გადაიკრამს.“

ნაავანტყოფე-ი იგივეა, რაც ნაავანტყოფარი.

ნაავდრი: ნაავდრი წიწილა ავდარში მოყოლილი წიწილა, გადატ. აბუხული, მზხრებში თავჩარგული და შეციებული აღამიანი. „რა არი, რა ნაავდრ წიწილა და მამგზავსებხარ, მოდი, გათბი ლუმელთან.“

ნაარხალ-ი 1. ადგილი, სადაც ადრე არხი გადიოდა. „თუ ძველ ნაარხალ მივაყოლეფთ, წყლი წაყვანა სუ არ გაგვიჭირდება.“
2. იგივეა, რაც ნაარხაჯალი. „ნაარხალში კაი ბალახია მოსული და უნა გავითბო.“

ნაარხაჯალ-ი ადგილი, სადაც ადრე არხა (არხაჯი) იყო. „ნაარხაჯალში გავითბე და კაი დიდი ზვინიც დავდგი.“

ნაბაგ-ი, ნაბაგურ-ი ბაგაში ჩარჩენილი თივის, საერთოდ უხეში საკვების ნარჩენები, რომელსაც საქონელი აღარ ჭამს. „სანამ ახალ თივად ჩაუყრიდე ძროხეფს, ნაბაგი ამოუწმინდე, თორე აღარც ამა შაიჭამენ.“

ნაბაგურ-ი იხ. ნაბაგი.

ნაბადი: ნაბადივით ადეგ ბევრი ასხია, დახუნძლულია. „ჩვენ ჭერამ ნაბადივით ადეგ, ბოწკინტები თუ არ შაუდგი, ტოტები დაემტვრევა.“

ნაბაკარ-ი, ნაბაკრებ-ი ადგილი, სადაც ადრე ბაკი (ბაკები) იდგა. „ნაბაკრეფში კარტოფილი დავთესე და პირდაპირ ზღვათ იქცა, იმდენი მოვიდა“.

ნაბამბარ-ი, ნაბამბრები ადგილი, სადაც ადრე ბამბა ეთესათ. „ნაბამბარ იმიტომ ეძახიან მაგ ადგილ, რო ადრე მანდ ბამბა მომყავდათ თურმე“.

ნაბალარ-ი, ნაბალრებ-ი ადგილი, სადაც ადრე ბალი ყოფილა. „იმ ნაბალარში ისევ ვაშლი და მსხალი უნა ჩაყვარო.“

ნაბაღ-ი გაბალული, ბლუჯა-ბლუჯა დაგლევილი მწვა-ნილი; დაკრეფილი ხილი. „დილით რო მივედი, მწვანილიც ნაბაღე დამხვდა და ხეხილიც.“

ნაბახჩევ-ი ადგილი, სადაც წინათ ბაღჩა იყო, ნაბაღჩარი. „სადაც კაი ადგილები გვექონდა, სუ ჩამოგვართვემ, ერთი ნაბახჩევილა დაგვიტოვემ“.

ნაბეჩხარ-ი აბეჩხარი, გამეჩხერებული. „ერთი შათხელებული, ნაბეჩხარი ვენახი დამხვდა და იმამ უელი.“

ნაბოგირალ-ი ადგილი, სადაც ადრე ბოგირი იყო. „ემ რაღა საქნელი იყო, ძველი ნაბოგირალიც კი დაუშლიათ და შინ წაუღიათ.“

ნაბოტარ-ი მამალი თხა, ბოტად ნამყოფი და ახლა დაკოდილი. „ამ ნაბოტარ სანამ არ გავასუქეფ, ისე რა ხორცი ექნება.“

ნაბურდოვალ-ი ადგილი, სადაც ადრე ბურდოს ზვინი იდგა. „ამ ნაბურდოვალ ადგილ თუ დამუშავეფ, სამ-ოთხ წელიწად ისე მოქცემს მოსავალ, სასუქი არ დამჭირდება.“

ნაბლერტი-ი ნაბერტყი. „მამ ვერ ატყოფ, რო ემ კაკალი მაგრათ არი ნაბლერტი“. გადატ. ნაცემი. „ემ უტვინო ვიღამ არა მყავ ნაბლერტი“.

ნაგალ-ი ბუჩო; თივის, ბზის, ბურდოს ნარჩენი. „ნაგალი გეყრებათ რამე; მაიტა წავიღეფ, საქონელ ცოტამ მაინც მოვატყუეფ.“

ნაგალო პატარა ტანის; ნაბოლარა. „ემ ნაგალო შენ როგორ უნა გერეოდემ?!“ მეტსახელია კაცისა.

ნაგულ-ი კვირტი, საჩეჩლის კბილებში დარჩენილი მოკლე, უვარგისი მატყლი. „აბა, შენ იცი, კაი მატყლი წინდები დამიქსოვე, ნაგულიმ ბაწარი არ გაურიო“.

ნადიკვარ-ი ადგილი, სადაც ადრე ღიკა ეთესა. „როგორც ტყობა, ჩვენი მამა-პაპები ღიკასაც მთესამდნენ, ამიტომაცა მქვიან ამ ადგილ ნადიკვარი.“

ნადორბლ-ი გადორბლილი, დორბლგარეული. „გადაღვარე ემ ღვინო და ჭიქა კარგა გამორეცხზე, ამი ნადორბლ სხვამ ნუ მიუტან.“

ნავენახობ-ი ნავენახარი. ადგილი, სადაც ადრე ვენახი იყო. „ვენახი არეხვამ სუ თათრეფს ვაბრალეფთ, მაგრამ კარგათ მახსოვს, კოლექტივში რო შავრეკემ, რამდენი ვენახი ნავენახობათ აქციემ.“

ნაფიწყალი წყარო, ტყეში ან მინდორში გამოძვალი, რომელსაც ხის ან ბეტონის გეჯებს (ნავებს) უდგამან წყლის შესაგროვებლად.

ნაზეკი-ი გაზეკილი, გატკეპნილი. „ისეა საქონლისაგან ნაზეკი ემ ბაზჩა, თოხი აღარ ეკარება.“

ნაზუქის გულ-ი ნაზუქის, რძესა და ერბოში მოზელილი, ზემოდან კვერცხწასმული, პურის გული, რომელიც მოხრაკული ხაზვისაგან უკეთდება და არომატულს ხდის. „ერბოში ან კარაქში კარგათ მოვხრაკამთ ხაზვსა და სანაზუქე ცომში აურევთ და ისე გამოვაცხოფთ.“

ნაზუქის სუნ-ი სიტყვის მასალად იხმარება. ზარმაც, უქნარა კაცზე, რომელსაც სარჩო-საბადებელი არაფერი გააჩნია და მინც ზის სახლში და არაფერს აკეთებს, იტყვიან ხოლმე: „ხანდახან გარეთ გამოვიდემ, ემანდ ნაზუქი სუნმა არ დააზრჩომ“.

ნათალ-ი: ნათალი ჭიქა ერთგვარი ჭიქაა, სხვადასხვა ზომის. ლამაზი ჭიქაა, სწორი, რომელსაც გარეთა მხარე მთელ სიგრძეზე კუთხეებად, წახნაგებად აქვს დაყოფილი. „დედაკაცო, მოდი ერთი ნათალი ჭიქები დაგვიდგი, იმით მიყვარს ღვინი დალევა.“

ნათამადარ-ი, **ნათამადევ-ი** კაცი, რომელიც წინა ღღეს (ღამეს) თამადა იყო. „წუნანდელი ნათამადარია და ჯერაც არ ამდგარა ლოგინიდან.“

ნათამადევ-ი იხ. ნათამადარი.

ნათბილარ-ი თბილად ნამყოფი; ლოგინიდან ახლად წამომდგარი. „მოისხი რამე და ისე გადი გარეთ, ნათბილარზე არ შექცივდემ“.

ნათლობის სახელ-ი ირონ. მეტსახელი. „მეტრიკაში რამ ჩაუწერენ იმ რა სახელია, ნათლობიმ სახელი მერეა, ცხოვრებაში რო შაარქმევენ.“

ნათივარ-ი ადგილი, სადაც ადრე თივის ზვინი (ზვინები) იდგა. „სხვა ადგილ რაღამ დაემეფთ, ისევ იმ ნათივარზე დამდგათ, არა ძჯობია?“

ნაკალთვარ-ი, **ნაკალუარ-ი** ადგილი, სადაც ადრე კალო იყო. „ახლა კალო ვიღამ რათ უნდა, ჩვენ ძველ ნაკალთვარშიც ბიჭმა ორსართულიანი სახლი ჩადგა.“

ნაკალუარ-ი იხ. ნაკალოვარი.

ნაკარტოფილარ-ი ადგილი, სადაც ადრე კარტოფილი ეთესა. „მაგ ნაკარტოფილარში ახლა ან სხვა რამე დათესეთ, ან კარტოფილი თესლი შაცვალეთ, თუ გინდათ, რო მოსავალი მიიღოთ.“

ნაკეჭნ-ი ცულით, დანით... დაჭრილი, დასერილი ავეჯი (იატაკი, ხე) „მაგამ რა კითხვა უნდა, არ იცით, ვისგანაც იქნება ემ მაგიდა ნაკეჭნი?“

ნაკვირაძლეგ-ი შაბათ საღამოს კვირაძლის შემდეგი დრო. „ჩემ ბავშვობაში სად იყო დასვენება, ნაკვირაძლეგსაც კი ისევ ისე ვისხედით და დედამ ვეხმარებოდით.“

ნაკმენ-ი ნაკბენი. „კრაზანი ნაკმენია, არ გაგიმიზეზდემ, მიღი ექიმთან“.

ნაკმენჩ-ი ნაკბენი-ი „რალა მაგ ნაკმენჩ აძლევ ბავშვს, არ გემეტება, რო მთელი მიმცე“.

ნაკრაულა ნახევრად გავსებული ტომარა. „დაავლო ხელი ნაკრაულამ და სირბილით წაიღო წისქვილში.“

ნაკრულ-ი ნაკლული. „ბოცამ ნაკრულათ ნუ დამტოვეფ, ღვინო დაგიძმარდება“.

ნალ-ი ლეიბი. „ბაბომ თავი შვილიშვილ გოგოეფს ფუთიანი ნალები შაუკერა და მზითებში გაატანა.“

ნალეგ-ი 1. ნალეგი კვერცხი. პატარა ზომის კვერცხი, რომელსაც ბოლოს ღებს ქათამი. „ემ რა კვერცხები გიყიღია. ან ნალევი კვერცხი იქნება, ან ვარიის დადებული.“ 2. საპნის ნალეგი. დახარჯული, გალეული საპონი. „საპნი ნალევილა დარჩენილა, ეგება, შაიარო მაღაზიაში და იყიდო.“

ნალეკარ-ი 1. გაქართველებული ლეკი. „მაგამ პაპა გაქართველებული ლეკი, ნამდვილათ ნალეკარი იყო, მეც კარგა ვიცნობდი.“ 2. ლეკეთში ნამყოფი. „მაგათი წინაპარი ლეკი კი არა, ქართველი იყო, ოღონდაც ლეკეფს მეუტაცნათ და იქ მყოლოდათ. იმდენი ეყოჩაღა, გამომქცეოდათ, აქ რომ ჩამოსულა, ნალეკარი დაურქმევიათ.“

ნალენჯოვარ-ი ლენჯოშემოცლილი, ხელით დალენჯოვებული. „თუ ამ ნალენჯოვარ კაკალ წყალში არ გაავლეფ, შავათ დარჩება.“

ნალობიარ-ი ადგილი, სადაც ადრე ლობიო ეთესა. „ნალობიარ ადგილ სასუქი აღარც კი მჭირდება.“

ნამლეგ-ი იგივეა, რაც ნალევი.

ნამეტარ-ი ნამეტანი: მეტისმეტი. „აბა, ახლა ნამეტარ ნუ იზამთ.“

ნამკეკა ნამკეკი; ნამცეცი. „ისე ვართ ერთი ნამკეკა პური არ გვიღევ“. გადატ. ძალიან პატარა. „ნახე, ამ ნამკეკამ რა ღონე მქონია“.

ნამნამ-ი ფუსფუსი, ფეხაკრეფით სიარული. „დილიდან საღამომდე ხმამ ვერ ამაალებინეფ, ესე ნამნამით დაღის ოთახიდან ოთახში, ხანაც ეზოში დანამნამეფს“. ნამნამა მეტსახელია ქალისა.

ნამია ჩუმი, ბუტუსურა ადამიანი (ქალი). „რაო მაგ ნამიამ, ვერაფერზე ვერ დაითანხმე?“

ნამძლეგ-ი ნამზღლევი, ნაპრალი. „ბავშვები აღარ გაუშვათ იქით, ნამძლეგ მომმატებია და უბედურება არ დატრიალდემ“.

ნამძრალ-ი ნამზრალი. „ნამძრალი კარტოფილი გამამადგა, ცოტა გათბა თუ არა, წყალი გაუშვა.“

ნანერგალ-ი ნაგერალი; ნაკვეთში დაუთესავად ამოსული მცენარე; ხორბალი, ქერი, სიმინდი, ლობიო... „შარშან იმოდენა კარტოფილი ჩარჩენილიყო მიწაში, რო წლეულ, მართალია, ლობიო გვეთესა, ერთი ტომარა ნანერგალი კარტოფილიც ამოვიღეთ.“

ნანესტრ-ი ფუტკრის, კრაზანის დაკბენილი ადგილი. „ნანესტრ ადგილამ ცივი რკინა, დანა ან ნამგალი დაადეთ და ტკივილიც დაუყურდება და აღარც ძან დაუსივდება.“

ნანესვარ-ი ნანესვი. ადგილი, სადაც ადრე ნესვი (ნაკელი) ეყარა, „ნანესვარზე ყველაფერი კარგათ მოდიმ, განსაკუთრებით კი გოგრა.“

ნანივრალ-ი ადგილი, სადაც ადრე ნიორი ეთესა. „ნახე, იმ ნანივრალზე არქეოლოგებმა რა განძი აღმოაჩინემ“.

ნაოთხალ-ი მეოთხედი. „შენ ნაოთხალ ამობდი, მაგან კი ნახევარი დაგიტმო.“

ნაორმაღ-ი, ნაორმოცაღ-ი ადგილი, სადაც ადრე ორმო ყოფილა. „ჩვენ რა ვიცოდით, იქ თუ ნაორმაღი იქნებოდა და სიბნელეში თავდაყირა ჩავეშვებოდით.“

ნაორმოცაღ-ი იხ. ნაორმაღი.

ნაოჩხარ-ი ნახეჩხარი, ახეჩხარი; გამეჩხერებული „როდემდე უნა შავყურით ამ ნაოჩხარ ვენახ, მოდი ახალი რქა ჩავყაროთ.“

ნარბანდა ნარი, წვრილღეროიანი ეკლიანი მცენარეა. ნელს კარგად ჭამს საქონელი, განსაკუთრებით კი ცხვარი და ვირი. „ნახე, ნარბანდა როგორ მოერია ნაკვეთში, სასუქი თუ არ ღავაყარეთ, არაფერი გამოგვივა.“

ნარდიბაზრობა მუქთა; იაფობა. „არა, ძმაო, მაგამ ნარდიბაზრობა ხო არა მგონია, მაგ ფასათ როგორ მივცე?“

ნარკვევ-ი 1. თითით დარჩეული პური. „ნარკვევი ხორბალი მივიტანე წისქვილში და ნახე, რა ფქვილი გამამატანა“. 2. ნაკმაზი, ნაწმენდი. „ცოტა ნარკვევი მქონდა და იმ მიუყარე ქათმეფს.“

ნარუ[გ]აღ-ი ადგილი, სადაც წინათ რუვი გადიოდა. „წყალი ისევ ძველ ნარუვალზე გავატარეთ.“

ნარუსაღ-ი, ნარუსაღა 1. გაქართველებული რუსი. „ისეთი შევტუხაა, ვერც კი დაიჯერეფს კაცი, პაპა თუ ნარუსაღი მყავდა.“ 2. ირონ. რუსეთში ნამყოფი კაცი. „ჩამოვლენ ჯარიდან ემ ნარუსლები და მითომ ქართულ ველარ ახერხებენ, ისე დაიწყებენ ლაპარაკ.“

ნასააგურაღ-ი, ნასაგურ-ი ადგილი, სადაც წინათ სააგურე ყოფილა. „ადრე აქ ბევრი სააგურე მქონიათ ჩვენ წინაპრეფს და ემ სახელი ამიტომ დაურქმევიათ.“

ნასაგურ-ი ახალი დასახლება ნორიოს ტერიტორიაზე, მარტყოფის წყლის მარჯვენა მხარეს.

ნასაგურელ-ი ნასაგურის მაცხოვრებელი. ამ დასახლებაში უკვე ორი თაობა დაიბადა და „ნასაგურელიც“ დამკვიდრდა ხალხის მეტყველებაში.

ნასაკირაღ-ი ადგილი, სადაც წინათ საკირე, კირის საწვავე ყოფილა მოწყობილი. „თუ ჩვენთან ვენახი არ იყო, მამ ამოდენა ნასაკირლები რატო არი აქ?“

ნასემიჭკარ-ი ადგილი, სადაც წინათ „სემიჭკა“ – მზესუმზირა ეთესათ. „ნასემიჭკარში ძაან კაი ბალახია და საქონელი იქ უნა ვაძოვოთ.“

ნასმურკლ-ი ხელებიდან ანაფხეკი ცომი. „ემ ნასმურკლი ცალკე გამოაცხე, ძალღ უნა ვაჭამო.“

ნასმურტლ-ი იგივეა, რაც ნასმურკლი.

ნასმუსნ-ი ნაჭამი, ნარჩენი. „მაგათი ნასმუსნი ვინ უნა ჭამომ“.

ნასომხარ-ი გაქართველებული სომენი. „ვაჭრობისა არაფერი გაეგება, არადა ამობენ წინაპარი ნასომხარი მყავდაო.“

ნასორსლ-ი დაგორგლებული პური (კევი). „გადააგღე ეგ ნასორსლი, როდემდე უნა გეჭირომ ხელში.“

ნატამალ-ი : ძაღლის ნატამალი სალანძღავე სიტყვაა, ზოგჯერ ახლობელი პატარის მიმართ მოფერებითაც ამბობს: „სადაა ეგ ძაღლიმ ნატამალი, გარეთ გამოვიდემ, შინ რამ იმალება“.

ნატბეურ-ი ნატბეური. ადგილი, სადაც ადრე ტბა მდგარა. „ამ ნატბეურში ადრე წყალი მდგარა, ემ ჩვენ მოხუცებსაც კარგათ ახსომთ.“

ნაფურ-ი მთებს შუა ჩადაბლებული ადგილი. „ტყეში ჩადაბლებულ ადგილ „დუბე“ მქვია, მთებ შუა, ცოტა უფრო გრძლად ჩადაბლებულ კი „ნაურ“ ვეძახით.

ნაურაზე ალალებედზე. „ღრო რო არა მქონდა, ყველაფერი ნაურაზე მივეცი.“

ნაფურტკნი მოშლილი, აწეწილ-დაწეწილი, გაფუჭებული. „შენი ნაფურტკნი მანქანა განა კიდევ აეწყობა?“

ნაფაშურ-ი, ნაფაშურებ-ი შიგნეული. უფრო მრავლობითი რიცხვის ფორმით იხმარება. „წაართყა მუცელში ხანჯალი და ნაფაშურები გადმოაყრევინა.“

ნაფურებ-ი იგივეა, რაც ნაფაშურები.

ნაფასურ-ი ფასი, საფასური. „ნეტა რასამ ვაჭმევთ, იმი ნაფასურ რამ მიკეთეფთ?“

ნაქაჯ-ი ძალიან გამოწურული. „ქარქი, დაანებე თავი, ეგე ძაან ნაქაჯი ღვინო აღარც დაილევა.“

ნაქერქი-ი გაქერქილი, ქერქაცლილი. „ნახე, ემ ვაშლი ნამყენები როგორ არი ნაქერქი, ეტყობა კურდღელია შამონყვეული.“

ნაქოსხარ-ი ადგილი, სადაც ადრე ქოხი იდგა. „ტყეში ბევრი ნაქოსხარია და, რა თქმა უნდა, ყველამ თავ-თავისი სახელი მქვია.“

ნალვერ-ი: ნალვერი მატყლი გაზაფხულზე თუ ღროზე არ გაპარსავენ ცხვარს, მატყლი თავისით გასცვივა. ასეთ მატყლს „ნალვერ მატყლს“, ეძახიან. „ერთ ბებერ დედაკაც ჯაგებში ნალვერი მატყლი შაუქურებია, ახლა ზიმი და წინდეფსა მქსოვს.“

ნალვერალ-ი იგივეა, რაც ნალვერი.

ნალინტალა პატარა, გამხდარი. „ერთი ნალინტალა ხბოლა დამრჩა და ემ მინდა გავზარდო.“

ნალიცა პატარა, ნაბოლარა. „ემ ნალიცა გოჭი ეგდომ შინა, როცა გაიზღება, გაიზღება.“

ნაყენაყე ნელი, აუჩქარებელი, უღიმღამო (ლაპარაკი). „დავიღალე, აღარ შამიძლია ამი ნაყენაყე ლაპარაკიმი მოსმენა.“

ნაყლაპ-ი უპატივც. ნასვამი. „შენ ცოტა ნაყლაპი ხო არა ხარ, რატო ეგე მლაპარაკოფ?!“

ნაშავდღევებ-ი ნაცოდვილარი, გაჭირვებით ნაშოვნი. „არა შენი ჭირიმი, იმი ნაშავდღევები ფული როგო ავიღო, რა ნამუსი გამიშვეფს.“

ნაშავდღეობით წვალეობით, გაჭირვებით. „ნაშავდღეობით შეგროვილი ფული სულ მუქთათ წაუვიდა.“

ნაშანშლი საქმე დაუმთავრებელი საქმე. „შენი ნაშანშლი საქმე შენვე უნა მიიყვანო ბოლომდე“.

ნაშაქარ-ი ერთნაყოლი; ცხვარი, რომელმაც პირველად მოიგო. „ემ ნაშაქარი შასანახათ დავტოვოთ, ნახე, რა კაი ბატკანი მოიგო.“

ნაშენობა მამაკაცის (საერთოდ მამრობითი) სასქესო ორგანოები. „ი ვერანა მგელ ყოჩითინ ნაშენობა გამოუგლეჯია, თუ ღროზე არ დავკალი, უსულადი მოკვდება.“

ნაჩეკალ-ი 1. საღუმლედ დაჭრილი შეშის ღერი. „კაი ღუმელი გამოდგა, ერთ-ორ ნაჩეკალ შაუგდეფ და გააქ ღულუნი.“ 2. მოკლე კეტი, ჭოლოკი. „კაკალ კენწეროეფშიდა ესხა და ისიც სუ ნაჩეკლებით ჩამოვაყრენით.“

ნაცართუთქ-ი წყალში არეული ნაცარი, რომელსაც თონეში ცეცხლზე აყრიან, რათა გარკვეული სიცხოვლე შეინარჩუნოს და პური არ დაიწვას. „ცოტა ნაცართუთქი მაყარე, ცხელია თონე.“

ნაცილ-ი წერა; ცუდი რამ. „აი ნაცილი კი უვარდემ, ებ რეები უთქვია ჩემზე.“

ნაცილსავარდნელი-ი წყევლაა. სასიკვდილე. „ეგ რა მყავთ, ეგ ნაცილსავარდნელი, რო არც დიდი იციმ და არც პატარა.“

ნაცხავებ-ი ცხავეში გატარებული მარცვლეული. „მეტი რალა უნდა, საგულდაგულოთ ნაცხავები ხორბალი გავატანე.“

ნაძირ-ი ლექი. „ახალ დაწურულ ღვინომ ნაძირი მალ-მალ თუ არ გამააცალე, დაძმარდება.“

ნაწკრეტ-ი ნაჟური. „ემა წყარო კი არაა, წვიმი ნაწკრეტია, ერთ-ორ კვირაში თუ აღარ გაწვიმდა, სუ დაშრება.“

ნაწმენდ-ი გაცხრილული ხორბლის (ქერის) წვრილი მარცვალი ჩენჩოში არეული, ქათმების საკენკად იყენებენ. „თუ ცოტა სიმინდი არ დაუყარე ამ ქათმეფს, ემ ნაწმენდი არა უხდებათ რა“.

ნაწყაროვალ-ი ადგილი, სადღაც ადრე წყარო იყო. „იმ ნაწყაროვალზე კიდევ რო მოგვესინჯა, იქნება წყალი გამოჩნდემ რამე.“

ნაწყლ-ი ქალის სასქესო ორგანო.

ნაწყლეფ-ი ადგილი, სადაც ადრე წყალს უვლია ან იდგა. „ემ ნაწყლევი ადგილი ტრაქტორითაც ძლივ მოვხანი.“

ნაჭალობ-ი ადგილი, სადაც ადრე ჭალა იყო. „ნაჭალობი გავტეხეთ და ნახე, რა მოსავალი მოგვივიდა.“ ნაჭალობი ერთ პატარა მდინარესაც ჰქვია მარტყოფში.

ნაჭიდაგებ-ი კაცი, რომელმაც უკვე იჭიდავა. „ემ ბიჭი შვიდჯერ იყო ნაჭიდავები და მერვე გადმოუყვანემ კიდევ, როგორმე რო გაელახათ.“

ნაჭყაბურ-ი: ნაჭყაბურები-ი ნაწლავები. „კაი, გაჩერდი ახლა, ტირილით ნაჭყაბურები ნუ გამოიყრეინე.“

ნახახვარ-ი ადგილი, სადაც ადრე ხახვი ეთესა. „ამ ნახახვარ ადგილებში, კორეელეფს რო ეჭირათ იჯარით, მიწა ისეა გამოფიტული, აღარაფერი არა ხაროფს.“

ნახევარდუჟინ-ი დუჟინის ნახევარი. „ექვს-ექვსი ცალი ანუ ნახევარ-დუჟინი ყველანაირი ჭურჭელი დაურიგე ჩემ შეილეფს.“

ნაჯაგ-ი ნაკაფი, გაჯაგული ადგილი. „ამ ტყეა წესიერი კაცი ესე უღმერთოთ როგორ გამკაფამდა, ვილაც ბოროტისაგან არი ნაჯაგი.“

ნაჯაგარ-ი ადგილი, სადაც ადრე ჯაგნარი იყო. „იმ ნაჯაგარ რო არავინ იღებდა, აბა, ეხლა ნახონ, რა ვენახი გაუშენებიათ.“

ნედლი შეშის დაწვა ურთიერთობის გაფუჭება. „ამხანაგეფს რატო აღარ ეკარება, ნედლი შეშა ხო არა აქ დამწვარი?“

ნემს-ი მარხილის ხელნის თავების შემაერთებელი ჯოხი. ჩვეულებრივ შვინდისას თლიან ხოლმე. „მარხილი ნემსი გამიტყდა და სანამ ახალი გავუკეთე, დამიღამდა.“

ნემსიყლაპია მწერია ერთგვარი. კალიას ჰგავს, გრძელი, წვრილი სხეული და სუსტი ფრთები აქვს. წყლიან, ჭაობიან ადგილებში გვხვდება.

ნეჟერ-ი ნედლი (შეშა). „ემ ნეჟერები რო შაგიკეთებია, სანამ აენთება, მანამ ხო სიცივით დაეიხოცებით.“

ნეტა არ მინდა! აბა ერთი! „ნეტა არ მინდა, მოიდე და რა მელასაც დაიჭერს, იმასამ ვნახამთ!“

ნეჭა იატაკზე დასაფენი უბრალო ფარდაგი. „ნეჭა თუ არა გაქ, ძველი ტომრი ნაჭერი მაინც ღააგდე კარეფთან, კაცმა რო ფეხი გაიწმინდომ“.

ნიღნიღ-ი ცხვირში ლაპარაკი; დუღღუნი. „მომკლა ამი ნიღნიღმა.“

ნიღნიღებ-ს ცხვირში ლაპარაკობს. „მაგამ რამ გაუგეფს კაცი, თელი დღე დღი და თავითვინ ნიღნიღეფს“.

ნიღრ-ი წალდის (ცულის) წინა წვერი. „მჭედელი გყვანდა ერთი, ციბუამ ბიჭ ვეძახდით, ისეთ ნიღრ გაუკეთებდა წალდ, რო იმი ნახელავ ყველგან გამაარჩევდა კაცი.“

ნიშკა ნიშა. თეთრი ნიშანი საქონლის (ძროხის, ხარის, ცხენის) შუბლზე. „ჩვენმა ნიშკა ძროხამ საფურე ხბო მოიგო.“ ხშირად გვხვდება ასეთი საქონლის საკუთარ სახელად. „ორი მეწველი ძროხა გყავ, ერთ ნიშკამ ვეძახით, მეორემ — შეინღამ“.

ნიშნის მიტანა დანიშვნა, დაბეღვა. „გოგო გაათხოვემ, ჯერ ქორწილი არა მქონიათ, ნიშანი კი უკვე მიუტანემ“.

ნიძლაგ-ი ნაძლევი. „თუ პირობამ არ შაასრულებდი, რატო დამიღე ნიძლაგი.“

ნოღ-ი: ნოღი ბალახ-ი ნორჩი, ახლად მოსული ბალახი. „ამ ბაღლეფს ნოღი ბალახი გაუთიბიათ, ახლავე თუ არ შააჭამეთ საქონელ, არ შაინახება, დაგიღპებათ.“

ნოღზე აღება თმისა თმის ძირში გაკრეჭვა, გადაპარსვა. „ყოველ ზაფხულ სულ ესე ნოღზე იღეფს თმამ და იმიტომამა, რო არა მცვივა.“

ნორია ნორიო. ერთ-ერთი დიდი სოფელია თბილისის აღმოსავლეთ მხარეზე, მარტყოფსა და ლილოს შორის. „ჩვენ ნორიამ ვეძახით, გაზეთებში კი ნორიო მწერია ხოლმე.“

ნორიელ-ი ნორიაში (ნორიოში) მაცხოვრებელი. „ნორიელეფს სულ ლამაზი გოგოები და ტალიკ-ტალიკი ბიჭები მყავთ.“

ნოტო ფარიდან (ნახირიდან) გამოცალკეებული ნაწილი საქონლისა. „ფარამ ერთი ნოტო მომწყვიტა მგელმა და სადღაცამ გადააძევა.“

ნოტო-ნოტო ნაწილ-ნაწილ, ჯგუფ-ჯგუფად. „ტყიდან ნოტო-ნოტოთ გამოდიოდა ნახირი.“

ნუკება, ნუკვა ხვეწნა, ვედრება, მუდარა. „იმ შვილ რა უთხარი, დედა რო ესე ენუკება და არ დაუჯერეფს“.

ნუკვა იხ. ნუკება.

ობოლა ობოლი. „ერთი ობოლა ბატკანი მყავ და იმად შავყურეფ.“

ოგურ-ი 1. ჯიში, მოდგმა. „ეგენი ისეთი ოგურიმ ხალხია, არაფერ შაგარჩენენ.“ 2. ამხანაგობა, გაერთიანება. „თათრებმა მაგარი ოგური იციან; მაგათ თუ ერთი ოგური ქნემ, მერე მტრისამ“.

ოდროგ-ი ტანადი, ზონზროხა (ქალი). „იმ ოდროგ რო დაინახამენ, ბავშვები შიშისაგან აქეთ-იქით გარბიან.“

ოდროგელა იგივეა, რაც ოდროგი. „რაო, მაგ ოდროგელამ ისევ საყვედურებით აგამსოთ?“

ოდოჟღერ-ი ოდოშღერი. ჯერ ისევ ნელლი, ჭანარი ყანა, ბალახი. „ყანები ჯერ ისევ ოდოჟღერია და კომბაინი შაუტანიათ და მკიან.“

ოთუზბირ-ი ძალიან ძვირი. „არა ძმაო, მე თუ ოთუზბირი ღამიჯდება, რათ მინდა ეგეთი ყიდვა.“

ოთხათოთხ-ი მხოლოდ ოთხი. „იმ ოხრათ დასარჩენ კატამ სუ დაუჭამია წიწილები, ოთხათოთხი გადარჩა და ისინიც გალიაში ჩავსხი.“

ოთხთითა ფიწალი. „პაპაჩემი სუ თითონ აკეთებდა ფიწლეფს. მახსოვს, ოთხთითაც მქონდა, სამთითაც და ორთითა ფიწალიც.“

ოთხტყუბა ერთ ყუნწზე გამობმული ოთხი ნაყოფი. „ნახე, რა კაკალი გამოდგა, სუ სამტყუბა და ოთხტყუპები ასხია.“

ოლე ნაჟური წყლებისაგან შემდგარი მდინარე, რომელიც მინდვრის ჩადაბლებულ ადგილებში ჩნდება, ზოგან რამდენიმე კილომეტრზეც მიედინება და მინდორშივე იკარგება. ეს სიტყვა ხშირად დასტურდება ტოპონიმიში: „მყრალოლე, პატრაოლე, დიდოლე.“

ონსილა ოვსილა, ძალა, ღონე. „ძაან დავიღალე, ონსილა აღარა მაქ.“

ოთჰო! ხარისადმი შემახილი გასაჩერებლად. „ოოჰო! გაჩერდი, შე ბეითალმანო, ოოჰო!“

ორთავთვალით ბრმა ბრმა, უსინათლო. „ეგ თუ
ორთავთვალით ბრმა არ არი, მამ რატო არ დაინახა ჩემი
ამაგი.“

ორთავთვალით დასაბრმავებელ-ი წყევლაა. ის, ვისაც
ორივე თვალით დაბრმავებას უსურვებენ. „მაგ ორთავთვალით
დასაბრმავებელმა რალა ჩემი შვილი ამაიჩემა, რა უნდა
ამისაგან.“

ორნაყოლ-ი საქონელი, რომელმაც ორჯერ მოიგო. „ეგ
არი ბებერი?! ერთი შენა მყოფილხარ საქონლი მცნობი,
ორნაყოლი ძროხა ბებრისგან ვერ გაგირჩევია.“

ორტყუბა ერთ. ყუნწზე გამობმული ორი ნაყოფი. „ეგ რა
თხილია, მე ისეთი ნამყენი უნა მოქცე, ორტყუპაზე ნაკლებ
არ მაისხამს.“

ორსულ-ი: ორსული ყანა, თავთავჩასახული ყანა. „შე კაი
კაცო, ვერა მხედამ, რო ყანა ორსულათ არი, ეხლა საქონლი
შარეკვა იქნებოდა?!“

ოტურ-ი ქლიავის ერთ-ერთი ჯიშია. მოყვანილობით
ჭანჭურს ჰგავს. ოღონდ კურკა უფრო წვეტიანი აქვს.
ნაყოფი ქარვისფრად მწიფდება აგვისტოს მეორე ნახევარში.
გემრიელი და თანაც უწყინარი ხილია, რომლისაგანაც
ამზადებენ ხილფაფას, ჩურჩას, კერკას; ხდიან არაყს.
მრავლდება კურკითაც და ფესვითაც. „ამოდენა ოტურ რა
უყო, აღარ ვიცი, ქალაქში მე ვერ წავილფო, ვაჭრობა არ
შამიძლია, ისევე არყათ თუ ჩაყერი.“

ოქლაქ-ი დიდი ტანის, ტლანქი, მოუხეშავი ადამიანი,
უფრო ქალზე იტყვიან. „ერთი ვილაცა ოქლაქი გამოეგზავნათ
რევიზორათ.“

ოქროს საციქველა ბუნწი, კრიჟანგი. უმეზობლო. „ეგ
ისეთი ოქროს საციქველაა, ხელიდან ვერაფერ გააგდებინეფ.“

ოღომ, ოღომც ნეტავ, მხოლოდ, როგორმე. „ოღომ მაგამ
პირჯვარი დამწერეთ და ხოობა ათქმევინეთ, მალარიჩ
ვიკისრეფ.“

ოღომდაც იგივეა, რაც ოღომ. „ოღომდაც მოვიდემ ჩემთან,
ყველაფრით დავეხმარები.“

ოღრაშ-ი უსინდისო. ნამუსგარეცხილი. „ქეყანა
ოღრაშებით გაივსო და პატიოსან კაც სასაცილოთ იგდებენ.“

ოცათოცი-ი მხოლოდ ოცი. „ოცათოცი ძროხა მყავ და უკვე ფერმერათ მიაჩნია თავი.“

ოცეულ-ი დადგმა. ოცი ძნა შეკრული და ერთად დადგმული ზვინად. „სანამ ოთხ-ხუთ ოცეულ არ დავდგამდი, მანამ მუხლ არ დავასვენებდი.“

ოსერეკლესია მიტოვებული ეკლესია. „ნათქვამია, ოჯერეკლესიამ ეშმაკები დაეპატრონენო.“

ოსრახ-ი ოყლაყი, ოყრაყი. „დიდი უშნო, ტლანქი ადამიანი. „ყველა რო წავაქციე, მერე ერთი ოხრახი ვილაცა გადმამიყვანედ და იმ დამჭიდემ.“

ოჯაქორ-ი იგივეა, რაც ოჯაქური.

ოჯაქურ-ი ოჯახქორი. ლანძღვაა ერთგვარი. „ეგ ოჯაქური თუ არ მოდიოდა, რატო ადრე არ გვითხრა!“

ოჯახამოწყვეტილ-ი ლანძღვაა ერთგვარი. „რით ვერ მააშორემ აქედან ეგ ოჯახამოწყვეტილი ეგა.“

ოჯახგადასაშენებელ-ი ლანძღვაა ერთგვარი. „ეგ ოჯახგადასაშენებელი, ჩვენ ჭირათ გაჩნდა ამ ქვეყანაზე.“

ოჯახგადაშენებულ-ი ლანძღვაა ერთგვარი. „იმ ოჯახგადაშენებულმა დალუპა თელი სოფელი.“

ოჯახდავსილ-ი ლანძღვაა ერთგვარი. „ი ოჯახდავსილი როდი ჩამოეთრევა ნეტავი?!“

ოჯახდანგრეულ-ი ლანძღვაა ერთგვარი. „მაგ ოჯახდანგრეულ რო არ მოვეტყუებინე, აქამდე მოვრჩებოდი ამ საქმედ.“

ოჯახდანელებულ-ი ლანძღვაა ერთგვარი. „განა არა, ეგ ოჯახდანელებული თავიდანვე არ მამეწონა.“

ოჯახდასავსები-ი წყევლაა ერთგვარი. „მე რა ვიცოდი, ი ოჯახდასავსები თუ ქურდი იქნებოდა.“

ოჯახდასანგრევი-ი წყევლაა ერთგვარი. „თუ დროზე არ მოვიშორეთ, ეგ ოჯახდასანგრევი რალაცამ გვიზიმანდრეფს.“

ოჯახდასანელებელ-ი წყევლაა ერთგვარი. „რა ქნა ამ ოჯახდასანელებელმა, სუ ერთიანათ არ დაგვაქცია და არ დაგვანელა?!“

ბალო იხ. პალოს გლეჯვა.

ბალოს გლეჯვა დანისწვერობანაში გამარჯვებულმა დამარცხებულს პალო უნდა აგლეჯინოს. დანით გამოჭრის წერილი ჩხირის პატარა პალოს, დააზმანებს დამარცხებულის გოჯს, ცერა თითის ფრჩხილის წვერიდან სახსრამდე, წვერს წაუთლის და დანის ტარის დარტყმით მიწაში ჩაურჭობს, წინასწარ იციან, რამდენჯერაც და როგორც უნდა დაარტყან. შეიძლება ყველა დარტყმა ვერ მოხვდეს მიზანში, მაშინ პალო ღრმად ვერ ჩავა მიწაში. შეიძლება აუცდეს, შეიძლება პალო დარტყმისას წაიქცეს. ხელით გასწორება აკრძალულია, დარტყმითვე უნდა გასწორდეს. თუ ღრმად ჩაერჩო პალო, დანით შემოჭრიან მიწას, ცხვირისა და ნიკაპის ჩასადებს დანითვე ამოჭრიან, რათა დამარცხებულმა მიწაშემოჭრილ პალოს კარგად ჩაჰკიდოს კბილები და ისე ამოაძროს პალო.

პამინდორ-ი პომიდორი. „ნაკვეთი იჯარით ავიღე და ჰქეტარზე თხუთმეტი ტონა პამინდორი მოვიყვანე.“

პანწკიბალ-ი თეთრი, მსხვილი ბალი, გოგრაბალის ერთ-ერთი ჯიშია. „ყველანაირი ბალი გვიღვა ბალში, ემ პანწკიბალი კი ვერა და ვერ ვახარე.“

პაპაილა პაპის მსგავსი ხასიათით, ქცევით. „პა, პაპაილაჲ, რატო არ მაისვენეჲ და ჩვენც არ მოგვასვენეჲ.“

პაპასხილ-ი ქლიავის ერთ-ერთი სახეობაა. ქარვისფერ ნაყოფს ისხამს, ოტურს ჰგავს, ოღონდ ნაყოფი უფრო მსხვილია, ხორციანი, კურკაც ნაკლებად წაწვეტებული. გემრიელი, უწყინარი ხილია, აგვისტოს ბოლოს მწიფდება. ნაყოფისაგან აკეთებენ ხილფაფას, ჩურჩას, ხდიან არაყს; რბილი, სასიამოვნო სასმელი დგება. „თუ ღროზე ჭურჭელი არ ვიშოვე და პაპამხილი არ ჩავყარე საარყეთ, გადასაყრელი გამიხდება.“

პაპია პაპაჩემი. „პაპია დამპირდა, თუ ჭკვიანათ მაიქცევი, ცხენზე შაქსომო.“

პაპიყვერა ყოჩივარდა. „ყვაილია ერთი, იასა მგავ, პაპიყვერამ ედახიან, არ ვიცი კი, რატო დაურქმევიათ.“

პარკილობიო ნელლი, მწვანე ლობიო. „ჩემ კაც ისე უყვარს ემ პარკილობიო, ყოველდღე რო მოუხარშო, არ მომწყინდება.“

პარსავ-ს ყვლეფს; ძარცვავს. „წესიერ კაც ახლომ ვინ გააკარეფს, ამათ ემ მგელი ურჩევნიათ, სოფელ რო ერთიანათა მპარსამს.“

პარსვა ყვლეფა, ძარცვა. „რატო არ მოეწონებათ ზევით, ხალხი პარსვა კარგა ეხერხება და მეტი რა უნდათ.“

პატრა პატარა. ეს სიტყვა თუ ცალკე, არსებითი სახელის მნიშვნელობით იხმარება სრული ფუძითაა წარმოდგენილი: „პატარა მოვიდა, პატარამ გააკეთა.“ თუ მსაზღვრელად ახლავს სახელს, მაშინ ფუძე შეკუმშული აქვს. „პატრა ბიჭი მოვიდა; პატრა ბიჭმა გააკეთა.“

პატრა მუცელ-ი კუჭის ქვემოთა ნაწილი. „იმ აყლაყულამ ამ თითიძტოლა ბიჭითინ სუ პატრამუცელში უცემია და შარდი ბუშტი დაუზიანებია.“

პატრონამოსაწყვეტ-ი წყველაა ერთგვარი. „ი პატრონ-ამოსაწყვეტი ძროხა შასულა ვენახში და იქავრობა გაუნადგურებია.“

პრატრონამოწყვეტილ-ი წყველა ერთგვარი. „შე პატრონ-ამოწყვეტილო, მინდორში ცოტა ბალახია, ემ ბახჩა რო არ გაატილო!“

პატრონდავსილ-ი წყველაა ერთგვარი. „ემ პატრონდავსილი ძროხა ვერა და ვერ დავაჩვიე ნახირში.“

პატრონდასავსებ-ი წყველაა ერთგვარი. „შე პატრონდასავსებო ძროხავ, რა ჩავიძვრა მაგ მუცელში, რო ვერაფრით გაგაძღე.“

პატრონმკვდარ-ი წყველაა ერთგვარი. „იმ პატრონ-მკვდარმა ძალღმა მიპარვა იცის, ცოტა ფთხილათ იყავით.“

პატრონსასიკვდილე წყველაა ერთგვარი. „ამ პატრონსასიკვდილემ რქები თუ არ დაახერხემ, დამხოცამს საქონელ.“

პაჩ-ი კოცნა (ბავშვის ენაზე). „აბა პაჩი უყავ დედამ.“ „მოდო ჩემთან, პაჩი უნა გიყო.“

ბეიტარ-ი ტრაბახა, თავმომწონე. „ემ ჩვენი ახალი მეზობელი დიდი პეიტარი ვინმეა, ყველამ ზემოდან უყურეფს.“

პეიტრობ-ს თავი მოაქვს, ყიმყიმებს, ტრაბახობს. „ნეტა რასა პეიტროფს, ჩვენ ხო მაინც ვიცით,რა შვილიც ბძანდება.“

ბეიტრობა თავმომწონეობა, ყიმყიმი, ტრაბახობა. „პეიტრობა კარგია, მაგრამ ზურგიც უნა მოგდაგამდეა“.

პეპელა ცხერის ავადმყოფობა, სენია ერთგვარი. ზაფხულობით ფიმლტვებში უჩნდება და კლავს. „პეპელა გამჩენია ამ ცხვარ, ღროზე დაკალი, სანამ კიდე ვარგა.“

პირაკატებულ-ი სალანძღავი სიტყვაა. „რაო მაგ პირაკატებულმა, ისეე უარი თქვა?“

პირათშ-ი იგივეა, რაც პირახეული, პირბოში.

პირართმეულ-ი რასაც პირი აქვს ართმეული (კედელი, გუმბათი), რომელსაც ზემოთა პირი დაშლილი აქვს. „პირართმეული გუმბათის მორღვევა ძნელი აღარ იყო.“

პირახეულ-ი პირღია, ლაქლაქა, ლაყაფი. „მაგითანა პირახეული კაცი, გეგონა, საიდუმლომ შეგინახამდა?“

პირბოშ-ი პირღია, ენატანია, ენაჭარტალა, ამბიტანია. „მაგ პირბოშ როგორ უყვები ყველაფერ, ქვეყანა გინდა გადაიკიდო?!“

პირგადასაქნელ-ი რასაც პირი არ აქვს გადასაქნელი, მოსასწორებელი. „კედელი პირგადასაქნელი დამატოვებინეა“.

პირგადაქნილ-ი რასაც პირი გადაქნილი, მოსწორებული აქვს. „ქსოვა წელან დაიწყო და ნახე, უკვე პირგადაქნილი წინდა უჭირამ ხელში.“

პირგვალ-ი პირმრგვალი. ვისაც მრგვალი პირისახე აქვს. „ერთი პირგვალი, ლამაზი კაცი იყო პაპაჩემი.“

პირთაეჭვე თავქვე; პირქვე. „პირთაეჭვე წევს, გვერდზე გადააბრუნე, არ დაიხრჩოდ.“

პირის ართმევა რისამე ზემოთა პირის მოშლა. „ამ კედელ (წინდამ) ერთი პირისართმევა უნდა და მერე თავისით დაიშლება (დაირღვევა).“

პირის გადაქნა საქმის დამთავრება. 1. წინდის, ხელთათმანის ქსოვისას ბოლო პირის მოქსოვა. 2. კედელზე

ბოლო პირის გავლება. „ჰო, ახლავე პირ გადაუქნი და მოვრჩები ყველაფერ.“

პირის გაწყობა ცულის, ნამგლის, ცელის, დანის, ხერხის... გალესვა, პირის მოსწორება. „შენ კარგა იცი, მოდი ერთი პირი გაუწყვე ამ ხერხ.“

პირის კითხვა ამბის გაგება, დაზუსტება. „პირი უკითხე, რასა ფიქროფს, წამოვა ჩვენთან, თუ არა?“

პირის მიწისკენ დაგება უარის თქმა, ზურგის შექცევა. „ჯერ ჰოლობად მეუბნებოდა, მერე კი, საქმე საქმეზე რო მიღვა, პირი მიწისკენ დაეგო.“

პირის მოკუპვრა ხმის ჩაწყვეტილება, გაჩუმება, დაშინება. „ხალხ პირი მოუკუპრემ და ახლა როგორც უნდათ, ისე ათამაშებენ.“

პირის მოტეხვა შერცხვენა, გამტყუნება. „რა მიყო იმ პირშაემ, იმ პატიოსან ხალხში როგორ პირი მომტეხა.“

პირის უკულმა დაგება უარის თქმა, გამტყუნება. „აქამდე იმედ მაძლევდა, ახლა კი პირი უკულმა დაეგო.“

პირის უკულმა წაღება ზურგის შექცევა, პასუხის გაუცემლობა. „უარი უარია, მაგრამ ემ პირი უკულმა წაღება რალა იყო.“

პირმოქრუშულ-ი პირქუში, მოღუშული. „რა დაემართა ამ კაც, რატო დადიმ ესე პირმოქრუშული?“

პირუკულმართ-ი „უკულმართი; უზრდელი. „დაანებე თავი, თორე ეგ ისეთი პირუკულმართია, შეიძლება უარესიც გვიყო.“

პირმოწმენდილ-ი: პირმოწმენდილზე ჯერ რომ არავის არაფერი უთქვამს. „აიღო და პირმოწმენდილზე იცი, რა მითხრა?!“

პირქვე ცუდი, უვარგისი, უხეირო (კაცი). „სად არი ი პირქვე, ჯერ კიდე არ გამოჩენილა?“

პირქვედასამარხ-ი წყველა ერთგვარი. „სად არი ეგ პირქვედასამარხი, ეგა, ერთი მაჩვენეთ, რო მაგრა მივბეგვო.“

პირცეცხლ-ი ავი, ანჩხლი, კაპასი. „ეგ ისეთი პირცეცხლი დედაკაცია, არაფერ არ მეერიდება.“

პიტალო ალიკვალი, ძალიან მსგავსი; ზედ გამოჭრილი. „შეხედე, ემ ბიჭი პიტალო მამა არ არი?“

პლურწაგ-ს ტურებს კუმავს, პრანჭავს. თვალებს ცერად აბრიალებს. „**ე** გოგო ისე მპლურწამს იმ ტურეფსა და თვალეფს, დღესვე რო გაათხოვონ, უარ არ იტყვის.“

პლურწვა ტურების კუმვა, პრანჭვა. თვალების ცერად გამოხედვა, პრანჭვა. „**და**ანებე თავი მაგ ტურებისა და თვალები პლურწვამ და ცოტა ხელი წაახმარე იმ საწყალ დელამენ.“

პლურწკაგ-ს იგივეა, რაც პლურწავს.

პლურწკვა იგივეა, რაც პლურწვა.

პლურწკია მეტსახელია ქალისა.

ბოსლიკა თავგადაპარსული, თავგადახოტრილი. „**ე** რა გიქნია, როგორ გადაგიპარსია თავი, ესე პოსლიკა როგორ უნა წახვიდე სკოლაში.“

ბრასა: **ბრასა ბალახი ბალახია** ერთგვარი. საქონელი ძალიან ეტანება. როცა დაპურებას იწყებს, საშიში ხდება ამ ბალახის მიკარება, რადგან ფორი დანასავით მჭრელია და სხეულს სხეპავს. „**ე** ფეხიშველა ბავშვები პრასა ბალახში რო დარბიან, არ გეშინია, რო კანჭები დაესხიპოთ?“

პრაწან-ი იგივეა, რაც პრაწაპრუწი. პრაწანა – მეტსახელი კაცისა.

პრაწაპრუწ-ი ტკაცატკუცი. „**კ**ერახი შეშა შაუკეთე ბუხარ და ნახე, რა პრაწაპრუწი გაუღიდა.“

პრაწაპრუწა მცენარეა ერთგვარი, დაბალი, ბურქად იზრდება. წვრილი ფოთლები და შავი ღერო აქვს. ცეცხლი კარგად ეკიდება.

პრაწიპრუწ-ი იგივეა, რაც პრაწაპრუწი.

პრაწიპრუწა იგივეა, რაც პრაწაპრუწა.

პროშიან-ი ტურებგადმოყრილი; სქელტურა. „**ჩ**ვენმა პროშიანმა წამოსვლაზე უარი გვითხრა, სხვა უნა მოვძებნოთ და წავიყვანოთ.“ გვხვდება როგორც კაცის, ისე ქალის მეტსახელად.

პრუტუნ-ი უშნო, სიცილნარევი ლაპარაკი. „**მ**ორჩით ეხლა მაგ პრუტუნ და საქმედ მიძხედეთ.“

პრუტუნებ-ს უშნოდ, უაზროდ ლაპარაკობს. „**რ**ასა პრუტუნეფს, თითონაც არ გაეგება.“

პრტყენა იხ. პტყენა.

პტყელ-ი ბრტყელი. „ეზოში სკამი მინდა გავაკეთო და პტყელი ფიცარი ვერ მიშოვია.“

პტყელპირა: **პტყელპირა ცულ-ი** მალაზიაში სუ რუსული ტაფორებია, ემ მჭედელიც აღარა გვყავ, რო პტყელპირა ქართული ცული გავაკეთებინო.

პტყენა ბერყენა. მცენარეა. იზრდება მშრალ ადგილებში – მინდორსა და ტყის პირებში, შუატყეში არ გვხვდება. ფოთოლი ფშატიის ფოთოლს ჰგავს, ნაყოფი – პანტას. სექტემბერ–ოქტომბერში მწიფდება. მწკლარტე გემო აქვს. იმ დროს, როცა პტყენა შემოდის, სხვა ხილიც ბევრია, ალბათ ამიტომაც არ ეტანებიან. თანაც მეტად მკერივი ნაყოფი აქვს, მწიფეც კი ძნელად იჭმევა. მოკრეფილს დახურულ ჭურჭელში ინახავენ, სადაც დაყვითლდება და გემრიელი საჭმელი ხდება. წამლად იყენებენ.

პუპლუზ! სიტყვის მასალაა. მნიშვნელობა არ იციან. „ველოდებოდით და პუპლუზ! ისიც მოვიდა.“

პურის მჭამელ-ი მოქეიფე, ფულის მშოვნელი, შნოიანი. „შენ რამ გიშლიმ, ძმაო, შენსამ ხო არა მჭამს; ნეტა მაგნაირი პურიმჭამელი ბიჭები კიდეც ბევრნი იყვნენ ჩვენ სოფელში.“

პურის ტილ-ი მწერია ერთგვარი. ჩახურულ ხორბალს უჩნდება. „პურ ტილი გამჩენია, თუ დროზე არ გავიტანეთ და არ გავამზევეთ, გაგვიფუჭდება.“

პუწკა იგივეა, რაც ბუწკა.

პწკალ-ი ძარღვი. „პწკალი დამეჭიმა.“

პწკლების აყრა ძარღვების დაჭიმვა. „ჭიდაობაში პწკლები აყვარა და საოპერაციოთ გაუხდა საქმე.“

პწკილ-ი ფრჩხილი. „პწკილი რა არი, პწკილი, ისეთი კრიჟანგია, პწკილისოდენამ არაფერ დაგითმოფს.“

ჟამანაკ-ი: ჟამანაკების არევა გაგიჟება, გადარევა. ჩვეულებრივ მრ. რიცხვის ფორმით იხმარება „მაგამ ცოტა ჟამანაკები ხო არ აერია?“

ჟიჟმაკ-ი ჟიჟმატი, ძალიან წვრილი. „ამამ ვილა იყიდიმ, სუ ჟიჟმაკები დაგრჩენია.“

ჟიპიტაურ-ი ტყის ხილის (პანტის, შვინდის, მაჟალოს) არაყი. „პაპაჩემმა ამ ბოლო დრომ ჟიპიტაური გამოხდა დაიწყო, ჭაჭი არაყ ველარა ვსომო.“

ჟრინტ-ი, ჟრინტა წვეთი, ცვარი. „ისე გამოუწრუპამს ღვინო, ერთი ჟრინტი არ დაუტოვებია.“

ჟრინტა იხ. ჟრინტ-ი.

ჟღლა ბეჟვა, ჟეჟვა. „ამოდენა გზაზე ემ ჟღლა აბა, რა ხეირ დააყრიდა ამ ყურძენ.“

ჟღოლაგ-ს ცუდად იწვის. „ემ რეები შაგიკეთებია, ამდენი ხანია ჟღოლამს და სითბო კი არა აქ.“

ჟღოლვა ცუდად წვა. „თუ ტყეში არ წავედი და რცხილა არ მოვიტანე, ამ კაკლი შეში ჟღოლვამ ველარ გაუძლეფ.“

ჟღუფი-ს 1. ბუევის „ფეხები დამიბუჟდა და საშინლათ მიჟღუს“. 2. ხმაურისაგან გამოყრუება. „ისეთი საზარელი ხმა მიქონდა, ყურები ახლაც მიჟღუს.“

ჟღუფილ-ი ჟუვილი. „ტკივილით ძალიან აღარა მტკივა, მაგრამ ჩხვლეტა და გაბმული ჟღუფილი ისევ ისე მაქ.“

ჟურ-ი წვეთი, ცვარი. „რო მნახე, ვედრაში ჟური წყალი არ იღვა, ნეტა რა იფიქრე, ვინ მაიტანსო?“

რად-ი სვე, ზოლი. გათიბული ბალახის მწკრივი. ცელით თიბვისას ერთი გატანა, ერთი ჩავლა. „ხო პატრა კაცია ემ ჩვენი კოლა, ცელვაში ვერავინ ვერამ ძეობნის, სანამ სხვეები თითო რად ჩაიტანენ, მაგამ ორი-სამი რადი აქ გათიბული.“

რაფი რა ვიცი. „აბა, რავი, ვინ იყო, მომესალმა და მეც მივესალმე.“ „რავი, რა უნდა, მე ამი ქართულ ვერ ვიგეფ.“

რამის ლამის. „საქმედ ველარ აუღივარ და რამის არი გავვიჟღე კაცი.“

რამოდონა რა ბევრი, რა დიდი. „რამოდონა ხილი დაგიკრეფიათ.“ „რამოდონა გარდილა ემ ბიჭი.“

რამოტელა იგივეა, რაც რამოდონა.

რამოტოლა იგივეა, რაც რამოდონა.

რამსიმსხო რა მსხვილი, რასიმსხო. „რამსიმსხო ტარი გაგიკეთებია ამ ბართვინ, ხელში როგორ უნა დაიჭირო.“

რამწავე როგორც კი. „რამწავე წახვალ აქედან, ჩვენც თან გამოგყვებით.“

რამწუთასაც როგორც, როგორც კი. „რამწუთასაც მოვა, მაშინვე შამატყობინეთ.“

რატარუტ-ი რატრატი, ლაქლაქი, უთავბოლო ლაპარაკი. „ნეტაი შენ, ემაგი რატარუტ ყურ რო უგლეფ.“

რახამ, რახამც რახან, რადგან, რაკი. „რახამ მამაჩემ ვერე უნდა, მე წინააღმდეგი როგორ ვიქნები.“

რახამდაც რადგანაც. „რახამდაც არ დაგავიწყდი, მალარიჩი უნა გადავიხადო.“

რახამც იხ. რახამ.

რახვა რახვანი; ბრავვანი. „ნახე ერთი, რა მოხდა, რამ გაადინა რახვა.“

რეცრეც-ი ქანაობა, ტოკვა სიარულის დროს; რაცრაცი. „სიმთვრალეში რა უშნო რეცრეცი იცის ამ კაცმა.“

რეცრეცა ვისაც რეცრეცი უყვარს. „ამ რეცრეცაზე ამობენ კაი კაციაო.“

რეცრეცებ-ს ქანაობს, ტოკავს, რაცრაცებს. „მიდი, მიხედვე, თორე ეგ ისე რეცრეცეფს, სადმე გადაიჩეხება.“

რიკ-ი ცხერის კული. „კუდსა და რიკ რო ვერ არჩევ, აბა, შენ რა მეცხვარე ხარ. ძროხამ კული აქ, ცხვარ კი — რიკი, გაიგე?!“

რიყე მდინარე. „ამ წვიმებზე ჩვენი რიყე ისე ადიდებულიყო, რო იქავრობა სულ წაელეკა.“

რკინისაჭრელ-ი მჭედლის, ხარატის იარაღი. „რკინისაჭრელი ვერავისთან ვერ ვიშოვე და ამოღონა მართული ცულით დაეჭერი.“

რკო მუხა. „ეზოში ერთი დიდი რკო გვედგა, რომელზეც ყველიერში საქანელა გვქონდა ხოლმე ჩამობმული.“

როდისხანია რახანია, დიდი ხანია. „როდისხანია აქ ვსხედვართ და ველოდებით.“

როკ-ი 1. ქვიანი, კლდიანი (ადგილი). „ერთი როკი ადგილი შამხვდა და მამკლა თოხი ბაგუნმა.“ 2. ძალიან მაგარი. „კვრახი შეშა ისეთი როკია, ცულითაც ვერ გამაჭრი.“

რუფ-ი რუ. „ვენახში რუვი გავიყვანეთ და ერთი მაგრა დავაბუებუეთ.“

რუზლ-ი შიში, რიდი, კრძალვა. „მაგამ ცოტა რუზლი თუ არ მიეცი, ნამეტანი გაგითამამდა.“

რუზლიან-ი უკარება, დაბლვერილი, მრისხანე შესახედაობის ადამიანი. „ისეთი რუზლიანი სახე აქ, მაგამ ახლო ვერ მიეკარება კაცი.“

რუჟლ-ი იგივეა, რაც რუზლი.

რუჟლიან-ი იგივეა, რაც რუზლიანი.

რუსული ცულ-ი ცულია ერთგვარი. „ტაფორამ რო ეძახიან, რუსული ცული ისაა.“

რუყრუყ-ი მუცლის გვრემის ხმა. „თელი დღე მუცელ რუყრუყი გაუდიმ, არ ვიცი, შამცივდა თუ რი ბრალია.“

რუყრუყებ-ს ხმაურობს (მუცელი). „შიმშილისაგან მირუყრუყეფს მუცელი.“

რჩოლელა რამაც რჩოლა იცის (ძროხა, ხარი, ცხვარი...) „ნუ გეშინია, შეილო, ემ ძროხა რჩოლელა არ არი, ჭკვიანია.“

რძეძაღლ-ი სალანძღავი სიტყვაა. ავი, ანჩხლი, კაპასი, ბოროტი დედაკაცი. „არა და არ ისვენეფს ემ რძეძაღლი, ესა; დღე და ღამე სუ იყეფება.“

რძეძაღლიშვილი-ი ცუდი, ბოროტი ადამიანი. „ეგ რძეძაღლიშვილი რატო თავ არ დამანებეფს, ხო არ უნდა შამამაკვდემ.“

რწყილიდედა დიდი მწერია ერთგვარი. ბუზსა ჰგავს. ოთახში შემოფრინდება თუ არა, მაშინვე რწყილებს დაყრის ხოლმე. „მოკალი, ჩქარა მოკალი ემ რწყილიდედა, სანამ რწყილები დაუყრია.“

რჭალ-ი ჭალი. „მაღალი რჭლები გაუკეთე ურემ, თუ გინდა, რო ბევრი შეშა დაუდო.“

საავანტყოფო, სავანტყოფო საავადმყოფო. „ძველი წყობილება ჭირილღესავით მეჯავრებოდა, ეხლა კი რამი სანატრელი გაგვიხდემ, რადგან მაშინ კულტსახლიც ქექონდა, სამკითხველოცა და საავანტყოფოც.“

საბატკნე ფარეხში, გომში ბატკნებისათვის ცალკე გამოყოფილი ადგილი, ფიცრებით ან ლასტებით, მოზღუდული. „საბატკნე გაფართოება დააჭირდება, თორე ისე მჭიდროთ არიან, ჩაიხუთებიან ემ ბატკნები.“

საბერე კიტრ-ი სათესლედ დატოვებული კიტრი. „კაი შუშა კიტრი გამოდგა, საბერეთ დავტოვე და თუ გინდა, შენც აგიღეფ თესლ.“

საბნის გული საბნის გარეთა პირზე გადასაკრავი ქსოვილი, რომელიც ზეწრის ანუ ე.წ. „კონვერტის“ ღია ნაწილიდან ჩანს. „საბნი გულათ მინდა, რაიმე ლამაზი ქსოვილი ხო არ გექნებათ?“

საბოტე სანაშენედ გაშვებული მამალი ციკანი. „ნახე, რა ტანი აქ ამ ციკან, მოდი, საბოტეთ დავტოვოთ.“

საბუდრის კვერცხი საბუდარში დატოვებული კვერცხი. „საბუდარში ერთი კვერცხი მაინც უნა იდომ, თორე კვერცხი მდებელი ისე არ ჩაჯდება იქ, სხვა ადგილ დაუწყეფს ძებნამ. საბუდარში ჩატოვებული კვერცხი „საბუდრი კვერც“ ვეძახით.“ გადატ. უქნარა, ზარმაცი, შინიდან ფეხს რომ არ გაადგამს გარეთ. „რა საბუდრი კვერცხივითა მგორამ შინა, ადექი, ცოტა გაინძერი, გაიარ-გამოიარე მაინც.“

საბულე სანაშენედ გაშვებული მამალი ხბო. „საბულეთ რო მინდოდა შამენახა, სწორეთ იმ ხბო დაუგლეჯია მგელსა.“

სადა კედელ-ი კედელი, რომელზეც არ არის კარ-ფანჯრები. „სადა კედლი აშენება რა უნდა, გაჭიმე ლარი და დაწყე ღუზანი ქვა.“

სავანტყოფო იხ. საავანტყოფო.

სავაცე მამალი თხა (ბოტი), რომელიც ფარას უნდა გაუძღვეს წინ. „არა, ეგ ბოტი სავაცეთ არ გამოდგება, დაკალი და მასორე.“

სათვალთო მოსაწონი. კარგი შესახედლობისა. ლამაზი „ემ მსხალი სათვალთოა მარტო, გემო კი არაფრისა არა აქ.“

სათიბელა საერთოდ პატარა ნამგალს ჰქვია „სათიბელა“, რომელსაც ვაზის ძირებში, კვლებში ბალახის გამოსათიბად ხმარობენ. ახლა სათიბელას უფრო შინ აკეთებენ, ცელის პირს გადაჭრიან და მას ასევე გადაჭრილი ნამგლის ყუას დააკერებენ და სრულიად ახალ იარაღს დაამზადებენ. სახმარად ძალიან მარჯვია. „ძველი ცელი ხო არა გიგდია რა, სათიბელა მინდა გავაკეთო.“

საკმლისხე მცენარეა. მაგარი, მერქანი აქვს. ამბობენ, საკმელს მისგან ამზადებენო.

საკმენ-ი საკბენი. „ნახე, ემ ცხენი როგორ აკრაჭუნევს კბილევს საკმენათ.“

საკმენელ-ი იგივეა, რაც საკმენი.

საკმენჩ-ი საკბენი. „მაგად ისეთი საკმენჩი კბილები აქ, რა ხილი გაუძლევს.“

საკულაოდ სამერმისოდ, საგაისოდ, მომავლისათვის. „საქმე ისე უნა დაიჭირო, რო საკულაოთ სანანებელი არ გაგიხდეს.“

საკუჭი დანა კაკლის შუაზე გასაპობი დანა. ახლად შემოსული, ჯერ ისევ ლენჯოიანი კაკლის გასაპობი დანა. ბავშვები ასეთ „დანას“ მაგარი მავთულისაგან ან მსხვილი ლურსმნისაგან აკეთებენ. „მამი, ერთი მსხვილი ლურსმანი მამე რა, საკუჭი დანა უნა გავაკეთო.“

სალაკოჭურობა საბავშვო (ბიჭების) თამაშია ერთგვარი. ორნი (ან ორ-ორნი) თამაშობენ. ქვაზე დადებენ კოჭურს (მრგვალ პატარა ქვას) და განსაზღვრული მანძილიდან ესვრიან სალაქვას. ვინც მოარტყამს და კოჭურს გადააგორებს, გამარჯვებულად ის ითვლება. დამარცხებული ვალდებულია გამარჯვებული ზურგზე აიკიდოს და წინასწარ დათქმულ ადგილამდე მიიყვანოს.

სალამძაღლ-ი სალანძღავი სიტყვაა. თუმცა ძალიან საწყენიც არ არის, რადგან ერთმანეთსაც ეუბნებიან ხოლმე ხუმრობით. „სად იყავ, შე სალამძაღლო, ესე რატო დაიგვიანე?!“. „სალამი არ იცი, შე სალამძაღლო, შენა?!“

სალაქვა ბრტყელი, საშუალო სიდიდის ქვა, რომელსაც სალაკოჭურობისას და მის მსგავს თამაშობის დროს ხმარობენ ბავშვები. „ჩემი ქვა რო არ აიღო, რიყეზე ცოტა სალაქვებია, წადი და იქიდან მაიტანე.“

სალაშინ-ი შალაშინი. „სალაშინი მათხოვე ერთი, კარი იჭედება და იქნება გავამწორო როგორმე.“

სამადსამი მხოლოდ სამი.; „სამათსამი ცხვარილა მყავ, ამით უნა ვარჩინო ოჯახი?“

სამბალიშობა საბავშვო თამაშია ერთგვარი. ექვსი ბავშვი თამაშობს ერთდროულად. სამსამად გაიყოფიან (ერთმანეთს ამოირჩევენ) და კენჭს გამოიღებენ, ვისაც კენჭი შეხვდება, ის სამეული იწყებს თამაშს. ისინი კი, ვისაც კენჭი არ შეხვდებათ, წელში მოხრილები თავებს ერთმანეთს მიაღებენ ანუ ზურგით სამ ბალიშს გააკეთებენ, მეორე სამეულის წევრები გამოქანდებიან და წელში მოხრილ სამეულს ზურგზე შეასხდებიან, თუ სამივე ვერ მოახერხებს შეჯდომას ან რომელიმე ჩამოვარდება (გარკვეულ, წინასწარ დათქმულ თვლამდე), წაგებად ჩაეთვლება და ახლა ისინი გააკეთებენ სამ ბალიშს და მეორე სამეულის წევრები შეახტებიან ზურგზე.

სამბა საბავშვო თამაშის დაწყების წინ გათვლისას სახმარი სიტყვაა, მნიშვნელობა უცნობია: „ატკო, ბატკო, სამბასო, სამბას იქით ვითანგო, თანგი, თუნგი, მხიარული, ვარდაილომ ქის.“

სამბასო იხ. სამბა.

სამგლე: სამგლემშეყალი კისრის ძვალია. საკლავს რომ დაკლავენ და ხორცის დაჭრას შეუდგებიან კისრიდან ამ ძვალს ამოჭრიან და ძალს დაუგდებენ ან შორს მოისვრიან. ეს ძვალი თუ კერძში ჩაჭყვა, ცუდი ნიშანია, მგელი შეეჩვევა ფარას და ცხვრებს დაჭამს.

სამელე ადგილი, სადაც მელიებს სოროები აქვთ. „ეტიყობა მელა გაჩნდა ჩვენ ტყეში, იმდენ სამელეეფს წავაწყდით.“

სამერცხლურ-ი სამერცხული. სხვენიდან სახურავზე გასასვლელი პატარა სარკმელი. „ცოტა დიდი სამერცხლური გაუკეთე, რალა წელში მოხრილმა უნა ვიძრომო, გამართული გავიდე, არა მჯობია.“

სამეულ-ი სამი ძნა ერთად დაწყობილი. „ძნეფს ეგე ნუ დადყრი, სამეულებათ დააწყე, ვინიცობაა, გაწვიმდა, აღარ გაფუჭდება.“

სამსუ 1. სავსე. 2. სამსეთ ვართ. ვინმე პურის (ფქვილის) სასესხებლად თუ მივა მეზობელთან და მათ კი არაფერი აქვთ, მთხოვენელს ხელი რომ გაუმართონ, კი არ ეტყვიან, არა გვაქვსო. ამ სიტყვას თაკილობენ; თავმოყვარეობა რომ არ შეელახოთ, ეტყვიან: „სამსეთ ვართ“. მსესხებელმაც იცის ამ გამოთქმის შინაარსი და უჩუმრად ბრუნდება უკან.

სამტყუმა ერთ ყუნწზე გამობმული სამი ნაყოფი. „ნახე, რა კაკალი გამოდგა, სუ სამტყუპები ასხია.“

სამუცლაგ-ი სასმელ-საჭმელი, სასუნაფი. „თუ სადმე სამუცლაფი ეგულება, მაგამ იქიდან ფეხ ველარავინ ვერ მაცვლევინეფს.“

სამშობლო დედ-მამის სახლი გათხოვილი ქალისათვის. „რაც გამოვთხოვდი, სუ სამჯერ ვიყავ სამშობლოში.“

სამხეთო სამღვთო. სალოცავისათვის შესაწირი საკლავი. „კვირამ სალოცავში მივიღივართ, სამხეთო გვყავ დასაკლავი; შენც წამოდი, გეპატიჟებით.“

სანაცილე წყევლაა ერთგვარი. სასიკვდილე. „ეგ მაიპარამდა, ეგ სანაცილე, ეგა.“ ამ სიტყვას ხშირად მოფერებითაც ეტყვიან ახლობელს, უფროსი ასაკისა — უმცროსს. „სადა ხარ აქამდე, შე სანაცილეგ, შენა?“

სანახირე 1. ადგილი, სადაც დილით სოფლის ნახირი ქუჩდება. „სანახირემდე მივაგდეფ ძროხამ და გამოვბრუნდები ხოლმე, სუ ესაა ჩემი საქმიანობა.“ 2. გაპარტახებული. „მამ შენ ოჯახს შაინახამ, მამა-პაპი ვენახი სანახირეთ აქციე.“

სანახირო იგივეა, რაც სანახირე.

სანება სამება. „სანები ეზოში დაეკუჩრდებოდი ხოლმე და დილიდან საღამომდე იქა ვთამაშობდით.“

სანეკურ-ი სათითე. მკის დროს მარცხენა ხელის თითებზე (ნეკსა და არათითზე) ხის წამოსაცმელი, რათა ნამგალმა თითები არ გაუჭრას. „სანეკური არ გავიკეთე და წილანამ თითი არ დავტოვე ყანაში!“

სანემსურ-ი მარხილის ხელნის თავზე გაკეთებული ნახვრეტი, რომელშიც „ნემსი“ არის გაყრილი ხელნების

შესაერთებლად. „ცოტა მსხვილი ნემსი მინდა გაუკეთო და სანემსურ გაფართოება დადჭირდება.“

სანიათ ადგილი მინდორში, სადაც საქონელი დაეყრება შუადღისას და ისვენებს. „შუადღისამ წყალი დაალევინე ძროხეფს და სანიათზე თითონვე მივლენ და დაეყრებიან.“

საპნიმიწა ერთგვარი მიწაა, საპონივით ქაფდება. მარტყოფში და გარეკახეთის ბევრ სხვა სოფელშიც მოიპოვება. „არ მეგონა თუ ესეთი დღე კიდე დაგვიდგებოდა და გაჭირვებული ხალხი ისევ საპნიმიწით დაიბანდა თავსა.“

სარილობით ლობიოს ერთ-ერთი ჯიშია, სარზე აღის და გრძელ მსხვილმარცვლიან პარკს იკეთებს. „მემრიდ სუ სარილობით უნა დაეთესო, გემრიელიც არი და ბევრსაც ისხამს.“

სასახლკარე სახლისა და კარმიდამოს მოსაწყობად გამოყოფილი მიწის ნაკვეთი. „ამ საცოლვე ბიჭეფს დროზე თუ არ გამოუყვამ სასახლკარეები, აქ ველარ გაგაჩერეფთ და სოფელი დაგვეცლება.“

სასიძო კუნძ-ი კუნძი. ნუჟრიანი, ცუდი დასაჭრელი ხე, რომელსაც სასიძოს აჭრევინებდნენ პირველი სტუმრობისას სიმამრის ოჯახში. ასეთი კუნძი თუ თვითონ არ ჰქონდათ, მეზობლისაგან მოიტანდნენ ხოლმე. ამით ცდიდნენ, თუ რამდენად ღონიერი იყო მომავალი სიძე.

სატარე ხე, რომლისაგანაც ტარი (ცულის, ბარის, თონის) უნდა გამოჭრან. „ე იფანი არ დაძრა, კაი სატარეა.“

საფერთქელ-ი საფეთქელი. „რატომ საფერთქელში მარტყამდა ქვამ, ნახე, რამოტოლა კოჟოჟი დააჯდა თავზე.“

საფერხულ-ი სატერფული. ბარის ტარზე გვერდიდან გაკეთებული კოტა ფეხის დასაჭერად. „ეგე წარამარა რო გიტყდება ემ საფერხული, რკინისა გაუკეთე და გექნება სამუდამოთ.“

საფთხობელა საფრთხობელა. „საფთხობელა კი არა, მამალი მგელი ვერ აშინეფს მაგათ.“

საფლაგის ყვაფილი ყვაფილია ერთგვარი, სასაფლაოზე ამოდის.

საფლაგაძაღლებულ-ი სალანძავი სიტყვაა, იგივეა, რაც საფლაგაძაღლი.

საფლავძაღლ-ი სალანძღავი სიტყვაა. ცული, ბოროტი ადამიანი. „ი საფლავძაღლი ისა, აქ ზო თავპირ გვაჭამდა, იქიდანაც აღარ გვასვენებს.“

საფსმურ-ი პირუტყვის სასქესო ორგანო. „საფსმური გაუსივდა ამ დეკეულ, ეტყობა მალე ახურდება.“

საქალმე ქალამნის ამოსასხმელი ტყავი. „ქალმები ამოსასხმელათ პაპამ ერთი შოლტი ძროხი საქალმე ტყავი გამამიგზავნა.“

საქარე; საქარე კედელ-ი იგივეა, რაც ლისის კედელი.

საქელეხე, საქელეხო ქელეხისათვის განკუთვნილი. ეს სიტყვა უფრო ცუდის, ნეგატიურის მნიშვნელობით იხმარება. თუ ვინმემ ვისიმე რამე მიითვისა, უსირცხვილოდ დასტყუა, წაართვა, მაშინ იტყვიან. „აი, საქელეხეთ მოუნდემ, საქელეხოთ დადჭირდემ, რაც ჩვენ წაგვართო.“

საქელეხო იხ. საქელეხე.

საქნელ-ი გასაკეთებელი. „ეგ რა საქნელი საქმე იყო, მაგამ რო ჩაუდენია.“

საყარ-ი ჩრდილი ადგილი წყლის პირას ან გრილი ადგილი მინდორში, სადაც ნიავე უბერავს. „შუადღისაჲ საყარზე მივრეკამთ საქონელ, მერე დავსხდებით და დავიწყებთ ამბები მოყოლამ.“

საყარაულო; საყარაულო გორა, საყარაულო სერი ადგილი, სადაც ძველად საგუმავო, სათვალთვალო იყო მოწყობილი, სადაც ცეცხლს დაანთებდნენ, აბოლებდნენ და მეორე ასეთ საყარაულოს შეატყობინებდნენ მტრის შემოსევას, მეორე მესამეს და ა.შ. ეს საყარაულოები ისე იყო განლაგებულები, რომ ერთმანეთს კარგად ჭვრეტდნენ. ეს სახელწოდებები ძალიან ხშირად გვხვდება კახეთის ტერიტორიაზე. მართო მარტყოფის მიდამოებში სამი თუ ოთხი ტოპონიმი დასტურდება.

საყდარ-ი მცირე, უგუმბათო ეკლესია. „ეკლესიაჲ დიდ ნაგებობაჲ ვეძახით, პატრა ნაგებობაჲ კი – საყდარ.“

საყდრიჭია მწერია ერთგვარი, წითელი, შავწინწყლებიანი. „ძველი საყდრი კედლებში ბინადროფს და იმიტომ ვეძახით საყდრიჭია.“

საყველაწმინდო ქეიფის დასასრულ სათქმელი სადღეგრძელო, რომელიც ეძღვნება ყოველად წმინდა ღვთისმშობელს. „კაი თამადა ისე დაასრულეფს ქეიფ, არც თითონ დაითვრება, არც სხვა დაეთრობა და საყველაწმინდოსაც ყველამ დააღეინეფს.“

საყოლ-ი შინაური პირუტყვი. „მითომ რამ მიკეთეფს, სოფელში რო არი, ეენახ ეგ არ ამუშავეფს და საყოლი მაგამ არა მყავ.“

საყოჩე მამალი თოხლი, რომელიც სანაშენედ უნდათ, რომ იყოლიონ. „ემ თოხლი საყოჩეთ გაუშვათ, ნახე, დუმაც კარგი აქ და მატყლიც როგორი გაიპარსა.“

საშენკბილო 1. საშენო. ისეთი, შენ რომ გეჭმევა. „ემ ვაშლი სწორეთ რო საშენკბილოა, ჭამე, რამდენიც გინდა, არ გაწყენს.“ 2. გადატ. საშენო, შენი შესაფერი. „პა, რა მქენი, საშენკბილო ვერავინ გამომანახე, ქორწილში რო დაგვპატიეო?“

საჩემკბილო 1. საჩემო, ისეთი, რაც მე მეჭმევა. „საჩემკბილო ეხლა პაპადხილიდაა, მეც იმადა გეახლებით.“ 2. გად. საჩემო, ჩემი შესაფერი. „საჩემკბილოც ეყოლებათ ვინმე, კარგათ შაათვარიელეთ.“

საციკნე ფარეხში (გომში) ციკნებისათვის გამოყოფილი ადგილი. „კუთხეში ლამტებით მოულობე და საციკნე არ იქნება?!“

საცხენე სოფ. საცხენისის ადგილობრივი სახელწოდება იხ. საცხენელი.

საცხენელ-ი სოფელ საცხენისის მკვიდრი. ამ სადაურობის სახელში ერთი შეხედვით თითქოს ძველი ფორმაა შემონახული: საცხენისი-საცხენელი. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ საცხენისი ოფიციალურ საბუთებში დასტურდება. ადგილობრივი მოსახლეობა (მეზობლებიც) ამ სოფელს „საცხენეს“ უწოდებს. საცხენე – აქედან საცხენელი.

საძაღლდორე უპატრონო. გაონრებული, გატიალებული, ძაღლებისა და ღორებისათვის განკუთვნილი. „მიდი, შევილო, მიძხდე იმ შენ მამაპაეულ ადგილეფს, ყველაფერ საძაღლდორეთ ნუ გამხდი.“

საძახისტარ-ი საძახავი; მსხვილი და გრძელი თითისტარი, რითაც ორ ან სამწვერა ბაწარს (მატყლის ნართს) ძახავენ (გრეხენ). „ჩემმა მამამთილმა კაი საძახიდტარებში გამოთლა იცოდა.“

საძირკვლის ამოღება საძირკვლისათვის მიწის გათხრა. „საძირკვლი ამოღება მოვრჩით თუ არა, მაშინვე ბეტონი ჩავასხით.“

საძირის ხარები-ი გუთნეულის მეორე უღელი ხარები.

საწვეთ-ი სახლის უკანა მხარეს სახურავიდან წვიმის წყლის ჩასადენი ადგილი. „მაგ საძირკველ ზედ მიჯნაზე რო იჭრი, სახურავიდან ჩამოსულმა წყალმა საით გინდა რო იარო, საწვეთ თუ არ დაუტოვეფ? ან იქნება რა ემართება შენ სახლ, როგორ უნა შამოუარო?!“

საწკრეტ-ი რუ, რითაც უნდა დააშრონ. „ამ წვიმებმა დააჭაობა თელი ვენახი, თუ ერთი პატარა საწკრეტი რუვი მანც არ გავჭერით, ერთიანათ გახმება ვაზი.“

საწკრეტელ-ი იგივეა, რაც საწკრეტი.

საჭამპურე; საჭამპურედ პურის საჭმელად. „გეზმარება რამეა ემ ბიჭი თუ მარტო საჭამპურეთა გყავ შინ?“

საჭამპუროდ იხ. საჭამპურე.

საჭიმი-ი; შაღის საჭიმი. წელზე გასაკრავი შაღის გასაჭიმი ოთხკუთხა ხელსაწყო. ამ საჭიმიზე აკრავდნენ ხელით ნაქსოვ შაღებს, რათა სასურველი ზომა და ლაზათი მიეცათ. ასეთ შაღებს მეორე მსოფლიო ომის დროსა და ომის შემდგომ პერიოდში ქსოვდნენ. „წადი, შვილო, საჭიმი მაიტა და შაღი გაჭიმვაში მამეხმარე.“

სახადის ანგელოზ-ი ცუდი, უხეირო, მახინჯი ადამიანი. „რა სახადი ანგელოზივით ჩამამიდექი აქა და თავ აღარ მანებეფ, რა გინდა ჩემგან?!“

სახაშე საქონლის ფაშვი და თავ-ფეხი. რითაც ხაშს ამზადებენ. „ახლა ხორც და სახაშე ერთი ფასი აქ, წინათ კი, ხორცი თუ ორი მანეთი ღირდა, სახაშე ათ შურათ გეხვეწებოდნენ, წაილეო.“

სახეჩ-ი; სახეჩი ატამ-ი ატმის ერთ-ერთი სახეობაა. „ემ ოხერი სახეჩი ატამი ვერა და ვერ გავახარე.“

სახეძაღლი სალანძღავი სიტყვაა, თუმცა ხშირად უფრო მოფერების მნიშვნელობით ხმარობენ. ტოლი ტოლს, მეგობარი მეგობარს ან უფროსი ასაკის კაცი უმცროსს ეტყვის: „სად

დაიკარგე, შე სახეძაღლო, ეგრე იქნება, რო ერთხელ აღარ გამოგვიარე“. „აბა, აბა, სახეძაღლო, ეგეთები არ იყოა.“

სახილვებელ-ი: ცოდი სახილვებელ-ი საცოდავი, ბეჩავი, საბრალო. „რა არი ეხლა იმ უბედურიმ ყოფნა, ნამდვილი ცოდი სახილვებელია.“ „არც ცოცხალია და არც მკვდარი, რო იტყვიან, ცოდი სახილვებელიაო, სწორეთ ეგ არი.“

სახლის ანგელოზ-ი 1. ფუძის ანგელოზი. „ყველა სახლ თავისი ანგელოზი მყავ, მოდი, ჩვენი სახლი ანგელოზებს გაუმარჯოა.“ **2.** გადატ. პატარა ბავშვები, ოჯახის ახალი თაობა. „ჩვენი სახლი ანგელოზები ჩვენი შვილები არიან.“

სახლკარდანაგრეულ-ი წყევლა ერთგვარი. „რამ გადამეკიდა ეგ სახლკარდანაგრეული, რა უნდა ჩემგან?“

სახლკარდანელვებულ-ი იგივეა, რაც სახლკარდანაგრეული.

სახლკარდასავსებ-ი წყევლაა ერთგვარი. ვისაც სახლ-კარის დაესებას, დანგრევას უსურვებენ. „რით ვერ გაძღა ი სახლკარდასავსები, ისა?!“

სახლკარდასანელვებელ-ი წყევლაა. „ეგ სახლკარდასანელვებელი ჩვენ ჭირათ განჩდა ამ ქვეყანაზე, რა უნდა ჩვენგან.“

სახლკარდასაქცევ-ი წყევლაა. ის, ვისაც სახლ-კარის დაქცევას უსურვებენ, „ეგ სახლკარდასაქცევი არა და არ ჩაძაღლდა, რო თითონაც დაისვენოდა და ჩვენც დაგვასვენოდა.“

სახლში მყოფ-ი ოჯახის წევრი. „როგორა გყავ სახში მყოფები?“ „სახში მყოფეფს გიდღერძელეფ.“

სამხსნილო სახსნილო. საჭმელი, რომელის ჭამაც ხსნილში შეიძლება. „ბაბოი ყოველთვინ იქონდა სამხსნილო საჭმელები.“

სახსნე ქორფა ბატკნის (ხბოს) კუჭი, რომელშიც ხსენია მოთავსებული. თუ ახლად მოგებული ბატკანი (ხბო) მოკვდება, მწყემსები კუჭს ანუ სახსნეს ამოაცლიან, გააშრობენ, გაახზობენ და მისგან ყველის დედას გააკეთებენ.

სეელება: ისეელებს წვიმის ან მორწყვის შემდეგ ნაკვეთში მუშაობა რომ აღარ შეიძლება, მაშინ იტყვიან: „ჯერ ნუ შახვალ, ისეელებს, ცოტა აცალე, რო შაშრეა.“

სიამოვნების კოჭობ-ი ირონ. უხასიათო, უფშური ადამიანი. „ამითანა სიამოვნები კოჭობი სახში რო გეყოლება, რაღა მოგაწყენს?!“

სიდედრ-ი ცოლის დედა, ცოლის და, აგრეთვე ცოლის ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილი ქალები. ცოლის მოგვარე

ქალებზეც იტყვიან ხოლმე: სიღერათ მერგებაო, სიღერდრათ მომხვდებაო და ა.შ.

სიზმარში დამწვარ-ი კანის დაუადებაა ერთგვარი. ძალიან მტკივნეულია, კანზე ჯგუფ-ჯგუფად გამოაყრის ძიძიბებს, რომელთაც თავზე ჩირქი უჩნდებათ. კვესის ნაპერწკლით არჩენენ. ოღონდ ამ კვესის ხმარება იმას შეეძლო, ვინც მენში იყო მოყოლილი, ვის სახლსაც მეზი დასცემია ადრე.

სიმამრიშვილ-ი ცოლის ძმა. ხანდაზმული აღამიანები სიტყვა „ცოლის ძმას“ არ ხმარობენ, „სიმამრიშვილს“ ამბობენ. „მე და ჩემი სიმამრიშვილი ერთათ ვიყავით ომში.“ „საწყალი ჩემი სიმამრიშვილი ქერჩში დაიღუპა.“

სინამ სანამ. „სინამ გაკვეთილ არ ჩამაბარეფ, გარეთ არ გაგიშვეფ.“

სირისტიან-ი ნოტიო. „სირისტიანი ამინდი დაიჭირა.“

სირმა სიმი, წერილი მათული. „ლარები რო არა მქონდა, ჩანგურზე სირმები გავაბი.“

სირსველა სირსველი, კანის აუადმყოფაა. „ბავშვ სახეზე სირსველა გამააყარა.“

სისივავა დონდლო, უშნო, მშიშარა, ოდნავ გაციებისაც კი რომ ემინია. „რა იყო, რა სისივავა ხარ, ყველაფრისა შენ როგორ გეშინია.“

სისირ-ი ციცირი, ციცარი. „სკოლაში ოთხი სისირი გყანდა და ოთხივე დედალი გამოდგა.“

სიტყვის გატრიზავება დაცინვა, არაფრად ჩაგდება. სიტყვის ბანზე აგდება. „მაგან სუ ეგე იციმ სიტყვი გატრიზავება, არაფერზე არ დაგეთანხმება.“

სიყმემკედარ-ი წყველაა, სასიკვდილე, არდასარჩენი. უფრო ახალგაზრდა ვაჟის მისამართით იტყვიან. „ეგ სიყმემკედარი რა უსვინდისო ყოფილა.“

სიყმეძალღ-ი სალანძღავი სიტყვაა. „ეე საქმე მაგიდ ჩადენილი იქნება, მაგ სიყმეძალღისა, მაგისი...“

სიჩხენტე სიჩხინტე, მცირეოდენი სიმსუქნე. „არა, არ მინდა, ძან ჯანდაგია, ცოტა სიჩხენტე მაინც ზო უნა მქონდემ, ბოზბაში რო გავაკეთო.“

სიძმარ-ი სიზმარი. „შენ სიძმარში ზო არა ხარ, რაეფს ამოფ?!“

სიძმარში დამწვარ-ი იხ. სიზმარში დამწვარი.

სიჭიხე-ი ფრინველია, ბელურას ჰგავს, სოფლის სიახლოვეს ბინადრობს, ბუდეს ჯაგში იკეთებს. მუქი-ყავისფერი ფრთები აქვს. სხვადასხვა სოფელში სხვადასხვა სახელი ჰქვია. მარტყოფში სამი სახელით იცნობენ: ალიხვეკლები სიჭიხეს ეძახიან, ტევალები – ჯიხვს (ჯიხვიას), ზოგისგან ქარიყლაპიაც გამიგონია.

სკლინტი-ი სკორე, ფრივენლთ განაგალი. „ინდაურები მანქანამთან არ მიუშოთ, გაგიფუჭებენ, მაგათი სკლინტი მჟავაზე უარესია.“

სკლიანტიან-ი რასაც სკლინტი აქვს. გადატ. უშნო, ჩანჩურა; უმწიფარი. „ნეტა, შე სკლიანტიანო, შენ რა უნა გამიკეთო.“

სკუნელი-ი კუნელი. „გააჩანაგემ თელი ტყე. მუხა და რცხილა კი არა, სკუნელი რო სკუნელია, ისიც აღარ გაუშვემ მოსაჭრელი.“

სლაპუნ-ი 1. სვლეპა. უშნო ჭამა. „რა არი, ბიჭო, ღორი ხო არა ხარ, ეგე სლაპუნით რო იჭამ?!“. 2. უშნო ლაპარაკი, ლაქლაქი. „გააჩრე ემ ჯანდამწვარი, მომკლა ამი სლაპუნმა.“

სლაპუნა მეტსახელია ქალისა.

სოფლელ-ი, **სოფლისუბნელ-ი** მარტყოფის ერთ-ერთ დიდ უბანს, ქვემო მხარეს სოფელს, სოფლისუბანს ეძახიან, აქ მაცხოვრებლებს კი – სოფლელებს, სოფლისუბნელებს. „მანსომს, ჭიდაობა იყო თუ სხვა რამ შეეჯიბრი, ალიხვეკლები და ტევალები ერთ გუნდში გამოდოდნენ, მეორეში კი – სოფლელები.“

სოფლისუბნელ-ი იხ. სოფლელი.

სოფელ-ი, **სოფლისუბან-ი** მარტყოფის ერთ-ერთი დიდი უბნის სახელწოდებაა. „მარტყოფის ზემო ნაწილში ალიხვეკი და ტევალი მდებარეობს, ქვემო ნაწილში კი – სოფელი ანუ სოფლისუბანი.“

სოფლისუბან-ი იხ. სოფელი.

სოფ-ი 1. სვაკი. 2. გადატ. მედიდური, ბლენძია. ძლიერი. „ნახე, როგორ სოვივით დადის, თავ აღარავის არ უყადრეფს.“

სოფობ-ს თავი მოაქვს დიდად, იბლინძება, ყოყლოჩინობს. „პატრა ბიჭუეში სოვოფს, თორე დიდუფთან ხმასაც ვერ იღეფს.“

სოფობა ბლენძეა, ყოყლოჩინობა. „მაგ სოვობამ თუ არ მაიშლი, შენი ჭკვისა შაგხვდება ვინმე და განანეფს.“

სოფელქვეყანა ქვეყანა, ქვეყნიერება. „ესე ყოფილა მოწყობილი ემ სოფელქვეყანა და, ალბათ, მერეც ესე იქნება.“

სრიკა, სრინკა ფეხის ცერებზე ცეკვა. „აკი არ იცისო ცეკვა, ნახე, როგორ უსვამს სრინკამ!“

სრიკინ-ი, სრიკინ-სრიკინ-ი სრიალი, ცეკვა-თამაში; კუნტრუში. „სრიკინით (სრიკინ-სრიკინით) დაჭროდა აქეთ-იქით.“

სრიკის გასმა იხ. სრიკა.

სრინკა იხ. სრიკა.

სრუნტაგ-ს ხმაურით სუნთქავს. „ემ ბავშვი რა ცუდათ სრუნტავს, თბილათ ჩააცვი, გრიბი არ დაემართოდ.“

სრუნტვა ხმაურით სუნთქვა. „რა^ა უაზრო სრუნტვა იცის ამ ძაღლმა.“

სტერ-ი შტერი. „ამითანა სტერი გოგო ჯერ არ შამხვედრია.“

სუ სულ „ყველაფერი სუ თავითვინ უნდა.“

სულ-ი სუნი. „ჰაერზე დაჰკიდე ემ ხორცი, თორე სული დაეცემა და აღარ ივარგევს.“

სულაკატებულ-ი სალანძღავი სიტყვაა. სულძაღლი. „ჯერაც არ მოთრეულა ი სულაკატებული, ისა.“

სულაქოთებულ-ი სალანძღავი სიტყვაა. პირმყრალი, ცუდი ადამიანი. „მაგ სულაქოთებულ ერთხელაც არ ამოუა კაი სიტყვა პირიდან.“

სულაძაღლებულ-ი სალანძღავი სიტყვაა. ცუდი, ბოროტი, ავი. „ისევე ცოცხალი ყოფილა ი სულაძაღლებული, ისა.“

სულთაობა იგივეა, რაც სულთმოფენობა.

სულთმოფენობა მიცვალებულთა სულის მოსახსენებელი დღე შემოდგომაზე, სექტემბერში. ჭირისუფლები სასაფლაოზე გადიან და მიცვალებულთა სახელზე სხვადასხვა ხილი გააქვთ.

სულის გაკანკვა გაჩუმება, გატრუნვა. „ყველამ სული გაკანკა, კრინტი ვერავინ ვერ დაძრა.“

სული ეწანწლება ვერ ითმენს, „პატარა ხო აღარა ხარ, რა მოგდიმ, კამფეტითვინ რა სული გეწანწლება.“

სულის წანწვლა მოთმინების დაკარგვა. „უნახავი ხო არა ხარ, რა იყო, რა სულიმ წანწვლა დაგემართა, ცოტა ვერ უნა მაიცადლო?“

სურიელ-ი სულიერი. „იმოდენა ტყე გავიარეთ და სურიელი არაფერი შაგხვედრია.“ „ერთი რამ სურიელია, მიწა-მიწა მძრომელია, სამჯერ ვამოფ იმი სახელ, გამოიცან რომელია?!“ (გამოცანა).

სუს-ი „მაგათი სუსი უნა გავაქრო“. „მომძორდით აქავრობამ, თქვენი სუსი აღარ იყოფ აქა!“

სუსის გაქრობა მოსპობა, მუსრის გავლება; გაწყვეტა. „მაგია მოსვლა და იმათი სუსი გაქრობა ერთი იყო.“

სუსის მიცემა შეშინება. დატუქსვა. „ბავშვ ცოტა სუსხი თუ არ მიეცი, აღარაფერ დაგიჯერებს.“

სქელშუბლა სქელი შუბლის მქონე. გადატ. უგრძობი, უხეში, ტლანჩი; გაუგებარი (ადამიანი). „ვერ გამოვიდა, სად იბადებიან ან სად იზდებიან ესეთი სქელშუბლა ადამიანები?!“

სწორისწორ-ი დასახელებული დღის შესაბამისი დღე ორი კვირის წინ ან ორი კვირის შემდეგ. „არა, დღეისწორ კი არა, დღეისწორისწორ ჩამოვედი (ჩამოვალ) სოფლიდან“.

სწორისწორსწორ-ი დასახელებული დღის შესაბამისი დღე სამი კვირის წინ ან სამი კვირის შემდეგ. „აბა, დღეისწორითვინ რაღა იქნება, ნეტა სწორისწორისწორ ქქონდემ მზათ.“

სხვაჯურ-ი უცხო, გადამთიელი. „მაგამ ჩვენი არაფერი მცხნია რა, სუ სხვაჯური კაცი ჩანს!“

სხილ-ი ბუზისა და მისთ. ჭუპრი. „თუ მაცივარი არა მუშაოვს, ამ ხორც კაკლი ფოთოლი დააწყე და ნიაკზე დადგი, ბუზმა სხილი არ ჩააყაროდ.“

ტაბლაძაღლი-ი სალანძღავი სიტყვაა. ძუნწ ადამიანზე იტყვიან. „ეხ ისეთი ტაბლაძაღლია, ლუკმაძი არ შაგაჭმევს, შიმშილით რო მკვდებოდე.“

ტაკაანთ საფერაფ-ი ადგილობრივი ყურძნის ჯიშია, რომლისაგან ძალიან კარგი ღვინო დგება. ეს ყურძენი ნორიო-მარტყოფშია გავრცელებული. სახელწოდება მომდინარეობს ტაკაშვილებისაგან, რომლებიც ძირითადად სოფელ ნორიაში ცხოვრობენ.

ტალახისკაც-ი ძალიან შავი, შავგვრემანი კაცი. „ემ მშვენიერი გოგო ამ ტალახიკაც როგორ გამოდგება ცოლათ.“

ტალია ცალი თვალი რო პატარა აქვს. ასეთი თვალების მქონე ძალღი. „ერთი ტალია ძალღი გვეყვანდა, იმი შიშით მგელი ვერ გვეკარებოდა, ისეთი მაგარი იყო.“ ხშირად გვხვდება ძალღის სახელად და კაცის მეტსახელადაც.

ტამაზლუხ-ი სანაშენო საქონელი და ფრინველი. გადატ. ჯიში, მოდგმა. „ამ გადწყდა მაგათი ჯიში და ტამაზლუხი!“

ტაო ბუსუსი, ეკალი. სიცივისაგან ან რაიმე მოულოდნელი ამბის შეტყობისას ტანში რო გაბურძღლავს ადამიანს, მაშინ იტყვიან ხოლმე: „ტაო დამაყარაო“.

ტაბტაბ-ი ენის ჩლიქინით, ენის პრანჭვით საუბარი. ნაყენაყე ლაპარაკი. „ტვინი გამიხვრიტა თავისი ტაბტაბით.“

ტაბტაბა ვინც ტაბტაბით ლაპარაკობს. მეტსახელია კაცისა.

ტაბტაბებ-ს ნაყენაყე ლაპარაკობს, სიტყვებს პრანჭავს. „ერთი გამაგებინე, ემ კაცი ყოველთვინ ესე ტაბტაბეფს თუ ჩვენთან მეტიჩროფს?“

ტარტლ-ი ცხერის ღუმალზე და ბარკლებზე მიმხმარი კურკლი, ნეხვი, ჭუჭყი. „მაგოდენა ტარტლ ემ როგორ გააცლი, გაპარსე და სუფთა მატყლი გადაარჩიე.“

ტარტლიან-ი რასაც ტარტლი აქვს მიკრული. „რამ აფასეფ ამ შენ ტარტლიან ბატკან?“ გადატ. ჭუჭყიანი, უსაფთაო. „არა ქცხვენია, გოგო, შე ბროგო ასატეხო, ეგეთი ტარტლიანი კაბა რო გაცვია?!“

ტარულა მოხეტიალე ადამიანი. „ემავითანა ტარულამ ქალი როგორ გაატანე, ჭკუა სადა ქქონდა!“

ტარწავარდნილი-ი რასაც ტარი არ აქვს. „ერთი ტარწავარდნილი ბარი მათხოვა და იმამ მაყვედრის.“ გადატ.

მეტიჩარა, წინამასწარა, „რა იყო, ქალო, რატო არ გამჩერდები, რა ტარწავარდნილი მვარდები ყველაფერში“.

ტასტი-ი ტაშტი. „ტასტით წყალი შაათბე და ბატკნეფს ისე დააღეინე“

ტამტი-ი იხ. ტასტი.

ტატყე-ი, **ტატყებ-ი** მსხვილი ხელები და ფეხები. „ნახე, ახლავე რა ტატყები აქ, რო გაირდება, რალა იქნება!“

ტაშაღლარა თამამი; ურცხვი, დაურიდებელი ქალი. „რამ გიკვირთ, ეხ ისეთი ტაშაღლარაა, მაგაზე უარესფს ჩაიღენს.“

ტაშფანდურა უდარდელი, ვისაც ტაშისა და ფანდურის დაკერის მეტი არაფერი აქვს საფიქრალი. „შე ტაშფანდურავ, მარტო ლხინისა და გართობისაკენ რო გიჭირამ თვალი, ეხ დაგარჩენს?“

ტევაღ-ი მარტყოფის ერთ-ერთი დიდი უბანი, ხეობა.

ტევაღელ-ი ტევაღში მაცხოვრებელი. „ტევაღელეფს ადრე ცალკე კოლმეურნეობა იქონდათ.“

ტიაღა ტიალი. „მაიტა და დააგდე ეხ ტიაღა, ევა შინ.“

ტიბა! **ტიბა-ტიბა**! ძაღლის მოსახმობი ძახილია. **ტიბა** – მეტსახელია კაცისა.

ტიბა-ტიბა! იხ. ტიბა!

ტირილის სუნი მამდის! ვილაცა იტირებს. ბავშვი ძალიან თუ შეაბეზრებს თავს უფროს ადამიანს, მაშინ ეტყვიან ხოლმე: „გარუმდი, თორე იცოდე, ტირილი სუნი მამდისო“, ე.ი. ძალიან გცემ და იტირებო.

ტიტაფ-ს ამლაშებს. მარილს ბევრს აყრის. „ეხ ისე იტიტაშს ამ კერძ, მაგიდ მეტი ვერავინ შაიჭამს.“

ტიტვა დამლაშება. ბევრი მარილის ჩაყრა (საჭმელში).

ტიღა შავი, შავგვრემანი ადამიანი. უფრო ბიჭზე იტყვიან. „ვისია ემ ტიღა ბიჭი?“

ტიბაღობით იგივეა, რაც მინდვრილობით. „ისეე ტკიპალობით უნა ღავთესო, გემრიელიც არი და ჭიაც არ უჩნდება.“

ტლაკუნ-ი უშნოდ სიარული, ხეტიალი. „თელი დღე ტლაკუნ რო უნდები, ნუთუ საქმე არაფერი გაქ, რო გააკეთო?“

ტლოკ-ი შიშველი კანჭი, წვივი. „წამო, ჭრელახტში შამეჯობრე, ერთი ეხ ტლოკები აგიჭრელო!“

ტოტები ჩამოსტირის ასუნძლია, ძალიან ბევრი ასხია. „პაპადხილ ისე ჩამოდტირის ტოტები, დროზე თუ არა შუადგით რა, სუ დაელეწება.“

ტოტზე დგომა საჩხუბრად, საბრძოლველად გამზადება. „ახლო არ მიხვიდე, ემაგ ცხენთან, ტოტზე დგომა იცის. გადატ. ადამიანზეც იტყვიან ხოლმე: „რა იყო, რა მაშინვე ტოტზე შადგები ხოლმე“.

ტოტინ-ი მიწვდომა, მალლა მღებარე რაიმე საგნისაკენ გაწვდენა ხელისა. „ვერა მხელამ, ი გოგო ატამ რო ეტოტინება, მიდი და დაუწოდე.“

ტოტყ-ი მსხვილი, მსუქანი. „გრდანელებმა ერთი ტოტყი ბიჭი გადამამიყვანემა საჭიდაოთ.“

ტრაკატრუკ-ი ყბელობა, როშვა, უთავბოლო ლაპარაკი. „ნეტა მაგამ ტრაკატრუკ ყურ ვინ უგდეფს.“

ტრაცყ-ი, ტრაცყებ-ი ბარძაყი, ბარძაყები; „ზოგ მართლა უხდება ემ მოკლე კაბა, ზოგი კი იმსიმსხო ტრაცყეფს გადმოძყრის, საქალეთი შეგეუზიზლება.“

ტრია მინდვრის თაგვი. „ტრია იმ თაგვ ვეძახით, მინდორში რო ცხოვროფს, შინაურ თაგვზე ცოტა დიდა. მახსოვს, ერთ კაცსაც ეძახდნენ ტრია იჩვენ სოფელში. აი, ტრია ქალ ხო იცნოფ, იმი მამამ ვერქვა ეგ სახელი.“

ტრიელ-ი ტრიერი. მარცველელის გამწმენდი და დამხარისხველი მანქანა. „პატარაობისამ რალა არ გამიკეთებია, ტრიელზეც კი მიმუშავია კოლმეურნეობი საწყობში.“

ტრიზინა დრეზინა. გადატ. სწრაფი, ჩქარი (ადამიანი). „ქალი კი არა, ტრიზინაა ეგ, ტრიზინა.“ მეტსახელია ქალისა.

ტრიკიან-ი ფუშიანი. ვისაც თიაქარი გარეთ აქვს გამოსული. „მამ ემ ცხოვრება ცხოვრებაა. კაც იმდენი ფული არ უნა მქონდემა, რო უბრალო ოპერაცია გაიკეთომა და ტრიკიანი არ დადიოდემა.“

ტროყ-ი/ა მსხვილი, მოუხეშავი ჩასკენილი კაცი. „ამ წიწლიკამ ემ ტროყი რო გადმოუყვანეთ საჭიდაოთ, მამ ეგ ამი წყვილია?“

ტროყა იხ. ტროყი.

ტროყია მეტსახელია კაცისა.

ტროყიბალ-ი ხეტიალი, ტანტალი. „ნეტა არა მბეზრდებათ თელი დღე ესე უსაქმოთ ტროყიბალი?“

ტრუზო-ტრუზო ერთგვარი საბაყვო თამაშია. სულ ცოტა სამი ბავშვი მაინც უნდა მონაწილეობდეს. ქულებს ამოაბრუნებენ.

ერთი მოთამაშე კენჭს აისვრის მაღლა და ვის ქულშიც ჩავარდება, თამაშს ის იწყებს. ქულებს ისევ გადმოაბრუნებენ. თამაშის დამწყები კენჭს მუჭში დამალავს და ყველა ქულში შეყოფს ხელს, თან გაიძახის „ტრუზო-ტრუზო!“ ერთ-ერთი ქულის ქვეშ ამოდებს კენჭს, მაგრამ თამაშს ანუ „ტრუზო-ტრუზოს“ ძახილს ისევ აგრძელებს, რათა შენიღბოს ის ადგილი, სადაც კენჭი დატოვა. შეუძლია ეს კენჭი აიღოს და ახლა სხვაგან გადაიტანოს. ამოცნობის უფლება მის მარჯვნივ მჯდომ მოთამაშეს ეძლევა. თუ ამოიცნო, ქულა მას ეწერება და თამაშს ის აგრძელებს. თუ ვერ ამოიცნო, თვითონ დამწყებმა უნდა ასწიოს ის ქული, სადაც კენჭი დამალა და ქულაც დაეწერება. თუ მოხდა ისე, რომ ვერც მან ამოიცნო, თამაშის უფლებას კარგავს და თანაც ყველა დაგროვილი ქულა ჩამოეჭრება. ნოლიდან იწყებს თამაშს. თუ ამოიცნო, თამაშს აგრძელებს და ახლა შემდგომი მოთამაშის ჯერია ამოცნობა და ა.შ. ათამდე ქულა უნდა დააგროვოს თითოეულმა მოთამაშემ. ვინც წინასწარ დათქმულ ქულათა რაოდენობას დააგროვებს, თავის ქულს აიღებს, დანარჩენ ქულებს ამოატრიალებს და კენჭს აგდებს, ვის ქულშიც ჩავარდება, დარჩენილ მოთამაშეებში ის იქნება დამწყები. ვინც ქულებს ვერ დააგროვებს, წაგებულად ის ითვლება. დამარცხებული ჯარიმდება. პირველ-მეორე ადგილზე გასულები პირისპირ დასხდებიან. ერთიც და მეორეც მარცხენა ფეხებს მიწაზე გაჭიმავენ, მარჯვენა ფეხებს კი მაღლა ასწივენ და გაჭიმულ ფეხებთან ერთგვარ გასაძრომს გააკეთებენ, სადაც დაჯარიმებული უნდა გაძვრეს. გაძრომისას ერთი-მეორის მაღლა აწეული ფეხი ხელით უჭირავთ და რაც ძალა და ღონე აქვთ, დაბლა ეწევიან. ამ პროცესს „გაჭინთვა“ ჰქვია. დამარცხებული თუ ღონიერი არ არი, არც ისე ადვილია ამ ხერხელში გაძრომა. წაგებულს ზოგჯერ ისე „გაჭინთავენ“, რომ სუნთქვაც კი ეკვრება. თუმცა ჯარიმა შეიძლება სხვა უფრო იოლიც იყოს. ეს შეთანხმებაზეა.

ტუგა! ტუგა-ტუგა! ძაღლის მოსახმობი შეძახილი.

ტუგი! ტუგი-ტუგი! იგივეა, რაც ტუგა! ტუგა-ტუგა!

ტუგია ძაღლი (ბავშვის ენაზე). „მამამ ერთი პატარა ტუგია მამიყვანა.“

ტუგრია იგივეა, რაც ტუგია.

ტუი! ტუი-ტუი! ძაღლის მოსახმობი შეძახილი.

ტუია იგივეა, რაც ტუგია. „ჩვენი ტუია მგელსაც შეერევა.“

ტუნტლა ფეთხუმი, უსუფთაო. „გვ ტუნტლა, ევა, ნეტა სირცხვილით თავ როგორ მყოფს გარეთ.“ შეტსახელია კაცისა.

ტუნტურ-ი ტუნტული; უმიზნოდ სიარული, ტანტალი. „**ე** ტუნტური თუ მაიშალა, კაი ბიჭი იქნება.“

ტურტურ-ი ჩურჩული. „**მ**ორჩით მაგ ტურტურ და ყური დაუგდეთ, რასამ კაცი გეუბნევთ.“

ტურღუნა ბუზღუნა, უხასიათო (ქალი). „**ვ** ისეთი ტურღუნაა, თუ არ უნდა, რიყეზე ქვამ არ დანანხამს.“

ტუტყ-ი ჭუჭყი. „**რ**ა იყო, შენი ჭირიმიე, ე რა ტუტყი გაძვრა.“

ტუტყიან-ი ჭუჭყიანი, ტალახიანი. „**შ**ინ არ შამაიტანო ე ტუტყიანი ფენსაცმელები.“

ტუტყნა გაჭუჭყიანება. „**ე**გე რო მტუტყნი მაგ პალტომ, გარეთ რაღა უნა ჩაიცო?“

ტურჭა გაბუტვა; ტურების აბუება. „**არ** შეგვიკლა ამისმა წარამარა ტურჭამ“.

ტუსა ძალიან შავი; შავტუსა. „**ე** რა ტუსა ბიჭი მყოლიათ.“

ტუსა! ტუსა-ტუსა! ღორის მოსახმობი შემახილი.

ტუსი! ტუსი-ტუსი! იგივეა, რაც ტუსა-ტუსა!

ტუსია ღორი (ბავშვის ენაზე). „**ჩ**ვენმა ტუსიამ უკვე დაყარა გოჭები.“

ტყიბტყიბ-ი უშნო ლაპარაკი. „**რ**ა გული ამრევი ტყიბტყიბი იცი ამ კაცმა.“

ტყიბტყიბა უშნოდ მოლაპარაკე. „**ე**გეთი ტყიბტყიბა კაცი მსახიობობად როგორ იბრალებს ნეტავი.“

ტყიბტყიბებ-ს უშნოდ ლაპარაკობს. „**ამ**ხელა კაცია და წესიერი ლაპარაკი ვერ ისწავლა, ისე ტყიბტყიბეფს, ვერაფერ გაუგეფს ადამიანი.“

ტყლაპატყლუბ-ი წყალში ან ტალახში სიარულისას გამოცემული ხმა. „**შ**ენ რა გენაღვლება, რეზინი ჩექმებით ჩამდგარხარ რუეში და ტყლაპატყლუბით ადი-ჩადიხარ, ზოგი მე მკითხე.“

ტყლაპან-ი მწიფე ხილის ძირს დაცემისას გამოცემული ხმა. „**მ**წიფე ხეჭუჭკურმა ტყლაპანი გაადინა.“

ტყლარჭ-ი გამხდარი, ჭლე, ძარღვიანი ხორცი. „**შ**ე კაი კაცი, ამამ რამ მიწონი, შენ რა გგონია, მსუქანსა და ტყლარჭ ხორცი ერთმანეთისაგან ვერ ვარჩევ, თუ რა არი?!“

ტყლურჭაგ-ს ყლურწავს. უშნოდ და ბევრს სვამს. „**ის**ევ ისე მტყლურჭამს პაპაშენი ღვინომ თუ ცოტა მოუკლო?“

ტყლურჭვა ბევრის სმა. „საქმე რათ უნდა, მაგისი საქმე მართო ღვინი ტყლურჭვაა.“

ტყუილი ჩიხითმა უხორცი ჩიხირთმა. „აბა, რა გქნა, ქა, რო აღარაფერი მქონდა, ავდექი და ტყუილი ჩიხითმა გაუკეთე ბავშვეუს და იმ ვაჭამე.“

უბეჭეი-ს: ყურები უბეჭეის ყურებში ხმაური ესმის. „ღლე და ღამე ყურები მიბეჭეის, თითქომ რაღაცა მუსიკი ხმა მესმოდ“.

უგანაგისო, უგასაგისო უთვისტომო, უნათესაო. „არ ვიცი, ქვამ გამოვივარდა თუ ხესა. ვინ არი, საიდან მოვიდა, ესეთი უგანაგისო კაცი არსად არ შემხვედრია.“

უგასაგისო იხ. უგანაგისო.

უგანებ-ს უღალატებს, მოატყუებს. „შენ მეგობარ უთხარი, ცოტა ფთხილათ იყომ. მაგან ისეთ არამზადეფთან დაიჭირა საქმე, ერთხელაც იქნება, უგანებენ.“

უგემურობა უსიამოვნება, უკმაყოფილება. „არა, იმ ოჯახს ოჯახნი აღარა მქვია, სადაც ეგეთი უგემურობა იქნება.“

უგლარსუნებ-ს უგლასუნებს; ზერელედ უსვამს, ზევზევიდან ატარებს. „რამ უგლარსუნეფ მაგ უთომ, ცოტა დააჭირე ხელი!“

უდედო: უდედო ღვინო უჭაჭოდ დადუღებული ღვინო. „სიტკობმ არ მოგატყუოთ, უდედო ღვინო გვიან ათროფს, მინცადამანც ნუ მიეძალებით.“

უვახშო უვალო. „ამ დაქცეული ქვეყნიდან უვახშოთ თუ წავა კაცი და სახლ-კარსაც შინარჩუმეფს, ესეც ვაშკაცობაა.“

უზარდელა პატარა, დალეული, ზრდაში ჩამორჩენილი. „ემ გოჭი რა უზარდელა გამამადგა, ამდენ ვაჭმევ და მომატებით არაფერი არ მაიმატა.“

უზდელ-ი უზრდელი. „უმაღლესი კი დაამთავრა, მაგრამ უზდელი იყო და უზდელათ დარჩა.“

უთაფგზო უთაფბოლო. „ამითანა უთაფგზო კაცი გინდა მინისტრათ დააყენე და გინდა ნახირში გაგზავნე, რა უნა გაგიკეთომ?!“

უთაფებ-ს უმტყუნებს. „სუ მაგ ღორანში ვერ იქნებიან, დრო მაგათაც უთაფეფს.“

უთიმთიმებ-ს უთამთამებს. „ნახე, როგორ არის გასუქებული, ლოყები სუ უთიმთიმეფს.“

უკმენ-ს უკბენს. „ნუ გეშინიათ, ემ ისეთი ჭკვიანი ძაღლია, ბავშვეფს არ უკმენს!“

უკმენჩ-ს უკბენს. „ამოდენა ხილ რატო აოხრებინეფთ ამ გოგო-ბიჭეფს, აბა ნახეთ, რამ შერებიან, უკმენჩენ და დააგლებენ, უკმენჩენ და დააგლებენ, ნუთუ არ გენანებათ?“

უკურთხებ-ს გადატ. აგინებს.; „გაჭირვებული გლეხი დღე-მამი სულ უკურთხეფს ამ მთავრობამ, რომელმაც ამ დღეში ჩააგლო.“

ულალაგ-ს ურეკავს; უფრთხობს. „ბავშვები მწყემსეფს ყანებიდან ულალამენ ბატკნეფს.“

ულევარ-ი ულევო, ულეველი. „ამათ ემ ჩვენი ქვეყანა ულევარი ბელელი მგონიათ.“

უმარიფათო უშნო, უნდილი. „გეთი უმარიფათო კაცი ამ ცხოვრებაში ვერ გამოდგება.“

უმარჯაკლებ-ს უმაჭანკლებს. „ოღონდ დაავალომ ვინმემ, არავის არ დამზარდება, ყველამ უმარჯაკლეფს.“

უმარჯაკლო უმაჭანკლო. „მარჯაკლობამ სასაცილოთ იგდებენ და იმამ კი აღარ უყურებენ, უმარჯაკლოთ შეუღლებულები მეორე დღსვე რო იყრებიან.“

უმაქნის-ი უქნარა, ზარმაცი, უვარგისი, გამოუსადეგარი. „შენითანა უმაქნისი რო გვეყოლება შინ, იმიტომ წავიდა ჩვენი საქმე წინ!“

უმზეო: **უმზეო ხორცი** ხორცის ის ნაწილი, რომელიც, საქონლის დაწოლისას, ქვემოთ არის და მზე არ ხვდება. ასეთი ხორცისაგან კარგი მწვადი გამოდის. „სამწვადეთ მინდა, ერთი სამი კილო უმზეო ხორცი ამიწონე.“

უმძგლო უძგლო. „ჩვენთან უმძგლო ხორცი საერთოთ არ იყიდება.“

უმჟაურ-ი დაუმწნილებელი, დაუმჟავებელი. „ცოტა უკეთესი მწნილი არა გაქვთ, რა არი ემ უმჟაური რო მოგვიტანეთ.“

უმძრახ-ი: **უმძრახ-ი წყალ-ი** დილაადრიან წყაროდან აღებული წყალი. „წინათ, როცა სოფელში ჯერ კიდევ არ იყო წყალი მილებით გამოყვანილი, პირდაპირ წყაროებიდან ეზიდებოდნენ ხოლმე, ჩემი ბაბო ადრიანათ ადგებოდა და წყაროზე ისე წავიდოდა, ხმამ არავის არ გააძემა, გზაზე რო შადხვედროდა ვინმე, არც იმამ გამოელაპარაკებოდა. შინ რო მაიტანდა წყალ, მერე ალაპარაკებოდა. ამ წყალ „უმძრახ წყალ“ ვეძახდით და მხოლოთ სასმელათ ვიყენებდით.“

უმწკვიტინებ-ს აღიზიანებს (ჩქმეტს, მუჯლუგუნს სცემს, რალაცას ეუბნება). „აბა გადაჯექი მანდედან, რა არი, ყველამ შენ უნდა უმწკვიტინებდე?!“

უნა უნდა. ეს ზმნა როცა წინადადებაში შემასმენელია, მაშინ ყოველთვის „უნდა“ იხმარება: მე მინდა, შენ გინდა, მას უნდა;

მაგრამ როცა ამავე ზმნას ნაწილაკის მნიშვნელობა აკისრია, მაშინ „უნა“ ან „უნ“ იხმარება: მე უნა (უნ) გააკეთო, შენ უნა (უნ) გააკეთო, მან უნა (უნ) გააკეთოს, ჩვენ უნა (უნ) გააკეთოთ...

უნ იხ. უნა.

უპრაგონო: 1. უპრაგონოდ ლაპარაკ-ი უაზროდ ლაპარაკი. „შენ რატო იცი ეგე უპრაგონოთ ლაპარაკი, ცოტა ხო უნა დაიფიქრდე.“ 2. უპრაგონოდ სიარული – ხეტიალი. „აიღეფ თავ და დაიდიხარ ეგე უპრაგონოთ, საქმე არაფერი გაქ?“

უფუი-ს იხ. უბუუის.

ურდეღ-ი უზრდელი. იხ. უზდელი.

უსიზმრებ-ს იხ. უსიძმრებს.

უსიძმრებ-ს უწინასწარმეტყველებს, წინასწარ ეტყვის მოსალოდნელ ამბავს. „მაგ ბაბაყულმა ცუდი ამბავი მისიძმრა და აკი ამიხდა კიდეც.“

უსტა სიტყვის მასალად იხმარება. „ეი, უსტა, როგორ ხარ?“

უსტყენ-ს გადატ. აფრენს, თავში უქრის. „ეგ ცოტა ხო არ უსტყენს, რატო ეგე ლაპარაკოფს?“

უსულად-ი, უსულადო უდანოდ, დაუკლავად მკვდარი. „უსულადი საქონლი ხორც რა შამაჭმევს“. „ვერა იხედამ უსულადოთ არი მკვდარი, დანა მერე გამოუსვიათ ყელში“.

უსულადო იხ. უსულადი.

უტა-უტა! იხეების მოსახმობი ძახილი.

უტი-უტი! იგივეა, რაც უტა-უტა!

უფრენ-ს: თვალი უფრენ-ს თვალის ქუთუთო როცა თრთოლას დაიწყებს, მაშინ სწამთ, რომ რაღაც ახალ ამბავს შეიტყობენ, ან ვიღაცა მოულოდნელად ესტუმრებათ. ამ გამოთქმას ზოგჯერ ირონიული ელფერიც ახლავს. ვთქვათ, ვიღაცა შეხვდათ, ვისი ნახვა სულაც არ სურდათ, მაშინ იტყვიან ხოლმე: „თვალი მიფრენდა და ამისრულდა კიდეცო.“

უფრინაგ-ს იხ. უფრენს.

უფუი-ს: სისხლი უფუის სისხლი უღულს. „სანამ ახალგა-ზდები არიან და სისხლი უფუით, მანამ გასაქან არ აძლევთ მთავრობა, მერე ჩვენსავით რო მოხუცდებიან, რაა გაუკეთებენ ქვეყანამ.“

უქედო ზანტი. „უქედო ხარი გამამადგა, უნა გავასუქო და დაკვლა.“ გადატ. ზარმაცი, უქნარა ადამიანი. „რამ გაგაჩინა ეგეთი უქედო, ნეტა როდემდე უნა გინახომ საწყალმა დღეაშენმა.“

უქვირქვირებ-ს დედა ცხენი კვიცს უხმობს. „რა მოუსვენარი კვიცია, დედა ამდენ უქვირქვირეფს და ემ კი ისევ დატლინკავს და დაჭენაოფს.“

უქმის გატეხვა კვირას ან რომელიმე დღესასწაულზე საქმობა, მუშაობა. „არა, ჩემო კარგო, ვერ წამოვალ, მორწმუნე გახლავართ და უქმი გატეხვა არ შემიძლიან.“

უშტვენ-ს იხ. უსტვენს.

უჩიჩაგ-ს შარს უღებს, უშარდება. „რო გამოვა და სხვა უჩიჩამს, მითომ თითონ ყველაფერში მართალია?“

უჩირდილებ-ს უჩრდილებს. „ემ კაკალი, ნახე, რამოდენა ადგილ უჩირდილეფს, ტოტები თუ არ შავაჭყერით, მანდ გინდა მღგარა ვახი, გინდა არა, არაფერ აღარ დაისხამს.“

ურუმრისპირად ურუმრად, ხამოულუბლად. „ემ ჩვენი არსაითი აქ ხო დიდ გულზეა, იქ კი ურუმრიპირათ გაიპარება ხოლმე.“

უძრაგ-ი: უძრაგ-ი მიწა მოუხნავი, დაუმუშავებელი მიწა, ყამირი. „უძრაგი მიწა გავტეხე და ზღვა მოსავალი მივიღე.“

უწამლ-ი ვახის ჯიშია, რომელსაც შეწამვლა არ სჭირდება. „წელში გამწყვიტა ამოდონა წამლები ყიდვამ, თანაც გამოგადგება თუ არა, ეგეც საკითხავია. ამიტომ გადავწყვიტე, სუ უწამლი ვახი ჩავყარო და დავისვენო.“

უწვერდებ-ა ჩხუბს უტეხს, გასარტყმელად იწვევს. „რატო არ დაწყნარდება ემ კაცი, ისეთი რა დაუშავემ, რო ყველა ემ უწვერდება?!“

უწინდელ-ი აჯამ-ი გაუთლელი, გამოუსვლელი, უვიცი. „რა ეტყობა მაგამ, უმაღლესი რო აქ დამთავრებული, ისე ლაპარაკოფს და აზროვნეფს, უწინდელი აჯამი გეგონება.“

უწკმუტუნებ-ს უმწვიტინებს, სიტყვით აღიზიანებს. „ამათი თავი ნამდვილათ აღარა მაქ, თელი დღე ერთმანეთ უწკმუტუნებენ და არი ერთი აყალმაყალი.“

უჭკობობა უტვინობა. „ამისმა უჭკობობამ დაღუპა ჩვენი ოჯახი.“

უჭულბუჭულ-ი, უჭულბუჭულებ-ი წვრილფეხობა, ქურფატობა, წვრილშვილი. უფრო მრავლობითი რიცხვის ფორმით იხმარება, „როგორა ხარ, ქა, კაცი როგორ გყავ, ან შენი უჭულბუჭულები როგორ არიან, დაიზარდნენ უკვე?“

უხვედრ-ი მიუვალი, მიუდგომელი (ადგილი) „შენ ისეთ უხვედრ ადგილად დავიგროვებია შემა, იქიდან იმი გამამტანი არავინ არ არი.“

უზიმანდრებ-ს უზიმანებს, მოატყუებს, შეაცდენს, უღალატებს.
„მაგან ბევრი ამხანაგი დასვა ცარიელზე, ცოტა ფხიზლათ თუ არ
იქნებიან, ეგ ისეთია, არ მაისვენებს და მაგათაც უზიმანდრებს.“

უჯანო მიწა უღონო, გამოფიტული მიწა. „თუ სასუქი არ
დავაყარე, ემ უჯანო მიწა არაფერ არ იძლევა.“

ფათალო სურო. „ჩვენ ტყეში ფათალომ მეტი რა არი“.

ფათრეთ-ი სახე, პირი-სახე. „შეხედე ერთი, რამ უგავ ფათრეთი.“ „ერთი ისეთი ჩააფარა ფათრეთში, რო თვალებიდან ნაპერწკლები წამოდცივიდა.“

ფათრეთის გაღამაზება ცემა, შექვა. „ამ სათოკემ ნეტავი დილაადრიან ვინ გაულამაზა ფათრეთი?“

ფაია კარ-ფანჯრებს შორის ამოყვანილი კედელი, თალის საყრდენი. „სადა კედელი ბევრჯელ ამიშენებია, ფაიები პირველათ ამოვიყვანე და არ ვიცი, როგორი გამამივიდა.“

ფართხაგ-ს ფარჩხავს, უშნოდ შლის (ხელებს). „რა ხელეფსა მფართხამს, მითომ რაო, რა არ მეეწონა?“

ფართხვა ფარჩხვა, უშნოდ შლა (ხელების). „მორჩი მაგ ხელებისა და ფეხებიდ ფართხვამ, მაგით ვერავის ვერ შააშინეფ და ვერც თავ შააცოდეფ.“

ფაფაწუა სუსტი, უღონო. „რა ფაფაწუა ხარ, ყველაფერი შენ როგორ უნა დაგემართომ.“

ფაფერა ღაცვა, მიმზრობა. თავის გამოღება. „ყველამ მამიდა შენ როგორ ხარ, თაქლელი თათარიც რო იყომ, იბასაც კი დაუწყეფ ფაფერამ.“

ფაფუ! მორჩა, გათავდა, აღარა არის (ბავშვის ენაზე).

ფაფუჩ-ი იგივეა, რაც ფაფუჭი.

ფაფუჭ-ი, ფაფუჭები 1. ტყავის ან შალის რბილი ფეხსაცმელი. 2. ფეხსაცმელი (ბავშვის ენაზე) „დედიკო ზიზია ფაფუჭები მიყიდე, რა.“

ფაჩია ფეხსაცმელი (ბავშვის ენაზე) „აი, ნახე, რა ღამაზი ფაჩიები მოგიტანე.“

ფაფხაჭელა თონის პურის თხელი, გამხმარი ნაწილი. „თონი პურისა ყველაზე მეტად ფაფხაჭელა მიყვარს.“

ფაცხაფუცხ-ი ფაცაფუცი, აჩქარება. „ფაცხაფუცხით მიდიოდა შინისაკენ.“

ფაცხაფუცხო-ს ჩქარობს. „დამშვიდდი და ყველაფერი ისე გააკეთე, რათ გინდა, რო ეგე მფაცხაფუცხოფ.“

ფახი: ფახის მიცემა დაშინება, დამუქრება. „მაგამ ცოტა ფახი მიცემა უნდა, თორე ნამეტანი გაყოყორდა.“

ფახად ცერად, ირიბად. „ვერ არი კარგათ, ფახათ წაუვიდა საქმე.“

ფახფახ-ი ყანყალი, რყევა. „საბურავი დაეშვა და ფახფახი დაიწყო.“

ფახფახებ-ს ყანყალებს, ირყევა. „რა ძან ფახფახებს ემ საბურავი, ნახე, მარცხი არაფერი მოგვივიდა.“

ფევერ-ი ახალგაზრდა მუნა; მუნის მოჭრილ ძირზე ამონაყარი. ეს სიტყვა-ტერმინი ჩვეულებრივ საუბარში არ მოგვისმენია. ტოპონიმიაში კი საკმაოდ ხშირად დასტურდება „ფევერები“ ჰქვია სახნავ ადგილს შიბლიანში (საგარეჯოს რ.) აგრეთვე გურჯაანის სოფლებში: ჯაგნარს (არაშენლაში), საბოვარს (მელაანში), ჩალაუბანში ერთ ვენახს ეწოდება „სამფვერი“, სადაც მართლაც დგას სამი მუნის ხე.

ფეიქარა ობობა. „ფეიქარი კი არ იყო შენი წინაპარი, მეტსახელათ რქმევია ობობა ანუ ფეიქარა და ამიტომაც გეძახიან ფეიქარაანთ.“

ფერდ-ი: ფერდის ამოღება გაძღობა. „აი, ფერდი ამოღებაც ამასა იქვია, ნახე, როგორები მოდიან ძროხები.“

ფერდის ჩაგარდნა დამშევა, გახლობა. „თუ კაი ბალახში გყვანდა საქონელი, მაი ემ ფერდი ჩაგარდნა რაღაა?“

ფერებ-ჭრელება გადამეტებული მოფერება, ზედმეტი ყურადღება. „პატრა ბავშვეფს სწორეთ ემ ფერებ-ჭრელება აფუჭეფთ.“

ფერფლ-ი ფიფქი, ფანტელი. „ისეთი ფერფლი ჩამოყარა, თუ ესე გააგრძელა ამაღამ, ხვალ უკვე საქონელ ველარ გავერეკამთ გარეთ.“

ფერფლაგ-ს თოვს, ფერფლებს ყრის. „ნახე, რა ლამაზათ ამფერფლამს!“

ფერფვლა თოვა, ფერფლის ყრა. „რა კაი მზიანი დღე იყო და ნახე, რა მოულოდნელათ დაიწყო ფერფვლა.“

ფეხ-ი პირველი ცოლი (ქმარი) მეორე ცოლის (ქმრის) მიმართ და პირუკუ. „მე თუ ავი ქალი ვიყავი და იმიტომ გამეყარა, ი ჩემი ფეხი ზომ ჭკვიანი ქალია, იმაი რაღამ ემართლებოდა, ი რაღათ გაუშვია?“

ფეხათრეულ-ი გადატ. ზარმაცი. „შენ ისეთი ფეხათრეული ხარ, სანამ რამემ მოიფიქრეფ, ყველაფერი დამთავრებული იქნება.“

ფეხგაბოწკინტებულ-ი გადატ. გაჯიუტებული. „რატო ხარ ეგე ფეხგაბოწკინტებული, გადი, გაიარ-გამაიარე, თვალ წყალი დააღვინე.“

ფეხამოკვეთილ-ი გადატ. ვისაც ეკრძალება სადმე მისვლა „ისეთი რა დაგვიშავა, რატო არი ჩვენთან ფეხამოკვეთილი?“

ფეხგამხმარ-ი გადატ. იგივეა, რაც ფეხამოკვეთილი.

ფეხგასახმობ-ი წყველაა. „აღარ და აღარ იჩინა თავი მაგ ფეხგასახმობმა, მაგან.“

ფეხებდახენთილ-ი კოჭლი, ხეიბარი. „ალბათ მორბული არაეინა მყავთ, ემ ფეხებდახენთილი კაცი რო გამოუგზავნიათ მაღაზიაში.“

ფეხი არ მიუწვდება გადატ. ვერ გააკეთებს, ვერ შეძლებს, არ მიუშვებენ „ძალიანაც უნდა ეგ საქმე, მაგრამ ფეხი არ მიუწვდება.“

ფეხი არ ჩაუვა გადატ. ახლოს არ გააკარებენ. „დეპუტატობამ ახლა აპირეფს, თუმცა ფეხი არ ჩაუვა.“

ფეხიდან მოცვეთილ-ი გაქნილი, ეშმაკი, გაიძვერა (აღამიანი) „ეგ ისეთი ფეხიდან მოცვეთილი კაცია, წინ ვერავინ დაუდგება“.

ფეხი მძიმე იყოს: (ჩემი, შენი, იმისი...) **ფეხი მძიმე იყოს** აღარ მოვიდეს. „მორჩა, შენი ფეხი მძიმე იყომ ჩემ ოჯახში!“

ფეხის ათრევა გადატ. ორჭოფობა, უკან დახევა. „კაი, ახლა როტო გიყვარს ესე ფეხი ათრევა?“

ფეხის ამოკვეთა გადატ. მისვლა-მოსვლის შეწყვეტა. „რა იყო, რა გაწყენინეთ ისეთი, ეგე რო ამოიკვეთე ფეხი და ჩვენსა აღარ მომდინხარ?“

ფეხისაფხეკ-ი კიბესთან, პირველ საფეხურზე გაკეთებული რკინის ნაჭერი, რომელზეც ტალახიან ფეხსაცმელებს იწმენდენ. „ერთი ფეხისაფხეკი ვერ გააკეთე, რო ემ ტალახიანი ჩექმები გაიწმინდო და შინ ისე შამოხვიდე.“

ფეხის ბრუნება ქორწილის შემდეგ სიძის პირველი სტუმრობა სიმამრის ოჯახში. „აბა, დედაკაცო, დატრიალდი შენებურათ და სიძემ ემ ფეხი ბრუნება ერთი მაგრა დაეამახსოვროთ.“

ფეხის გაბოწკინტება გაჯიუტება, უარზე დგომა. „რა არი, რა ფეხი გაიბოწკინტე, რა, ჯერ არა მყოფილხარ იქა, თუ რა არი?“

ფეხის გახმობა იგივეა, რა ფეხის ამოკვეთა. „შენი ფეხი გახმობა იყომ იმათ ოჯახში!“

ფების წისქვილ-ი პატარა წისქვილია. ბორბალი სხვა წისქვილებისაგან განსხვავებით გარეთ კი არა, დოლაბებ ქვეშ იყო მოთავსებული, რომელსაც წყალიც ქვემოდან ესხმოდა ღარიდან და ისე ტრიალებდა. ფების წისქვილიც ალბათ, იმიტომ უწოდეს, რომ მოცულობით პატარა იყო და წყლის ბორბალიც დოლაბებ ქვეშ ჰქონდა მოთავსებული.

ფებიშველა 1. დაუნალავი ხარი (ცხენი) „სოფელში ნალბანდი აღარა გვყავ და არ ვიცი, ამ ფებიშველა ცხენ რა უშეულო“. 2. ვისაც ფებზე არ აცვია. „ბავშვი ფებიშველა გავარდა თოვლში.“

ფებსადგილ-ი ტუალეტი, საპირფარეშო. „სანამ კაცი სახლი აშენებამ დააპირეფს, მანამ ფებსადგილი უნა გააკეთომ.“

ფებსალაგ-ი იგივეა, რაც ფებსადგილი.

ფითქინა ქათქათა, თეთრი, სუფთა. „აი, დედაკაციც ესეთი უნდა, ნახე, ქმარ-შვილ როგორ უვლი, სუ ფითქინა პერანგებით დადიან.“

ფისა! კატის გასაგდები შეძახილი.

ფისუა კატა (ბავშვის ენაზე) „ბაბომ ერთი ჭრელი ფისუა მოგვიყვანა.“ ფისუა მეტსახელია კაცისა.

ფიშ-ი მოშარდვა (ბავშვის ენაზე) „დედიკო, ფიში მინდა.“

ფიში-ფიში იხ. ფიში.

ფიჩხ-ი წვრილი ტყე. „თუ ყოველ წელ ესეთი გოლვები დაიჭირა, ემ ფიჩხი ტყეთ ვერ იქცევა.“

ფიჩხიან-ი ადგილი, სადაც ფიჩხი, წვრილი ტყე დგას. „ფიჩხიანში გვიანობამდე ნუ დაიტოვეფ საქონელ, ნადირმა არა მოგტაცომ რა.“

ფიჩხილობით იგივეა, რაც სარილობით.

ფიცის-ი ელენთის მწვადი. ელენტას ხორცში არ ურევენ, რადგან ბევრი სისხლი აქვს და ხორცს აშავებს. მისგან არც შამფურზე აგებენ მწვადს, მთლიანად დადებენ ცეცხლზე და ასე წვავენ. ბავშვებს არ აჭმევენ, ეუბნებიან: „არ შეჭამო, თორე იცოდე, ქორწილში ნუფეთ (პატარძლად) რო იჯდები, ძალიან შავი გამოჩნდებიო.“ ისინიც ერიდებიან, განსაკუთრებით ქალიშვილები.

ფიწილ-ი იხ. ფიცინი.

ფლანი და სტანი მავანი და მავანი. „არ იცი, რასამ იზამს, ფლანსა და სტანს ყველადა აქ მოგვირეკამს.“

ფლარტაფლურტ-ი იგივეა, რაც ფრასტაფურუსტი.

ფლარტუნ-ი იგივეა, რაც ფრასტუნი.

ფლახგ-ი ღუნე, ფომფლო, მოშეებული. „ისეთი ფლახვია, ხელი რო დაადო, მაშინვე ჩაიკეცება.“

ფოლორც-ი ფლიდი, ფარისეველი, ლაქუცა. „ვერ გამიგია, ამ წესიერ კაც ემ ფოლორცი ხალხი რაში მჭირდება.“

ფოლორცა იხ. ფოლორცი.

ფოლორცობ-ს ფლიდობს. „ყველაფთან ფოლორცოფს და ერთგულ კაცათ აჩვენეფს თავსა.“

ფოლორცობა ფლიდობა, ფარისეველობა, ლაქუცი. „მაგან ფოლორცობა ხელობათ გაიხადა და ველარავინ გადააჩვევს.“

ფომფლო ღუნე, სუსტი, მოშეებული. „ესე ფომფლოთ რო გადაგიჭერია თოკები, ცოტა დაჭიმე და შეკარი, თორე ემ თივა გზაში სუ დაგეპნევა“. გადატ. ადამიანზე იტყვიან: „რა ფომფლოა ემ ბიჭი, ვეს გამოადეფ თუ არა, მაშინვე იქცევა.“

ფორნაგ-ი კერძო ცხვრის ფარა. იმ სოფლებში, სადაც კოლმეურნეობა იყო და ცხვარი ჰყავდათ, არსებობდა სპეციალური ბრიგადა, რომელსაც მოსახლეობის კერძო ცხვარი ებარა. ცხვრის შესანახ ფულს მოსახლეობა კოლმეურნეობას უხდიდა, მწყემსებს კი შრომადღებები ეწერებოდათ. ამ კერძო ცხვრის ფარებს „ფორნაგს“ ეძახდნენ.

ფოშტა ფოსტა.

ფოშტალიონ-ი ფოსტალიონი.

ფოშტის ფიცარი-ი თხელი ფიცარი, მორის გვერდებიდან აჭრილი ფიცარი, რომელსაც მხოლოდ ერთ მხარე აქვს სწორი, მეორე კი გლუვი. სამასალედ არ ვარგა. ხარაჩოზე ან მესურად იყენებენ.

ფოშტის ცხენივით დაარბენინებს მოსვენებას არ აძლევს, სულ ერთთავად ასაქმებს. „რა არი, შე კაი კაცო, ამ ბაღლ ესე ფოშტი ცხენივით რო დაარბენინეფ, ცოდო-მაღლი სუ აღარა გაქ?!“

ფრასტ-ი, ფრასტებ-ი 1. საშინაო ფეხსაცმელი. „გაიხადე ეგ ჩექმები და ემ ფრასტები ჩაიცივი, ფეხმა რო მოგისვენოი.“ 2. ძველი, ქუსლჩაკეცილი ფეხსაცმელი. „ეგ ფეხსაცმელები გარეთ აღარ ჩაიცმევა, შინ დაყარე, ფრასტებათ გამაიყენეფ.“

ფრასტაფრუსტ-ი ფრასტების თრევით სიარული და ამ სიარულის დროს გამოცემული ხმა. „ვინ მოდი, რა ფრასტაფრუსტი ისმის.“

ფრასტუნ-ი იგივეა, რაც ფრასტაფრუსტი.

ფრასტუნებ-ი იგივეა, რაც ფრასტები.

ფრაზგ-ი ზონზროხა, ზორბა, დიდი ტანის ადამიანი (უფრო ქალზე იტყვიან). „რაო მაგ ფრაზემა, რა მინდაო, რითეინ მოგკადგა?“

ფრთილა ფთილა „ბაბო რო მატყლ მჩქამდა, ფრთილუეს მე უწყობდი ხოლმე გიდელაში.“

ფრუ-ფრუ-ფრუ! ცხენის მოსახმობი შეძახილი.

ფსიტი-ი შარდი. „რა არი ერთი შვილი მყავ და იმაჲ ვერ უნა მოუაროჲ, ფსიტი სუნათა ყარს ბავშვი.“

ფსიტიან-ი ვინც შარდს ვერ იკავებს; ვისაც შარდი ეპარება. „ამ ფსიტიანმა ბიჭმა გამოიხრა თელი ლოგინი“. გადატ. უშნო, უგერგილო; სუსტი. „შენ მაგაი როგორ მოერევი, შე ფსიტიანო, შენა!“

ფსუტი-ი იგივეა, რაც ფსიტი.

ფსუტიან-ი იგივეა, რაც ფსიტიანი.

ფუა იხ. ფუფუა.

ფუკა შაშის (ღომინოს) თამაშის დროს, როცა ქვა „კვდება“ და არ „კლავენ“ და ამას მოწინააღმდეგე დაინახავს, უფლება აქვს, თუ ეს მისთვის ხელსაყრელია, ის ქვა, რომელსაც უნდა „მოეკლა“, აიღოს და თამაში გააგრძელოს. აღებისას მოწინააღმდეგეს ეუბნება „ფუკა“ ე.ი. შეახსენებს, რომ შეცდომა დაუშვა. ამას „ფუკის აღებას“ ან „ფუკის აცლას“ ეძახიან.

ფუკის აღება იხ. ფუკა.

ფუკის აცლა იგივეა, რაც ფუკის აღება.

ფურჩნა ვაზისათვის ნამხრეებისა და ზედმეტი ფოთლების შეცლა. „პაპაჩეში ნამდვილი მევენახე იყო, უცხოდ ვაზთან არ მიუშვებდა, ფურჩნა ხო არაფერია, ფურჩნი ნებასაც კი არ გააძლევდა. ვენახ გამიფუჭეფუო.“

ფურჩნი-ს ნამხრეებსა და ზედმეტ ფოთლებს აცლის ვაზს. „მაგაი ვენახიდან რა გამაიყვანს, ხან ვაზუფს უბარამს ძირუფს, ხან თონხი და ფურჩნი.“

ფურცელ-ი 1. თუთის ფურცელ-ი თუთის ფოთოლი. „ჩვენი სოფელი ადრე მებარეშუმეობად მიდევდა, თუთი ფურცელი აქ რო გამოილეოდა, რუსთავიძე ქვემოთ, მტკვრი ჭალებში მივდიოდით ხოლმე.“ 2. კომშის ფურცელ-ი კომშის ყვავილი.

ფუტკნა ნაცრის ქექვა. „ყველაფერი მცოდნეთ მოაქ თავი, მგონი ისიც კი მჯერა, ნაკვი ქექვა და ნაცრი ფუტკნა ქათმეფსაც მაგან ასწავლა.“

ფუტკრიჭამია იგივეა, რაც კვირია.

ფუფალა მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ნათურა, ლამაზ...
ველაფერი, რაც კი ანათებს ან ანთია (ბავშვის ენაზე).

ფუფინკა ფუფაიკა. „ეჰ, სადღაა ი ძველებური ბამბი
ფუფინკები, ზამთარში რო ჩაიცვამდი და ჩაითბუნებდი.“

ფუფა მუწუკი, ჭრილობა, ტკივილი, ნატკენი. (ბავშვის ენაზე)
„დედიკო, აი, ნახე, ლოგოლი ფუფა მაქ.“

ფუშია მტირალა, მჩხავანა (ბავშვი). „შენ რა ფუშია
მყოფილხარ, ერთი ბეწო რამეზე მაშინვე ტირილ ამოუშვეფ
ხოლმე.“

ფუშია კარტოფილ-ი კარტოფილი, რომელიც ხარშვისას
იშლება. „კაი ფუშია კარტოფილი გამოდგა, მემრისაც ამა
დავთესამ.“

ფურჩი-ი სიბინდის ღერო და ფოთლები ერთად. „ემ ფურჩი
წვრილათ დაუკუწე, თორე, ისე არ შადჭამს ძროხა.“

ფურია ხბო (ბავშვის ენაზე) „ჩვენმა ძროხამ ფურია მოიგო“.
ზოგჯერ ძროხაზეც იტყვიან: „პაპა, ფურიამ ღმე მომიტანა?“

ფური! ფური-ფური! ხბოს, ძროხის მოსახმობი შემახილი.

ფურუნ-ი ჩუმი ხმაური. „თელი ღამე თაგვიმ ფურუნი მესმოდა.“

ფურუნებ-ს ჩუმად ხმაურობს. „სხვენზე რაღაცა ფურუნეფს და
არ მაძინეფს.“

ფურფური-ი ჩურჩული. „მორჩით ერთმანეთში ახლა მაგ
ფურფურს და დაამთავრეთ საქმე.“

ფურფურებ-ს ჩურჩულებს. ჩიფჩიფებს. „რამ ფურფურეფ
შენთინ, რა გინდა, თქვი გარკვევით.“

ფუჭე ფუჭი. „რა არი ემ რა კაკალია, რამდენიც გავტეხე,
იმდენი ფუჭე გამოვიდა.“

ფუქვილის გამოცვლა როცა შინ გამოსაცხობი ფუქვილი არ
ჰქონდათ, წისქვილში კი რიგები იდგა და გვიან მოუწევდათ
დაფუქვა, გაჭირვებული (უნაფუქვოდ დარჩენილი) კაცი თავისი
ტომრიდან ოთხ-ხუთ კილოს ამოიღებდა და მეწვისქვილისა და
პატრონის (ვისიც იმჯერად იფუქებოდა) ნებართვით ხვიშირას
დააყრიდა და ამავე რაოდენობის ფუქვილს აიღებდა. ამას „ფუქვილის
გამოცვლას“ ეძახდნენ. ასე გაუმართვდნენ ერთმანეთს ხელს და
არ მახსოვს, ამაზე ვინმეს უარი ეთქვას.

ფუშაგლებ-ი 1. ერწო-თიანეთის მხარე. „ომიანობამ ჩვენი
დედაკაცები ფუშაგლებში გადადიოდნენ სამუშაოთ, თან ჯამ-
ჭურჭელი გადააქონდათ და კარტოფილში უცვლიდნენ, მერე
დაზურკულეფს ორი სამი ქელი ფეხით უნდა გადმოეცლოთ.“ 2.

საერთოდ მთიელები. „ეხლაც ვერ ვარჩევთ, ვინ ფშაველია, ვინ ხევსური თუ მთიული, ერწო-თიანეთის სოფლებში მაცხოვრებლემს ყველამ ფშაველ ვეძახით, ჩვენ კიდევ კახეუს გვეძახიან ისინი.“

ფშაველების ზაფხული კარგი ამინდი შემოდგომის მიწურულს, ნოემბერში. „შენ დარდი ნუ გაქ, ყველაფერ მოვამწრეფთ, ერთი ფშაველები ზაფხულიმ ტოლა ზაფხული კიდევ დადგება.“

ფშაგრობ-ი სოფ. პატარა ლილოს ადგილობრივი სახელწოდებაა.

ფშაგრობელ-ი პატარა ლილოს მკვიდრი მაცხოვრებელი. ამ სოფლის ხალხის სადაურობის სახელი ოფიციალურად „პატარა ლილოელია“ ანუ „პატარალილევი“, როგორც ადგილობრივ გამოითქმის. ისე კი, თითონაც და მეზობელი სოფლების მაცხოვრებლებიც „ფშაგრობელებს“ უწოდებენ.

ფშგრია შერია. „ემ ფაბრიკიმ ქათმები ფშგრიამ არიან დაჩვეულები, თუ გინდა, რო ბევრი კვერცხი დაადებინო, ფშგრია არ მააკლო.“

ფშგრინაგ-ს ფშგრინავს. „მაგამ მეტი რა საქმე აქ, თელი დღე ტახტზე წვეს და ფშგრინამს.“

ფშგრინვა ფშგრინვა. „დაწვება თუ არა, მაშინვე ფშგრინვამ დაიწყეფს ხოლმე.“

ფშგრინია ვინც სუნთქვისას ხმას გამოსცემს. „ემ ფშგრინია ცალკე დააწვინეთ, თორე მაგისი ფშგრინვა ღამე არავის არ დააძინეფს.“ ფშგრინია მეტსახელი კაცისა.

ფშგრიო იგივეა, რაც ფშგრია.

ფშიტ-ი ბჟიტი, სუსტი მარცვალი. „ამ გოლვამ თლათ გააფუჭა ყანები, ნახე, რა ფშიტა მარცვალი.“

ფშლეკაგ-ს ფშექს. ხელებსა და ფეხებს განზე შლის გაბრაზებით. „რასა მფშლეკამს ხელეფს, ემ რა უხასიათო ბავშვი ყოფილა.“

ფშლეკვა ფშეკა, გაბრაზებით ხელებისა და ფეხების განზე შლა. „სათქმელი არც კი დამამთავრებინა, ხელების ფშლეკვა დაიწყო.“

ფშრუკ-ი ფქვილი ან ნაცარი ცოტაოდენ წყალდასხმული და არეული. „აეგ ფშრუკი ნაცარი მაყერე თონემ, ძან მხურვალეა, ცოტა გაანელდე.“

ფშრუკფშრუკ-ი ფშრუკუნი. „გაანწყალა გული თავისი ფშრუკფშრუკით, მიეცი და მიაოზრე, რასაც გთხოვს და მაიმორე თავიდან.“

ფრუკფშრუკებ-ს გამაღიზიანებლად და ნაძალადევად ტირის, რათა უფროსების ყურადღება მიიქციოს. „ზის და ფრუკფშრუკეფს, ნახე, თითონაც დაისია თავპირი და ჩვენც გული გაგვიდნო.“

ფშუტურა გულცარიელი თავთავი. „ემ ფშუტურა თავთავი გინდა გაგიღეწია და გინდა არა, პური მაინც საყიდელი გვექნება.“

ფშხალაგ-ს მანჭავს, პრანჭავს (სახეს), უშნოდ იქნევს ხელებს. „მაგამ რა უნა უთხრა, დაელაპარაკები თუ არა, მაშინვე ხელეფსა იფშხალამს.“

ფშხალვა მანჭვა, გრხევა (ტირილისას). „მაგან ისეთი ფშხალვა იცის, შიშით ხმა ვერ გამოიცია.“

ფშხლეკაგ-ს იხ.; ფშლეკავს.

ფშხლეკვა იხ. ფშლეკვა.

ფშხრიალ-ი შხრიალი. „თუ წყალი არ შაგიგდია ვენახში, მამ რამ გაუღიდი ფშხრიალი?“

ფშხრიალებ-ს შხრიალებს.; „თელი ღამე რო ფშხრიალევს ემ ოხერი კრანტი, მამ თქვენ არ გესმით?“

ფხაკა ხრიოკი, კლდოვანი ფერდობი. ეს სიტყვა ხშირად გეხვდება ტოპონიმიაში. „კლდიანი ადგილია, თითქომ ძალით დაუფხავებიათო. მანდ ხეებიც კი ვერ იზდება კარგათ და ფხაკამ ამიტომ ვეძახით.“

ფხლარწაფხლურწ-ი ფხარწაფხარწი, დახევის დროს გამოცემული ხმა. „ბუჩქეფში ძრომისამ ტანსაცმელ სულ ფხლარწაფხლურწი გამქონდა.“

ფხოჭ-ი ხვეწი. ფხოჭი რო მქონდემ, ერთი კაი ჩანგურ გამოვთლიდი ამ თუთიამ ხიდან.“

ფხოჭა-გლეჯა: ფხოჭა-გლეჯით გარბის თავკუდმოგლეჯილი გარბის. „ემ ვინ გამორბიდი ფხოჭა-გლეჯით?“ „ვეთი შშიშარა კაცი ჯერ არ მინახია, ვილაცამ ხუმრობით რო დაიყმუვლომ, ემ ფხოჭა-გლეჯით გარბიდი შინისაკენ.“

ქა ქალო. „ქალოს“ შემოკლებული ფორმაა.

ქათმის მეკვლე ახალი წლის მეორე დღეს მოსული სტუმარი. იგი თუ წინა წელსაც იყო მეკვლედ და ოჯახში ბარაქა და სიკეთე შემოვიდა, სურთ, რომ წელსაც ის ჰყავდეთ, განსაკუთრებით კი თუ ეს მეკვლე ბავშვია. ამ სტუმარს (მეკვლეს) ტანტზე ფეხმორთხმით დასვამენ, ვითომ კრუხია და შეიძლება კვრეცხებიც შემოუწყონ. წინ ხორბალს ან სიმინდს დაუყრიან ან ჯამით დაუდგამენ. საახალწლო ტკბილეულს მიართმევენ, კარგად გაუმასპინძლებიან, დაასაჩუქრებენ და ისე გაუშვებენ.

ქათმის მეკვლეობა იხ. ქათმის მეკვლე.

ქალან-ი თივას რომ დააბულულებენ, რამდენიმე დღეში კარგად დაჯდება, დაიტკეპნება ანუ „ქალანს“ გაიკეთებს და აღარ აიწეწება, როცა ფიწლით აიღებენ. „ბულუღებს უკვე ქალანი ექნება გაკეთებული. მოვზიდოთ და ერთი კაი ძირი დავღვათ.“

ქალან-ქალან-ი ფენა-ფენა. „ნუ აძწეწამ მაგ თივამ, ქალან-ქალან აიღე და დინჯათ მამაწოდე.“

ქალაშაფა მოფერ. გოგონა, ქალიშვილი. „სად არი, რატო გვემალება ი ქალაშაფა, ისა?“

ქალაჭუა ქალაჩუნა. ვაჟი, რომელიც სულ ქალებთან ტრიალებს, მათთან თამაშობს და მათსავით იქცევა. „მაგითანა ქალაჭუამ გოგომ როგორ მივათხოვეფ.“

ქალიშვილ-ი ქალის შვილი. შვილიშვილი (ვაჟიც და ქალიც). „ოთხი ქალიშვილი მყავ, ორი ერთისაგან და ორი მეორისაგან. ორი ქალიშვილი უკვე დავაქორწინეთ, ორი კი ისევ უცოლოთ არი.“

ქალმან-ი, ქალმებ-ი ქალამანი, ქალამნები. „მეექვსე კლასში ვიყავი, ეგე თორმეტ-ცამეტი წლისა, ზაფხულში წამიყვანე მეხრეთ და ერთი წყვილი ქალმანი მამცეა. წინა მეხრეთ დამსვეე და მან ვიღლებოდი, რო მამბეზდა, გამოვიქეცი. გზაში დამეწივნენ და ი ქალმები დამხადე.“

ქალობაგასაშაფებელ-ი წყველაა ერთგვარი. „რა უვარგისი რძალი გამაადგათ ე ქალობაგასაშაფებელი, ესა.“

ქალობაგასამწარებელ-ი წყველაა ერთგვარი. „რა დაუშავე, რატო გწყველი ე ქალობაგასამწარებელი, ევა?“

ქალობადამწვარ-ი ლანძღვაა ერთგვარი. „რაა გადაეკიდა ი ქალობადამწვარი, რა უნდა ამ პატროსანი კაცისაგან?“

ქალთბადახრუკულ-ი ლანძლვაა ერთგვარი. იგივეა, რაც ქალობადამწვარი, ოღონდ შინაურობაში ზოგჯერ უფროსი ადამიანი მოფერებითაც ეტყვის პატარა გოგოს. „**ე**მ ქალობადახრუკული იმხელაა, გასათხოვარი ეგონება კაც.“

ქალქვა დიდი ქვა ან კლდე, რომელიც შორიდან ქალს ჰგავს.

ქანჩი-ი მოკლე ჯოხი, რომლითაც თივაზე (შეშაზე) გადაჭერილ თოქს ან ღვედს სხვა უფრო მსხვილ ჯოხზე (კეტზე) ქანჩავენ და მაგრად უჭერენ. „აიღე წალდი და ერთი ქანჩი მოაჭერ, რო დაეჭიბოთ ემ ღვედი.“

ქანჩვა ქანჩის მოჭერა. „მაგრა დავექანჩოთ, თორე გზაში დაგვეშლება.“

ქარაქუცა ქარაფშუტა; თავქარიანი. „ნეტა ემაგ ქარაქუცამ ყურ როგორ უგდღე.“

ქარახინა დიდი, ფართო და უშნო (სახლი, ოთახი) „**ე**მ ქარახინა სახლი რით უნა გაათბო ნეტავე?“

ქართულ-ი ცულ-ი ძველებური ცულია, ბრტყელი. „შეში დაპობა თუ გინდა, ქართული ცული უნა იხმარო, რუსული ცული კარგა ვერ აპოფს, შიგ იჭედება.“

ქასური: **ქასურის წასმა** თავში წამორტყმა. „გეოგრაფიის მასწავლებელი გვეყვანდა ერთი, ქასურიმ წასმა იცოდა მაგარი, იმი ქასურებისაგან ეხლაც კი მიბრუნის თავი.“

ქასქას-ი ქაქანი სიცხისაგან ან დაღლილობისაგან „ერთი ამ ლეკვიმ ქასქასი ნახე, ალბათ, ძალიან დაამცხა საწყალ.“

ქასქასებ-ს ქაქანებს. „ცოტა დაასვენე ემ ბავშვები, ხო მხედამ, როგორ ქასქასებენ?!“

ქაფჩი! ქაფჩი-ქაფჩი! თხის (თხების) გამოსარეკი შემახილი.

ქაქანახირ-ი უპატივც. ერთათ შეყრილი ბევრი ხალხი. „პატრა ქორწილი მინდოდა, სადაც მხოლოთ შინაურები ვიქნებოდით, ამან კი, ამ ჩემმა ბედოვლათმა ქმარმა, ქაქანახირი მორეკა.“

ქაქვა ცეცხლთან ახლოს ჯდომა, მიფიცხება. „გაიწი, კაცო, განზე, ემანდ ტანისამოსი არ დაგეწვამ, რა უშნო ქაქვა იცი.“

ქაქია მცივანა, ბუხართან (ღუმელთან) რომ უყვარს ყოფნა. „მაგ ქაქია ბუხარ ვერ მამშორეფთ.“

ქაჩიჩი-ი სიმინდის „ყვავილი“. „სიმინდმა უკვე ქაჩიჩი ამაიტანა, ეხლა ერთი მაგარი მორწყვა და კაი ტარომ დაიყრის.“

ქაჯაგ-ს წნეხით აცლის (სწურავს) წვეწვანს ჭაჭას. „ეგე რო მჯაჯამ მაგ წვენ, ცოტა მაინც დატოვე, ჭაჭასაც ხო უნდა დადუღება?!“

ქაჯვა წნებით წვენი გამოცლა ჭაჭისაგან. იხ. გამოქაჯვა.

ქედანა მუქი-ლურჯი. „პაპაჩემ ერთი ქედანა ცხენი მყავდა და კალომ იმითა ვლენაძლით ხოლმე.“

ქედგადაღლეტილ-ი ხარი, რომელსაც უღელში ბმისაგან ქედი (კისერი) გადაღლეტილი აქვს. „ქედგაღლეტილი ხარი არ გინახია, აცრემლებული თვალებით რო გემუდარება, ჩემო პატრონო, ცოტა დამასვენე, ესე რატო მტანჯამო?!“

ქედგამხმარი ზანტი, ზარმაცი. „არ მინდა ემ ხარი, ნამეტანი ქედგამხმარია, უნა გამოვცვალო.“

ქედგასახმობ-ი იგივეა, რაც ქედგამხმარი. „შე ქედგასახმობო, რამ მოგწყვიტა ვე წელი, ცოტა გაინძერი!“

ქედმაგარ-ი ძლიერი, ფიცხი, ღონიერი (ხარი). „მამაჩემ კაი ქედმაგარი ხარები მყვანდნენ, ერთ ბულიამ ეძახდა, მეორემ — კოტემ. ურემი თუ გაუძლებდა, სამი ტონაც რო დაგელო, ისე წაიღებდნენ, მითომ სამი ფუთი გდებია.“

ქედძალი სალანძღავი სიტყვა. ხარს ეტყვიან. „ხიი, ხარო, შე ქედძალო, შენა!“ გადატ. უქნარა, ზარმაცი კაცი, „ხო იცი, რა ქედძალიც არი, სუ ტყუილათ არ ავაღეფ საქმეა?!“

ქეთლ-ი ჩაიდანი, წყლის ასადულებელი რკინის ჭურჭელი. „დედაკაცო, მიდი ერთი ქეთლით წყალი აადუღე და ასკილი ჩაი დამალეინე.“

ქეჩეჩ-ი იგივეა, რაც ქაჩეჩი.

ქეჩვა იხ. დაქეჩვა.

ქვაბტიალ-ი ოხერი ქვაბი. „ტიალი“ სიტყვის მასალად იხმარება. „მოიტა და მოაოხრე ეგ ქვაბტიალი“.

ქვაბში ჩაგარდნა მოუთმენლობა, სულწასულობა. რომ აღარ უცდის და პირდაპირ ქვაბიდან იღებს საჭმელს. „ცოტა მათომინე, არა ქცხვენია, ქვაფში რო მვარდები?“

ქვადნაქცევა-ი ზარმაცი, ჯიუტი, კერპი. „ეგ ისეთი ქვათნაქცევაა, კაცი ვერაფერ ვერ დამსაქმეფს.“

ქვადსაქცევა-ი წყველა ერთგვარი. „სად არი ი ქვათსაქცევი, ისა, სად იმალება?“

ქვაკაცა ჭორტი, კაცის სახედ გათლილი და აღმართული ქვა, მიჯნად ან რაიმე ნიშნად. „ვაზიანი ქვემოთ, გორაზე, ადრე გათლილი ქვა იყო აღმართული, მერე აგურისა გააკეთესო, მე აგურისა მახსოვს, ახლა მგონი ბეტონისა უნა იყო, მაგრამ ჩვენ მაინც ქვაკაცამ ვეძახით“. მეტსახელია კაცისა.

ქვატინა ვაშლის ერთ-ერთი ჯიშია, მოგრძო და მაგარი. გემრიელია და ღიძნასაც ინახება. „მაგარი კანი აქ და ქვატინა იმიტო ვეძახით. ზოგი მწუნოფს, რაკი მაგარია, მაგრამ დასაწუნი არაფერი აქ, მეორე მოსაველამდე ინახება.“ მეტსახელია კაცისა.

ქვაშიმისგლა ერთგვარი საბაშო თამაშია. ნიშნულ ადგილას ქვას დადებენ და შორი მანძილიდან სალაქვას ისვრიან მისკენ, სალაქვა სადაც გაჩერდება, იქიდან მონიშნულ ქვამდე აზომავენ ფეხის ტერფებით, ვისი ქვაც ახლო აღმოჩნდება, გამარჯვებულად ის ითვლება. დამარცხებული იმას შესრულებს, რაზეც წინასწარ შეთანხმდებიან.

ქვაცხავა მსხვილთვლებიანი (მსხვილნაჩვრეტებიანი) ცხავი, რომლითაც კალოზე სუფთად აღებული ხვავის ნარჩენებს — ქვალორლიან და ბუჩონარევე მარცვლეულს ასუფთავებენ (აცხავენ). „ერთი მიიღობინე იმ კალოზე და თუ ქვაცხავა აღარა მჭირდებათ, მოიტანე.“

ქვაცხრილა იგივეა, რაც ქვაცხავა. „კაი მეურნეა ცხრილიც აქ და ქვაცხრილაც!“

ქვევითა ქვა იგივეა, რაც დაბლითა ქვა.

ქვეითკე ქვეითკენ, ქვემოთა მხარეს. „აიკიდა ბარგი და ქვეითკე დაემო“. „დაღამდა უკვე, იჯობია, ქვეითკე დავაყოლოთ საქონელი.“

ქვეშაფსია 1. ის, ვინც შარდს ვერ იკავებს. „ამ ქვეშაფსიამ ლოგინი ყოველდღე გარეთაა გამოფენილი.“ 2. მშიშარა, „რათ მინდა იმ ქვეშაფსიამ რო მიგზავნით, აქ საქმე გავაკეთო, თუ იმამ უგლო ყური, არაფერმა შააშინოა.“

ქვირია კვიცი. „ჩვენმა ცხენმა ისეთი ლამაზი ქვირია მაიგო, სუ გინდა, რო უყურო.“

ქვირ-ქვირ-ქვირი კვიცის, ცხენის მოსახმობი შეძახილი.

ქვირი-ქვირი-ქვირი იგივეა, რაც ქვირ-ქვირ-ქვირ!

ქვირქვირ-ი ცხენის „მიაღერსება“ თავისი კვიცისადმი ან სხვა ცხენისადმი. „რა უჯიშო ცხენია, ამი ქვირქვირი ჯერაც არ გამიგონია.“

ქვისნატეხ-ი ჯიუტი, კერპი; გაუგონარი. „ნუ ხარ, ბიჭო, ეგეთი ქვისნატეხი, გაუგონე, რასამ უფროსები გეუბნებიან.“

ქვისქვეშამოსადებ-ი წყველად ერთგვარი. ვისაც სიკვდილს, ქვის ქვეშ ამოღებას უსურვებენ. „გ ქვისქვეშამოსადები თავისამ მანც არ იშლია, არა?“

ქიმიტი-ი ხარბად ჭამა. „ნელა, კაცო, ნელა ჭამე, რა იყო, რა ქიმიტი შაგეყარა?!“

ქიმიტი სჭირ-ს ძლიერ არის დამშეული. „მაგამ ხო სუ ქიმიტი ძჭირს.“

ქირქნა უხალისოდ, უნდომად ჭამა პურისა, ცოტ-ცოტას რომ მოატუნს და ჭამას დაუწყებს. „მაგ ქირქნამ შენ ჭამამ ეძახი? ჭამე მადიანათ, თუ გინდა, რო შაიმატო რამე.“

ქირქნი-ს უხალისოდ ატუნს პურს და უნდოდ, უმადოდ ჭამს. „თუ არა გშია, თქვი, შე კაი კაცი, ტყუილათ რასა ძქირქნი მაგ პურ.“

ქირცნა 1. იგივეა, რაც ქირქნა. 2. მუწუკის, ჭრილობის ზედაპირის ნაადრევად აცლა ფრჩხილით. „დაანებე თავი მაგ მუწუკ, გვე ქირცნა უფრო გაგიღიზიანებს.“

ქირცნი-ს 1. იგივეა, რაც ქირქნის. 2. მუწუკს, ჭრილობას იღიზიანებს. ფრჩხილით აცლის მოუშუშებელ კანს. „სანამ კარგა არ მომწიფდება, მანამ ნუ აიქირცნი მაგ ჭრილობამ, ინფექცია არ შეგეჭრამ.“

ქლერსა ფლიდი, გაიძვერა. გაქილი, ფარისეველი. „მაგადთან ცოტა ფთხილათ იყავ, ქლერსა კაცია, დაგიძაკაცლება და მერე გაგაცურებს.“

ქოთ-ი, ქოთებ-ი ცემა, გატყევა. დატუქსევა „ცოტა წესიერათ მოიქეცი, თორე ქოთები არ აქცდება“. „მიიღე ქოთები? გვე გინდა შენა!“

ქოლიაობა მოფერება, ზედ გადაყოლა, ზედმეტი ყურადღების გამოჩენა. „აი, სწორეთ რო მაგ ქოლიაობამ უფრო გადარია, ვე ისედაც გადარეული, ვა.“

ქორწილ-ი: ქორწილის ქნა ბავშვს რო ეკალი შვერჭობა, მაშინვე არ ამოაცლიან, რადგან ძალიან მტკივნეულია. ერთ ღამეს დააცლიან, მომწიფდება და მერე უმტკივნეულოდ გამოუღებენ. ბავშვი რომ დაამშვიდონ, ეუბნებიან: „არა, ეკალი ეხლა არ გამოვა, ჯერ ქორწილი უნა ქნამ, დავაცადოთ, ამაღამ იქორწილევს და ხვალ თავისით გამოვაო.“

ქოქამოსაგდებ-ი წყველაა. მოსასპობი, გასანადგურებელი. „ვუ ქოქამოსაგდები ისევ ცოცხალია?“

ქოქამოსაგარდნელ-ი წყველაა. იგივეა, რაც ქოქამოსაგდები.

ქოქასაქრობ-ი წყველაა. იგივეა, რაც ქოქამოსაგდები.

ქრისტესპერანგ-ი ძნელი სანახავი, საქმის გაჭიანურება. „რა იყო, შენი ნახვა რა ქრისტეპერანგი გაგვიხადე.“ „აღარ დააყენა საშველი, ქრისტეპერანგი გახდა პირდაპირ.“

ქრისტესტირილი-ი ღიღი უბედურება, მწუხარება. „ეჰ, რაღა რა მოხდა, ქრისტეტირილი დგა მაგათ ოჯახში.“

ქს! ქს-ქს-ქს! ძაღლის შეგულიანება, მიქსევა.

ქსა! ცხერის გასაგდება შეძახილი.

ქსაჰე! ცხერის (ფარის) გასარევი შეძახილი.

ქსიე! ქსიეჰე! ქსიჰე! ცხერის გასარევი შეძახილი.

ქსი! ქსი-ქსი-ქსი! იხ. ქს! ქს-ქს-ქს!

ქსუტუნ-ი ძნელად სუნთქვა. „ამ ბაღლ რა ქსუტუნი გაუდიმ, ხო არ გაცივდა ნუტავი?“

ქსუტუნებ-ს მძიმედ სუნთქავს. „რა იყო, რასა მქსუტუნეფ, გრიპი ხო არ შაგხვდა?“

ქურა ცხვარი ან თხა, რომელსაც პატარა ყურები აქვს. „ბიჭო, შვილო, როგორ დაგიდიმ ემ ცხვარი, შენი ვერა გამიგია რა, გუშინ დოლა დაგრჩა მინდორში, დღემ ქურა აკლია.“

ქურათხა პატარაყურებიანი თხა. „ერთი კაი ქურათხა მყავ, ი დალოცვილი სუ ტყუაფეს იგეფს.“

ქურაცხვარი პატარაყურებიანი ცხვარი. „მცნობი რათ მინდა, ჩემ ქურაცხვარ ისედაც გამოვარჩევ“.

ქურფატობა 1. წვრილშვილი. „აბა, ქურფატობა როგორა გყავ, წამოიზარდნენ?“ 2. პატარა ბავშვები „თელი უბნი ქურფატობა ჩვენ ეზოში შაიკრიფება ხოლმე.“

ქუქუა ქუდი (ბავშვის ენაზე) „აბა მოდი, ქუქუა დაიხურე, თორე ძალიან ცივა გარეთ.“

ქუსა იხ. ქუსა.

ქუსა! ქუსა-ქუსა! ღორის მოსახმობი შეძახილი.

ქუსი! ქუსი-ქუსი! იგივეა, რაც ქუსა! ქუსა-ქუსა!

ქუსობა გოჭი ან ღორი (ბავშვის ენაზე). „მამამ პატარა ქუსია მიცილა.“

ქუსმაქუსმა: ქუსმაქუსმად ნაკუნნაკუნ, ნაკუნებად. „გაბრაზებულმა სუ ქუსმაქუსმათ ვაქციე ყელაფერი.“

ქუსუნა მოფერ. ღორი (გოჭი) „დღემ ქუსუნები უნა ვაბანაო“.

ქუსუნია იგივეა, რაც ქუსუნა.

ქუსო! ქუსო-ქუსო! ღორის (გოჭის) მოსაფერებელი ძახილი.

ქუცმატ-ი პურის ნაფხვენი. „პური რო აღარ გვედო, ქუცმატებილა ჩაეიყარე ლობიოში და ისა ვჭამე.“

ქუცუა იგივეა, რაც ქუცია. მეტსახელია კაცისა.

ქცევა: კალოს ქცევა. ლეწვის დროს გაშლილი ძნის ფიწლით გადაბრუნება, უფრო მეტად რომ გაფიცხდეს და ადვილად გაილეწოს. „ნახე, რა ცხარე მზე გამოვიდა, ერთი კიდე რო უქციოთ კალომ, მეტი აღარ დამჭირდება.“

ლაგლუგ-ი ღაღავი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ყუფა (ძაღლების). „წუხელ არ დაისვენე ძაღლებმა, გათენებამდე მაგათი ღაღლუვი ისმოდა.“ „ერთი ნახე, რა ღაღლუვი ატეხე ამ ოხერმა მგლებმა.“

ღაზლიმეშოკ-ი მსხვილი, უხეში ნართისაგან მოქსოვილი და შეკერილი ტომარა. „ამბარში რო ადგილი აღარ იყო, ღაზლიმეშოკები დავამსე ხორბლით.“

ღანცა იხ. ღანცალა.

ღანცალ-ი ძლივძლივობით სიარული, ღონღილი. „როდემდე უნა მაყურებინო მაგიდ ღანცალ, გაყიდე და მააშორე აქედან.“

ღანცალა ჩია, გამზდარი, სუსტი პატარა ტანის საქონელი (ხბო, ბატკანი, გოჭი...) „მაი ამამ ჭკვა აქ? კარგი გოჭები დაყიდა და ე ღანცალა დაიტოვა შინ.“

ღანცალებ-ს ღონღილობს, ძლივს დადის. „ეგ ცხვარი რა შასანაზი იყო, ხო მხედამ, რო ძლივ დაღანცალებს.“

ღარბელ-ი ხევზე გადებული ღარი, რომლითაც ერთი ნაპირიდან მეორეზე წყალი გადადის. ხშირად დასტურდება ტოპონიმიანი: „ღარბლიხევი“, „პატრაღარბლიხევი“. „მაგ ხევზე ღარბელი იყო გადებული და იმიტომ დაურქმევიათ ეგ სახელი.“

ღარიანი კრამიტი-ი ღარის მოყვანილობის კრამიტი. „საღლა ი ძველებური ღარიანი კრამიტი. საუკუნეებს რო უძლებდა და თანაც წვეთსაც რო არ გაატარებდა.“

ღარძლა იატაკზე დასაფენი, მსხვილი ნართისაგან მოქსოვილი ფარდაგი. „ეგ ღამაზი ფარდაგი რო არ გააფუჭო ამ შამოსასვლელში, ერთი ღარძლა იშოვე და ი დააფინე“.

ღატრაკუნა ღატაკი, არაფრის მქონე; ბოგანო. „იმ ღატრაკუნამ შვილ როგორ მივათხოვებდი.“

ღაღ-ი ჭუჭყი. ჩავაგდე ბერიკაცი ღაზანკაში და სანამ ვხეხე, მანამ თელი ღაღი არ გავაცალე.“

ღაღალა სუსტი, გამზდარი კაცი. „ერთი ღაღალა ბიჭი მონანხეთ და იმამ ჩავაბარეთ სოფლი ნახირი“. მეტსახელია კაცისა.

ღაღანა, ღაღანაფერ-ი ჭრელი, თვალმანარა. „დეღაჩემმა ერთი ღაღანა კაბა შამიკერა და იმით დავდიოდი სკოლაში.“

ღაღანაფერ-ი იხ. ღაღანა.

ღალიანი-ი ჭუჭყიანი. „ესე ღალიანიმა როდემდე უნა იარო, შენ თუ არავისი გერიდება, მე მაინც ნუ მარცხვენ.“

ღაცა იგივეა, რაც ღანცა. იხ. ღანცალა.

ღაჯუნ-ი უშნო ლაპარაკი, გაუთავებელი ყბელობა. „არ გწყინდებათ მაგიდ ღაჯუნი?“

ღაჯუნობ-ს გაუთავებლად ყბელობს. „თელი დღე სუ ესე ღაჯუნოფს.“

ღელე მინდორში ჩადაბლებული ადგილი. ეს სიტყვა ძალიან ხშირად გვხვდება ტოპონიმიშიც: პატრალელე, დიდლელე, მოხვეულლელე, ძეძვიანდელე, ატმიანდელე... „საქონელი გარეკვა შორ არ მოგიწევს, აქვე, ღელეებში კარგი ბალახია მოსული და იქ აძოვე.“

ღენტერა მოსულელო, „მაგ ღენტერამ რა უნა დავავალო, აბა, ეგ რი გამკეთებელია?!“

ღერღეტ-ი უმიზნოდ სიარული, აქეთ-იქით ხეტიალი. „კაცი დაბერდა და ემ ღერღეტი მაინც ვერ მაიშალა.“

ღერღეტა უმიზნოდ მოსიარულე. „ნეტა ჩვენამდე როდი მააღწევს ეგ ღერღეტა, ეგა.“

ღეტება ხეტება. იგივეა, რაც ღეტიალი.

ღეტიალ-ი ხეტიალი, უგზო-უკვლოდ სიარული. „იმ ღეტიალში მხარი გვექცა და შინ გათენებისაჲ მივედით.“

ღეტიალობ-ს უსაქმურად, უმიზნოდ დადის. „არაფერი გამკეთებელი ეგ არ არი, დილიდან საღამომდე აეგე ღეტიალოფს.“

ღვართქლ-ი ხვითქი, ოფლი. „ისე დავისიცხე, პირდაპირ ღვართქლი მდიოდა.“

ღვართქლა ხვართქლა. სარეველა ბალახია. „ღვართქლა მოვლო ბახჩამ და ვერა და ვერ გავწყვიტე.“

ღვარღვარ-ი ცრემლების ღვარღვარი. ცრემლების ღაპაღუპით დენა. „ცრემლები ღვარღვართა მდის.“

ღვარცვლა ძარცვა, ყვლეფა. „აშენები ნაცვლათ მთავრობა რო ქვეყნი ღვარცვლამ დაიწყეფს, ი ქვეყანა ან კი როგორა დგა ფეხზე.“

ღვარცვლაგ-ს ძარცვავს, ყვლეფს. „ქვეყანამ ეგა მღვარცვლამს და ბრალ სხვასა მღეფს.“

ღვარცვლი-ს იგივეა, რაც ღვარცვლავს.

ღვარძლა სარეველა ბალახია. „ყანაში ღვარძლა მორეულა და თუ არ გამოვმარგლეთ, ზედ გადაუვლის.“

ღვედ-ი წვრილი მათეულისაგან დაწნული (დაგრეხილი) ჭაპანი. ტროსი. ურემზე (მანქანაზე) შემის შესაკრავად (გადასაჭერად) ხმარობენ. ექვს და რვაუღლიანი გუთნულის გადასაბმულად ღვედს იყენებდნენ. „ღვედი გადაუჭირე მანქანა და მაგრა დაქანჩე, გზაზე რო არ დაიშალო.“

ღვერაგ-ს ნაზამთრ მატყლს ხელით აცლის ცხვარს. „ნახე ერთი, რასა შერება, დაუჭერია ცხვარი და იღვერამს.“ გადატ. ძარცკავს, ყვლევს. „უპატრონო ცხვრებივით ჩაიგლო ხელში ემ ხალხი და როგორც უნდა ისე იღვერამს.“

ღვერვა ცხვრის ნაზამთრი მატყლის ხელით (ან თავისით) გაცლა. „თუ ღროზე არ გაიპარსამ ცხვარ ნაზამთრ მატყლ, თავისით დაეწყება ღვერვა.“

ღვთაებობა, ღვთებობა ქრისტიანული დღესასწაული. იმართება მარტყოფში 29 აგვისტოს. „მარშან არ ვიყავი აქა და ღვთაებობა ვერ დავიყენე, წლიულ უეჭველათ უნა წავიდე.“

ღვთებობა იხ. ღვთაებობა.

ღვთისგარეგან-ი ბოროტი, უმოწყალო, დაუნდობელი. „ვის დაემსგავსა ეგ ღვთისგარეგანი, ეგა, თუ კაც გადაეკიდა, საულავამდე ჩაიყვება.“

ღვთის უბეში არიან იხ. ღვთის უბეში ყოფნა.

ღვთისცეცხლი! იხ. ხვთისცეცხლი.

ღვთისცეცხლი და არგადარჩენა! იხ. ხვთისცეცხლი და არგადარჩენა.

ღვლიაბ-ი შიშველი, ჩაუცმელ-დაუზურავი. „ეგე ღვლიაბი რო მიიღიხარ, არ გემინიან, რო გამცივდე?“

ღვლიაბ-ი შიშველი, ტიტველი. „უყიდე რამე და ჩააცვი ამ ბალღეფს, ესე ღვლიაბებმა როდემდე უნა იარონ?“

ღვლიბინა იგივეა, რაც ღვლიაბი. უფრო ბავშვზე იტყვიან.

ღვრეჭაგ-ს მაგრად, საგულდაგულოდ აბანავებს. „ისე იღვრეჭამს, ერთ თვემ აღარ მოუნდება დაბანვა.“

ღვრეჭა მაგრად, საგულდაგულოდ დაბანვა. „მაგამ სად უნა ვუცადო, თელი დღე მოუნდება ღვრეჭამ.“

ღვრიჭაგ-ს იგივეა, რაც ღვრეჭავს.

ღვრიჭინ-ი ქათქათი, კრიალი. „ნახე, აქავრობამ რა ღვრიჭინი გაუღიდა.“

ღვრიჭინა ძალიან დაბანხილი. „ნახე, რა ღვრიჭინა გამოვიდა.“

ღივღივებ-ს უჭირს გახარება, აღმოცენება (ბოსტნუქს). „იმდენი კომპოზიტი ჩითილი გადავრგე და ამ სიცხემ და უწყლობამ ისე გაახმო, აქა-იქ თუ ღივღივეფს.“

ღინკლა პატარა წვრილი, ჟიჟაკი. „თითონ დარჩეული ვაშლი ჩაიწყო, მე კი სუ ღინკლები დამიტოვა.“

ღინტლა 1. იგივეა, რაც ღინკლა. 2. პატარა, დაღეული დარჩავებული გოჭი, (ხბო, ბატკანი...). „ამ ღინტლა გოჭ როდემდე უნა შამყურო, ანდა გაირდება კი?“

ღინცა კისერწაგრძელებული, გამხდარი. „ე, ღინცავ, გაიწი არაფერი დაგეცე.“

ღიპლიკანა ტიტლიკანა. „ევე ღიპლიკანა რამ დაიღიხარ, ჩაიცივი, მიიღი!“

ღიღლიმანა იგივეა, რაც ღიპლიკანა.

ღლაბუც-ი უწესო ხუმრობა, ლაზღანდარობა. „არც ევ მამწონს და არც მაგისი გაუთავებელი ღლაბუცი.“

ღლაბუცა ლაზღანდარა, „მაგითანა ღლაბუცამ როგორ გავიამხანაგეფ.“

ღლაბუცობ-ს უწესოდ ხუმრობს, ლაზღანდარობს. „თელი დღე გოგოფში რო გღა და ღლაბუცოფს, ი ბიჭი რა მოსაწონია, ერთი მითხარით.“

ღლაღვნა უშნოდ, უხალისოდ სიარული. „მომკლა ამისმა ღლაღვნამ, აბა, თუ გადმოდგამ ფეხები.“

ღლაღნია უშნო, ჩანჩურა ადამიანი. „ეა ღლაღნია აქ რა წამოსაყვანი იყო!“

ღლაჭაღლუჭ-ი ხმაურით ღეჭვა (კევის). „ჩაიდუფს ამ კევ და თელი დღე ღლაჭაღლუჭი გაუღი“.

ღლაჭუნ-ი იხ. ღლაჭაღლუჭი.

ღლაჭუნა ვინც გამუღმებით აღლაჭუნებს კევს. „ჯერ ღლაჭუნა გოგო რა საყურებელია და მერე ამოდელა კაცი რო ჩაიდუფს კევსა და კამეჩივით იცოხნება?!“

ღლეტურა ღლეტია. „მაგამ მუშაობაში როგო გავიამხანაგეფ, დიდი ღლეტურა ვინმეა.“

ღმურძლ-ი დამრგვალებული, მაგარი ხორცი კანქვეშ, ხორცმეტი. „ნახე, რამდენი ღმურძლი აქ ამ ხორც.“

ღმურძლიან-ი უვარგისი ხორცი. „ეა რა ღმურძლიანი ხორცი მაიტანე, იქვე ვერ გამსინჯე?“

ღმურძლია უშნოდ მჭამელი კაცი. „ევ ღმურძლია, როდიდა დაამთავრეფს ჭამამ“

ღნავილა ვინც ან რაც ღნავის. „ეგა სუ კატასავით ღნავი
და იმიტომ დავარქვით ღნავილა.“

ლობურა ბურჭოვანი მცენარეა, ლობედ იყენებენ. წერილი
ფოთლები აქვს. „მაგამ მარტო ლობეთ იყენებენ, სხვა არაფერში
გამოდგება და ამიტომ ეძახიან ლობურამ, მეორენაირათ „ცოცხალი
ლობე“ ექვია.“

ლოკ-ი 1. ღორის (კამეჩის) სენია ერთგვარი. ყელში უჩნდება.
„ლოკმა მამიკლა იმხელა კამეჩი“. 2. ცუდი, ბოროტი (ადამიანი).
„რა დაგიშავა ამ პატიოსანმა ადამიანმა, შე ლოკო, შენა?!“ 3.
გადატ. გაუმადლარი, ბევრის მჭამელი (ადამიანი). „რა ლოკი
გაგინდა მაგ მუცელში, რა იყო, რო ვერ ამოიყორე?“

ლოლნუშო ლოლნაშო, ლოლნოშო. „ლოლნუშომ საჭმელათაც
ვიყენეფთ და არყათაც ვყრით ხოლმე.“

ლოჭაგ-ს ხელიერთპირად კრეფს, გლეჯს. „ნეტა ვიცოდე, რათ
უნდა, ამ მკვახე ქლიავ რო ძლოჭამს?“

ლოჭვა ერთიანად კრეფა, გლეჯა. „არა, შვილო, მწვანილი უნა
ამოარჩიოთ, ეგე ლოჭვა სად გაგონილა.“

ღრეცელა კისერ და გვერდმოქცეული ადამიანი. „სად მიდი ამ
ღილაადრიან ემ ჩვენი ღრეცელა.“

ღრეცო, ღრეცუბა იგივეა, რაც ღრეცელა.

ღრეცუბა იხ. ღრეცელა.

ღრეჭელა ღრეჭა; ვინც მუდამ იღრეჭება: უშნოდ იცინის. „ამ
ლამაზ გოგომ ნეტა რამ მოაწონა ემ ღრეჭელა ბიჭი.“

ღრიჭინღრიჭინ-ი: ღრიჭინღრიჭინით კარგად, აწყობილად
„მაგამ რა უჭირს, საქმე სუ ღრიჭინღჭრიჭინით მიმყავ.“

ღრინია უხასიათო, ბუზღუნა ადამიანი. „რაო, ისევ ისეთი
ღრინიაა პაპაშენი, თუ გამაისწორა ხასიათი?“ მეტსახელია კაცისა.

ღრნა ღრღნა. „ღეკვმა ძველი ტყავი საიდანლაც გამათრია და
ღრნა დაუწყო.“

ღრნი-ს ღრღნის. „ჩაუღვია პირში მძვალი და ღრნის.“

ღურღურ-ი 1. გურგური, შეშის წვის ხმა. „შაუკეთეფ დიდ
კუნძეფს ბუზარში და თელი დღე გააქ, ღურღური“. 2. გამჭოლავი
ქარის ქროლვა. „დაკეტე კარი, თორე გავიყინე, ღურღურით
შამოდის ქარი.“

ღუტუ-ღუტუ! ღორის, გოჭის მოსაფერებელი სიტყვებია.
მუცელზე ფხანენ და თან ეფერებიან: „ღუტუ-ღუტუ!“ ისიც
სიამოვნებისგან ნაზად იზმორება.

დუღრუტანა ჭუჭრუტანა; ხველი. „ემ რამდენი დუღრუტანა
გაუკეთებოთ თაგვეს“.

დუღრუტო ფულულო. „ციყვეს დუღრუტოში შეენახათ
თხილი“.

ყადიმ-ი მაგარი, უძრავი მიწა. „მიწად ღრმათ რო გამთხრი და მაგარი, უძრავი მასა გამოჩნდება, ყადიმი ის არი“.

ყადიმზე დაყვანა საძირკველის ღრმად გათხრა, უძრავი მიწის გამოჩენა. „სანამ საძირკველ ყადიმზე არ დაიყვანთ, მანამ უნა მთხაროთ, თუ გინდათ, რო კედლები არ დაირღვეთ და მიწი ძვრამაც ვერაფერი დააკლოდ“.

ყადრება: თავის გაყადრება თავის გატოლება, (მის) ღონეზე დასვლა. „ნეტა მაგამ თავ როგორ უყადრეფ?“

ყავლა ტანადობა, გარეგნობა. „ცოტა ყავლა არ უვარგა, თორე ისე კაი გულისაა“.

ყავლიან-ი კარგი გარეგნობის, ლაზათიანი, ტანადი, თვალადი. „მაგათ სუ ეგეთი ყავლიანი გოგოები მყავთ“.

ყათარ-ი კვალი: გარკვეული მონაკვეთი მიწისა. „შუადღემდე ერთი ყათარი ვენახი უკე დავამუშავე“.

ყანის ორსულობა ხორბლის, ქერის... დაპურება, თავთავის გაკეთება. „შე კაი კაცო, მაშ იძღენი არ უნა იცოდე, ყანა რო ორსულობად დაიწყეფეს, საქონელი შიგ აღარ უნა შაუშო?“

ყანყალ-ი ტოკვა. „ამ მაგიდამ ისე გააქ ყანყალი, თუ არ გაამაგრე, წაიქცევა ნამღვილათ“.

ყანყალებ-ს ტოკავს. „ნახე, იატაკი როგორა ყანყალებს, ბოწკინტები მაინც შაუდგი, თორე, ერთხელაც იქნება, ჩაინგრევა“.

ყანწ-ი, ყანწებ-ი ფრჩხილები. „რა არი, ქალი ხო არა ხარ, მაგსიგძე ყანწები რო გაგიშვია? დაიჭერი, სირცხილია!“

ყატაყუტ-ი ყაყანი, გაუთავებელი ხმაური. „რა ხდება იმ სახში, რა ყატაყუტი უდგათ?“

ყაყ-ი ჭუჭყი. „გ რო ყოველდღე პირ იბანდემ, ეგეთი ყაყი აღარ ედებოდა სახეზე“.

ყაყიან-ი ჭუჭყიანი. „თუ კაცი ნათქვამი არ გესმით, მაშინ უნა გამოიწმინდოთ ეგ ყაყიანი ყურები“.

ყაყვია აყლაყულა. „ერთი ყაყვია კაცი დაგვემგაზვრა და ძლივად ჩაგვიჯდა მანქანაში“.

ყბორგა დიდი ლუკმების ჩადება პირში და ისე ჭამა. „ნელა, შვილო, რა არი ეგე ყბორვა, დაქიმითული ქვეყნიდან ხო არა ხარ მოსული, არ დაიხრჩო“.

ყელ-ი: ყელის ჩამოსვლა ლოდინით დალდა. „ჰა, არ გაკეთდა საჭმელი; ყელი ჩამოვიდა უკვე.“

ყერყეტი-ი უტვინო, ჩერჩეტი. „ნეტა როდემდე უნა იყო ემ ბიჭი ესეთი ყერყეტი.“ 2. უსაქმოდ სიარული, ხეტიალი. „თუ გინდა, რო გამოგივიდე რამე, მაგ ყერყეტი ეხლავე თავი უნა დაანებო და საქმე მოგიდო ხელი.“

ყერყეტი ვინც აქეთ-იქით დაყერყეტებს. „რაო მაგ ყერყეტამ, მოვალო?“

ყვაგის საყდარ-ი იგივეა, რაც ოხერეკლესია. საკმაოდ ხშირად გვხვდება ტოპონიმიში. „მანდ სუ ყვაეები სხედან და იმიტომ ვეძახით ყვაისაყდარ.“ არსებობს სხვა გადმოცემაც: „ჩვენ წინაპრეფს აღრე მანდ ყანები მთესებიათ, ერთხელაც, ყანი მკი ღრომ, როცა მზარეული მომკელეფს საჭმელ უმზადებდა, უხსენებელი შეუმჩნევლათ ჩამძვრალა ქვაფში, იქვე ყვაი მჯდარა ხეზე და ემ ყველაფერი დაუნახია. თურმე რამდენჯერმე დცადა ქვაფთან მისვლა და უხსენებელი ამოღება, მაგრამ მზარეულ ჯოხი სროლით გაუფთხნია. ბოლომ აღუღებულ ქვაფში ჩავარდნილა ემ ყვაი და ჩაფუფქულა. ამ ოხერმა ყვაემა ამოღოლა ხორცი გამიტილაო და ქვაბი გადაუღვრია მზარეულ. გადაუღვრია და თურმე რასა მხედამს, უხსენებელი არ არი შიგა?! მომკელებითვინ დაუძახნია და უჩვენებია ემ ყველაფერი. ყვაი საქციელით გაოცებულ ჩვენ წინაპრეფს მაღლიერები ნიშნათ იმ ადგილამ თავიანთი გადამჩრენელისათვის საყდარი აუშენებიათ და „ყვაისაყდარი“ დაურქმევიათ.“

ყვაგს დააჩხავლებ-ს ძალიან მტყევა. „ემ რა ღვინო მოგვიტანა, კაცო, ემ ხო ყვაე დააჩხავლეფს.“

ყველაყისამ: (შენი, მაგის, იმის, თქვენი, იმათი) ყველაყისამ სიტყვის მასალაა. როცა ვისიმე სიტყვა, ნათქვამი, აზრი არ მოსწონთ, მაშინ იტყვიან ხოლმე: „როგორ არა, იმი ყველაყისამ!“, „ხო, შენი ყველაყისამ, მოგართმევნ!“ „იმათ ყველაყისამ, სხვა რალა უნდათ?!“

ყველის დედა ღვრიტა, კვეთი. „ყველი დედა ქორფა ბატკნი კუჭისაგან ვაკეთეფთ. მარტო ხსენი რო აქ ნაწოვი, ისეთი ბატკანი თუ მოკვდება, იმამ კუჭ ამოვაცლით და მზეზე გავახმოფთ. ეხლა აფთიაქში ვყიდულოფთ ყველი დედა, თუმცა ამობენ, ეგეც ბატკნი კუჭისაგან არიო დამზადებული.“

ყველანაირ-ი ხეიბარი. „ყველანაირ ისეთ ხეიბარ ვეძახით, რომელსაც ხელიც აკლია, ფეხიც, თვალიცა და თან ყრუვიც არი. ერთი ეგეთი კაცი ჩვენცა გყყანდა სოფელში.“

ყვინტლ-ი სქელი წვინტლი. „შენოდონა ბიჭ ყვინტლი მოშორება კი უნა შეებლო.“

ყვინტლიან-ი წვინტლიანი, ვისაც ყვინტლი ჩამოსდის. „ეა ყვინტლიანი, ესა, ესეც რო კაცეჟში ეჩრება!“

ყვიტყვიტა მოფურ. იხვი. უფრო ბავშვები ედახიან. „ნახე, ბაბომ რამდენი ყვიტყვიტა მყავ.“

ყიშიყიშ-ი ბლენძვა, მედიდურობა, ლაბაბის ჩამოშვებით ლაპარაკი. „გამოვა ბირჯახზე, უშნოთ გაიბლინძება და დაიწყევს ყიშიყიშ.“

ყიშიყიშებ-ს იბლინძება, მედიდურობს, ლაბაბჩამოშვებული ლაპარაკობს. „ისე ყიშიყიშევს, თითქომ არ ვიცნობდეთ ან ვინ არი, ან რაა წარმოადგენდეთ“.

ყინვა-ყიამათ-ი საშინელი სიცივე. „სად მიმდიხარ, რო მიმდიხარ, ამ ყინვა-ყიამათში ძალლი არ გაიგდება გარეთ, არათუ აღამიანი.“

ყინვა-ყიამათ-ი იგივეა, რაც ყინვა-ყიამათი.

ყინჩ-ი თამამი, მედიდური, ბლენძია, შარიანი კაცი. „დაანებე, შვილო თავი, ხო იცი, ვგ რა ყინჩიც არი, შარ არ გადაეყარო რამე.“

ყინჩობს თამამობს, დიდ გულზეა. „მაგიდ ამბავი ხო იცი, სუ ეგე ყინჩოფს.“

ყინწი სძვრებ-ა ეძინება. „ნახე, ყინწი მძვრება და ამ ოხერ ტელევიზორ თავ მაინც არ ანებეფს.“

ყინწის წაძრობა 1. ძალიან დათვრობა. „მაგან სუ ეგე იცი, სანამ ყინწი არ წამძვრება, მანამ არ ადგება სუფრიდან. 2. ძილის მორევა. „აღარ შამიძლიან, ისე მეძინება, რამის არი ყინწი წამძვრე.“

ყინწოლა იგივეა, რაც კინწოლა.

ყიტყიტი-ი ყვიტყვიტი. ბატების, იხვების ხმიანობა. „იქ რა დაგასკვნეფს, თელი დლე იხვები ყიტყიტი რო გესმი.“

ყმაწვილ-ი პატარძალი (რძალი) მაზლის, ქმრის ნათესავი მამაკაცების სახელებს არ ამბობდა. მორიდებულ საუბარში იგი „ყმაწვილოთი“ მიმართავდა მათ. „ყმაწვილო, დაგვდეთ პატივი და გვესტუმრეთ ოჯახში.“ „ყმაწვილო, ხო კარგათა გყავთ მეუღლე და შვილები?“

ყმენდვა დიდი ლუკებით პირის გამოტენა; ხარბად ჭამა. „ეა დაესილი, თითქომ დამშეული ქვეყნიდან იყო მოსული, მაშინვე ინდაურივით დაიწყევს ხოლმე ყმენდვა.“

ყოფს! 1. კამერის ხმიანობა. 2. კამერის მოსახმობი შეძახილი.

ყოყინ-ი კამერის ხმიანობა. „მომშივლება თუ არა, მაშინვე საცოდავ ყოყინ დაიწყებს ხოლმე ჩვენი მერცხალა კამერი.“

ყოყინა კამერის მოფერებითი სახელია. „აი, ჩვენი ყოყინაც მოვიდა.“

ყოყინებ-ს კამერი (ზაქი) ხმიანობს. „ყოყინ“ იძახის.

ყოტ-ი მწვანილის: წიწმატის, ოხრახუშის... ალაღებული ღერო. „ეჲ ყოტები რო მოგიტანია, რათ გინდოდა, უკვე დამწარებული იქნება.“

ყოყლიაობ-ს ყოყრობს, ქედმაღლობს. „ერთი მითხარ, მაგ ბიჭ რა თავი მოაქ, რასა ყოყლიაოფს.“

ყოყლიაობა — ყოყრობა, ქედმაღლობა. „ნეტა მაგან ევე უშნოთ არ იცოდენ ყოყლიაობა.“

ყრანტ-ი ყანყრატო. „ი ოხრათ დასარჩენი ძალღი, მგელი ხო არ იყო, ყრანტში რო ეცა ამ ხბომ და გამაგლიჯა.“

ყრანჩ-ი ძალიან ბებური (აღამიანი). „მეველეთ ერთი ყრანჩი კაცი დაუყენებიათ.“

ყრანჭ-ი იგივეა, რაც ყრანტი. „მაგითანამ ყრანჭში უნა იწვდე და მოუგრიხო.“

ყროყინ-ი ვირის ხმიანობა. „ყოყინი ვირმა იცის, ყოყინი კი კამერმა.“

ყროყინებ-ს ყროყინის ხმას გამოსცემს. „ამ ჩვენი მეზობლი ვირი მართლა ყოველი ერთი საათი შემდეგ ყროყინეფს.“

ყრუგ-ი ყრუ. „ისე ყრუვია, მაგრამ, როცა სამაგისოთა ლაპარაკობენ, ყველაფერ კარგათ იგეფს.“

ყუაზე დაყვანა 1. გაღევა, გაცვეთა. „ეჲ ცელი უკვე ყუაზე დაყვანილი, სანამ არ გატყდება, ახალი არ უნა იყიდო?“ 2. საქმის ბოლომდე მიყვანა. „ახლა თავი დანებება არ იქნება, საქმე უკვე ყუაზე დაყვანილი.“ 3. გაუბედურება, მოღნობა. „შვილები ღარღმა ყუაზე დაიყვანა ემ საწყალი ქალი.“

ყუვი-ს: მიყუვის ჩუმაღ მტკივა. „მუცელში რაღაცა მიყუის.“

ყუვიღ-ი ჩუმი ტკივილი. „არ ვიცი, რა მაწუხეფს, რაღაცა ყუილი მაქ მძვლეფში.“

ყუნტვა ერთ ადგილას დგომა „თელი დღე ბირჯაზე იყუნტა, აბა, ეგ ოჯახს შაინახამს?“

ყურბანა 1. ყურბელა. „ბავშუ გაუფთხილღი, ემანდ ყურბანა არ შუაძერეჲ ყურში.“ 2. ურჯულო, გამოუსვლელი. „ერთი ყურბანა ვიღაცა მოგვიყვანეჲ უფროსათ და ვერაფერ ვაგებინეფთ.“

ყურყურ-ი წყლის ხმიანობა, ჩხრიალი. „ჩვენი სახლი გვერდით ერთი პატარა რუვი ჩამოდიოდა და ყურყურით გვატკბობდა.“

ყურყურა პატარა წყაროს, რუვის, ნაკადულის ეპითეტია. ხშირად გვხვდება ჰიდრონიმიში, წყაროთა სახელწოდებებში.

ყურყურებ-ს ყურყურის ხმას გამოსცემს, საამოდ ხმიანობს. „ჩირდილში რო ჩამოჯდება კაცი და ყურ მიუგდეფს, როგორ ყურყურეფს წყარომ წყალი, ამაი განა რამე შეედრება?!“

ყუყუნ-ი ჭრილობის (მუწუკის) ქვეშ ჩუმი ტკივილი. „ისე აღარა მტკივა, ეტყობა უკვე მირჩება, ჭრილობი ქვეშ ჩუმ ყუყუნსა ვგრძნოფ.“

ყუყუნებ-ს ყუყუნი გააქვს, ფუთფუთებს (კანქვეშ). „თელი კვირა საშინლათ მაწუნებდა ეა ჭრილობა, ორი დღეა ოდნავდა ყუყუნეფს!“

შავად და ბნელად გადატ. ცუდად, უბედურად, ბელუკულმართად. „აბა, კარგი რა ნახა მაგ საცოდავმა, შავათ და ბნელათ გაატარა თელი ცხოვრება.“

შავდაუკულმა უკულმა, უკულმართად. „მე რა უნა უთხრა, ისე გაატარომ წუთისოფელი, როგორც ჩემი ცხოვრება წაიყვანა შავდაუკულმა.“

შავდღეობ-ს ცოდვილობს, თავი გააქვს. „აბა რა ქნამ, როგორც ყველა, ეგეც შავდღეოფს და ისე არჩენს შვილფუს.“

შავდღეობა ცოდვილობა, გაჭირვებით თავის გატანა. „ნეტა როდემდე გავიტანთ თავ ესე შავდღეობით?!“

შაფერდა შავი და ლამაზი (კამერი). „ჩვენი შაფერდა კამერი რო ჩამოგვართვედა და კოლმეურნეობაში წაიყვანემა, ნაჩვევზე ისევ ჩვენთან მოდიოდა ხოლმე საღამოობით.“

შაქქალა გავგვრემანი; შავთვალწარბა. გადაატ. მოფერ. ლამაზი, მშვენიერი. „ემ შაქქალა ჯერ კიდევ არ გავითხოვებიათ?“

შამან-ი ჩირქნარევი სისხლი. „საწყალმა ძლივამ არ დაისვენა, ან კი როგორ უძლებდა, რამიმა ერთი ლიტრა შამანი წამოუვიდა.“

შანშვლა მიყრა-მოყრა აქა-იქ დაყრა (თივის, ფურჩის, ფინჩის) „მაგ შეშიმა ეგე შანშვლა თუ მინდოდა, თქვენ რაღაში მჭირდებოდი, მე თითონ ვიზამდი.“

შანშლაფ-ს აქა-იქ ყრის, ფანტავს. „მანქანაზე ისე უხეიროთ დაუდვია თივა, მოაქ და თელ გზაზე მშანშლამს.“

შაშიბეშა ელაში; ვისაც თვალები აქეთ-იქით გაურბის. „დაუჭყყეტია ემ შაშიბეშა თვალები და შაიფურფუს ამ გოგუფუს.“

შეაკოსებ-ს შესვამს, შეასკუბებს. „ამ ერთი ციცქნა ბაღღ ამსიმაღლე სკამზე რო შაკოსეფ ხოლმე, არ გეშინიან, რო ჩამოვარდე?“

შეალაჯუნებ-ს უპატივეც. დიდი ნაბიჯებით შვეა, შეალაჯებს, შეაბოტებს. „მაგან არც სირცხვილი იციო და არც მორიდება, საღამ მოეპრიანება, იქ შალაჯუნეფს ხოლმე.“

შეაყელთებ-ს თავს მოაბეზრებს, გულს გაუწყალებს. „მიდი, როგორმე გარეთ გამაიყვანე ეგ შატაბუტა, თორე ისე შააყელთეფს სტუმრეფს, აქედან გაგვიქცევს.“

შებორბვლა უშნოდ შეხვევა; შეფუთვანა „მითომ ეგეც ექთანია, ესე შებორბვლა ხო მეც ვიცი“.

შებორბლაგ-ს უშნოდ დაახვევს, ცუდად შეფუთავს. „შენ გამართვი, თორე ეგ ისე შამბორბლამს, რო მალევე გამეხსნება.“

შებორბლი-ს იხ. **შებორბლავს**.

შებორბლილ-ი უშნოდ შეხვეული, ცუდად შეფუთული. „თელი დლე შებორბლილი თავით დადიოდა.“

შებუხუნება გაწყრომა, შებღვრა. საყვედურის თქმა. „მაგან ისეთი შაბუხუნება იცი, კაც გული გაუსკდება“.

შეეკვეთებ-ა შეერევა. „ამ გასაქრობმა გოგომ სულ არ იცი მორიდება, ყველამ მაშინვე შეეკვეთება ხოლმე.“

შეეჯაბრებ-ა ჯიბრს, ინაღს გაუწევს. „აბა, მაგაზე როგორ ვიფიქრებდით, თუ ძმასაც ესე შეეჯაბრებოდა.“

შეეჯაგახებ-ა შეეკამათება; კამათის ღროს არაფერს რომ არ დათმობს. „არა, ძმაო, ორი თავი კი არ მამია, მაგამ ვეღაო, ვისაც ეგ შეეჯაგახება, ხო იცით, წასულია იმი საქმე“.

შეთანთქვლა უცბად შეჭმა (ცხელი პურის, მჭადის) „რა იყო, ეგე უცებ შეთანთქვლა, უკან ვინ მოგდევდა ნეტავი.“

შეთანთქლაგ-ს უცებ შეჭამს (ცხელ-ცხელ პურს, მჭადს) „ხო იცი, ეგ რა მგელიც არი, სანამ ბოლომდე მოიხდი თონეა პურ, ორ ცალ იქვე შამთანთქლამს ხოლმე.“

შეთანთქლული-ი უცბად შეჭმული (ცხელ-ცხელი პურის, მჭადის) „სხვამ რო ჯერაც არ უხლია ხელი, მაგამ უკვე შეთანთქლული აქ ხოლმე.“

შეთქვირდებ-ა 1. გასუქდება. „რა გერქარება ამ მოზერი გაყიდვა, ამოტოლა საჭმელი გვაქ, ვაჭამოთ და კარგათ რო შათქვირდება, მაშინ წაიყვანოთ ბაზარში“. 2. გადატ. დაქალდება, შეივსება (გოგო). „მაგათი გოგოები შათქვირდებიან თუ არა, მაშინვე გაათხოვებენ ხოლმე.“

შეთქვირება 1. გასუქება. „დეკეულმა შათქვირება დაიწყო თუ არა, მაშინვე მუსტარი დაგვეხვა და ჩვენც რალა გვექნა, გაყვიდით“. 2. გადატ. დაქალება. „რა იყო, გენაცვათ, შათქვირება არ აცალე, ისე გაათხოვე.“

შეთქვირებული-ი 1. გასუქებული. „აე შათქვირებული ძროხა ვისია ნეტავი, ძან მამეწონა“. 2. დაქალებული, შევსებული „ნახე, რა შათქვირებული გოგოები არიან.“

შეიბორბლაგ-ს უშნოდ შეიხვევს. „შენ შაუხვით, თორე, ხო იცი, ეგ ისე შამბორბლამს, ხუთ წუთში წაიძვრება ხელიდან.“

შეიქაქანებ-ს ცოტას შეისვენებს. „**ე** კაცი მუშა კი არა, მგელია, მგელი. ამაი ვინ გაუძლეფს. ნახე, ცოტამ შაიქაქანეფს თუ არა, მაშინვე ცელ დაძტაცეფს ხოლმე ხელსა.“

შეკვეთა შერვევა, მიჩვევა. „**ი**ქ დიდხან ნუ გააჩერეთ ამ სანაცილე გოგომ, თორე ისეთი შაკვეთა იციბ, იქიდან ფეხ ველარ მაცვლევენიეთ.“

შეკვეთილ-ი შერვეული, მიჩვეული. „**ე** შვილიშვილები ისე არიან ბაბოითან შაკვეთილები, თავ იკლავენ, ისევ იქ გვინდაო.“

შეკმენჩაგ-ს ცუდად შეაჭრის (შეჭრის). „**არ** მომწონს მაგიმ შეკერილი შარვალი, ხან ისე შამკმენჩამს ხოლმე, ჩაცმა შეგეზარება.“

შეკმენჩვა ცუდად შეჭრა. „**ამ** პოჯაკიმ ესე შეკმენჩვა რაღა იყო, შე კაი კაცო, ნაჭერი არა გყოფნიდა თუ რა?!“

შეკმენჩილ-ი ცუდად შეჭრილი. „**ესე** საზიზღრათ შეკმენჩილი კასტუმი როგორ უნა ჩაიცვამ კაცმა.“

შეკოსება მალლა შეჯდომა. „**ჩამო**, გოგო, მაგ ხიდან, პატარასავით რატო გიყვარს მაგსიმალლეზე შეკოსება.“

შეკოსებულ-ი მალლა შესმული (შემჯდარი). „**აი**, სადა ყოფილა ემ ბალლი შეკოსებული.“

შელაღაგ-ს შერეკავს. „**ძროხეფს** შამალაამს ტყეში და მაგრა დააძლოფს ხოლმე.“

შელაღვა შერეკვა. „**სალამოზე** გომში ცხერები შალალვა არ დაგავიწყდემ.“

შელაღულ-ი შერეკილი. „**საქონელი** უკვე შელაღული და დაბინავებული მყავ.“

შემგლიფერდებ-ა შელამდება, მოსალამოვდება. „**შამგლიფერ-**დება თუ არა, მაშინვე გამორეკე საქონელი ტყიდან.“

შემგლიფერება მოსალამოვება, შებინდება, „**შამგლიფერება** დაიწყო და ჩვენც ხელი ავიღეთ მუშაობიდან.“

შემგლიფერებულ-ი მოსალამოვებული, შებინდებული. „**ჯერ** შამგლიფერებულისც არ იყო, მგელი რო დაგვერია ფარაში.“

შემოაღაჯუნებ-ს შემოალაჯებს, შემოაბოტებს, დიდი ნაბიჯით შემოვა. „**წავა-წამოვა** და ისევ ჩვენთან შემოალაჯუნეფს.“

შემოჯალჯაგ-ს ჯალჯით შემოლობავს. „**ყოველ წელიწად** შემოიჯალჯამს ხოლმე კენახ, მაგრამ საქონელ მაინც ვერ იმაგრეფს.“

შემოჯალჯვა ჯალჯის შემოვლება, შელობვა. „**სანამ** ყურძენში თვალი შევა, შემოჯალჯვა უნა მოვასწროთ.“

შემთავალჯულ-ი ჯალჯით შემოღობილი. „კაი პატრონი იმასა მქეა, ვისაც ვენახი ყოველთვინ დაბარულ-გათოხნილი აქ და მაგრათ შემოჯალჯულიც.“

შემრეშეა თვალის შესვლა, მწიფობის დაწყება. „ამ ბალ შემრეშეაც არ აცალემ, სუ ერთიანათ გაულოჭათ.“

შემრეშილ-ი თვალშესული, მწიფობადაწყებული; შეწითლებული. „მაჯობა შემრეშილი პამინდორი მომკრიფო, სანამ ქალაქ ჩაიტან, გზაში დამწიფდება.“

შემღვრევა იგივეა, რაც შემრეშეა. „ბლეს შამღვრევა დატყოფ თუ არა, ყარაულათ უნა დაუდგე, თორე ემ უბნი ბაღლები ძირიანათ მომღვრევაქამენ.“

შემღვრეულ-ი იგივეა, რაც შემრეშილი. „ვენახი უკვე მაგრათ არი შემღვრეული, თუ ესეთი სიცხეები დაიჭირა, ორ კვირაში რთველი გვექნება.“

შენოტოლა 1. შენი ასაკისა, შენი ტოლი. „შენოტოლა რო ვიყავი, უკვე ვმუშაობდი და მონაგარი შემომქონდა სახში.“ 2. იმდენი, რამდენიც შენ გაქვს. „შენოტოლა შემოსავალი რო მქონდემ, ამ გატიალებულ ვენახევს ისევ დავაბუშავებდი.“

შეპარულა 1. ბიჭბატკანი. „ემ შეპარულა სააღღვომოთ კაი ფასათ გაიყიდება“. 2. ირონ. მშობლებს გარეგნობით რომ არ ჰგავს შვილი, იმაზე იტყვიან ხოლმე: „მაგათში ევეთი არავინ არ არი, ეგ რაღაც შაპარულა იქნება ნამღვილათ.“

შეჟიჟინდება-ა ოდნავ შეთვრება, წამოწითლდება. „ახლა უთხარ, რაც გინდა, თორე ესენი რო შეჟიჟინდებიან, მერე ველარამ გააგონეფ.“

შეჟიჟინება 1. ოდნავ შეთრობა, წამოწითლება. „შეჟიჟინებაც ვერ მოვასწარით, ისე მალე ავიშალენით სუფრიდან.“ 2. შეცეება „ცოტა შემაჟიჟინა, თბილათ თუ არ ჩავიცვი, გავცივდები.“

შეჟიჟინებულ-ი შემთვრალი, წამოწითლებული. „ჩვენ რო მივედით, ისინი უკვე კარგათ იყვნენ შეჟიჟინებულები.“

შეჟუნჟრუკდება-ა ოდნავ შეთვრება, კარგ ხასიათზე დადგება (სასმელისაგან). „დიდებული ხასიათი აქ პაპაჩემ, ერთ-ორ ჭიქა ღვინომ გადამკრამს დილით, შეჟუნჟრუკდება, მერე გავა ვენახში და თელი დღე ჩუჩუნეფს თავითვინ.“

შეჟუნჟრუკება ოდნავ შეთრობა, კარგ ხასიათზე დადგომა. „მაგათი ყურება ჩვენ არაფერ არ გვარგეფს, მაგათ უკვე მოუსწვრიათ შაჟუნჟრუკება.“

შეუწუნურუკებულ-ი ოდნავ შემთვრალი, კარგ ხასიათზე ღამდგარი. „ერთი მასწავლებელი გვყვანდა, ყოველთვის შეუწუნურუკებული შემოდოდა გაკვეთილზე“.

შეუბუხუნებ-ს შეუბღვერს, წყრომით ეტყვის საყვედურს. „მაგან დიდი და პატარა არ იცის, ყველა მამე უკმეხათ შეუბუხუნეფს ხოლმე.“

შეულალაფ-ს შურეკავს. „ჩვენი ცხვრები ვილაცამ გომში შეულალამს და დაუმწყვდევი.“

შეუფრენ-ს ზოგიერთი მორწმუნე ადამიანი ქათამს კი არ დაკლავს, არამედ ცოცხალს წაიყვანს და ეკლესიის ეზოში გაუშვებს. ე.ი. სალოცავს ქათამს შუფურენს, ამაზე ამბობენ, ეს ძველისძველი წესიაო.

შეუწვერდებ-ა აუხირდება, საჩხუბრად გაიწვევს. „რა ცუდი ხასიათი დამყვა ამ ბიჭ, არ ისვენეფს, ენახამ და ხან ვის შაუწვერდება და ხან ვისა.“

შექაქანება შესვენება. „ერთი წუთით არ გვაცალა შექაქანება, ისევე წამოგვყარა და გზამ გაუღეით.“

შე-მ-ღირღიტებ-ს შეჰყურებს. შესცქერის. „თელი დღე გდია ბირჯაზე და ყველა მთვალეში შეღირღიტებს.“

შეყელთდებ-ა შებერზდება, შეწუხდება. „გაჩუმდი, შე კაი ადამიანო, რა დეგმართა, სანამ არ შეყელთდებიან, მანამ თავი არ უნა დაანებო?!“

შეყელთება შებერება, შეწუხება. „მე რო დავახლოვდება, შეყელთება მერე იკითხე!“

შეყელთებულ-ი თავშებურებული, შეწუხებული. „მაგამ ვილა არა მყავ შეყელთებული.“

შეშიბეშა იგივეა, რაც შაშიბეშა. „შეშიბეშა არიო, ჯარში არ წაიყვანე და სუ ათიანეში კი არტყამს.“

შეშმიშ-ი მოსულელი. „შენ შეშმიში ხო არა ხარ, რეფსა მლაპარაკოფ?“

შეწვერება შარის მოდება, ჩხუბის წამოწყება. „ჩემთან არ გაგივა მე ყინრობა და შეწვერება.“

შეწურთენა გასხვლა, ტოტების შეჭრა. „გასხვლა ვაზ უნდა, შეწურთენა კი ხეხილ: ვაშლ, მსხალ და ატამ.“

შეწურთნი-ს გასხლავს, ტოტებს შეაჭრის. „მამაჩემი მარტში შეწურთნის ხოლმე ატმეფს.“

შეწურთნილ-ი გასხლული, ტოტებშეჭრილი. „შეწურთნილი ხეხილი რო გაყვავდება, პატარძალ დაემგვანება ხოლმე.“

შეწურთხულ-ი იგივეა, რაც შეწურთნილი.

შვიდათშვიდ-ი მხოლოდ შვიდი. „ორ გამოსაშვებ კლასში შვიდათშვიდი ბიჭი ვიყავით.“

შვიდ-ი ვაჟი, ვაჟიშვილი. „პაპჩემ სამი შვილი და ორი ქალი იყვნდა.“

შვილიშვილ-ი შვილის (ვაჟის) შვილი. „ბაბო ჩვენ გვეძახდა შვილიშვილევს, ჩემ მამიდაშვილევს კი, გოგოევსაცა და ბიჭებსაც, ქალიშვილევს ეძახდა.“

შვინდლარწა შვინდანწლა. მცენარეა, ბურქად იზრდება. ფოთოლი შვინდის აქვს, ნაყოფი — ანწლის. „შვინდლარწა უვარგისი მცენარეა, ღობეთ ეგ არ ვარგა და ნაყოფი არ იჭმევა. ჯოხათ თუ მოვჭრით ხოლმე.“

შიგნითა პირ-ი კედლის შიგნითა მხარე. „კალატოზი გარეთა პირზე სუ დუზან ქვამ აწყოფს ხოლმე. კარგად რო გამოჩნდებ, შიგნითა პირზე კი რაც მომხვდება, იმამ დამდევს.“

შიგნიშიგან სულ შიგნით, ძირფესვიანად „ყველაფერი გავსინჯეთ, შიგნიშიგან გავჩხრიკეთ და ვერაფერი ვერ ვიპოვეთ.“

შიშიბრიქ-ი დანიწვერობის ერთ-ერთი ილეთი. „ყველაზე ძნელი სათამაშო ილეთი შიშიბრიქი იყო. დანა წვევრით უნა დაგეჭირა და ისე აგესროლა მაღლა, რათა ჰაერში ამოტრიალებულიყო და წვევრით დარჭობილიყო მიწაში.“

შიშლიკანა შიშველ-ტიტველი. „ბავშვობაში სუ შიშლიკანები დავბობდით, მაგრამ ერთხელაც არ გავციებულვართ.“

შლაპან-ი: შლაპანის შოდენა დახტომისას ხმის გამოცემა. „იშვირა ფეხი და უცეფ შლაპანი მოადინა.“

შლარტაშლურტ-ი ხმაურით, ტანსაცმლის ფხაკუნით სიარული ფიჩხიანში. „უცეფ ვიდაცამ შლარტალურტით გაიარა.“

შლარტუნ-ი იგივეა, რაც შლარტაშლურტი. „უხმაურით უნა იაროთ, თორე შლარტუნი კურდღელ კი არა, ბუნაქში დამინებულ დათვ გამაღვიძებს.“

შლევა, შლევა ბალახ-ი სარეველა ბალახია. ყანებში იცის. პირუტყვს ძალიან ვნებს. „შლევა უჭამია ცხვარ და ძანა გააცხელა.“

შლევა ბალახი იხ. შლევა.

შლევიან-ი ადგილი, სადაც შლევა ბალახია მოდებული. „შლევიანში დიდხან არ ამოვო საქონელი, ავით დახდებიან.“

შოლტ-ი: შოლტიფით გოგო, შოლტიფით ბიჭი მაღალი, ტანწვრილი, ტანწერწეტა. „ნახე, იმ ფეთხუმ რა შოლტიფით გოგო

მოუყვანია ცოლათ.“ „ქართულ ჭიდაობამ შოლტივით ბიჭი უხდება.“

შორობ-ს ეშორება. „ეგ იმითვინა შოროფს, ფული რო მეტი გამოგვართოდ.“

შოშია გზა მოკირწყლული, ნაკეთები გზა. „ტყვიდან რო გავვლით, დავადექით შოშია გზასა და თელი დღე ისე ვიარეთ, ერთი არსად არ შავვიქაქანებია.“

შრატძაღღ-ი სალანძღავი სიტყვაა, იგივეა, რაც რძეძაღლი. ავი, კაპასი, ანწხლი, მსუბუქი ყოფაქცევის, უვარგისი ქალის მისამართით იტყვიან: „ეგ ისეთი შრატძაღღია, მაგისაგან ყველაფერია მოსალოდნელი.“

შრამაშრუშ-ი შრამუნი, შრიალის ხმა; შარიშური. „ეგ რა კაბები აცვიათ ამ ქალიშვილფეს, ესე შრამაშრუში რო გაუდის?“

შრეტა მოცდენა; ხელის შეშლა (საქმეში). „თელი დღე სუ ესე უსაქმით ვზივარ და ვიშრიტები.“

შუაბომ-ი მთავარი ბოძი, დედაბოძი. „ადრე ბანიანი სახლები ედგათ სოფელში, ჩუქურთმიანი ბოძებით დამშვენებული, განსაკუთრებით შუაბომზე იყო ლამაზი ჩუქურთმები.“

შუადღიგულ-ი შუადღე. „ამ შუადღიგულზე გარეთ რო დარბიან ემ ბავშვები, ემანდ მზემ არ დაძკრათ, ყველანი შინ შემოიყვანე.“

შუალაგორა გორებს შორის მოქცეული გორა. ეს სიტყვა ხშირად გვხვდება ტოპონიმიში. სამგორის ერთ-ერთ გორას, რომელიც შუაში მდებარეობს, „შუალაგორას“ ეძახიან.

შუალამეხრე ექვსუღელა გუთნულს სამი მეხრე ჰყავდა. პირველი მეხრეს გუთნითავის მეხრე ერქვა, მეორეს — შუალამეხრე, მესამეს კი — წინამეხრე „მესამე უღელზე მჯდომ მეხრემ შუალამეხრემ ვეძახდით.“

შუალამე ძალიან შავი. „ეგ პატარძალი ნამდვილი შუალამეა, ეტყობა, ბავშვობაში ფიცინი აქ ნაჭამი.“

შუბლიხე სახლის წინა ბოძებზე გადებული ხე, რომელზეც კოჭებს თავებს უწყობენ. „შუბლიხე მაგარიც უნა იყომ და კარგათ გარანდულ-მოჩუქურთმებულიც, რადგან გამოსაჩენ ადგილზე დევ.“

შუბლის ძარღვის გაწყვეტა სირცხვილის გრძნობის დაკარგვა. „ემაგ უნამუსომ რა უნა ველაპარაკო, დიდი ხანია შუბლი ძარღვი აქ გაწყვეტილი.“

შუბლძარღვგაწყვეტილ-ი უსირცხვილო, უნამუსო „რალა პირით მოვიდა ჩვენთან ეგ შუბლძარღვგაწყვეტილი, ევა?“

შუბლურ-ი დანისწვერობის ერთ-ერთი ილეთი. დანას სიბრტყით ისე მიიღებენ შუბლზე, რომ წვერი ზემოთ ჰქონდეს, მერე შუბლზე ჩამოცურებით დანას მაგრად დაიქნევენ და წვერით მიწაში ჩაარჭობენ.

შურება აჩქარება. „**ეა** საქმე ძან მეშურება.“ „**დარჩით** ციტახან კიდევე, რა მოხდა, სად გეშურებათ ეგე.“

შუშუტ-ი გულღრუ ფოხი. დაცინვით ადამიანზეც იტყვიან: „**შუშუტია**, მაგა გული როდი აქ.“ მეტსახელია კაცისა.

შხებშხება ლამაზი თვალწარბისა და წამწამების მქონე ადამიანი. „ერთი შეხედე, რა **შხებშხება** გოგოა.“

შხეება დაღვრილი სითხის (წყლის, ღვინის, რძის) გადაწმენდა, აღება, ამშრალება. „**მოიცა**, გავიაროთ, რაღა ეხლა მოგინდა მაგ გუბეები **შხევა**.“

შხეებაგ-ს დაღვრილ სითხეს (წყალს, ღვინოს, რძეს) ხელით, ცოცხით წმენდს, იღებს, ამშრალებს. „**დამდგარა** და **ამოდონა** წყალ ხელითა **მშხევა**მს.“

შხეებლა წკებლა. „**აიღე** **შხეებლა** და ემ ბატკნები აქედან გარეკე.“

შხეებლაგ-ს წკებლავს. „**ყოველდღე** ჭკუაში არიგეფს, **ზოგჯერ** **მშხეებლამს** კიდევაც, მაგრამ იმ რეგვენ მაინც ვერა შაასმინა რა.“

შხიბშხიბ-ი ცხიბეულის დნობისა და წვის დროს გამოცემული ხმა. „**ტაფაზე** **შხიბშხიბ** რო დაიწყებს ზეთი (ქონი), დაჭრილი ხახვი მაშინ ჩააყარე.“

შხიბშხიბებ-ს შიშხინებს, შხიბშხიბი გაულის. „**ცოტა** შორ დაღეკი, თორე ისე მაგრა **შხიბშხიბეფს** ემ ქონი, **ტანისამოსზე** შეგესხურება წვეთები.“

ჩააბრასტებ-ს ჩაარტყამს. „**ე** ბიჭი რა უჯიგროა, ნახე, თავი და-ძმეფს როგორ დაუნდობლათ ჩააბრაძტევს ხოლმე.“

ჩაადღლოვებ-ს ძალიან დაამწიფებს ხილს (ქლიავს, ჭერამს) „სანამ არ ჩაადღლოვებენ და არ გააფუჭებენ, მანამ კი არ მოადკრეფენ ხოლმე ამ ქლიავ.“

ჩაალაღვინებ-ს ჩაარეკინებს. „მენახირეც ესეთი უნდა, აი, პატრა ბიჭეფს ხეში ჩაალაღვინეფს საქონელ, თითონ კი ჩირდილში წამოწვება და დაიძინეფს!“

ჩაალორთხებ-ს ძალიან დაასველებს (შარდით). „ბავშვ მიძხედე და გადააყენე, სანამ ლოგინ ჩაალორთხებდე.“

ჩაამწიფებ-ს ჭურჭელში ჩაყრის და ისე დაამწიფებს. „ერთი მსხალი გვიდგა, სანამ ყუთში არ ჩავაწყოფთ და კარგათ არ ჩავამწიფეფთ, კი არ იჭმევა.“

ჩააჟიებ-ს იგივეა, რაც ჩალორთხებს. „სანამ არ ჩააჟიეფს, მანამ არ უნა მიძხედოთ ამ ბავშვ?“

ჩააქისებ-ს ჩაჭრის, სანაძლეოს მოუგებს. „სანაძლეო არ დაუდო, თორე ეგ ისეთი ეშმაკია, ჩაგაქისეფს.“

ჩააყვირებ-ს დიდ ჭურჭელში ცოტა რაბეს ჩაასხამს ან ჩაყრის. „ამოტოლა ჭურჭელში ესე ცოტად რო ჩააყვირეფს და გამოგატანს ხოლმე, ეგ გვეყოფა ჩვენ?“

ჩააჩუმათებ-ს ჩააჩუმებს. „არჩვენები წინ ცოტა ფქვილ, ერთ-ორ კილო შაქარ დაურიგებენ და იმით ჩააჩუმათებენ ხალხს.“

ჩააცუხცუხებ-ს ცუხცუხით ჩაიტანს. „საფქვავ წამოიკიდეფს და ხელათში ჩააცუხცუხეფს ხოლმე წისქვილში.“

ჩააწმანინებ-ს ჩააგრებს. „ნახე, ეგ კულრაჭა ყვავილეფს როგორ ჩააწმანინის ხოლმე თმეფში.“

ჩააჭაპნი-ს ჩააწნავს. „შოლტ რო მწნამს პაპაჩემი, ისეთ ლამაზ ფერეფს ჩააჭაპნის ხოლმე, ყურება არ მოგწყინდება.“

ჩააჭოჭებ-ს იგივეა, რაც ჩალორთხებს, ჩააჟიებს. „ამხელა ბიჭმა რამის არი, დამილჰომ ლოგინი, ვნახამ და ჩააჭოჭეფს, რა უყო, აღარ ვიცი?“

ჩაბელტავ-ს პურის დიდ ნაჭრებს და ბევრს ჩაყრის წვნიანში. „ეგე რო ჩაბელტე, როგორ უნა მჭამო, მოდი წვენ დაგიმატეფ.“

ჩაბელტვა პურის დიდი ნაჭრების ჩაყრა წვნიანში. „მაგოდენა პური ჩაბელტვა რათ გინდოდა?“

ჩაბელტილი-ი პურის დიდი ნაჭრებით ამოვსებული წვნიანი. „ბლომათ პურჩაყრილი და ჩაბელტილი ჯამი მზარეულ წინ დაუდგა, წვენი დამიმატო.“

ჩაბრასტება ჩარტყმა; თავში ჩაფარება. „კაი მასწავლებელი გვეყანდა ფიზიკაში, მაგრამ ზოგჯერ ისეთი ჩაბრასტება იცოდა, თვალებიდან ნაპერწკლები გვცვიოდა.“

ჩაბრასტვა დახოცვა. გაწყვეტა. „რა ჭირი ეტაკათ ამ ქათმეფს, ესე ერთიანათ რამ ჩაბრასტა ნეტავი.“

ჩაბრასტულ-ი ერთიანად გაწყვეტილი, ამოხოცილი. „დილით რო შევედი საქათმეში, თელი კრუს-წიწილა ჩაბრასტული დამხვდა.“

ჩაბურდნი-ს თბილად ჩააცმევს. „ძალიან ცივა, ბავშვი მაგრათ თუ არ ჩაბურდნე, გამიცვიდება.“

ჩაბურდნა თბილად ჩაცმა, ჩათბუნება. „გარეთ არც ისეთი სიცივეა, რა იყო ეგე ჩაბურდნა?“

ჩაბურდნულ-ი თბილად ჩაცმული, ჩათბუნებული. „ვინ იფიქრებდა, ისეთი დრო კიდე დაგვიდგებოდა, ლოგინში ჩაბურდნულები ჩავწვებოდით.“

ჩაგანაგ-ს გვერდს ჩაათლის, ჩაუსწორებს (ფიცარს). „ცოტაი კიდე ჩადგანაძს და ზუსტათ ჩაჯდება ფიცარი ფიცარში.“

ჩაგანგა განის ჩაკლება, ჩასწორება (ფიცრისათვის). „რატო მწვალაოფ, ცოტა ჩაგანვა და ეგ შენი ფიცარი ადვილათ ჩაჯდება თავი ადგილად.“

ჩად-ი ჩადუნა, გვიმრა. „მაგ ბალახ ჩვენ „ჩად“ ვეძახით, სკოლაში გავიგე, გვიმრაც რო მრქმევია.“

ჩადის გემო აქვს „წინათ, როცა ფეხითა მწურამდნენ ყურძენ, წვენ ჭაჭა რო არ გადყოლოდა, საწნახელ ყელთან ჩადიმ ბალახ ჩაუფენდნენ ხოლმე, რომელიც ზოგჯერ თავი გემომ აძლევდა. ახლა კი, რაც ემ საწურავი მანქანები გაჩნდა, ჩადი ვილამ ახსომს. „ჩადი გემო აქო“, ისე გაიგე, თითქომ ყელში კარგათ ჩადისო“.

ჩადგმით სუფრაზე (ქორწილში, ქელებში) ხაშლამას ან სხვა კერძს რომ ჩამოატარებენ, იკითხავენ: ეს კერძი ჩადგმით არის თუ ჩამოტარებითო; თუ ეტყვიან, ჩადგმითო, მთელ მათლაფას გამოართმევენ და იქ ჩადგამენ, სადაც იკითხეს, თუ არა, თითო ნაჭერს გადაიღებენ და მათლაფას სხვას გადააწვდიან.

ჩადღლოგება მწიფე ხილის (ქლიავის, ჭერმის, ბლის) ჩაჭყლეტა, ჩაზელა. „თუ ჩადღლოგება არ გინდოდა, ცოტა ადრე უნა მოგეკრიფა“

ჩადღღოვებულ-ი ძალიან ჩამწიფებული ხილი (ქლიავი, ჭერამი, ბალი) „ე ჩადღღოვებული ჭერამი ვილა უნა მივეცეთ, ხო მხედამ გასაწურია უკვე.“

ჩაზეკავ-ს ჩატკეპნის. „ეგ ისე ჩამზეკამს ხოლმე ტომარაში ფქვილ, რომ ძერამ ვერ უზამ.“

ჩაზეკვა ჩატკეპნა. „რა იყო ესე ჩაზეკვა, ტომარა მაინც არ გენანებოდა?“

ჩაზეკილ-ი ჩატკეპნილი. „თელი კვლები ბატკეპნისაგან არის ჩაზეკილი და გატიალებული.“

ჩაზმუკუნება უკმაყოფილების გამოსახატავად რაღაც ბეგრების გამოყოფა. „რაღაცით რო არის უკმაყოფილო, მაგან ყოველთვის ეგე იცის ჩაზმუკუნება.“

ჩათეთქვა ბეგვა, ჩაბუნა, გათელვა. „მაგამ ჩათეთქვალა უნდოდა, ნახე, როგორა ლასლასეფს.“

ჩათეთქვაგ-ს ჩაბეგვავს, ჩაბუნნის, გათელავს. „ჩვენი ბოღარა უბნი ძალღეფს დაერევა და ყველა ერთათ ჩათეთქვამს ხოლმე.“

ჩათეთქვილ-ი ჩაბუნნული, გაბეგვილი, გათელილი. „ჩვენი ძალღი ერთი ათჯერ მაინც ეყოლება მგელ ჩათეთქვილი, მაგრამ ისეთი გულადია, მაინც არ უშინდება.“

ჩათთ მსხვილი, უხეში ბაწრისაგან დაგრეხილი თოკი. „კაი თოკები სუ დამიწყვიტა ამ ოხერმა ძროხამ და ეხლა ჩათთი ვაბამ.“

ჩაიბრასტებ-ა გაიფუფება, ამოწყდება. „თუ წამალი არა ვიშოვე რა, ემ ქათმები სუ ერთიანათ ჩაიბრასტებიან.“

ჩაიზმუკუნებ-ს ჩაიბურტყუნებს. „რაო, რა არ მოდწონს, ეგე რატო ჩაიზმუკუნეფს ხოლმე?“

ჩაიმუხლიკვრებ-ს ჩაიმუხლებს, ჩაიმუხლისთავებს. დაიჩოქებს. „პაპა მაგრა რო დაიღლება ვაზებში მუშაობით, მერე ჩაიმუხლიკვრეფს და ბობღეფს გააცლის.“

ჩაიბრუტუნებ-ს ჩაიბრუტუნებს, ჩუმად ჩაილაპარაკებს. „აღამიანურათ ხო არაფერ გეტყვის, თავითინ რაღაცამ ჩაიბრუტუნეფს, მოდი და გაიგე, რა უნდა.“

ჩაიფაფრებ-ა წინ აეფარება, ჩამოეფარება. „რა ცუდათ ჩამომეფაფრა ემ კაცი, წინ ველარაფერ ვერა ვხედავ.“ „რად ჩაიფაფრები ხოლმე, ცოტა იქით გაიწი!“

ჩაიფურტკენებ-ა ჩაიშლება, გაფუჭდება. „ამსიგრძე ვხად ემ ძრავა ვერ გაუძლეფს, საღღაცამ ჩაიფურტკენება და გაიწვალდებით.“

ჩაიწკრიტებ-ა ჩაიცილება, წვეთიც არ დარჩება. „ნაჭრით არ გინდა გამშრალება, ჭურჭელი დააპირქვავე და წვეთიც არ დარჩება, თავისით ჩაიწკრიტება.“

ჩაიწმანებ-ა ჩაიგრიხება. „კაი გრძელი ბალანია, აი, ნახვე, აქედან რა თოკი ჩაიწმანება.“ გადატ. პრანჭვა-გრეხით გაივლის. „ვისია ი გოგო, დილაობით ამ გზაზე რო ჩაიწმანება ხოლმე?“

ჩაიჭაპნებ-ა ლამაზად ჩაიწვება. „შენ რა გინდა, კოპი გამოჭრაში დამეხმარე და შერე მე ვიცი, რა ქაღმებიც ჩაიჭაპნება.“

ჩაიხახებ-ა დაიწვება, გაფუჭდება. „გადადგი ეგ ქვაბი, თორე სუ ჩაიხახება ყაურმა.“

ჩაიხიდებ-ა უშნოდ ჩადგება, გაიჩხირება. „ამსიგანე გზა დილით ისე ჩაიხიდება ხოლმე მანქანებით, ერთი საათი უნდები გავლად.“ „რა ცუდი ჩვევა აქვთ ამ ქალეფს, ისე ჩაიხიდებიან ავტობუსში, რო ვერც წინ წახვალ და ვერც უკან.“

ჩაიხინცებ-ა უპატივც. ჩავა, ჩავლენ. „მაგ სოფელში პატრა დღეობაც რო იყო, იმდენი ხალხი ჩაიხინცება ხოლმე, ძალღი პატრონ ველარა მცნოფს.“

ჩაკემენჩაგ-ს ჩაკებჩს. „ერთი ნახე, ჩურჩხელეფს რამ უშვრება ემ ბავშვი, ხან ერთ ჩადკემენჩამს და ხან მეორემ. იცოდე, სუ გააფუჭეფს.“

ჩაკემენჩა ჩაკებჩა. „ვაშლი ჩაკემენჩა კარგათ იცი, აკრეფა რატო გავიწყდება?!“

ჩაკემენჩილ-ი ჩაკებჩილი. „ემ ვაშლები სუ შენი ჩაკემენჩილი და გადაყრილია, აი, ნახე, ეგ სავაშლე კბილები ზედ ეტყობა.“

ჩაკუმსვა ჩამკვირვება, მჭიდროდ დასხმა (მარცვლისა). „ვერ გეტყვით, რა ჯიში ყურძენია, მტევანმა მაგარი ჩაკუმსვა იცის.“

ჩაკუმსულ-ი ჩამკვრივული „ჩვენ ხეივან სუ ჩაკუმსული მტევანი ასხია.“

ჩაკუტკუტება კრუხის წყნარი ხშიანობა. „ამ კრუხმა ისეთი ჩაკუტკუტება იცის, ისე დედა ვერ მოეფერება თავი. შვილეფს.“

ჩალახაშ-ი აკვანში ჩასაგები ნალი, ჩალახეში. „ახალი ჩალახაში უნა შაუკერო ამ ბიჭ და იმ ჩაუგო აკვანში.“

ჩალორთხება ჩასველება (ლოგინის) „რა არი ესე ჩალორთხება, ან რა ნალი გაუძლეფს ამამ.“

ჩალორთხებულ-ი ჩასველებული, ჩაყიებული. „ყოველდღე ამ ბავშვებში ჩალორთხებული ლოგინი გამრობამ უნდები.“

ჩამბერ-ი იხ. ჩამბერავი.

ჩამბერაგ-ი ექიმბაში, რომელიც პატარა ბავშვებს ცხვირის ღრუს მიწებებული ხილის ნარჩენებისაგან უსუფთავებს. „რამ აწვალე ამ ბავშვს, ხო მხედამ, ვეღარა მსუნთაქმს, წაიყვა სოფელ გამარჯვებაში, ჩამბერაგი დედაკაცი მყავთ იქა, ერთ ჩამბერამს და გაანთავისუფლეს.“

ჩამეხაგ-ს დასწყევლის, „მეხი დაეცესო“, იტყვის. „მაგად დაუწყევარი აღარავინ დადრჩა, ყველამ ჩამეხამს და ჩამტიტამს ხოლმე.“

ჩამეხვა წყევლა. „აი, მაგათი ჩამეხვა და ამოწყვეტა იყო.“

ჩამეხილ-ი საღანძღავი სიტყვაა. „ეგ ჩამეხილი ევა, ნეტა სირცხვილით ხმად როგორღა იღვებს?“

ჩამოაბღვლერძაგ-ს ჩამოახვეს, ჩამოაგლეჯს. „დააბი ეგ ოხერი ძაღლი, თორე მაგ ლაქუცში ყველამ ტანისამოს ჩამოაბღვლერძამს.“

ჩამოთბღვლერძაგ-ს 1. ჩამოხვეს, ჩამოგლეჯს. „ყვარაულოვ, ბავშვებმა სარეცხი რო არ ჩამობღვლირძონ.“ 2. ჩამოკრეფენ ერთიანად (ხილს). „თავი ნებაზე რო მიუშო, სუ ჩამობღვლერძენ მაგ ხილ.“

ჩამოთბღვლერძვა ჩამოხვევა, ჩამოგლეჯვა. „რა იყო ამ ფარდები ესე ჩამოთბღვლერძა, შე კაი ადამიანო, ვერ დაძინებ, მოგეხმარებოდი.“

ჩამოთბღვლერძილ-ი ჩამოხეული, ჩამოგლეჯილი. „რატო არ გერიღება, ესე ჩამოთბღვლერძილი ტანისამოსით რო დამდინხარ?“

ჩამოთგოხაგ-ს ერთიანად ჩამოკრეფს მწიფე და მკვახე ხილს. „ეგ სუ ეგე აკეთეფს, ყარაულობა რო ეზარება, ერთიანათ ჩამოთგოხამს ხოლმე ბალსაცა და ქლიავსაც.“

ჩამოთგოხვა ერთიანად ჩამოკრეფა მწიფე და მკვახე ხილისა. „რა იყო ესე ერთიანათ ჩამოთგოხვა, ჯერ მწიფე მოგეკრიფნა და დანარჩენისათვის ერთი-ორი დღე დაგეცადებინა.“

ჩამოთგოხილ-ი ერთიანად ჩამოკრეფილი (ჩამოყრევილებული) მწიფე და მკვახე ხილი. „მაგ ქარისაგან ჩამოთგოხილ ვაშლ ეგე ძვირათ რატო მყიდი?“

ჩამოთეკანჭურებ-ა უშნოდ დაეკიდება „ეგ ბაღლები მანქანად ესე რო ჩამოთეკანჭურებიან ხოლმე, არაფერი იტკინონ.“

ჩამოთეფაფრებ-ა ჩამოთეფარება, წინ ჩაუდგება. „ეგ ამოდენა ჯორი რაღა ამ პატარა ბავშვეფს ჩამოთეფაფრება ხოლმე წინ.“

ჩამოთეფხატებ-ა იგივეა, რაც ჩამოთეფაფრება. „რა წინ ჩამოთეფხატები ხოლმე, ცოტა იქით ვერ გაიწვი?“

ჩამოიძმვლეგ-ა ჩამოინგრევა, ჩამოიქცევა, ჩამოშვავდება. „აქეთ სიარული უკვე ძან საშიშია, ე კლდე ჩამოიძმვლევა და უბედურება დაატრიალფს.“

ჩამოიწრეხეგ-ა ჩამოვარდება. ჩამოიქცევა. „ისე ქანაოფს ემ სახურავი, ქარი ამოვარდება თუ არა, მამინვე ძირ ჩამოიწრეხეგა.“

ჩამოიფაფრეგ-ა წინ ჩამოდგება, ჩამოფარება. „უთხარ, ცოტა გვერდზე გაიწიომ, ეგე რო ჩამოიფაფრება, ჩვენ რალა უნა ღავინახოთ.“

ჩამოიფხატეგ-ა იგივეა, რაც ჩამოიფაფრება.

ჩამოიქაქეგ-ა ღიღხანს იჯდება. „ჩამოიქაქება ბუხართან და ზის ეგე თელი ღღე უსაქმურათ.“

ჩამოიწკრიტეგ-ა ჩამოიცლება (სითხე), ერთი წვეთიც არ ღარჩება. „მალღა ღამკიღე ემ ზორცი, ძალი რო არ მიღწვეღე და სისხლი თავისით ჩამოიწკრიტება.“

ჩამოიხენცება, ჩამოიხენცებიან უპატივეც. ჩამოვლენ. „ყველანი აქ ჩამოიხენცებიან და გააქეთ ერთი ჟრიაბული.“

ჩამორეხგა ჩამორეგვა, ჩამოყრევიღება. „თუ მკრეფამთ, ღაკრიფეთ, ეგე ტოტები ჩამორეხგა რალა არი?!“

ჩამორეხგავ-ს ჩამორეგვავს, სულ ერთიანად ჩამოაყრევიღებს. „ღროზე თუ არ მოვკრიფეთ, ემ ქარი ერთ აღარ შაარჩენს, სუ ჩამოღრეხგამს.“

ჩამორეხვიღ-ი ჩამორეგვიღი, ჩამოყრევიღებული. „თელი ბალი ჩამორეხვიღი ღაგეხვღა.“

ჩამოტანება: ჩამოტანებაზე „იმ ხევი ჩამოტანებაზე ხმელი შემა ვნახე და იმ მოვჭერი.“

ჩამოფაფრეგა ჩამოფარება. „გაიწი იქით, ნუ გიყვარს ეგე ჩამოფაფრეგა.“

ჩამოფაფრება იგივეა, რაც ჩამოფაფრება.

ჩამოფაფრებულ-ი იხ. ჩამოფაფრული.

ჩამოფაფრულ-ი ჩამოფარებული, ჩამოფხატული. „ემ თუთა ისეა ჩამოფაფრული, სინათლე ღღისითაც არ შემოღღის ოთანში.“

ჩამოქაქება უიპატივეც. ჩამოჯღღობა. „ბებერი კაცივით რო გიყვარს მავ ბუხართან ჩამოქაქება, ცოტა განზე მანიც გაიწი, მარვალი არ ღაგეწოღა.“

ჩამოქაქულ-ი უპატივე. ჩამომჯღღარი. „როცა მავათსა მივსულვარ, ეგ სუ ღუმელთან ჩამოქაქული ღამხვეღღრია.“

ჩამოქეგავღებ-ა უპატივეც. ჩამოგვა. „ჩამოქეგავღება, მად საღ ღაკარგება.“

ჩამოქვაყვება უპატივც. ჩამოსვლა. „ალარ ეღირსა ჩამოსვლა და ჩამოქვაყვება.“

ჩამოქვაყვებულ-ი უპატივც. ჩამოსული. „ჩვენ რო მივედით, გეც იქ დაგვხვდა ჩამოქვაყვებული.“

ჩამოღაღულ-ი უშნოდ, უგემოვნოდ ჩაცმული; ჩამოფლეთილტანისამოსიანი. „სუ გვე ჩამოღაღული რო დადიხარ, ხალხისა მაინც არ გერიდება?“

ჩამოშავებულდება-ა უპატივც. ჩამოვა, ჩამოეთრევა. „როდი ჩამოშავებულდება ი პირქუში, ისა?“

ჩამოშავებულება უპატივც. ჩამოსვლა, ჩამოთრევა. „იმ ოჯახდასაქცევმა თავისი აქ ჩამოშავებულება ნამდვილი ჭირი ღლეთ გვიქცია.“

ჩამოშავებულებულ-ი უპატივც. იგივეა, რაც ჩამოქვაყვებული.

ჩამოშავქვაყვდება-ა უპატივც. ჩამოვა, ჩამოეთრევა. იგივეა, რაც ჩამოქვაყვდება.

ჩამოშავქვაყვება უპატივც. იგივეა, რაც ჩამოქვაყვება, ჩამოშავებულება.

ჩამოშავქვაყვებულ-ი უპატივც. იგივეა, რაც ჩამოქვაყვებული, ჩამოშავებულებული.

ჩამოწკენტავ-ს ბოლო წვეთამდე ჩამოწველის (ძროხას) „სუ, ნუ ჩამოაწკენტავ, ცოტა ხბოსაც დაუტოვე.“

ჩამოწკენტავა ბოლო წვეთამდე ჩამოწველა (ძროხის) „ალარაფერ არ იწველის ეა ძროხა, ამისმა ჩამოწკენტავ თითები სუ დამამტვრია.“

ჩამოწკენტილ-ი ბოლო წვეთამდე ჩამოწველილი. „ეგე ჩამოწკენტილმა ძროხამ რაღა ხბო უნა გაზარდოდა.“

ჩამოწკრეტავ-ს ბოლომდე ჩამოცლის. „კოკაა ესე რო ჩამოაწკრეტამს ხოლმე, ამ ბიჭმა წყლი მოტანა რატო არ იცის?“

ჩამოწკრეტავა ბოლო წვეთამდე ჩამოცლა. „დოქი ჩამოწკრეტვა რო გიყვარს, ვენახში მუშაობა რატო გესიკვდილება?“

ჩამოწკრეტილ-ი ბოლო წვეთამდე ჩამოცლილი. „გომი ბანი ისეა ჩამოწკრეტილი, გევონებათ წვეთი წვიმა არ მომხვედრიანო.“

ჩამოჭაპნავ-ს ჩამოწნავს. „ეა გასაქრობი გოგო, ნახე, რა ლამაზათ ჩამოაჭაპნამს ხოლმე თმეფსა.“

ჩამოჭაპვნა ჩამოწვნა. „მასწავლე, გო, როგორ უნდა თმების ესე ლამაზათ ჩამოაჭაპვნა.“

ჩამოჭაპნი-ს იგივეა, რაც ჩამოჭაპნავს.

ჩამოჭაპნილი-ი ჩამოწული. „ნახე, რამსიგრძე თმები აქ და თანაც რა ლამაზათ ჩამოჭაპნილი.“

ჩამოჭაპნულ-ი იგივეა, რაც ჩამოჭაპნილი.

ჩამოხენცაგ-ს ჩამორეკავს. „რთველი მორჩება თუ არა, მაშინვე ნახირ ჩამოდხენცამენ ხოლმე ვენახში.“ უპატეც. ჩამორეკავს, ჩამოიყვანს (ბევრს). „ამოტოლა ხალხ რო ჩამოდხენცამს ხოლმე, ნეტა რით უნა გაუმასპინძლდე.“

ჩამოხენცვა ჩამორეკვა. „მაგოდონა საქონლი ჩამოხენცვა რა გეჩქარებოდა, ჯერ ხო ისე არა ციოდა მთაში.“ უპატეც. ჩამორეკვა, ჩამოყვანა (ბევრის) „მაგან მარტო ამხანაგები ჩამოხენცვა იცის, იმათ ჭამა-სმაზე ეგ არა ფიქროფს, მე უნა ვიჭყელიტო ტვინი.“

ჩამოხენცილ-ი ჩამორეკილი. „თელი ნადირი ამ თოვლისაგან სუ ჭალეფშია ჩამოხენცილი.“

ჩამსხილაგ-ს იგივეა, რაც ჩამლილაგს.

ჩამსხილვა იგივეა, რაც ჩამლილვა.

ჩამსხილულ-ი იგივეა, რაც ჩამლილული.

ჩამუხლისკვრება ჩამუხლება, ჩამუხლისთავება. „ძან დავიღალენით, ცოტა ჩამუხლიკვრება არ გვაწყენდა?“

ჩამლილაგ-ს ბუზი მლილს (კვერცხს) ჩააყრის ხორცს. „აილე კაკლი ტოტი და ბუზეფს გაუქმე, თორე ხორც დააჯდება და ჩამლილამს.“

ჩამლილვა ბუზის მლილის (ბუზის კვერცხის) დაყრა ხორცზე. „ჩამლილვა თუ არ გინდოდა, კაკლი ფოთოლ დააფარებდი.“

ჩამლილულ-ი ბუზის მიერ მლილდაყრილი ხორცი „აბა, ნახე, ერთი, რასა ვყიდულოფთ, ემ ჩამლილული ხორცი ვინ უნა ჭამოდ?“

ჩამსობა წყევლა. ამოხოცვა, გაჟუჟვა. „აი, თქვენი, ჩამსობა იყოდ, თქვენი!“

ჩამსობილ-ი სალანძღავი სიტყვაა, „სად გადაკარგულან ემ ჩამსობილები, ესენი.“

ჩაბუტკუნდებ-ა ჩასუქდება, ჩამრგვალდება. „წავეყვან მთაში და ნახავ, ჰაერზე როგორ ჩაბუტკუნდება.“

ჩაბუტკუნება ჩასუქება, ჩამრგვალება. „ერთი ამი ჩაბუტკუნება ნახე!“

ჩაბუტკუნებულ-ი ჩასუქებული, ჩამრგვალებული. „ერთი თვით წავეიდა ბავში სოფელში და ისეთი ჩაბუტკუნებული დაბრუნდა, ველარც კი ვიცანი.“

ჩაჟამება მოღუშვა, მოწყენა. „კაი, შენი ჭირიშე, ცოტა შუბლი გაშალე, გამხიარულდი, ეგე ჩაჟამებაც არ იქნება!“

ჩაჟამებულ-ი მოღუშული, მოწყენილი, მოღრუბლული. „რა იყო, რა ჩაჟამებული სახე გაქ, ვინმემ ხო არ გაწყენინა?“ „რა ჩაჟამებული დღეა, ამითანა ამინდში წასვლა არა ღირს.“

ჩაჟიება ძალიან, დასველება (ლოგინის), ჩალორთხება „თუ ლოგინი ჩაჟიება არ გინდა, საღამოობით ბევრი სითხე არ უნა მიმცე ბავშვ.“

ჩაჟიებულ-ი ძალიან დასველებული (ლოგინი), ჩალორთხებული. „რა სუფთა, ქათქათა ლოგინში ჩავაწვინე ემ სანაცილე გოგო და ნახე, როგორი ჩაჟიებული დამახვედრა.“

ჩარადაფ-ს გათიბული ბალახის სვეებს (რადებს) გაიტანს (ცელით). „ყველამ მამაჩემი გვეჯობინი ცელვაში, ორ-სამ კაც ერთი მანქანაც არა გვაქ გაცელილი, ეგ რო თელ ჰექტარ ჩადრადამს ხოლმე.“

ჩარადვა ბალახის სვეებად გაცელვა. „რა პატრა ბიჭია და უკვე ჩარადვაც შაუშლია.“

ჩარადულ-ი სვეებად (რადებად) გაცელილი ბალახი. „ვინ გაცელა ემ ბალახი, რა ლამაზადაა ჩარადული.“

ჩარბუზანა ორომტრიალი, ხმაური, წინდაუკან სირბილი. „რა ხდება ნეტავი, ემ რა ჩარბუზანა უდგათ აქ.“

ჩარბუზანის გაბმა ჟივილ-ხივილი, შერბენა-გამორბენა, სტუმრების უთავბოლო მიღება-გაცილება. „ვერ გავიგე, ემ რა ქორწილი იყო, დიღამდე ჩარბუზანა მქონდათ გაბმული.“

ჩასაკმენ-ი ჩასაკებნი. „ნახე, რა ჩასაკმენი ლოყები აქ ამ ბავშვ.“ „გაიწი განზე, თორე ჩასაკმენათ ეშხადება ცხენი.“

ჩასაკმენჩ-ი ჩასაკებნი „ისე ჩაწითლებულა ჩენი საზაფხულო ვაშლი, პირდაპირ ჩასაკმენჩადა გამზადებული.“

ჩასამეხ-ი, ჩასამეხაფ-ი წყველაა. მეხდასაცემი; მოსასპობი. „ნეტა სირცხვილით თავ როგორა მყოფს გარეთ, ეგ ჩასამეხი, ეგა!“

ჩასამეხაფ-ი იხ. ჩასამეხი.

ჩასატიტ-ი, ჩასატიტაფ-ი წყველაა, მოსასპობი, სასიკვდილე, „ეგ ადრე და ძალე ჩასატიტი, ისევე ჩვენ მოგვადგება კარზე.“

ჩასამხობ-ი მოსასპობი, ამოსაგდები, სასიკვდილე. „ეგ ჩასამხობი თავისადა არა და არ იშლის.“ დასაქცევი. „იმ ჩასამხობ ქალაქში მეორედ რაღა წამიყვანს.“

ჩასაქრობ-ი წყველა. მოსასპობი, სასიკვდილე. „ეგ ჩასაქრობი, ეგ იტყოდა ჩემზე ცუდს.“

ჩატარტლაგ-ს ამოსვრის, გააჭუჭყიანებს. „ყოველდღე ესე ჩადტარტლამს და დამიყრის ხოლმე გასარეცხათ.“

ჩატარტგლა ამოსვრა, გაჭუჭყიანება. „რა იყო ტანისამოსი იმ ესე ჩატარტგლა?“

ჩატარტლულ-ი ამოსვრილი, გაჭუჭყიანებული. „მაგ ჩატარტლული ხელებით არ აიღო საჭმელი!“

ჩატიტაგ-ს 1. ძალიან დაამლაშებს. „როგორ ჩატიტამს ხოლმე ამ კერძ, რო ვერავენ ვერა მჭამს. 2. დასწყველის. „მაგისი მოსაწონი არავენ არ არი, ყველა იერთნაირათ ჩატიტამს და მიწაში ჩადღეფს ხოლმე.“

ჩატიტვა 1. ძალიან დამლაშება. „რა იყო ამ მწნილი იმ ესე ჩატიტვა.“ 2. დაწყველა. „მართო ჩატიტვა და ჩაქოლვა რო იცი კაცისა, ერთხელ დალოცვა ამოგივიდე მაგ პირიდან, არ იქნება?!“

ჩატიტულ-ი 1. ძალიან დამლაშებული. „ესე ჩატიტულ და ჩამწარებულ კერძ რა შემაჭმევს.“ 2. დაწყველილი. „ეგ ისეთი მყრალი დედაკაცია, თელი სოფელი ეყოლება ჩატიტული.“

ჩაუვა: ფეხი არ (გერ) ჩაუვა ვერ უღირსება; მიზანს ვერ მიაღწევს. „სოფლი თავკაცობა უნდა, მაგრამ ფეხი არ ჩაუა!“

ჩაუკუტკუტებ-ს წიწილებს მოეფერება (კრუხი). „რა ტკვიანი კრუხია, ნახე, რა მალ-მალე ჩაუკუტკუტეფს ხოლმე წიწილეფს.“

ჩაუმუხლიკვრებ-ს ჩაუმუხლებს, მუხლისკვრებზე ჩაჯდება. „კაი მკვინებე ვენახიდან რა გამამყვანს, სუ ერთავათ იქა ფუსფუსეფს, როცა დაიღლება, ჩაუმუხლიკვრეფს და ისე აგრძელებს მუშაობა.“

ჩაუფურტკინი-ს მოუმლის, გაუფუჭებს. „ბავშვი კი არა მხეცია, თავი სათამაშოდ ხო მაშინვე მანარეკლებს, სხვასაც ჩაუფურტკინის.“

ჩაუწიწილდებ-ა ცეცხლთან ახლოს ჯდომით ფეხებზე წითელი ხაზები (ლაქები) გაუჩნდება. „ეგ გოგო ესე რო მიექაქება ხოლმე ამ ღუმელ, ფეხები ჩაუწიწილდება და მერე გვიან იქნება.“

ჩაუჭაპინი-ს ჩაუწნავს. „პაპაჩემი ისე ლამაზათ ამოასხამს ხოლმე ქალმეფს, ისე ჩამოუჭაპინის ყულფეფს, რო ერთ რამეთა ღირს მისი ყურება.“

ჩაფსიტულ-ი ჩასველებული, ჩაჟიებული (ლოგინი) „მაგოდენა ბიჭ იმისი რატო არა ქცხვენია, დედაშენ ყოველდღე შენი ჩაფსიტული ლოგინი რო გამააქ გარეთ გასაშრობათ.“

ჩაფურტკნა მოშლა, გაფუჭება. „შენ გაკეთება მითხარ, თორე ჩაფურტკნა მაგიდ ხელობა.“

ჩაფურტკნი-ს მოშლის, გააფუჭებს. „მაგამ ნუ მიდცემთ ხელში. თორე მაშინვე ჩაფურტკნის.“ გადატ. ჩაშლის (საქმეს) „მძივივით აწყობილ საქმე ისე ჩაფურტკნის, თავსა და ბოლომ ვეღარ გაუგეუს კაცი.“

ჩაფურტკნილ-ი მოშლილი, გაფუჭებული. „ჩაფურტკნილი მანქანა მოიტანა და დააგდო.“

ჩაქაფულ-ი ცხვრის ხორცის კერძია. „ზოქსა მგონია რო რახამ ჩაქაფული ძქვია, ქაფი არ უნ მოიხადო, ეგ სწორი არ არი. აბა, ქაფი თუ არ მომხადე, ისე რა კერძი გამოვა, ჭუჭყი ჩააკვდება ხორც და გაშავდება. მერე ვილა შაძჭამს? გადასალვრელი განდება. ემ კერძი მეცხვარული საჭმელი იყო და წინათ „ჩაკაპულ“ ვეძახდით, რადგან ხანჯლით ჩაგკაპადით ხოლმე ქვაბში, მერე გადააკეთემ „ჩაქაფულათ.“

ჩაქაშდება იგივეა, რაც დაქაშდება. „შეჭამეთ ემ ვაშლი, სანამ ძან ჩაქაშდება.“

ჩაქაშება იგივეა, რაც დაქაშება. „ერთი მსხალი გვიდგა ეზოში, თვალი რო შევა, გემრიელია, მერე აღარ იჭმევა, ისეთი ჩაქაშება იცის.“

ჩაქაშებულ-ი იგივეა, რაც დაქაშებული. „ჩაქაშებული ვაშლი ბებერი კაციმ საჭმელია.“

ჩაქირქილება ქირქილით ჩაცინება. „არა, მაგ ჩაქირქილებამ ძვირათ დაუსომ.“

ჩაქლიმ-ი ცხოველებისაგან დაქნილი ბილიკი. „ჩაქლიმში მახე მქონდა დაგებული და მგლი ნაცვლათ ჩენი მეზობლი დოლა თხა არ გაბმულიყო შიგა!“

ჩაქორწილდება-ა მოშუშდება, დაჩირქდება (სხეულში შერჭობილი ეკალი) „ნუ გეშინია, ამაღამ ჩაქორწილდება ეკალი და ხვალ თავისით გამოვა.“

ჩაღილაგ-ს იგივეა, რაც ჩამღილაგს. „ემ ოხერი ბუზი რა უცეუ ჩაღილაგს ხოლმე ამ ხორც.“

ჩაღილვა იგივეა, რაც ჩამღილვა. „ჩაღილვა თუ არ გინდოდა, მაშინვე კაკლი ფოთოლი უნა დაგეწყო ზემოდან.“

ჩაღილულ-ი იგივეა, რაც, ჩამღილული. „კარგათ გასინჯეთ, ამ სიცხეში ჩაღილული არ იყო ემ ხორცი.“

ჩაღმერთილ-ი ჩაზნექილი, ჩადრეკილი. „ემ რა ჩაღმერთილი კოჭი დაუღიათ, ამაზე ფიცარი როგორ უნა გავაწყოთ.“

ჩაყვირება დიდ ჭურჭელში ცოტა რამის ჩასხმა, ჩადება. „მაგოდენა ქვებში ეგ ერთი ბეწო ხორცი რო ჩააყვირე, როდი უნა მოიხარშოდ.“

ჩაშაფრკინდება-ა ძალიან გახდება და გაშავდება. „ემ ბიჭი ზაფხულობით როგორ ჩაშაფრკინდება ხოლმე.“

ჩაშაფრკინება ძალიან გახდომა და გაშავება. „ესე ჩაშაფრკინება სად გავონილა, შინ არაფერ აჭმევენ ამ ბავშვეფს?“

ჩაშაფრკინებულ-ი ძალიან გამხდარი და გაშავებული. „მითომ ეგეც დასასვენებლათ იყო წასული, ნახე ერთი, რა ჩაშაფრკინებული დაგვიბრუნდა.“

ჩაჩია უშნო, ჩანჩურა. „ამითანა ჩაჩია თაგი როგორ გაუყადრო, თორე ერთი კარგა მივბეგვამდი.“

ჩაჩუმათება ჩაჩუმება. „შენ დარდი ნუ გაქ, მაგათ ჩაჩუმათებამ რა უნდა!“

ჩაჩუმათებულ-ი ჩაჩუმებული. „ხალხი ისე მყავთ დაბრიყვებული და ჩაჩუმათებული, შიმშილით იხოცებიან და ხმამ არავენ იღეფს.“

ჩაჩქანი: ჩაჩქანში ზის გადატ. კარგად არის შეზარხოშებული „მაგამ რალა დამძრამს სუფრიდან, უკვე ჩაჩქანში ზის.“

ჩაჩქლეთაფ-ს ჩაგლეჯს, ჩაწყვეტს. „ცოტა მსხვილი თოკით ჩამოუბი ემ საქანელა, თორე ჩამჩქლეთამენ და ჩამოცვივდებიან.“

ჩაჩქლეთვა ჩაგლეჯვა, ჩაწყვეტვა. „არაფერი აღარ უძლეფთ ამ ბავშვეფს, გენაცვათ, რა იყო ესე უცეფ ჩაჩქლეთვა და დაყრა თოკებისა.“

ჩაჩქლეთილ-ი ჩაგლეჯილი, ჩაწყვეტილი. „აგური დამეცა და ნახე, თითები როგორა მაქ ჩაჩქლეთილი.“

ჩაჩხვა 1. ბლოტება, გაჭირებით ასვლა (რამეზე). „არა გრცხვენია, გოგო, რალა დრომ შენი ხეზე ჩაჩხვამ, ჩამოდი ახლავე ძირს.“ 2. ყოყლოჩინობა, „მომკლა ამისმა ჩაჩხვამ და ბაქიბუქმა.“

ჩაწიწილება ცეცხლთან ახლოს ჯდომით ფეხის კანის დაწითლება, წითელი ლაქების (ხაზების) გამოყრა „ღემელთან ახლომ ნუ დამსხდებით, გოგოებო, ფეხები ჩაგიწიწილდებათ.“

ჩაწიწილებულ-ი დაწითლებული, წითელ ლაქებგამოყრილი (ფეხები); „ბუხართან ახლო ჯდომით, ნახე, რა ჩაწიწილებული ფეხები აქ ამ გოგომ.“

ჩაწკრეტაფ-ს ჩაწრეტს, ბოლო წვეთამდე ჩაცლის. „ამ წვენ სუ რო ქვევრში ჩამწკრეტამ ხოლმე, თათარა რიდათი გავაკეთო?“

ჩაწკრეტვა ჩაწრეტა, ბოლო წვეთამდე ჩაცლა. „ჩაწკრეტვა აღარ აცალა, საწურავ დამტაცა ხელი და შინ გააქანა.“

ჩაწკრეტილი-ი ჩაწრეტილი, ბოლო წვეთამდე ჩაცლილი. „ჭაჭა ისე იყო ჩაწკრეტილი, წვეთი რა არი, წვეთი აღარ იღგა.“

ჩაწმაწნი-ს ლამაზად ჩაგრებს, „ბაბო ერთმანეთში ჩაწმაწნის სხვადასხვა ფერი ბაწარ და ისე დამიქსოვს ხოლმე წინდევს.“

ჩაწმაწნა ლამაზად ჩაგრება. „პაპაჩემ უღვაშები ჩაწმაწნა უყვარდა.“

ჩაწმაწნილ-ი ლამაზად ჩაგრებილი. „ერთი მეზობელი გვეყანდა, აცხონოა ღმერთმა, ძალიან უხდებოდა ჩაწმაწნილი უღვაშები.“

ჩაჭაპნაფ-ს ჩაწნავს, ლამაზად ამოასხამს (ქალამანს) „პაპაჩემი ისეთ ქალმეფს ჩაჭაპნამდა ხოლმე, ფაბრიკაში შეკერილი გეგონებოდათ.“ გადატ. საქმეს მოაგვარებს, მოაკვარასჭინებს. „ემ საქმე ბიძამ ჩაუჭაპნა.“

ჩაჭაპვნა ჩაწვნა, ამოსხმა (ქალამნის) „ესე ლამაზათ თუ შეგებლო ქალმებითვინ ყულფების ჩაჭაპვნა, ვერ დავიჯერებდი.“

ჩაჭაპნი-ს იხ. ჩაჭაპნავს.

ჩაჭაპნილ-ი ჩაწნული, ამოსხმული (ქალამანი) „ვისი ჩაჭაპნილია ემ ქალმები?“

ჩაჭაპნულ-ი იფიგეა, რაც ჩაჭაპნილი. „კაი მეცხვარეა მართო ქალმები კი არა, შოლტიც ჩაჭაპნული უნა აქონოდა.“

ჩაჭონჭონხდებ-ა დასველდება; ატალახდება. „დაწყვიტე კვ ოხერი წყალი, თორე ისე ჩაჭონჭონხდება ემ ეზო, კაცი ველარ გაივლის.“

ჩაჭონჭონხება დასველება; ატალახება. „რათ უნდოდა ესე ძან ჩაჭონჭონხება, ცოტა მოწკაპწკაპებაც საკმარისი იქნებოდა.“

ჩაჭონჭონხებულ-ი დასველებული, ატალახებული. „ჩვენი ბახჩა ისეა ჩაჭონჭონხებული ამ წვიმებისაგან, შიგ არ შაისვლება.“

ჩაჭოჭება ჩასველება, ჩაჟიება (ლოგინის) „თუ ჩაჭოჭება არ გინდოდა, დროზე უნა გადაგვეყენებინა ბავშვი.“

ჩაჭოჭებულ-ი ჩასველებული, ჩაჟიებული. „თელი დამე ვყარაულოფ ამ მაიმუნ ბავშვეფს, მაგრამ დილით მაინც ჩაჭოჭებული მხვდება ლოგინი.“

ჩახახაფ-ს დაწვავს, დახრუკავს. „ძალიან ნუ ჩახახამ ყაურმაა, გემო დაეკარგება.“

ჩახახვა დაწვა, დახრუკვა (კერძისა) „რათ უნდოდა ესე ჩახახვა ამ კერძ.“

ჩახახულ-ი დამწვარი, დაბრუკული. „ისეთი ჩახახული ყაურმა გვაჭამა, დამწვრი გემო ეხლაც კი არა მშორდება პირიდან.“

ჩახიდება ფეხებში მოდება; გაბლანდება; ჩაჩხირვა. „რატო იცი ეგე ფეხეფში ჩახიდება, ცოტა გაიწი გვერდზე.“

ჩახინცავ-ს საჭმელში ბევრ პურს ჩაყრის. „მაგოდენა პურ რო ჩამხინცამ ხოლმე, შაჭმა აღარ უნდა?“

ჩახინცვა საჭმელში (წვნიანში) ბევრი პურის ჩაყრა. „მაგან იმდენი პური ჩახინცვა იცის ლობიოში, ერთი გამოცნობა არ ეყოფა.“

ჩახრიელა ჩანჩქერი. „ბავშვობაში სუ ჩახრიელა ვიცოდი, ჩანჩქერი წიგნში წავეკითხე პირველათ.“

ჩემგარდაია ჩემს მეტი, „ჩემგარდაია ყველა იქ იყო.“

ჩემოტელა ჩემოდენა, ჩემი ხნის, ჩემი ასაკის. „რა ვქნა, შვილო, სოფელში ჩემოტელა აღარავინ არი, მცხვენია გარეთ გამოსვლა.“

ჩემიტოლა იგივეა, რაც ჩემოტელა. „ჩემიტოლა რო გამხდები, მაშინ მიძხვდები, რა ძნელი ყოფილა სიბერე.“

ჩვენებიიან-ი ჩვენი განაყრები, ჩვენი ნათესავეები. „ჩვენებიიანი დღეა ნათლობა იმართავენ და დაპატიუებული ვარ.“

ჩვენოტოლა 1. ჩვენი ასაკის, ჩვენი ხნის. „ჩვენიტოლა ბიჭები უკვე ჯარში მსახურობენ.“ 2. იმდენი, რამდენიც ჩვენ გვაქვს. „ჩვენოტოლა საქონელი ამ სოფელში არავის არა მყავ.“

ჩვილგულა გულჩვილი. „შე რა ჩვილგულა მყოფილხარ, მე კი მეგონა, დევ წააქცევდი.“

ჩიბა, ჩიბია, პატარა ძაღლი. „სოფელში ერთი ჩიბა მაინც უნა გყავდეს.“

ჩიბა-ჩიბა! ძაღლის მოსახმობი შეძახილი.

ჩიბია იხ. ჩიბა. მეტსახელია კაცისა.

ჩიბლა, ჩიბლია იგივეა, რაც ჩიბა.

ჩიბლა-ჩიბლა! ძაღლის მოსახმობი შეძახილი.

ჩიბლია იხ. ჩიბლა.

ჩიექ, ჩიექქ, ჩიიქქ თხის გასაგდები (თხების გასარეკი) შეძახილი.

ჩიკე, ჩიკე-ჩიკე საბავშვო თამაშია ერთგვარი, დამალობანის ერთ-ერთი სახეობაა.

ჩილიკჯოხ-ი იხ. ჩილოკჯოხობა.

ჩილიკჯოხობა ჩაღიკაობა, რიკ-ტაფულა. „ბავოებაში ერთ-ერთი ყველაზე კაი გასართობი ჩილიკჯოხობა იყო.“

ჩილჩაოტ-ი, ჩინჩაოტ-ი შარიანი, მიზეზიანი (აღამიანი) „დაანებე თავი, ხო იცი, რა ჩილჩაოტიც არი.“

ჩინჩაოტ-ი იხ. ჩილჩაოტი.

ჩაილჩაოტობა, ჩინჩაოტობა შარიანობა, მიზეზიანობა „არა, ძმაო, არა ღირს თამაში, მაგიმ ჩილჩაოტობი თავი არა მაქ.“

ჩინჩაოტობა იხ. ჩილჩაოტობა.

ჩირდილ-ი ჩრდილი. „შუადღისამ ჩირდილში რო მივრეკამდით საქონელ, დავსხდებოდით და ხან დანიწვერობამ ვთამაშობდით, ხან ტრუზო-ტრუზომ და ხან რამ“.

ჩირჩილ-ი ჩრჩილი. „აფსუს, რა პალტო შამიჭამა ჩირჩილმა!“

ჩიტ-ი ჭუჭუა (ბავშვის ენაზე) „ფისომ ჩიტი მოგპალა?“

ჩიტბურა, ჩიტბურა ბაღბის ნაყოფი. „ომიანობამ ჩიტბურაც ბევრი მიჭამია.“

ჩიტბურა იხ. ჩიტბურა.

ჩიტის დაჭერა საქმის ცუდცდ წასვლა. „ნუ ისწავლი და ცხოვრებაში რა ჩიტსამ დაიჭერ, იმასაცა ენახამთ.“

ჩიტიფაფა ყველიერში ჩიტებისათვის გამზადებული ფაფა. „დედაჩემი ჩიტიფაფამ რო გაამზადებდა, ჯამით გაგვატანდა, ღობეზე დავდებდით, რათა ჩიტეფს ეჭამათ და ზაფხულში ჩვენი ყანები აღარ გაეფუჭებინათ.“

ჩიტყვავილა ჩუტყვავილა. „ბავშვობაში ძნელათ გადაუტანია ჩიტყვავილა და სახეც იმიტო აქ ასე დაკენკილი.“

ჩინაყვი-ი 1. ჩინაზვი. „რა გაუმაძლარია ემ ჩვენი ინდაური, ჩინაყვი საესეც რო ძქონდედ, საკენკ მინც თავ არ ანებეფს.“ 2. ღაბაბი. „რა იყო, რას იბერები, რა ჩინაყვი ჩამოგიშვია.“

ჩინითმა ჩინირთმა. „რამდენი ხანია ჩინითმა არ გვიჭამია, დაკალი ქათამი და ერთი ნამდვილი ჩინითმა გაგვიკეთე.“

ჩინლიბიტო უბრალო რამე, რაღაცა. „ეგ რა არი, რა ჩინლიბიტო გაგიკეთებია.“

ჩინლიბიტობ-ს ჩხირკედელაობს. „რავი, რაღაცამ ჩინლიბიტოფს და თითონაც არ იცის.“

ჩინლიბიტობა ჩხირკედელაობა. „ამხელა კაცია და ემ ჩინლიბიტობა კიდე ვერ მაიშალა.“

ჩლარტაჩლურტი-ი უშნოდ, ფეხბთრევით სიარული. „რა ჩლარტაჩლურტით დადინხარ, ცოტა გადმოდგი ფეხები!“

ჩლარატიან-ი უშნოდ (ფეხათრევით) მოსიარულე; ჩანჩურა. „მაგითანა ჩლარტიანმა შენ როგორ უნა გაჯობომ?“

ჩლარტუნ-ი იგივეა, რაც ჩლარტაჩლურტი. „ეგე ჩლარტუნით რო მიდინხარ, იმ საქონელ როგორ დაეწვევი?“

ჩლარტუნა უშნო, ჩანჩურა. „ერთი ჩლარტუნა ვიდაცა დაუყენებიათ მეველეთ, ეგ რა ქურდები დამჭერია.“

ჩლიფჩლიფ-ი ჩიფჩიფი, ენის მოკიდებით ლაპარაკი. „შე მაგი ჩლიფჩლიფ ვერ ვიგეფ, შენ მაინც ამიხსენი, რა უნდა?“

ჩლიფჩლიფა ვინც ჩლიფჩლიფით ლაპარაკობს. „ამ ჩლიფჩლიფამ რით მანწონა თავი იმ ლამაზ გოგომ“. მეტსახელია კაცისა.

ჩლიფჩლიფებ-ს ჩიფჩიფებს, ენას უკიდებს. „თავითვინ რალაცამ ჩლიფჩლიფეფს, მიდი და გაუგე რამე.“

ჩლიფუა იგივეა, რაც ჩლიფჩლიფა. „ემ ჩლიფუა რო ლაპარაკოფს, ვერაფერ გაუგეფს კაცი, სიმღერა კი რა კარგი მცოდნია.“ მეტსახელია კაცისა.

ჩლიქინ-ი იგივეა, რაც ჩლიფჩლიფი. „თუ გინდა, რო ბავშვმა თავიდანვე კარგათ გაიტეხომ ენა, ჩლიქინით არ უნა ელაპარაკო.“

ჩლიქინა იგივეა, რაც ჩლიფჩლიფა, ჩლიფინა. „ეგ ჩლიქინა დედ-მამა ვერაფერ აგებინეფს, მსახიობობამ რო აპირეფს, ვინ რამ გაუგეფს?“

ჩლოქ-ი წვივი, კანჭი. „დადკა ისეთი, რო ჩლოქები მამატვრიო, მერე ნახომ, როგორია გაქცევა.“

ჩმაგ-ი, **ჩმაგა** ჩია ტანის ადამიანი. „ნახე, ემ ჩმაგი კაცი მუშაობაში რა ცეცხლი ყოფილა.“

ჩოკ-ი ჩოჩორი, ვირის ნაშიერი. „ვირი ნაშიერ. ჩოჩორ ეძახიან, ჩვენ ჩოჩორიც ვიცით, მაგრამ უფრო მეტად ჩოკ ან ჩოკინამ ვეძახით.“

ჩოკჩოკ-ი კივიკით სიარული. „დილიდან საღამომდე სუ ესე დადი და დაჩოკჩოკეფა, შინ საქმე არაფერი აქ?“

ჩოკჩოკა რუსის ქალების მისამართით ამბობენ. „მაგ კაი კაც იმ ჯარიდან ემ რუსი ჩოკჩოკა რო არ ჩამეეყვანა, აქ ქალი დაილია თუ რა იყო?“

ჩოკჩოკებ-ს კივიკით, მოკლე ნაბიჯით, ხტუნვა-ხტუნვით დადის. „რა უნდა ამ ქალ, აქ რამ დაჩოკჩოკეფს ნეტავი!“

ჩოლფოტ-ი ფიცრის პატარა მონაჭერი, რომელსაც კოჭს ან ფიცაროს უდებენ ქვეშ, რათა სხვა კოჭებს (ფიცრებს)

გაუთანასწორონ. „ერთი პატრა ჩოლფოტი ნახე და ფიცარ ამოუღე ქვემოდან, რო გამწორდე.“

ჩოთრ! ჩოთრ შენა! სიტყვის მასალაა. როცა ბავშვი (მოზრდილიც) ტირის ან სხვაგვარად აბეზრებს თავს უფროს ადამიანს, მაშინ ეტყვიან ხოლმე: „ჩოორ!“ ან „ჩოორ შენა და დარდუბალა!“ „ჩოორ შენა და არგადარჩენა!“

ჩოოქში ჩოქში! ვირის გასაჩერებელი შეძახილი.

ჩორთ-ი შარი, ჩხუბი. „მაგან თუ ჩორთი არ ჩამაგდო, ისე ვერ მაისვენეფს.“

ჩორთის მოღება შარის მოღება, ჩხუბის ატეხა. „იმათი ჩორთი მოღებალა გვაკლდა.“

ჩორთის ჩამოგდება იგივეა, რაც ჩორთის მოღება. „თავიდანვე რო მცოდნოდა, მაგამ ჩორთი უნა ჩამოგდო ქორწილში, სუ არ გავეყვობდი იქა.“

ჩოქელა კისრულ-ი ჭიდაობის ერთ-ერთი ხერხი, ილეთი. მოჭიდავე მოულოდნელად დაიჩოქებს და მოწინააღმდეგეს კისრულაზე გადმოიღებს. „ჩოქელა კისრულ ყველა მოჭიდავე არ იყენეფს, რადგან მეტოქე თუ ძაან მძიმეა, შეიძლება ზემოდან დაეცე და ჩაჭყლიტოდ. ამ ხერხ უფრო ის მოჭიდავე მიმართავს, ვისაც იმედი აქვს, რო თავისზე მძიმე მეტოქე ამწვეს და ზემოდან გადაიტარეფს.“

ჩოლუმ-ი ცუდი, ქარბუქიანი ამინდი. „ან შენი თავი არ გეცოდება, ან ემ საქონელი, სად მიერეკები ამ ჩოლუმში, ეგენი ხო იქ ვერაფერ ვერ მოიმოვენ?“ გადატ. უხასიათო, უქმური ადამიანი. „ეგ შენი მეზობელი ღიღი ჩოლუმში ვინმეა.“

ჩრიხვ-ი წამოზრდილი წიწილა. „ემა ჩრიხვები საცაა ვარიებათ იქცევიან და ბავშვეფს დაუკლამ ხოლმე.“

ჩუგრი! ჩუგრი-ჩუგრი! ძაღლის მოსახმობი შეძახილი.

ჩუგრია 1. პატარა ძაღლი, **2.** ძაღლი (ბავშვის ენაზე) „ჩვენ ერთი შავი ჩუგრია გყავ.“

ჩულაგ-ს თბილად აცმევს. „მაგ ბავშვ ეგე რო მიულამ, როგორღა იმობრავეფს.“

ჩუყლუყ-ი ცვედანი. „დროზე თუ არ მაიყვანე ცოლი, იფიქრებენ, ჩუყლუყიაო.“

ჩქიფა ცქიფა, მომცრო, პატარა ტანის, თანაც მოძრავი ადამიანი. „ნახე, ამ ჩქიფამ უკვე რამდენი დაუბარია.“

ჩხენტაგ-ს წველის საქონელს (ძროხას, კამეჩს, თხას), რომელიც უკვე გაშრობას აპირებს. „საცაა გაშრება ემ ძროხა, ძალითლა ვჩხენტამ რაღაც ნახევარ ლიტრამ“.

ჩხენტვა ცოტას წველა. „ამ ჩხენტვამ ზო გამიძნო გული, ძჯობია, რო გავაშრო ემ ძროხა და ცოტა მოსუქდე“.

ჩხინტი-ი წვეთი, ერთი ბეწო. „ჩხინტი აღარ უდგა ამ თხამ და სუ ტყუილათ ვაწვალეუ ამასაც და მეც თავ ვიწვალეუ“.

ჩხვიმალ-ი, ჩხიმალ-ი ჩინჩხვარი, კეწერა. „ჩხვიმალი არაფერი გვიყრია, რო თონეა ჩაუკიდოთ“.

ჩხიმალ-ი იხ. ჩხვიმალი. „ამოტოლა ბიჭი ჩხიმლი შამამტანი არ არი ოჯახში!“

ჩხინკა გამხდარი, გაღუული. „განა რამდენი ძყავთ მოსავლელი, ერთი ჩხინკა ბიჭი უგდიათ შინა და ეგ არი და ეგა“.

ჩხირის გატეხვა 1. დამღურება, გაბუტვა. „თქვენ რა, ჩხირი ზო არ გაატეხეთ, ერთმანეთ ეგე რატო გაურბიხართ?“ 2. დანაძლევა „მოდი, ჩხირი გავტეხოთ, ვინც წააგომ, კაი პურღვინო იკისროდ.“

ჩხუბ-ი ომი. „თათრი ჩხუფს არ შავწრებივარ, სომხეთან ჩხუფში კი მე თითონაც მივიღე მონაწილეობა და კარგათ მახსომს, თრიალეთში კუდით ქვა რო ვასროლინეთ.“

ჩხუბაგ-ს წყალში (ტალახში) დადის. „ვერა მხედამ, ემ ბავშვი ცივ წყალში რო დაჩხუბამს, გამაიყვა, თორე ავათ გახდება.“

ჩხუბვა წყალში (ტალახში) სიარული. „ბიჭო, შე მაიმუნო, შენა, ნუთუ იმდენი პატარა ხარ და არ იცი, ახალთახალი ფეხსაცმელებით ამ ტალახში ჩხუბვა რო არ შაიძლება?“

ს-ცალაფ-ს 1. ცალ მხარეს მეტია (ტვირთი, ბარგი). „ვერ ატყოფ, ემ ხურჯინი რო მცალაშს, მიდი, გაასწორე“. 2. სჯობნის, ერევა (ერთი მოჭიდავე მეორეს) „გააშველეთ, ხო არ უნა მათკელევინოთ, ვერა მხელამთ, რო მაგრა მცალაშს.“

ცალკევერა მთლიანი ხისაგან გამოთლილი კვერი. „კვერიც ბვერი ქქვონდა ჩვენ, მაგრამ სუ წაგვართვეა და კოლექტივში წაიღეა, ერთი დამტვრეული ცალკვერაღა დაგვიტოვეა.“

ცალტვინა უტვინო, ცეტი, დაულაგებელი ადამიანი. „შენ, შენი საქმე გააკეთე, იმ ცალტვინამ რა ყურ უგდევ.“

ცანცქლ-ი, ცანცქლებ-ი შარდის წვეთები „შიშისაგან სუ ცანცქლები გაიდის.“

ცასგამოკერება დიდხანს სიცოცხლე „დღეა თუ ხვალ ყველა წავალთ იმ ქვეყანამ, აბა, ცაა ხო არ გამოვეკერებით.“

ცასჩამობერება იგივეა, რაც ცასგამოკერება.

ცაცა! კატის გასაგდები შეძახილია.

ცაცა ბავშვის მოსაფერებელი სიტყვაა „ცაცა, ცაცა შენ!“

ცერ-ი ძროხის (თხის) ტუბუ. „აი, ძროხა, ნახე, რა ცერები აქ.“ „ისეთი მაგარი ცერები აქ ამ ძროხამ, ძლივამ ვწველი.“

ცეცხლი! იგივეა, რაც ხვთის ცეცხლი!

ცეცხლი და არგადარჩენა! იგივეა, რაც ხვთის ცეცხლი!

ცეცხლი და ნაგთი იგივეა, რაც ხვთის ცეცხლი!

ცეცხლნაგთ-ი ძალიან ყოჩაღი, მარდი. „ემ რა ბიჭი გამოდგა, კაცო, რო იტყვიან, პირდაპირ ცეცხლნაგთია!“

ცეცხლის წისქვილ-ი ელექტროწისქვილი. „მართალია, ძან გაგვიხარდა ცეცხლი წისქვილი რო გამართეთ სოფელში, სწრაფათ და თანაც ბვერსა მფქომდა, მაგრამ წყლიწისქვილ ვერაფრით ვერ შეედრება. ცეცხლი წისქვილი მწომს ფქვილ, უძარლო გამოდის და ამიტომ პურიც კარგათ ვერა ცხვება თონეში.“

ცეცხლი ჭამოს შხამად შეერგოს. „ცეცხლი ჭამოა, ვინც სალაროში შეტანილი ფულები შაგვიჭამა და ჩვენ ესე მშივრები გაგვიშო.“

ცვენა ბვერი, უამრავი. „წუხელ ქორწილში ლამაზი ქალები ცვენა იყო.“

ციბა პატარა ძალლი. „ემ ციბა ვისა?“

ციბა! ციბა-ციბა! ძალლის მოსახზობი შეძახილია.

ციკა! ციკნის გასაგდები შეძახილი.

ციკო, ციკო-ციკო ციკნის (თხის) მოსახზობი შეძახილი.

ციმფია მსუნაგი, წუწკი, მსრიტი: კატის ეპითეტა. გადატანით აღამინზეც იტყვიან: „ეა ციმფია, ესა, ვერა და ვერ მოვიშორეთ აქედან.“

ციც! ციც შენი ციცი შენი! ერთგვარი გამაფრთხილებელი, შეძახილია „ციც! (ან ციცი შენი!) მაგ ვოგომ ხელი არ ახლო!“

ციცლიბა ვიწრო სახიანი აღამიანი, ქვეშქვეშა, გაიძვერა, მატყურა. „ამ ციცლიბამ რამდენჯერ გაგვაცურა და ჭკუა მაინც ვერ ვისწავლეთ.“

ციცუნია კატა (ბავშვის ენაზე) იგივეა, რაც ფისუნია. „ნეტა სად დაიკარგა ჩვენი ციცუნია.“

ცმაკუნ-ი ტურების მოძრაობა „რა ტურები ცმაკუნი აუტყდა, რა არი?“ ცმაკუნა მეტსახელია კაცისა.

ცოდისახილველ-ი უბედური, საბრალო. გაჭირვებული. „ი ბებერი კაცი ცოდისახილველათა მყავთ შინა, არცა კვდება და არცა რჩება.“

ცოკცოკ-ი იგივეა, რაც ჩოკჩოკი. „ჭკვიანი ვირი გამამადგა. გულურჯს აკვიდეუ თუ არა, „ჰაკეა“ თქმა აღარა მჭირდება, მაშინვე გაუყვება ცოკცოკით.“

ცოლკაბაგასაშაფებელ-ი წყევლაა. მოსასპობი, სასიკვდილე, რათა მისმა ცოლმა შავი კაბა ჩაიცვას. „ის ცოლკაბაგასაშაფებელი ფინაგენტი ხან საკერავ მანქანამ წაიღებდა სახლიდან, ხან მზითევში მოტანილ ხალიჩამ, ხან რამ და ხან რამ; ვისთანაც რა მოეწონებოდა.“

ცოლკაბაგაშაფებულ-ი იგივეა, რაც ცოლკაბაგასაშაფებელი.

ცოტას გასცდა კინაღამ, ლამის. „ცოტამ გაძცდა თავპირი არ დაალეწე ერთმანეთ.“

ცოცხალ-ი მოხარშული ახალი თევზი. „აბა, ცოცხალი თუ არ მიიტანე სუფრაზე, ი სუფრა რა სუფრა იქნება.“

ცოცხალძაღლ-ი სალანძღავი სიტყვაა. „ეგ ცოცხალძაღლი რამ გადამეკიდა, რა დაუშავე, რა უნდა ჩემგან?“

ცოცხვა, მოცოცხვა სწრაფად გაქცევა. „მეველემ თვალი მოგკარით თუ არა, მაშინვე მოვცოცხეთ იქიდან.“

ცრემლისდამდენ-ი ქალიშვლი, ვინც გარდაცვლილი მამა უნდა დაიტყოს, ცრემლი დაადინოს. „ღმერთმა გვიმრავლომ გვარიგამგრძელებლებიცა და ცრემლიდამდენებიც.“ „სულელია,

ვინც ამოფს, გოგო რათ მინდაო, აბა, რო მოკვდება, ცრემლიდამდენი არ უნდა?!”

ცრუგ-ი ცრუ, მატყუარა. „ამითანა ცრუეი, მატყუარა კაცი არსად არ შამხვედრია.“

ცუგა! ცუგა-ცუგა! ძაღლის მოსახმობი შეძახილია.

ცუგრი! ცუგრი-ცუგრი! ძაღლის მოსახმობი და მოსაფერებელ სიტყვაა.

ცუდად ყოფნა უსაქმურობა. „თელი დღე ევე ცუდათ რო ხარ, რატო არაფერ აკეთეფ, ან დასაბარი არა გაქ რა, ან შეშა მოსატანი?“

ცუდმუდაობ-ს ზარმაცობს, უსაქმურობს. „რასა მცუდმუდაოფ, წამო, ცოტა დასაბარი მაქ და მიშველე.“

ცუდმუდაობა უსაქმურობა, უქმად ყოფნა. „მაგამ შუეძლიან თელი თვე ესე ცუდმუდაობაში გაატაროდ.“

ცუკცუკ-ი ცუხცუხი, მოკლე და სწრაფი ნაბიჯით სირბილი. „სკოლაში შენ არ გაგვიანდება? აგე, ჩვენი მეზობლი ბიჭმა სუ ცუკცუკით ჩაიარა.“

ცუცა, ცუცია პატარა ტანის კაცი. „ზუსტათ რასა მნიშნავს, ვერ გეტყვით, ისე კი, ჩვენ სოფელში, ვისაც ცუცამ, ცუციამ, ცუცნამ ან ცუცუნამ ეძახიან, ყველანი პატრა ტანისანი არიან, ან პატარაობაში დაარქვეფ ეფ სახელი.“

ცუცია იხ. ცუცა.

ცუცნა იგივეა, რაც ცუცა.

ცუცუნა იგივეა, რაც ცუცა.

ცუცქურ-ი ბუქა. „მიდი, ერთი შენებური ცუცქური აჩვენე ამ სტუმრეფს.“

ცქელეფა გაცქელეფა, გაყვლეფა, კანის გაძრობა. „თითები გაცქელეფა თუ არ გინდოდა, ხელთათმანები უნა გაგეკეთებინა.“
გადატ. „გაძარცვა, გაღატაკება „ამ ჩვენ მინისტრეფს ქვეყნისა არა გაგებებათ რა, მაგათ მარტო ხალხი ცქელეფა იციან კარგათ.“

ცხარედ ჯდომა მაგრად, გაუნძრეველად და დიდხანს ჯდომა „ეგ ისე ცხარეთა ზის, ზარბაზანითაც ვერ დაძრამ ადგილიდან.“

ცხელი ტყვია უგარდეს წყველაა, სასიკვდილე, მოსასპობი „ვისა ვწყველი და რო ცხელი ტყვია უვარდემ ჩემი ოჯახი დამღუპველ და დამაქცევარ.“

ცხელტყვიასაგარდნელ-ი მოსაკლავი, ტყვიით დასახვრეტი. „ეგ ცხელტყვიასაგარდნელი თუ დროზე არ მათორეფ მაიდან, ქვეყანამ დაძღუპამს.“

ცხელტყვიასაცემი-ი იგივეა, რაც ცხელტყვიასავარდნელი. „რაო, რას ამოფს ვცხელტყვიასაცემი, მე არ მამიკლამსო?“

ცხენის ბუზი კელა, ბზიკი, ბუზანკალი. „ცხენი ბუზი ლაჯებში რო შაუყარო ვირ, გაგიუღება და სანამ არ გაიყრევინეფს, გორაობითა და ტლინიკყრით მაიკლამს თავ.“

ცხენტიალ-ი სიტყვის მასალაა. ოხერი, ტიალი, ვერანა (ცხენი). „ეა ცხენტიალიც ველარ დავიჭირე, რო იმით მაინც წაესულიყავი.“

ცხენქალა მალალი და გრძელსახიანი ქალი. „ი რა ცხენქალა მოუყვანათ რძლათ, სად იპოვეა ან ვინ გაურიგათ?“

ცხვარტიალ-ი იხ. ცხენტიალი. „დრო ისედაც არა მქონდა და ეხლა ეა ცხვარტიალი გამიხდა მოსაძებნი.“

ცხვირაბზუებულ-ი ვისაც ცხვირი აქვს აბზუებული, ცხვირაწეული, გაბუტული, „რა ცხვირაბზუებული გვიყურეფს, ხო არაფერი ეწყინა ჩვენგან?“

ცხვირგაჭყლეტილ-ი ვისაც გაჭყლეტილი ცხვირი აქვს. „ამ ჩვენმა ცხვირგაჭყლეტილმა ეა შოლტივით გოგო არ დაგვიწუნა?!“

ცხვირდალილაგებულ-ი ნაცემი, ვისაც ცხვირიდან სისხლი აქვს დადენილი. „შე კაი კაცო, ყოველ დღე ეგე ცხვირდალილაგებული უნა დაადიოდე? რა გაჩხუბეფს, პატარა ხო აღარა ხარ?“

ცხვირპაჭუა ვისაც პატარა, ნოლა ცხვირი აქვს. „იმ ცხვირპაჭუა ქალ ძალიან მწუნობდნენ, უშნოაო და ნახე, ყველაზე კარგი და ლამაზი შვილები იმასა მყავ.“

ცხვირპირჩამტვრეულ-ი ვისაც ცხვირპირი ჩამტვრეული აქვს, ნაცემი. „ამბობენ, ეხლა ქალებიც მონაწილეობენო კრივში, ეგ მე არ მამწონს, აბა, ჯერ ცხვირპირჩამტვრეული კაცი რა სანახავია, და ქალი რა იქნება!“

ცხრაუცხო უცხო, უცნობი, გადამთიელი „ეგ. ისეთი კეთილი და მიმდობი კაცია, ცხრაუცხო რო შამხვდემ, იმამთან გამომნახამს საერთო ენა და დაუმეგობრდება.“

ძალად ექიმი-ი ექიმბაში; შინაური, თვითნასწავლი ექიმი. „ადრე ერთი ექიმი გვეყვანდა სოფელში, არაფერი არა მქონდა დამთავრებული და ამიტომ ძალათქემ ეძახდნენ, მაგრამ ეხლანდელ უმაღლესდამთავრებულ ექიმეფს ათი თავითა მჯობდა.“

ძარღვის აყრა იგივეა, რაც ჰწკალის აყრა. „ჭიდაობისად ძარღვი ამეყარა და ფეხი გადადგმად მიშლის.“

ძალღანა გადატ. ეშმაკი, მუსუსი. უფროსი ასაკის კაცები ბიჭებს ეტყვიან: „ჰა, ძალღან, რამ დამდეკ ამ გოგოეფს, რატო თავ არ დაანებეფ?“ „დიდი ძალღანა ხარ, ვინც შენ არ გიცნოფს!“

ძალღ-ი გადატ. ავი, ბოროტი. „ეგ ისეთი ძალღია, არაფერ შაგარჩენს.“

ძალღი და მამაძალღ-ი ოხერი, ვიგინდარა. გადამთიელი. „ეხლა ჩვენ ქვეყანაა საღლა მყავ პატრონი, ძალღმა და მამაძალღმა ჩაიგდო ხელში.“

ძალღის გავარდნილ-ი საღანძღავი სიტყვაა. „ი ძალღი გავარდნილი, იმათი ბიჭი, გადაეკიდა ამ ჩემ გოგოა და მოსვენებაა აღარ აძლევს.“

ძალღის გაზრდილ-ი საღანძღავი სიტყვაა. „ეგ ძალღი გარდილი, სუ რო თავისაა გაიძახი, ჩვენ რატო არ გვისმენს?“

ძალღის გეჯა გეჯა, რომელშიც ძალღს საღაფავს უსხამენ. „მაგან ოღონდაა მუცელი ამაყოროა და ძალღი გეჯაში რო ჩაუსხან საჭმელი, არ დაიწუნეფს.“

ძალღის დაგდებულ-ი საღანძღავი სიტყვაა. იგივეა, რაც ძალღის გავარდნილი. „სად არი აქამდე, ი ძალღი დაგდებული, ისა.“

ძალღის დაგვარდნილ-ი იგივეა, რაც ძალღის გავარდნილი. „მაგ ძალღი დაგვარდნილმა, ბოლოა უარი არა მტკიცა?!“

ძალღის დანარჩენ-ი იგივეა, რაც ძალღის გავარდნილი. „შე ძალღი დანარჩენო, მამ დიდი და პატარა არ უნა იცოდე?“

ძალღის დანარჩომ-ი იხ. ძალღის დანარჩენი.

ძალღის ნატამალ-ი საღანძღავი სიტყვაა. ძალღის მოდგმისა, ძალღის შთამომავალი. „თურმე ი ძალღინატამალი ჩვენი უბნი ბიჭები მიბაღვაფდნენ ვაშლეფს და მე კი სხვაა ვაბრალებდი.“

ძალღის ნაშიერ-ი იგივეა, რაც ძალღისნატამალი.

ძაღლის ნაშობ-ი სალანძღავი სიტყვაა, ძაღლის გაჩენილი. ეგ ძაღლინაშობი მართლა ეგეთი ავხელია თუ ტყუილათ აბრალებენ?

ძაღლის შათითხნილ-ი სალანძღავი სიტყვაა. „შე ძაღლიდ შათითხნილო, განა ისეთი რა გითხარი, რო კვდარი და ცოცხალი არ შამარჩინე?“

ძაღლის შაქნილ-ი იგივეა, რაც ძაღლის შათითხნილი. „ემ ძაღლიშაქნილი წაიყვანეთ აქედან, თორე შამომაკვდება!“

ძაღლის რძით გაზრდილ-ი ავი, ბოროტი, ანზლი, კაპასი. „მაგად ცოტა უფრთხილდით, თორე ისეთი ძაღლი რძით არი გაზდილი, თავბედ გაწყველინეთ.“

ძაღლის ძუძუთი გაზრდილ-ი იგივეა, რაც ძაღლის რძით გაზრდილი. „ი ძაღლი ძუძუთი გაზდილი რო დაუყენებიათ სოფლი თავკაცათ, რა ეგონათ, გაახარებდა ვისმე?!“

ძაძღვ-ს ვიწრო ფეხსაცმელს (ტანსაცმელს) ფეხზე (ტანზე)ვერ ირგებს, ძალით იცვამს და აგანიერებს, აუშნოვებს. „მაგ ლამაზ ფეხსაცმელ ეგე როგორა მძაძღამ, არ გენანება? თუ ვიწრო გაქ, შენ ძმადა დაუთმე და შენთვინ სხვა იყიდე.“

ძაძღვა ვიწრო ფეხსაცმლის (ტანსაცმლის) ძალით გაწევა, განზე, გაგანიერება. „რათ გინდა მაგდენი ძაძღვა, ისუდაც ჩანს, რო ტანზე არ ჩაგეცმევა.“

ძეძგვაგ-ს ტენის, ძალიან ავსებს, „ეგ ისე მძეძგვამს მაგ ტომარად, ნახეთ თუ გზაზე არ გასკდამ.“

ძეძგვა გატენვა. „ზორბალ რათ უნდა ეგეთი ძეძგვა, ფქვილი ხო არ არი, რაც ჩავიდა, ჩავიდა, მეტი აღარ ჩაეტევა.“

ძეძგვლებ-ი სოფ. მელაანის ერთ-ერთი უბნის მკვიდრი მაცხოვრებლები. „ეგენიც, რა თქმა უნდა, მელაანელები არიან, მაგრამ ცალკე სახელ „ძეძგვლეფსაც“ ვეძახით.“

ძვირი სიტყვა ავი, ბოროტი, ცუდი (სიტყვა). „ეგ ისეთი ხეთისნიერი კაცია, ძვირ სიტყვამ მაგისაგან ვერასოდემ ვერ გაიგონეთ.“

ძიბაქშა! წიწილების გასარეკი შეძახილი.

ძიბუა წიწილა (ბავშვის ენაზე) „ბაბო, ბაბო, ერთი ძიბუა დამიჭირე რა!“

ძიბულა იგივეა, რაც ძიბუა. „ჩვენმა კრუნმა ჭრელი ძიბულები გამოჩეკა.“

ძით-ძით! წიწილების მოსახმობი შეძახილი.

ძირაგ-ს თივის, ბურდოს ღიდ ზეინს ღვამს. „მამაჩემი თივასა მძირამს და უნა მივეხმარო.“

ძირვენახ-ი დაბალში, ფერდობის ძირას გაშენებული ვენახი. „ჩვენ ორი ვენახი გვაქ, ერთ, რომელიც მალაა, ფერდობზე, იმად მალავენახი იქვიან, მეორე კი, დაბლა რო არი, მდინარი პირად, ხან ძირვენახ ვეძახით, ხან კიდევ – დაბლავენახ.“

ძირითა სახლ-ი სახლის პირველი სართული, დაბლასახლი. „ეხლა გაზი რო აღარა გვაქ, მარტო ძირითა სახლში ვანთუფთ ცეცხლ.“

ძირითა ქვა წისქვილის დოლაბი, რომელიც არ ტრიალებს. გადატ. ქალი, დედაკაცი, „ძირთა ქვა დიდხანა იძლეფს.“

ძირსახლ-ი იგივეა, რაც ძირითა სახლი. „ეა ხალხი თავი დღე და მოსწრება სუ ძირსახლში ცხოვროფს და ვერ გამიგია, ეა ორსართულიანი სახლები რათ უნდათ?!“

ძირუღელ-ი გუთნეულში პირველი უღელი, გუთნისთავის უღელი. „წინამებრემ იკითხომ, თორე მაგამ რა უჭირს, დაჯდება ძირუღელზე და თელი დღე დაბლა არ ჩამოვა.“

ძირხვენა მცენარეა. ოროვანდი. „ეა ძირხვენა გაზაფხულზე მაჩიტასავით კაი საჭმელია. ბარვამი რო ამოვაცილებდით, გავრეცხამდით, დანით გავფუცქენდით და ვჭამდით.“

ძონძროხ-ი/ა სქელი, დიდი ტანის ადამიანი. „სოფელში ერთი სქელი, ძონძროხა ქალი გვყვანდა ექიმი, ბავშვები რო დაინახამდნენ, საშინლათ აღრიალდებოდნენ ხოლმე. მაგრამ ისეთი მოფერება იცოდა, იმ დალოცვილმა, გადარეულსაც კი მაშინვე დააწყნარებდა.“

ძრომ-ი ზარმაცი, უქნარა, სულ ერთთავად შინ რომ ზის და არაფერს აკეთებს. „როდემდე შაგინახამენ ეა მოხუცი მშობლები, შე ძრომო, შენა, არ იქნება ცოტა შენც გაატოკო ხელები?!“

ძურწა ოროვანდის (ძირხვენის), ძურწაბალახისა და სხვათა ეკლიან-ბუსუსიანი ყვავილები, რომელიც ტანსაცმელს ეკვრება. „ორი ნაბიჯი გადავდგი ბალახებში და ნახე, რამდენი ძურწა ამეკრა.“

ს-ძურწაგ-ს მაგრად გაარტყამს, შემოჰკრავს (სახრეს) „მეველემ ისეთი სახრე იძურწა ბალში შეპარულ ბიჭეფს, ქუდი რო შეუფდო, მოერეთ იქ აღარ შავლენ.“

ძურწვა მაგრად გარტყმა, შემოკვრა (სახრისა) „სახრი ძურწვა გეა არ უნდაო, გამოიბატა ხელიდან და დააყარა და დააყარა.“

ძროხის ექიმ-ი ვეტერინარი. „აბა, რა გითხრათ, აღრე ბეითალ ეძახდნენ, ეხლა ვეტერინალი თუ რაღაცა დაურქმევით, ჩვენ კი სოფლელები, წინათაც და ეხლაც „ძროხიექიმ“ ვეძახით.“

ბუმბეულ-ი გადატ. 1. ავი, კაპასი, ანჩხლი (ქალი) „დაანებე თავი, ხო არ გინდა მაგ ბუმბეულ შეეჭმევიო.“ 2. ხარბი, გაუმადლარი (კაცი) „რა იყო, რა ბუმბელებივით ეციოთ მაგ სუფრამ, თითქომა არაფერი გენახოთ.“

ბუმბაყვალა მაცვლის ერთ-ერთი სახეობაა, შედარებით სუსტი ეკლები აქვს და ნაყოფიც უფრო მომეაგოა. იზრდება ჭალებში, ნესტიანსა და ჩრდილ ადგილებში. „ეტყობა, ბავშვებმა ვერ მიაგნემ, ჩვენ ჭალაში ერთიანათ დამწიფებულებიყო ბუმბაყვალა.“

ბუბუა ბუბუ (ბავშვის ენაზე). „მოდი, შვილო, ბუბუა მოგაწოვო, მოდი.“

ბუბუბადლი-ი იგივეა, რაც რძეპადლი. სალანძღავი სიტყვაა. „გ ისეთი ბუბუბადლი დედაკაცია და ისეთი წყველა იცის, ცხენიან კაც ძირ დამცემს.“

ბღვენ-ი ნათლიმამის ოჯახიდან ნათლიასთან გატანებული საჩუქრები. ასეთ ბღვენს ნათლიას მაშინ უგზავნიან, როცა ახლად არიან ნათელმძრონით დანათესავებულები. ბღვენის გაგზავნა ჩვეულებრივ სადღესასწაულო დღეებში ხდება, განსაკუთრებით კი აღდგომას, ამიტომაც საჩუქრებს სააღდგომო ბატკანიც (ცოცხალი) ახლავს თან, აგრეთვე ღვინო, ნაზუქები, ჩურჩხელები, შოთიპურები, ტკბილეული და სხვ. ყველაფერ ამას ბღვენი ჰქვია, იმას კი, ვისაც მიაქვს – „ბღვენიწამლები“.

ბღვენისწამლები-ი ვისაც ნათლიმამის ოჯახისაგან ნათლიასთან ბღვენი მიაქვს. სოფელში ასეთ ბღვენს ჩვეულებრივ ახალგაზრდა ვაჟს ატანენ ხოლმე. „ბღვენიწამლები მეც ხშირად ვყოფილვარ და ზოგჯერ ისე დაუთვრივარ ნათლიამ, იმათსა დავრჩენილვარ.“

წააკმენჩაგ-ს წაკებრს, კებრით წაცლის, „ცოტა მაღლა დაეკიდოთ ჩურხჩხელები, თორე ე ბიჭები მაშინდელივით წვერეფს წააკმენჩავენ და გააფუჭებენ.“

წააკუსკუსებ-ს კუსკუსით წაიღებს. „შენ ოღონდ მიეცი და ნახავ, როგორ წააკუსკუსეფს შინისაკენ.“

წაატიალებ-ს უპატივ. წაიღებს, წაიყვანს. „ე კაცი ნეტა სად წაიღეფს და წაატიალეფს ხოლმე იმ დანამ, რო ველარა ვპოულოფ.“

წააქოხებ-ს სახელდახელოდ ააშენებს დროებით სადგომს. „სანამ სახლ ააშენებენ, ეგე ხო არ იქნებიან, რაღაცაა წააქოხებენ და იქ იცხოვრებენ.“

წააჩაკჩაკებ-ს ჩაკჩაკით წაიყვანს. „მითომ საბანაოთ დაიყავ, ვნახავ და წყალზე წააჩაკჩაკეფს ხოლმე ამ გაძვალტყავებულ ცხენ.“

წააჩოკჩოკებ-ს ჩოკჩოკით (სწრაფი და მოკლე ნაბიჯებით) წაიყვანს. „ე ჩვენი კოლა ყოველდღე აეგე ჩაიკიდეფს ხელ დედაკაც და ნათესავეფში წააჩოკჩოკეფს ხოლმე.“

წააჯლაგჯლაგებ-ს ჯლაგჯლაგით წაიყვანს. „ერთი ზანტი ცხენი გყავ, რამდენიც გინდა ურტყა, ადგილიდან ვერ დაიძრამ, მარტო პაპაჩეზი თუ წააჯლაგჯლაგეფს.“

წააჯოგეფ-ს უპატივ. წაიყვანს, წასხამს. „ეგ მარტო კი არ წაეა სტუმრათ, ბავშვეფსაც წააჯოგეფს ხოლმე.“

წაბლაყუნდებ-ა ბლაყუნით წაეა. „თელი დღე ბირჯაზე დეა და ლაყბოფს, სანამ არ მოიშიეა, მანამ არ წაბლაყუნდება შინ.“

წაბლაყუნება ბლაყუნით წასვლა. „რათ გინდა ამი წაყლაბუყუნება, შენ გაიქეცი და მალევე მოდი.“

წაბრასტუნება წარტყმა (თავში). „წაბრასტუნება ეგე არ უნდაო, მიუბრუნდა და ერთი ისეთი მღო, თვალებიდან ცრემლები გადმაყრეინა.“

წაბრასტებ-ა იგივეა, რაც წაბრასტუნება „ამ დაბეჩავებულ ბავშვ რაღა შენი წაბრასტება უნდოდა.“

წაგლარსუნება წასმა, გახახუნება. „მითომ გამიღესა ცელი, ერთი ორი წაუგლარსუნა საღესავი და უკან მაშიგლო.“

წაეგლარსუნებ-ა გაეხახუნება. „რა ჩვევა აქ ამ ძროხამ, ყველა ეგ წაეგლარსუნება ხოლმე.“

წაეფაფრება- მიემხრობა, მის მხარეს დაიჭერს. „მაგამ კაი კაცობა მგონია, ყველამ რო წაეფაფრება და არც კი იკითხამს ღამნაშავეა თუ უღანაშაული.“

წაეფოფინება- დაუყვავებს, გამოესარჩლება, დაიცავს. „თქვენ თუ სუ აგვე წაეფოფინებით, იცოდეთ, აღარაფერ დაგიჯერებენ ემ ისედაც გათავებულნი ბავშვები.“

წაიპილწება- წაიპილწება, გაჭუჭყიანდება. „წადი, სანამ რიყზე საქონელი ჩავა და წაიპილწება, წყალი ამაიტანე.“

წაკა ყველის შესანახად შემზადებული მარილიანი შრატი. „წაკა თუ კარგათაა გაკეთებული, გულა ნუ იქნება რა, ქილაშიც დიდხან ინახება ყველი.“

წაკმენაგ- წაკმენს „რა მოუსვენარია ემ კვიცი, ხან ერთ წამკმენს, ხან მეორეა, ხანაც ტლინკეფს აყრის.“

წაკმენა წაკმენა „ტლინკები ხო ყარა და ყარა, წაკმენაც მოინდობა.“

წაკმენილ- ი წაკმენილი. „ემ საცოდავი ქათმები მსუნავი ძალი წაკმენილები არიან.“

წაკმენჩაგ- ს წაკბერს. „პატარა ხო არა ხარ, ეგე რო წამკმენჩავ და აფუჭეფ მაგ ჩურჩხელეფ, აილე ერთი და ბოლომდე შაჭამე.“

წაკმენჩგა წაკბერა „ესე წვერები წაკმენჩა როგორ იქნება, სირცხვილი არ არი, სტუმრეფს როგორდა მიუტანოთ?“

წაკმენჩილ- ი — წაკბერილი. „არც ერთი ჩურჩხელა აღარ არი მთელი, ყველამ წვერი აქ წაკმენჩილი.“

წაკულაკ- ი მკვანე, ჯერაც შემოუსვლედი ხილი (ჭერამი, ქლიაფი, კურკოვანი ხილი საერთოდ) „ბიჭო, შეილო, მაგ წაკულაკ ხილ როგორა მჭამთ, კბილეფს მაინც არა გჭრით?“

წაკუსკუსდება- ა კუსკუსით წავა. „ამ დედაკაც რამდენიც გინდა დაუშაღე, დილით ადგება თუ არა, მაშინვე მალაზიაში წაკუსკუსდება.“

წაკუსკუსება კუსკუსით წასვლა. „ოღონდად მეზობლეფთან აჭორავე და იქ წაკუსკუსებაზე უარ როგორ იტყვის.“

წალ- ი ციკანი ექვისი თვის შემდეგ ჰირველ მოგებამდე. „ციკნები მეტი რა მყავ, წალებმაც კი უკვე დაიგეა.“

წალალაგ- ს გარეკავს (ბევრს), წაასხამს. „ვიღაცამ ერთი ნოტო ცხვარი აუსხლეტია ფართივინ და ტყისკენ წაულალამს.“

წალალვა წასხმა, გარეკვა. „აბა, ბიჭებო, თუ გინდათ, რო დელამო გაჭამოთ, ცხვრიდ წალალვაში მოგვენმარეთ.“

წალალულ-ი გარეკილი, წასხმული „რატო ვარ ზარმაცი, მე რო სკოლიდან მოვედი, ხბორები ჩირდილში აღარ იყვნენ, წალალული დამხვდა.“

წამოატიალეზ-ს წამოილებს, წამოათრევს, წამოიყვანს. „ნეტა ემ კაცი ამ ძალს სადღა წამოატიალევს ხოლმე?!“

წამოდღღარძეა უშნოდ, უზრდელად წამოწოლა. „საქმი გაკეთება როგორ ეკადრება, მაგან მარტო წამოდღღარძეა და ბძანები გაცემა იცის.“

წამოდღღარძელ-ი უშნოდ, უზრდელად წამოწოლილი. „ამოდონა ჯორ არაფრისა არ ქცხვენია, პატრა ბავშვები მუშაობით თავევს იხოცამენ, შენ კი ეგე ხარ ჩირდილში წამოდღღარძელი.“

წამოზეზეურდებ-ა წამოდგება (ავადმყოფი) „ეხლა კარგათ არი ჩემი შვილი, დედა ენაცვალომ, სუ მალე წამოზეზეურდება.“

წამოზეზეურება ავადმყოფის წამოდგომა ლოგინიდან „წამოზეზეურება თუ გინდა, ექიმ დაუჯერე ყველაფერი.“

წამოიდღღარძებ-ა უპატვც. უშნოდ წამოწვება. „ეგ ვინ მიგდია, რო ტანტზე წამოიდღღარძება და საქმე სხვამ უკეთოდ.“

წამოიზეზეურებ-ს ლოგინიდან წამოდგება (ავადმყოფი). „ერთი-ორი დღეცა და უკვე წამოიზეზეურევს ჩვენი ავანტყოფი.“

წამოიძჭვიტებ-ა უპატივ. გამოსაჩენ ადგილას წამოჯდება. „საცა არა მგონია, ეგ ვაჟბატონი წამოიძჭვიტება, მითომ რათაო, რა დამსახურება აქ?“

წამოიძლაკენებ-ა პლაკენით (რყევარყვეით) წამოდგება. „აუ, რა ზარმაცია ემ ბიჭი, ქვეყანა რო იქცეოდე, ემ ძლივ-ძლივ წამოიძლაკენება.“

წამოიჯგიმებ-ა წამოიჭიმება. „ეგ ისეთი თავხედია, არავისა მკითხამს, სადაც მოეპრიანება, იქ წამოიჯგიმება.“

წამოიყურებ-ა წამოიწურება, ბოლო წვეთიც აღარ დარჩება. „ჭურჭელი დააყირავე, საწურავი თუ არა გაქ, ბალახი ჩაუფინე და წვენი თავისით წამოიყურება.“

წამოიყურავ-ს წამოწურავს, წამოწრეტს, ბოლო წვეთს გამოადენს. „შენ ამათ რას უყურევ, ესენი სანამ ყველა ღოქ არ წამოიყურამენ, არ აიშლებიან.“

წამოიყურავა გამოწურავა, გამოწრეტა „აბა შენ იცი, ბოთლები წამოიყურავაც არ დაგაეინწყდო.“

წამოიყურულ-ი გამოწურული, გამოწრეტილი. „ამ მუცელჩასახეთქ, ამამ, ნახე, ყველა ბოთლი წამოიყურული აქ უბვე.“

წამოფოფინება გამოსარჩლება, მიმხრობა. „მაგამ რა შენი წამოფოფინება უნდა, ყველამ თითონ გაიცემს პასუხ.“

წამოფოფინებულ-ი მიმხრობილი, მის მხარეზე გადასული. „რატოა ეგე იმაზე წამოფოფინებული, ისეთი რა გაუკეთა?“

წამოფოფრება მიმხრობა, მიქომაგება. „მაგითანა გარეწარ წამოფოფრება კი არა, კინწიკერით გაძეგება უნდა.“

წამოფოფრებულ-ი იგივეა, რაც წამოფოფინებული. „ზვევიდან ვინმე რო არა მყავდემ წამოფოფრებული, მაგამ აქამდე ვინ გააჩრებდა აქ?!“

წამოქოხება სახელდახელოდ აშენება (დროებითი სადგომის) „პატრა ფიცრულია წამოქოხებამ რა უნდოდა, წვიმაში თავი რო შეგვეფარებინა?!“

წამოქოხებულ-ი სახელდახელოდ აშენებული „ღმერთმა უშველომ, ვინც გააკეთა, მინდორში რაღაცა წამოქოხებული დავინახეთ და იმ თავსხმაში იქ შევეფარებით.“

წამოჩრიხვდება-ა წამოიზრდება. „ერთ-ორ კვირაში ემ წიწილები უკვე წამოჩრიხვდებიან.“

წამოჩრიხვება წამოზრდა. „ამ მაიმუნმა ბიჭებმა წიწილფეს რივიანათ წამოჩრიხვებაც არ აცალე.“

წამოჩრიხვებულ-ი მოზრდილი. „წამოჩრიხვებულები წიწილები წავასხი ქალაქში და წიგნები იმით უყიდე ბავშვეფს.“

წამოჯგიმავ-ს წამოჭიმას. „სადა აქვთ ამდენი ფული, რომ ამ გაჭირვებულ ქვეყანაში ესე უცეფ წამოჯგიმავენ ზოლმე სახლფეს?“

წამოჯგიმვა წამოჭიმვა. „ერთი ამი წამოჯგიმვა ნახეთ, თითქომ დიდი ვინმე ბძანდებოდემ.“

წამოჯგიმულ-ი წამოჭიმული. „ვაი, ჩვენი ბრალი, ემ უტეინო სუფრი თავში იყომ წამოჯგიმული, ჩვენ კი დასაჯდომი სკამი არა გვექონდემ.“

წარაფ-ი ნახნავებს შუა დატოვებული ვიწრო ზოლი ჯაგნარით დაფარული. „ახალი ტრაქტორი მივიღეთ და წარაფებიც კი დავხანით.“

წარუკა ბინძური (ქალი). „ამ წარუკამ მამ ტანისამოსი დარეცხვა არ უნა იცოდემ?“

წარღუნა წარღვნა „ამამ წვიმა კი არა, წარღუნა მქვია, ერთი კვირაა, არ გადაულია.“

წატიალდება-ა წავა: „ემ ოხერი ძროხა, ისე მაგრათ იბოწკინტეფს ფეხეფს, ნახირში კი არ წატიალდება“. — უპატივ.

წავა, წაეთრევა. „ვანა ადგება და წატიალდება შინ, სანამ ღვინოში არ ჩაიხრჩოვს თავი.“

წატიალდება წასვლა. „დიდო, ძროხა, აბა, თუ გადაადგა ფეხი და გელირსოი წატიალდება.“

წატიალდებულ-ი 1. წასული „ნეტა სად იქნება ი ძალი წატიალდებული?“ 2. უპატივც. წასული, წათრეული. „მაგამ შინ რა გააჩერებდა, საქეფოთ იქნება სადმე წატიალდებული.“

წატოტოჩდება-ა ხელცარიელი წავა სტუმრად. „გვე რო აიღეფ ხოლმე თავ და წაპოტოჩდება, სირცხვილი არ არი?“

წატოტოჩება ხელცარიელი წასვლა (სტუმრად). „ესე წატოტოჩება არ ივარგეფს, ვიყიდოთ რამე და მოუტანოთ.“

წატოტოჩებულ-ი ხელცარიელი წასული (სტუმრად). „სანამ საჩუქარ ვიყიდდი რამე, შენ უკვე წატოტოჩებული იყავი.“

წაუბრასტუნებ-ს წამოარტყამს (თავში). „ცოლო არ არი ე ბავშვი, წარამარა რო წაუბრამტუნეფ ხოლმე?!“

წაუტყლაშუნებ-ს გაარტყამს (ლოყაში). „ისეთი წაუტყლაშუნა ლოყაში, ყბა გვერდზე მოუქცია.“

წაუქასურებ-ს წაუქომინჯებს. „მითომც ხუმრობით, მაგრამ კაი მაგრათ წაგვიქასურებდა ხოლმე ჩვენი მასწავლებელი.“

წაუქვაგებ-ს უპატვ. წაუღებს. „აიღე ე ფული და წაუქვავე იმ ოხრეფს, რო აქ მოსულები აღარა ვნახო.“

წაუშაგებ-ს უპატივ. იგივეა, რაც წაუქვაგებს. „ფული იყო, თორე მე თითონ წაუშაგეფ.“

წაუშაგქვაგებ-ს იგივეა, რაც წაუქვაგებს, წაუშაგებს.

წაფორთხილდება-ა ფეხს წამოჰკვრავს. „ნულა იარეთ, თორე კაცი თუ წაფორთხილდა, თავ-პირ ჩაიმტვრევს.“

წაფორთხილება ფეხის წამოკვრა. „წაფორთხილებაღა უნდოდა ამ ხეობარ კაც?!“ გადატ. ხელის შეშლა. „თუ საქმეში ერთი პატრა წაფორთხილება შეგამჩნიე, იცოდე, ზედ გადაგივლიან.“

წაფორთხილებულ-ი ფეხწამოკრული, მუხლჩაკეცილი. „შე უღმერთოვ, წაფორთხილებულ საქონელ ვეი რო მცემ, ცოლო-ძალი სუ დაეკარგე?!“

წაფოფინება მიმხრობა, გამოსარჩლება, დაცვა. „მაგან ყოველთვინ და ყველაზე ვეი იცის წაფოფინება.“

წაფოფინებულ-ი მიმხრობილი, გადაფარებული. „ყველა ამამიდა ევა ხდება და ყველაზე ვე არი წაფოფინებული.“

წაფრასტუნდება-ა ფრასტუნით წავა. „სანამ არ დაიღლება ბირჯაზე ჯდომით, მანამ არ წაფრასტუნდება შინ.“

წაფრასტუნება ფრასტუნით წასვლა. „ნეტა რამ უცდი ამი წაფრამტუნებამ, შენ გაიქეცი და დროზე მაიტანე, რაც მოსატანია.“

წაფრასტუნებულ-ი ფრასტუნით წასული. „სანამ შენ ლოგინიდან აიჯაჯები, ის უკვე წაფრამტუნებული იქნება.“

წაქა იგივეა, რაც წაკა. „ემ წაქა რაღაც არ მამწონს, ყველ გაგვიფუჭეფუს, დროზე გამოუცვალოთ.“

წაქასურება ქასურის წასმა, წკიპურტის წარტყმა (თავში). „ერთი მასწავლებელი გვყვანდა, ისეთი წაქასურება იცოდა, ახლაც ერუნტელი მივლის.“

წაქეაგდება-ა უპატივც. წავა, წათრევა. „მაგამ თუ უყურეთ, ეგ დღემ არ წაქეავდება აქედან.“

წაქეაგება უპატივც. წასვლა, წათრევა. „აბა, თუ ეღირსოდ აქედან წაქეაგება.“

წაქეაგებულ-ი უპატივც. წასული, წათრეული. „სად არი ნეტა წაქეაგებული, დღემ რო თავი აღარ იჩინა?“

წაქლასუნება იგივეა, რა წაგლარსუნება.

წაქოხება სახელდახელოდ ამენება (უბრალო სახლის, სადგომის) „სანამ სახლ ამენებდით, უბრალო ფიცრულიმ წაქოხებამ რა უნდოდა, ცოტახან თავ შააფარებდით მაინც.“

წაქოხებულ-ი სახელდახელოდ ამენებული (დროებითი სადგომი) „იმა სახლი არა იქვია, ერთი რაღაცა ბუდრუგანა რო აქვთ წაქოხებული.“

წაშაგბნელდება-ა უპატივ. წავა, წათრევა. „სუ აქ ხო არ იქნება, წაშაგბნელდება, აბა, მამ რამ გააკეთეფს.“

წაშაგბნელება უპატივ. წასვლა, წათრევა. „რაო, ჯერ არ აპირეფს წაშაგბნელებამ?“

წაშაგბნელებულ-ი უპატივც. წასული, წათრეული. „სუ ტყუილათ ელოდება ემ ხალხი, ის უკვე წაშაგბნელებული იქნება.“

წაშაგქეაგდება-ა უპატივ. იგივეა, რაც წაშაგბნელდება. „მაგან აქ ისეთი ბუღე გაიკეთა, აქედან აღარსად არ წაშაგქეაგდება.“

წაშაგქეაგება უპატივ. იგივეა, რაც წაშაგბნელება. „წაშაგქეაგებამ თუ დააპირეფს, შემატყობინე!“

წაშაგქეაგებულ-ი უპატივ. იგივეა, რაც წაშაგბნელებული. „ჩვენ სამუშაოთ გაგვრეკა და თითონ კი ქალაქ წაშაგქეაგებულიყო.“

წელანგარა ზარმაცი, უქნარა, წელმოწყვეტილი. „შენოტოლა რო ვიყავი, ჩიტივითა ვფრინამდი, შენითანა წელანგარა რათ ვიქნებოდი?“

წელის მოწყვეტა ზარმაცობა, უქნარობა. „ბიჭო, შეილო, ვე წელი მოწყვეტა იქნება, როგორც შენ იქცევი?“

წენგო ლენჯოს (კაკლის ნაყოფის გარეთა გარსის) წვენი, რომელსაც საღებავად იყენებენ, მომწვანო ფერისაა. დალენჯოვებისას რეზინის ხელთათმანები თუ არ გაიკეთა კაცმა, ხელები გაუშავდება და დიდხანს არ გაეცლება. „აბა, ამ წენგოიანი ხელებით გარეთ როგორღა გავიდე, სირცხვილია.“

წერეწო სოკოა ერთგვარი, მაღალფეხა, ქოლგასავით დიდი ქული ახურავს. „სოკოდ მოსაკრეფათ ვიყავით ტყეში და პატარძლებივით თეთრ კაბებში გამოწყობილმა წერეწოებმა შორიდანვე გამოანათე და ლამაზათ დაგვიკრეფ თავი.“

წვერ-წვერ წვერზე. მალლა- მალლა, „თქვენ ვე წვერ-წვერ იარეთ, თვალიდან რო არ დაგვეკარგოთ და ჩვენც მალე დაგეწვეით.“

წია წიწილა იხ. წიწია.

წითლოთბ-ი წითელი მიწა, წითელიმიწიანი ადგილი. „ამ წითლოფში ყანი მეტ ვერაფერ ვერა ვთესამ.“

წინალამ კინალამ, ლამის. „როგორ მოაქროლებდა ემ მუდრეგი, წინალამ ზედ გადაგვიარა მანქანამ.“

წიკლა, წიკლია პატარა ტანის, პაწაწკინტელა (კაცი). „მაგ ერთი წიკლა კაცმა ვე როგორ შაგამინა?“ მეტსახელია კაცისა.

წიკლია იხ. წიკლა

წიკო-წიკო პატარა გარმონი, ბუზიკა. „უბანში ერთი უშვილო დედაკაცი გვეყვანდა, ნინა ძალომ ვეძახდით. ბავშვები ძალიან უყვარდა. დაგვიძახებდა, დაგვესხამდა ეზოში, ხილ გვაჭმევდა, მერე გამაიტანდა თავი წიკო-წიკო გარმონ, დაუკრამდა და ყველაი გვათამაშებდა.“

წინამეხრე გუთნეულში სულ წინა უღელზე მჯდომი მეხრე. „ყველაზე მეტი ჯაფა წინამეხრე ადგება. ზენი დრომ, ყოველ მობრუნებაზე, უღლიდან უნა ჩამოხტე და ისე მაბრუნომ გუთნეული, როცა სხვა მეხრეები მაშინაც უღელზე სხედან.“

წინდისყელ-ი წინდის ზემოთა ნაწილი, რომელიც კანჭზე (წვივზე) აქვს ამოცმული. „ბაბომ მაღალი წინდისყელები დამიქსოვა, თოვლი რო არ ჩამსლოდა.“

წითწ-ი წიწობა. წვრილი ხმით ყვირილი და სირბილი. „თუ წიწი არ გინდოდა, მაშინ კარგათ უნა გეთამაშა.“

წით-წით აქეთ-იქით გაქცევა, გაფანტვა. კრიახი. „ქორმა გადაიფორინა და კრუხ-წიწილა წიწ-წიწ გაიფანტა.“ გადატ. საქმის ჩაშლა. „ეჰ, ვერაფერი ვერ გააწყვედ, საქმე სუ წიწ-წიწ წაუვიდათ.“

წიწლა პატარა, ჩია „ეგ წიწლა ევა, ეგეც რო მარაქაში ერევა, რატო ღმერთი არ გაიცინეფს.“ მეტსახელია კაცისა.

წიწროთ, წიწრუა იგივეა, რაც წიწლა.

წიქვინი წვრილი ხმით ატეხილი ხმაური. „ჩვენ არაფერი დაგვიშავებია, დაგვინახა თუ არა, მაშინვე წიქვინი ატეხა.“ წიქვინა-მეტსახელია ქალისა.

წიქვინებ-ს წვრილი ხმით ხმაურობს, ჩხუბობს. „რა იყო, ქალო, რა მოგივიდა, რასა დწიქვინეფ, ვინ რა გითხრა ისეთი?!“

წიწია 1. წიწილა (ბავშვის ენაზე). „ჩვენ ლამაზი წიწიები გყავ.“ 2. წინდა (ბავშვის ენაზე), „ბაბომ ჭრელი წიწიები დამიქსოვა.“

წიწილები ერთგვარი გამონაყარი ფეხებზე. „ეგ გოგო იმდენხან იჯდა ბუხართან, სანამ წიწილები არ გამაყარა და ფეხები არ დაიმახინჯა.“

წიწინ-ი წრიბინი, გაუთავებელი ლაპარაკი (ქალისა). „აუჰ, რა წიწინი იცის ამ ქალმა, რო დაიწყეფს, აღარ მორჩება!“

წიწინებ-ს წრიბინებს, გაუთავებლად ლაპარაკობს. „რამდენსა წიწინეფს ეგ ქალი, წაილო ყურები, თუ ღმერთი გწამს, მიეცი, რაც მისაცემია და მაიმორე აქედან.“

წიწკანა ჩიტია ერთგვარი, ღობემძვრალა. „მაგ ჩიტ წიწკანასაც ეძახიან და ღობემძვრალასაც.“

წიწკანა ციკქნა, ერთი ბეწო. „მე ერთი წიწკანა მამცა და ნახე,თითონ კი რამოტოლა უჭირამს.“

წიწლიკა პატარა, ნამცეცა. „ამ წიწლიკამ თავი როგორ გაუყადრო და როგორ ვერხუბო, არ ვიცი.“

წიწლიკანა იგივეა, რაც წიწლიკა. „შენ წიწლიკანა დაუმახე და ნახე, რამოდენა შეშა მოყარა ეზოში!“

წკენტაგ-ს -სტკენს, ყრუდ ჩხვლეტავს (გულში, თითის წვერებში, ფეხის გულლებში) „არ ვიცი,რა დამემართა, საშინლათ მწკენტამს გულში.“

წკენტვა ყრუ ტკივილი, ჩხვლეტა (გულში, თითის წვერებში ფეხის გულბებში). „თითებში ისეთი საშინელი წკენტვა მაქ, რამის გული გამიწვრილდეს.“

წკმენტავ-ს იხ. წკენტავს. — „თითებში მწკმენტამს.“

წკმენტვა იხ. წკენტვა.

წკიმაღ-ი გამხმარი წვრილი ფიჩხი. „ერთი წკიმაღი აღარ გვიგდია, რო დილით მაინც ავანთო ცეცხლი.“

წკიპა პატარა, ციცქნა, წიპლა. „ნეტა ემ სადღა ერება, ემ წკიპა, ესა.“

წკირ-ი იგივეა, რაც წკიმაღი. „მიდი, პატარა წკირები მოკრიფე, თორე ნავთიც არა გვაქ, ისე ვერ მოუკიდეთ ამ სველ შეშამ.“

წკრეტავ-ს წყვეტს (წყალს). „ნეტა ვინა მწკრეტამს ამ წყალ, რო სასმელათაც ვერ ავიღეთ ხოლმე.“

წკრეტვა დაწყვეტა (წყლისა) იხ. დაწყრეტვა.

წლოკ-ი 1. გველის წიწილი. „გველ კვერცხები დაეყარა ქვიშაში და მაგრა რო დაცხა, წლოკები გამაიშალნენ.“ 2. წვრილი, გამხდარი, გაწლოკილი. „ემგ წლოკ მაგდენ რო აფასეფ, ვინ იყიდი, ცოტა დაუკელ.“

წლუმმე წუმმე, უსუფთაო წყალი. „წავა-წამოვა ემ ბიჭი და გოჭივით წლუმმეში ჩავარდება ხოლმე.“

წოწუა ცეცხლი (ბავშვის ენაზე). „არა, არ იქნება, ხელი არ მოაკიდო, წოწუა, თათუები დაგეწვება.“

წრიოკ-ი უჯანო, მწირი მიწა. „ერთი წრიოკი ადგილი შამხვდა, ტყუილათა ვხნამ, ვერაფერი ვერ მამყავ.“

წუკ-ი ჭუჭყი. „სახიდან წუკი ვერ მოუცილებია და რამდენსა ლაპარაკოფს.“

წუკა უჯიშო, უმსგავსო ადამიანი. „ემ წუკა ნეტა ვინ ურჩია, ან რამ შართვევინა ცოლათ.“ მეტსახელია ქალისა.

წუკია იგივეა, რაც წუკა. „ემ წუკია, ევა, ნეტა ხმამ როგორ იღეფს!“ მეტსახელია ქალისა.

წუკიან-ი ჭუჭყიანი, ბინძური. „ემ რო უჯახი ქალი იყო, არც თითონ ივლიდა ეგე წუკიანი კაბით და არც შეიღეფს ატარებდა პირდაუბანღეფს.“

წუკლა იგივეა, რაც წუკა. „თავისამ მაინც არ იშლიდი, ი წუკლა, ისა.“

წუნწკალ-ი წუნწკლი, მხეფი, წვეთი. „ემ პერანგი მაგრა გაწურე და ისე დააკიდე, რო ერთი წუნწკალიც არ ჩამოვივარდე.“

წუნწკლაობ-ს 1. წუნწკაობს. „რასა მწუნწკლაოფთ, პატარები ხო აღარა ხართ.“ 2. ღვინოს იაპარავს, ცოტას სევამს „დალიეთ, თუ სევამთ, რასა მწუნწკლაოფთ პატრა ბავშვებივით.“

წუნწკლაობა წუნწკაობა. „ამ სიცივეში რა წუნწკლაობა აგიტყდათ?!“

წუნწუნ-ი საქონლის ნეხვი და შარდი ერთმანეთში არეული. „ახლათ დაბადებული ბატკანი წუნწუნში თუ ჩავარდა, დედა ველარ იცნოფს და დაიღუპება.“

წურთნი-ს სხლავს, ტოტებს აჭრის (ხეხილს). „მამაჩემი მსხალსაცა და ვამლსაც ყოველ გაზაფხულზე მწურთნის ხოლმე.“

წურთენა სხვლა, ტოტების შეჭრა. „როგორც ვენახ სხვლა, ატამსაც ისე უნდა წურთნა, თუ გინდა, რო ყოველ წელიწად დაისხამ.“

წუნწიან-ი ჭუჭყიანი, უსუფთაო (აღამიანი). „იმ წუნწიან, იმამ, ნეტა ვინ ითხოვს, ვინ შაუშევეს სახში?!“

წყალგაატან-ს გადაყრის, უსარგებლოდ დახარჯავს. „თავისი უტვინობით ამოდონა ქონება სუ წყალგაატანა.“

წყალგაღმელებ-ი მტკვრის მარჯვენა მხრის (წყნეთის, თელეთის, ტაბახმელის) მცხოვრებლები. „ადრე ჩვენ სოფელში ისეთი ჭიდაობა იმართებოდა, წყალგაღმელებიც კი მოდიოდნენ.“

წყალმა რიყოს წყალმა მოსპოს, წყალმა წაიღოს. კაცი სიზმარს რომ ნახავს, არავის მოუყვება, წყალთან (ონკანთან) მივა, მოუშვებს და იმას უებნება. „რაც კარგია, ჩემთან იყო, რაც არა და, წყალმა რიყო.“ სამჯერ იმეორებს ასე. დარწმუნებულია, რომ ის ცუდი, რაც სიზმარში ნახა, კეთილად აუხდება.

წყალმა წაიღოს ამოწყდეს, დაიღუპოს, დაიქცეს. „წყალმა წაიღო მათი ოჯახი, როგორც ჩვენ დაგვლუპე და დაგვაქციე.“

წყაროს გამთხდა წყაროს გაკეთება. ნესტიან ადგილებში (ტყეში, მინდორში). სადაც მუდმივი სისველეა, მიწას გამოთხრიან და თუ სისველემ მოიმატა, წყალი დაგუბდა, უფრო ღრმად ამოთხრიან და წყაროს გამოიყვანენ. ამას ეძახიან „წყაროს გამთხდას“.

წყეულ-ი უხსენებელი, გველი. „ფეხიშველები ნუ დადრბიხართ მაგ ბალახეფში, ემანდ ფეხი არ დაადგათ წყეულ და არ დაგებინოთ.“

ჭაკად ცუდად. „ძან ჭაკადა გვაქ საქმე, არ ვიცი, რა გვეშველება.“

ჭაკურად იგივეა, რაც ჭაკად. „ვ შენი ნაცნობი ძან ჭაკურათ მოგვექცა.“

ჭამაფიცვილა ვინც ბევრს ჭამს და თან იფიცება, არაფერი მიჭამიაო. „ვ ისეთი ჭამაფიცვილაა, თელი ქვაბი რო შაჭამოა, მანც იტყვის, არაფერი მიჭამიაო.“

ჭანჭლე გამხდარი, სუსტი (აღამიანი). „ვერა მხელამ ამ ჭანჭლემ, რამოტოლა გუღურა წამოუკიდებია?!“ მეტსახელია კაცისა.

ჭაბ-ი ქალამნის ამოსაკრავი თასმა (კოპი). „ჭაბი გამწვეტოდა და შინ ძლივამ მოვათრიე ქალმანი“.

ჭაპენა წვნა, დაწვნა. „შენ საქალმე მამიტა, თორე ჭაპენა მეც კი ვიცი.“

ჭაპიან-ი: ჭაპიანი ქალმანი ლამაზად ამოსხმული, ზემოდან ლამაზად მოწნული ქალამანი. „წინათ ჩუმიტები საღ იყო, ან ვის ეცვა, ჭაპიან ქალმეფს რო ჩაეცომდით და გარეთ გავიდოდით, თავი იმით მოგეწონდა.“

ჭაპნაფ-ს ლამაზად წნავს. „ნახე ეა პატრა ბიჭი ღიღი კაცივით როგორა მჭაპნამს ამ ქალმეფს.“

ჭაპნი-ს იგივეა, რაც ჭაპნაფს.

ჭარხლის მკლაფ-ი ჭარხლის ფოთოლი, იყენებენ მხლად. „რა კარგი ჭარხლი მკლაფია, მოგერიფოთ და მხალი გავაკეთოთ ღლეა.“

ჭატრაკულად ცუდად. არასახარბილოდ. „ჭატრაკულათ წავვივიდა საქმე.“

ჭაჭაფ-ს ატირებს. „არ გეცოდებათ, რასამ მჭაჭამთ ამ ბავშვეფს?“

ჭაჭაფა ტირილი. „ამი ჭაჭაფა მაკლდა ახლა.“

ჭახა: ჭახა გაადინა გაარტყა. „ერთი ისეთი ჭახა გაადინა ყბაში, რო მიწაზე გააგორა.“

ჭახი! ჭახი-ჭახი ცხვრის მოსახმობი შეძახილი.

ჭახია მოფერ. ცხვარი (ბავშვის ენაზე). „ნახე, რა ლამაზი ჭახიები გვყავ.“

ჭერემ-ი ჭერამი. „ჩვენ ჭერამი ვიცით, საგარეჯოა რო გავცდებით, იქაურები ამობენ ჭერემ.“

ჭერის ახდა დიდი ქეფი, მზიარულება ოჯახში. „ბა, ბიჭებო, დღე ერთი მაგრა უნა ვიქეფოთ, ჭერი უნა ავხალოთ, ჭერი!“

ჭერის ახსნა ოჯახის (ჭირისუფლების) მიერ მიცვალებულის სულის მოსახსენებელი სუფრის გამლა წლისთავზე. ამ რიტუალს თამადა ასრულებს. იტყვის მიცვალებულის შესანდობარს, მერე მოიგონებს ყველა იმ გარდაცვლილ ადამიანს, ვინც ამ ოჯახს, მათ სანათესაოს დააკლდა... შემდეგ ადღეგრძელებს ოჯახის წევრებს, მოწვეულ სტუმრებს, სიმღერასაც წამოიწყებს, თუ მღერის, თუ არა, სხვას დართავს ამის ნებას, შეუძლიათ ცეკვა-თამაშიც, ე.ი. შეახსენებს, რომ გლოვა უკვე დამთავრდა, ახლა სიცოცხლეზე, აქ დარჩენილ ადამიანებზე უნდა იფიქრონ და იზრუნონ. ამას კი თვითონ მიცვალებულის სული თხოულობს. მოითხოვს, რომ ოჯახი, ჭერი გლოვისაგან ახსნან.

ჭერის გახსნა იხ. ჭერის ახსნა.

ჭვინტიკა გრძელცხვირა, ვისაც გრძელი და მალა აპრეხილი ცხვირი აქვს. „ნახე, რა ლამაზი ქალი მოუყვანიათ რძლათ, ი ჭვინტიკა ცხვირიც კი როგორ უხდება.“

ჭიაკოკოლა 1. ჭიაკოკონა. აღდგომის წინა ოთხშაბათს დანთებული კოკონი. 2. საერთოდ, გარეთ დანთებული ცეცხლი. „პატრა ბავშვები ხო არა ხართ, ყოველდღე ჭიაკოკოლაი რო ანთეფთ, მერე წყალი მიანც დაასხით და ჩააქრეთ, რო არაფერ მეეკილოა.“

ჭიამკვდარა სუსტი, უძლური (ადამიანი). „რათ უნდოდა, ი ჭიამკვდარა რო წამოუყვანია, იმან რა უნა გაგვიკეთო?“

ჭიანჭვლიგორა პატრა ბორცი, რომელშიც ჭიანჭველები ბულობენ. „თუ ჩვენ ჭკუამ დავარიგეფთ ბავშვეფს, ვასწავლით, ტყითონ რა სარგებლობა მოაქვთ ჭიანჭველეფს, დაფიქრდებიან და კი აღარ დაანგრევენ, თითონ ააშენებენ ჭიანჭვლიგორეფს.“

ჭიაღუელ-ი ირონ. იელოველი. „არ ვიცი, ემ ჭიაღუელები საიდან გადმოცვივნენ ჩვენთან, მაგრამ რო ამობენ, ხელმძღვანელათ ქვემოუბნელი ყეყეჩი დედაკაცი და მისი კუზიანი ქმარი მყავთო, თითონ იფიქრეთ, დანარჩენები რეები იქნებიან.“

ჭიბღერა თამამი, ცქვიტი ბიჭი, ასე რვა-ათ წლამდე. „ემ რა კაი ჭიბღერა ბიჭი მყოლიათ!“ ეს სიტყვა დასტურდება, ერთ ხალხურ ლექსშიც: „პატრა ბიჭო, ჭიბღერა, ვინ გასწავლა სიმღერა, პაპამ ჯოხი წამოგისო, გათხრევიანა ძირხვენა.“

ჭიგვა ჭიგო. ეს ფორმა დასტურდება გარეკახეთის აღმოსავლეთ მხარეზე მდებარე სოფლებში, შეიძლება ეს ქიზიყური კილო-კავის გავლენაც იყოს. „ჭიგვის მოსაჭრელათ მივდივარ, შენც ხო არ წამოხვალ?“

ჭიგოს ლობით ლობიოს ერთ-ერთი სახეობა. „წლელუ ჭიგოდლობით ბევრი უნა დავთესო, გემრიელიც არი და შრომაც იმდენი არ უნდა.“

ჭიისთუთა იგივეა, რაც ჭიისფურცელი.

ჭიისფურცელ-ი უნაყოფო თუთის ხე, რომლის ფოთოლსაც აბრეშუმის ჭიის საკვებად იყენებენ. „ეა ხე თავისით ამოვიდა და ჭიისფურცელი გამოდგა, მაგრამ არ მოვჭერი, თუთრი თუთა ვაძყენ, ჭია თუ გავიჩინე, ამი ფოთოლსაც კარგა შამჭამს!“

ჭილოფ-ი ჭილი. „წინათ, სანამ მართულ გავაბამდით ეენახში, ვაზ ჭილოფით ან მარნულით ვამაგრებდით ჭიგოზე.“

ჭინჭრობ-ს ბუზლუნებს, ცხარობს, უარობს. „ეა კიდე სუ უკმაყოფილოა, ყველაფერზე სუ ესე ჭინჭროფს.“

ჭინჭრობა ბუზლუნი, კამათი. „მაგან ცოტა ჭინჭრობა რო არ იცოდემ, კაცი ვერ აჯობებდა.“

ჭირიმჭურუმე ჭირიმე „შენი ჭირიმჭურუმე და შენ გენაცვალე, სუ ტყუილია, შენითანათ არავინ არ მიყვარს.“

ჭიფხვა ყელყელაობა, ჭიმვა. „მაგ შენ ძმაკაც უთხარი, რო ეგ ჭიფხვა ჩვენთან არ გაუა, მონარშულ ვიცნოფთ.“

ჭიჭია ჭია (ბავშვის ენაზე). „დედიკო ჭიჭიები დამიჭირე რა!“ მეტსახელია კაცისა.

ჭიჭო, ჭიჭო ასატეხი სიტყვის მასალაა. როცა ბიჭს ეძახიან: „ბიჭო! ბიჭო!“ ის კი ხმას არ იღებს, მაშინ ეტყვიან: ბიჭო, შე ჭიჭო ასატეხო, რამ დაგაყრუა! ან „ბიჭო შენა და ჭიჭო!“

ჭიჭო ასატეხ-ი იხ. ჭიჭო.

ჭლაპაჭლუპი-ი ხმაურით ღეჭვა, ყბების უშნო ჭნევა ჭამის დროს. „ამ ახალგაზრდებმა სუ დაკარგეა ზდილობა, ჩაიღებენ პირში, კეცია თუ რალაც ოხრობა და გაუღით ჭლაპაჭლუპი.“ „ბიჭო, შეილო, პატარა ხო აღარა ხარ, აბა, მიიხელ-მოიხელდე, ვინა ძჭამს ეგე ჭლაპაჭლუპით.“

ჭლაპუნ-ი იგივეა, რაც ჭლაპაჭლუპი. „ამ ბიჭ ვერა და ვერ მოვაშლეინე ეა ჭლაპუნი.“

ჭოფ-ი ჭვაკი. „წინათ ჭოვიც გვეთესა ხოლმე, ახლა იშვიათათ თუ გაძიერევა ყანეფში.“ მეტსახელია კაცისა.

ჭონჭონ-ი 1. ჭაობიანი ადგილი, ჭონჭყვი. „ამ ჭონჭონში კაცი როგორ გაივლის, ყელამდე ჩაუფლობა.“ 2. იგივეა, რაც წუნწუნი. „შე კაი კაცო, ემ საქონელი არ გეცოდება მაინც, ამ ჭონჭონში როგორ გიბია, რა უნდა ამი გახვეტამ.“

ჭოტ-ი: **ჭოტზე ზის ფხიზლად** არის. „ემ ბიჭი სუ ჭოტზე ზის, ვერსად ვერ გაეპარები.“

ჭოჭ-ი: **ჭოჭის მიცემა** დაშინება, შეფუცხუნება. „ეიტყობა, ჭოჭი მიცემა, ნახე, თავი როგორ მაიკატუნა?!“

ჭრელახტ-ი ლახტაობა. „ბავშვობაში მეც ძაან მიყვარდა და თელი უბნი ბიჭებიც სუ ჭრელახტით ვერთობოდით.“

ჭრილა ჭროლა, მოყავისფრო ჭრელი თვალები. „ამობენ, ვისაც ჭრილა თვალები აქ, ღამე კარგათ ვერ იხედასო. მაგრამ ტყუილია, რამდენიმე ჭრილა თვალებიან კაც ვიცნოფ და ეგ არ შამიძნევეა.“ მეტსახელია კაცისა.

ჭუკა! **ჭუკაქმა!** ინდაურის (ინდაურების) გასარეკი შემახილი.

ჭუკია შტერი, ჩერჩეტი, ბოთე. „შე ჭუკიაფ, შენა, მამ ვერ უნა იხვდებოდე!“

ჭუკრრ! **ჭუკრრრ!!!** ინდაურის მოსახმობი ძახილი.

ჭუპა-ჭუპა ბანაობა (ბავშვის ენაზე). „აბა, ვის უნდა ჭუპა-ჭუპა, ვინ არი ყოჩალი?!“

ჭურუმე ჭირიმე. „შენი ჭურუმე, შენი, რა კაი კაცი ხარ.“

ჭუჭუნ-ი მძინარე ბავშვის მოძრაობის ხმა. „როგორც კი ბავშვი ჭუჭუნი გაიგონო, მაშინვე ღამიძახე.“

ჭუჭუნებ-ს მძინარე ბავშვი მოძრაობს, ტოკავს. „ერთი მიიხნედე იმ ბავშვ, რა უნდა, რასა ჭუჭუნეფს?!“

ჭყეპავ-ს ბევრს (სითხეს) ასმევს. ჭყეპავს „მაგ ბავშვ ეგე რო იჭყეპამ, ამაღამ როგორღა უნა ღამიძინო.“

ჭყეპავაზე ძალიან ბევრი. „სასმელი რამდენიც გინდა, იმდენი ღალიეთ, ჭყეპაზე გვაქ.“

ჭყეტი, ჭყეტუა დიდთვალება, თვალებგადმოყრილი (ადამიანი). „რაო, უარი ხო არ გითხრა მაგ ჭყეტუამ, წამოვალო?“ მეტსახელია კაცისა.

ჭყეტუა იხ. ჭყეტი.

ჭყიბურტ-ი/ა ცული, უვარგისი ღვინო. „შე კაი კაცო, ხო ვიცით, რა ღვინოცა გაქ, ღღეღ რაღა ამ ჭყიბურტით ღაგვხოცე, რა უჯვრი გჭირდა.“

ჭყიბავ-ს ძალით ასმევს. „ამ მაჟალომ წვენით რო გვჭყირბამ, ი კაი ღვინო რატო არ მოგვიტანე?“

ჭყირპვა ბევრის სმა. „ნეტა ეგე ჭყირპვა არ იცოდე და მეტი არაფერი მინდა.“

ჭყლაპაჭყლუბ-ი 1. უშნო ჭამა წვნიანისა. „შე კაი კაცო, რა ჭყლაპაჭყლუბი აუყენე მაგ წვნიან, დაჭიმითული ქვეყნიდან ხო არ მოხვედი?!“ 2. წყალში (ტლაპოში) სიარულისას გამოცემული ხმა. „ბიჭვეს უქეიფიათ ბალი თავში ღამით. მეველე ეშმაკებათ მომჩვენებია. შიშისაგან წყალში ჩამხტარა და გაქცეულა. იმი ფეხი ჭყლაპაჭყლუბი თელ ხეობამ ედებოდა თურმე.“

ჭყლაპუნ-ი იგივეა, რა ჭყლაპაჭყლუბი.

ჭყლაპუნობ-ს წყალში (ტალახში) მოძრაობს და ხმას გამოსცემს. „იმ წყალში რაღაცა ჭყლაპუნოფს, ნახე, იქნება თევზი იყო.“

ჭყლობ-ი გამდნარი თოვლი და ტალახი ერთმანეთში არეული. „ამ ჭყლობში რო დადღიხარ, ემ ახალი ფეხსაცმელები მაინც არ გენანება?“

ჭყობ-ი ჭყვაბი. გამდნარი თოვლის ან წვიმის ტბორი. „ჭყობში არ ჩამვარდე, აქეთ უფრო მშრალია, აქეთ წაბოდი.“

ჭყრიალ-ი მუცლის ხმაური. „მუცელ რაღაც ჭყრიალი გაუდი, არ ვიცი, რამ მაწყინა.“

ჭყრიალეზ-ს ხმაურობს (მუცელი). „ამ ბავშვ ესე რატო უჭყრიალეფს მუცელი, ნეტა ხო არ გაცივდა?“

ხანდროს ზოგჯერ, ხანდახან. „ხანდრომ სიტყვამ ვერ დააძვინდინა კაცი, ხანდრომ კი ისე გაუტევეს, ვეღარა ვცნოფ.“

ხარე მხარე. „ჩვენ ხარეში მგელი აღარ შაგვხვედრია.“ „გვ ჩვენი ხრი კაცი არა ჩანს.“

ხარიხა ხალხა, ჭოკი. კაკლის დასაბერტყე გრძელი და წვრილი ჯოხი. „გაიქე ერთი, სახლი უკან ხარიხა აყუდია და მარბენინე, კაკალი დაებღერტოთ.“

ხარფურცელა ფურისულა. „მაგ ყვავილ თუ ფურისულა ერქვა, გვიან გავიგე. ჩვენ ხარფურცელამ ვეძახდით, ტკბილია და ბავშვობაში ვჭამდით ხოლმე.“

ხარჯ-ი ქელეხი. „უფრო ხშირათ ქელეხ იტყვიან, მაგრამ ხარჯიც გამიგონია.“

ხაფერა დაკაება, დაჭერა (ადგილისა). „ამოტოლა ეზომ ესე ტყუილებრალთ ხაფერა სად გაგონილა და თქმულა?“

ხაფრაფ-ს იკაებას, იჭერს (ადგილს, გზას) „ამ ქვეერ ტყუილათ რათა მხაფრამ, პატრა ჭურჭელი მოძებნე რამე და იმაში ჩავასხათ.“

ხაჩხაჩი-ი ქათქათი. „ე რა კარგი სარეცხი ფხენილი მაიტანე, გუშინ გავრეცხე და ნახე, რა ხაჩხაჩი გააქ.“

ხაჩხაჩა ქათქათა. „ხაჩხაჩა პერანგი უნა ჩაგაცო და ისე გაგიშო სტუმრათ.“

ხაჩხაჩებ-ს ქათქათებს. „იქავრობა ისე დაუწმენდია, რო სუ ყველაფერი ხაჩხაჩეფს.“

ხედნა წვრთნა (ცხენისა). „ზოგი გამოქნამ და ხედნამ ერთმანეთში ურევს. არ არი სწორი. გამოქნა ხარსა მჭირდება, ხედნა კი – ცხენს.“

ხედნი-ს წვრთნის (ცხენს). „მასსომს, პაპაჩემი როგორა მხედნიდა ხოლმე ცხენსა. დიდ ზურჯინში ქვეფს ჩააწყობდა, გადააკიდებდა, მერე მინდორში გაიყვანდა გრძელი თოკით და თელი დღე წრეზე დაარბენინებდა.“

ხევსურ-ი ყინჩი, ჩხუბისთავი. „გაიზდება და დაღვინდება, აბა სუ ეგეთი ხევსური ხო არ იქნება.“

ხელათში უცებ, მაშინვე, ხელად. „სიტყვა ბოლომდე არ დამემთავრებინა, რო ხელათში გაეარდა და ყველაფერი მოგვიტანა.“

ხელეურ-ი ნამკალში შეგროვილი თავთავები, რაც ერთ ხელში მოთავსდება. „ყანად მოამქიდნენ და ძნად გამოიზილამდნენ თუ არა, მაშინვე ნამკალ მოვედებოდით ბავშვები, დახეულ თავთავებს მოგკრეფამდით და ხელეურებს შეეკრამდით. ზოგჯერ ათითხუთმეტი ხელეურიც მამიტანია შინ, დამიცხვია და წისქვილში წამიღია დასაფქველათ.“

ხელთება: დროის ხელთება დროის გამონახვა „დრო ვიხელთე და მაშინვე ქალაქში წავედი.“

ხელითსატარებელ-ი უშნო, უნიათო, სხვის ხელებში შემყურე. „ეგ ხელითსატარებელი რათ გინდოდათ, რო წამოგიყვანიათ, აქ რა უნდა გაგვიკეთოდ?!“

ხელისდარევა დამორჩილება, დაბრიყვება, დაჯახვნა. „იმ არამზადამ ესე როგორ დაგრიათ ხელი, რო სიტყვასაც ვერ უბრუნეფთ.“

ხელის მოთბობა სარგებლობა, გამორჩენა. „ესაა სამართალი? ჩვენ მშვირები დაგვტოვედ, ჩვენი ფულით კი, სალაროში რო გვქონდა შეტანილი, მაგათ მოითბე ხელი.“

ხელი ფაფას! იდიომი. ხელი არ ახლო! ახლოს არ მიეკარო! ხელი გაუშვი!

ხელი(ს)წამკრაფ-ი დამხმარე, მშველელი. „რა ვქნა, მე საწყალმა, სუ მარტო ვარ, ხელიწამკრაფი არავინა მყავ, რო ოჯახი ფეხზე დავაყენო.“

ხელი(ს)წამომკრაფი იგივეა, რაც ხელისწამკრაფი. „თუ ხელიწამომკრაფი არა გყავ, სუ ტყუილია, ვერაფერ ვერ მიახწევ.“

ხელიხელად უცებ, სწრაფად. „რა ყოჩალი დედაკაცია, ხელიხელათ გაგვიწყო სუფრა.“

ხექალა უემური, უკმეხი. აჯამი ქალი. „სუ ტყუილათ ელაპარაკები, იმა ვერაფერ ვერ შაასმენ, ერთი ხექალა ვილაცა.“

ხეშავა ხეშავი. „ეგეც მითომ სოფელში ცხოვროფს რაღა. ხეშავა რო ხეშავაა და თავისით ამოდის, ისიც კი არ უღდა ნაკვეთში.“

ხეჩავ-ს შუაზე ჭრის, აპობს (შემას). „თელი ღლე ეგე ღვა და მხეჩამს შეშად“.

ხეჩვა შუაზე ჭრა, დაპობა (შემის). „მაგად ხეჩვა რაღათ უნდა, ეგევე შაუკეთე ღუმელ და მოეკიდება.“

ხეხელა თხელი, გამხდარი, მაღალი კაცი. „ეგ ჩვენი სასიძო ერთი ხეხელა ბიჭი გამოღდა.“

ზეალიება პატიება, დაზოგვა. „მაგათ ზეალიება არ იციან.“ „არა, ჩემო ძმაო, თუ ჭკვიანათ არ მოიქცევი, არავინ გიხველიფს.“

ზეთაება, ხეთება მარტყოფის მონასტრის სახელწოდებაა, რადგან ამ მონასტრის მთავარი ეკლესია, სადაც წმინდა მამა ანტონ მარტომყოფელი ასვენია, ზეთაების (მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის) სახელზეა აგებული.

ზეთაებობა, ხეთებობა იგივეა, რაც ღვთაებობა. „ზეთაებობის მაღლი გწყალობდეთ!“ ასე მიმართავენ ზეთაების ეკლესიიდან მომავალი მლოცველები ყველას, ვინც გზაზე შეხვდებათ. დღესასწაული იმართება 29 აგვისტოს (ძვ. სტილით 16 მარიაშობას.).

ზეთება იხ. ზეთაება.

ზეთებობა იხ. ზეთაებობა.

ზეთის უბეში ყოფნა მშვიდად, იმედიანად ყოფნა, ბედნიერად ცხოვრება. „თქვენ იკითხეთ, თორე იმათ რა უჭირთ, ზეთის უბეში არიან.“

ზეთისცეცხლი! წყველაა. როცა შეკითხვებით თავშებურებულს პასუხის გაცემა არ სურს, მაგრამ მაინც თავს არ ანებებენ და თან მის სახელს წარამარა იმეორებენ, მაშინ თავისი სახელის გაგონებაზე გულმოსული ეუბნება: „ზეთისცეცხლი!“ ანდა პირიქით: როცა მრავალგზის შეკითხვაზე პასუხს არ აძლევენ, ბოლოს კი ვითომ ვერ გაიგეს, იკითხავენ: „რაა?“ შემკითხველი გაბრაზებით მიახლის: „რაა და ზეთისცეცხლი!“

ზეთისცეცხლი და არგადარჩენა! წყველაა. ვინმე რომ დაახველებს, აგდებით იტყვიან ისე, რო ვერ გაიგონოს: „ზეთისცეცხლი და არგადარჩენა!“ თუ შეხუმრებულები არიან, შეიძლება პირშიც უთხრან.

ზელეპუზა, ხელეპუსა თავგადასოტრილი, თავმოპარსული ადამიანი (უფრო ბიჭზე იტყვიან) „რა ბიჭი გაუშვით და ნახე, სადალაქოდან რა ხელეპუზა გამოუშვედ.“ გადატ. ლაწირაკი „უყურე ერთი ამ ხელეპუზა მაიმუნ, აღარც დიდი იცის და აღარც პატარა, როგორ უნა მიბედავდე ამითანა სიტყვეფს?!“

ხელეპუსა იხ. ხელეპუზა.

ხი! ხიი! ხარისხადმი შეძახილი, როცა გვერდზე ან უკან უნდათ, რომ მიაყენონ.

ხია ხიხია, ცუდი, ფინთი (ბავშვის ენაზე) „ფუჰ! ხელში არ აიღო, ხია!“

ხიდ-ი კერპი, ჯიუტი, თავისნათქვამა. „რო იტყვიან, ხიდაო, ამაზეა ნათქვამი, რასად აინიყუეს, ჯორზე შაჯდება და აღარ გადადითქოშს.“

ხიკე-ი იგივეა, რაც კვინიხი. „ეა რა კომბომტო გამოდგა, ცარიელა ხიკეებია, კუჭი სუ არ დაიხვია.“

ხიმა! ხარისაღმი შეძახილი გვერდზე ან უკან რომ დაიხოს. „ხიმა ხარო! შე ვერანავ, შენა, მიდექი გვერდზე.“

ხიმანდრობ-ს თვალთმაქცობს, ეშმაკობს; იტყუება. „ეგ რაღაცად ხიმანდროფს, ცოტა ყურადღებით იყავი.“

ხიმანდრობა თვალთმაქცობა, ეშმაკობა. მოტყუება „ეგ ისეთი პატიოსანი კაცია, ხიმანდრობად არავითარ შემთხვევაში არ იკადრეფს.“

ხიო გაუთლელი, ხეპრე, რეგენი. (უფრო კაცზე იტყვიან). „ნეტა სად გამონახე, ეა ხიო, ესა?!“

ხიო! ხარისაღმი შეძახილი გვერდზე ან უკან რომ მიაყენონ.

ხიოთ! იგივეა, რაც ხიო!

ხიო-ჰო! ხარისაღმი შეძახილი (უფრო დაყვავებით, მოფერებით) გვერდზე ან უკან რომ დაიხოს.

ხიო-ჰო! იგივეა, რაც ხიო-ჰო!

ხიხო იგივეა, რაც ხიო. „ერთი გამოუსვლელი, ხიხო ვიღაცა გამოდგა ეა ჩვენი უფროსი.“

ხლეწაგ-ს გააწნავს, მაგრად გაართყამს. „თავი დაანებე, თორე ერთ ისეთსა გხლეწამს, ფეხზე ვეღარ დადგები.“

ხლეწვა გაწვნა, მაგრად გართყმა. „შე კაი კაცო, გართყმა გართყმანა, მაგრამ ეგეთი ხლეწვა რაღა იყო?!“

ხოგ-ი ხვავი. „დღემ კაი კალო გავლეწეთ, ნახე, რა ხოვი დაგვიდგა.“

ხოზო, ხოზუა 1. მცენარეა, ერთგვარი „ხოზო თუ ხოზუა ჭყიმი მაგვარი ბალახია.“ 2. ვისაც ძირში აქვს თმა მოპარსული „ე-ე, ხოზო, რა უყავ შენი ქოჩორი?!“ მეტსახელია კაცისა.

ხოზუა იხ. ხოზო.

ხოკერა გველხოკერა. უშხამო ქვეწარმავალია, თავიდან ბოლომდე თითქმის ერთი სიმსხოსია, კანი მოწითალო-ძორუხო აქვს და ჭორფლივით წინწკლები აყრია, გველის დაუძინებელი მტერია.

ხომანდურ-ი ხომანდული, ვაშლის ერთ-ერთი ჯიშია. წვრილი, ტკბილი ნაყოფი აქვს. „ბაღში ერთი ხომანდური გვედგა, რო გახმა, ძან დამწყდა გული, მაგრამ იმ ძირმა, რაზეც ი ხომანდური

იყო დამყნობილი, ყლორტები ამაიყარა და ისეთი ვაშლი გამოდგა, არსად რო არ შამხვედრია. გემრიელია და თანაც წლიდან წლამდე იძლეფს, სუ არა ფუჭდება.“

ხოობა თანხმობა, დასტური, პირობის მიცემა. „არ ვიცი, ვინ რა ჭკუაზე დააყენა, გუშინ ხოობა მითხრა, დღეა უარით მიშვეფს.“

ხრანტი-ი ნახველი. „საწყალი თელი დღე ესე იხრანტება, მაგრამ ხრანტი ვერ იღეფს“.

ხრილობა ვაზის ყვაილობა. „ვაზ უთქვია: ნეტა ხრილობამ ჩემი პატრონი ლოგინათ ჩაეარდესო. ესე იგი, ხრილობა რო დაიწყება ანუ ვაზი რო აყვავდება, კაი მევენეზე, შიგ ალარ შავა და ყვაილ არ გააყრეინეფს.“

ხსენ-ი კვეთი, დერიტა, ყველის დედა. „ყველი დედამ ხსენსაც ვეძახით, რადგან ბატკნი კუჭში, რისგანაც ყველი დედამ ვაკეთეფთ, ჯიქნიდან გამოწოვილი პირველი რქე ანუ ხსენი დგა.“

ხუზაგ-ს ირონ. კრეჭავს, პარსავს. „ვინა მხუზამს ამ ბავშვეფს, ნეტა ერთი მანახა.“

ხუზალა თმაგადახოტრილი. „სკოლაში ინკუბატორი ხო არა აქვთ, ეა რა ერთნაირი ხუზალა ბიჭები გამოვიდნენ.“

ხუზგა თმის ნულზე გადაპარსვა, გადახოტვრა. „მაგ ცალუყრამ სუ დაავიწყდა დალაქობა, მარტო ხუზგა ეხერხება.“

ხუზუა ვინც თმაგადახოტრილი დადის. „ეე ხუზუა ქედ რო არ იხურამს, თავი მაინც არ ეყინება?!“ მეტსახელია კაცისა.

ხუთადხუთ-ი მხოლოდ ხუთი. „ხუთათხუთი კაკალი აელო ბავშვსა და ისიც წაერთმივნა იმ უგემურ კაც და აეტირებინა.“

ხუთკენჭობა ერთგვარი საბავშვო თამაშია, რომელშიც ხუთი ბიჭი მონაწილეობს. გარკვეულ მანძილს მონიშნავენ და მრგვალი ქვით მიწაში ჩააღრმავებენ ორმოს, რომელსაც „ბუდე“ ჰქვია. ხუთივე მოთამაშე მონიშნული ადგილიდან მორიგეობით ამ ბუდეში ჰყრიან ხუთ-ხუთ კენჭს (ერთდროულად). ვინც ბუდეში ხუთივეს ჩააგდებს, ის მეფე იქნება, ვინც ოთხს – დედოფალი, სამის ჩააგდები – ცხენი, ორისა – ვირი, ვინც ერთს ჩააგდებს, ის კი ომის გამომცხადებელია. ომი რომ გამოცხადდება, მეფე ცხენზე ამხედრდება, დედოფალი – ვირზე და ერთმანეთს შეერკინებიან. ვინც ძირს ჩამოაგდებს მოწინააღმდეგეს, ის იქნება გამარჯვებული. კენჭების ყრის დროს შეიძლება მეორემაც იმდენი ჩაყაროს ბუდეში, რამდენიც სხვას უკვე ჰქონდა. თუ ასე მოხდა, პირველი მფლობელი ჰკარგავს უფლებას, ე.ი. „ქისდება“ და ამიტომ მეორედ უნდა ყაროს კენჭი. ხელახლა რამდენსაც ჩაყრის, იმისი

შესაბამისი მფლობელი ხდება. და თუ რომელიმე თავიდანვე ერთი კენჭი ჩააგდო ბუდეში, ის ბათილად ცხადდება, რადგან ომი მანამდე ვერ გამოცხადდება, სანამ ყველა თავის ადგილზე არ იქნება.

ხუნძელა 1.; ბევრი ნაყოფის დასხმა, დახუნძელა. „ნახე, რა ხუნძელა იცის ამ კაკალმა.“ 2. ბევრის ერთად დასხდომა, ჩამოკიდება. „გოგო, თქვე ბროგო ასატეხებო, მამ იმდენი არ უნა გესმოდეთ, რო მაგ ტოტებზე ხუნძელა თქვენ აღარ შეგეფერებათ.“

ხურაგ-ს ატეხილია (ძროხა, კამეჩი) „ძროხა უკვე ხურამს და ნახირში კი ბულა არა მყავთ, არ ვიცეი,სად წავიყვანო.“

ხურგა ატეხვა, ახურება. „ეა დეკეული ჯერ იყო შინა, ხურვი ღრო რო დაეწყობა, მაშინ გავაგლოთ ნახირში.“

ხურხურ-ი ბევრი ხალხის ერთად თავმოყრა და უშნო სიცილ-ხარხარი. „რა ხურხური უდგათ იქ იმ გოგო-ბიჭეფს, არაფერი გააფუჭონ.“

ხურხურებ-ს, ხურხურებ-ენ უშნო სიცილ-ხარხარი უდგათ „მომხენცამს ეა შენი ვაჟბატონი ამოდონა ალლაუჭობა და თელი დღე ეგე ხურხურებენ.“

ხურხურობ-ენ იხ. ხურხურებს.

ხუსხუს-ი სწრაფი და მოკლე ნაბიჯით სიარული. „ერთი შეხედეთ იმ ბერიკაც, როგორ ხუსხუსით მიდი გზაზე. 2. ახლად ფეხბაღმული ბავშვის სირბილი. „საითაც დედა წავა, პატრა ბიჭუნაც ხუსხუსით დაადევს უკან.“

ხუშტრუკ-ი ხუშტური, თავნებობა, უხასიათობა. „მითომ წყნარია ი ბიჭი, მაგრამ ხანდროდ ისეთი ხუშტრუკი აუტყდება ხოლმე, რო კაცი ველარ იცნოფს!“

ხუშტრუკიან-ი ვისაც ხუშტრუკი, უხასიათობა სჩვევია. „მაგ ხუშტრუკიანთან მე რა საერთო უნა მქონდეთ.“

ხუსალა უბალნო, თმაწვერგაცკვივნილი კაცი. „ეა რა მომსვლია ამ ჩვენ მეზობელ, თლათ ხუსალა გამხდარა.“

ხუსრუტო ხუსრუტანა, ნახვრეტი. „ნამგალა რაკი მიწაზე ვერა ჯდება,ბუდესაც ვერ იკეთეფს, ამიტომაც იბულებულია ან ბელურეფს წართოს ან რაიმე ხუსრუტოში შაძვრეთ.“

ხუსუნ-ი ხორხოცი, ჟრიაშული, უშნო ხმაური. „ამხელა ბიჭები არიან და ეა უშნო ხუსუნი ვერა და ვერ მაიშალეთ.“

ხუსუნებ-ს, ხუსუნებ-ენ (უფრო მრავლობითში ითქმის) ხორხოცობენ, უშნოდ ხმაურობენ, ჟრიაშული უდგათ. „ნეტა რასა მეცადინეობენ,ერთათ შაიყრებიან და თელი დღე ეგე ხუსუნებენ.“

ხუხუნაკი-ი ხოკი, ყელის ტკივილი. „ემ რატო ესე მომდი ამ ბავშვ დუფი, ხუხუნაკი ხო არ შეეყარა?“

ხჩოლაგ-ს ხჩოლაგს, ცუდად იწვის, კარგად არ ეკიდება, ბოლს აყენებს. „რატო ესე ხჩოლამს ემ ლამფა, ნავთი არ ვარგა თუ პატრუქი?“

ჯაბრ-ი ჯიბრი. „ეგა ჩემი ჯაბრით წავიდა, თორე იქ წამსვლელი არ იყო.“

ჯაბრიან-ი ჯიბრიანი, ვინც სხვას ეჯიბრება, ვისაც სხვისა შურს. „ეგ ისეთი ჯაბრიანი კაცია, თავ მაიკლამს და სხვამ წინ არ გაუშევეს.“

ჯაგ-ი ეკლიანი ბუჩქი. „ერთი ღელა ცხვარი სკუნლი ჯაგებში გაბმულიყო მატყლით.“

ჯაგა ჯაგლაგი. „ერთი უხეირო, ჯაგა ცხენი გვეყვანდა, ურემში ვაბამდით ხოლმე.“

ჯაგაგ-ს ხელიერთობირად ჭრის. „მაგ ვენახ ვეი დაუნანებლათ რო მჯაგამ, სანაცვლოთ რა უნა გააშენო?“

ჯაგაჯუგ-ი შეშის ჭრის დროს გამოცემული ხმა „დილაადრიან ვილაცამ ჯაგაჯუგი აუყენა ტყეა.“

ჯაგვა ერთიანად ჭრა. „მეგონა გადააწვეწენს-მეთქი, მაგან კი ვენახი ჯაგვა დაიწყო.“

ჯალჯ-ი მოჭრილი ძეძვი. „ვენახი ჯალჯით თუ არ შავლობე, ქათმები გადადიან და ყურძენ აფუჭებენ.“

ჯალჯაგ-ს 1. ჯალჯით ღობავს. „ისე მჯალჯამს ვენახ, რო ჩიტი ველარ გადაფრინდება.“ 2. ბევრს უღებს (მანქანაზე, ურემზე) „ეგე რო მჯალჯამ მაგ მანქანამ, არ გეშინია საბურავები დაგისკლდე გზაზე?“

ჯალჯვა 1. ჯალჯით ღობვა. „დაილალა ემ საცოდავი კაცი ამდენი მუშაობით, თელი დღე მუხლჩაუხრელი ტრიალევს ვენახში, ხან ბარვა, ხან ჯალჯვა, ხან რა და ხან რა, ესეც ხო ადამიანია?“ 2. ბევრის დაღება (მანქანაზე, ურემზე) „ეგე ჯალჯვა არ ივარგევს, ხარები ველარ დაძრამენ ურემ.“

ჯალჯის კონა მოჭრილი ძეძვის კონა. „თუ ემ ჯალჯი კონები ესე ოთუზბირი დამიჯღებოდა, მჯობდა, ისევე ფიცრით შემომეღობა.“

ჯამის გათეთრება მოგება (ძროხის) და რძის გაჩენა ოჯახში. „ერთ-ორ დღეში ჩენი ძროხა ჯამ გაგვითეთთრევს.“

ჯამიტვლეპია ღორმუცელა. „ამ ჯამიტვლეპიამ მარტო ჭამა უყვარს, სხვა არაფერი.“

ჯანდამწვარ-ი სალანძლავი სიტყვაა. 1. ცუდი, უხეირო (ადამიანი). „ეგ რა ყოფილა, ეგ ჯანდამწვარი, ეგა.“ 2. ძუნწი,

კრიუანგი. „ეგ ისეთი ჯანდამწვარი დედაკაცია, ქვაბ ვერ გააგლებინეუ ხელიდან.“

ჯანდასაწველ-ი წყველა. „იმ ჯანდასაწველმა აღარაფერი დამიტოვა ოჯახში, ცოცხიც კი წამართო და წაიღო.“

ჯანდახრუკულ-ი იგივეა, რაც ჯანდამწვარი. „ისევე ი ჯანდახრუკული ქალი გამოგვიგზავნენ უფროსათ“. „რაო, ისევე ისეთი ჯანდახრუკულია შენი დედინაცვალი თუ ცოტა გამოსწორდა?“

ჯაჯია ხანტი, ხარმაცი. „შუადღე წამოვიდა და ი ჯაჯია ჯერაც არ ამდგარა ლოგინიდან.“

ჯგიშვა ჭიმვა, ბერვა, ბრექა. „გამოვა ბირჯაზე და ისე დაიწყეფს ჯგიშვამ, გეგონებათ ყარამან ყანთელი ბძანდებოდემ.“

ჯერან-ი ჯეირანი, ქურციკი, ველის თხა. „ჩემ ბავშვობაში მაგ ველზე მეც კი მინახია ჯერნები ფარა, იმიტომ ეძახიან მაგ ადვილ საჯერნემ.“

ჯერანა, **ჯერენა** მოყვითალო, მოჩალისფრო ცხოველი. „პაპაჩემ ერთი ლამაზი ჯერენა ხარი მყვანდა“. ხარისა და ძროხის სახელებია.

ჯერენა იხ. **ჯერანა**.

ჯეჯგავ-ს ძალიან ავსებს, ტენის. „ეგე რო მჯეჯგავ, გასკდება ტომარა და სუ დაიანევა.“

ჯეჯგვა ძალიან გავსება, გატენვა. „რა არი ეგე ჯეჯგვა, როგორ უნა წავიღო?“

ჯვარდებ-ა ბრაზდება, ჯავრდება. „ამ ცხენ თელი დღე რო დააჭენეფ ალმა-ღალმა, მამაშენი არ გიჯვარდება?“

ჯივარს დააყრი-ს სიყვარულს გამოხატავს. სითბოს გასცემს, შეიბრალებს. „ეგ ისეთი გულკეთილი დედაკაცია, ერთი დღიი გაცნობილი რო მყვანდემ, გადამთიელსაც კი ჯივარ დააყრის.“

ჯივრის დაყრა სიყვარულის გამოხატვა, შებრალება, შეცოდება. „ვიცოდი, რო კეთილი ადამიანი იყო, მაგრამ თუ ესეთი ჯივრი დაყრა შეეძლო, არ მეგონა.“

ჯიხვ-ი, **ჯიხვია**, იგივეა, რაც სიჭიხვი. „შენოტოლა ბიჭები უკვე ოჯახ ინახავენ, შენ კი თურმე ისევე ჯიხვი ბუდეებზე დადიხარ.“

ჯიჯლიბა, **ჯიჯლიბო** ჯიბლიბო, ქუთუთოზე, წამწამებს შორის გამოსული ჩირქოვანი ძიძიბი. „თვალზე ჯიჯლიბა გამოვდი და არ მაისრისო, თორე უფრო გაგიღიზიანდება.“

ჯიჯლიბო იხ. **ჯიჯლიბა**.

ჯლაგა ჯაგლაგი, უხირო ცხენი. „ემაგ ჯლაგა ცხენით, როდი ასვალ მთაში.“

ჯლაგჯლაგ-ი ჯაგჯაგი, ჩაკჩაკი, უშნოდ სიარული (ცხენისა). „დამტანჯა ამ ცხენი ჯლაგჯლაგმა.“

ჯლაგჯლაგა ჯაგჯავით, უშნოდ მოსიარულე ცხენი. „ემაგ ჯლაგჯლაგა ცხენი სად იშოვე?“

ჯლაგჯლაგებ-ს ჯაგჯავით, უშნოდ დადის (ცხენი) „ეგ შენი ცხენი თუ სუ ეგე ჯლაგჯლაგეუს, ხო არ უნა მეეკვლევირო, აილე და ზოპარკში ჩააბარე, ხორცათ მაინც გამაიყენებენ.“

ჯლაყუნ-ი უშნოდ სიარული, აქეთ-იქით ხეტიალი. „ნეტა ემაგ ჯლაყუნი არ მეეყინა, დაჯდემა და დაეგდომა შინა.“

ჯო იგივეა, რაც ბჯო! „რა გინდა, ჯო, ჩემგან, რატო თავ არ დამანებეუ?“

ჯოლდ-ი 1. ხვავის მონახადი, ხორბლის (ქერის) გაულეწევად დარჩენილი თავთავები და ღეროს ნამტვრევი. „მაიტა ემაგ ჯოლლიც გავატაროთ ცხავში და მერე დავისვენოთ.“ 2. ჭამის შემდეგ ბავაში დარჩენილი ბზისა და ბურდოს მსხვილი ღეროები. „ემაგ ბზე ცარიელა ჯოლლი გამოდგა, ბოლომდე არა მჭამს ძროხა.“

ჯოლღაფ-ს 1. ცუდად ჭამს, ბევრს ტოვებს (ძროხა, ხარი). „ეგე რო მჯოლღამს ემაგ ძროხა, თივა არ გვეყოფა, ცოტა მარილი მოუყარე და ბოლომდე შამჭამს.“ 2. ცხავში ატარებს ჯოლღს. „ნეტა რასა მწვალოფ და მჯოლღამ მაგ ბუჩომა, დაუყარე ქათმეუს და თითონ გამააცლიან, რაც გამოსაცლელია.“

ჯოლღვა ჯოლღის გატარება ცხავში. „ჯოლღვამ რო მოვრჩები, მერე მეც გიშველით ბზი დადებამ.“ 2. საკვების დატოვება (ბავაში). „ჯოლღვამ თუ არ გადავარჩევი ჩემი საქონელი, ემაგ თივა ზამთარ ვერ გამაყვანიფეს.“

ჯოლღიან-ი რასაც ჯოლღი აქვს. „ემაგ ხოვი ნამეტანი ჯოლღიანი გამოდგა.“

ჯოლღის ცხავ-ი ცხავია ერთგვარი, რომელსაც მსხვილი თვლები (ნაჩრეტები) აქვს. „მაგამ ჩვეულებრივ ცხავში ვერ გაატარეუ, ჯოლღი ცხავი დაეჭირდება.“

ჯონჯვლა ბევრის დასხმა (ხილის). „აუჰ, ჯონჯვლაც ამასა მქვია, ამ კაკალ რო ასხია.“

ჯორ-ი ჭაკი ვირისა და ულაყი ცხენის ნამიერი. ტანად ვირზე დიდი იზრდება, დიდყურაა, ფაფარი და ძუაც ისეთივე აქვს, როგორიც ვირს. ვირზე ღონიერია, ოღონდ არ მრავლდება.

„ზოგიერთებს ჯორი და ჯორცხენა ერთი და იგივე მგონიათ, მაგრამ ეგ არ არი. ჯორ ღელა მყავ ვირი, მამა — ცხენი, ჯორცხენამ კი — პირიქით, ღელა ცხენი მყავ, მამა — ვირი.“

ჯორ-ი² ჯორა, ჩანგურის სიმების გადასაჭიმი ფირფიტა. „ემა რა მაღალი ჯორი გაგიკეთებია ამ პატრა ჩანგურითვინ.“

ჯორ-ი³ აყლაყულა, დიდი ტანის ადამიანი. „ერთი ნახე, რამხელა ჯორი გარდილა იმათი ბიჭი.“

ჯორი ხბორებში! იგივეა, რაც ვირი ხბორებში!

ჯორისძუა სარეველა ბალახია. „ძუსავითაა გაშლილი და იმიტომ ეძახიან ჯორიძუა.“

ჯორიღლიტე გრძელი ჯორი. ბიჭების თამაშია ერთგვარი. ორ გუნდად გაიყოფიან, კენჭს გამოიღებენ და ვისაც კენჭი შეხვდება, ისინი შეასხდებიან ზურგზე მეორე გუნდის ბიჭებს, რომლებიც წელში არიან მოხრილი. პირველი მოთამაშე დაიღუნება და რაიმე საყრდენზე (კედელს, ფანჯრის რაფა, დირეს) დააწყობს ხელებს, მეორე პირველის ზურგზე, მესამე მეორეზე და ა.შ. ისინი კი, ვინც ზურგზე უნდა შეახტნენ, შეარჩევენ ყველაზე მაღალ და მარჯვე მოთამაშეს, რომელიც გამოქანდება და ბოლოში დახრილ მოთამაშეს ზურგზე დაარტყამს ხელებს და ეცდება, რაც შეიძლება წინ გადახტეს, რათა სხვებს მეტი ადგილი დახვდეთ, ასე ყველანი ერთი მეორის მიყოლებით შეასხდებიან. თუ კარგად ვერ ზის, ზედვე უნდა გასწორდეს, ჩამოხტომა და ხელახლა შეხტომა არ შეიძლება. ამას მსაჯი არ აპატიებს. თუ ვერ შეახტა ზურგზე ან შეახტა და ჩამოვარდა, ჩაქისებულად (დამარცხებულად) ითვლება და ახლა ისინი დაიკუზებიან და მეორენი შეასხდებიან.

ჯორიღლიტობა იგივეა, რაც ჯორიღლიტე.

ჯორცხენა ფაშატი ცხენისა და ულავი ვირის ნაშიერი.

ჯოყარ-ი მდარე ხარისხის თუთუნი. თამბაქოს ღეროებისაგან ამზადებდნენ. „მახსომს, ორი ბერიკაცი ცხოვრობდა ჩემ მეზობლათ, ორივენი ეწეოდნენ. ხან ერთი გამგზავნიდა მეორეთთან და ხან მეორე — ამადთან, თან დამაბარებდნენ „მიდი და იმ ჭირისაგან გასახეთ უთხარ, ცოტა ჯოყარი გამამიგზავნო“. — შეხუმრებულები იყვნენ. დანაბარეფს, რომ ვეტყოდი, ესე მიპასუხებდა: „ჯოყარიო? ჯოყარი მე კი არ მინდა! სადა მაქ საიმისო ჯოყარი“, — თუმცა მაინც გამატანდა.“

ჯოჩი-ი ჯოხი (ბავშვის ენაზე). „ჯოჩი არ გინდა მოგცე, პატრა ჯოჩი?“

ჯუჩი-ჯუჩი! ქათმის მოსახმობი ძახილი.

ჯუჯია ქათამი (ბავშვის ენაზე). „შიღი, ჯუჯიები გარკვე
ეზოდან.“

ჯუჯულაობ-ს სულ სახლში ზის, გარეთ არ გადის. „ნეტა არ
მოდწყინდა, სუ ერთთავათ შინ რო ჯუჯულაოფს.“

ჯუჯულაობა ერთ ადგილზე ჯდომა, გარეთ გაუსვლელობა.
„ეგე ჯუჯულაობა ხეირ არ დაგაყრიდ, თორე შენი საქმისა შენ
იცვი.“

ჰაგა! ჰაგაგა! ძაღლის გასამხნეველები შეძახილი, როცა მტერს, ნადირს ეტანება. გადატ. ადამიანის მიმართაც იტყვიან: „ჰაგაგა, არ დაუთმო არაფერი!“

ჰაი-ჰაი! შეძახილი მტაცებელი ფრინველის (ქორის, ძერის...) დასაფრთხობად.

ჰაითუ! სიტყვის მასალაა „ჰაითუ დაგიჭირე, მაშინ გაჩვენეფ, რა ბიჭიცა ვარ.“

ჰაფსა! შეძახილი კატის გასაგდებად „ჰაფსა კატა, შე ოხერო, ნუ წაპილწე ყველაფერი.“

ჰაცხა! აცხა! კაჭის გასაგდებად შეძახილი.

ჰაჩუ! აჩუ! ცხენის გასაგდებად ან ასაჩქარებელი შეძახილი. „ჰაჩუ, ჰაჩუ ცხენო, საით გაგაჭენო, ჯერ ქერი არ გიჭამია, შე კუდმოსაჭრელო.“

ჰობ-ჰა! ჰობ-ჰა! მომკელთა შეძახილი სიმღერის დროს. „ჩემ ბავშვობაში ერთ მოხუც კაც დაინახავდნენ თუ არა, ვიღაცა დაიყვირებდა: „ჰობ-ჰა! ჰობ-ჰა!“ ის მოხუცი ძალიან ბრაზობდა. მიკვირდა, ან რატომ ღიზიანდებოდა, ან ესენი რატომ უძახდნენ. „ეგაო, მერე მითხრეს, დიდი ლალული კაცი იყო, მუშაობა ესიკვდილებოდა, ოღონდ სიმღერა კი კარგი იცოდაო; ერთხელ ცოლი დაეყენებინა ნამგლით ყანაში, თითონ კი ჩირდილში ჩამოწოლილიყო. ცოლი ყანასა მკიდა, ეგ შორიდან დაძახებოდა: „ჰობ-ჰა! ჰობ-ჰაო“.